

58.2(02)

Ա. ԿԱՐԵՎՈՅ

ԳՐԱԴԱ ԳՈՒԹԱՅԹՈՒՅ



Համար 178

ზოგადი ფიზოპათოლოგია

(დაუნიგენისა და მიკრობის საფუძვლებით)

საქართველოს სსრ უმაღლესი, და საშუალო სპეციალური
განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულია სახელ-
მძღვანელოდ სასოფლო-სამეურნეო ონსტიტუტის სტუდენ-
ტებისათვის

გამოქვემდებარებულია „განათლება“

თბილისი — 1978

წინამდებარე სახელმძღვანელოში „ზოგადი ფიტო-პათოლოგია იმუნიტეტისა და მიკოლოგის საფუძვლე-ბით“ განხილულია სასოფლო-სამეურნეო კულტურე-ბისა და ტყის ჯიშების ავაღმყოფობათა და მათი სა-წინააღმდეგო ბრძოლის ზოგადი საკითხები, ფიტო-პათოლოგიის თეორიული საკითხები და მათი განვი-თარების მოკლე, ისტორია, მოყვანილია ავაღმყოფო-ბის გამომწვევის ორგანიზმების პათოლოგიურ-მორ-ფოლოგიური დახსასიათება და ეტიოლოგის პრინციპზე დამყარებული მათი კლასიფიკაცია, ბიოლოგიური თვესებები. წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათ-მობილი მცენარეთა იმუნიტეტის საკითხებს, გაშუ-ჭებულია ავაღმყოფობათა საწინააღმდეგო ბრძოლის მეთოდები და საშუალებები.



40307 — 054
K — 178 — 78
M — 602(08) 77

© გამცენარეთა აკადემია, 1978

ფიტოპათოლოგის ჯენერაციის საგანი და მიზანი

აკადემიური მუნიციპალიტეტისა და მეცნიერებლის თავისებაზე.

ტერმინი „ფიტოპათოლოგია“ ბერძნულია და სამი ნაწილისაგან შედგება: Phyton — მცენარე, Pathos — ავაღმყოფობა და Logos — სიტყვა, მძღვრება; ერთად — მოძღვრება, სწავლა მცენარეთა ავაღმყოფობების შესახებ, ანუ მცენარეების ავაღმყოფობათა შესწავლა.

მცენარეების ავაღმყოფობათა შესწავლის აუცილებლობა გამოწვეულია საერთოდ მცენარეულობის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობით კაციობრიობის განვითარების საქმეში. შეიძლება ოქვეს, მცენარეულობა რომ არ ყოფილიყო, კაციობრიობა ვერ განვითარდებოდა, რადგან ადამიანისა და ცხოველების საკვებად, უმეტესწილად, მცენარეები და მათი პროდუქტები გამოიყენება; რაკი ადამიანი ისტორიულად დარწმუნდა, რომ მცენარეულ საფარს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისვის, იგი თანდათან შეუდგა ბუნებაში გავრცელებული სასაჩვებლო მცენარეების შერჩევას და მომრავლებას. ამით საფუძველი ჩაეყარა სასოფლო-სამეურნეო მემკენიანობის ცალკეული დარგის განვითარებას. უკანასკნელთაგან, პირველ ჩაიგვი, სასურსათო კულტურებია აღსანიშვნა, მაგ., მარცვლეულები — ხორბალი, ბრინჯი, სიმინდი, ქერი, ფეტვი, ღომი და სხვ. მსოფლიოს მოსახლეობისათვის საკვებად საჭირო სურსათის სამი მეოთხედი მარცვლოვან კულტურებზე მოდის (სტეკმენი, ჰარარი).

არანაკლები მნიშვნელობა აქვს მრავალწლიან ხეხილს, ვაზს, ციტრუსებს, ჩიის ბუჩქს, ტექნიკურ კულტურებს, რომელთაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დიდი ნაწილი აქვთ დაკავებული და მოსახლეობის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა.

ადამიანი სასოფლო-სამეურნეო მცენარეების პროდუქტებს მარტო სურსათად კი არ იყენებს, არამედ მათგან საწარმოო ნედლეულსაც იღებს (მაგ. ბაბბა, სელი); ზოგიერთს კი თავისი ჩევევების დასაქმაყოფილებლად ამრავლებს (მაგ. თამბაქო, რომლის მოყვანას მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში მისდევენ და რომელიც ეკონომიურად ძვირფას პროდუქციას იძლევა).

სახალხო მეურნეობისათვის მემცენარეობის ესოდენ დიდი მნიშვნელობის გამო სასოფლო-სამეურნეო მცენარეების მოსავლის დაცვა მაგრნებლებისა და ავაღმყოფობათაგან ყოველთვის ადამიანის ზრუნვის საგანს უნდა წარმოადგენდეს. ტერმინ „ფიტოპათოლოგიის“ განსაზღვრისას მარტო „მცენარის ავაღმყოფობათა შესწავლით“ ვერ დავკმაყოფილდებით. ასეთი განმარტება მეტად ზოგადია და არ იძლევა სრულ წარმოდგენას იმ ძირითად საკითხებზე, რომლებიც ფიტოპათოლოგიის შესწავლის საგანია. ასეთებია, მაგალითად: მცენარის ავაღმყოფობის გამომწვევი მიზეზების დადგენა, ავაღმყოფი მცენარის ბიოლოგიისა და ეკოლოგიის შესწავლა, ავაღმყოფ მცენარეებში მიმდინარე გარეგნული და შინა-

განი ცვლილებების დადგენა, პარაზიტისა და მკვებავი მცენარის უ რთი-ერთდამყიდებულება, აგადმყოფობისათვის ხელშემწყობი თუ ხელშემშ-ლელი პირობების შესწავლა, მცენარეთა გამძლეობის შესწავლა და სხვ. ყველა ამ საკითხზე მიღებულ მეცნიერულ მონაცემთა საფუძველზე უნდა აიგოს ავადმყოფობის საწინააღმდეგო ბრძოლის ონისძიებათა სისტემა, რომლის ჩატარებით მოსავლიანობა უნდა დავიცვათ, რაც ფიტოპათო-ლოგის საბოლოო მიზანია.

სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად ხმარობენ ასეთ გამოთქმას: „მცენარენი ზიანდებიან ავადმყოფობებისა და მავნებლების მიერ“. ამ წინააღმდებაში გაერთიანებულია „ავადმყოფობები“ და „მავნებლები“. პირველ შემთხვევაში იგულისხმება პარაზიტული მცენარეული ორგანიზმებით (სოკოები, ბაქტერიები), ვირუსებით და გარემო პირობებით მცენარეთა დავადების შემთხვევები. ამ საკითხებს ფიტოპათოლოგია შეისწავლის; მეორე შემთხვევაში კი („მავნებლები“) იგულისხმება ცხოველური ორგანიზმებით (თაგვებით, მწერებით, ტკიპებითა და სხვ.) გამოწვეული დაზიანებები. ამათ შესწავლას აწარმოებს გამოყენებითი ზო-ოლოგია და სასოფლო-სამეურნეო ენტომოლოგია. ისე, რომ მცენარეთა დაცვა, ფართო გაგებით, ორ სამეცნიერო დისციპლინაში — ბოტანიკასა და ზოოლოგიაში შედის და მათი გამოყენებითი დარღვა.

უკანასკნელ პერიოდში ფიტოპათოლოგის გამოყოფა კიდევ ისეთი შედარებით ახალი სამეცნიერო დარგები, როგორიცაა: ვირუსოლოგია, სასოფლო-სამეურნეო ტოქსიკოლოგია, მეცნიერება მცენარეთა ბაქტე-რიოზებზე, იმუნიტეტი და სხვ.

ფიტოპათოლოგიის კავშირი სხვა სამეცნიერო დისციპლინებთან

ფიტოპათოლოგია თავისი კვლევითი და პრაქტიკული საქმიანობით მტკიცედაა დაკავშირებული სხვა სამეცნიერო დისციპლინებთან, მაგა-ლითად, მცენარეთა ფიზიოლოგიური ცვლილებები ხდება. ამ უკანასკნელის გამო იცვლება მცენარეში მიმდინარე ნორმა-ლური ფიზიოლოგიური პროცესები. ბუნებრივია, რომ ამ ცვლილებათა გაგება შეუძლებელი იქნება მკვლევარისათვის, თუ მას არ ეცოდინება სალი მცენარის სხეულში მიმდინარე ნორმალური ფიზიოლოგიური პრო-ცესები. დაავადებული მცენარის პათოლოგიური შესწავლას საჭაოდ დიდი ყურადღება ექცევა. მცენარის დავადებისას ანატომიური სტრუქტურაც იცვლება, ირლვევა. საღი და ავადმყოფი მცენარის ანატომიის ცოდნა, მექანიკური ანუ სტრუქტურული იმუნიტეტის ბუნებაზე სათანადო წარმოდგენას

იძლევა, ხოლო ამ უკანასკნელის ცოდნა აუცილებელია ავადმყოფობის გამდევ ჯიშების გრძოლებისათვის.

ბოლო ხანებში პათოლოგიური ცვლილებების საკითხები მოლექულურ დონეზე ისწავლება. უკანასკნელი მცენარეში მიმღინარე ფიზიოლოგიური პროცესების ცვლილებების საწყისის გაცნობის საშუალებას იძლევა. აღნიშნულს კი დიდი მნიშვნელობა ეძლევა იმ ავადმყოფობათა აღრეული დიაგნოსტიკის დასადგენად, რომელთაც ხანგრძლივი საინკუბაციო პერიოდი გააჩნიათ ან მცენარის ორგანიზმში ავადმყოფობის საწყისი ლატენტურ მდგომარეობაშია. მოლექულურ დონეზე შესწავლა მიმღინარეობს თანამედროვე, მეტად ზუსტი ხელსწყოებით (ელექტრონული პარამეტრიული რეზონანსის, რადიოსპექტროფოტომეტრის, ანალიტიკური ცენტრიფუგების სხვადასხვა სპექტროფოტომეტრების და სხვა) და ელექტრონული მიკროსკოპის გამოყენებით. აღნიშნულს შეისწავლის ე. წ. მ ო ლ ე კ უ ლ უ რ ი ბ ი ო ლ თ გ ი ა და მჭიდროდაა დაკავშირებული ფიტოპათოლოგიასთან.

ფიტოპათოლოგის კავშირი აქვს ყვავილოვან მცენარეთ ა. სისტემატიკასთან აც. ობლიგატურ პარაზიტებში ხშირია მკეცებავი მცენარეების მიხედვით მათი სპეციალიზაცია. მათში არსებობენ ბიოლოგიური ფორმები ან რასები, რომლებიც მორფოლოგიურად მსგავსი არიან, ფიზიოლოგიურად განსხვავებას ამჟღვნებენ, ხოლო ბოტანიკურად მცენარის ერთ სახეობასთან ან ჯიშთან არიან დაკავშირებული. სპეციალიზებული პარაზიტების გარკვევას ვერ შევძლებთ, თუ მისი მკეცებავი მცენარის ზუსტი სახელწოდება არ გვეცოდინება.

ფიტოპათოლოგია მტკიცედა დაკავშირებული სელექციასთან ა. ს. თ. ა. ნ. სელექციონერის მუშაობა სრულფასოვანი არ იქნება, თუ ამათუ იმ ჯიშის კულტურული მცენარის გამოყვანისას სხვა საკითხებთან ერთად (უხვმოსავლიანობა, აღრეულობა, ყინვაგამძლეობა და სხვა) მხედველობაში არ იქნება მიღებული გამოსაყვანი ჯიშის დამკიდებულება მნიშვნელოვან ავადმყოფობასთან. თუ გამოყვანილი ჯიში ავადმყოფობის გამძლე არ არის, იგი ყოველთვის ადგილად ავადდება და ამდენად, წარმოების თვალსაზრისით მიუღებელია, ზარალის მომცემია მისი მომრავლება, ეკონომიკურად გაუმართლებელი. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ, მაგ, ხორბალზე მომუშავე სელექციონერები, თავიანთ მუშაობას საფუძვლად უდებენ ხორბლის უმთავრესი ავადმყოფობებისადმი (უანგას, გუდაფშუტას, ნაცროვანების) გამძლე ჯიშების გამოყვანას; კარტოფილის სელექციონერები — კარტოფილის კიბოს ან ფიტოფტერობზის გამძლეობას აქცევენ ყურადღებას. აბსოლუტურად გამძლე ჯიშების მიღება ხშირად რთული საქმეა და ვერ ხერხდება, მაგრამ დასაშვებია, თუ მიღებული ჯიში სუსტად ავადდება. პრაქტიკაში ისეთი მაგალითებიცაა ცნობილი, როდესაც ახლად გამოყვანილი ჯიში თავის პირვანდელ გამძლე-

ობას დროთა განმიყლობაში კარგავს. ამის მიზეზად ითვლება ან არსებული პარაზიტის მცენარესთან შეგუება, ან ადგილზე ახალი, უფრო აგრესიული პარაზიტების გამოჩენა.

ამის გამოა, რომ ახლად გამოყვანილ ჭიშებს ჯერ სხვადასხვა გეოგრაფიულ წერტილებში ცდიან და შემდეგ ხდება. მათი საბოლოოდ შეფასება და გადაცემა წარმოებაში დასანერგად.

ამის გამოა ფიტოპათოლოგის კავშირიც გ ე ნ ე ტ ი კ ა ს თ ა ნ. გენეტიკის მიერ შესაჯვარებელი მშობელი წყვილების შერჩევისას, ავადმყოფობის მიმართ მათ გამძლეობას თუ მიმღებიანობის მექანიზმით გადასვლას დიდი ყურადღება ექცევა.

ფიტოპათოლოგიას დიდი კავშირი აქვს მ ე მ ც ე ნ ა რ ე ო ბ ა ს-თ ა ნ (მეცნიერებასთან, მეცნიერებასთან, მემინდვრეობასთან). ეს კავშირი აუცილებელიცაა, ვინაიდან მცენარის ავადმყოფობათა საწინააღმდეგო ხშირად ისეთი აგროტექნიკური წესი მუშავდება, რომელიც ამა თუ იმ მცენარის მოყვანისათვის აუცილებელია და ერთდროულად, მისი არსებითი ავადმყოფობის საწინააღმდეგოდაც გამოყენება. ასეთია, მაგ., თესლბრუნვა, თესვის სილრმე, თესვის გადები, სასუქების შეტანა, ხეხილის ფორმირება და სხვ.

პრაქტიკულ მუშაობაში ფიტოპათოლოგია მტკიცედაა დაკავშირებული ქ ი მ ი ა ს თ ა ნ. მცენარეთა დაცვის ღონისძიებაში ქიმიური მეთოდით, ბრძოლას წამყვანი აღგილი უჭირავს. ქიმიური მეთოდით ბრძოლას გამოიყენება სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებები, რომელთა ქიმიური შედგენილობის ცოდნა აუცილებელია.

ფიტოპათოლოგია როგორც თეორიული თვალსაზრისით, ისე პრაქტიკული საქმიანობით, მჭიდროდაა დაკავშირებული ე ნ ტ ი მ ო ლ ი გ ი-ა ს თ ა ნ. თეორიული მხრით კავშირი გამოიხატება მწერების როლის გამოვლენაში სხვადასხვა სოკევან, ბაქტერიულ და ვირუსოვან ავადმყოფობათა გაფრცელებაში. ვირუსოვან ავადმყოფობათა უმრავლესობას მწუწნავი მწერები ავრცელებენ. ზოგიერთი მწერი მარტო ავადმყოფობის გადამტანი კი არაა, თავის სხეულში ავადმყოფობის საწყისის შემნახველიცა (ვიროვნებული მწერები). მინდვრად მცენარეებში ვირუსულ ავადმყოფობათა პირველი ინფექცია ბევრ შემთხვევაში მწერების მიერაა გამოწვეული.

ენომოლოგიასთან მჭიდროდაა დაკავშირებული ფიტოპათოლოგია წმინდა ოპერატორული საქმიანობის თვალსაზრისითაც, რამდენადაც ორივე დარგის საბოლოო მიზანი ერთი და იგივეა — დაიცვან მცენარეები ავადმყოფობებისა და მავნებლებისაგან, შეიმუშაონ ისეთი კომპლექსური ღონისძიებანი, რომლებიც ერთდროულად შეიძლება იქნეს გამოყენებული როგორც მაგნებელთა, ისე ავადმყოფობათა საწინააღმდეგოდ.

მცენარის ავადმყოფობათა შესწავლის საქმეში გარემო პირობების

გავლენას მცენარის ავადმყოფობის განვითარებაზე, ღინამიერზე, აგრე-
თვე თვით ავადმყოფობის გამომწვევი თრგანიზმების სიცოცხლისუნა-
რიანობაზე და ქცევებზე — ღიღი მნიშვნელობა აქვს. პირველ რიგში
აღსანიშნავია ამინდის პირობები ვეგეტაციის პერიოდში, ამ პირობათა
სეზონური ცვალებადობა (ტემპერატურა, ტენი, სინათლე და სხვ.), ნია-
დაგობრივი პირობები და სხვ. ამ საკითხების შესწავლით ხდება ამა თუ
იმ ავადმყოფობისათვის ხელშემწყობი და ხელშემშლელი პირობების
გარკვევა, რაც შესაძლებელია ბრძოლის საქმეში გამოვიყენოთ. ყველა
ამ საკითხის გადაწყვეტის თვალსაზრისით (ეკოლოგია) ფიტოპათოლოგია
და კავშირებულია ა გ რ ო კ ლ ი მ ა ტ ო ლ ო გ ი ა ს თ ა ნ.

უკანასკნელ ხანებში ფიტოპათოლოგია, ისევე როგორც სხვა ბიო-
ლოგიური დისკიპლინები, კვლევისას იყენებს ბ ი თ ფ ი ზ ი კ უ რ — მე-
თ თ ღ ე ბ ს, ისეთებს, როგორიცაა, მაგ., რაღაც იტიური იზოტოპებით
ავადმყოფი მცენარისა და მისი პარაზიტის ნივთიერებათა ცვლის დადგე-
ნა, მცენარეთა დაცვაში გამოყენებული შხამების მცენარის ქსოვილებში
შეჭრა და მათი საბოლოო ბედი, გადანაცვლება, შემდგომი დაშლა და
სხვ.

გამოყენებულია რაღაც იტიური გამოსხივებათა გავლენა როგორც მცე-
ნარის, ისე მწერების პროდუქციაზე; შინაგან ავადმყოფობათა საწინა-
აღმდეგოდ იყენებენ მაღალი სიხშირის დენის მოქმედებას, ულტრა-
ინფერ სხივებს და სხვ.

განსაზღვრა თერმინისა „აგადმყოფი განვარე“ და მისი ჰასასიათება

ფიტოპათოლოგია ყოველმხრივ შეისწავლის ავადმყოფ მცენარეს,
რათა მის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები გამოიმუშაოს. საჭიროა
განისაზღვროს თუ რა იგულისხმება ცნებაში „აგადმყოფი მცენარე“,
როდის უნდა ჩაითვალოს მცენარე ავადმყოფად და როდის არა. დასმულ
საკითხებზე პასუხის გაცემა ერთი შეხედვით თითქმის ადვილია, მაგრამ,
როდესაც დაწვრილებით გავეცნობით ავადმყოფი მცენარის თვისებებს,
ავადმყოფობის გამოწვევ მიზეზებს, ავადმყოფობის ხასიათს, მცე-
ნარის ივადმყოფურ მოვლენას ყველა შემთხვევაში ერთი და იგივე
საზომით ველარ მივუდევებით, მით უმეტეს; თუ ტერმინის „ფიტოპათო-
ლოგიის“ განსაზღვრისას სხვადასხვა თვალსაზრისით შევხედავთ, თეო-
რიულისა თუ პრაქტიკულისა. ტერმინი „აგადმყოფი მცენარე“ უს ში-
ნაარსი ჩვენთვის რომ ნათელი და გარკვეული გახდეს, საჭიროა ვიცო-
დეთ, თუ რა ნიშნები ახასიათებს ავადმყოფ მცენარეს. ამ მხრივ სამ ძირი-
თად მომენტს ეწევთ ყურადღება.

1. ავადმყოფი მცენარისათვის დამახსიათებელია არანორმალური
გარეგნული შეხედულება.

2. ავადმყოფი მცენარის ნორმალური ფიზიოლოგიური ფუნქციები დარღვეულია.

3. ავადმყოფი მცენარე ან მისი ცალკეული ორგანო ხმება, ლპება ან დასახული მიზნისათვის გამოუსაფეგარი რჩება.

განვიხილოთ თითოეული მათგანი.

ყველა მცენარეს თავისი დამახასიათებელი გარეგნული ნიშანი მოეპოვება. მაგალითად, ავიღოთ სიმინდი; საღ მცენარეს ფოთლები მოგრძო აქვს, ტარო-ფუჩებითა შემოკრული, ცილინდრულია და წვერზე თმა აქვს განვითარებული, მამრობითი ყვავილედი ქეჩეჩო-ცოცხასებრია და სხვა. ყველა ეს ნიშანი მცენარისათვის ჩვეულებრივია და ნორმალურად ითვლება. როდესაც სიმინდი დაავადებულია გუდაფშუტით, მაშინ მცენარეზე უცნაური წარმონაქმნები ჩნდება. მის ორგანოებზე განვითარებულია მოთეთრო-მონაცრისფრო კანით დაფარული სხვადასხვა ზომის ბუშტები, რომლებიც გამოისებულია შავი მტერისებრი მასით. ასეთი ბუშტებით მცენარე ადგილად გამოიჩინევა სხვა საღი მცენარეებისაგან, რომლებსაც არანორმალური გარეგნული შეხედულება არა აქვთ, ე. ი. ბუშტები არაა განვითარებული.

მიზეზი ამ არანორმალური შეხედულებისა (ბუშტების განვითარებისა) გუდაფშუტოვანი სოკოების ერთ-ერთი წარმომადგენელია, კერძოდ *Sorosporium maydis*, რომელიც გარედან სახლდება მცენარეზე და აავადებს მას, რის შედეგადაც მცენარის ზედაპირზე კორძები ჩნდება.

მცენარის ავადმყოფობის მაგალითად შეიძლება დაგასახელოთ მევენახეობა-მებალეობაში კარგად ცნობილი მცენარეების გაყვითლება ანუ ქლოროზი. მის დამახასიათებელ გარეგნულ ნიშანად ფოთლების გაყვითლება ითვლება. სიყვითლე ჯერ ფოთლის ფირფიტის ძარღვებს შუა ჩნდება, შემდეგ კი უფრო ძლიერდება, ფოთოლი და ტოტებიც კნინდება და საბოლოოდ ხმება. ქლოროზით, დაავადებული მცენარე თავისი შეფერვით საღი მწვანე მცენარეებისაგან ადგილად გამოიჩინევა არანორმალური ყვითელი ფერით. ქლოროზი, უმთავრესად, გამოწვეულია ნიალგაში კირის სიჭარბით. ასეთსავე სიყვითლეს ვხვდებით დაჭაობებულ ნაკვეთებზე დათესილ სიმინდზედაც.

ფერის შეცვლის ყველა შემთხვევა არ შეიძლება მარტო გარემო პირობებს მივაწეროთ. ბუნებაში ფერის შეცვლას ვირუსული ავადმყოფობანი და პარაზიტები იწვევენ, ზოგ შემთხვევებში კი მიზეზი გაურკვეველია. მაგალითად, ზოგიერთ მცენარეში (მაგ., სიმინდზე) მეტადრე ახალგაზრდა ეკზემპლარებზე შეიმჩნევა გათეთრება, რასაც ა ლ ბ ი ნ ი ეწყოდება. ზოგიერთი დეკორაციული მცენარის ფოთლის ფირფიტა მწვანე და ყვითელი ლაქებითა აჭრელებული. ეს მოვლენა ბიოლოგიაში ცნობილია ჭრელფოთლიანობად. ასეთია, მაგალითად, დეკორაციული მცენარე — აკუბა (*Aucuba*), ჭრელფოთოლა ნეკერჩალი (*Acer*), ჭრელ-

ფოთოლა ლაქაში (Arundo), როგორც ალბინოზი, ისე ჭრელფოთლიანობა მრავალწლიან ბუჩქებზე-და ხეებზეა შემჩნეული, მათი წარმოშობა და არსი შეცნიერებისათვის ჯერ კიდევ გაურკვეველია. ჭრელფოთლიანობა მეტყველეობით გადადის თაობიდან თაობაზე. აღსანიშნავია, რომ თუმცა ფოთლებზე დიდი ყვითელი ლაქების არსებობის გამო ასიმილაცია, ნორმალურ მწვანე მცენარეებთან შედარებით, უფრო შემცირებულია, მაგრამ მცენარის საერთო განვითარებაზე ეს ფაქტი გავლენას არ ახდენს.

ავადმყოფ მცენარეთა არანორმალური გარეგნული სახე, ღრეულ-ფოთლების გარდა, მათ პროდუქტებზედაც ვითარდება. მაგალითად, ხშირია შემთხვევები, როდესაც შემონახული ნაყოფები (მაგ., ვაშლი, კიტრუსების ნაყოფები, კარტოფილის ტუბერები, ხახვი, ყურძენი და სხვ.) შენახვისას სხვადასხვა ორგანიზმების ზემოქმედების შედეგად ლპება.

ზემოთ მოყვანილი მაგალითების მიხედვით შეიძლება დაგვაკვნათ, რომ ავალმყოფი მცენარის არანორმალური გარეგნული შეხედულება სხვადასხვა გარეგნი (ნიაღავობრივი, მეტეოროლოგიური ფაქტორები, მიკროორგანიზმების ზემოქმედება) ან შინაგანი (ალბინოზი, სიჭრელე) მიზეზებითაა გამოწვეული.

აეკადმიუნთი მცენარის მეორე დამახასიათებელ ნიშნად ითვლება მის სხეულში ნორმალური ფიზიოლოგიური პროცესების დარღვევა. უკანასკნელ ხანებში ფიტოპათოლოგიურ კვლევა-ძიებაში, ამ მხარეს, რასაც პათოლოგიური ფიზიოლოგია იყვლებს, საკმაოდ დიდი ყურადღება ექცევა. იგი დამოკიდებულია მკევბავი მცენარისა და პარაზიტ შორის ნივთიერებათა ცვლის ხსიათზე, განურჩევლად იმისა, არა სპეციფიკურია იგი, თუ სპეციფიკურია. დიდი ყურადღება ექცევა ფერმენტების მოქმედებას და საერთოდ, ყველა ბიოქიმიური პროცესის ცვლილებასა და სხვ.

ს პ ე ც ი ფ ი კ უ რ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა დ ითვლება მკვებავი მცენარის მიერ დაცვითი რეაქციების გამომელავნება, ისეთი მოქმედება, როდესაც მცენარე აქტიურად ეშინააღმდეგება მის სხეულში პარაზიტის შეჭრას და გავრცელებას. ასეთ მოვლენებს მიეკუთვნება ხემცენარეებში გუმფისის (ფისი) დენა (წილვოვან ჯიშებში). ზოგიერთი ავადმყოფობის დროს ინფექციის მცენარის ქსოვილებში გავრცელების შესაჩირებლად ქიმიურ ნივთიერებათა ბარიერი იქმნება. იმავე აუზის მცენარეში წინაზრდილის შეჭრისას მკვებავი მცენარის შემხები უჯრდები კვდება, რაც საშუალებას აღარ აძლევს მცენარეში წინაზრდილის შემდგამ გავრცელების და იგი იოუპება, მცენარე კა არ აგადდება.

სპეციფიკური რეაქციების შემთხვევები მცენარეთა ღავადებაში იშვიათია და მათ პრაქტიკული მნიშვნელობა არა ძვრთ.

አዲስ አበባ የሚተዳደሩ ስራው በመምሪያ የሚከተሉትን ደንብ የሚከተሉትን ደንብ የሚከተሉትን ደንብ

მცენარის სხეულში ირლვევა ნივთიერებათა ცვლის ფიზიოლოგია, გაღიზიანება და სხვ. ამავე კატეგორიას უნდა მიეკუთვნოს პარაზიტის გავლენით მცენარის სხეულში მომშვამავ ნივთიერებათა ანუ ტოქსინების წარმოქმნა, რაც ხშირად მცენარის საერთო მოწამლვას ანუ ინტოქსიკაციას იწვევს (გორმანი).

ავადმყოფ მცენარეში არასპეციფიკური რეაქციები გამოწვეულია მცენარის სხეულში ნივთიერებათა ცვლის ნორმალური პროცესების დარღვევით. იგი სხვადასხვა სახისაა და მცენარის ფიზიოლოგიური პროცესების ყველა ფაქტორზე ახდენს გავლენას. პირველ რიგში აღსანიშნავია დაავადებულ მცენარეში ქლოროპლასტების რაოდენობის შემცირება, რაც ქლოროფილის მარცვლების დაშლის შედეგია. ამის შემდეგ მცენარის ფოთლებზე მოყვითალო ლაქები ვითარდება (აჭრელება) ან ფოთლები მთლიანად ყვითლდება (ქლოროზი). თამაბაქოს ბაქტერიული ნეკროზით დაავადებისას ინფექციის შეჭრის ადგილებში ქლოროპლასტების რიცხვი მცველობად ეცემა. თუმცა იშვიათად, მაგრამ ისეთი შემთხვევებიცაა, როდესაც დაავადებულ მცენარეში ქლოროპლასტები უფრო მეტია ვიღრე საღში (მაგ., უოლოს მოზაიკის ვირუსი) (კუპრევიჩი).

მცენარეთა დაავადება დიდ გავლენას ახდენს ფოტოსინთეზის ენერგიზე. იგი იკვლება დაავადების სიძლიერესთან დაკავშირებით. რაც უფრო ძლიერია დაავადება, მით უფრო შემცირებულია ფოტოსინთეზის ენერგია. ფ ო ო ო ი ნ თ ე ზ ი ს შემცირებასთანაა დაკავშირებული დაავადებული მცენარის სუნთქვა (დისიმილაცია). მტკიცდება, რომ დაავადებულ მცენარეში სუნთქვის პროცესები დასაწყისში თანდათან მატულობს, ხოლო ბოლო პერიოდში — მცირდება.

დაავადებული მცენარის სხეულში ირლვევა აგრეთვე ნახშირწყლების საერთო ბალანსი. იგი მცირდება ფოტოსინთეზის შენელებასთან დაკავშირებით. სუნთქვა ძლიერდება და ბუნებრივია, რომ ნახშირწყლების წარმოშობი მასალაც მცირე რაოდენობით შეიიქმნება.

ნახშირწყლების შემცირებასთან ერთად მათი გადანაცვლება და მცენარის მიერ გამოყენება შენელებულია. ამის გამო გადანაცვლების შემცირებასთან დაკავშირებით მცენარეში ნახშირწყლების დაგროვება ხდება. მაგ., ყვითელი მოზაიკით ძლიერ დაავადებული პომიდვრის ორგანოებში სახამებელი სამჯერ მეტია დაგროვილი, ვიდრე საკონტროლო საღმცენარეებში (საღში I, II და ძლიერ დაავადებულში — 3,52). ასევეა კარტოფილის ფოთოლხვევის შემთხვევებში.

დაავადებულ მცენარეში აზოტოვან ნივთიერებათა ცვლაც ირლვევა: ზოგიერთ შემთხვევაში მცირდება, ზოგჯერ კი მატულობს. ეს დამოკიდებულია მცენარისა და მისი ავადმყოფობის გამომწვევი მიზეზის თავისებურებაზე. მაგ., *Botrytis cinerea*-თი დაავადებული ყურძნის წვერში

აზოტი - შემცირებულია. ასევეა ვაშლის ნაყოფების *Stromatinia fructigena*-თი დაავადებისას.

ავადმყოფი მცენარის სხეულში ფერმენტაციული პროცესებიც პა-
თოლოგიურ ცალილებებს იძლევა, ან უფრო გააქტიურებულია, ან შემ-
ცირებული. ამ მხრივ ბიოკატალიზატორთა სისტემიდან კველაზე მეტად
შესწავლილია კარბოჰიდრაზები და ოქსიდაზები. მაგ., კურკოვნების გუ-
მოზით (გუმფისით) დაავადებისას ქერქის არეში კატალაზის აქტივობა
მცირდება, ხოლო მერქნის არეში ძლიერდება; გლუტათიონი დაავადე-
ბულ ქერქში 10-ჯერ მცირეა, ვიდრე საღ ქერქში (წაქაძე). გლუტათიო-
ნის ასეთი შემცირება დაავადებულ ქსოვილებში სასიცოცხლო პროცესე-
ბის დაქვეითების მაჩვენებელია: აქვე უნდა აღინიშნოს დაავადებული
მცენარის ქსოვილებში პერიქსიდაზის ძლიერი ზრდა.

თუ მივიღებთ მხედველობაში მცენარის ავადმყოფურ მოვლენებთან
დაკავშირებულ გარეგნულ და შინაგან ცვლილებებს და მის მიერ გამო-
წვეულ ზარალს, ტერმინი „ავადმყოფი მცენარე“ შემდეგნაირად, უნდა
იქნეს განსაზღვრული:

მცენარის ავადმყოფობად მისი ისეთი მდგომარეობა იგულისხმება,
როდესაც მთელ მცენარეს ან მის ცალკეულ ორგანოს არანორმალური
განვითარება აქვს და ერთდროულად მისი ნორმალური ფიზიოლოგიური
პროცესები დარღვეულია გარეგანი და შინაგანი მიზეზების გამო, რის
შედეგადაც მცენარე მთლიანად, ან ნაწილობრივ ხმება, ან დასახული მიზ-
ნისათვის გამოუსადეგარი რჩება, მისი პროდუქცია უფასურდება.

ავადმყოფობათაგან გიგანეზული ზარალი

მცენარის ავადმყოფობის დამახასიათებელ ერთ-ერთ თვისებად მოსა-
ვლიანობაზე გავლენა უნდა ჩაითვალოს, რაც მის შემცირებაში ან სასა-
ქონლო თვისებების დაქვეითებაში გამოიხატება. მოსავლიანობაზე ასეთი
უარყოფითი გავლენა სხვადასხვა სიძლიერით კველა მცენარეზეა შემჩ-
ნეული და დამოკიდებულია როგორც თვით მკვებავი მცენარის უგებულე-
ბაზე, ისე პარაზიტის ბიოლოგიურ თვისებებზე და მცენარის დაავადები-
სათვის გარემო ხელშემყობ პირობებზე.

ავადმყოფობათა უარყოფითი გავლენა სასოფლო-სამეურნეო კულ-
ტურების მოსავლიანობაზე ორი სახისაა: პირველია ე. წ. პ ი რ დ ა პ ი-
რ ი გავლენა, როდესაც მოსავლიანობა მცირდება; მეორეა ა რ ა პ ი რ-
დ ა პ ი რ ი გავლენა. უკნასკნელ შემთხვევაში მცენარისაგან მიღებუ-
ლი პროდუქტი ფუჭდება, მისი სასაქონლო ღირებულება იკარგება ან
დასახული მიზნისათვის გამოუსადეგარი ხდება. პირდაპირ და არაპირ-
დაპირ გავლენათა შორის მკვეთრი საზღვრის გატარება შეუძლებელი
ხდება, ვინაიდან ბევრ შემთხვევაში ერთიმეორეში გადაღის.

მცენარის ავადმყოფობათა მიერ გამოწვეული მავნეობა, თუ კი სპე-
ციალურ აღრიცხვებს არ ჩაგატარებთ, შესაძლებელია არსებითად არ
იქნეს მიჩნეული. ბევრი რამ, რაც ბუნებაში ხდება, უბრალო თვალით
შეუმჩნეველი რჩება. ავადმყოფობათა მიერ გამოწვეული ზარალის შე-
სახებ ნამდვილი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, საჭიროა გამოირკვეს, თუ
ავადმყოფობა რამდენადაა ბუნებაში გავრცელებული და რა ზარალის
მომცემია, რაც სისტემატური სპეციალური დაკვირვებებით და აღრიცხ-
ვით უნდა შეთასდეს. ზარალიანობის აღრიცხვის შედეგები საბოლოოდ
ფულადი ერთეულებით გამოიხატება.

მავნებლებისა და ავადმყოფობათა გავრცელებისა და მათ მიერ გამოწ-
ვეული ზიანის აღრიცხვის, მათი გამოჩენის ვალების დადგენას (პროგნოზს)
უკანასკნელ ხანებში საკმაოდ დიდი ყურადღება ექცევა როგორც ჩვენში,
ისე საზღვარგარეთ. ამისათვის სპეციალური სამსახურია ჩამოყალიბებუ-
ლი (სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლებისა და ავადმყოფობა-
თა პროგნოზისა და სიგნალიზაციის სამსახური), რომელიც აღრიცხვის
შედეგებს პერიოდულად აქვეყნებს. თუ რამდენად დიდი ზარალის მომ-
ცემია მცენარის ავადმყოფობინი, მოყიყნოთ ზოგიერთ მონაცემს რო-
გორც საზღვარგარეთული, ისე ჩვენი სინამდვილიდან.

მცენარის ავადმყოფობით გამოწვეული უდიდესი ზარალისა და მო-
სახლეობისათვის კატასტროფული შედეგების მაგალითია ირლანდიაში
კარტოფილის ფიტოფტოროზით (*Phytophtora infestans* B r f.) დავა-
დება 1845—1846 წლებში. ფიტოფტოროზმა კარტოფილის დიდი მოუ-
სავლიანობა გამოიწვია, რის გამო ირლანდიაზ მოსახლეობის ერთი მესა-
მედი დაკარგა; აქედან კრი მილიონამდე შიმშილით გაწყდა, ხოლო ნა-
ხევარმა მილიონმა დატოვა ირლანდია და ემიგრაციაში წავიდა (ვუდი).

დაავადებული მცენარის ან მისი პროდუქციის გამოყენებით აღამიანი-
სა და ცხოველების სიკვდილის ან დაავადების მაგალითები ხშირია. ჭვა-
ვის რქით (*Claviceps purpurea*) დაავადებისას მისი სკლეროციუმები ხორ-
ბალში ერევა. თუ ასეთი ხორბალი საკვებად იქნა გამოყენებული, აღა-
მიანი და ცხოველები იწამლებიან და იხოცებიან. ეს ავადმყოფობა ცნო-
ბილია ერგოტიზმის სახელწოდებით; დასავლეთ საქართველოს ზღვისპი-
რის რაიონებში გავრცელებული ლაკარტისას კლავიცეპსით (*Claviceps paspali*) დაავადებული საძოვრებიდან, რომლის მცენარეულ საფარში
ლაკარტისას (*Paspalum*) წარმომადგენლები ჰარბობენ, საქონელი შინ
„მთვრალი“, უფრო მოწამლული ბრუნდება, შრომის უნარი დაკარგული
აქვს, ვეღარ მოძრაობს, ბარბაცებს, ეცემა და, თუ ხანგრძლივად არ გა-
დაიყვანეს ბაგურ კვებაზე, იხოცება. ეს ავადმყოფობა ჩვენში „ბანდა-
ლას“ სახელწოდებითაა ცნობილი (ყნჩაველი).

ზოგისპირა და მთიან ზონებში ხშირია „მათრობელა პურის“ მოვ-
ლენა. იგი გამოწვეულია სოკო *Fusarium*-ით მარცვლების დაავადებით.
ასეთი ხორბლის საკვებად ხმარება აღამიანის დაავადებას იწვევს.

მათრობელა პურის მოვლენა ჩვენში გამოწვეულია აგრეთვე ერთ-ერთი სარეველა მცენარის —ლოლირდლას (*Lolium persicum*) თესლის ხორბალში შერევით. ლოლირდლას თესლთან სიმბიოზურადა დაკავშირებული სოკო, რომლის მიცელიუმი შხამს (ტემულინს) შეიცავს. ასეთი ლოლირდლანარევი ხორბლის საკვებად მოხმარება იწვევს ე. წ. ერგოლიზმს ანუ მათრობელობას. მოყვანილი შემთხვევები მცენარის პროდუქტების გაფუჭების მაგალითებია.

მცენარის ავადმყოფობები მოსავლის უშუალო შემცირებასაც იწვევს. ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში მცენარეთა ავადმყოფობით გამოწვეული ყოველწლიური ზარალი საშუალოდ სამი მილიარდი დოლარით განისაზღვრება (კუდი).

ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში ლერს უანგას ეპიფიტოტიის დროს (1918, 1935, 1954 წ.) მას მიერ გამოწვეული მოსავლის დანაკარგები უდრიდა 82 მილიონ ცენტნერს (1918); მარტი შეერთებული შტატების 3 შტატში (სამხრეთი დაკოტა, ჩრდილოეთი დაკოტა და მინესოტა მოსავალმა იქლო 35 მილიონი ცენტნერით (1935). წინა ოთხი წლის (1928—1932) მოსავალთან შედარებით — 1935 წლის მოსავლის დანაკარგები შემდეგ სურათს იძლევა (ვაგონებით) (იხ. ცხრილი I).

(სტექმენი და ჰარარი)

წლები	I ზარისხი	II ზარისხი	III ზარისხი	IV ზარისხი	V ზარისხი	არასტანდარტული მარტივალი
1928—32	10,439	4,443	4263	1557	478	380
1935	1,811	520	1222	1610	2932	8,418

ცხრილიდან ნათლად ჩანს თუ რა განსხვავებაა მოსავლიანობის რაოდენობის მხრივ ჩვეულებრივი (1928—32) წლების და უანგიანი წლის (1935) საშუალო მოსავალს შორის. განსხვავება თავს იჩენს აგრეთვე მარცვლის ხარისხისანობაში; თუ პირველი — 3 ხარისხის ხორბალი მცველობა შემცირებულია, მე-4 და მე-5 ხარისხის მარცვლის რაოდენობა უანგიან წელს (1935) გადიდებულია. ყველაფერი ეს იმის მაჩვენებელია, რომ უანგასაგან მოსავალი არა მარტი მცირდება, არამედ ფუჭდება, ითშუკება და არასტანდარტული ხდება; რის გამოც მისი სასაქონლო ლირებულება შემცირებულია.

საბჭოთა კავშირშიაც სასოფლო-სამეურნეო კულტურების ავადმყოფობები ჯერ კიდევ დიდ ზარალს იწვევენ. მართალია, უკანასკნელ პერიოდში მცენარეთა დაცვის საქმეს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, ბევრი რამეა გაკეთებული, მაგრამ საერთო დონე ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს წარმოების ზოთხოვნილებას. მცენარის ავადმყოფობათა მიერ მიყენებული ზარალის მაგალითად შეიძლება შემდეგი ფაქტები დაგასახელოთ:

უკანასკნელ ხანებში ევროპაში შემოიჭრა თამბაქოს უსაშინელესი ავადმყოფობა ე.წ. პერენოსპორა ტაბაცინა (*Pterenopspora tabacina*), რომელმაც ევროპის მეთამბაქოების რაიონებს უდიდესი ზარალი მიაყენა. ბევრ სახელმწიფოში (გერმანია, საფრანგეთი, იტალია და სხვ.) ზოგიერთ წლებში ამ ავადმყოფობამ მთელი მოსავალი გაანადგურა. ასეთივე სიძლიერით გამოვლინდა თამბაქოს პერონოსპოროზი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში: უკრაინაში, კრასნოდარის ოლქში (1962—1963 წლებში). იგი საქართველოში შემოიჭრა 1962წელს; პირველ-ორ წელს (1962—1963) ზარალი იმდენად დიდი იყო, რომ ბევრმა მეურნეობამ მოსავალი ვერ მიიღო (აფხაზეთში, მარნეულში, ლაგოდეხში). მაგალითად, 1962 წლის მონაცემებით ლაგოდეხის რაიონში თამბაქოს მოსავალი გეგმით გათვალისწინებული 3660 ტ-ის ნაცვლად 41,6 ტ მიიღეს; მარნეულის რაიონში საგეგმო დავალება 3808 ტ-ს უდრიდა, მიღებული იქნა მხოლოდ 532 ტ.

1940 წლიდან საქართველოს ციტრუსოვან რაიონებში თავი იჩინა ციტრუსების საშინელმა ავადმყოფობამ, ე.წ. ხმელამ (მალსკომ) და ახალი ქართული ლიმონის ნარგავები ბევრგან თითქმის მოსპონ.

ვაშლის ქეცი (*Venturia inaequalis*) ყოველწლიურად ძლიერ აზარალებს ნარგავებს, მეტადრე, თუ ბრძოლა არაა ჩატარებული. ქეცის განვითარების გამო ნაყოფზე ლაქები ვითარდება, იგი არასტანდარტული ხდება და მისი სასაქონლო ლირებულებაც მნიშვნელოვნად მცირდება.

1963 წელს ხანგრძლივი წვიმების გამო, ვაზის ჭრაქი (*Plasmopara viticola*) გავრცელდა და ბევრი რაიონი უმოსავლოდ დარჩა. ჭრაქით ვაზი ისე ძლიერ იყო დაავადებული, რომ შემდეგი (1964) წლის მოსავალზედაც მოახდინა გავლენა; ვაზმა მტევანი არ გამოილო. უფრო შეტი ზარალი გამოიწვია ვაზის ჭრაქმა 1972 წელს.

ტყის ჭიშების დაავადებათავანი ალსანიშნავია წაბლის კიბოს (*Endothia parasitica*) გავრცელება ევროპის ან ამერიკის წაბლის კორომებსა და პარკებში. ბევრგან ამ ავადმყოფობამ წაბლის კორომები მთლიანად გაანადგურა.

ჰოლანდიურმა ავადმყოფობამ (*Graphium ulmi*) მთელი ევროპის პარკებსა და ტყეებში ოელები გაანადგურა. ეს ავადმყოფობა საქართველოს ტყეებსა და პარკებს ახლაც მნიშვნელოვან ზარალს აყენებს.

თუთის ხის „ხუჭუჭა“ წვრილფოთლიანობამ“ საქართველოს ზოგიერთ რაიონში, უკანასკნელი წლების განმავლობაში იმდენად ძლიერ იჩინა თავი, რომ ჩვენში გავრცელებული ჭიში „გრუზია“ დასავლეთ საქართველოში თითქმის მთლიანად მოსპონ და მეაბრეშუმეობა კატასტროფის წინაშე დააყენა.

ჩვენი ციტრუსოვანთა ნარგავების ჯიში „ახალქართული“ მალსკომ ანუ ლიმონის ხმელამ მთლიანად გაანადგურა და ამჟამადაც ნარგავების ოლდენისათვის ერთ-ერთი ხელშემშლელი მიზეზთაგანია.

ხორბლეულ მცენარეთა სკელი ანუ მყრალი გუდაფშუტა შეუწამლავი ხორბლის დათესვის შემთხვევაში მოსავლიანობას ამცირებს 50—75%-მდე, მეტადრე მთან ზონებში.

ხორბლისა და ქერის მტვრიანას გუდაფშუტებით დაზიანება ხშირად 15—20%-ს აღწევს.

დიდი ზარალია შენახულ მცენარეულ პროდუქტებზე საწყობებში (მაგ., ბოსტნეული-ჭარხალი, კარტოფილი, ხავერი). თუ კი საწყობებში ოპტიმალური პირობები არ იქნება დაცული — სხვადასხვა სიღამპლის გამომწვევი სკოს მოქმედებით მოსავლის უღიძესი ნაწილი იღუპება, ლპება.

ციტრუსების ლურჯი ობიდან საწყობებში და ტრანსპორტირების პერიოდში მანდარინის მოსავლის საშუალოდ 25%-მდე მომხმარებლა-მდე ვერ აღწევს.

მიღებულია და ყველასაგან ალიარებული, რომ მსოფლიოში სასოფლო-სამეურნეო კულტურების ავადმყოფობისა და მავნებლებისაგან საშუალოდ 25% იღუპება.

ფიტოპათოლოგის განვითარების მოკლე ისტორია

ფიტოპათოლოგია, როგორც სამეცნიერო დისციპლინა, მართალია შე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა, მაგრამ მისი შესწავლის ობიექტებს კაცობრიობის განვითარების აღრეულ პერიოდებშიც ექ-ცეოდა ყურადღება.

ამ მხრივ თუ ძველ მწერლობას თვალს გადავავლებთ, ირკვევა, რომ მაშინდელ მკვლევართა ყურადღების გაჩერებები და ლარჩენილა სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა ზოგიერთი ისეთი ავადმყოფობა, რომლებიც ამჟამადაც საყმაოდაა გავრცელებული და მეტად მავნედ ითვლებიან.

ასეთ ცნობებს ვხვდებით ჯერ კიდევ ბიბლიაში, სადაც არაერთხელაა ნახსენები ისეთი ავადმყოფობები და მავნებლები, როგორიცაა, მაგალითად, პურეულის უანგა, ხეხილის კიბო, გუდაფშუტები, ობი, კალია და სხვ.

რომაელებს პურეულის უანგა ყოველთვის უსაშინელეს ავადმყოფობად მიაჩნდათ. მათ სჯეროდათ, რომ უანგობან ავადმყოფობას თავისი ღმერ-თი — რობი გუსი ჰყავდა, რომლისა რისხევა ხალხისადმი იმდენად დიდი იყო, რომ ყოველწლიურად უანგას უგზავნიდა ხალხს დასასჯელად. უანგას ღმერთი რობიგუსი ხალხზე იმის გამო იყო განაწყენებული, რომ თურმე ერთმა ბიჭმა საქათმეში შემძვრალი მელა დაიჭირა, კუდზე ნამჯა მოაბა, მოუკიდა ცეცხლი, ნათესებში გაუშვა და ცეცხლით სულ გადაბუგა მინდორი. ბიჭზე განრისხებული რობიგუსი ხალხს უანგას უგზავნიდა ნათესებში. რომაელები ჯერ კიდევ 700 წლიდან მოყოლებული ახალი

წელთაღრიცხვით პირველ საუკუნემდე განსაკუთრებული ცერემონიალით აღნიშნავდნენ უანგას დღეს და რობიგუსს ევეფრებოდნენ, რათა ეპატიებინა ხალხისათვის დანაშაული. მსხვერპლად უანგისფერ ძალს ან სხვა ცხოველს სწირავდნენ (სტექმენი და ჰარარი, 1959 წ.).

შედარებით უფრო გვიან, დაახლოებით 434—350 წლებში ახალ ერა-მდე, საკმაოდ მრავალი ცნობებია დაცული ბერძნი ფილოსოფოსების არ ის ტოტელესა და თეოფრასტეს ნაშრომებში. მართალია, მათი შრომები უმთავრესად ბოტანიკური ხსიათისა იყო, მაგრამ შიგაღაშიგ მცენარეთა ზოგიერთ ავაღმყოფობათა შესახებ შედარებით დაწერილებითი ცნობები აქვთ მოცემული. წყაროდ მათ გამოყენებული აქვთ უფრო ძველი ავტორის კლეიდე მუსი ნაშრომი. ეს უკანასკნელი სათანადო დაკვირვებებსაც კი აწარმოებდა ლეღვის, ზეთის-ხილის, ვაზის და სხვა ავაღმყოფობებზე (Owens).

მეტად საყურადღებოა თეოფრასტეს ნაშრომი „*Historia plantarum*“, რომელიც თუმცა შინაარსით წმინდა ბოტანიკურია, მაგრამ მასში შიგაღაშიგ ჩართულია ისეთი საყითხებიც, რომლებიც მცენარის ავაღმყოფობებს ეხება და ზოგ შემთხვევაში მათი გამომწვევი მიზეზებისა და ბუნების შესახებ გამართულ ახსნასაც იძლევა. მაგალითად, ხეხილის კიბოს გამომწვევ მიზეზად თეოფრასტე მეტეოროლოგიურ ფაქტორებს ასახელებს, პურეულების უანგების მიმღებაზე და მათი განვითარების პირობებზე მიუთითებს; ლეღვის ხმობას და ლპობას აღნიშნავს, ჭიებისაგან გამოწვეულს და სხვ.

მიუხედავად ამისა, თეოფრასტეს ნაშრომებში მაინც სჭარბობდა ავაღმყოფობათა მიზეზების ცრუმორწმუნეობაზე დამყარებული ახსნა.

როგორც ბიბლიაში, ისე არისტოტელე-თეოფრასტეს შრომებში მოყვანილი ცნობები უფრო მეტად ფაქტების კონსტატაციას წარმოადგენდა. ავაღმყოფობათა მიზეზების შესახებ ძველად მცდარი წარმოდგენა ჰქონდათ. ცრუმორწმუნეობისაგან თავი ჯერ კიდევ დაღწეული არა ჰქონდათ, ავაღმყოფობათა მიზეზად თვლიდნენ ღვთის რისხვას. ხალხისადმი, ან კიდევ ბუნების რისხვას და სხვ. სხვანაირად ახსნა მეცნიერების იმ განვითარების დონეზე არც იყო მოსალოდნელი.

პლინიუსმაც (23—79 ა. წ.) შეიტანა თავის ნაშრომში ცნობები მცენარეთა დაავადებათა შესახებ, თუმცა ეს ცნობები უფრო ნასესხები იყო წინა ავტორთა ნაშრომებიდან და ნაკლებ ორიგინალური. ავაღმყოფობათა მიზეზების ახსნაც ცრუმორწმუნეობაზე ჰქონდა დამყარებული.

შემდგომ პერიოდში, ევროპაში აღორძინების ხანის დაწყებამდე, ფიტოპათოლოგიური მასალების არსებობის მხრივ ერთგვარი ხარვეზები აღინიშნება. ამ პერიოდიდან არაა შემონახული ისეთი თხზულებები, რომლებშიც მცენარეთა ავაღმყოფობებზე იყოს ლაპარაკი.

მცენარეთა ავადმყოფობებისაღმი ასეთი ყურადღება მხოლოდ მე-18 საუკუნის ბოლოს და მე-19 საუკუნის დასაწყისში დაირღვა. იმ დროს მკვლევართა მიერ ავადმყოფობათა შედგენილობის შესახებ მნიშვნელოვანი მასალები დაგროვდა და ბუნებრივად წამოიჭრა საქითხი მცენარეების ავადმყოფობათა დაჯგუფებისა და კლასიფიკაციის შესახებ. ამ მხრივ აღსანიშნავია ტურ ნეფორი, ხოლო შემდეგ ფაზაზე იციუ სი, რომელთაც პირველად შეადგინეს ამ ავადმყოფობათა კლასიფიკაციის გამომწვევ მიზეზებზე დამყარებული სქემა. მკვლევართა მეორე ნაწილი კი ავადმყოფობათა კლასიფიკაციის საფუძვლად მცენარის ავადმყოფობის გარეგნულ ნიშნებს იღებდა, სხვანი კიდევ კლასიფიკაციის საფუძვლად იმას უდებდნენ, თუ მცენარის რა ორგანოს დავადება ხდებოდა და ა. შ.

მართალია, მცენარის ავადმყოფობათა კლასიფიკაცია დამუშავებული ჯერ ტურნეფორისა და შემდეგ ფაზრიციუსის მიერ ამ ავადმყოფობათა გამომწვევ მიზეზებზე იყო დამყარებული, მაგრამ, არსებითად, თუ რა იყო ავადმყოფობის მიზეზი, არ იცოდნენ, ვინაიდან ამ პერიოდში პარაზიტულ ორგანიზმებზე წარმოდგენაც არა ჰქონდათ. დაავადებულ მცენარეებზე წარმოქმნილი სხვადასხვა მეჭეჭები, კორძები, ფიფჭი და სხვა, რომლებიც, უმთავრესად, ბარაზიტი სოკოების მიერ შექმნილი ნაყოფიანობაა, მცენარის შინაგანი ფიზიოლოგიური მოვლენების დარღვევისა და მცენარის ქსოვილების გადაგვარების შედეგად მიაჩნდათ. ეს მოსაზრება დაედო საფუძვლად მცენარის ავადმყოფობათა წარმოშობის ფიზიოლოგიურ ანუ აუტოგენეტურ თეორიას, რომლის მიხედვითაც ყოველი ავადმყოფობა მცენარის სხეულში იქმნება და შემდეგ გარეთ გამომელავნდება, ე. წ. ავადმყოფობა შინაგანი წარმოშობისაა.

აუტოგენეტიკური თეორია მეცნიერებას დიდხანს ვერჩა. მისი დასამარება მოხდა მას შემდეგ, რაც ჰოლანდიელი ლევენ ნეტუკის მიერ გამადიდებელი ლინზების გამოვარებამ, ბიოლოგიურ კვლევა-ძიებაში ფართო გამოყენება პპოვა (1632—1723). ლევენცუქმა თავისი გამოვარებით, თვითონაც ჩაატარა ბიოლოგიური ზოგიერთი დაკვირვებანი ინფუზორიებზე, ბაქტერიებზე; სწავლობდა სხვადასხვა მცენარის და მწერის ანატომიურ აგებულებას; მასვე მიაწერენ სპერმატოზოდიდების აღმოჩენას, რომელსაც ორგანიზმის გარდაქმნის ფორმად სთვლიან.

ბუნებრივია, მიკროსკოპის საშუალებით აღვილად გამოიჩვა, რომ დაავადებულ მცენარეზე ზედაპირული წარმონაქმნები მცენარეზე და-სახლებული პარაზიტული მიკროორგანიზმებია და მათ მიერაა გამოწვეული მცენარის დაავადება. ეს აზრი გუდაფშუტოვანი სოკოების შესახებ პირველად გამოთქვა და ექსპერიმენტულადაც დაამტკიცა გერმანელმა მეცნიერმა, მიკოლოგიის ფუძემდებელმა ან ტონ და ბარი მ




სურ. 1 ლეინ ჰუკი 1632—■723.



სურ. 2 ანტონ დე ბაზი 1831—1 ე88

1853 წელს. ამას მოჰყვა მრავალი კვლევა-ძიება და ანტონ დე ბაზის მცენარეების ავაღმყოფობათა წარმოქმნის პათოგენურმა თეორიამ გაიგაფა გზა. ამ თეორიის თანახმად ავაღმყოფობებს იწვევს პარაზიტული ორგანიზმი, რომელიც მცენარეზე სახლდება. ეს დებულება სულ მოკლე ხანში ალიარებულ იქნა. აუტოგენეტური თეორია უარყვეს. ამით ანტონ დე ბაზიმ უკვდავი სახელი მოიხვეჭა, განსაკუთრებით მიკოლოგიასა და ფიტოპათოლოგიაში. მცენარის ავაღმყოფობათა წარმოქმნის პათოგენური თეორია განამტკიცა მან თავისი კლასიკური გამოკვლევებით ხორბლოგანთა გუდაფშუტებისა და კარტოფილის ავაღმყოფობათა შესახებ. ამის შემდეგ ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოში მრავალ მცელევართა შრომები გამოქვეყნდა, რომელთაც უყოფანოდ მიიღეს დე ბაზის თეორია, ასეთები იყნენ: კიუნი, ფრანკი, ბრეფელდი, ზორაუესი და სხვ. (კერმანიაში); მილარდეტი, პრილიო და დელაკრუა (საფრანგეთში), ვორონოვი (1838—1903), გობი და სხვ. (რუსეთში), ერიქსონი (შვეციაში), კომესი, საფასტონი და სხვ. (იტალიაში), ამ მცელევართა მიერ შექმნილი კლასიკური შრომებით მტკიცე საფუძველი ჩაეყარა მეცნიერებას მცენარეების ავაღმყოფობათა შესახებ ანუ ფიტოპათოლოგიას.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში რუსშა მცელევარებმა თავისი წვლილი შეიტანეს ფიტოპათოლოგიის განვითარების საქმეში. ასე, მაგალითად, მ. ს. ვ. ო. ო. ნ. ი. ნ. მ. ა. (1838—1903) შეისწავლა და დაადგინა პარაზიტული ბუნება კომბოსტოს ისეთი მნიშვნელოვანი ავაღმყოფობისა, როგორიცაა კილა, რომლის გამომწვევი — სოკო *Plasmodiophora bra-*



სურ. 3. ვ. ს. კოსტიუკი 1838—1903



სურ. 4. ა. ა. ასათրიანი ა. ა; 1869—1932

sicae პირველად მან აღმოაჩინა და შეისწავლა. მის მიერვეა შესწავლილი მზესუმზირას უანგას (*Puccinia helianthii*) განვითარების ისტორია.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო იმ პერიოდისათვის უკრაინელი მკვლევარის ა. ა. პოტებნიას (1870—1919) შრომები, განსაკუთრებით სოკოების განვითარების ისტორიის საკითხებზე. მრავალწლიანი მუშაობის შედეგად მან წამოაყენა უსრული სოკოების სისტემა, დამყარებული მათი განვითარების ისტორიაზე. მანვე დაიწყო ხარქოვის და კურსკის ყოფილი გუბერნიების მიკოფლობრის დამუშავება და ნაწილობრივ გამოსცა კიდევაც.

თავისი ფართო გამოკვლევებით, კერძოდ, უანგაროვანი სოკოების ბიოლოგიისა და მათი განვითარების ციკლის შესწავლით აღსანიშნავია ვ. გ. ტრანშელი (1868—1941). მან ხანგრძლივი მუშაობის შედეგად გამოაქვეყნა უანგაროვანი სოკოების მიმოხილვა, რომელიც სახელმძღვანელო წიგნია ყველა მიკოლოგისა წა ფიტოპათოლოგისათვის (Обзор ржавчинных грибов ССР, 1939). ნაყოფიერ მუშაობას წერეოდა აგრეთვე ა. ს. ბონდარცი ი. სხევადასხვა კულტურულ მცენარეთა ავადმყოფობის შესახებ მან მრავალი შრომა გამოაქვეყნა, შეადგინა ფიტოპათოლოგიის სახელმძღვანელო, რომელზედაც მრავალი თაობა აღიზარდა. იგი აბედა სოკოების დიდ მცოდნედ და ავტორიტეტად ითვლებოდა. გამოქვეყნებული აქვს სპეციალური მონოგრაფია აბედა სოკოების შესახებ: „Трутовые грибы Европейской части СССР и Кавказа“ (1953).

მცენარის ვირუსოვან ავადმყოფობათა აღმომჩენად ითვლება დ. ი. ი ვ ა ნ თ ვ ს კ ი (1864—1920), სპეციალობით ფიზიოლოგი. პირველად მან აღმოაჩინა და დაამტკიცა თამბაქოს მნიშვნელოვანი. ავადმყოფობის, ე. წ. თამბაქოს მოზაიკის ინფექციურობა. მას სრულიად მართებულად თვლიან ვირუსმცოდნეობის ფუძემდებლად.

მეტად დიდი და სასარგებლო სამუშაოები აქვს შესრულებული ა. ა. ი ა ჩ ე ვ ს კ ი ს (1863—1932). საბჭოთა კავშირში მცენარეთა ავადმყოფობის კვლევის საქმის ორგანიზატორად და ამავე დროს დიდ მცვლევარად, პირველ რიგში, იაჩევსკი უნდა იქნეს დასახელებული, რადგან ჩაუდგა რა სათავეში ამ საქმეს, მან ენერგიული და ნაყოფიერი მუშაობით შექმნა სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები. მაშინდელი რუსეთის იმპერიაში პირველი ფიტოპათოლოგიური ლაბორატორია საქართვის საცდელ სადგურზე ჩამოყალიბდა 1890 წ.

გარდა ორგანიზაციული საქმიანობისა, იაჩევსკი უდიდესი ფიტოპათოლოგი და მიკოლოგი იყო. ხანგრძლივი მოღვაწეობის განმავლობაში 500-ზე მეტი სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული შრომა გამოაცვეუნა. მისი მონოგრაფიებისაგან აღსანიშნავია: „Болезни виноградной лозы“ (1912) „Болезни хлопчатника“, „Бактериозы растений“ (1935), „Основы микологии“ (1933). გამოქვეყნებული აქვს აგრეთვე სოკოვების სარკვევები, რამაც ხელი შეუწყობ მიკოლოგიური კადრების მომზადების საქმეს და სხვ. იაჩევსკიმ თავის ირგვლივ შემოქრიბა თანამშრომლები, რომელთაგანაც, პირველ რიგში, აღსანიშნავია ნ. ა. ნ ა უ მ თ ვ ი, ლენინგრადის უნივერსიტეტის პროფესორი. ამ უკანასკნელის კვლევითი მუშაობა სხვადასხვა მიმართულებით წარიმართა; მრავალი შრომა აქვს გამოქვეყნებული წმინდა ფიტოპათოლოგიური, მიკოლოგიური და აგრეთვე მეთოდური ხასიათისა. მასვე ეკუთვნის უმაღლესი სასწავლებლებისათვის ფიტოპათოლოგიის კურსი „Болезни сельскохозяйственных растений“ (1952).

იაჩევსკის მოწაფე და ამავე დროს თანამშრომელი იყო აგრეთვე სატყეო ფიტოპათოლოგიის ცნობილი მცვლევარი ი. ს. ვ ა ნ ი ნ ი (1890—1951). მან შეადგინა სატყეო ფიტოპათოლოგიის სახელმძღვანელო (1950), მუშაობა, უმთავრესად, მერქნის დამშლელი სოკოვების შესწავლისა და მათ საწინააღმდეგო ღონისძიებებზე. ვანინის მიერაა დამუშვებული სატყეო ფიტოპათოლოგიის კვლევა-ძიების მრავალი მეთოდური საკითხიც, მის მიერვეა შექმნილი მერქანმცოდნეობის კურსი, რომელიც ქართულ ენაზედაც ითარგმნა და გამოქვეყნდა.

ფიტოპათოლოგიურ და, უფრო მეტად, მიკოლოგიურ კვლევა-ძიებას საქართველოშიც არც თუ ხანმოქლე ისტორია აქვს. საქართველოს ბუნების ნაირსახეობა, სასოფლო-სამეურნეო თუ ველური მცენარეებით სიმ-

დიდრე, კლიმატური პირობების სიჭრელე, ყოველთვის წარმოადგენდა და წარმოადგენს მცენარეთა მრავალი ავადმყოფობის განვითარების საფუძველს. ბუნებრივია, ამ გარემოებას ძველი მკვლევარებიც ამჩნევდნენ და ყოველთვის მოილტვოდნენ საქართველოში ბოტანიკური მასალების შესაგროვებლად. ასეთები იყვნენ უცხოელი მკვლევარები გიულ დენ შტედტი (1710), კუნზე (1887) და სხვანი. მართალია, მათი საქართველოში ჩამოსვლის მთავარ მიზანს უმაღლეს მცენარეთა კოლექციების შეგროვება წარმოადგენდა, მაგრამ ზოგიერთი მათგანი მიკოლოგიურ მასალებსაც სხვათაშორის აგროვებდა. ნაწილი ამ მასალისა გამოქვეყნდა კიდეც. ამ მხრივ, პირველ რიგში, აღსანიშნავია გიულ დენ შტედტი. მან ჩრდილო კავკასიაში თავისი მოგზაურობის შესახებ (1787) გამოაქვეყნა შრომა, რომელშიაც ოღწერილი აქვს სოკოს 10 სახეობა, უმთავრესად ჩვეულებრივი ფორმები აბედა და ჩანთიანი სოკოებიდან; ვეინ მანის (1831) შემდეგ კუნტცე მ და სხვებმა აგრეთვე შეაგროვეს მასალები საქართველოს რაიონებში. დასახელებულ მკვლევართა მიერ შეგროვილი მიკოლოგიური მასალა იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც ერთდროულად ფიტოპათოლოგიურ ობიექტებსაც წარმოადგენენ, როგორც კულტურულ მცენარეთა, ისე ტყის ჯიშების პარაზიტებია.

ასეთ შემთხვევით შეგროვილ მასალებს შეიძლება მიკოლოგის ისტორიისათვის ჰქონდეს ერთგვარი მნიშვნელობა; ფიტოპათოლოგის თვალსაზრისით კი მეტად ღარიბ ცნობებს იძლევიან და ზოგჯერ იმასაც არა.

ფიტოპათოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში დაიწყო მას შემდეგ, რაც ჩვენში მეცნიერების რაიონებში (პირველ რიგში დასავლეთ საქართველოში) აღმოჩნდა ვაზის უსაშინელესი მტერი — ფილოქსერა. ფილოქსერას წინააღმდეგ ბრძოლისათვის და მისი სხება რაიონებში გავრცელების თავიდან ასაცილებლად 1881 წელს ჩამოყალიბდა „ფილოქსერას კავკასიის კომიტეტი“. კომიტეტმა თავისი მუშაობის ძირითად საგნად, მართალია, ფილოქსერას წინააღმდეგ ბრძოლა დასახა, მაგრამ თვალი ვერ აარიდა ვაზის ისეთ სოკოვან ავადმყოფობებს, როგორიცაა ჭრაქი და ნაცარი. კომიტეტის წინაშე დაისვა ფილოქსერასთან ერთად, ვაზის სოკოვან ავადმყოფობათა შესწავლის საკითხი.

პირველი ფიტოპათოლოგიური გამოკვლევები საქართველოში, კახეთში, ჩაატარა სოროკინ მა, 1891 წელს. მან გამოიკვლია როგორც ვაზის, ისე სხვა სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა ავადმყოფობები და გამოაქვეყნა გამოკვლევების შედეგები (О некоторых болезнях виноградной лозы и других растений Кавказского края. Тбилиси, 1899 г. Содасу მოყვანილია მის მიერ აღნიშნული 40 სახელშოდებისაგან შემდგარი სოკოების სია.

ფიტოპათოლოგიაში კვლევა-ძიების პირველ კერად მაშინდედ რუსეთში უნდა ჩაითვალოს კავკასიის ფილოქსერას კომიტეტის მიერ 1891 წ. და არსებული სანერგე სოფ. საქარაში. სანერგეს დაგალებული ჰქონდა იგრევე „ენტომოლოგიაში და მიკოლოგიაში მუშაობა“. ამ მუშაობის მიზანი იყო ვაზის მავნებელთა და ავადმყოფობათა კოლექციების დამზადება, მათი გავრცელების გამოკვლევა, მცენარეთა დაცვის საქმის პროპაგანდა, ვენახებში საცდელი წამლობის ჩატარება და, რაც მთავარია, მოსახლეობის მიერ შემოსულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა. საქარის სანერგის გამგის სტარისელსკის წლიური ანგარიშის მიხედვით, წლის განმავლობაში მოსახლეობის მიერ შემოტნილი ყველა 76 შეკითხვა მცენარეთა დაცვის საკითხებს ეხებოდა.


ფიტოპათოლოგიურ მუშაობას 1894 წლიდან თითქოს გეგმიანი და სისტემური ხასიათი მიეცა. ფილოქსერას კომიტეტთან ჩამოყალიბდა სპეციალური „კავკასიის მიკოლოგიის ლაბორატორია“, რომლის გამგედ მოიწვიეს ნ. ს პ ე შ ნ ე ვ ი, ამ უკანასკნელმა მუშაობა საკმაოდ ფართოდ გაშალა, გამოაქვეყნა კიდევ რამდენიმე შრომა კავკასიის მიკოლოგიის შესახებ მასალების სახით. ეს მასალები ეხებოდა კახეთში და გორის მაზარში გავრცელებულ კულტურულ მცენარეთა სოკოპარაზრტებს, ჩაის ბუქების სოკოვან ავადმყოფობებს, ბრინჯის ავადმყოფობებს და სხვ. მაგრამ, ვინაიდან სპეციური განათლებით მიკოლოგი არ იყო (იგი მეღვინე იყო), მის შრომებში მრავალი შეცდომებია დაშვებული. მიუხედავად ამისა, სამეცნიერო ლირებულებას ეს შრომები მაინც არაა მოკლებული (ვორონოვი).

კავკასიის ფილოქსერას კომიტეტმა შეწყვიტა არსებობა და მიკოლოგიური ლაბორატორია გადაეცა თბილისის ბოტანიკურ ბაღს, სადაც მიკოლოგიის კაბინეტი ჩამოყალიბდა (1909 წ.). იგი მუდმივ დაწესებულებად გადაიქცა, სადაც კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს, პარაზიტული მიკოლორია შეისწავლებოდა. ამდროინდელ მკვლევართაგან აღსანიშნავია ვ ო რ ო ნ ო ვ ი, შემდეგ ნ ე ვ ო დ ო ვ ს კ ი და კ უ შ კ ე, რომელთაც მიკოლორის დიდაღი მასალა შეაგროვეს. მასალებს გარკვევისათვის ხშირად საზღვარგარეთელ მკვლევარებს უგზავნიდნენ.

მიკოლოგიური კვლევა-ძიება დამოუკიდებლად დაიწყო სოხუმის ყოფილ საცდელ სადგურზე ვ. ს ე მ ა შ კ მ 1914 წელს. მან დიდაღი მასალა შეაგროვა როგორც კულტურულ, ისე, განსაკუთრებით, აფხაზეთის მთიანი ზონების ველურ მცენარეთა ავადმყოფობათა შესახებ. ამ მასალის ერთი ნაწილი გამოქვეყნდა, ნაწილი კი გამოუქვეყნებელი დარჩა სემაშოს სამუშაოდ პოლონეთში გადასვლის გამო (1917).

ბოტანიკურ ბაღში მიკოლოგიური და, ნაწილობრივ, ფიტოპათოლოგიური კვლევა-ძიება ფართოდ გაშალა ვ ო რ ო ნ ო ს ი ნ მ ა. ბოტანიკურ ბაღში მუშაობა მან დაიწყო 1915 წლიდან. იგი ფართო გაქანების

მეცნიერი იყო, კარგი მცოდნე როგორც
წყალმცენარეების, ისე სოკოლებისა. მრა-
ვალი შრომა აქვს გამოქვეყნებული, კე-
რძოდ, სოკოლების შესახებ. იგი დიდ ყუ-
რადლებას აქცევდა ბორჯომის ხეობის,
ქართლის და, ნაწილობრივ დასავლეთ
საქართველოს მიკოფლორის შესწავლას;
შეადგინა სახელმძღვანელო „კულტუ-
რულ მცენარეთა სოკოვანი და ბაქტერი-
ული ავადმყოფობანი“, რომელიც თბი-
ლისში გამოიცა 1922 წელს, მისი რუ-
სეთში გადასვლის წინ.



თუ გადავავლებთ თვალს ზემოთ და-
სახელმძღვანელო მცენარეთა მუშაობის ხა-
სითს, შინაარსსა და მიმართულებას,
აშკარად გამოჩენდება მათი გატაცება წმი-
ნდა მიკოლოგიური საქმიანობით. მათ სურ. 5. პ. ი. ნაგორნი 1891—1935
შრომებში მოყვანილია მხელოდ მათ მი-
ერ აღმოჩენილი სოკოლების სია მათი მორ-
ფოლოგიური ანალიზით. წმინდა ფიტოპათოლოგიური საკითხები ან
სრულებით არა აქვთ განხილული, ან იმდენად ზერელედ, რომ არსე-
ბითს არაფერს იძლევიან.

ფიტოპათოლოგიური კვლევა-ძიება გაიშალა მას შემდეგ, რაც სა-
ქართველოში ჩრდილო კავკასიიდან გადმოსახლდა პ. ა. ნაგორნი, რომელმაც მოღვაწეობა დაიწყო (1915—1936 წ.) თბილისში არსებულ
ერევან-ყარსის სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის ბიუროში
და ხელმძღვანელობდა მცენარეთა დაცვის საქმის ოპერატორულ მუშაო-
ბას.

ვორონინის რუსეთში გადასვლის შემდეგ 1923 წელს პ. ნაგორნი
მიწვეულ იქნა თბილისის ბოტანიკურ ბაღში. ბოტანიკური ბაღის სპო-
როვან მცენარეთა განცოფილება გადაკეთდა „ფიტოპათოლოგიის და
მიკოლოგიის განცოფილებად“ და მის გამგედ პ. ნაგორნი დაინიშნა. მან
მუშაობის ძირითად ამოცანად დასახა ფიტოპათოლოგიური კვლევა-
ძიების გაშლა. ვაზის ავადმყოფობათა შესწავლის საფუძველზე მან შე-
ქმნა თანამშრომელთა საქმაოდ ძლიერი ჯგუფი (ვარდოსანიძე, წერეთელი,
ერისთავი, მახარაძე, ყანჩაველი, ისარლიშვილი და სხვანი). არანაკლები
ყურადღება ჰქონდა მიქცეული აგრეთვე სუბტროპიკული კულტურების—
ჩას ბუჩქისა და ციტრუსების ავადმყოფობათა შესწავლის საჭმეს. ნა-
გორნიმევ შექმნა ვაზისუბნის მევენახეობის საცდელ სადგურში — ჩასა
და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო ინსტიტუტში ანასეულში,

აფხაზეთის სოფლის მეურნეობის საცდელ სადგურში, მცენარეთა დაცვის განყოფილებები. მუშაობის გაფართოებას ხელი შეუწყო 1929 წელს საქართველოს ფიტოპათოლოგიის ცენტრალური საცდელი სადგურის დაარსებამ, რომელიც 1930 წელს ჯერ ამიერკავკასიის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტად გადაკეთდა, ხოლო 1931 წლიდან საქართველოს მცენარეთა დაცვის საცდელ სადგურად, რომელიც მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში გადასვლისთან დაკავშირებით 1945 წლიდან გადაკეთდა საქართველოს მცენარეთა დაცვის ინსტიტუტად. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ნაგორნის ღვაწლი აღვილობრივი კადრების მომზადების საქმეში მას გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფიები: „Микрофлора Кавказской виноградной лозы. 1930, „Микромицеты чайного куста. (1938)“ და სხვ. მრავალი ნაშრომია გამოქვეყნებული აგრეთვე მის თანამშრომელთა მიერ ფიტოპათოლოგიის და მიკოლოგიის საკითხებზე. კერძოდ, გამოცემულია ლ. ყ ა ნ ჩ ა ფ ე ლ ი ს მძერ ქართულ ენაზე „ფიტოპათოლოგია“, მოკლე კურსი, 1931 წ., ხოლო შედგენილი სახელმძღვანელ უმაღლესი სასწავლებლებისა „კულტურულ მცენარეთა ავადმყოფობანი და მათ წინააღმდეგ ბრძოლა“ ორ ტომად.

ნაგორნის მოწვევით აღვილობრივ კადრებს, რომლებიც ნაგორნის მოწაფები იყენენ, საშუალება მიეცათ კვლევით მუშაობის წარმოებისა. სამწუხაროდ, ნაგორნის მოწაფეების ერთი ნაწილი



უდროოდ გამოაკლდა ფიტოპათოლოგიის რიგებს. ნაგორნის მოწაფეებისაგან აღსანიშნავია ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ლუდმილა (დუდა) იასონის ასული წერეთელი (1898—1949), რომელმაც მუშაობა დაიწყო ჯერ სოფლის მეურნეობის სახალხო კომისარიატში, ხოლო 1930 წლიდან მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის ქიმიის განყოფილებაში. მან დიდი მუშაობა შეასრულა ციტრუსოვანთა ნაყოფების ლპობის მიზეზების დადგენაში და მის საწინააღმდეგო ბრძოლის საკითხების შესწავლაში, თანაც პარალელურად ტოქსიკოლოგიურ საკითხებზეც უხდებოდა მუშაობა — თესლის შესწამლვაზე, პოლისულფიდებზე.

ქართული ფიტოპათოლოგიისათვის-დიდი დანაკარგია ბიოლოგიურ მეცნი-

სურ. 6. ლ. ი. წერეთელი
1898 — 1949

ერებათა დოქტორი ეკატერინე ერისთავი (1892—1961). მან პირველმა მოჰკიდა ხელი საქართველოში მცენარეთა ვირუსოვანი ავადმყოფობების შესწავლას და დაწერა მონოგრაფია საქართველოს კულტურულ მცენარეთა ვირუსოვანი ავადმყოფობების შესახებ, რისთვისაც მას ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა.

არანაკლები ღვაწლი მიუძღვის ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატ ეზეკია პორფირეს ძე ხაზარაძეს (1902—1963). ხანგრძლივი ქვლევის შედეგად მან შეისწავლა მშრალ სუბტროპიკულ მცენარეთა

ავადმყოფობანი, შეიმუშავა მათ წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებები. ერთდროულად ეწეოდა აღმინისტრაციულ მუშაობას — წლების განმავლობაში მუშაობდა მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო ნაწილში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არ იყო გაშლილი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა მცენარეთა დაცვის მიმართულებით, — უნდა ვითქიქროთ რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი საზოგადოებრიობისათვის მცენარეთა დაცვის საკითხები უცნობი იყო. XIX საუკუნეში გამოქვეყნდა რამდენიმე წერილი და წიგნი, რომელშიც მცენარეთა დაცვის მნიშვნელობაზეა ლაპარაკი. ასე, მაგალითად, გ. ჭორხაძის მიერ გამოცემულ წიგნში: „მელვინეობაზე“ (1867) ავტორს ხაზგასმით აქვს აღნიშნული, რომ ვენახის გაშენება ძვირი ჯდება, ვინაიდან ჭრაქი და ნაცარი დიდ ზარალს იყენებენ ვაზს (ლაპარაკია სოფ. გურჯაანზე).

განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩევნი დიდი მწერლისა და მოღვაწის ილია ჭავჭავაძის მიერ 1889 წ. გამოქვეყნებული წერილები: — „ფილოქსერა“, „ვაზის სნეულებანი“, „ვაზის წამლობის შესახებ“, რომლებიც საქართველოში მევე-



სურ. 7. ე. გ. დ. ერისთავი



სურ. 8. ე. გ. პ. ხაზარაძე

ნახეობის მდგომარეობის, მისი ეკონომიკისა და პერსპექტივების საკითხების განხილვასთანაა დაკავშირებული. ამ წერილებში ილია ეხება ვაზის ცალკე ავადმყოფობას (იხ. ტ. 7). ჭრაქს, ნაცარს და მავნებელთაგან — ფილოქსერას, აღნიშნავს თითოეული მათგანის გავრცელებას გარეშო პირობებთან დაკავშირებით. მაგალითად, ილია წერილში „ვაზის სნეულებანი“ ნაცრის გამოვლინებების შესახებ შემდეგს წერდა: „ეს ოცდაათ წელიწადზე მეტია, რაც ჩვენს ვენახებს ნაცარი ეწვია, საცა კი ეს ჭრი მოედებოდა ვაზს, ყველგან თითქმის კაცს ხელს აღებინებდა მოსავალზე. ამ ჭრიმა ერთად და ერთი ზომით მოდება არ იცოდა. იყო ისეთი წელიწადი, როდესაც ჩვენი ქვეყნის ხან ერთი მხარე გადურჩებოდა, ხან მეორე, და ხანაც ერთსა და იმავე მხარეში ზოგან ნაკლები. ერთს ჩვენი ქვეყნის ნაწილს, სახელდობრ სამეგრელოს, ისეთი ამბავი დააწია, რომ ვენახის პატრიონებმა თითქმის ხელი აიღეს მევენახეობაზე და ვაზის ნაშენი ადგილები გაამინდვრეს“. ნაცრის გავრცელების ასეთი სიჭრელის მიზეზების დადგენასა და შესწავლაზე აღნიშნავდა ილია:

„ნუთუ მაგალითები თვალყურსადევნებელი არ იყო? თუნდა ის ამბავი, რომ ვთქვათ ერთ წელიწადს კახეთი ფუჭდებოდა ნაცრისაგან, მეორე წელიწადს ქართლი, ხან ერთსა და მეორეშიც სუსტდებოდა ნაცარი და ძლიერდებოდა იმერეთში; ან თუნდა ის ამბავი, რომ ერთსა და იმავე ადგილს ზოგი ვენახი სულ გადარჩებოდა ხოლმე, ზოგი კი იჩაგრებოდა და ფუჭდებოდა, ყოფილა იმისთანა მაგალითები, რომ ერთსა და იმავე ვენახებში ერთ წელიწადს ერთი რომელიმე ჭრა წახდებოდა ხოლმე ნაცრისაგან და მეორე კი საღი იყო“.

მეორე წერილში „ვენახების წამლობის შესახებ“ ილია აფრთხილებს მევენახებს დროულად და წინასწარ ჩატარონ ღონისძიებანი, თორებ დაავადების შემდეგ ვეღარაფერს უშველითო. იგი წერს: „მოიდა გაზაფხული და საცაა გამოიტანს კვირტსა და ყვავილს ვაზი. პირველ ხანებში სიუხვე და სიმრავლე კვირტისა და ყვავილისა, რა თქმა უნდა გაახარებს ვენახის პატრიონის გულს, ხოლო სასურველია ამ სიხარულმა ის უბედურება არ დაგავიწყოს, რომ ჩვენი მტერი ვენახების ნაცარია და ნამეტნავად — მილდიუ (ჭრაქი ლ. ყ.) ჯერ კიდევ მოსავლინებელია. ან ერთი ან მეორე ან ორივე ერთად მოერევა ამ სასარგებლოდ გამოსულს ვაზს და გაზაფხულის ლხინი შემძღვომის გლოვათ გაგვიხდეს, იმიტომ, რომ ერთიცა და მეორეც შემძლებელია სრულიად ხელი დაგვაბანინოს მოსაფალზე“.

წინასწარ ბრძოლის აუცილებლობას ილია ასე აგვიწერს: „ნაცარიცა და მილდიუც დაბინავებული მტერია ჩვენში და იმის მოვლენა დააღმოსალოდნელია. ეგ წყეულები მერე იმისთანანი არიან, რომ, თუ ვაზი წინათვე არ მოამზადე გაუმაგრდეს, მერე როცა ან ერთი ან მეორე გამოჩნდება და მოერევა, ყოველივე ღონე უქმია და ყოველივე ჭიდილი უიმედო“.

ზემოთგანხილულ წერილებში ილიას მიერ დასმულ საკითხებს მნიშვნელობა და სიმწვაცე ამჟამადაც არა აქვს დაკარგული. ავადმყოფობათა განვითარებაზე გარემო ეკოლოგიური პირობების მნიშვნელობა და ცოდნა, მისი გავლენა ავადმყოფობათა დინამიკაზე, მიკრორაიონების როლი ავადმყოფობათა კერძების შექმნაზე — მოწინავე პროგრესული ბიოლოგიური კვლევა-ძეების დამახსიათებელი ნიშან-თვისებაა.

ილიას წერილებში მართებულადაა დასმული საკითხი წინასწარ გამაფრთხილებელ ღონისძიებისა, მცენარის გამძლეობის გაძლიერებისა.

საინტერესო ისტორიული ცნობაც ნაცრის გაჩენის შესახებ საქართველოში. „ნაცარი უკვე 30 წელია ცნობილი საქართველოში“-ო, წერდა ილია 1889 წელს. ამ ცნობის მიხედვით ერთხელ და სამუდამოდ უნდა შესწორდეს ლიტერატურულ წყაროებში არსებული ცნობები იმის შესახებ, თითქოს ნაცარი საქართველოში მხოლოდ 1880-იანი წლებიდანაა ცნობილი.

მცენარეთა დაცვის სამეცნიერო და ოპერატიული ჟავლი საქართველოში

მცენარეთ დაცვის სამეცნიერო ქსელი საბჭოთა კავშირში ამჟამად ძლიერია. ლენინგრადში არსებობს მცენარეთა დაცვის საკავშირო ინსტიტუტი, რომელსაც საკმაოდ ფართო დასაყრდენი პუნქტების ქსელი აქვს კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკუში. რესპუბლიკური მნიშვნელობის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტებია საქართველოში, უკრაინაში, სომხეთში, აზერბაიჯანში, უზბეკეთსა, ყაზახეთში და სხვ. საქართველოს მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი დებულებით რესპუბლიკური მნიშვნელობის მთავარ კომპლექსურ სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციად ითვლება და მოწოდებულია შეისწავლის მცენარეთა დაცვის როგორც თეორიული, ისე წმინდა პრაქტიკული საკითხები. ინსტიტუტს დაფალებული აქვს რესპუბლიკუში მცენარეთა დაცვის სამეცნიერო თემატიკის კოორდინაცია, მეთოდური ხელმძღვანელობა და დახმარება, მცენარეთა დაცვის სხვა ორგანიზაციებისათვის პრერატიულ საქმიანობაში კონსულტაციის მიცემა და სხვ. მისი ფილიალია სოხუმის მცენარეთა დაცვის საცდელი სადგური.

გარდა ცენტრალური რესპუბლიკური მნიშვნელობის ინსტიტუტისა, მცენარეთა დაცვის განყოფილებები არსებობს დარგობრივ ინსტიტუტებშიაც, მაგალითად, მებალეობის, მევენახეობის და მეღვინეობის ინსტიტუტში და მის ფილიალებში (საქარის მევენახეობის საცდელ სადგურში, სკრის მეხილეობის საცდელ სადგურში), მიწათმოქმედების ინსტიტუტში, ჩაისა და სუბტროპიკული მცენარეების საკავშირო ინსტიტუტში. მცენარეთა დაცვის საკითხებზე მუშაობენ აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სათანადო კათედრები და სხვა.

გარდა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებისა საქართველოს რესპუბლიკაში არსებობს სპეციალური ორგანიზაციები, რომელთა ვალდებულებაა მცენარეთა დაცვის პრაქტიკული საქმიანობის მომსახურება. ამ მხრივ შემდეგია აღსანიშნავი:

პრაქტიკულ საქმიანობას ხელმძღვანელობს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებული მცენარეთა დაცვის სამმართველო. ამ უკანასკნელის მოვალეობაა რესპუბლიკაში ბრძოლის საშუალებათა დაგეგმვა და მეთოდური ხელმძღვანელობა, ბრძოლის ორგანიზაცია, ჩატარებულ სამუშაოთა კონტროლი.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამმართველოს სისტემაში შედის მცენარეთა დაცვის სადგური, აქედან 1 რესპუბლიკური მნიშვნელობისაა, რომელსაც ექვემდებარება ერთი აჭარის, ერთი აფხაზეთის და ერთი — სამხრეთი ისეთის სადგურები. გარდა ამისა, საქართველოს სხვადასხვა რაიონში შექმნილია 9 სარაიონთაშორისო მცენარეთა დაცვის სადგური. მათი ფუნქციაა ადგილებზე ჩასატარებელი ბრძოლის ღონისძიებათა ორგანიზაცია, კონტროლი და დახმარება.

ღონისძიებათა ჩატარება კი დაკალებული აქვთ თვით მეურნეობებს, რომელთაც ტევნიკურ მომსახურებას „საქსოფლტექნიკის“ მექანიზაციის ჯგუფები უწევენ. „საქსოფლტექნიკას“ დავალებული აქვს დაგეგმოს ყოველწლიურად რესპუბლიკის მცენარეთა დაცვისათვის საჭირო პესტიციდები ანუ ქიმიკურები.

მცენარეთა დაცვის რესპუბლიკურ სადგურთან არსებობს აგრეთვე სასოფლო-სამეცნეო კულტურების მავნებელ-ავადმყოფობათა აღრიცხვის, პროგნოზისა და სიგნალიზაციის სამსახური, რომელსაც საქართველოს სხვადასხვა რაიონში სპეციალური დამკვირვებელი პუნქტი აქვს.

აღრიცხვის სამსახური მოწოდებულია აღრიცხოს რაიონში გავრცელებული მავნებლები და ავადმყოფობები, გამოიკვლიოს მათი რაოდენობა, მათი განვითარების დინამიკა, განსაზღვროს ჩატარებული ღონისძიებების ეფექტურობა და ყველა ეს მასალა გამოიყენოს მავნებელთა და ავადმყოფობათა გაჩენის მოკლე და გრძელვადიანი პროგნოზის შესაძენად.

რესპუბლიკის მცენარეთა დაცვის საერთო სისტემას ემსახურება აგრეთვე მცენარეთა კარანტინის ინსპექცია, რომელსაც ევალება რესპუბლიკის დაცვა უცხო მავნებლების ან ავადმყოფობათა შემოჭრისაგან საქართველოში (საგარეო კარანტინი) ან თვით რესპუბლიკის ფარგლებში ცალკე რაიონების დაცვა (შინა კარანტინი). მცენარეთა კარანტინის ინსპექციის აქვს ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია ფილიალებით — აფხაზეთსა და აჭარაში.

ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ ბიოლოგიური ბრძოლის მეთოდების უზრუნველსაყოფად სასარგებლო მწერებისა და ენტომოფაგების გასამ-

რავლებლად საქართველოში არსებობს ოთხი ბიოლაბორატორია — ბათუმში, აფხაზეთში, 2 კახეთში (თელავი, გურჯაანი). ეს ორგანიზაციები ხელოვნურ პირობებში ამრავლებენ სასაჩრებლო მწერების მარაგს და შემდეგ უშვებენ იმ აღგილებში, ბალებში თუ სხვაგან, სადაც საჭიროა.

მცენარის ავადმყოფობათა კლასიფიკაცია და მთავარი ჯგუფების დახასიათება

ვიდრე მცენარის ავადმყოფობათა მთავარი ჯგუფების დახასიათებას შევუძღვებოდეთ, საჭიროა ავადმყოფობათა შესახებ რამდენიმე ზოგად ტერმინს გავეცნოთ.

მცენარის ავადმყოფობები, იმისდა მიხედვით, თუ ავადმყოფური პროცესი მკვებავი მცენარის სხეულში როგორაა განაწილებული ან ავადმყოფობა მცენარეზე როგორაა მოდებული, ორ ჯგუფად იყოთა: პირველია მ თ ლ ი ა ნ ი ავადმყოფობები, როდესაც ავადმყოფური პროცესი მცენარის მთელ სხეულში მიმდინარეობს და ორგანიზმის კველა ნაწილი განიცდის მის გავლენას; მეორეა ე. წ. ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ ი ა ნ უ ლ ი კ ა ლ ი ზებული ავადმყოფობები, როდესაც მთელი ორგანიზმი კი არ არის დავადებული, არამედ მისი ერთი რომელიმე ორგანო ან ორგანოს წაწილი და ავადმყოფობის მოქმედება არ სცილდება დაზიანების კერას. სუთი კერა შეიძლება ერთსა და იმავე მცენარეზე რამდენიმე იყოს.

საერთო ან მთლიანი ავადმყოფობები, ერთგვარად, თესლის განვითარებიდანვე იწყება. მაგ., გუდაფშუტოვანი სოკოები, რომლებიც ინფექციას იწვევენ თესლიდან, ღივის განვითარების დროს და შემდეგ მცენარესთან ერთად ვითარდებიან. მათი განვითარება პირველ ხანებში გარეგნულად თითქოს შეუმჩნეველია; შემდეგ კი, როდესაც ნაყოფს იძლევა, გამოჩნდება მისი მოქმედება — მარცვლეული ნაყოფის დაშლას იწვევს.

საერთო ხასიათის ავადმყოფობები იქმნება აგრეთვე მაშინ, როდესაც მცენარეების გაზრდა ნიადაგის არახელსაყრელ პირობებში მიმდინარეობს: როდესაც ნიადაგში არასასურველი რაოდენობით და შეფარდებითაა სხვადასხვა მარილების შეცულობა, ეს უარყოფით გავლენს ახდენს მცენარის მთელი ორგანიზმის განვითარებაზე. საერთო ხასიათისაა აგრეთვე ვირუსოვანი ავადმყოფობები. მთლიან ავადმყოფობათა ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ მცენარეთა ჭინობა, რაც ფართოდა გავრცელებული ერთწლიან და მრავალწლიან მერქნიან მცენარეებზე (ტრაქეომიკოზები). ჭინობა შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც ტენის სინაკლულით, ისე პარაზიტული ორგანიზმების მიერ მცენარის ი ნ ტ ო ქ ს ი კ ა ც ი თ.

მთლიანი ავადმყოფობის სურათს იძლევა ფესვის ავადმყოფობებიც, რამდენადაც ფესვთა სისტემის დავადების გავლენა მთელ მცენარეზე მოქმედებს.

აღგილობრივი ავადმყოფობის ნიმუშად შეგვიძლია მოვიყვანოთ ფოთ-

ლების სილაქაჲის სხვადასხვა შემთხვევა. ფოთლის ფირფიტის დაავალების დროს ხდება ავადმყოფობის ლოკალიზაცია და იგი სხვა ნაწილებზე არ ვრცელდება. ყოველი ახლად გაჩენილი ლაქა დამოუკიდებელი ინფექციის შედეგია. ყოველთვის არ შეიძლება მტკიცე საზღვარი გავატაროთ მთლიანსა და ადგილობრივ ავადმყოფობათა შორის, ვინაიდან ხშირია შემთხვევები, როდესაც ავადმყოფობას პირველად ადგილობრივი ხასიათი აქვს, შემდეგ კი, გარეშე პირობების ხელისშეწყობით, იმდენად გამრავლდება და მოედება მთელ მცენარეს, რომ საერთო ხასიათის ავადმყოფობად იქცევა.

ადგილობრივი ავადმყოფობის გარაქცევა მთლიან ავადმყოფობად შესაძლებელია. აგრეთვე ინტონაციის საშუალებით. ამ შემთხვევაში ავადმყოფობის გამომწვევი ორგანიზმი დაავადებულ ქსოვილში გამოყოფს განსაკუთრებულ ტოქსინებს, რომლებიც მცენარეში ნივთიერებათა გადანაცვლებით ვრცელდება მცენარის მთელ ორგანიზმში და შესამაგს მას, რაც მთლიან დაავადებს იწვევს.

ავადმყოფობებს არჩევენ აგრეთვე ავადმყოფური პროცესის სისტრაფის მიხედვით. შეიძლება იყოს სწრაფი ან მწვავე ავადმყოფობანი; ეს მაშინ ხდება, როდესაც ავადმყოფობის პროცესი მოკლე ხნის განმავლობაში მთავრდება, რაც მცენარეს სათანადო დაღს ასევეს. ასეთია, მაგ., კურკვევანთა ნაცრისფერი სიღამპლე, კარტოფილის ავადმყოფობა, ყურძნის ჭრაქი და სხვა.

მწვავე ავადმყოფობათა საპირისპიროა ვ. წ. ქრონიკული ავადმყოფობები. ამ შემთხვევები ავადმყოფობის პროცესი გახანგრძლივებულია. ამ ავადმყოფობათა საწყისი მცენარის სხეულში რომ შეიტრება, მაგ., მრავალწლიან მცენარეებში, დაავადების პროცესი წლობით გრძელდება. მაგ., მცენარის აბედა სოკოებით დაავადება ათეული წლების განმავლობაში შეიძლება გაგრძელდეს.

კარტოფილის ვიზუალური ავადმყოფობა რაჭი ერთხელ მოხვდება ტუბერში, ყოველი წლის განმავლობაში მეორდება დაავადებული მცენარის თაობებზე, ვიდრე მთლიანდ არ მოისპობა.

მწვავე და ჭრონიკულ ავადმყოფობათა შორის მთელი რიგი გარდამავალი ფორმა არსებობს.

ავადმყოფურ მოვლენათა განსაზღვრულ სისტემაში მოყვანისთვის საჭიროა მათი კლასიფიკაცია. ავადმყოფობათა დაჯუფების აუცილებლობას ჭრ კიდევ მე-18 საუკუნის დასაწყისში გრძნობდნენ, როდესაც ავადმყოფობათა ბუნების შესახებ მეტად მცირე ცნობები მოეპოვებოდათ, ავადმყოფობათა კლასიფიკაციის პირველი სქემა ფრანგმა მეცნიერმა ტურნე ფორმა წარმოადგინა, რომელიც ყველა ავადმყოფობას ორ ჯგუფად ყოფდა: შინაგანი მიზეზებით გამოწვეულ ავადმყოფობად (მაგ., საკვები წვენის სიჭარბით ან სინაკლულით) და გარეგანი მიზეზებით გამოწვეულ ავადმყოფობად. ამ უკანასკნელ ჯგუფში გაერთიანებული

იყო სეტყვეთ, ქარით, პარაზიტებით გამოწვეული ავადმყოფობებიც. ამის შემდეგ ბევრი მკვლევარის მიერ იყო წარმოდგენილი ავადმყოფობათა კლასიფიკაციის ცდა. სხვადასხვა მკვლევარი ავადმყოფობათა დაჯგუფების საფუძვლად სხვადასხვა მოვლენებს იღებდა. ზოგი ანაწილებდა ავადმყოფობებს ავადმყოფური პროცესის მიხედვით, ზოგი — დავადებული მცენარის ხნოვანების მიხედვით, ზოგი კიდევ მცენარის ორგანოების მიხედვით. უნდა ითქვას, რომ ვერც ერთმა ამ კლასიფიკაციამ გავრცელება ვერ პოვა, რამდენადც კლასიფიკაციის საფუძვლად აღებული ნიშნები მეტად ნებისმიერი, ხელოვნური ხასიათისა იყო და მეცნიერულ დამაჯერებლობას მოკლებული. საქმარისად დავასახელოთ ერთერთი მათგანი, მაგალითად, მცენარის ორგანოების (ე. ი. ნაყოფების, ფოთლების, ტოტების, ფესვების) მიხედვით ავადმყოფობათა დაჯგუფება. ავადმყოფობათა კვლევის შედეგად დიდაღი ფაქტიური მასალა დაგროვდა და გამოირკვა, რომ ზოგიერთი ავადმყოფობა მკვებავი მცენარის კველა ორგანოს აავადებს (მაგალითად, მსხლის ქეცი აავადებს ფოთლებს, ნაყოფებს, ყლორტებს); თუ ავადმყოფობებს დაავადებული ორგანოების მიხედვით დავაჯგუფებთ, ერთი და იგივე ავადმყოფობა რამდენიმე ჯუფში მოქმედება, რაც დიდ უხერხულობას ქმნის.

ბოლო ხანებში ავადმყოფობათა კლასიფიკაციისათვის მიღებულია ეტიოლოგია პრინციპი, ე. ი. ავადმყოფობებს აჯგუფებენ იმის მიხედვით, თუ რა წარმოადგენს მათ გამომწვევ მიზეზს. ღლემდე არსებულ ავადმყოფობათა მიზეზების შესახებ ერთი გარკვეული აზრი არსებობს, სახელდობრ, ის, რომ ავადმყოფობის წარმოშობაში ან პარაზიტები უნდა იღებდნენ მონაწილეობას, ან გარემო პირობები, არაპარაზიტული მოვლენები წარმოშობენ ავადმყოფობებს. ამის მიხედვით კველა ავადმყოფობა ორ ბუნებრივ ჯგუფადაა დანაწილებული: პარაზიტული ანუ ბიოლოგიური ავადმყოფობები და არა პარაზიტული, ანუ აბიოლოგიური ავადმყოფობებით გამოწვეული ავადმყოფობები. ბოლო ხანებში შექმნილია ჯგუფი ვირუსობის და მიკობლივი აზრი ავადმყოფობანი, რომელთაც თავისი თვისებებით განსაკუთრებული ადგილი უკავიათ ავადმყოფობათა საერთო სისტემაში.

პარაზიტული ავადმყოფობანი. კველა პარაზიტულ ავადმყოფობას ცოცხალი ორგანიზმები იწვევენ; გამომწვევნი მცენარეული ან ცხოველური წარმოშობისა არიან. ამით განსხვავდებიან ისინი არაპარაზიტულ ავადმყოფობათაგან, რომლებიც გარემოს ტალკეული ფაქტორებისაგანაა გამოწვეული (ტემპერატურისაგან, ტენისაგან, ნიაღაგობრივი პირობებისაგან და სხვ.).

პარაზიტული ორგანიზმები დასახლებული არიან ცოცხლოვის ცოცხალ მცენარეზე და თავისი სახეობის შენარჩუნებისათვის მას ართმევენ საკუებ მასალას. იმ მცენარეს, რომელიც პარაზიტს კვებავს პარაზიტული ავადმყოფობათა საერთო სისტემაში.

მცენარეს ანუ მცენარე მასპინძელს უწოდებენ. მცენარის პარაზიტული ავადმყოფობის შემთხვევაში საქმე გვაქვს, ერთი მხრივ, პარაზიტული მცენარე, მეორე მხრივ, მკვებავ მცენარეს თან. ავადმყოფობის ამ ორი კომპონენტის ურთიერთლამოყიდვულება მჭიდროდაა დაკავშირებული გარემო დაქტორებთან.

პარაზიტები შესაძლებელია იყვნენ ცხოველური და მცენარეული წარმოშობისა. მცენარეული პარაზიტებისა და მკვებავ მცენარეთა ურთიერთლამოყიდვებულება უფრო რთული პროცესის სახით მიღდინარეობს, ვიდრე მავნებლის მიერ დაზიანებისას. ორი კომპონენტის მეტაბოლიზმის შედეგად ავადმყოფი მცენარის უჯრედების მრავალი სახის ქიმიური გარდაქმნები ხდება, ავადმყოფური ანუ პათოლოგიური პროცესი მიღდინარეობს. ცხოველური პარაზიტების დიდი უმრავლესობა ავადმყოფ მკვებავ მცენარეს მექანიკურად აზიანებს, ქსოვილებს შლის, იკვებება, იშვიათად, წვენს წუწნის. შესაძლებელია ამ თვალსაზრისით გამართლებული იყოს ტერმინი — სასოფლო-სამეურნეო მცენარეების მავნებლები, რომელთა შესწავლა გამოყენებითი ზოოლოგიის ან სასოფლო-სამეურნეო ენტომოლოგიის საგანია. მცენარეების ავადმყოფობანი კი ფიტოპათოლოგიის შესწავლის ობიექტად ითვლება და გამომწვევი ორგანიზმები მცენარეული წარმოშობისანი არიან.

მიუხედავად იმისა, რომ მცენარეთა პარაზიტული ავადმყოფობანი სხვადასხვა მიზეზებითაა გამოწვეული, მათი დაჯგუფება ანუ კლასიფიკაციის აღვილი შესაძლებელია, თუ კი გვეცილება ავადმყოფობის ნამდვილი მიზეზი. ისინი სამ ჯგუფად უნდა დავანაწილოთ:

1. ცხოველური პარაზიტები,
2. მცენარეული პარაზიტები.
3. ვირუსული და მიკობლაზმური ავადმყოფობანი.

ცხოველური პარაზიტები გამოყენებითი ზოოლოგიის, შესწავლის საგანია. გამოწვეულია სხვადასხვა ცხოველებით (მწერებით, ტკიპებით, მღრღნელებით, ნემატოდებით და სხვ.). იგი ფიტოპათოლოგიის შესწავლის საგანს არ წარმოადგენს.

მცენარეული პარაზიტებით გამოწვეული ავადმყოფობანი საკმაოდ დიდი ჯგუფია. ცოტათ თუ ბევრად გავრცელებული არიან მცენარეთა სამყაროს სისტემატიკის თითქმის ყველა ჯგუფში — დაწყებული უმარტივესი ორგანიზმებიდან გათავებული უმაღლესი თესლოვანი მცენარეებით.

ვირუსული და მიკობლაზმური ავადმყოფობანი განსაკუთრებული ჯგუფია. მართალია, გარეგნული ნიშნებით ნაწილობრივ წააგავს მცენარეული ორგანიზმებით გამოწვეულ ავადმყოფობებს, მაგრამ ბიოლოგიური თვისებებით, ავადმყოფობის საწყისით, გავრცელების გზებით ბევრად განსხვავდება მცენარეული ორგანიზმებისაგან და ცალკე ჯგუფად განიხილებიან.

უფრო დაწერილებით უნდა შევჩერდეთ მცენარეული პარაზიტების დაჯგუფებაზე მათი სისტემატიკური მდებარეობის მიხედვით. პირველ რიგში უნდა გამოიყოს უმარტივესი, ულტრამიკროსკოპული ორგანიზმები (Behr-ის მიხედვით, 1974), რომლებიც გაერთიანებული არიან ჯგუფ პროცეციულ და მატიკულ მებრძოების შემთხვევაში უსაძლებელია მხოლოდ ელექტრონული მიკროსკოპით. ფორმით ბურთისებრია ან მოვრძო, იშვიათად ძაფნარია. უჯრედის ციტოპლაზმაში ნამდვილი ჩამოყალიბებული ბირთვი, თავისი მემბრანით და ბირთვაკი არ გააჩნიათ. რაც მთავარია, მარტივი ვეგეტაციური დაყოფით მრავლდება; ორგანიზმი ნაწილაკებად იშლება და შვილეული უჯრედები წარმოიქმნება. პროტოფიტს ჯგუფში შემავალი ერთი კლასია ალსანიშნავი:

კლასი Schyzomycetes შემდეგი ევეკლასებით:

1. Bacteriae — ბაქტერიები (ფიტოპათოგენური)
2. Mycoplasmatales — მიკოპლაზმისებრნი
3. Actinomycetales — აქტინომიცეტები, სხივური სოკოები.

ამ ჯგუფებიდან ფიტოპათოგენური ორგანიზმებით ბაქტერიები ყველაზე მდიღარია.

უდაბლეს მცენარეთა მეორე ჯგუფია ე. წ. Thallophyta თალოფიტა. უკანასკნელი საქმაოდ დიდი ჯგუფია და თავისი ორგანიზაციით, აგებულებით და გამრავლების ფორმებით გაცილებით მაღლა დგას, ვიდრე პროტოფიტები. მთავარია, რომ ციტოპლაზმაში ბირთვი ბირთვაკით კარგად ჩამოყალიბებულია, საქმაოდ კარგად განვითარებული გარსი ანუ მემბრანა აქვთ. ბირთვის დაყოოფა კარიოკინეზით ანუ მიტოზით ხდება და ქრომოსომები წარმოიქმნება. სპეციალური უსქესო და სქესობრივი გამრავლების ორგანოები გააჩნიათ. უმთავრესად სხეული ძაფნაირია, უტიხრო ან დატიბრულია, ერთუჯრედიანებიცაა. თალოფიტში შეფერილი წყალმცენარენი და მღიერებიც შედიან, მაგრამ მათი პარაზიტული ფორმები იშვიათია. როგორც მცენარის ავადმყოფობის გამომწვევი, პირველ რიგში, სოკოების ჯგუფია ალსანიშნავი.

განვიხილავთ მხოლოდ სოკოების ჯგუფს Mycota-ს, რომელშიც ექვსი კლასი გამოიყოფა.

- კლ. 1. Myxomycetes — მიქსომიცეტები,
2. Archymycetes — არქიმიცეტები,
3. Phycomycetes — ფიკომიცეტები ანუ სოკოწყალმცენარენი,
4. Ascomycetes — ასკომიცეტები ანუ ჩანთიანი სოკოები,
5. Basidiomycetes — ბაზიოდიანი; სოკოები — ბაზიოომიცეტები,
6. Fungi Imperfecti — უსრული სოკოები.

მცენარეული პარაზიტებიდან ალსანიშნავია აგრეთვე სოკოების ისეთი წარმომადგენლები, რომლებიც თავისი ცხოვრების ციკლის გავლის

პერიოდში ნაყოფიანობას არ იძლევა, ყოველთვის სტერილურია. ასეთი სოკოები ნიადაგში ცხოვრობენ და კულტურული მცენარეების ფესვის სიღამპლის გამომწვევნი არიან. საერთო სახელწოდებაა — *Micelia sterilis*.

თალოფიტაში შედიან აგრეთვე ალგები ანუ წყალმცენარეები, უმთავრესად აუტოტროფული ორგანიზმებია. მათ უჯრედში, ქლოროფილის შეცულობის გამო, დამოუკიდებლად იყვებებიან. ტროპიკულ ქვეყნებში აღნიშნულია წყალმცენარის რამდენიმე სახეობა, რომლებიც მუდამ-მწვანე მცენარეთა (ჩაი, ციტრუსები, კაკაო) ავადმყოფობებს იწვევენ.

თითოეული ჭგუფის დაწვრილებითი დახასიათება შემდგომ თავებშია, წარმოდგენილი.

მცენარეულ ავადმყოფობათა მნიშვნელოვანი ჭგუფია თესლოვანი ავადმყოფობანი. იგი გაერთიანებულია *Spermatophyta*-ს სახელწოდებით და რამდენიმე ბოტანიკური ოჯახის წარმომადგენელს შეიცავს. მაგ., ოჯ. ფითორისებრი, წარ. ფითორი (*Viscum album*), კელაპტარისებრი — *Celastraceae* და სუსტარისებრი — *Orobanchaceae* ჭუსკუტისებრი — *Cuscutaceae* წარ. ობრეშუმა და სხვ.

მრავალწლიან მცენარეთა შორის როგორც ბალებში, ისე ტყეებში ხშირად ვხვდებით ხანდაზმულ ხეებს, რომელთა მთავარი ღრეული და დედატოტები მღიერებითა და ხავსითა დაფარული. ბაწარას ნაკრძალში ხშირია მღიერებით დასახლებული უთხოვარის წიწვებიც. მცენარეთა ეს ორი ჭგუფი, პარაზიტებს არ წარმოადგენენ, უბრალო ეპიფიტები არიან, რომლებიც, მართალია, ხის ტანზე არიან განვითარებული, მაგრამ ხის ხარჯზე არ იკვებებიან, ფიზიოლოგიურად ხესითან არაა დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, მათი გაჩერება კულტურულად მოვლილ ბალებში დაუშვებელია, მათ მიერ ხის ტანის ზედაპირზე შექმნილი საფარი ტენს დიდხანს ინარჩუნებს, რაც ხელს უწყობს ყოველგვარი ავადმყოფობის გავრცელებას. მათში მავნებლებიც ბუდობენ და, საერთოდ, მათ ყოველთვის შეუძლიათ დაზიანების გამოწვევა. ამიტომ შათ წინააღმდეგ ბრძოლა საჭირო.

არაპარაზიტული ავადმყოფობანი. როგორც მისი სახელწოდება გვიჩვენებს, არაპარაზიტული მოვლენებისაგან არიან გამოწვეული და უმთავრესად იმ გარემო არეზე არიან დამოკიდებული, რაშიაც ამა თუ იმ მცენარეს უხდება განვითარება. ასეთებია, მაგალითად, ამინდის პირობები, ნიადაგის პირობები, მექანიკური დაზიანებანი და სხვ.

ამინდის პირობებს მცენარის განვითარებაზე დიდი გავლენა აქვს. ყოველ კლიმატურ სარტყელს თავისი დამახასიათებელი მცენარეული საფარი ახასიათებს. ასეთ მცენარეებს სახელიც სათანადო კლიმატური სარტყლის შესაბამისი აქვს შერქმეული: ალპური, პოლარული, ტროპიკუ-

ლი მცენარეები და სხვ. ყველა მცენარე თავისი ნორმალური განვითარებისათვის განსაკუთრებულ ოპტიმუმს მოითხოვს. საკმარისია ამ ოპტიმუმიღან რაიმე გადახრა, რომ ამან მცენარეზე სათანადო უარყოფითი გავლენა იქონის. ასეთივე მდგომარეობაა ნიადაგის პირობების მხრივაც. მაგალითად, თუ საკმაო ოდენობაზე ნაკლები ან გადაჭარბებული იქნება ნაცრის ელემენტების შეცულობა, ნიადაგში ეს მცენარის არანორმალურ განვითარებას იწვევს.

არაპარაზიტული ავადმყოფობანი, თავის მხრივ, ცალკე ჯგუფებად იყოფა:

1. ა მ ი ნ დ ი ს ა ნ მ ე ტ ე ო რ ო ლ ო გ ი უ რ ი პ ი რ ო ბ ე-ბ ი თ გ ა მ ო წ ვ ე უ ლ ი ა ვ ა დ მ ყ თ ა ბ ე ბ ი, რომელთაგნაც კიდევ შემდეგი ჯგუფები გამოიყოფა: ა) ტემპერატურის სიჭარბით ან ნაკლებობით გამოწვეული ავადმყოფობები; ბ) ტენის სიჭარბით ან ნაკლებობით გამოწვეული ავადმყოფობები; გ) სინათლის სიჭარბით ან ნაკლებობით გამოწვეული ავადმყოფობები; დ) ქარის, სეტყვის და მეხის მიერ გამოწვეული დაზიანებანი.

2. ნ ი ა დ ა გ ი ს პ ი რ ო ბ ე ბ ი თ გ ა მ ო წ ვ ე უ ლ ი ა ვ ა დ-მ ყ თ ფ თ ბ ე ბ ი: ა) ნიადაგში შემავალი ნაცრის ელემენტების სიჭარბით ან ნაკლებობით გამოწვეული ავადმყოფობები; ბ) ნიადაგის ფიზიკური თვისებების შედეგად გამოწვეული ავადმყოფობები.

3. მ ე ქ ა ნ ი კ უ რ ი დ ა ზ ი ა ნ ე ბ ი ს შ ე დ ე გ ა დ გ ა დ მ თ-წ ვ ე უ ლ ი ა ვ ა დ მ ყ თ ფ თ ბ ე ბ ი: თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ მექანიკური დაზიანებები ავადმყოფურ მოვლენად არ ჩაითვლება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მცენარისათვის მაინც სასურველი არაა, რამდენადაც მექანიკური დაზიანების შედეგად სხვადასხვა პარაზიტის მცენარეში შეჭრა ადგილად ხდება, თუ დაზიანებული ადგილი დაცული იქნება პარაზიტების შეჭრისაგან ან კიდევ მცენარე იმდენად დაზიანებული არაა, რომ მის სიცოცხლეზე იმოქმედოს, მაშინ მისი გამობრუნება შესაძლებელია.

4. ს ა მ რ ე წ ვ ე ლ ო ა ნ ა რ ჩ ე ნ ე ბ ი თ გ ა მ ო წ ვ ე უ ლ ი ა ვ ა დ მ ყ თ ა ბ ე ბ ი. აღნიშნული ავადმყოფობები ხშირად გვხვდება მეტადრე იმ რაიონებში და უნდებში, საღაც მძიმე მრეწველობაა განვითარებული (ბოლი, აირის ანარჩენები, გაჭუჭუიანებული წყალი და სხვ.), რის შედეგადაც ბუნებაც ნაგვიანდება.

5. შესაძლებელია აგრეთვე ბრძოლისათვის გამოყენებული ფუნგიციდებით დაზიანება, დაწვა იმ შემთხვევაში, თუ კი მას ზუსტად არ გამოიყენებენ ან გამოიყენების წესებს არღვევენ.

მცენარეთა ავადმყოფობების გამომწვევი მიზეზების და მათი დაჯგუფების ზოგადი საფუძვლების გაცნობის შემდეგ შევუდგებით მათში შემავალი ცალკე ჯგუფის დეტალურ გაცნობას. კერძოდ, თუ რას წარ-

მოადგენს ავადმყოფობის გამომწვევი მიზეზი, რა ჯგუფს ეკუთვნის, როგორია მათი ბიოლოგიური თვისისებები. გავეცნობით ავრეთვე მთავარი ჯგუფების სისტემატიკას და სხვ.

ვინაიდან არაპარაზიტული ავადმყოფობანი თავისი თვისებებით ზოგად დებულებებს შეიცავს და ყველა მცენარისათვის ერთგვარი მიღებით წყდება, პირველ რიგში მათ განვიხილავთ, შემდეგ გადავალოთ მცენარეული წარმოშობის პარაზიტულ ავადმყოფობებზე და გავეცნობით მათ ყოფა-ცხოვრებას სისტემატიკური მდგომარეობის მიხედვით.

1. არაპარაზიტული ავადმყოფობანი

ტემპერატურული პირობებით გამოწვეული ავადმყოფობანი


ტემპერატურული პირობებით გამოწვეული ავადმყოფობები ბუნებაში ძალიან გავრცელებულია, მეტადრე იმ ადგილებსა და რაიონებში, სადაც ოროგრაფიული და კლიმატური პირობების მრავალფეროვნებაა. ასეთი სხვადასხვაობა ხშირად ხელს უწყობს ნორმალური ტემპერატურის უეცარ ცვალებაღობას; ხდება ტემპერატურის როგორც ერთბაშად დაცემა, ასევე ამაღლება.

ტემპერატურის ცვალებაღობის გავლენას მცენარე განიცდის თავისი განვითარების ყველა ფაზაში, დაწყებული შესვენების მდგომარეობიდან (მაგალითად, თესლი), ვიდრე სავსებით განვითარებულ მცენარემდე. ტემპერატურის გავლენას განიცდის მცენარის ყველა ორგანო: ტოტები, ყლორტები, ფოთლები, ყვავილები, იშვიათად ფესვებიც და ა. შ. თითოეული ორგანოს დაავადება თავისებური გარევნული სახით ხასიათდება. მათი განხილვის დროს ეს ავადმყოფობები ორ ჯგუფად უნდა დაყოოთ: პირველია ტემპერატურის სიჭარბით გამოწვეული ავადმყოფობები, მეორე — ტემპერატურის ნაკლებობით გამოწვეული ავადმყოფობები.

ურადღება უნდა მიექცეს ტემპერატურის ისეთ დონეს, რომელიც იწვევს მცენარის ნაწილობრივ ან მთლიან სიკვდილს. *minimust*-თან და *maximust*-თან დაახლოებული ტემპერატურა, საზოგადოდ, მცენარის შესუსტებას და ცუდ ზრდას იწვევს. ამ პირობების შეცვლის შემდეგ მცენარე ისევ ნორმალურ სახეს იღებს. ასეთი შემთხვევები ყველა მცენარისათვის ერთი და იგივეა და მათ განხილვაზე არ შევჩერდებით.

ტემპერატურის სიჭარბით გამოწვეული ავადმყოფობები შემდეგი სახისაა:

„**ახალგაზრდა ნერგების დაწვა.** აღმონაცენების და ახალგაზრდა ნერგების დაწვა სოფლის მეურნეობის პრაქტიკაში ხშირი მოვლენაა. გარეგნულად აღმონაცენების დაწვა შემდეგში მდგომარეობს: ახალი აღმონაცენები როდესაც ნაზია და კარგ პირობებში იმყოფებიან, ამართულად დგანან. დიდი სიცხეების გამო დაიწყება ზოგიერთის ჩამონა ნიაღაგზე



სურ. 9. აღმონაცენების დაწვა

იმავე სახით, როგორც *Pythium*-ით დაავადების დროს. შეუჩეველი თვალისათვის მათ შორის განსხვავება ძნელი შესამჩნევია, მაგრამ როგორც რამდენჯერმე შეხვდება მეურნეს, შემდეგ იგი ადვილად გამოარჩევს მათ გარეგნული სახით: *Pythium*-ით დაავადების დროს, რაღაც გამომწვევი ორგანიზმი ნიაღაში ცხოვრობს, ერთი ადგილიდან იწყება ნერგების დაავადების კერა და კალოებისათვის მოტიტვლებული ადგილები ვითარდება; სიცხისაგან დაწვის დროს კი, წაქცეული აღმონაცენი ნათესებთი გაფანტულად გვხვდება. მიზეზის ზუსტი დადგენისათვის საჭიროა დაავადებული ეგზემპლარების მიკროსკოპული ანალიზი: თუ მიცელიუმი მოთავსებულია ნერგის დაავადებულ ნაწილში, მაშინ სოკოსთან გვექნება საქმე, თუ არა — მაშინ დაწვასთან (სურ. 9) ნერგების დაწვა შემდეგში გარემოებით აიხსნება: ნერგის ქსოვილი ნიაღაგის ზედაპირთან ნაზია და ფაშარი; იგი ჭერ კიდევ ნაზი უჭრედებისაგან შედგება. მზის ძლიერი ინსოლაციის დროს ნიაღაგის ზედაპირი ხურდება, რის გამოც, ზედაპირიდან აორთქლება ხდება; ეს კი, თავის მხრივ, ჰაერის შეხუთვას იწვევს. ნერგის ნაზი ქსოვილი ველარ უძლებს ნიაღაგის ზედაპირის გახურებისა და სინოტივის ერთდროულ მოქმედებას, რასაც ფესვის ყელის დაწვა მოსდევს. დამწვარი ნერგის ფესვის ყელი რომ გაისინჯოს, გნახავთ, რომ იგი ვამუქებული, გაწვრილებული და დაწიბურებულია. ახლად დამწვარ ნერგებს ადვილად ემჩნევა დაზიანების აღვილი.

დიდი სიცხეების დროს ყლორტების და ფოთლების დაწვა შედარებით ხშირად გვხვდება. ყლორტებისა და ფოთლების დაწვა ერთი და იგივე

მოვლენით არის გამოწვეული: ზაფხულის განმავლობაში ძლიერი სიცხე-ების დროს, მცენარის ძლიერი ტრანსპირაციის გამო, ფესვის სისტემის მიერ ვეღარ იქმნება წყლის მარავი; საერთოდ, წყლის ცირკულაციის წონასწორობის დარღვევის გამო, მცენარის სხეულზე ხდება ტოტებისა და ფოთლების დაწვა — ხმობა. ყლორტების დაწვა შემდეგი სახისაა: ფოთლები დუნდება, ყლორტი იგრიხება და, ბოლოს შავად ხმება. თუ ორწლიანი და მეტი ხნის ტოტები დაიწვა, მაშინ მათი ქერქი იბზარება, ძრება და მერქანი ჩნდება. სიცხით დაწვა ფოთლებს მთლიანად ახმობს ან ზედ სხვადასხვა ზომის გამხმარ ლაქებს აჩენს. ფოთლის ფირფიტა ჭერ მწვანედ ჰქნება, ხმება და ბოლოს ყავისფერი ხდება.

მაღლი ტემპერატურით ხშირია აგრეთვე მცენარის ნაყოფების დაწვა. ჩევენში ძალიან გავრცელებულია ვაზზე ყურძნის დაწვა. ზაფხულის შუა ხანებში ვენაბში ხშირად შეევამჩნევთ, რომ ზოგიერთი ყურძნის მარცვალი, რომელიც სამხრეთ მხრისაკენ არის მიქცეული და ფოთლებით არაა დაფარული, ჩაზნექილი ყავისფერი ლაქებით იფარება. ეს ლაქა თანდათან დიდდება, მთელ მარცვალს ედება და საბოლოოდ ისეთ სახეს იღებს, თითქოს მარცვალი ცხელ წყალში იყოს გათუთქული, ბოლოს ყავისფერ-მოწითალო ხდება, მტევანი მარცვლიანად ხმება და ვაზზე რჩება, არ სცივია. ასეთი ყურძნის დაწვა კახეთში წითელ ელას სახელწოდებით არის ცნობილი.

დაწვისათვის ხელისშემწყობ პირობად ითვლება წვიმიანი და სიცხიანი დღეების მკვეთრი ცვალებადობა: დიდი წვიმების გამო ნიადაგში ჰარბი სინესტე იქმნება, რაც მცენარის სწრაფ ზრდას იწვევს. სწრაფი ზრდის შედეგად მცენარის ქსოვილები ვერ ასწრებს დასრულებას, უფრო ნაზი და ტხვიერია, ამიტომ ძლიერი ტემპერატურის. მოქმედების გამო იწვება.

დაწვის შემთხვევათა გამრავლებას ხელს უწყობს აგრეთვე ზოგიერთი მეურნეც თავისი არასწორად დამზადებული ან კიდევ მდარე ხარისხის ფუნგიციდის გამოყენებით.

ამის საუკეთესო მაგალითია ბორჯომის ხეობაში, ნაძვის კორომებში ნაძვის დიდი ლაფნიჭამიას საწინააღმდეგოდ დიზელის საწვავზე დამზადებული პრეპარატის წინასწარი შემოწმების გარეშე გამოყენება სატყეო მეურნეობის კომიტეტის მიერ, რამაც ნაძვის ხეების მასპბრივი ხმობა გამოიწვია. დიზელის ზეთი აღვილად შეიჭრა ქერქში და კამბიუმთან ერთად გამოიწვია მისი დაწვა. ეს მოვლენა აღვილი შესამჩნევია იმით, რომ ქერქი გაყავისთვებულია, ხოლო სალი, დაუწვავი ქერქი ნორმალური ლია ფერისაა. დამწვარი და სალი ქერქის საზღვარზე ერთდროულად გაძლიერებული ფისის დენა ემჩნევა. შემდეგში, როდესაც ზეთისაგან დამწვარი ქერქი ღეროს გარშემო შემოირკალავს, ხე უკვე მკვდარია მიუხედავდ იმისა, რომ წიწვები ჭერ კიდევ მწვანედ გამოიყურება. რამ-

ფუნგიციდის მოქმედების ხანგრძლივობის ვადის გადაჭარბება, კერძოდ ფორმალინის გამოყენების დროს, ან ხსნარის კონცენტრაციის გაღიდებისას. ფუნგიციდების უარყოფითი მოქმედებით თესლი გალივებისუნარიანობას კარგავს.

რაც შეეხება შესასხურებელი ფუნგიციდებით დაზიანებას, შესაძლებელია მცენარის სხვადასხვა ორგანოზე სხვადასხვა სახით ხდებოდეს:

1. ფოთლების დაზიანების დროს იწვევს ფერის შეცვლას, დალაქავებას, ფოთლის ფირფიტის დაჩრდებას, მთლად დაწვას, გაყვითლებას, ფოთლების ჩამოცვენას (ცვივა როგორც ცალკეული, ისე ხშირად — მთლიანადაც).

2. ტოტების დაზიანების დროს აჩენს ტოტების დალაქავებას, კიბოსებრ ნაზარდებს ქმნის, იწვევს წვერების გახმობას და გუმოზს (წებოს დენას).

3. ყვავილების დაზიანების დროს იწვევს ყვავილის დაწვას, გახმობას და ჩამოცვენას.

4. ნაყოფების დაზიანების დროს იწვევს ცერას შეცვლას, დალაქავებას, ნაყოფების დეფორმაციას, დასკდომას, განუვითარებლობას, ანუ რედუქციას, ბადისებრი კორპოვანი ქსელით ნაყოფის დაფარვას, რის გამოც არასტანდარტულად ითვლება.

5. მთელ მცენარეზე იწვევს მცენარის სიკვდილს. არ შეიძლება ითქვას, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სახის დაავადება ერთი რომელიმე განსაზღვრული ფუნგიციდით იყოს გამოწვეული. მათ წარმოქმნაში, შესაძლებელია, სხვადასხვა ფუნგიციდი იღებდეს მონაწილეობას. მათი წარმოშობა საგსებით დამოკიდებულია თვით ფუნგიციდის მომზადებაზე.

ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც უნდა აღინიშნოს: ფუნგიციდებით გამოწვეული დაზიანება გარეგნული ნიშნებით ძალიან წააგავს პარაზიტების მიერ გამოწვეულ ავადმყოფობას. შეცდომის თავიდან ასაცილებლად მათი განსაზღვრის დროს ყურადღებით უნდა გაირჩეს თითოეული შემთხვევა.

დაბალი ტემპერატურის მიზეზით გამოწვეული ავადმყოფობები

ტემპერატურის სიმცირით გამოწვეული ავადმყოფობანი უფრო მრავალი სახისაა ტემპერატურის სიჭარბით გამოწვეულ ავადმყოფობებთან შედარებით.

საზოგადოდ, დაბალი ტემპერატურის მოქმედებამ შიძლება ზოგ შემთხვევაში მცენარის ორგანოების სიკვდილი არ გამოიწვიოს, არამედ მხოლოდ საერთო განვითარებაზე იმოქმედოს; ამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყენოთ ბარის მცენარეების გადატანა მთაში, რომლებიც მთის შედარებით ცივ ჰავას შეგუებული არ არიან და მათი აკლიმატიზაცია ახალ პირობებთან არ არის დასრულებული: ამის გამო მცენარე

თავიდანვე კარგად ვერ ვითარდება, თანდათან სუსტდება და, ბოლოს, ასეთი განუწყვეტელი განუვითარებლობის გამო, შესაძლებელია, დაიღუპოს კიდევ.

დაბალი ტემპერატურა ხშირად ვეგეტაციის ხანგრძლივობაზე მოქმედებს, ამოკლებს მას, რის გამოც მცენარის პროდუქცია მცირდება ან ფუჭდება, არაკონდიციური ნაყოფები მიიღება და უფასურდება. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ გვიან გაზაფხულის ან ცივი შემოდგომის ნააღრევ დადგომას. ციტრუსოვანთა ნაყოფებისათვის, მაგალითად, ასეთი პრობების დადგომის გამო ვეგეტაციის საერთო პერიოდი მოკლდება, მცენარის დაზამთრებისათვის ან ნაყოფების ნორმალური მომწიფებისათვის საჭირო წლიური აქტიურ ტემპერატურათა ჯამი მცირდება, რის გამოც ნაყოფებში (მანდარინი, ფორთოხალი) შაქარი ვერ გროვდება. მეურნეობა ხშირად იძულებულია ნადრევად დაკრიფოს. არაკონდიციური ნაყოფი, წინააღმდეგ შემთხვევაში ზამთარი უსწრებს და მათი ბალში დატოვება უფრო მეტ ზარალს იძლევა, რადგან ნაყოფების კანი ზიანდება; ასევე გვიანი გაზაფხულის და ცივი შემოდგომის მოქმედება ჩაის ბუჩქის ვეგეტაციაზე. იგი მოკლდება, მცენარე დუუებს არ იძლევა, რის გამოც ჩაის ფოთლის მოსავლიანობა მცირდება.

დაბალი ტემპერატურის მოქმედება მცენარეზე უნდა განვიხილოთ მცენარის ორნაირ მდგომარეობაში: პირველი — როდესაც მცენარე ახლად გამოლვიდებულია და ვეგეტაცია დაწყებული აქვს, მეორე — როდესაც მცენარე შესვენების მდგომარეობაში იმყოფება.

დაბალი ტემპერატურისაგან გამოწვეული ქსოვილების დაწვა მცენარის ორგანოების გაყინვით აიხსნება. გაყინვის მოვლენის ასახსნელად მრავალი თეორია არსებობს; ამათგან უფრო მიღებულია მაქსიმოვის თეორია, რომლის მიხედვით გაყინვა შემდეგში მდგომარეობს: მცენარის ქსოვილების გაყინვის დროს მისი შემაღენელი უჯრედებიდან კრისტალების სახით წყალი გამოიყოფა. ამით, პროტოპლაზმი შემავალი წყალი იყოფა, რასაც პროტოპლაზმის ქიმიური ცვლილებები მოსდევს. პროტოპლაზმი შემავალი კოლოიდური ნივთიერებები, წყლის წარმევის გამო, იჭრება, იკუმშება და ბოლოს, პროტოპლაზმა მთლიანად კვდება. პროტოპლაზმის სიკვდილთან ერთად კვდება უჯრედი და შემდეგ ყველა ქსოვილი, რომელიც ყინვისაგან დაზიანებულ არეში იყო მოხვედრილი. ამრიგად, გამოყოფილი წყლის კრისტალები ქიმიურად ცვლიან პროტოპლაზმის შემაღენენლობას; ამას გარდა, მათი მოქმედება მექანიკურიც არის; პროტოპლაზმაში გაჩენილი წყლის კრისტალები მექანიკურად პროტოპლაზმას აზიანებენ.

დაბალი ტემპერატურის მოქმედება მცენარის ვეგეტაციის დროს ხშირი მოვლენა და გამოწვეულია ისეთი პირობებით, როდესაც ტემპერატურა 0°-ზე დაბლა იწევს. ამ შემთხვევაში იღუპება მცენარის ყველა

ახალგაზრდა ორგანო, ყვავილი, ფოთოლი, ყლორტი რომლებსაც თავისი განვითარება დასრულებული არა აქვთ.

ზემოთ განხილულის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ გაზაფხულის დასაწყისში ყინვისაგან ყვავილების ყვავილი ამინდის პირობების გამოჭთბილი გაზაფხული აღრე იწყებს ვეგეტაციას, კვირტები დაიძერება, მაშინ ყველა ახლად განვითარებული ორგანო ბევრ წყალს შეიცავს, მათ ქსოვილიც ძლიან ნაზი აქვთ. ტემპერატურის უცაბედი დაცემა იწვევს ახალგაზრდა ყლორტების, ფოთლების, ნაყოფების მოწვას, მცენარე ჭრნება და, ბოლოს, ხმება.

გაზაფხულის ყინვებით აიხსნება აგრეოვე ბევრი მცენარის უნაყ ნოტი ას ა. ჩევნს პირობებში ხშირია კურკოვანთა ზოგიერთი წარმომადგენლის (ნუშის, ატმის, ჰერმის, და სხვათა) დაწვა. მათი აყვავება აღრე იწყება, როდესაც ჯერ კიდევ ფოთლები არა აქვთ განვითარებული. ტემპერატურის დაწვევა იწვევს ყვავილის უმთავრესი ორგანოების — მტკრიანების და ბურტკოს გაყინვას, რასაც შედეგად ყვავილების დაცემა მოსდევს.

გარდა ახალგაზრდა ყლორტებისა და ფოთლებისა, ხშირია აგრეოვე ორწლიანი და მეტი ხნის ტოტების გაყინვა, რაც გარეგნულად ძალიან წააგას სიცხისაგან დაწვას. ამ შემთხვევაში ტოტი ან მთლიანად იყინება, ან კიდევ ცალმხრივ, უმთავრესად, სამხრეთი მხრისაკენ. ვინაიდნ ტოტებზე დადებული თოვლი სამხრეთის მხრივ ხშირად დნება, გამდნარი თოვლი წყლის სახით იყლინთება ტოტის ქერქში, საღაც ბევრი წყალი გროვდება. ტემპერატურის დაწვევა ყინვას ქერქში გამზღარ წყალს და მასთან ერთად, თვით ქერქსაც. უკანასკნელი სკდება, ტოტიდან ცვივა და მერქანი ღიად რჩება. შესაძლებელია ტოტი მთლიანად გახმეს, ან ისევ მოახერხოს შეხორცება.

როდესაც ყინვისაგან ზიანდება უფრო სქელი დედა ტოტები, მაშინ დაავადების ადგილებზე კიბოსებრი ნაზარდები ჩნდება, ანუ, როგორც ლიტერატურაშია ცნობილი, ტოტებს ღია კი ბო უჩნდება. უკანასკნელის წარმოშობა შემდეგი სიხით ხდება: ყინვისაგან სქელი ტოტი ცალმხრივად ზიანდება; კვდება როგორც ქერქი, ისე მერქანსა და ქერქშუა მთავსებული კამბიუმი. დაზიანებული ადგილიდან ქერქი და კამბიუმი ძვრება და სუფთა მერქანი გამოჩნდება. მცენარე, დიდი ჭრილობის ან კიდევ ყინვების განმეორების გამო, ვერ აწმრებს გამოჩენილი მერქნის დაფარვას, სამაგიეროდ, ჭრილობის ნაპირებზე, კამბიუმის მოქმედების გამო, კონუსისებრი ნაზარდები — კალუსი ჩნდება. ყოველ წელიწადს ასეთი ნაზარდების — კალუსის ფენა დაზიანებული ადგილის ნაპირებზე ვითარდება. კამბიუმის ნაწილის სიკვდილის გამო ტოტი არ სქელდება გამოჩენილი მერქნის მხარეს, მოპირდაპირე მხარე კი სისქეში ვითარდება. ასეთი ტოტის დაზიანების ადგილას რომ განივი განაკვეთი გავაკე-

თოთ, ლეროს ცალმხრივ განვითარებას აღვილად შევამჩნევთ: დაზიანებული მხრიდან გაბრტყელებულია, გულგულთან ახლოს არის, მოპირდაპირე კი ნორმალურად მრგვალია და წრიული რგოლები თანაბრად არის, განვითარებული.

ლია კიბოს გაჩენა, შესაძლებელია გამოწვეული იყოს აგრეთვე მექანიკური დაზიანებითაც. მათი გარჩევა ყინვის მიერ გამოწვეული კიბოსაგან, სრული მსგავსების გამო, შეუძლებელია.

ყინვის მოქმედებით აიხსნება მერქნიან ჯიშებზე გავრცელებული ე.წ. ყინვის ეფული ბ.ზ არ ების შეკმნა, რომელიც მერქნიან გასწვრივი, სხვადასხვა სიგრძისა და სილრმის ნაპრალების გაჩენას იწვევს. ყინვისეული ბზარების გაჩენას შემდეგი გარემოებით ხსნია: ტემპერატურის თანდათანობით დაწევა ან მომატება იწვევს მერქნის თანდათანობით შევიწროებას (ტემპერატურის დაწევის გამო) და გაფართოებას; ტემპერატურის მკვეთრად დაცემის გამო სითბო თანაბრად ვერ ვრცელდება მთელ მერქანში, რადგან იგი სითბოს ცუდი გამტარია: მერქნის პერიფერიული ნაწილი უფრო ადვილად ცივდება და ამასთან ქერქის უჯრედების შემჭიდროება მოსდევს; მერქნის შიგნითა ნაწილი კი, ვინაიდან მას ყინვის გავლენა ასცდა, ვერ ცივდება, სითბოს ცუდი გამტარებლობის გამო ვერ შევიწროვდება; მერქნის პერიფერიული ნაწილი კი ძლიერი გაყინვის გამო იჭიმდება, საბოლოოდ სკლება და გრძელი ბზარები უვითარდება. მერქანზე ბზარის გაჩენას მუდამ ხმაური მოსდევს.

ყინვისეული ბზარიანი მერქანი აღვილად ფუჭდება სხვადასხვა პარაზიტით დააფადების გამო.

ყინვისაგან ზიანდება აგრეთვე მცენარის ფესვები. ეს ემარტებათ, უმთავრესად, ერთწლიან მცენარეებს, როდესაც მათ აღმონაცენებს ჯერ კიდევ ღრმად არა აქვთ გადგმული ფესვები. ეს მოვლენა ხშირია შემოდგმის ნათესებში, როდესაც თოვლი დნება და სიმცირის გამო მხოლოდ ნიაღავს ასველებს ფესვის არეში. ტემპერატურის შემდეგი დაწევა იწვევს წყლის გაყინვას, რის გამოც ნიაღავის გაყინული ზედაპირი რამდენადმე მაღლა იწევს და ამოგლეჭს მცენარეს, რის შემდეგ მცენარე იყინება და კვდება.

ფესვების გაყინვა გვხვდება მრავალწლიან მცენარეებზედაც, უმთავრესად, ყინვებისაგან იღუპება ნაზი ფესვები, საწოვრები და გვერდის ფესვები. იშვიათად ისიც ხდება, რომ მთავარი ფესვები კვდება. ფესვი იმ შემთხვევაში იყინება, როდესაც იგი თავისი აგებულებით უფრო ნაზია, ვიდრე მცენარის ზედა ნაწილები. ფესვი განსაკუთრებით მაშინ იყინება, როდესაც ყინვები უთოვლო ზამთარშია.

შენახული მოსავლისათვის ტემპერატურის დაწევა საფრთხეს წარმოაღენს, მეტადრე ძირხვენებისათვის, ფესვნაყოფებისათვის, ტუბერკულებისათვის, რომლებიც ბევრ წყალს შეიცავენ (მაგალითად, ჭარხალი

სტაფილო, ხახვი, კარტოფილი და სხვ.). დამზრალ სხვადასხვა მცენა- რეულ პროდუქტს სხვადასხვა სახე აქვს. ზოგი მაგრადება, ზოგი, პირიქით, რბილდება და ლორწოვანი ხდება, ზოგი თავის ქიმიურ თვისე- ბებსაც იცვლებს. მაგალითად, კარტოფილი, გაყინვის შემდეგ ტკბილი, ხდება. დამზრალ შენახულ ნაყოფებს შენახვის უნარი ეკარიგებათ.

წყლის ბაჟანსის დარღვევით გამოწვეული ავადმყოფობანი

წყალს მცენარის სიცოცხლისათვის, უმთავრესი მნიშვნელობა აქვს. წყლის მეოხებით ხდება მცენარის ორგანიზმში ყოველგვარი სასიცოცხლო პროცესები: წყლის საშუალებით მცენარის სხეულში ყოველგვარი საკ- ვები მასალა გადაინაცვლებს ფესვებიდან ფოთლებში და ფოთლებიდან მცენარის ორგანიზმში; წყლის დახმარებით ყოველგვარი ნივთიერება გარდაიქმნება მცენარის სხეულში. წყლის უშუალო მონაწილეობით მცენარეში სხვადასხვა ნივთიერება იქმნება და ხდება მათი გადასვლა მცენარისათვის. შესათვისებელ მდგომარეობაში; წყალი ავითარებს მცე- ნარის უჯრედებში ტურგორს და სხვ. წყალი რომ ასე აუცილებელია მცე- ნარისათვის, ეს იმით მტკიცდება, რომ მცენარის ახლად შექმნილ უჯრე- დებში თითქმის 90—99%-მდე წყალი შედის. ცხადია, წყლის რაოდენო- ბის ცვალებადობაზე (ნორმალურ ოდენობაზე გადაცილება) არის დამო- კიდებული მცენარის განვითარება; იგი შესაფერად რეაგირებს წყლის სიჭარბესა და სიმცირეზე.

მიუხედავად იმისა, რომ მცენარისათვის წყალს დიდი მნიშვნელობა აქვს, საკმაოდ დიდი რაოდენობით შეიცავს, სხვადასხვა მცენარის დამო- კიდებულება წყლისადმი სხვადასხვაა. ამ მხრივ მცენარეებს სამ ჯგუფად ყოფენ:

პირველ ჯგუფში შედიან ე. წ. ჰ ი გ რ თ ფ ი ტ ე ბ ი, რომლებიც ცხოვრობენ მხოლოდ ჭარბი ტენიანობის პირობებში, მაგალითად, ჭაო- ბის მცენარეები, ბრინჯი და სხვ. მეორე ჯგუფს შეადგენენ მ ე ზ თ ფ ი ტ ე ბ ი, რომლებიც წყლისადმი საშუალო მოთხოვნილებას იჩენენ: ხმელეთის მცენარენი არიან და გვალვას ვერ იტანენ, იჩაგრებიან. სა- სოფლო-სამეურნეო მცენარეების უმრავლესობა მეზოფიტებს ეკუთვნის. მესამე ჯგუფია ქ ს ე რ თ ფ ი ტ ე ბ ი, რომლებიც ადგილად იტანენ უწყლობას, გვალვას; მაგალითად, კლდის დუმა (Sedum), სხვადასხვა მარცვლეულები, Gramineae-ბის ზოგიერთი წარმომადგენელი და სხვა- ნი.

თუ რა გავლენა აქვს მცენარეზე წყლის სიმცირეს, ამაზე არ შევჩერ- დებით, ვინაიდნ ყველასათვის ცხადია, რომ უწყლობის გამო მცენარე საერთოდ სუსტად ვითარდება, ბოლოს ჭინება და ხმება. ეს გარემოება ერთნაირად მოქმედებს ყველა მცენარეზე, როგორც ერთწლიანზე, ისე

მრავალწლიანზე. მცენარის თავისებურების მიხედვით მისი დალუპვაც სხვადასხვა სისწრაფით მიმღინარეობს.

წყლის სიჭარბით გამოწვეული ავადმყოფობები უფრო ხშირია და ისეთი სწრაფი და საბედისწერო დასასრულო არა აქვს, როგორც წყლის ნაკლებობის დროს. მართალია, ზოგ შემთხვევაში ისპობა მცენარე (მაგალითად, ფესვების დახსრიბის დროს), მაგრამ მისი მოსპობა მანც ნელი ტემპით მიმღინარეობს. სამაგიეროდ, იგი მცენარეს წინასწარ განაწყობს აუადმყოფობის მიმართ, უფრო აღვილად ავადდება იგი შემდგომ.

წყლის სიჭარბით გამოწვეული ავადმყოფობა შემდეგი სახისაა: მერქნიან ჯიშებსა და, აგრეთვე, ხეხილზე, ნიადაგის წყალი ფესვების სისტემის განვითარებაზე მოქმედებს. თუ ფესვი წყალგაუგალ ნიადაგში არის მოთავსებული, ფესვები, ნაცვლად სილრმეში გაზრდისა, ჰორიზონტალურად ვითარდებიან ზედაპირულ ფენაში. ეს ჰორიზონტალური განვითარება გამოწვეულია წყლიან არეში ფესვის მიერ ნაკლები უანგბადის მიღებით, კინაიდან აერაციის გაძნელების გამო ფესვის სილრმეში გავრცელება, ფესვებს უანგბადით ვერ უზრუნველყოფს, რის შედეგადაც ფესვი უუანგბადობისაგან იხრჩობა, მცენარე კვდება.

მერქნიანი ჯიშებისათვის, საბოლოოდ, ფესვების ჰორიზონტალურად განვითარება იძულებითია, არაა ხელსაყრელი, რადგან, ნიადაგის ზედაპირთან ფესვის ახლოს მდებარეობის გამო, სხვადასხვა პარაზიტისა და მავნებლისაგან ხშირად ზიანდება. საზოგადოდ, ნესტიან ნიადაგში განვითარებული ხე უფრო სუსტად გამოიყურება, ვიდრე მშრალ ნორმალურ ნიადაგებში განვითარებული. ამის საუკეთესო მაგალითია ტყის ჭაობიან და ჩვეულებრივ ნიადაგში განვითარებული ფიჭვები. პირველებს სუსტი ფესვების სისტემა აქვს, ზედა ნაწილიც სუსტად არის განვითარებული, ნორმალურ ნიადაგებში გაზრდილ ფიჭვს კი ფესვის სისტემაცა და ტანიც მძლავრად აქვს აყრილი. ზედაპირული ფესვთა სისტემიანი მცენარეები ქარქცევია, ძლიერი ქარების გამო იღუპებიან.

დიდი და ხანგრძლივი წვიმები მცენარის მდგომარეობაზეც ახდენენ გავლენას. წვიმების მოქმედება საგრძნობია ყ ვ ა ვ ი ლ ო ბ ი ს დროს, რადგან ყვავილების დამტკერიანებას ხელს უშლის. ხანგრძლივი წვიმების უარყოფით გავლენას ვაზიც განიცდის ყვავილობის დროს: წვიმა მტკრის მარცვალს რეცხავს და ბევრი ნასკვი გაუნაყოფიერებელი რჩება. შემდეგში, როდესაც მტკეპანი ყვავილობიდან გამოსვლას დაიწყებს, შეემჩნევა, რომ ზოგი მარცვალი კარგადაა განვითარებული, ზოგი კი წვრილდება, ნაწილი ცვივა, ნაწილი კი შერჩება მტევანს. ასეთ წვრილმარცვლიანობას ზოგ ადგილებში ქ ჭ ი რ ი თ ა ს უწოდებენ.

ზედმეტი წყალი და წვიმები მცენარეზე ნაყოფების მოწევის დროსაც მოქმედებს. ბევრი წყლის გამო ნჰყოფები არაჩვეულებრივად იზრდება,

რასაც ხშირად ნაყოფის დასკდომა მოსდევს. ამის საუკეთესო მაგალითია ყურძნის ნაყოფების დასკდომა: ხშირი წყიმების გამო ყურძნის მარცვლების სირბილეში ზედმეტი წყალი გროვდება, რაც მარცვლის შიგნიდან ნაყოფის კანზე შესაფერ წნევას აფითარებს. როდესაც ნაყოფის კანის გაზრდა ჩერდება, ვეღარ უძლებს წვენის შიგნით წნევას და მარცვალი სიგრძეზე სკდება. ასე ემართება ხშირად საზამთროსაც, პომიდორს, ლელვს და სხვ. დახეთქილი ადგილები ხელსიყრელია სხვა გარეშე ავადმყოფობათა და ნაყოფის დამლპომი ორგანიზმების შესაჭრელად.

წყლის სიჭარბე მოქმედებს აგრეთვე მცენარის საერთო განვითარებაზე. დიდი სინესტის გამო მცენარე სწრაფად იზრდება, ვერ აშრებს მექანიკური ქსოვილების განვითარებას. მცენარე მაღალია და წყრილი. წყლის ასეთი სიჭარბე ერთწლიანი მცენარის ჩაწერილი; მაგალითად, გაზაფხულზე, ხანგრძლივი წვიმების გამო, ხშირია ხორბლოვან მცენარეთა ნათესის ჩაწოლა. განვითარებული მაღალი წყრილი ღერო ვეღარ უძლებს თავთავის სიმძიმეს და სუსტი ქარის დროსაც ღეროს გადატეხის გამო მიწაზე იქცევა.

წყლის სიჭარბე პაერის სინოტივის გაძლიერებასაც უწყობს ხელს, რაც, თავის მხრივ, მოქმედებს მცენარის ორგანოებზე: ხშირად ნოტიო ადგილებში მცენარის ორგანოების ზედაპირზე იქმნება საფევი ქსოვილი, ჩვეულებრივ პირობებში კი საფევი ქსოვილი არა გვხვდება. საფევი ქსოვილების განვითარებას ხელს უწყობს პაერის ძლიერი სინოტივის გამო მცენარის ორგანოებიდან ნაკლები წყლის აორთქლება. მაგალითად, შეგვიძლია მოვიყენოთ ყურძნის ნაყოფის ყუნწზე პატარა, სხვადასხვა ზომის კორპის ქსოვილისაგან შემდგარი მეჭეჭების შექმნა.

კორპის ქსოვილების შექმნა ხშირია აგრეთვე ორანერეებსა და სათბურებში, სადაც ზედმეტი სინოტივე არის ხოლმე დაცული.

სინათლის სიმცირით ან სიჭარბით გამოწვეული ავადმყოფობანი

სინათლის სიჭარბით ან სიმცირით გამოწვეულ ავადმყოფობათა ბუნება გაშინ იქნება ჩვენთვის გასაგები, როდესაც გვეცალინება, თუ რა მნიშვნელობა აქვს სინათლეს მცენარის ორგანიზმისათვის. მცენარის სხეულის მთავარი შემადგენელი ელემენტის — ნახშირბადის შეთვისება, სინათლისა და მწვანე პიგმენტის — ქლოროფილის ურთიერთმოქმედებათა შედეგად ხდება: პაერიდან შეთვისებული ნახშირორჟანგით (CO_2) და ნიაღაგიდან მიღებული წყლით მცენარის სხეულში ნახშირწყლები იქმნება. უკანასკნელთა გამოყენებით მცენარის ორგანიზმი იღებს სათანადო ენერგიას ახალი ორგანოების შექმნისათვის და, საერთოდ, ზრდისათვის.

მიუხედავად სინათლის ასეთი დიდი მნიშვნელობისა, ყველა მცენარე

სინათლის ინტენსივობისადმი ერთსა და იმავე დამოკიდებულებაში არ იმყოფება. ამ მხრივ მცენარეებს თრ ჯგუფად ყოფენ, ესენია: სინათლის მოითხოვენ, და ჩრდილის მოითხოვენ, და ჩრდილის ამტანი, რომლებიც შედარებით ნაკლები სინათლის პირობებში ვითარდებიან. ასეთ დანაწილებას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მეტყევეობაში. მაგალითად, არყი, ფიჭვი და სხვა სინათლის მოყვარულ მცენარეებად ითვლებიან, ხოლო ნაძვი, სოჭი — ჩრდილისამტანად. ტყეების ხელოვნურად აღღენაში უკანასკნელ გარემოებას დიდი ყურადღება ექცევა. მაგალითად, ფიჭვნარების აღსაღენად მათი აღმონაცენების ნორმალურად განვითარებისათვის საჭიროა ღია, მზით კარგად განათებული ნაკვეთები — ნაძვის აღმონაცენებისათვის კი დაჩრდილული ადგილებია ხელსაყრელი.

სინათლის სიმცირით გამოწვეულ არანორმალურ განვითარებად უნდა ჩაითვალოს მცენარეების ეთიოთლაცია. უკანასკნელი იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც მწვანე მცენარე სინათლეს მოკლებულ არეშია განვითარებული. ეთიოლრებული მცენარე ქლოროფილის განუვითარებლობის გამო გაწვრილებულია, გამაღლებული და გაყვითლებული.

ყანის ჩაწოლას, ზოგი მქვლევარი სინათლის სიმცირით ხსნის: ხშირ ნათესებში, სადაც უფრო ხშირია ყანის ჩაწოლის შემთხვევები, მცენარის ეგზემპლარები ერთიმეორებს აბნელებენ. უკანასკნელისაგან თავის დასაღწევად მცენარე სიმაღლეში არაჩვეულებრივად იზრდება და მექანიკური ქსოვილები არ უვითარდება, რის გამოც ყანა წვება.

სინათლის სიჭარბით გამოწვეული ავადმყოფობები ნაკლებად არის გავრცელებული და ამიტომ პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს.

აღნიშნულია მხოლოდ ორი გარემოება: 1). ძლიერი განათების დროს შესაძლებელია მცენარის ქსოვილებში ქლოროფილის დაშლა მოხდეს; 2). როდესაც ჩრდილის ამტანი მცენარეები გადაგვაჭვს ღია, სინათლით. მდიდარ აღგილებზე, შესაძლებელია ამან მათი დაწვა გამოწვიოს ან კიდევ მცენარე ვერ შეეთვისოს ახალ კოლოგიურ პირობებს და დაიღუპოს.

უველა მცენარეს თავისი ფოტოპერიოდიზმი ახასიათებს: არიან ისეთი მცენარეები, რომელთა ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის, მათი ფენოფაზების დამთავრებისათვის გრძელი დღეა საჭირო, ვინაიდან სინათლე მისთვის ხანგრძლივადა საჭირო (მაგალითად, იონხა, ჭვავი). ისეთებიც გვხვდება, რომლებიც მოკლე დღეს მოითხოვენ (სოია). ნაწილი მცენარეებისა დღის ხანგრძლივობისადმი განურჩეველია. პირველი ორი თუ არ მოხვდა შესაფერის პირობებში, მცენარე იჩაგრება. თუ გრძელი დღის მცენარე მოკლე დღის პერიოდში დაითესა, გაუხანგრძლივდება ვეგეტაცია.

შეტეოროლოგიურ ფაქტორთაგან მცენარეთა ნორმალურ განვითა-
რებაზე მოქმედებენ ქარი, სეტყვა და მეხი.

ქარის მოქმედება ორგვარია: პირდაპირი და არაპირდაპირი. პირდა-
პირი მოქმედების დროს ძლიერი ქარის შედეგად შესაძლებელია, მაგა-
ლითად, პურეულების ჩაწოლა, სიმინდის ნათესების ჩაწოლა; თუ ყანა
შემოსულია, ხორბლეულთა მარცვლის ჩაცვენა, ხეხილის ნაყოფის
ცვენა (ნაქარევი).

ძლიერი ქარი მრავალწლიანი მცენარეების ტოტებს ამტკვრევს. იყო
შემთხვევა, როდესაც ბაკურიანის სატყეოს ცხრაწყაროს ფერდობებზე
რამდენიმე ათასი სრულხნოვანი ნაძვი ქარმა ძირიანად მოთხარა.

ქარის არაპირდაპირი მოქმედების შედეგია ხორბლეულის მარცვლის
ა ფ შ რ უ კ ვ ა. ეს უკანასკნელი ვითარდება თუ კი ოდოშლერობის ფა-
ზაში მყოფმა მცენარეებმა თბილი ქარების ხანგრძლივი მოქმედება გა-
ნიცადეს.

ჩვენს სუბტროპიკულ ზონაში, ბათუმის, ქობულეთის, რაიონებში,
ზამთრობით ხშირია სამხრეთ-დასაგლეთის ქარების მოქმედება, რის გა-
მოც ციტრუსების ყინვაგამძლეობა ეცემა და ნაქარევის მხრიდან მცენა-
რეების მთავარი ღეროს დედა ტოტების ქერქის დაწვეს იწვევს, რის შე-
დეგადც კიბოსებრი წარმონაქმნები ვითარდება.

ასეთივე დაზიანება ხდება ცხელი ქარების მოქმედების დროსაც. ამ
დროს ნაქარევის მხრიდან მცენარის ფოთლები ითშრუკება და იწვის.
თუ ცხელი ქარების მოქმედება ხანგრძლივია, რამდენიმე დღე ვრძელ-
დება, მცენარე მთლიანად ხმება. ცხელი ქარების ასეთი მოქმედება თუმ-
ცა იშვიათად, მაგრამ მაინც ჩვენი შავი ზღვის სანაპიროებზედაცაა შემ-
ჩნდება.

მცენარეების მექანიკური დაზიანებები ბუნებაში ხშირად გვხვდება
და სხვადასხვა მიზეზებითაა გამოწვეული. მაგალითად, სეტყვის მიერ,
ქარების მიერ, მეხის მიერ, ცხოველების მიერ (აღამიანის ჩათვლით).
მცენარის მექანიკური დაზიანებები ავადმყოფურ მოვლენად, მართალია,
არ ითვლება, მაგრამ მცენარეზე მაინც არასასურველ გავლენას ახდენს,
რამდენადაც შემდგომ ამ „ლია კარებიდან“ მცენარის ქსოვილში ხშირად
იჭრებიან მეორეული პარაზიტები და იწვევენ მცენარის ან მისი ორგა-
ნოების დაავადებას, მეორეულ ინფექციის. ამ მხრივ, პირველ რიგში,
ს ე ტ ყ ვ ა აღსანიშნავი, რომელიც მცენარეზე ორმხრივ მოქმედებს,
ჯერ ერთი მექანიკურად აზიანებს, აფუჭებს მცენარის პროდუქციას და,
მეორე, ხელს უწყობს ლპობას. ყურძნის თეორი სიღამპლე (*Coniothy-
rium diplodiella*) დასეტყვილ ვენახებს უფრო ძლიერ ედება, ვიდრე
დაუსეტყვავს: თესლოვანი ხეხილის ნაყოფები დასეტყვის შემდეგ ნასეტყ-
ვარის მხრიდან აღარ ვითარდება, გვერდულა ხდება და ამავე დროს შემ-
დგომ უფრო აღვილად ლპება (*Monilia fructigena*). ასეთივე დამკი-



სურ. 12. ქარის ცალმხრივი მოქმედებით დეფორმირებული ხე.

დებულებაშია ხეხილის მწერებით (მაგალითად, ნაყოფჭამის ჩიერ) დაზიანებასთან ნაყოფების ლპობა: რაც უფრო მეტადაა ტყის ჯიშებში ღერო და ტოტები მექანიკურად დაზიანებული, მით უფრო მეტია აბედა სოკოებისაგან გამოწვეული ლპობა.

ქარი მექანიკურად აზიანებს როგორც ერთწლიან, ისე მრავალწლიან მცენარეებს. ქარის ღროს მცენარის ტოტები ერთმანეთს ეხეთქვება, ეხახუნება და იმტკრევა. ექლიან მცენარეებში ქარისაგან მიღებული მექანიკური დაზიანება უფრო ხშირია, ვიღრე უეკლოებში. ამიტომა, რომ ლიმონების ბაქტერიული ნეკროზი (*Pseudomonas citriputealae*) კელინ ჯიშებში უფრო ხშირად გვხვდება, ვიღრე უეკლო ჯიშებში. ქარის ცალმხრივი მოქმედებით ხის ვარჯი მახინგდება.

მეცნიერება უფრო ძლიერია. ცნობილია, რომ მეხის დაცემისას მისი მოქმედების რადიუსი 1 მ-იდან 25 მ-მდე აღწევს. ამ ადგილებზე ერთწლიანი მცენარეები იღუპებიან; მრავალწლიანი მცენარეების მთავარი ღერო ზიანდება, სქელდება, ტოტები იმტკრევა, ხეს ხშირად ცეცხლი ედება.

მცენარეების მექანიკურ დაზიანებათა შესახებ საერთოდ უნდა ითქვას, რომ მისი შედეგები დამოკიდებულია დაზიანების სიძლიერესა და ადგილზე. თუ მცენარე სუსტად ან საშუალო სიძლიერით დაზიანდა, სათანადო მოვლით მისი გამოჯანსაღება ყოველთვის შეიძლება. მით უმეტეს, რომ ბუნებაში არსებობს მცენარეთა ორგანოების ჩეგენერაციის კანონი, როდესაც მცენარე ივითარებს კალუსს, ანუ ნაზარდს და ჭრილობა ხორცილება.

ნიადაგში ნაცრის ელემენტების სიჭარბით ან სიმცირით გამოწვეული ავადმყოფობანი

მცენარე ნორმალური განვითარებისათვის მოითხოვს ნაცრის ელემენტების განსაკუთრებულ ჯგუფს. ასეთებია: კალიუმი, კალციუმი, ფოსფორი, აზოტი, გოგინი, მაგნიუმი, რკინა და სხვ. თითოეულ მათგანს ნიადაგი სხვადასხვა რაოდენობით შეიცავს. ზოგ ნიადაგში შესაძლებელია, ეს ელემენტები მცენარისათვის სრულიად სპეციალისი რაოდენობით იყოს; მაშინ მცენარე ნორმალურად განვითარდებოდა. ზოგ ნიადაგში კი, შესაძლებელია, ნაცრის ელემენტები ან გადაჭარბებით იყოს წარმოდგენილი, ან კიდევ ნაკლები იყოს; მაშინ მცენარის ნორმალური განვითარება ირლევეა და იგი ავადება. დაავადებას იწვევს როგორც ერთი რომელიმე ელემენტის, ისე, საერთოდ, ყველა ელემენტის სიჭარბე და სიმცირე.

მცენარეული ორგანიზმებისათვის საჭირო ქიმიური ელემენტები საკმაოდ მრავალიც ცხვანია. მცენარის ნორმალური ზრდა—განვითარებისათვის ყველას ერთი და იგივე მნიშვნელობა არა აქვს. არიან ისეთი ელემენტები, რომლებიც უცილებელია მცენარისათვის.

იმისდა მიხედვით, თუ რა რაოდენობითაა საჭირო მცენარისა და ცხოველური ორგანიზმებისათვის, ეს ელემენტი ორ ჯგუფად იყოფა: პირველ ჯგუფს შეადგენს მ ა კ რ ო ე ლ ე მ ე ნ ტ ე ბ ი — აზოტი, ფოსფორი, ფალიუმი, კალციუმი, რკინა, ნახშირბადი და სხვ., მეორე ჯგუფს კი — მ ი კ რ ო ე ლ ე მ ე ნ ტ ე ბ ი, რომლებიც მცენარისათვის სულ უმნიშვნელო რაოდენობითაა საჭირო. ასეთებია, მაგალითად, ბორი, კობალტი, მოლიბდენი, თუთა, მანგანუმი, სპილენდი და სხვ.

ნაცრის ელემენტების სიმცირით გამოწვეული ავადმყოფობა შესაძლოა შემდეგი სახისა იყოს: როდესაც ნიადაგი ნაკლებ საკვებ მარილებს შეიცავს, ზოგიერთი ნაყოფი მაგრდება; ასეთი მოვლენა გავრცელებულია მსხლისა და კომშის ზოგიერთ ჯიშში: ნაყოფში მრავალი გაქვავებული კოლენქიმური უჯრედი იქმნება და ამის გამო ნაყოფი გემოს კარგავს.

საერთოდ, მარილების სიმცირითაა გამოწვეული სხვადასხვა მცენარის ჯგუფი, ნაგალობა ანუ განუვითარებლობა. ეს მოვლენა გავრცელებულია როგორც ერთშემსრული მცენარეებში, ისე მრავალშემსრული ხეხილზე და ტყის ჯიშებში.

ცალკე რომელიმე ნაცრის ელემენტის, მაგალითად, კალიუმის სიმცირით გამოწვეულია პურეული მცენარეების შრვანე ნაწილის არაჩვეულებრივი ჩამორჩენა. ეს ხდება მცენარის ნაყოფიანობის შემცირების ხარჯზე. ნაყოფების განუვითარებლობა ხშირი მოვლენაა ხეხილზე, აგრეთვე ძირხვენიანებისა და ტუბერიანი მცენარეებისათვის. ასეთი მცენარეები სუსტად განვითარებული და ავადმყოფობისადმი განწყობილნი არიან. კალიუმის სიმცირე იწვევს აგრეთვე ტყის ჯიშების ფოთლების თეთრ ლა-

ქიანობას, ტოტების კენჭეროების გახმობას, თამბაქოს ფოთლების და-
ხუჭუჭებას — დეფორმაციას (Potash starvation).

ფოსფორის სიმცირე შესაფერ დაღს ასვამს მცენარის განვითარებას,
ას იწვევს ფოთლების ხმობას, რაც მუდამ ფოთლის ფირფიტის კიდიღან
იწყება.

რკინის მარილების სიმცირე იწვევს მცენარეების ქლოროზს ანუ
ყვითას. იმავე მოვლენის გამოწვევა შესაძლებელია უგრეთვე კირის მა-
რილების სიჭარბით, წყლის პირობების დარღვევით და სხვ. გარეგნულად
ქლოროზით დაავადებული მცენარე აღვილი გამოსაცნობია. კენჭეროების
ფოთლები, ყლორტები და უგრეთვე ფოთლის ფირფიტაც მთლიანად გა-
ყვითლებულია, სიმწვანე ფოთოლს მხოლოდ ძარღვების მიმართულებით
აქვს შერჩენილი. რკინის სიმცირით გამოწვეული ქლოროზი ქლოროფი-
ლის განუვითარებლობით აიხსნება. ამ უკანასკნელის განვითარებისა-
თვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს რკინა. რაც შეეხება კირით
გამოწვეულ ქლოროზს, მისი წარმოშობისათვის მნიშვნელობა აქვს ნია-
ლაგში კირის შენაერთის სახეს, თუ იგი მცენარისათვის შესაფარისებელ
მდგომარეობაშია, ხსნადია — მცენარე უფრო ავადდება ქლოროზით,
ვიღრე მაშინ, როცა კირი არახსნად მდგომარეობაშია.

აზოტის სიმცირე მცენარის განუვითარებლობას იწვევს. აზოტი მცე-
ნარის ცილოგან ნივთიერებათა, პროტოპლაზმისა და სხვ. მთავარი შე-
მაღენელი ნაწილია. მისი სიმცირე, ცხადია, შესაფერისად იმოქმედებს
მცენარეზე.

აზოტის მარილების სიჭარბეც არანორმალურ განვითარებას იწვევს,
მაგალითად, აზოტის სიჭარბე მწვანე ნაწილების ძლიერ ზრდას და, სა-
ზოგადოდ ვეგეტაციის გაგრძელებას იწვევს, რაც მცენარისათვის ხელ-
საყრელი არ არის. მცენარის ძლიერი ზრდა უოველთვის მცენარის ნაყო-
ფიანობის ხარჯზე ხდება; ვეგეტაციის ხანგრძლივობისა და ძლიერი ზრდის
შედეგად მცენარის დაავადების შესაძლებლობა მატულობს.

ძლიერ ნაყოფიერ ნიადაგს ფასიციაცია ცაცის გაჩენას აწერენ, რო-
დესაც ყლორტები, ნაცვლად ცილინდრული ფორმისა, ბრტყელი, ბაფთი-
სებრი ხდება. ამავე რიგის მოვლენას ეკუთვნის უგრეთვე წიწვიან მცე-
ნარებზე მამრობითი ყვავილების (ქანცუცა) გადაქცევა გირჩებად. უკა-
ნასკნელში მიღებული თესლი განვითარების უნარს მოქლებული არ არის.

მიკროელემენტებისაგან ბორის მნიშვნელობა მცენარისათვის საკმაოდ
დიდია. იგი ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლას, ქლოროფიტის შექმნი-
სათვის აუცილებელია, ფერმენტებში შედის, მოსავლიანობას ზრდის
და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ ბორი მცენარეს მცირე რაოდენობით
ესაჭიროება, ხშირად ნიადაგში იგი ამა თუ იმ მცენარისათვის საჭირო
რაოდენობაზე მაინც ნაკლებია, მაშინ იგი იწვევს საერთოდ მცენარეთა
განუვითარებლობას და სხვადასხვა სახის დაზიანებას.

ჭარხლის ნათესებში ბორის სიმცირე იწვევს ძირხვენების გულის შშრალ სიღამპლეს. ამ შემთხვევაში ბორის სიმცირის გამო ძირხვენის გულის უჯრედების ნეკროზი ხდება, უჯრედები კვდება. ვაშლის ნაყოფებზე ბორი იწვევს ქსოვილების გაკორპიანებას, რაც სხვადასხვა სახით ვლენდება და სხვადასხვა სახელწოდებითაა ცნობილი (მშრალი ლაქიანობა, კორპოვანი გული და სხვ.). აქაც უჯრედების სიკვდილთან გვაქვს საქმე.

ბორის მარილების სიმცირე თამბაქოს მცენარეზე ზრდის წერტილის სიკვდილს იწვევს. ეს უკანასკნელი იწყება წვერის ფოთლების დეფორმირებით, ფუძირიან გაყვითლებით. საბოლოოდ მცენარის წვეროს ნაწილი კვდება. თამბაქოს ყვავილობის წინა პერიოდში ბორის მნიშვნელოვანი ნაკლებობა ყვავილების განვითარებლობას და ცვენას იწვევს.

ბორის სიჭარე ნიადაგებში მცენარისათვის შხამად ითვლება და ყველა შემთხვევაში მცენარე კვდება.

ცინკუმი ანუ თუთია მნიშვნელოვან მიკროელემენტად ითვლება. მის სიმცირეზე მცენარე აღვილად რეაგირებს ფოთლების გაყვითლების სახით. მაგალითად, ციტრუსებზე თუთის სიმცირე ფოთლების გაყვითლებას იწვევს. თუთისაგან გამოწვეული ციტრუსების სიყვითლე (foliocelesis) თითქმის ყველგანაა გავრცელებული. იწვევს ფოთლის ფირფიტის ძარღვებშუა მოთავსებული ნაწილების მკეთრ გაყვითლებას, ფოთლის ფირფიტის შევიწროებას, წვრილფოთლიანობას, მუხლთშორისების შემოკლებას; თუთის ძლიერი სინაკლულის დროს წვერის ტოტები ჩმება, რასაც ხშირად მოწვერა ტოტების განვითარება მოსდევს. ეს უკანასკნელი მოვლენა ჩევნი ლიმონებისათვის არასასურველია. ასეთი ტოტები წინასწარ განწყობილია მოყინვისა და ინფექციური დაავადებებისადმი (ჩმელი). ნაკოთი წვრილდება და სქელყანიანი ხდება.

თუთის სიმცირითაა გამოწვეული ე. წ. თეთრი აღმონაცენების განვითარება სიმინდის ნათესებში. აღმონაცენი ფაქტიურად ლია-ყვითელია, მცენარე განუვითარებელი რჩება და ტაროს არ იძლევა.

სპილენდის სიმცირე იწვევს ბოსტნეულ მცენარეთა არანორმალურ განვითარებას და უმთავრესად ტორფიან ნიადაგებზეა შემჩნეული. ნიადაგში სპილენდის სიმცირის გამო პომიდორი ზრდაში ჩამორჩება, ფესვთა სისტემა სუსტი აქვს, ყვავილები არ უვითარდება, ტორფიან ნიადაგებზე განვითარებული ხახვის ბოლქვები მოვყითალო ფერისა რჩება და ძალიან თხელი ქერცლი უვითარდება. ასეთი ბოლქვები სხვადასხვა მიკროორგანიზმების მოქმედების შედეგად აღვილად ლპება შენახვისას.

მანგანუმიც ნიადაგში შემავალ მიკროელემენტთა ჯგუფს ეკუთვნის. უმანგანუმობა ისეთ მცენარეებს უჭირთ, რომლებიც ორგანული ნივთიერებით მდიდარ, ტორფიან ნიადაგებზეა განვითარებული. მცენარე ზრდაში ჩამორჩება, ფოთლები უყვითლდება.


ხაწარმოო ნარჩენებით გამოწვეული შცენარეთა დაზიანებანი

ხშირია აგრეთვე სამრეწველო ანარჩენებისაგან მცენარეთა დაზიანება. ასე-
თებია, მაგალითად, დანაგვანება ქარხნების მიერ გამოყოფილი ანარჩენე-
ბით, ქვინასშირის ბოლოთ, რაც ხშირად ნისლისებრადა დაგროვილი და
სამრეწველო ქალაქებს ქუდივით ფარავს. ასეთი ანარჩენები მომშრამველად
მოქმედებენ როგორც მცენარეულ საფარზე, ისე ცხოველებზედაც. ასეთი
მავნე გამონაყოფება აგრეთვე ნახშირორ უანგი (CO_2), ნახშირის უანგი (CO),
ჟოგირდოვანი ანჰიდრიდი (SO_2), გოგირდწყალბადი (H_2S), ეთილენი. ზო-
გიერთი დეკორატიული მცენარე ამ მავნე გამონაყოფების შედეგად აღვი-
ლად ავადმყოფდება. ფოთლებზე მოწითალო-რტხი ნეკროზული ლაქები
უვითარდება, ფოთლები სცვივა კიდეც, ტოტები უხმება და შეიძლება
მცენარე მთლიანადაც გახმეს. ასეთი მოვლენები ხშირია ქარხნების ახლო
მდებარე ტერიტორიაზე,

დიდი ხანია შემჩნეულია საწვავი გაზის მავნე მოქმედება მცენარე-
ებზე. თუ გაზის ქსელის მიღები დაზიანებულია, მიწის ქვეშ გამოყოფი-
ლი გაზი მცენარის ფესვებზე მოქმედებს, აშთობს მას და საბოლოოდ
ახმობს. ამ გაზის შემადგენელი ნაწილისაგან უველაზე მოქმედია ეთი-
ლენი. ალსანიშნავია, რომ ფოთლოვანი მერქნიანი მცენარეები უფრო
მგრძნობიარენი არინ, ვიდრე წიწვოვანები; თუ ქსელის დროზე შეკ-
ოების შედეგად შეწყდა გაზის გა-
მოყოფა, ფოთლოვანები მაინც
იღუპებიან, წიწვოვნები კი საბო-
ლოოდ რჩებიან.

სხვადასხვა მცენარე გოგირდო-
ვანი ანჰიდრიდის მიმართ სხვადა-
სხვა გამძლეობას ამჟღავნებს. ძლი-
ერ მგრძნობიარეა იფანი და სოჭი;
მგრძნობიარეა ცაცხვი და ნაძვი,
ნაკლებ მგრძნობიარეა ფიჭვი, უთ-
ხოვარი, მუხა, თელა.

ამქამად მავნე სამრეწველო
გამონაყოფებისაგან მცენარეულო-
ბისა და ცხოველთა დაცვა, გამონა-
ყოფების მავნეობის ნეიტრალიზა-
ცია საჭირობოროტო საკითხადა
გადაქცეული ქალაქებსა და საც-
ხოვრებელ პუნქტებში ქარხნების
დამპროექტებელისათვის.



სურ. 13. ქარხნის მრეწველობის ნარჩენი
არით წიფლის ფოთლების დაზიანება.

ავადმყოფი მცენარის სიმპტომები

ავადმყოფი მცენარის სიმპტომების ანუ გარეგნული ნიშნების ცოდნა აუცილებელია მცენარის ავადმყოფობის დიაგნოზის დასაღენად. თუ მცენარის ავადმყოფობის მიზეზი ზუსტად არ იქნება გარკვეული, ისე მის საწინააღმდეგო ბრძოლის ღონისძიებებს ვერ დავადგენ, რეკომენდებული ბრძოლის მეთოდები ეფექტური არ მოგვცემს.

მცენარის ავადმყოფობის მიზეზის განსაზღვრისათვის დიდი მნიშვნელობა ეძლევა, როგორც ლაბორატორიულ ანალიზი, ისე ავადმყოფობის გარეგნულ ნიშნებს. როდესაც ორივე მხრივ ჩატარებული მუშაობის შედეგები ერთომეორეს დაემთხვევა, მაშინ მცენარის ავადმყოფობის დიაგნოზი დამაჯერებელია.

ვინაიდან ავადმყოფი მცენარისათვის დამახასიათებელია არანორმალური განვითარება, ბუნებრივია, რომ სიმპტომების შესწავლისას ყურადღება უნდა მივაჭიოთ ავადმყოფი მცენარის ორგანოების გარეგნულ ნიშნებს და მათ არანორმალურ განვითარებას. ავადმყოფობის სიმპტომების შესწავლისას ამა თუ იმ სიმპტომის მარტო საბოლოო სახე კი არ უნდა აიწეროს, არამედ სიმპტომის განვითარების ყველა ცვლილება და ყველა სტადია. ავადმყოფობის სრული ციკლის გავლის პერიოდში მომხდარ ყველა ცვლილებას — ს ი მ პ ტ თ მ თ კ თ მ პ ლ ე ქ ს ს უწოდებენ (ტალიევი). ყოველი ავადმყოფობის სიმპტომოკომპლექსის ცოდნა აუცილებელია, ვინაიდან მცენარის ისეთი ავადმყოფობები გვხვდება, რომელთაც გარეგნული სიმპტომები შეიძლება ერთნაირი ჰქონდეთ, მაგრამ, გამოწვეული იყოს სხვადასხვა მიზეზებით. პირუკუც ხდება, როდესაც გამომწვევი მიზეზები სხვადასხვაა, მაგრამ გარეგნული სიმპტომები კი მსგავსი აქვთ.

მცენარის ავადმყოფობის სიმპტომები, გარემო პირობების გავლენით პარაზიტისა და მკვებავი მცენარის ბიოლოგიურ თავისებურებებთან დაკავშირებით ხშირად ცვალებადია.

განვიხილოთ უმთავრესი სიმპტომები:

- დაავადებული მცენარის ორგანოების ფერის შეცვლა მთლიანად ან ნაწილობრივ.** აღნიშნული მოვლენა ბუნებაში ფართოდაა გაფრცელებული და სხვადასხვა მიზეზებითაა გამოწვეული (პარაზიტებით, ნიაღავიბრივი, მეტეოროლოგიური პირობებით და სხვ.). ყველა შემთხვევაში ფერის შეცვლა გამოწვეულია ქლოროფილის მარცვლების დაშლით ან განუვითარებლობით. არსებობს ფერის შეცვლა მთლიანი და ნაწილობრივი.

მთლიანად ფერის შეცვლის შესახებ როცა ვლაპარაკობთ, ისეთ მოვლენას ვგულისხმობთ, როდესაც დაავადებული ორგანო მთლიანადაა ფერშეცვლილი, სავსებით სხვა ფერი აქვს მიღებული: ყვითელი, წითელი, ნარინჯისფერი, რუხი ან სხვა რომელიმე. მაგალითად, ხეხილისა და ვაზის მწვავე ქლოროზის ტროს ფოთლები მთლიანად გაყვითლებულია, რაც ნიადაგის პირობებითაა გამოწვეული; ვირუსული ან მიუკლაზმური წარმოშობის სიყვითლე, ანუ ყვითა, ხშირია ბოსტნეულ და ველურ მცენარეებში: მცენარის მთლიანი გაყვითლება წყლის სიჭარბითაც შეიძლება იყოს გამოწვეული; ვაზის სიწითლე გამოწვეულია ნიადაგის პირობებით ან კიდევ პარაზიტული სოკების მიერ. სიყვითლე ზოგიერთ მცენარეში დაბალი ტემპერატურითაც შეიძლება იყოს გამოწვეული.

სითეთრე ანუ ალბინიზმი მცენარეების გათეთრებაა, მისი გამოწვევი მიზეზი ჯერ კიდევ არაა დადგენილი. ხშირია სიმინდის აღმონაცენზე.

ნაწილობრივი ფერის შეცვლას სიჭრელეს ანუ მოზაიკურობაც უწოდებენ. სიჭრელე, მრავალ შემთხვევაში, ვირუსული წარმოშობისაა და საკმაოდ გავრცელებულია. სიჭრელეს ქმნის ფოთლის ფირფიტაზე ერთმანეთში შერეული ნორმალური მწვანე და მკრთალი ყვითელი ლაქების განვითარება. ძის მაგალითებია სხვადასხვა მცენარეებზე გავრცელებული დავადებები (პომიდორის მოზაიკა, გოგროვანთა მოზაიკა და სხვ), რომლებიც ვირუსული წარმოშობისაა.

დეკორაციულ მებაღეობაში ფართოდაა გამოყენებული ჭრელ-ფოთლიანი მცენარეები, მაგალითად, ჭრელ ფოთლი ნეკერ ჩალი, რომლის ფირფიტა ნორმალურ მწვანე ნაწილთან ერთად ყვითელი ლაქებითაცაა დაფარული. ასეთივე ჭრელფოთლა Aucuba, ჭრელფოთლა ლაქაში (Arundo) და სხვ. ჭრელფოთლი-



სურ. 14. სიჭრელე - კარხალი.

აწობა, მართალია, ნაწილობრივად ამცირებს მცენარის სასიმილაცია ფართობს, მაგრამ ავადმყოფურ მოვლენად არ ითვლება. იგი მემკვიდრეობით გადადის. ჭრელფოთლიანობის მიზეზი ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული.

ფერის მთლიანსა და ნაწილობრივ შეცვლას შორის მქვეთრი საზღვრის გატარება ძნელია, რამდენადაც ნაწილობრივი ფერის შეცვლა შესაძლებელია მთლიანი ფერის შეცვლის დასაწყის სტადიას წარმოადგენდეს და შემდეგში მთლიანად ფერის შეცვლაში გადაიდეს. ასეთია, მაგალითად, ვაზის ქლოროზი, რომელიც წლის განმავლობაში ხშირად იცვლის ფერს, ინილბება და შემდევ ისევ გამომჟღავნდება.

სხვადასხვა მიზეზებით გამოწვეული ფერის შეცვლა არ უნდა აგვერიოს მცენარეების შემოღვიძეთ, ვეგეტაციის დასრულების შემდევ მცენარეების ფოთლის ფერის შეცვლაში, რაც ბუნებრივია—და ნორმალურ მოვლენად ითვლება.

2. ნეკროზი, ანუ ქსოვილების ან უჯრედების ჯგუფის სიკვდილი, ხშირი (ბერძნული Nekros — მკვდარი). მცენარეთა ავადმყოფობის სიმპტომებიდან ნეკროზი ხშირი და ფართოდ გავრცელებული მოვლენაა ბუნებაში. იგი მცენარის ყველა ორგანოზე გვხვდება. გარეგნულად ნეკროზი შესაძლებელია სხვადასხვა სახისა იყოს. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი მცენარეა მკვებავი, რომელი ორგანო დაავადებული და რა ფაზაში.

ნეკროზის ყველაზე გავრცელებული ფორმაა ლაქიანობა გამხმარი ნაწილების სახით ფოთლის ფირფიტაზე აღვილად შესამჩნევია. ტიპური ლაქა მკვდარ ქსოვილებისგანაა შემდგარი და ერთი-მეორისაგან განცალკევებულია, ამასთან სხვადასხვა ზომის, ფორმისა და შეფერგისაა. ხშირად გამხმარ ლაქას მოყვითალო ან მოწითალო არშია აქვს შემოვლებული. ლაქებშუა ქსოვილი ნორმალურია — მწვანე, ხელისშემწყობ პირობებში ლაქათა რიცხვი მატულობს და საბოლოოდ ფოთლის ფირფიტის უდიდეს ნაწილს ახმობს. ასეთი მკვდარი ქსოვილებისაგან შემდგარი ლაქების ზედაპირი ხან საღაა, ხან კონცენტრული ზონალობა ემჩნევა. ბევრ შემთხვევაში სხვადასხვა ფერის ფიფქითა და მეჭეჭებით შეიძლება იყოს დაფარული, რაც ლაქიანობის გამომწვევი სოკო ორგანიზმის ნაყოფიანობის მაჩვენებელია. თუ ლაქიანობა პარაზიტული ორგანიზმების მიერაა გამოწვეული, ლაქის არეში ქსოვილი გამხმარია, რაც პარაზიტი ორგანიზმების მცენარეზე ზემოქმედების შედეგია. ლაქიანობის მაგალითებად შეგვიძლია დავსახელოთ ვაზის ჭრაქ (Plas-viticola), ჭარხლის ცერკოსოპოროზი (Cercospora beticola), ფილოსტიქტიკა გვ. Phyllosticta წარმომადგენ.), სეპტორიოზები (Septoria) და სხვ.

ფოთლების ლაქიანობა შესაძლებელია გამოწვეული იყოს აგრეთვე


დაავადების გამოწვევი ორგანიზმების სხეულით ან ნაყოფიანობით — ფიფქით. მაგალითად, ნეკერჩელის ფოთლებზე ხშირია შავი ლაქიანობა (*Rhytisma acerina*). ლაქის შავი ფერი ამ შემთხვევაში ბარაზიტი სოკის მიცელიალური წარმონაქმნია — ს ტ რ ო მ ა. ასეთი ლაქები ხელის შეხებით ადგილი გამოსაცნობია. თითებშუა გასინჯვისას ლაქიანი ნაწილი უფრო სქელია, ვიდრე ფოთლის ფირფიტის სალი ნაწილი. ასეთივე *Polystigma rubrum*-ით გამოწვეული კურკოვანთა ფოთლების აუ ვ ა, რომელიც მოწითალო ნარინჯისფერ ლაქებს ავითარებს.

მცენარეზე ლაქიანობის გაჩენა ხშირად გარემო პირობების გავლენითაც ხდება. ასეთია, მაგალითად, მაღალი ტემპერატურის შედევრი გად ვაზის ფოთლების დაწვა, რომლებზედაც დიდი, მთავარ ძარღვებშუა მოთავსებული ლაქები ვთთარდება; ასევე ნიაღავის პირობებით გამოწვეული ლაქიანობა, მაგალითად, მიკროელემენტების სიმცირის შედევრად და სხვ.

ლაქიანობის წარმოშობის მიზეზების დადგენა უსათუოდ ლაბორატორიულ ანალიზს მოითხოვს.

3. ორგანოების დაშლა. ორგანოების ნაწილობრივი ან მთლიანი დაშლა ფართოდ გავრცელებული მოვლენაა. ორგანოების დაშლის სახელწოდებით ისეთი სიმპტომებია ნაგულისხმევი, როდესაც დაავადების გამო ქსოვილები, რომლებზედაც ავადმყოფობა მოდებული, იშლება ან ირღვევა. თუ ავადმყოფობა მთელ ორგანოზეა მოდებული, მაშინ მთლიან დარღვევებისთან გვაქვს საქმე; თუ ორგანო ალავ-ალავ იშლება და სალი ქსოვილი მარნც რჩება, ამას ნაწილობრივ დაშლას უწოდებენ, რამდენადაც ქსოვილების დაშლის შედევრად უჯრედები კვდება, ამ მოვლენას ნეკროზულ სიმპტომებთან ბევრი აქვს საერთო.

ორგანოების ნაწილობრივი დაშლის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ფ ო ო ლ ო ბ ო ს დ ო ც ხ ო ვ ო ბ ო ; კურკოვნების კლასტეროსპორიოზის (*Clasterosporium carpophilum*) შემთხვევაში ავადმყოფობის გამომეტავნებისთანავე დაზიანებული ქსოვილი კვდება, შრება და გამოვარდება სალი ნაწილიდან ან იშლება ისე, რომ ფირფიტა დაჩრე-




სურ. 15. ფოთლის ლაქიანობა.

ტილი. ოჩება. ხანდახან ფოთლების დაცხავება იმდენად ძლიერია, რომ ფირფიტა საფანტით დაცხერილულსა ჰგავს. ასეთსაც სურათს იძლევა ან-ტრაქნოზით (*Gloeosporium ampelophagum*) ვაზის ფოთლების დაგაღება. ნაწილობრივი დაშლის მაგალითად ითვლება აგრეთვე დაგადებულ ორგანოებზე, მეტადრე ნაყოფებზე: და ყლორტებზე, ლრმა იარების გაჩენა, რაც მაჩვენებელია პარაზიტული ორგანიზმის 'მოქმედებით ქსოვილების სიღრმეში დაშლისა. ამის მაგალითია ლობიოს ანთრაქნოზი (*Colletotrichum Lindemuthianum*), პომიდვრის ნაყოფების ბაქტერიული ლაქინობა (*Pseudomonas michiganensis*-ის) და სხვ.

ორგანოების მთლიანი დაშლის შემთხვევები უფრო ხშირია და მნიშვნელოვანი, ვიღრე ნაწილობრივი დაშლისა. საკმარისია დაგასახელოთ ხორბლეულთა გუდაფშუტოვანი ავადმყოფობები, რომელთა დროსაც თავთავში ყველა მარცვალი მთლიანად იშლება გარდა მარცვლის კანისა, ხორბლის სეელი გუდაფშუტები (*Tilletia tritici* Til levis), ხორბლის და ქერის მტვრიანა გუდაფშუტები (*Ustilago tritici*, *U. nuda*), სიმინდის ბუშტა გუდაფშუტა (*Sorosporium maydis*) და სხვა კიდევ ბევრი. გუდაფშუტოვანი სოკები, უმთავრესად, მარცვალს შლიან, შედარებით იშვიათად — თავთავსა და სხვა ორგანოებს.

მთლიანი დაშლის მაგალითია ლ პ ო ბ ა, რომელიც სხვადასხვა სახით გვხვდება. ლპობის სხვადასხვაობა დამოკიდებულია ლპობის პირო-



სურ. 16. ფოთლების ნაწილობრივი დაშლა კურკოვანთა კლასტეროსპოროზით.

ბებზე, მცენარის დავადებულ ორგანოებზე და ლპობის გამომწვევ არ-
განიშვების დიოქიდიური პროცესია და უსათუოდ მიკროორგანიზ-
მებითა გამოწვეული; ტენი და ტემპერატურა ხელშემწყობია ლპობისა
და არა მისი გამომწვევი.

ლპობას ორი სახით ვხვდებით — ს ვ ე ლ ი და მ შ რ ა ლ ი სახით.
ს ვ ე ლ ი ს ი დ ა მ პ ლ ე ისეთი პროცესია, როდესაც ლპობასთან
ერთად ტენი გამოიყოფა. მაგალითად, კარტოფილის სველი სიღამპლე
(Bact. corotovorus), ბატატის ტუბერების სველი სიღამპლე (Rhizopus
nigricans), ხეხილის ნაყოფების სველი სიღამპლე (Penicillium) და სხვ.
ამ შემთხვევაში ლპობის მექანიზმი იმაში მდგომარეობს, რომ სოკო
გამოყოფს ჰიდროლიზურ ფერმენტებს (პექტინაზას, ჰიდროლაზას). აღ-
ნიშნული ფერმენტები პექტინოვან ნივთიერებებს შლის, რის შედეგადაც
ტენი გამოიყოფა.


მ შ რ ა ლ ი ს ი დ ა მ პ ლ ი ს მაგალითია კარტოფილის ტუბერე-
ბის ფუზარიოზი (Fusarium solani), რაც საწყობებშია გავრცელებული.
მშრალად დამპალი ტუბერი მაგრდება, რაც გამოწვეულია ტუბერის ქსო-
ვილების სოკო Fusarium solani-ის მიცელიუმით გამოვსებით, შემურვით
ან მუ მი ფ ი კ ა ც ი ი თ. მუმიფიკაციის მაგალითია აგრეთვე ხეხილის
ნაყოფების სიღამპლის (Stromatina fructigena) განვითარება საწყობებში
(შავი სიღამპლე).

სხვადასხვაგარი სიღამპლე ფართოდაა მოდებული მერქნიან წმცენა-
რებზე (ტყის ჯიშებზე, ხეხილზე). მერქნის ლპობა გამოწვეულია სოკო-
ორგანიზებით, რომლებიც მერქნის ძირითად შემადგენელ ნაწილს —
ცელულოზას შლიან, მერქნის აფუტუროებენ და როგორც მექანიკურ,
ისე ფიზიკურ თვისებებს უკარგავენ. გაფუტუროებული, დაშლილი მერ-
ქნი მიკროსკოპში ჩამოინახოს, აშკარად ჩანს დაშლილი უჯრედების.
გარსის ნაგლეჯები და სოკოს პიფები. მერქნის დაშლელი სოკოები აბედა
სოკოებში შედიან (Polyporaceae).

4. ჭკონბაც ხშირად გვხვდება და სხვადასხვა მიზეზებითაა გამოწვე-
ული. ალსანიშნავია ორი ტიპის ჭკონბა: მცენარის ალმონაცენისა ან ჩითი-
ლისა, რომელიც „ჩ ი თ ი ლ ე ბ ი ს ჩ ა წ ი ლ ი ს“ სახითაა გამოვ-
ლენილი და მოზრდილი მცენარეების ჭკონბა.


ჩითილების ჩაწლას, უმეტესად, სათბურებში ან კვალსათბურებში
ვხვდებით და გამოწვეულია მაღალი ტემპერატურის მოქმედებით, ისიც
ისეთ სათბურებში, სადაც განიავება, ანუ ვენტილაცია არ ხდება. ნიადა-
გის ზედაპირი ხურდება, ჩასაც ალმონაცენის ან ჩითილის ნაზი ღეროს
ფესვის ყელი ვერ უძლებს, ითუთქება, მცენარე ჭკნება ზა წაიქვევა.

სათბურებში ასეთივე მოვლენა სოკოებითაცაა გამოწვეული (Pyth-
ium de Barianum, Fusarium-ი და სხვ.). განსხვავება ისაა, რომ დაწ-
ვით ანუ მაღალი ტემპერატურით გამოწვეული ჩითილების დაღუპული



სურ. 17. ჩითილების ჩაწოლა:

1. პითიუმი.
2. ალტეონარია.
- 3 — ბოტრიცისი.
4. — ფუზარიუმი.



სურ. 18. — პომიდორის ჭკნობა.

აღმონაცენები გაფანტულია მთელ სათბურში; სოკოებით დაავადების შემთხვევებში კი მცენარეები ჯგუფურად წვება და კალოსებრ იღვილებს ქმნის.


ჭკნობა შეიძლება გამოწვეული იყოს უწყლობით, როდესაც მცენარე ნიადაგიდან საკმარის წყალს ვერ იღებს, ტრანსპირაციის დროს დაკარგ გულ წყლის ოდენობას ფესვებიდან ველარ ავსებს, იგი კარგავს ტურგორს, ფოთლები და ყლორტები უდუნდება. ასეთი ჭკნობა წვერიდან იწყება და საბოლოოდ ქვედა ფოთლებზედაც გადადის. თუკი მცენარე დროზე მოირწყვება, ჭკნობა ქრება და მცენარე ნორმალურ მდგომარეობას აღადენს. ხშირია პარაზიტული ორგანიზმების მიერ გამოწვეული ერთ ან მრავალწლიანი მცენარეების ჭკნობა. ამ შემთხვევაში საინფექციო საწყისი მკვებავი მცენარის ღეროში იჭრება, მის ჭურჭლებში ვრცელდება, ვითარდება და საბოლოოდ გამტარი ჭურჭლების ანუ ტრაქეების დაცობას იწევეს, რის გამოც ფოთლების წყლით მომარაგება მცირდება, წყლის ნაკლებობის გამო ტურგორიც მცირდება, მცენარე ჭკნება და შემდეგ

კვლება. არჩევენ ორნაირ ჭინობას: ტრა-ქეომი მიკოზულს, როდესაც ჭურჭლების დაცობის მიზეზი სოკოვანი ორგანიზმებია, და ტრა-ქეობა ქტერიოზულს, როდესაც ჭინობა ბაქტერიების მიერაა გამოწვეული. ჭინობის მაგალითებია ციტრუსოვანთა ხმელა ანუ მალსეკო (*Phoma tracheiphila*), პომილვრის ჭინობა, ბამბის ჭინობა (*Verticillium dahliae*), ბაქტერიების მიერ გამოწვეული ჭინობა კარტოფილისა (*Bact. solfanacearum*) და სხვა.

ჭინობა შეიძლება გამოწვეული იყოს მცენარის სხეულში შეჭრილი მიკროორგანიზმის მეტაბოლიზმის შედეგად გამოყოფილი ტოქსინებისა, ანუ შხამისგან. ტოქსინები შეჭრების წევნთან ერთად აღვილად გაღაინაცვლებენ მთელ სხეულში და მის ინტოქსიკაციას / ანუ საერთო მოწამვლას იწვევენ. ეს ჭინობისახით ვლინდება.

5. ორგანოების დეფორმაცია. აქ დაავადების ისეთი შემთხვევებია ნაგულისხმევი, როდესაც დაავადებული ორგანოს ფორმის შეცვლა ხდება. ამის მაგალითებია:

a). ფოთლების სისტემაზე. იგი მეტად გავრცელებული მოვლენაა და გამოწვეულია ფოთლის ფირფიტის ქსოვილების არათანაბარი განვითარებით; ზოგ შემთხვევაში სეეტური ან მესრისებრი პარენქიმაა განვითარებული, ზოგან ფაშარი, ზოგან ერთმანეთშია არეული, რის შედეგადაც ფოთლის ფირფიტაზე უსწორმასწორო ზედაპირი იქმნება და საბოლოოდ მთლიანად ან ნაწილობრივ ხუჭუჭდება. ამის ტიპური მაგალითია ატმის ფოთლის სიხუჭუჭები გამოწვეული ტიტველჩანთიანი სოკოს *Taphrina deformans*-ის მიერ. ხშირია აგრეთვე ვირუსული ავადმყოფობების მიერ გამოწვეული ფოთლების დახუჭუჭებები (კარტოფილის, ჭარხლის და სხვათა ფოთლების სიხუჭუჭები). ხშირია და სიხუჭუჭების იწვევას ატმის ბუგრი. მათი გარჩევა სოკოვანი სიხუჭუჭებისაგან აღვილია, რამდენადაც დახუჭუჭებებულ ფოთლებზე უკანასკნელ შემთხვევაში ბუგრებია დასახლებული.



სურ. 19. ატმის ფოთლის სიხუჭუჭები.



სურ. 20. ბალტიკურის ყვავილების დეფორმაცია.

ორგანოების დეფორმაციის მაგალითად ითვლება გვ. ე. დ. ე. ლ. ა. ფოთლები, როდესაც დაზიანების გამო ფოთლის ერთი მხარე ჩამორჩენილია ზრდაში, მეორე კი ნორმალურადაა განვითარებული. ასეთი დეფორმაცია ხდება, მაგალითად, თუთის ბაქტერიოზით, აგრეთვე ვირუსული ავაღმყოფობებით დაავადების დროს.

დეფორმაციას უკავი ილებზე და ც ვ ხ დ ა ც ვ ხ დ ე ბ ი თ. იგი სხვადასხვა მიზეზებით შეიძლება იყოს გამოწვეული. მაგალითად, პომიდვრის ქაჩალათი ანუ სტოლბურით დაავადებისას (მიკოპლაზმური დაავადებაა) ყვავილების სრული დეგენერაცია ხდება. ორმაგი ყვავილსაფარი და სქესობრივი ნაწილი — ბუტკო და მტვრიანები — ყველა ჯამის ფოთლები შეიზრდება და მწვანე რჩება, ყვავილის განაყოფიერება არ ხდება. გამონაკვული ნაყოფი მახინჯდება, უგემურდება.

მცენარეების სიმახის ცნობილი მოვლენაა. ასეთებია, მაგალითად, ყვავილების პროცენტი და ისევ კაცია, რაც იმაში მდგომარეობს; რომ ყვავილი თავის განვითარებას კი არ ამთავრებს, რომ განაყოფიერებისათვის მომწიფდეს, არამედ განაგრძობს ზრდას. ყვავილის სქესობრივი ნაწილისაგან ისევ ყლორტი ვითარდება. ასე, მაგალითად, წიწვოვანთა გირჩა ხშირად წევერისაგან ისევ ყლორტს ივითარებს, სიმინდის ტაროსაგან ღერო ვითარდება, ვარდის ყვავილისაგან. — ისევ ყლორტი და ა. შ. ყველა შემთხვევაში ყვავილი, როგორც მცენარის რეპროდუქციის ორგანო, თავის ფუნქციას კარგავს, ნაყოფსა და თესლს არ ივითარებს. პროლიფიკაციის გამომწვევი მიზეზი ჯერ კიდევ არაა გარკვეული.

ნაყოფების დეფორმაცია
ხშირია, ამის საუკეთესო მაგა-
ლითა კურკვანთა ბოყი,
რომელიც ახალგაზრდა მკვა-
ხე ნაყოფებზე გვხვდება (*Taphrina pruni*). მას იწვევს
ტიტველჩანთიანი სოკო, რო-
მელიც ნაყოფს ჯერ კიდევ ნა-
სკვის ფაზაში აავადებს. შეჭ-
რილი სოკო ნაყოფის ქსოვი-
ლის ძლიერ ზრდას იწვევს.
ნაყოფს კურკა არ უვითარდე-
ბა, დიდდება. ასეთი ნაყოფი
ბოყის სახელშობებითაა
ცნობილი. იგი ნორმალურ
ნაყოფებთან შედარებით უფ-
რო დიდია.

სოკო ორგანიზმებით და-
ვადებისას ხშირი მოვლენაა
გვერდელა ნაყოფების
განვითარება. თუ პარაზიტი
ნაყოფს ცალი მხრიდან აზია-
ნებს, დაავადების ადგილზე,
პარაზიტის მოქმედების გამო ქსოვილი ვეღარ იზრდება, ვეღარ ვითარ-
დება. მოპირდაპირე მხარე კი ნორმალურად ვითარდება, რის შედეგადაც
გვერდელა ნაყოფი მიიღება. უკანასკნელის საუკეთესო მაგალითია ვაშ-
ლის ქეცით (*Venturia inaequalis*) მკვახე ნაყოფების დაავადება. ამის
შედეგად შემდგომ არასტანდარტულ ნაყოფს ვიღებთ. დეფორმირებულ
ნაყოფს სასაქონლო ლირებულება დაკარგული აქვს.

ნაყოფების თავისებური დეფორმაციის მაგალითია ხორბლეულთა
ჭვავის რქა ანუ ჭვავილა (*Clav. purpurea*). აქაც ნაყოფი ჯერ კი-
დევ ნასკვის ფაზაში ავადდება. შეჭრილი სოკო სწრაფად ვითარდება:
იგი პირველ ხანებში ნასკვის ქსოვილის ზრდის სტიმულაციას იწვევს.
ნასკვი გრძელდება, მის მფარავ კილებს ასცდება და საბოლოოდ მის ქსო-
ვილს სოკო მთლიანად იყენებს. ჭვავის რქა სოკოვანი ქსოვილისგანაა
შემდგარი. იგი უკვე მიცელიუმის სახეცვლილებად — სკლეროციუმა-
ლაა გადაქცეული, თუმცა გარეგნულად მარცვლის ფორმა მაინც შენარ-
ჩუნებული აქვს.

ავადმყოფობის გავლენით ყლორტებისა და გამერქნებული ტოტების
დეფორმაციაც ხდება. მაგალითად, ყლორტების ფასციაცია გვხვდება.



სურ. 21. პროლიფიკაცია.




სურ. 22. ნაყოფების დეფორმაცია. ქლიავის ბოყი.

„ქაჯის ცოცხების“ სახელწოდებითა ვითარება : ფოთლოვანი ჯიშების მრავალწლიან ტოტებზე გვხვდება. მეტებანში შეჭრილი სოკო აღიზიანებს მცენარის ქერქის ქსოვილებს, რის გამოცემერქში არსებული მძინარე კვირტები იღვიძებენ და ერთი ადგილიდან მრავალ სუსტ ტოტებს ავითარებენ. გარეგნულად მართლაც დაზიანებული ტოტი ხეზე მიმაგრებულ ცოცხს მოვგაონებს. დეფორმაცია გამოწვეულია ტიტეველჩანთანი სოკოების მიერ — *Exoascus carpi* — რცხილაზე, *Exabetulinus* — არყზე და სხვ.

წიწვიან ჯიშებზე, მაგალითად, ფიჭვზე, კვიპაროსზე, იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება „ქ ა კ ი ს ც ო ც ხ ე ბ ი ს“ მავგარი დაზიანებანი. იგი ტოტებზე მუხლების, მუხლთშორისების და წიწვების და-

იგი შეიძლება იყოს როგორც პარაზიტული წარმოშობის, ისე ნიადაგის პირობებით გამოწვეულიც და ვირუსულიც. ფასციაცია ყლორტის ისეთ დეფორმაციას ეწოდება, როდესაც ცილინდრული აგებულების ღერო ბრტყელდება და ისეთ ფორმას იღებს, თითქოს ერთ სიბრტყეში რამდენიმე ღერო იყოს შეზრდილი. გაბრტყელებულ წვეროზე ბორცვების სახით რამდენიმე ზრდის კონუსი ემჩნევა. დეკორატიულ მცენარეებში ფასციაცია ვირუსული ავადმყოფობითაცაა გამოწვეული.

გამერქნებული ცოცხების დეფორმაცია ხშირია და ცნობილი. ქაჯის ცოცხების გან-



სურ. 23. ქაჯის ცოცხი.

მოკლებითაა განვითარებული და არა მძინარე კვირტებით, რომლებიც წიწვიანებს, საერთოდ არა აქვთ. მისი მიზეზი ჯერ კიდევ დადგენილი არაა, გარდა „სოჭის ქახის ცოცხისა“, რომელიც უანგა სოფოს მიერაა გამოწვეული (*Melampsorella caryophylacearum*). იგი აქაც მუხლო-შორისებისა და წიწვების შემოკლების შედეგად და არა მძინარე კვირტების განვითარებისა.

ფესვების დეფორმაციაც ხშირი მოვლენაა. იგი სხვადასხვა სახისაა. მაგალითად, ჭარხლის კალიფორნიული ავადმყოფობის დროს ძირხვება ფესვის ნორმალური სახე იცვლება და გვერდის ფესვებს იძლევა ისე, რომ ფუნქა ფესვს მოგვაგონებს.

ბოსტნეული კულტურების — პომიდვრის, კიტრის, წიწავისა და სხვა-თა ნემატოდებით დაავადებისას ფესვები იცორდება და ხშირად იმდენად ძლიერ, რომ ფესვი თითქოს ძეწვებად შეკრულ კორძებისაგანაა შემდგა-რი.

6. ორგანოების პროგრესული გაზრდა სხვადასხვა მიზეზებითაა გა-მოწვეული. ამ შემთხვევაში ისეთი მოვლენა იგულისხმება, როდესაც დაავადებული ორგანო ან მისი ნაწილი იზრდება, სივდება, უჯრედების რიცხვის (პიპერპლაზია) ან უჯრედების ზომის (პიპერტროფია) გადიდე-ბის გამო. ასეთი მოვლენები ხშირად მცენარეზე ბაქტერიების მოქმედებითაა გამოწვეული, მაგალითად, ხეხილის ფეს-ვის კიბო (*Agrobacterium tumefaciens*), რომელიც ფესვებზე დიდ კორძებს ქმნის. ბაქტერიების ზეგავლენით უჯრედების რიცხვი მატულობს, ეს ჰი ჰი ჰი ჰი ა-ზ ი უ რ ი მოვლენაა. პარკონის მცენარე-თა ფესვთა სისტემაზე დასახლებული კო-ურა ბაქტერიები (*Pseudomonas radici-cola*) კორძების წარმოქმნას იწვევენ. ამ შემთხვევაში დაზიანების ადგილზე იზრ-დება უჯრედებისზომა და არა რიცხვი; ეს ჰი ჰი ჰი ჰი ფი უ ლ ი მოვლენაა.

ორგანოების პროგრესული გაზრდის მაგალითად შეიძლება დაგასახელოთ სხვადასხვა ნივთიერების მოქმედებით გამოწვეული ზრდა მცენარეებისა. მაგა-ლითად, ტრიპტოფანი, ფენილმჶრის მჟავა იწვევს მცენარეთა ფესვებზე გა-ლების შექმნას. ჩვეულებრივი ჰერბი-



სურ. 24. ორგანოების პროგრეს-ული გაზრდა. ფესვის კიბო ჭარხლის ძირხვენაზე.



სურ. 25.—ხახვის ყვავილების ღა.
როს ფასცაცა

ან მთელი მცენარის ატროფია, განუვითარებლობა ან ჯუჯობა. ხშირია და აუადებული მცენარის ღა მისი ორგანოების ზრდაში ჩამოტკიცვა და დაზიანება. ამის გამო აღვილად ავადდება სხვა დასხვა ორგანიზმების მოქმედების შედეგად, მაგალითად, ლიმონების ხმელათი (*Phoma tracheiphila*).

ორგანოების პროგრესული ზრდის საწინააღმდეგო მოვლენებიც გვხვდება, მაგალითად, ატროფია ანუ განუვითარებლობა. აქ იგულისხმება როგორც ცალკეული ორგანოს, ისე მისი ნაწილის

განსაკუთრებული დეფორმაცია ყლორტების ფარდი ღერო, ნაცვლად ცილინდრული ფორმისა, ბრტყელდება, ზრდის წერტილზე რამდენიმე კონუსი იქმნება. ასეთი ყლორტი შეიძლება წარმოშობილი იყოს სხვადასხვა მიზეზებით: ვირუსული ავადმყოფობით, კვების პირობებით (სურ. 25.).

გარემო პირობებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მცენარეთა განუვითარებლობაში ანუ ჯუჯობაში, მაგალითად, ტენს, კვების რეჟიმს, მეტეოროლოგიურ პირობებს. ყურძნის მტევნებში ზოგიერთი მარცვალი განუჭითარებელი რჩება გაუნაყოფიერებლობის გამო, რაც ხშირი წვიმების ბრალია. ასეთი მარცვალი, საღ მარცვალთან შედარებით, წვრილია. ამ მოვლენას ევროპითაც უწოდებენ.

ციდის 2—4D მოქმედებით მცენარეთა ქსოვილები ძლიერ იზრდება (სტეკმენი და ჰარარი).

ბრინჯის ჰიბრიდულობით (Giberella oryzae) მცენარის ზრდის სტიმულაციის ძლიერება. დაავადებული ბრინჯის მცენარე ნათესებში საკმაოდ აღვილად გამოირჩევა თავისი არაჩვეულებრივი სიმაღლით.

ძლიერი ზრდის მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ მცენარეზე მოზვერა დუუების განვითარება, ნიადაგის პირობებით თუ მძიმე გასხვლით გამოწვეული. მოზვერა დუუები, ძლიერი ზრდის გამო, ფაშარი ქსოვილისაგანაა შემდგარი, დიდი რაოდენობით წყლის შემცველია, რაც მცენარის ყინვაგამძლეობას ამცირებს. ამის გამო აღვილად ავადდება სხვა დასხვა ორგანიზმების მოქმედების შედეგად, მაგალითად, ლიმონების ხმელათი (*Phoma tracheiphila*).

ავაღმყოფობის სიმპტომები შეიძლება წარმოქმნას გამომწვევი ორგანიზმების ნაყოფიანობის განვითარების გამო, ამის მაგალითებიც ბევრ გვხვდება ბუნებაში. მაგალითად, უანგაროვანი სოკოებით დაავადების დროს ავაღმყოფობის სიმპტომად მხოლოდ მცენარის ზედაპირზე უანგისფრი ან შავი, კარგად შესამჩნევი მეჭიერება ია მიღებული. ეს უკანასკნელი სოკოს ნაყოფიანობაა; ასეთივე წარმოშობისაა მცენარის ზედაპირზე განვითარებული სხვადასხვა ფიფი ქი, რომელიც დასაწყისში თითქოს ლაქობრივია, მაგრამ შემდეგ მთელ მცენარეს ედება. მაგალითად, ნაცროვანი სოკოების (*Erysiphaceae*) სიშავის გამოწვევი სოკოები (*Perisporiaceae*).


შერქნიანი ჯიშებისათვის აბედა სოკოებით დაავადების საუკეთესო და დამაჯერებელ სიმპტომად ითვლება ხის მთავარ ღეროზე ან დედატოტების ფესვზე სოკოს ნაყოფსხეულების განვითარება, მაგალითად, წიფელზე — აბედა სოკო, ფიჭვზე — ტრამეცესი, თუთაზე — *Polyphorus hispidus* და სხვ. თუ ხე დაავადებულია აბედა სოკოებით და ნაყოფსხეულები არაა ჯერ განვითარებული, მაშინ ავაღმყოფობას აღგენენ მთავარ ღეროზე ჩაქუჩის შემოკვრით; თუ ღეროს ცენტრალური ნაწილი ყრუ ხმას იძლევა, ეს გულის სიღამპლის მაჩვენებელია, თუ მკვეთრს — საღია. ეს ნიშნები კოველვის არა დამაჯერებელი. თუ ღეროზე ავაღმყოფობა ახალმოდებულია, მაშინ საჭირო ხდება ღეროს განაკვეთის ანალიზი.



სურ. 26. ხორბლეულის უანგას მეჭიერები



სურ. 27. გაშლის ყლორტების ნაცრის ფიფქით დაფარვა



სურ. 28. მცენარის მერქანზე განვთა-
რებული აღდა სოკოს საყოფსხეული

სებრი დაზიანება ღეროს მთლად აქვს შემოვლებული გარშემო, მაშინ
ხის ის ნაწილი, რაც დაავადებული აღგილის ზემოთაა მოთავსებული,
კვდება.

წ ვ ე ნ ი ს და წ ე ბ ი ს დენც ავადმყოფობის ჩევეულებრივ სიმპ-
ტომად ითვლება. წვენის დენას ისეთ შემთხვევას ვუწოდებთ, როდესაც
გამოყოფილი სითხე თხიერად რჩება და, შეიძლება ითქვას, იღვრება.
ამის საუკეთესო მაგალითია კორპის მუხის მელნისებრი ავადმყოფობა,
რომელიც *Phytophthora cinamomi*-ითა გამოწვეული. მუხის ქერ-
ქის ზედაპირზე, ინფექციის აღილიდან გამოიყოფა უფერული სითხე,
რომელიც ჰაერზე იუანგება და შავდება. გამოყოფილი სითხე ჩამოლგრი-
ლია ღეროზე და გაშავებული.

წებოს დენა ანუ გ უ მ ფ ი ს ი (ჰომოზი) ისეთი მოვლენაა, როდესაც
მცენარე დაავადებული აღგილიდან წებოს გამოყოფს. უკანასკნელი
მეტრივ კონსისტენციისა და ხშირად მაგრდება, მაგალითად, ქურქოვა-
ნებზე გამოწვეულია *Leucostoma macincta*-თი, კიტრუსებზე — ჰუმოზი
(*Phytophthora citrophthora*) წაბლზე და სხვ. წებო დასწყისში ღია
მოყვითალოა, შემდგომ კი თანდათან მაგრდება და მუქდება, მოყავისფრო
ხდება.

წებოს ფისის გამოყოფა ხშირია, განსაკუთრებით ფიჭვზე, ნაძვზე. სა-
ზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ წებოს გამოყოფა დაავადების ან დაზია-
ნების შემთხვევაში მცენარის თავდაცვით რეაქციას უნდა მიეკუთვნოს.

მცენარეთა ავადმყოფობის სიმპტ-
ომებში კი ბ ი ს განსაკუთრებული
აღგილი უკავია. კიბოსებრ დაავადე-
ბის ნიშნად ითვლება ხის მთავარ ღე-
როზე ან დედა ტოტებზე ისეთი სხვა-
ღასხვა ზომის იარების გაჩენა, რომ-
ლის პერიფერიაზე, საღი ნაწილის სა-
ზღვარზე, მცენარის მიერ კალუსია
წამოზრდილი, თითქოს ჭრილობა
უნდა შეხორცდესო. ასეთი კიბო-
სებრი სიმპტომი წარმოშობილია
როგორც ყინვების, ისე მაღალი ტემ-
პერატურის შედეგად ქერქის დაწვის-
ას, მაგრამ პარაზიტული სოკოებითაც
შეიძლება იყოს გამოწვეული, მაგალი-
თად, *Nactria*-თი. რამდენადაც კიბო
მერქანზე ძლიერაა მოდებული, დი-
დი ფართი უკავია — მისი გავლენა
მცენარეზე უფრო ძლიერია. თუ კიბო-
სებრი დაზიანება ღეროს ძლიერია.

სურ. 28. მცენარის მერქანზე განვთა-
რებული აღდა სოკოს საყოფსხეული

მცენარის ავადმყოფობათა სიმპტო-
მების გაცნობით ირკვევა, თუ რამდე-
ნად ნაირსახოვანია ეს ნიშნები. აქ, რა
თქმა უნდა, ყველა შემთხვევა არა
ამოწურული, წარმოდგენილია მხოლ-
ოდ მოკლე ცნობები უმთავრეს სიმპტ-
ომებზე, რომლებიც ბუნებაში განსა-
კუთრებით ხშირად გვხვდება.

Protophyta — პროტოფიტები და მათი დახასიათება

უმდაბლეს მცენარეთა შორის ყვე-
ლაზე მარტივ ფორმებად *Protophyta* — პროტოფიტები ჯგუფში შემა-
ვალი წარმომადგენლები ითვლებიან,
რომელთაც მემბრანიანი ბირთვი ბირ-
თვაკით არა აქვთ და ბირთვის მაგივრ-
ობას ეწევიან ციტოპლაზმაში ჩართ-
ული შავი სხეულაკები. გამრავლები-
სათვის სპეციალური ორგანოები არ
გააჩნიათ. მრავლდებიან უბრალო და-
კვირტვით ან დაყოფით. ამით გან-
სხვავდებიან უმდაბლეს მცენარეთა
მეორე ჯგუფის ე. წ. *Thalophyta*-საგან, რომელთაც კარგად განვითა-
რებული მემბრანიანი ბირთვი — ბი-
რთვაკით გააჩნიათ; უჯრედების დაყო-
ფა კარიოკინეზის გზით ხდება. სხვა-
დასხვა სახის სქესობრივი და უსქესო
გამრავლების ორგანოებს ავითარებენ.

Protophyta-ში გაერთიანებულია: ბაქტერიები, აქტინომიცეტები ანუ
სხივური სოკლები, მიკობლაზმური ორგანიზმები, რიკეციები. ყველა ამ
წარმომადგენელს, მართალია, ბევრი რამ საერთო თვისებები აქვს, მაგ-
რამ ანატომიურ-მორფოლოგიური თვისებებით ერთმანეთისაგან მკვე-
თრად განსხვავდებიან. იმდენად მცირე ორგანიზმებია, რომ ელექტრონ-
ული მიკროსკოპის გარეშე მათი შესწავლა შეუძლებელია.

1. ბაქტერიები. ესენი ყველაზე დიდი ჯგუფია.

2. მიკობლაზმები. მიკობლაზმა იწვევს მცენარეების და, უმთავრესად,
ცხოველთა დაავადებას. პოლიმორფული ორგანიზმებია, მრავლდებიან
დაყოფით. უკნასკნელ პერიოდშია აღმოჩენილი და მათი ბიოლოგიიდან
მეცნიერებისათვის ბევრი რამ ჯერ კიდევ უცნობია.



სურ. 29. მეტენიან მცენარეთა შავი
კიბოს რარები

მიკოპლაზმურ ორგანიზმებს იხილავდნენ ყოველთვის ვირუსულ ავად-მყოფობებთან ერთად, რამდენადაც მათ ბიოლოგიურ თვისებებს შორის მსგავსებას ამჩნევენ: ფილტრაბელობას, ბუნებაში გადამტანი მწერებით გავრცელებას, რაც, ჩვენის აზრით, მათი ერთმანეთთან დაკავშირებისათვის საკმარისი არ უნდა იყოს; მათ ბაქტერიებთან უფრო მეტი კავშირი აქვთ, ვიდრე ვირუსებთან, კერძოდ, სხეულის აგებულებით, უჯრედული ფორმით, კარგად განვითარებული გარსით, გამრავლების ფორმით (დაკვირტვით ან დაყოფით), ხელოვნურ სუბსტრატზე გამრავლებით, უჯრედის შიგთავსით. არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი ნიშანთვისება ვირუსს არ გააჩნია: უჯრედული არაა, გამრავლება ანუ მათი რეპროდუქცია სულ სხვა წესით ხდება.

3. სხივური ხოკოები. *Actinomycetes*.

4. რიკეციები განსაკუთრებული ორგანიზმებია, მეტად წვრილი, ცხოველურ ორგანიზმებს აავადებენ. ადამიანის პარტახტიანი სახადი გამოწვეულია რიკეციების მიერ (*Rickettsia prowazekii*). სახელი შერჩეულია იმ მეცნიერების საპატივცემლოდ, რომლებიც ამ ორგანიზმების შესწავლისას ჩატარებული ცდების დროს თვითონ დაავადდნენ და შემდეგ დაიღუპნენ კიდეც. პირველი იყო ამერიკელი მკვლევარი ჰოვარდ ტეილორ რიკეციები და მეორე — პამბურგელი მეცნიერი სტანისლავ პროვაჩეკი. მათ სხეულის აგებულებით და თვისებებით გარდა მავალი აღვილი უკავიათ ვირუსებსა და ბაქტერიებს შორის. ვითარდებიან ხელოვნურ სუბსტრატზე. აღსანიშნავია ორი გვარი: ფილტრადი — *Coxill* და არაფილტრადი — *Rickettsia*.

5. ვირუსები — ულტრამიკროსკოპული, მფილტრავი წარმონაქმნებია, რომელთაც ჯერ კიდევ არ თვლიან ცოცხალ ორგანიზმებად, თუმცა თავისი მოქმედებით და ქიმიური შედგენილობით ბევრი რამ აქვთ მათთან საერთო. იწვევენ როგორც მცენარეების, ისე ცხოველების და ადამიანის დაავადებებს. ვირუსებს ეკუთვნიან აგრეთვე ბაქტერიოფაგები, რომლებსაც ბაქტერიების ვირუსული ავადმყოფობების მიზეზად თვლიან.

ზემოთ ჩამოთვლილი ჯუფებისაგან ჩვენ განვიხილავთ ყველაზე მრავალრიცხვან კლასს — ბაქტერიებს, რომელთაც ბიოლოგიური, ბიოქიმიური თვისებებით ბევრი რამ აქვთ საერთო. მეცნიერება ბაქტერიების შესახებ ბაქტერიოლოგიის სახელწოდებითაა ცნობილი და იგი მიკრობიოლოგიის ნაწილს წარმოადგენს.

ბაქტერიები — *Bacteria*

ბაქტერიები მცენარეთა უმარტივესი ორგანიზმების წარმომადგენლებია და შიზომიცეტესების კლასში შედიან. მათი როლი სახალხო მეურნეობაში და საერთოდ ბუნებაში მეტად დიდია. ისევე როგორც სხვა ცხოველურ და მცენარეულ ორგანიზმებში, აქაც გვხვდებიან როგორც

სასარგებლო, ისე მავნე სახეობები. ეს უკანასკნელები ცხოველებისა და მცენარეების ინფექციურ ავაღმყოფობას იწვევენ. სასარგებლო სახეობათაგან ბევრია ისეთი, რომელთა გამოყენებით სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებაა შესაძლებელი, კერძოდ ნიადაგის ნაცოფიანობის გადიდება. ერთი ნაწილი რძის მრეწველობაში გამოიყენება და სხვ. სასარგებლო ორგანიზმები განიხილება სასოფლო-სამეურნეო მიკრობიოლოგიაში, ნიადაგთმცოდნეობასა და ტექნიკურ მიკრობიოლოგიაში. მათზე აქ ჩვენ არ შევჩერდებით.

ჩვენ განვიხილავთ უმთავრესად ფიტოპათოგენურ ე. ი. მცენარეთა ავაღმყოფობის გამომწვევ ბაქტერიებს. ესენი კულტურულ მცენარეებს აავადებენ და მათ მოსავლიანობაზე პირდაპირ თუ არაპირდაპირ მოქმედებენ, ამცირებენ ან აუფასურებენ მოსავალს.

ბაქტერიები ბუნებაში ყველგანაა გავრცელებული: ნიადაგში, წყალში, ჰაერში, ცხოველების, მცენარეების თუ აღამიანის ორგანიზმებში ან მათ ზედაპირზე. დღევანდლამდე ამ ჯეუფის ორგანიზმთა 600-ზე მეტი სახეობაა ცნობილი, რომელთაგანაც უმრავლესობა უვნებელია, საპროფიტულ ცხოვრებას ეწევიან, შედარებით მცირე ნაწილი კი პათოგენური პარაზიტებია და მცენარეთა, ცხოველთა და აღამიანის ინფექციურ ავაღმყოფობას იწვევენ.

ბაქტერიების შესწავლას არც თუ ისე ხანგრძლივი ისტორია აქვს. მისი განვითარება მიკროსკოპის გამოგონებასა და გამოყენებასთანაა მჭიდროდ დაკავშირებული, პრიორიტეტიც ამ საქმეში პოლანდიელ ნატურალისტს, პროფესიით ვაჭარს ან ტონ ვან ლევენ ნე უკ (1632—1723) ეკუთვნის. პირველად მან დაამზადა გამაღიდებელი ლინზები, რომლითაც სხვადასხვა საგნებს და ნივთიერებებს ცნობისმოყვარეობით. სინჯავდა. მან თავისი კბილის ანაფხევის წყალში გასნის და შემდეგ ლინზებში გასინჯვის დროს პრეპარატში შემჩნია მეტად წვრილი ცოცხალი არსებანი, რომლებიც განსაკუთრებულად მოძრაობდნენ. ასეთი ორგანიზმების მის მიერ ჩახატული სურათიცაა დატოვებული, სადაც აღნიშნულია კოკები, ბაცილები და სხვ. შემჩნეულ მიკროორგანიზმებს ლევენცუკი „მხეცუნებს“ უწოდებდა. იგი თავისი აღმოჩენების შესახებ ინფორმაციებს აწვდიდა ლონდონის აკადემიას, რომლის წევრადაც შემდგომ აირჩიეს კიდეც (მ. ფრობიშერი, 1965). მისმა გამოკვლევამ შემდგომ გამოიწვია ის, რომ მრავალი მეცნიერი ჩაება ამ საქმეში საკითხების უფრო და ლრმა შესწავლის მიზნით. თუ პირველ ხანებში მიკროორგანიზმების შესწავლაში მორფოლოგიური მიმართულება იყო გაბატონებული, ე. ი. შეისწავლიდნენ მხოლოდ მიკროორგანიზმების გარეგნულ სურათს ანუ აგებულებას, შემდეგ დიდი ყურადღება მიექცა ბაქტერიებისაგან გამოწვეული ბიოქიმიური პროცესების შესწავლას, მათ ფიზიოლოგიას.



სურ. 30. პასტერი

წამოიჭრა საკითხი მიკროორგანიზმების წარმოშობის შესახებ.

ძველი მკვლევარები მიკროორგანიზმების წარმოშობას მიაწერდნენ სუბსტრატს; ისინი ფიქრობდნენ, რომ ხორცის გახრენის შემდეგ წარმოქმნილი მატლები, ბუზები და სხვა ჰაერიდან ხორცზე მოხვედრილი მიკროორგანიზმების ჩანასახებისგან კი არ არიან განვითარებული, არამედ თვით ხორცისგან არიან წარმოშობილი.

მიკროორგანიზმების თვითჩასახვის თეორია უარყოფილ იქნა XIX საუკუნის დასასწყისში (1825) დიდი ფრანგი მეცნიერის ლუი პასტერის მიერ. პასტერმა მიკროორგანიზმების მარტო მორფოლოგიური მხარე კი არ შეისწავლა, არამედ კვების არეში გა-

მოწვეულ ბიოქიმიურ და ფიზიოლოგიურ ცვლილებებს მიაქცია ყურადღება. მან სათანადო ექსპერიმენტებით დაამტკიცა, რომ ლეინის და ლუდის გაფუჭება, დაძმარება არ ხდება, თუ კი მაღალ ტემპერატურაზე, მაგალითად, 60—65° გახურებით წინასწარ მათი სტერილიზაცია ჩატარდა. სტერილიზებულ ანუ პასტერიზებულ ლეინში შემდგომ პაერიდან არ უნდა მოხვდნენ მიკროორგანიზმები. პასტერის შემდგომი მუშაობა მეტად ფართო და მრავალფეროვანი იყო. შეისწავლა არა მარტო ლეინისა და ლუდის გაფუჭების მიზეზები, არამედ ამის საწინააღმდეგო ბრძოლაც. მანვე შეისწავლა მრავალი ინფექციური ავაღმყოფობა, დაადგინა ადამიანისა და ცხოველთა იმუნიზაციის საკითხები, მაგალითად, აცრა და სხვ.

შეიძლება ითქვას, რომ მიკრობიოლოგის განვითარება პასტერისა და მისი მოწაფეების სახელთანაა მჭიდროდ დაკავშირებული.

თუ პირველ ხანებში ბაქტერიების შესწავლა უმთავრესად ცხოველებისა და ადამიანების პათოგენური წარმომადგენლების გზით წარიმართებოდა, „მედიცინური“ შინაარსი და ხასიათი ჰქონდა, XIX საუკუნის მეორე ნახევარში მცენარეთა ბაქტერიულ ავაღმყოფობებსაც მიაქციეს ყურადღება. ამ დარღვის პიონერი იყო ცნობილი რუსი მკვლევარი ვორონინი, რომელმაც გამოთქვა აზრი, რომ პარკოსანთა ოჯახის წარმომადგენლების ფესვთა სისტემაზე განვითარებული კოერები — ბაქტერიების მიერ გამოწვეული ავაღმყოფური მოვლენაა.

ამერიკელმა მეცნიერმა ბურილმა 1887 წელს ჩატარა სპეციალური

გამოკვლევები ხეხილის — ვაშლისა და მსხლის — „ტოტების აწევის“ შესახებ, რადგან მის მიერ შესწავლით ყველა დაავადებული ტოტიდან გამოყო ბაქტერიები. ივაღმყოფობის გამომწვევ მიზეზად მქვლევარმა ბაქტერიები (B. amylovorus) ჩათვალა. იმავე ხის საღ ტოტებში კი მან ბაქტერიები ვერ იპოვა.

მცენარეთა ბაქტერიულ ავაღმყოფობათა შემდეგი მქვლევარები იყვნენ ორტური, უატი, პრილიო, სევასტიანო და სხვები, რომლებიც ამა თუ იმ მცენარის ცალკეულ ავაღმყოფობებს შეისწავლიდნენ, მაგალითად, ხორბლის ბაქტერიოზს, გიაცინტების „ყვითელ ავაღმყოფობას“, ზეთისხილის ტუბერკულოზს და სხვ. ამ მქვლევარებს მოწინააღმდეგებიც ჰყავდათ, რომლებიც ავაღმყოფობათა ბაქტერიულ წარმოშობას უარყოფდნენ (მაგალითად, ჰარტიგი, ფრიზი).

მცენარეების ბაქტერიულ ავაღმყოფობათა გამოკვლევის საქმეში დიდი წვლილი აქვს შეტანილი ამერიკელი მქვლევარს ერვინ სმიტს (1854—1927). თავისი კვლევა-ძიების საფუძველზე მან შეიმუშავა და დააზუსტა ბაქტერიულ ავაღმყოფთა შესწავლის კვლევის მეთოდები, შესწავლა მათი გავრცელება, ბიოლოგიური თვისებები და, რაც მთავარია, მოწინააღმდეგები დაარწმუნა მცენარის ბაქტერიულ ავაღმყოფობათა არსებობაში.

საბჭოთა კავშირში საკმაოდ დიდი მუშაობა აქვს ჩატარებული მეჩნივოს, ი. ლ. სერბინოვს (1872—1925), იაჩევსკის (1863—1932), ვზოროვს (1901—1941), ბურგვიცს, იზრაილსკის და სხვებს.


მცენარეთა ბაქტერიულ ავაღმყოფობას ბაქტერიოზის უწოდებენ. მცენარეთა ბაქტერიოზების შესწავლა ფიტოპათოლოგის ერთ-ერთი დარგთაგანია.

ბაქტერიების სხეულის აგებულება.

ბაქტერიების სხეული მიკროსკოპულია. თუ უწინ, მიკრობიოლოგიის განვთარების პირველ ხანებში, შედარებით მარტივი, მცირე გადიდების (100—300-ჯერ) მქნე მიკროსკოპებით მუშაობდნენ, ამჟამად გამოყენებულია უფრო სრულყოფილი ბიოლოგიური მიკროსკოპები, რომელთა გადიდება 5000 და მეტიცაა, რაც სრულიად საკმარისია ბაქტერიების სხეულის გასაცნობად. ხოლო, თუ ბაქტერიების შესწავლა რაიმე სპეციალურ საკითხთანაა დაკავშირებული, რომელიც მეტ გადიდებას მოითხოვს, მაგალითად, ბაქტერიოფაგების, ან სხვა ვირუსების კვლევა, ე. ი. ულტრა-მიკროსკოპულ ორგანიზმებთან გვაქვს საქმე, მაშინ ელექტრონული მიკროსკოპი უნდა გამოიყენოთ, რომელიც 200—300-ათასჯერ აღიდებს.

თავისი ფორმის მიხედვით ბაქტერიული უქრედები სამ ჯგუფად იყოფა:

პირველია — ს ფ ე რ უ ლ ი ბ ა ქ ტ ე რ ი ე ბ ი ა ნ უ კ ო კ ე ბ ი ი.



სურ. 31. ბაქტერიების სხვადასხვა ფორმები: А—კოკი და მისი ფორმები, В—ჩხირსებაზი ფორმები, С—სპირალების ფორმები, Д—სპორების წარმოქმნის ფორმები

იმისდა მიხედვით, თუ ბაქტერიული უჯრედის გაყოფის შემდეგ — შვილეული უჯრედები ორგორ განლაგდებიან, კოკისებრი ბაქტერიები იძლევან ე. წ. დ ი პ ლ ო კ ო კ ე ბ ს (თუ შვილეული უჯრედები წყვილ-წყვილად ლაგდებიან) და ტ ე ტ რ ა კ ო კ ე ბ ს (თუ ოთხ-ოთხ უჯრედად ეწყობიან).

ს ტ რ ე პ ტ ო კ ო კ ე ბ ი ეწყოდება ისეთ დაჯგუფებას, როდესაც გაყოფის შემდეგ წარმოქმნილი შვილეული უჯრედები ერთმანეთს არ ცილდებიან და გრძელ მძივისებრ ძაფებს ქმნიან; ხშირად კოკის დაყოფა სამი მიმართულებით ხდება, მაშინაც წარმოქმნილი უჯრედები ერთმანეთს არ სცილდებიან და კუბურ განწყობილებას იძლევიან. ასეთ დაჯგუფებას ს ა რ ც ი ნ ე ბ ს უწყოდებენ.

მეორე ჯგუფს შეადგენენ ჩ ხ ი რ ი ს ე ბ რ ი ანუ ც ი ლ ი ნ დ რ ი-ს ე ბ რ ი ს ხეულის მქონენი. მათი გარსი მკვრივია და იგი, უმთავრესად, სიგრძივი ღერძის მიმართულებით იზრდება. ა თრი ჯგუფი: იმ შემთხვევაში, თუ სპორებს არ იძლევა და მოკლე ჩხირებია — ბ ა ჭ ტ ე რ ი ა ეწყოდება; თუ სპოროგონი ფორმაა, მაშინ ბ ა ც ი ლ ა ჰქვია.

მესამე ჯგუფს შეადგენს კ ლ ა კ ნ ი ლ ი ანუ ს პ ი რ ა ლ უ რ ი ფორმები; თითოეული მათგანი სხვადასხვა სიძლიერით დახვეული სპირალია. მაგალითად, სპირალები ძლიერ დაკლაკნილ, რამდენიმე სწორ ხვის იძლევა. როდესაც ნაწილია სპირალისა და მძიმეს უფრო მოვაგონებს, ვიდრე სრულ ხვეულ მოღუნულ უჯრედებს, ვ ი ბ რ ი თ ნ ი ა. ძლიერ დაკლაკნილ მრავალხვეულიან სპირალურ ბაქტერიებს ს პ ი რ ა ჭ ტ ა ეწყოდება.

გარდა ერთუჯრედა ბაქტერიებისა, ძაფნაირი ფორმებიც გვხვდება (მაგალითად, გოგირდოვანი ბაქტერიები, რკინოვანი ბაქტერიები). აღნიშნული ძაფნაირობა კოლონიურ ფორმებთანაა დაკავშირებული.

ფიტოპათოგენური ბაქტერიები ჩხირისებრ ანუ ცილინდრულ ფორმებს ეკუთვნიან, ვინაიდან მათ მკვრიფი გარსი მოეპოვებათ. ნორმალურ პირობებში ბაქტერიული სხეული მყარ ფორმას ინარჩუნებს. გარსის შემჩნევა შესაძლებელია ან ბაქტერიუმის პლაზმოლიზის დროს, როდესაც მარილების მოქმედებით ბაქტერიული უჯრედის პროტოპლასტი შეიყუმშება და გარსს მოსცილდება, ან ელექტრონული მიკროსკოპი უნდა გამოვიყენოთ.


გარსი ქიმიურად შედგება უაზოტო (პოლისაქარიდები, ლიპოდები ან აზოტოვანი ნივთიერებისაგან (ქიტინი). ბაქტერიები ამით განსხვავდებიან უმაღლესი მცენარეებისაგან, რომელთა გარსი ყოველთვის ცელულოზიანია.

ხშირად ბაქტერიების სხეული იფარება გარსისგან გამოყოფილი ლორწოვანი ნივთიერებით. ეს მოვლენა გამოწვეულია გარსის გაჯირჯვებით. ისეთი სურათი იქმნება, თითქოს ბაქტერიული სხეული ლაბასებრ ჩალითაშია გახვეული. ასეთ ლორწოვან ჩალითას კაფსული უწოდებენ. როდესაც ლორწოვანი მრავალი ინდივიდუმია გაერთიანებული, ასეთი კოლონიები ზოოგლებისა სახელწოდებითაა ცნობილი. ბაქტერიები არიან მოძრავი და უძრავი.

მოძრავი ბაქტერიების სხეულზე შოლტებია განვითარებული. შოლტების განლაგებისა და რიცხვის მიხედვით არჩევენ: მონატრი იქნებს, როდესაც ერთშოლტიანია; ლიფოტრი რიქნებს, როდესაც შოლტები მარტო სხეულის პოლუსებზეა ჭგუფად, გრნვითარებული და პოლიტრიქებს, როდესაც სხეული ყოველი მხრიდანაა შოლტებით დაფარული. შოლტი იწყება გარსის შიგნით მოთავსებული სხეულებიდან ანუ ბლეფარობლასტიდან. თუ დიდი გადიდება არაა ან შელებილი არ არის, შოლტები ძნელი შესამჩნევია. შოლტების შემჩნევის ერთ-ერთ საშუალებად შეიძლება ტუშის ხსნარი გამოვიყენოთ. უფერული შოლტები ტუშის ხსნარში აღვილი შესამჩნევია (სურ. 32).

ბაქტერიული უჯრედის პროტოპლასტი შეიცავს როგორც პროტოპლაზმურ მასას, ისე პლაზმის მოქმედების შედეგად მიღებულ ჩანართებს.

პროტოპლაზმის პერიფერიული შრე უფრო მკვრივია და ე.წ. ციტო პლაზმურ მემბრანას ქმნის, რომლის შიგნით პროტოპლაზმაა მოთავსებული. ახალგაზრდა უჯრედებში შიგთავსი თითქოს ერთგვაროვანია, მაგრამ დიდი გადიდების დროს მისი მარცვლოვანი სტრუქტურა მაინც შესამჩნევია. ძველ უჯრედებში ვაკუოლებიც ვითარდებიან: პროტოპლაზმის დანარჩენ ჩანართოვან ალანიშნავია: გლიკოგენი, ვოლუტინი, ცნიმის წვეთები და გოგირდი. ყველა სათადარიგო საკვები მასალაა.



სურ. 32. ბაქტერიების ბირთვის მორფოლოგია. შოლტები: ა—ძონოტრიქი, ბ—ლოფოტრიქი, გ—პოლიტრიქი

ბაქტერიებში ბირთვის არსებობის საკითხი ჯერ კიდევ სადაც ვოდაა ქცეული. მართალია, მხოლოდ გამოცალკევებული ბირთვი, ისეთი, როგორც უმაღლესი მცენარეების უჯრედებშია, არაა ნაპოვნი, სამაგიეროდ ბირთვის ფუნქციის შემსრულებელი სხვა ბირთვული ნივთიერებებია შემჩნეული.

ელექტროული მიკროსკოპით უჯრედის ცენტრის არეში პლაზმაში შერეული ერთმანეთისაგან განცალკავებული, უწესრიგოდ განლაგებული, ამორფული, მომრგვალო ან ძაფისებრი მარცვლებია შემჩნეული, რომელსაც ნუ კ ლ ე ო ი დ ე ბ ს უწოდებენ. უჯრედები ამიტომზურად იყოფიან. ზოგიერთი მკვლევარი მიუთითებს პლაზმაში ქრომატინის მარცვლების არსებობაზე, რომელთა გაყოფის შედეგადაც იგივე ნუკლეოდები წარმოიქმნება.

ზოგიერთი ბაქტერიის (ბაცილების) ნიშან-თვისებად სპორების (ენდოსპორების ანუ შინაგანი სპორების) განვითარება ითვლება. ეს მოვლენა დამახასიათებელია მხოლოდ ბაცილებისათვის, რომლებიც ბაქტერიებისაგან მხოლოდ სპორების განვითარებით განსხვავდებიან. სპორების განვითარების მიხედვით ჩხირისებრი ფორმები იყოფიან ს პ ო რ ო ვ ა ნ ა დ და ა რ ა ს პ ო რ ო ვ ა ნ ა დ. სპორები ვითარდება ენდოვენურად სხეულის უჯრედის ცენტრში შიგთავსის გამკვრივებით და სქელი გარსით დაფარვით. სპოროფანი უჯრედის შუა ნაწილი გაბერილია. თითო უჯრედში თითო სპორა ვითარდება ისე, რომ სპორა გამრავლების ორგანოდ კი არ ითვლება, არამედ არახელსაყრელი პირობების გადატანისთვისაა. ისინი გამდლენი არიან ტემპერატურისა. სპორების მოსას პობად მშრალი დეზინფექციის დროს საჭიროა 165° — 2 საათის განმავლო-

ბაში. თუ ორთქლით ვატარებთ დეზინფექციას, მაშინ 121⁰ — 15 წუთის განმავლობაში.

ხელოვნურ არეზე განვითარებული ბაქტერიების კოლონიები უმ-რავლეს შემთხვევებში მონაცრისფროა, მოთეთრო ან უფერული. ზოგიერთი კოლონია კი პიგმენტაციას იძლევა: წითელს, ყვითელს, ნარინჯის-ფერსა და სხვ. ეს პიგმენტები ე. წ. ლიპოქრომატულ სხვა შენარეთების ჯგუფს ეკუთვნიან, რაც ხშირია მცენარეთა ყვავილებში, სიმინდში, კვერცხის გულში და სხვ. ციტოქრომინი აერობული ბაქტერიების სუნთქვის პიგმენტებია. პიგმენტების განვითარების ინტენსივობა მჭიდროდაა და-კავშირებული გარემო პირობებთან, კვებასთან, აერობულ პირობებთან და სხვ.

ბაქტერიების გამრავლება მეტად მარტივია და უჯრედების დაყოფით ხდება. უჯრედის გამყოფი ტიხარი, უმთავრესად შუა ნაწილში ვითარდება, დედეული უჯრედი განვითარებულ ტიხართან გადაიწელება და საბოლოოდ ორად გაყოფა, ე. ი. ორი შვილეული უჯრედი წარმოიქმნება. უკანასკნელი ჩხირისებრ ბაქტერიებში სიგრძეზე იზრდება, მიაღწევს დედეული უჯრედის ზომას და ისევ განაგრძობს გაყოფას. ბაქტერიების გა-ყოფა ორი სახისაა: იზ ო მ ორ ფუ ლი, როდესაც შვილეული უჯრედები თანაბარია და ჰეტერო მ ორფუ ლი, როდესაც შვილეულ უჯრედთაგან ერთი დიდია და მეორე პატარა. უჯრედების დაყოფა განვითარების კარგ პირობებში შეიძლება განმეორდეს ყოველ 20 — 30 წუთში. ისე, რომ ბაქტერიული მასის განვითარებასაკმარი სწრაფად ხდება. დღე-ღამეში 72 გენერაციას მივიღებთ. ყოველი გაყოფის შემდეგ ბაქტერიების რიცხვი გეომეტრიული პროგრესით იზრდება. უნდა მივიღოთ 2,72 — 472,10¹⁹. თუ ერთი მილიარდი ბაქტერია ერთ მილიგრამს იწონის, მაშინ მიღწმული ბაქტერიების რიცხვის მიხედვით 4720 ტ ცოცხალი მასა უნდა მივიღოთ. ბუნებაში ეს არ ხდება. მრავალი შეიძლება წარმოიქმნეს, მაგრამ მრავალიც იღუპება და მიზანს % -ის უმცირესი ნაწილი აღწევს. ბაქტერიების შეუფერხებელი გამრავლებისათვის პირობებიც არ არსებობს.

როდესაც შვილეული უჯრედები ერთმანეთს სცილდებიან, ერთეულ ფორმად რჩებიან, ხოლო თუ არ დასცილდნენ ერთმანეთს, მაშინ ძაფ-ნაირად ან მძიევისებრ კოლონიულ ფორმებად განლაგდებიან.

ბაქტერიებს, დაყოფის გარდა, გამრავლების სხვა ფორმები არ გააჩნია. უკანასკნელ ხანებში წარმოიშვა აზრი მათი მარტივი სქესობრივი გამრავლების შესახებ, რომელიც ახლო მყოფ უჯრედების კონიუგაციით ან ანასტომოზებით ხდება.

აღსანიშნავია ბაქტერიათა შორის განვითარების პერიოდში. ც ვ ა-ლ ე ბ ა დ ო ბ ა, როდესაც იგი იცვლის თავისი სხეულის ტიპურ ფორ-მას, ბიოქიმიურ თვისებებს გარემო პირობებთან დაკავშირებით; მაგა-

ლითად, ხან ძაფნაირი ხდება, წვრილდება, სფეროსებრიც შეიძლება გახდეს, ან შიშველი პლაზმის სახით გადადის (ს ი ნ პ ლ ა ზ ი ა) და სხვა. ხშირია ბაქტერიული სხეულის დეგენერაციის მაგალითები. აღნიშნული მოვლენა ინგოლუცია და კნობილი ინგოლუციური ფორმები) და იმ შემთხვევაში გვხვდება, როდესაც ბაქტერიები ცუდად ივებებიან. ცვალებადობა შეიძლება გამოწვეული იყოს ბუნებრივადაც, მიკროორგანიზმის თვისებებთანაც დაკავშირებით (პოლიმორფიზმი).

ფიტოპათოგენური ბაქტერიებისა და მცენარის ურთიერთლამცუიდებულება მეტად რთული მოვლენაა. მათ შორის არსებული პარაზიტული თანაცხოვრების მეტაბოლიზმი (ნივთიერებათა ცვლა) მთლიანად დამყარებულია ფერმენტების მოქმედებაზე და მათ სპეციფიკურობაზე. მეტაბოლურ პროცესებში ფერმენტები ბიოლოგიურ კატალიზატორებად ითვლებიან, ქიმიურ გარდაქმნას ხელს უწყობენ და აჩქარებენ ისე, რომ თვითონ არ შედიან ბიოქიმიურ რეაქციებში. ცილოვან ნივთიერებათა დამშლელი ფერმენტებიდან აღსანიშნავია პ რ თ ე ა ზ ა, რომლის მოქმედების შედეგად მიიღება ინდოლი, ამონიაკი, გოგირდნახშირბადი; პ ვ ე თ ი ს ფ ე რ მ ე ნ ტ ი გამოიყენება ბაქტერიების მიერ რძის აჭრის დადგენისათვის, პ ე ქ ტ ი ნ ა ზ ა უჯრედების დამაკავშირებელ პექტინოვან ნივთიერებას შლის, ც ე ლ უ ლ ა ზ ა უჯრედოვანას დამშლელია, ქლოროფილაზა ქლოროფილსა შლის ბაქტერიებით ახლად მოდებულ ქსოვილებში: ოქსიდაზა დაუანგეს იწვევს, რასაც ქსოვილების გამუქება ან გაშავება მოსდევს.

ფერმენტების სასარგებლო მოქმედებასთან ერთად უნდა აღინიშნოს ბაქტერიული ტოქსინების უარყოფითი მოქმედება მცენარეებზე. მეტაბოლიზმის შედეგად გამოყოფილი ტოქსინების მოქმედებით მცენარე ნაწილობრივ ან მხალიანად იწამლება, რის გამოც იგი ჭერება ან ლოკალურებული ნეკროზული ლაქები უჩნდება, ან მცენარე მთლიანად ხმება. ზოგიერთი ქსოვილის პროგრესულ ზრდას იწვევს, მაგალითად ხეხილის ფესვის კიბოს გამომწვევი.

ბაქტერიების კვება და სუნთქვა

ისევე, როგორც ყველა მცენარის, ბაქტერიების კვების ტიპი პ ო ლ ი ტ უ რ ი ა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ბაქტერიების სხეული საკვებ მასალას გარედან იღებს, ხსნართან ერთად, წვრილი მოლექულების სახით, აღსორბულის ან დიფუზიის გზით.

კვების აღნიშნული ტიპი განსხვავდება პ თ ლ თ ზ თ უ რ ი ს ა გ ა ნ, როდესაც ბაქტერიები საკვებ ნივთიერებას მაგარი ან მკერივი სახით იღებენ, ჩაყლაპავენ და შემდევ გაატარებენ საჭმლის მომნელებელ ორგანოებში, სადაც მისი მონელება ხდება (ფრობიშერი).

ბაქტერიების სხეულში მოხვედრილი საკვები ნივთიერება სხვადასხვა ფერმენტების გავლენით იშლება, იცვლება და საბოლოოდ ისეთ ნივთიერებათა სინთეზი ხდება, რომლითაც უნდა აიგოს ბაქტერიუმის სხეული. ერთდროულად ენერგიასაც ნოჟავს. ასეთ პროცესს ას ი მიღია ცია ეწოდება.

როდესაც, სინთეზით შექმნილი ნივთიერება იხარჯება, იგი მარტივ ნივთიერებად იშლება და ახალი, უჯრედების შენებისათვის იხარჯება, ჩანთქმულ ენერგიას იგი იყენებს. აღნიშნული პროცესი ცნობილია დ ის ი მიღია ციას, ანუ სუნთქვის სახელში დაბრუნდებით.

ბაქტერიული ორგანიზმების კვებისათვის საჭირო ელემენტები საქმაოდ მრავალია, რომელთაგანაც, უმთავრესად, ნახშირბადი ითვლება. იგი უჯრედის მასის 50,4%-ს შეადგენს. მშრალ ნივთიერებაზე გადაყვანით; აზოტი—12,3%-ს, წყალბადი—6,78%-ს, P_2O_5 —4,95%-ს, K_2O —2,41%-ს და სხვ. ბაქტერიების ნორმალური განვითარებისათვის, ისევე როგორც უმაღლეს მცენარეთათვის, აუცილებელია მიკროლემენტებიც. — ბორი, სპილენდი, მანგანუმი, თუთა და სხვ. ჩამოთვლილი ელემენტები ქმნან ბაქტერიუმის სხეულს და ფერმენტების წარმოქმნაშიაც მონაწილეობენ.

როგორც მწვერე მცენარეებში, ბაქტერიებშიც ავტოტროფული კვების წარმომადგენლებიც გვხვდებიან. ტერმინი ავტოტროფი ბერძნულია (ბერძნულად ავტო — თვით, ხოლო ბერძნულად ტროფი — კვება) და თვითმკვებ მცენარეს აღნიშნავს. ბაქტერიუმში ავტოტროფული კვების ორ ჯგუფს გამოყოფენ:

პირველია ფოტოსინთეზური ავტოტროფები. ამ ჯგუფში გაერთიანებულია ქლოროფილის მსგავსი ფოტოსინთეზური პიგმენტების შემცველი ბაქტერიები, რომლებიც სინათლის ენერგიას იყენებენ.

მეორე ჯგუფს შეაღენს ქემოსინთეზური ავტოტროფები. აქ ისეთი ბაქტერიები შედის, რომლებიც ნივთიერებათა სინთეზისათვის მზის სხივების ენერგიას კი არ იყენებენ; არამედ ზოგიერთ მინერალურ ნივთიერებათა (H_2S , $NaNO_3$, NH_4 , NH_4OH) დაუანგვით წარმოქმნილ ენერგიას.

ბაქტერიათა შორის გეხვდებიან ე. წ. ჰეტეროტროფებიც, რომლებიც ბუნებაში თვითწარმოქმნილი ორგანული ნივთიერებებით იკვებებიან. ორგანულ ნივთიერებათა სპონტანურად წარმოქმნა აღნიშნულია, მაგალითად, ალდეპიდებში, ასეთივე, გლუკოზი, ამინომჟავები, შარდოვანა და სხვ. აქაც, როგორც ავტოტროფებში, არჩევენ ქემოსინთეზურ და ფოტოსინთეზურ ჰეტეროტროფებს.

საკრატიკული ბაქტერიებში ხშირად იკვებებიან არაციოცხალი ორგანული ნივთიერებებით, რომლებიც წარმოქმნილია, უმთავრესად, ციცხალი ორგანიზმების დალუპვისა და მათი სხეულის დალპობის შედე-

გად. ბაქტიუროტროფებსა და საპროფიტებს შორის ბევრ შემთხვევაში საზღვრის გატარება ძნელი ხდება.

ბაქტიურიებში, ისევე როგორც სოკოებში, პარაზიტები ც არა ზოგადი ც გვეკვდებიან. მათ პათოგენურ ორგანიზმებსაც უწოდებენ, ვინაიდან მცენარეების და ცხოველების ავადმყოფობის გამომწვევად ითვლებიან, მტკიცე თანაცხოვრებაში იმყოფებიან ცოცხალ ორგანიზმებთან. არჩევენ ფაქულტეტურ პარაზიტებს, რომლებიც თავისუფლად ცხოვრობენ როგორც ცოცხალ, ისე მკვდარ სუბსტრატზე. დაავადებული ორგანიზმები რომ კვდება, მკვდარ სუბსტრატშიაც თავს კარგად გრძნობენ და მკვდარი სუბსტრატიდან ცოცხალზედაც შეუძლიათ გადასვლა. ობლიგატურ რ რი პარაზიტები მხოლოდ ცოცხალ ორგანიზმებთანაა დაკავშირებული.

ბაქტიურიების სუნთქვა ანუ დისიმილაცია თავისი შინაარსით და მცენარეში მიმდინარე ქიმიური რეაქციებით ასიმილაციის საწინააღმდევო მოვლენაა. თუ ასიმილაციის დროს მარტივი ნივთიერებიდან უფრო რთული ნივთიერების სინთქეზი ხდება და ენერგიას აკავებს, დისიმილაციის შემთხვევაში რთულ ნივთიერებათა მარტივად დაშლა ხდება, ენერგია გამოიყოფა და ხმარდება ორგანიზმების შენებას.

ბაქტიურიებში სუნთქვის ორი ტიპია შემჩნეული: ა ე რ ო ბ უ ლ ი და ა ნ ა ე რ ო ბ უ ლ ი. აერობულია სუნთქვა, როდესაც თავისუფალი ჟანგბადით იწვევს უჯრედში მრავალ ნივთიერებათა დაუანგვს. და ენერგიის განთავისუფლებას. ამ შემთხვევაში ჟანგბადი მათვის აუცილებელია. ანაერობული სუნთქვა კი უჟანგბადო გარემოში მიმდინარეობს, მაგალითად, ლუება ანუ დუღილი.

ფიტოპათოგენური ბაქტერიების სისტემატიკა

ისევე, როგორც ყველა ცოცხალი ცხოველური და მცენარეული ორგანიზმების კლასიფიკაცია, ბაქტერიების სისტემატიკაც ფილოგენეტიკურ საფუძველზეა დამყარებული. მიუხედავად იმისა, რომ მიკრობების და, კერძოდ, ბაქტერიების სისტემატიკას ძველადვე ექცეოლა ყურადღება, შეიძლება ითქვას, რომ აქამდე ყველას მიერ სრულყოფილად აღიარებული სისტემატიკა ბაქტერიებისა არ არსებობს. ყველა მკვლევარი თავისი პოზიციებიდან ადგენს ცალკე სისტემატიკის ტაქსონომიის ერთეულებს, რომლებსაც სხვები მთლიანად ან ნაწილობრივ უარყოფენ (ფრანგი მეცნიერი ბერუჟ 1938—1948; მიგულა — გერმანია 1894; ლემნი და ნეიმანი 1927 წელი; სმიტი 1905 წ; კრასილნიკოვი 1949 წ; დიუსინი 1957 წ; ტეშიჩი 1958).

ასეთი მდგომარეობა შეიძლება იმით აიხსნას, რომ ბაქტერიები საერთოდ მეტად მრავალრიცხოვანი ჯგუფია და სახეობათა დაღვენისათვის მრავალი საკითხია შესასწავლი: მორფოლოგია, ბიოქიმიური და ფიზიო-

ლოგიური თვისებები, ფერმენტების სისტემა, პათოგენობა, გარემო ფაქტორებთან დამკიდებულება, კულტურალური ნიშნები, სპეციალიზაცია, ცენოგრაფიული გაგრცელება და სხვა. ყველა ეს ძალიან ღიღ შრომას მოახოვს და არსებული მასალები ალბათ ჭერ კიდევ საკმარისი არაა სრულ-კოფილი სისტემატიკის დასაღენად. ჩვენ მოვიყვანთ მხოლოდ ფიტოპათოგენური ბაქტერიების კლასიფიკაციის ცდას, რომელიც უკანასკნელ ანებში გორლენკომ წამოაყენა. იგი შედგენილია ყველა ავტორის სისტემატიკის სქემების გამოყენებით და მის მიერ დამატებული ზოგიერთი კულილების გათვალისწინებით. მისი სქემა მარტო ფიტოპათოგენურ ბაქტერიებს ეხება და იძლევა მხოლოდ ოჯახებისა და გვარების მოკლე დახსასიათებას. ყურადღებას აქცევს მოძრავია (შოლტიანია) თუ უძრავი; მოლტები პოლარულია თუ პერიტრიქალური, გრამდადებითია თუ გრამ-უარყოფითი, ხელოვნურ არეზე რა ფერს იძლევა! თეთრია თუ შეფერილი; სპორებს ივითარებს თუ არა და საბოლოოდ დაავადების რომელ სიმპტომს იძლევა. ლპობას იწვევს თუ ლაქიანობას და სხვა.

I. შოლტიანი ფორმები:

პოლიარულია — გვ. *Pseudomonas* შოლტები პოლიარულია, კოლონიის ფერი თეთრია ან ფლუორესცირებული. გვ. *Xanthomonas* პოლიარული შოლტები, ყვითელი კოლონიებია.

პერიტრიქები — გვ. *Ervinia* — თეთრი კოლონიებია, პერიტრიქალური, პექტოლითურ ფერმენტებს გამოყოფენ. იწვევენ მკვებავ მცენარეებზე სხვადასხვა სახის ნეკროზულ ლაქიანობას.

გვ. *Pectobacterium* მრავლად გამოყოფენ პექტოლითურ ფერმენტებს. მკვებავი მცენარის ორგანოების ლპობას იწვევენ.

II. უშოლტო ანუ უძრავი ფორმები

გვ. *Rhizobiium* უმოძრაო ჩხირებია, გრამდადებითია, მკვებავი მცენარეების ფესვებზე კორდების გაჩენას იწვევს.

გვ. *Agrobacterium* გრამუარყოფითი, უმოძრაო სპოროფანი.

გვ. *Bacillus* გრამუარყოფითი, სპოროვანი.

მცენარეთა ბაქტერიოზების გარეგნული ნიშნები არ განსხვავდებინ სკოფან ავადმყოფობათა ნიშნებისაგან, განსხვავება მხოლოდ გამომწვევ მიზეზებშია; ბაქტერიოზით დაავადებული ქსოვილებიდან მხოლოდ ბაქტერიები გამოიყოფა და არა სკოფები. გარეგნული ნიშანი, ერთი მხრივ, დამოკიდებულია იმაზე, თუ მცენარის რა და რომელი ორგანო

დააგადებული, სველია ნაყოფი თუ მშრალი, გამერქნებული ტოტებია, თუ ყლორტი და სხვა, ხოლო მეორე მხრივ, პარაზიტის თავისებურებაზე. მცენარეთა ბაქტერიოზებით დააგადებულ მცენარის ნიშანთაგან უმთავრესად შემდეგია აღსანიშნავი:

1. ს ი დ ა მ პ ლ ე დიდი რაოდენობით ვითარდება წყლის შემცველორგანობებზე: სველ ნაყოფებზე, ძირხვენებზე, ტუბერების დაავადებისას; პარაზიტი ვრცელდება ორგანოების პარენქიმულ ქსოვილებში, მათ უჯრედშორის მანძილებში; თავისი ფერმენტებით იწვევს მათ დაშლას, უჯრედების შემაერთებელ პექტინოგან ნიგთიერებათა გახსნას, რის გამოც ქსოვილების მაცერაცია ხდება (კარტოფილის ტუბერების სველი სიღამპლე, კიტრის ნაყოფების ბაქტერიული სიღამპლე და სხვა). ასეთ დაზიანებას ხშირად პარენქიმის ტუბერების ლპბობა შესაძლებელია ადგილობრივი, ანუ ლოკალურებული იყოს, როდესაც სიღამპლე პატარა იარების სახითაა (იარისებრი პომიდვრის ბაქტერიოზი; კარტოფილის რგოლური სიღამპლის შემთხვევაში ბაქტერიები მხოლოდ ტუბერების ჭურჭლებშია გავრცელებული).

ბაქტერიოზების სიმპტომებისაგან არანაკლებადაა გავრცელებული ლაქიანობა ანუ ნეკროზი, მაგალითად, თამბაქოს ბაქტერიული წვა, როდესაც ფოთლებზე ნეკროზული ლაქები ჩნდება; ციტრუსების ბაქტერიული ნეკროზის ლიმნის 1—2 წლიანი ტოტების მუხლებზე მოწითალო-აგურისფერი ლაქები ვითარდება. თუ ავადმყოფობისათვის კარგი პირობებია, შეიძლება ნეკროზული ლაქები იმდენი გაჩნდეს, რომ მთელი ტოტი გაახმოს.

ბაქტერიები მცენარის ჭკნობა ასაციაც იწვევენ. აქ ორი შემთხვევაა აღსანიშნავი. პირველია ტრაქეობაქტერიოზული ჭკნობა, როდესაც ბაქტერიების მასა ჭურჭლებს ისე გამოასებს, რომ წყლის გადანაცვლება არ ხდება, ტრანსპარაციით დაყარგული წყალი ვერ შეივსება და მცენარე ჭერ ტურგორს კარგავს და მერე ჭკნება.

მეორე გვარის ჭკნობა ტოქსიკურია. ამ შემთხვევაში პარაზიტული მცენარის ქსოვილების ინტოქსიკაციას იწვევს და მცენარე იშხამება.

ხშირია დააგადებული ქსოვილების პროგრესული ზრდა, კიდოს ებრი იწარმონაქმნების განვითარება (მაგალითად, ხეხილის ფესვის კიბო, ზეთისხილის ტუბერკულოზი, გაზის კიბო და სხვ.). დამახასიათებელია აგრეთვე დაავადებულ ადგილებზე წებოს გამოყოფა, მაგალითად, ხეხილის ტოტების ბაქტერიული წვის დროს, ციტრუსების ბაქტერიული ნეკროზის დროს, ბამბის ჰომაზი და სხვ.

ბაქტერიოზებით დაზიანება იწვევს მცენარის ნორმალური ფიზიოლოგიური პროცესების დარღვევასაც, კერძოდ, მათ გაძლიერებას ან დეპრესიას. ამ მოვლენის შესახებ მასალები შედარებით მცირეა, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ რაც მცენარეების სოკოებით დაზიანები-

სას ხდება, იგივე უნდა ხდებოდეს ბაქტერიოზების დროსაც. ზოგი-ერთი რამ გამორჩეულია. მაგალითად, მწვანე მცენარეებში ბაქტერიე-ბით დაზიანებისას ქლოროფილი მცირდება 32—64%-მდე (გორლენკო); სუნთქვა ჯერ ძლიერდება, შემდეგ კი ეცემა, დეპრესია, იძლევა. ფიტო-სინთეზი მცირდება; დამჟანგელი ფერმენტების აქტივობა ზოგ შემთხ-ვევაში მატულობს *Ps. tumefaciens*-ის დროს, ზოგჯერ კი კლებულობს. მეტად საინტერესოა ის მოვლენა, რომ დაავადებული ტუბერების ტემპე-რატურა მატულობს და თითქოს მცენარეს „სიცეს აძლევს“; ისეთ ავად-მყოფობათა შემთხვევაში, როდესაც ქსოვილების პროცესშულ ზრდას-თან გვაქვს საქმე, მაგალითად, კიბოს დროს, ზრდის მასტიმულირებელი ნივთიერებები, როგორიცაა ინდოლმერის მუავა, აუქსინი, ჰიბიცილინი, მატულობს.

ფიტოპათოგენური ბაქტერიების გავრცელება და ინფექციის გზები

ბაქტერიების გავრცელების გზები დაახლოებით მსეთივეა, როგორც სოკოების სპორების. ამის შესახებ დაწვრილებითაა მოთხრობილი ინ-ფექციის საკითხის გარჩევისას. მთავარ გამოვრცელებლად ითვლებიან მცენარე და მისი ორგანოები — კალამი, თესლი, ტუბერები, ბოლქვები. ყველა ამ ორგანოს ზედაპირზე ან შიგნით შესაძლებელია მოხვედრილი იყოს მათვების პათოგენური ბაქტერიები, რომლებიც ხელსაყრელი პი-რობების შემთხვევაში მცენარის ინფექციის იწვევენ. ასეთებია, მაგა-ლითად, ბამბის ჰომოზი (Ps. malvacearum), სიმინდის ბაქტერიული ჭენობა და სხვ.

ინფექცია მწერებსაც გაღადაქვს. ისინი ბაქტერიოზებით დაავადების შემთხვევაში გამოყოფილი ექსუდატებით იკვებებიან და სხვა მცენარე-ზედაც გაღადაქვთ; *Ps. amylovorus* ხეხილის ტოტების ბაქტერიული წვის გამოწვევი ბაქტერია — გაღადაქვთ მწერებს სანერტოებში და ყვავი-ლების დაავადებას იწვევენ. მწერების მონაწილეობა მარტო საინფექციო საწყისის გადატანით არ ამოიწურება, ისინი ამავე დროს ხელს უწყობენ ინფექციის გადატანას იმითაც, რომ მცენარეს მექანიკურად აზიანებენ.

ბაქტერიულ ავადმყოფობათა გადასვლა შესაძლებელია ნიადაგის გზითაც, რამდენადაც ნაწილი პათოგენური ორგანიზმებისა ნიადაგშიც ბუდობენ, მეტადრე მცენარეთა ნაშთებში, თუმცა უმრავლესობა კი ნიადაგში სხვა მათვების ანტიგონისტური მიკროორგანიზმების არსებობის გამო იღუპება. წყლის როლი ბაქტერიების გავრცელებაში საკმაოდ დიდია, რამდენადაც იგი ბაქტერიოზების გამავრცელებელიცაა და ამავე დროს. ინფექციის ხელშემწყობიც.

ვინაიდან მცენარის ზედა ნაწილს ჰაერთან უშუალო კონტაქტი აქვს, მის ზედაპირზე მოხვედრილია სხვადასხვა სახეობის და თვისებების მი-

კრონორგანიზმები. ზოგიერთი მათგანი ავადმყოფობის გამომწვევია. ასეთ შემთხვევაში იტყვიან, რომ მცენარე ინფექციის მტარია. ამან გამოიწვია ის შედეგი, რომ განსაკუთრებული ყურალდება მიექცა მცენარის ორგანოების ზედაპირის მიკოფლორის შესწავლას. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ მცენარის ზედაპირზე მოხვედრილი მიკროორგანიზმები შეიძლება ანტაგონისტურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ, ამ საკითხის გადაწყვეტას პრაქტიკული მნიშვნელობაც ეძლევა. იგულისხმება ანტაგონისტების გამოყენება პარაზიტული მიკროორგანიზმების საწინააღმდეგოდ.

გამოირკვა, რომ მცენარეთა ორგანიზმების ზედაპირზე, ყოველთვის გვხვდება ბაქტერიების წარმომადგენელი. ასეთ ბაქტერიებს ე პი ფ ა-ტ უ რ ს უწოდებენ. ასეთი ბაქტერიები, მართალია, მცენარის ზედაპირზეა მოხვედრილი, აქვე მრავლდებიან, მაგრამ მცენარესთან ფიზიოლოგიურად დაყაშირებული არაა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეს ეპიფიტური მიკროფლორა ყველა ზონაში, ყველა მცენარეზე, ძირითადად, ერთი და იგივე წარმომადგენლებისაგან შედგება. ორი სახეობაა, რომლებიც ხშირად ყველგან და ყველა მცენარეზე გვხვდება. წმინდა კულტურებში პირველი იძლევა მოოქროსფერო-ყვითელ კოლონიას — *Bact. herbicola aureum*, ხოლო მეორე *Ps. fluorescens* — ფლუორესცენციას. ორცერთი მათგანი მცენარეთა დაავადებას არ იწვევს.

მიკოპლაზმური ორგანიზმების დახასიათება — *Mycoplasmatales*

ბაქტერიების შემდეგ გავეცნობით მიკოპლაზმურ. ორგანიზმებს. ტერმინი „მიკოპლაზმა“ პირველად წამოაყენა შვედმა ფიტოპათოლოგმა ურიქსონმა 1897 წელს. იგი იკვლევდა ხორბლეულთა მურა უანგას (*Rickettsia triticina*) განვითარების ციკლს და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მას, გარდა მიცელიარული და სპოროვანი სტადიისა, გააჩნია პლაზმური სტადიაც, კრომელიც ვეგეტატური ნაწილების უჯრედების პლაზმაშია მოთავსებული და მასთან დასაწყისში სიმბიოზურ თანაცხოვრებაშია, შემდეგ კი სიმბიოზი თანდათან პარაზიტიზმისაკენ იხრება, მისი პლაზმური მდგომარეობა თანდათან მიცელიუმად გადადის, მცენარის ქსოვილებში იჭრება და იწვევს უანგათი დაავადებას. ამ პლაზმურ სტადიას ერიქსონმა მ ი კ ო პ ლ ა ზ მ ა უწოდა.

ერიქსონის ამ პიპოთეზას თავიდანვე როგორც მოწინააღმდეგენი, ისე მომხრენი აღმოაჩნდნენ. მოწინააღმდეგეთაგან ცნობილმა გერმანელმა ფიტოპათოლოგმა კლებანმა საფუძვლიანად გააკრიტიკა და მას შემდეგ ეს პიპოთეზა დავიწყებას მიეცა.

ტერმინი „მიკოპლაზმა“ ახალი, თანამედროვე გაგებით, სულ სხვა ცნებაა. იგი უკანასკნელ პერიოდში აღმოჩენილია ელექტრონული მიკ-

როსკოპის საშუალებით და ულტრამიკროსკოპული ორგანიზმების ახალ ჯეფს წარმოადგენს. გაერთიანებულია ე. წ. *Mycoplasmatales* ან *Pst-tacosis* სახელწოდებით. აღნიშნული ორგანიზმები პირველად ცხოველურ არგანიზმებზე იყო აღმოჩენილი დაავადებული კარტოფილიდან, პეტუნიადან და პავლონიადან. შემდგომ შესწავლის ობიექტად აირჩიეს თუთის ხის ხუჭუჭა წვრილფოთლიანობა. მათივე გამოკვლევით დადასტურდა, რომ თუთის აღნიშნული ავადმყოფობის საწყისად, (რომელსაც მანამდე ვირუსულად სთვლილნენ), თურმე მიკოპლაზმური ორგანიზმი აღმოჩენდა. ამეამად მიკოპლაზმური ავადმყოფობანი რამდენიმე ათეულ ერთწლიან და მრავალწლიან მცენარეებზეა აღნიშნული. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიკოპლაზმური ორგანიზმები ნახულია აგრეთვე მათი გადამტანი მწერების ჭიჭინობელების საღორბლე ჭირკვლებში (ტაპპ: ი 1975).

მიკოპლაზმა აგებულებით და გამრავლებით სრულიად განსხვავდება ვირუსებისა და ბაქტერიებისაგან.

მიკოპლაზმური ავადმყოფობანი მცენარეზე გარეგნულად სხვადა-სხვა სიმპტომებს იწვევს; ორგანოების დეფორმაციას, ქაჭის ცოცხს, მოზაიკას, სიყვითლეს (ყვითა), ჭუჭიანობას და სხვას.

მიკოპლაზმის სხეულების აღმოსაჩენად დაავადებული მცენარის ლაფ-ნის ქსოვილები ან საცრისებრი მილები უნდა გამოვიყენოთ. თუ ავად-მყოფობა მოზაიკურ სიმპტომებს იძლევა, მაშინ მიკოპლაზმის სხეულები პარენქიმულ ქსოვილებშიც უნდა ვეძიოთ. ყველა შემთხვევაში მიკოპლაზ-მა უჯრედების ციტოპლაზმაში მოთავსებული.

მორფოლოგიურად მიკოპლაზმა შემდეგ სურათს იძლევა: მისი სხე-ული პლიმორფულია და სხვადასხვა ზომისა (80—800 მკ), ფორმით მომრგვალოა, ელიფსისებრი, მოგრძო, კარგად შესამჩნევი გლუვი ან ხორელიანი ელასტიური გარსით. მიკოპლაზმის შიგთავსში კარგადაა შე-სამჩნევი რიბოსომები, ძაფნაირი წარმონაქმნები ანუ ფიბრილები. ბირთვი არ ემჩნევა, შეიცავს ორივე ნუკლეინის მჟავას — ღნკ-ს და რნკ-ს, რითაც განსხვავდება ვირუსის საწყისსაგან, რომელიც მარტო რნკ-ს შეიცავს. გამრავლება ჩვეულებრივი დაყოფით ხდება. ან ორად იყოფა ან შესაძლებელია მთელი სხეული ნაწილაკებად დაიშალოს. მიღებული შვილეული ორგანიზმები იზრდებიან და დედა სხეულის სიდიდეს აღწე-ვენ (სურ. 33).

მიკოპლაზმის ბიოლოგია ჯერ კიდევ არაა შესწავლილი, თუმცა ზოგი-ერთი თვისება ცნობილია. მაგალითად, დამოუკიდებელი ნივთიერებათა ცვლა გააჩნიათ, ობლიგატურ პარაზიტად ითვლება, თუმცა ზოგიერთი მათვანი ხელოვნურ სუბსტრატზეც იზრდება.

მიკოპლაზმა გავრცელებულია ერთწლიან და მრავალწლიან ველურ და სასოფლო-სამეურნეო მცენარეებზე. ზოგიერთი მათვანი ცხოვე-



სურ. 33. მიკოპლაზმური სეეულაკები *Vinca rossea* L.-ს საცრისებრი უჯრედებში. მარცხნივ: საცრისებრი უჯრედები. განვითარების სხვადასხვა სტადიაში მყოფი მიკოპლაზმას სეეულები: X45.000; ცw — უჯრედისგარსი; — მარცხნივ: დაბლა—მიკოპლაზმას გაღილებულ სურათი X180.000; սm — მიკოპლაზმას მემბრანა; DNR-ს მიერ შექმნილი ბადისებრი ქსელი: (Ploai-eand Maromosch -ს — 1968 წ. მახვდვით).

აცავებში, მცენარეულ და ცხოველურ ნაშთებზე და სხვ. აქტინომიცეტებით განსაკუთრებით მდიდარია ნიადაგი. კრასილნიკოვის ცნობით, ზოგიერთი ნიადაგის ერთგრამიან ნიმუშში 5 მილიონამდე აქტინომიცეტის ნასახია ნაპოვნი. ცხადია, კველგან ასე არაა, ზოგში ნაცლებია, ზოგში კი მეტი.

აქტინომიცეტების როლი სახალხო მეურნეობაში დიდია. ზოგი მათგანი აღამიანისა და ცხოველების დავადებას იწვევს, ზოგი მცენარეებისას, დიდი ნაწილი ანტაგონისტებია და სხვადასხვა მავნე მიკროორგანიზმების საწინააღმდეგოდ გამოიყენება.

სეეულის აგებულებით აქტინომიცეტები — ფიკომიცეტები — ფიკომიცეტების მოვაკონებს. მიუხედავად თალუსის ძლიერი დატოტვისა, მაინც ერთ-


ლების დაუადებასაც იწვევს. საქართველოში უკანასკნელ ხანებში საკმაოდ ფართოდ მოიკიდა ფეხი თუთის ხის მეტად მძიმე ავადმყოფობამ ე. წ. თუთის ხის ტექსტურა წვრილფოთლიანობამ, რომელმაც დასავლეთ საქართველოში თუთის ხიში „გრუზია“ თითქმის მთლიანად გაანადგურა. აღმოსავლეთ საქართველოში პომიდორი სისტემატურად ავადება ე. წ. ქაჩალათი. იგი ხშირად გვხვდება დეკორაციულ მოყვავილე მცენარეებზეც და სხვა.

ცხოველებზე მიკოპლაზმური ავადმყოფობა უფრო აღრე იყო ცნობილი, ვიდრე მცენარეებზე.

აქტინომიცეტები ანუ სხივისებრი სხივობი ქლ.—Actinomycetes

ტერმინი Actinomycetes ბერძნულიდან მომდინარეობს და ორი სიტყვისაგან შედგება: „aktis“ — სხივი და „mykes“ — სოკო.

ბუნებაში ფართოდ გავრცელებული ორგანიზმებია და ყველა გვხვდებან: ჰაერში, წყალსა-




სურ. 34. აქტინომიცეტის ჰიფები — ელექტრონული მიკროსკოპით გადაღებული: ა — ახალგაზრდა ჰიფები; ბ — ხნიერი ჰიფები


უჯრედიანია და უტიხრო. ზრდადასრულებული მიცელიუმი იძლევა სპორების მტარ ორგანოებს. მიუხედავად იმისა, რომ აქტინომიცეტების და ფიცომიცეტების სხეული აგებულების მხრივ მსგავსია შიგთავსით, ჰიფების სისქითა და სპორების წარმოქმნის გზით, აქტინომიცეტები ნამდგილი სოკოებისაგან აშკარად განსხვავდებიან, რის გამოც მათ იხილავენ როგორც მიკროორგანიზმების განსაკუთრებულ ჯგუფს.

აქტინომიცეტების მიცელიუმი წვრილი ჰიფებისგან ნაკვერცხული სისქით $0,2-1,2$ უ-მდე აღწევს. ჰიფების საშუალო სისქე $0,6-0,8$ ულტროს. ზოგიერთ სახეობას წვრილი და მსხვილი ჰიფები ერთდროულად მოეპოვება. ჩვეულებრივი სოკოების ჰიფების საშუალო სისქე $5-7$ -მდეა, იშვიათად მეტიც (კრასილნიკოვი).

მიცელიუმის შიგთავსი ჰიფების ური მასაა, მარცვლოვანია და შუქმტეს ქრომატინის მარცვლებს შეიცავს. და-



სურ. 35. აქტინომიცეტის სხეული (პატარა გადაღებით)



სურ. 36. აქტინომიცეტის სხეულის დაყოფის ფორმა: а — სეგმენტაცია; б — ფრაგმენტაცია

ბერებული მიცელიუმის შიგთავსში ვაკუოლები ჩნდება, ცხიმის წვეთები ვითარდება. ეს უკანასკნელები ხშირად უჯრედისაგან გამოიყოფა, ერთდებიან და დიდ წვეთებს ქმნიან, გარსი უხეშდება და თალუსი მტვრევადი ხდება.


ხელოვნურ სუბსტრატზე განვითარებული აქტინომიცეტების კოლონიები დამახსასიათებელ სურათს იძლევა. ნაწილი მიცელიუმისა სუბსტრატის სილრმეშია, ნაწილი კი — სუბსტრატის ზედაპირზეა განვითარებული და ხავერდოვანი, ბუსუსოვანი ან ნაცროვანი, ჰაეროვანი მიცელიუმი აქვთ. ზოგიერთი წარმომადგენლის მიცელიუმი განიც ტიხებსაც ივითარებს, რასაც მოსდევს მოგრძოან ოვალური ფორმის უჯრედებად დაყოფა.

აქტინომიცეტების სხეულის ასეთი დაყოფა ორი სახისაა. ერთია ს ე გ-მ ე ნ ტ ა ც ი ა და მეორე — ფ რ ა გ მ ე ნ ტ ა ც ი ა.

ს ე გ მ ე ნ ტ ა ც ი ი ს დროს ახალგაზრდა მიცელიუმის ძაფებზე წარმოიქმნება განვიც ტიხები, რის გამოც ძაფი წყდება სხვადასხვა ზომის მოგრძო უჯრედებად.

ფ რ ა გ მ ე ნ ტ ა ც ი ს შემთხვევაში, ტიხები არ ჩნდება. მიცელიუმის პლაზმა ძაფებშივე წყდება წვრილ პლაზმურ, მოგრძო ან ოვალურ ნაწილებად. ეს პლაზმური ნაწილები შემდგომ ახალ გარსს ივითარებენ, ხოლო როდესაც დედა სხეულის გარსი დაიშლება, მაშინ თავისუფლდებიან (კრასილნიკოვი). აღნიშნული პროცესი სოკოების ვეგეტაციურ გამრავლებას მოგვავრნებს.

აქტინომიცეტებისათვის დამახსასიათებელია აგრეთვე სპოროვანი ნაყოფიანობა, რასაც განსაკუთრებულ ს პოროფორები ე ბ ზ ე ანუ ს პორათ მ ტ ა რ ე ბ ზ ე ავითარებენ. სპოროფორები სხვადასხვანაირია, უმრავლესობას ხ რ ა ხ ნ ი ს ე ბ რ ი ან, ს პირალური ფორმა აქვთ და მიცელიუმის ჰაეროვან ძაფების წვერზეა განვითარებული; ნაწილს კი სხვადასხვა ზომის სწორი ან ტალღისებრი სპოროფორები აქვთ. შექმნილი სპორები ორგვარია: ოვალური, მოგრძო ან



სურ. 37. აქტინომიცეტების სპოროფორმები

ხდება. პლაზმური შიგთავსი ერთი სხეულიდან მეორეში გადაღის.

აქტინომიცეტებში შემჩნეულია აგრეოვე სპორებისაგან განვთარებულ წინაზრდილების შეზრდა, რის შედეგადაც ორი წინაზრდილის პლაზმა შეერთდება და შემდევ ივითარებს ახალ მიცელიუმს. არც ანასტომოზების და არც წინაზრდილების შეერთებისას მიცელიუმის შიგთავსში არსებული ქრომატინის მარცვლების შეერთებას აღიღილი არა. აქვს, იგი სქესობრივ გამრავლებად არ ჩაითვლება. აქტინომიცეტების კოლონიების თავისებურებათაგან აღსანიშნავია შემდევი:

აქტინომიცეტების განვთარების ოპტიმალური ტემპერატურაა 30—
 37° ცელსიუსით. კულტურას სპეციფიკური „მიწის სუნი“ აქვს, გრამ დადებითია, უფრო ტუტე გარემოს მოყვარულია, სიმძავიანობას ვერ იტანს, უმრავლესობა აერობებია. ბუნებრივ და ხელოვნურ პირობებში აქტინომიცეტების სხეული და ფიზიოლოგიური თვისებები ხშირად ცვალებადია. ავებულების მხრივ აქტინომიცეტების ადგილი მცენარეთა საერთო სისტემაში განისაზღვრება სოკოებსა და ბაქტერიებს შორის.

მეცნიერთა უმრავლესობა აღიარებს, რომ აქტინომიცეტები დეგრა-
ლაციის ანუ დაკნიების გზაზე დამდგარი სოკოლრგანიზმებია.

აქტინომიცეტების როგორც დადებითი, ისე უარყოფითი როლი ბუ-
ნებაში დიდია. ნიადაგში მცხოვრები აქტინომიცეტების ნაწილი მონაწი-
ლეობას იღებს ნივთიერებათა ბრუნვაში, ნაწილი — მცენარეული და
ცხოველური ორგანიზმების დაავადებას იწვევს.

მცენარეთა ავადმყოფობის გამომწვევია — *Actinomyces scabies*,
რომელიც კარტოფილის ტუბერების ქეცს იწვევს.

ბაქტერიებსა და სოკოლრგანიზმებს შორის ასეთი შუალედი მდგომა-
რეობის გამო, მათი სისტემატიკური მდგომარეობის შესახებ სხვადასხვა
აზრია გამოთქმული. ზოგი მათ ბაქტერიებს აკუთვნებს, უმთავრესად
შიგთავსის აგებულების მიხედვით, ზოგი — სოკოებს სხეულის განვითა-
რების მიხედვით (მიცელიუმისა და გამრავლების ორგანოების მიხედვით),
ზოგი მცვლევარი კი სხივურ სოკოებს ნამდვილი სოკოების ერთი ჯგუფის,
კერძოდ, *Hypohales*-ების დეგრადირებულ ფორმად თვლის (კურსანვი);
ნაწილი მცვლევარებისა კიდევ მათ განიხილავს, როგორც დამოუკიდებელ
ჯგუფს. ასეთი თვალსაზრისი, ჩვენის აზრით, უფრო დამაჯერებელი ჩანს.
არ შევვიძლია არ შევჩერდეთ უკანასკნელ პერიოდში აღმოჩენილ აქტი-
ნომიცეტების ერთ-ერთ თეატებაზე, რომელმაც მცვლევართა წინაშე წარმოშვა
დიუსა მნიშვნელობის პრობლემა, მთელი ეპოქა შექმნა სამედიცინო დისკიპლი-
ნებისა და საერთოდ ბათლოგიის დარგში. აღნიშნულს საფუძვლად დაედო ინგლი-
სელი მცვლევარის ფლემინგის აღმოჩენა (1928.) უკანასკნელი ეხება ფლე-
მინგის მიერ აღმოჩენილ ზოგიერთ მიკროორგანიზმების თვისტბას — გამოყოს
განსაკუთრებული ნივთიერებანი, რომლის არეში მონებედრის შემდეგ — სხვა
მიკროორგანიზმები ან აჩერებენ თავიანთ განვითარებას ან მთლიანად ილუ-
პებიან. მაკრიბიდან გამოყოფალ აღნიშნულ ნივთიერებას — ა ნ ტ ი ბ ი თ-
ტ ი კ ს უწინებენ. ხოლო იმ ორგანიზმს, რომელიც ანტიბიოტიკს გამო-
ყოფს — ა ნ ტ ა გ თ ნ ი ს ტ ს.

ფლემინგის აღმოჩენას სხვა მცვლევარებმაც მიაქციეს ყურადღება და
გაშალეს კვლევა. სრულიად ცოტა დრო დასჭირდათ, რომ დაედგინათ: თუ
ანტაგონისტით კუმეურნალებთ პარაზიტულ ბაქტერიებით დააგადებულ
ადამიანს — იგი განკურნება. უკანასკნელმა აღმოჩენამ საფუძველი მისცა
უფრო ფართოდ გაშალათ კვლევა-ძიებანი მიკროორგანიზმებში ანტაგო-
ნისტურ ნივთიერებათა აღმოჩენისათვის და მათი გამოყენების სპეცირის
დალგენისათვის. სათნტერესოა სამეცნიერო კვლევით სამუშაოთა გადილების
დინამიკის სურათი, რომელიც მოცემულა კაბიტალურ მონოგრაფიაში
„ანტიობიოტიკებში“ — 1969 წ. (ტაზეუშ კოექტურის, ზუზუნა — გინდიფე-
რის კლიონზიმერ კურალოვიჩი). ამ მონოგრაფიის პირველი გამოცემის დროს
— (1955 წელს) — 400 ანტიბიოტიკი იყო ცნობილი; მეორე გამოცემისას (1959.)
ცნობილი იყო — 800 ანტიბიოტიკი: მესამე გამოცემისას (1967) — 1000-ზე

ჭეტი. დასაწყისში მკვლევართა ყურადღება ანტიბიოტიკების გამოვლინებისაკენ იყო მიქცეული. როგორც ვაცით ფლემინგმა პირველად აღმოჩინა ობის სოკოები შემდეგ კი სხვა მიკროორგანიზმებსაც მიაქციეს ყურადღება. მაგ. წყალმცენარებს, სოკოების სხვა წარმომადგენლებსაც, ჩანთიან და ბაზილიან სოკოებს, ნებატოდებს და სხვა. გამოირკვა, რომ ყველა ამ ჯგუფთან შედარებით სხივური სოკოები (*Actinomycetes*) ყველაზე მეტია. მათი რიცხვის საერთო ჯამიდან ანტიბიოტიკები იძლევა 50%-ს იმ დროს როდესაც სხვა ჯგუფებიდან — 5 — 20% -შედეა.


ისიც გამოირკვა, რომ ზოგიერთი ანტიბიოტიკი სპეციფიკურია რომელიმე ავალმყოფობის საწინააღმდეგოდ. ე. ი. მარტო ერთ ავალმყოფობასა ჰკურნავს; მნიშვნელოვანი ნაწილი კი — კომპლექსური მოქმედებისაა, ე. ი. ერთი ანტიბიოტიკი — რამდენიმე ავალმყოფობაზე მოქმედებს:

მეცნიერების მიერ ისიცაა დაღასტურებული, რომ ისეთი კარგად შესწავლილ პრეპარატი — ანტიბიოტიკი როგორიცაა მაგ. პენიცილინი — სინამდვილეში შეიძლება რამდენიმე სახის შეგვევდეს, რომლებიც ერთმანეთი-საგან განსხვავდებიან თავისი ქიმიური შედეგებილობით, სტრუქტურული აგებულებით, ფიზიოლოგიურად და სხვა.

ყველა ანტიბიოტიკს თავისი მოქმედების რაღიუსი გააჩნია.

უკანასკნელ ხანებში მცენარეთა ზოგიერთ ვარესულ ავალმყოფობათა საწინააღმდეგოდ; ანტიბიოტიკებსაც იყენებენ (ტეტრაციკლინს, ლეომიცინს და სხვა. აღნიშნული ანტიბიოტიკები ჩვენში საცდელად თუ გამოიყენება. წარმოებაში არაა დანერგილი).

სხივური სოკოების სისტემატიკას დადგენას დიღი ყურადღება ექცევადა მკვლევართა მიერ. აქტინომიცეტების ცნობობა მკვლევარებმა ვაქსმანმა და ჟენრიციდ უკანასკნელ პერიოდში წარმოადგინეს მათ მიერ შედეგენილი აქტინომიცეტების კლასიფიკაციის სქემა, რომლის მიხედვითაც გვ. *Actinomyces*-ს გადარქვეს *Streptomyces*. უკანასკნელში შეიყვნეს ისეთი წარმომადგენლები, რომლებიც პროაქტინომიცეტების ჯგუფში შედიოდნენ. აღნიშნულ დებულებას არ იზიარებს აქტინომიცეტების ავტორიტეტული მკვლევარი — კრასელნიკოვი, რომელმაც მნიშვნელოვანი შედარებითი კვლევა ჩატარა სხივური სოკოების დიაგნოსტიკური მაჩვენებლების შესახებ და მივიღა იმ დასკვნამდე, რომ ვაქსმანისა და ჟენრიცის მიერ გამოყოფილი გვარი *Streptomyces* იგივე სახეობებს შეიცავს, რასაც გვ. *Proactinomyces* ანუ *Nocardia*. უკანასკნელის გამო, ვაქსმანის მიერ დაღვენილი გვარიდან *Actinomycetes* უნდა გამოიყოს. ისეთი წარმომადგენლები, რომლებიც *Proactinomycete*-ების გვარში შედის. გვარი *Actinomyces* უნდა დარჩეს ისეთი წარმომადგენლებისათვის, რომლებიც ჭეშმარიტ ასკომიცეტებად ითვლებიან (კრასილნიკოვი — 1965). ისე რომ გვარ. *Streptomyces* — ის დატოვებას მართებულად არა სთვლის. მოვიყვანოთ ორი გვარის — აქტინომიცეტის და პროაქტინომიცეტის მორფოლოგიური დახსასიათება კრასილნიკოვის მიხედვით.



სურ. 38. მიცემიცეტების პლაზმოდიუმი

ლოთ განვათარების დასაწყისშია აქვს. შემდეგ იგი მოკლე თუ გრძელ ჩხი-რებად იშლება. იშვათად ჭკვებსაც ჰქმნის. ჰაეროფანი მიცემი არა აქვს ან რეალური ბულია და სპორათმრარი მოკლე ტოტებისგანაა შემდგარი. (იხ. გვ. 130.)

აქტინომიცეტსა და პროკეტინომიცეტს შორის სხვა განმასხვავებელი ნიშნებიცაა აღსანიშნავი.

აქტინომიცეტების კოლონია ყოველთვის მყვრიფა, ან ტყავისებრი, ხრტილისებრი. რაც მთავარია აღსანიშნავა, რომ აქტინომიცეტების ყველა წარმომადგენელი ანტაგონისტურ თვისებებს ამჟღავნებს, რაც პროკეტინომიცეტს თითქმის ყველას არ გააჩნია.

სოკოების აღგილი მცენარეთა საერთო ცისტეაზი — EU MYCOTA

თავისი სხეულის აგებულების მიხედვით მცენარეული სამყარო ორ ჯგუფად იყოფა. ერთ ჯგუფს შეადგენს უმდაბლესი ანუ თალ უსიანი მცენარეები (*Thalophyta*), ხოლო მეორე ჯგუფს — უმაღლესი ანუ ღეროფო-თლიანი მცენარეები (*Cormophyta*). ამ ორ ჯგუფს შორის განსხვავება იმაშია მდგომარეობს, რომ უმდაბლეს მცენარეთა წარმომადგენლების სხეული დანაწილებული არაა ფესვად, ღეროდ და ფოთლებად. უმაღლეს მცენარეებში კი ფესვი, ღერო და ფოთლი ძირითადი ორგანოებია.

მიუხედავად იმისა, რომ თალუსიან მცენარეთა სხეული აგებულებით,

ძირითადად, ერთგვარია (ერთი ან მრავალუჯრედიანი). კოლონიური, ძაფ-

1 — *Actinomyces*

მიცელიუმი კარგადაა განვითარებული, უტიხეროა. და ნაწილებული არაა. ცოტად თუ კარგად განვითარებული ჰაეროფანი მიცელიუმია აქვს. უკანასკნელი განვითარების კარგ პირობებზეა დაკავშირებული. ჰაეროფანი მიცემის წევრობზე ვითარდება სპორათმრარები, რომლის წვერზედაც წარმოქმნებიან ძეწკვებად განვითარებული სპორები.

2. *Proactinomyces* ანუ *Nocardia*.

მიცემი მხო-

ლოთ განვათარების დასაწყისშია აქვს.

შემდეგ იგი მოკლე თუ გრძელ ჩხი-

რებად იშლება. იშვათად ჭკვებსაც ჰქმნის. ჰაეროფანი მიცემი არა აქვს ან

რეალური ბულია და სპორათმრარი მოკლე ტოტებისგანაა შემდგარი.

(იხ. გვ. 130.)

აქტინომიცეტსა და პროკეტინომიცეტს შორის სხვა განმასხვავებელი ნი-

შნებიცაა აღსანიშნავი.

აქტინომიცეტების კოლონია ყოველთვის მყვრიფა, ან ტყავისებრი,

ხრტილისებრი. რაც მთავარია აღსანიშნავა, რომ აქტინომიცეტების ყველა

წარმომადგენელი ანტაგონისტურ თვისებებს ამჟღავნებს, რაც პროკეტი-

ნომიცეტს თითქმის ყველას არ გააჩნია.

ნაირი ან ფირფიტისებრი), ბიოლოგიური თვისებებით და შინაგანი ორგანიზაციით ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან.

თალუსიანი მცენარეები იყოფა ორ ტიპად. ესენია: წყალმცენარეები ანუ ალგები — *Algae*. შეფერილი ფორმები.

სკოები *Fungi*, სკოებშია გაერთიანებული ამჟამად მღიერების ანუ ლიქენების — *Lichenes*-ბის ჯგუფი, რომელიც ძველად თალუსიანი მცენარეების მეოთხე დამოუკიდებელ ჯგუფად იჩილებოდა.

წყალმცენარეები თალუსიან მცენარეთა საკმაოდ დიდ კლასს შეადგენს. მათ უმრავლესობას მწვანე შეფერილობა აქვს, რაც გამოწვეულია მწვანე პიგმენტების — ქლოროფილის დიდი შემცველობით. ამ კლასის ზოგიერთი წარმომადგენელი ქლოროფილთან ერთად სხვა პიგმენტებსაც შეიცავს — ქსანტოფილს, კაროტინს, ფიკოციანს, ფიკოერითრინს და სხვ.

სინათლის სხივებისა და ქლოროპლასტების ურთიერთმოქმედების შედეგად წყალმცენარეები აუტოროფილობა თვითონვე ქმნიან ორგანულ ნივთიერებას და მათ ითვისებენ. სხეულის ანუ თალუსის ზომა და ფორმა სხვადასხვაგარია. მიკროსკოპული ერთუჯრედიანი ორგანიზმებიდან დაწყებული და გათავებული საკმაოდ მასიური თალუსის მქონე ორგანიზმებით, რომელთა სიგრძე რამდენიმე ათეულ მეტრს აღწევს. ასეთია, მაგალითად, ლამინარიები წაბლა წყალმცენარეთა ჯგუფიდან. წყალმცენარეები მრავლდებიან ვეგეტატიურად, უსქესოდ და სქესობრივი გზით.

თალუსიან მცენარეთა დანარჩენი კლასები უქლოროფილო ორგანიზმებია, რომლებიც წარმოიშვნენ ქლოროფილიანი მცენარეებისაგან. ევოლუციის მანძილზე მათ პირგანდელი მწვანე ფერი დაკარგეს, მათი კვების პირობებიც შეიცვალა და ჰეტეროფილი ფორმა და ფორმა გარდა იქცნენ.

წყალმცენარეთა კლასთან ახლოს დგანან ბაქტერიები ერთუჯრედიანი უწვრილესი ორგანიზმებია ერთეულად ან კოლონიურად მცხოვრები. უჯრედის შიგთავსი პომოგენური მასა მტკიცე გარსით დაფარული. შიგთავსი არა დიფერენცირებული ბირთვად, პლაზმად და სხვ. რითაც უახლოვდებინ ლურჯ-მწვანე წყალმცენარეთა რიგს. (*Cyanophyceae*). ორივეს გამრჩვლების ერთი და იგივე ფორმა, ე. წ. მარტივი დაყოფა ახასიათებს. შედიან *Protophyta*-ს ჯგუფში.

თანამედროვე კლასიფიკაციით ბაქტერიები შედგან *Schizophytae*-ების კლასში, რომელთა სხეული ერთუჯრედიანია და ციტოპლაზმაში ჩამოყალიბებული არა მემბრანიანი ბირთვი — ბირთვაკით. მას ცვლის ციტოპლაზმაში გაფანტული ქრომატინის მარცვლები. მრავლდებიან ვეგეტატიურად დაყოფით, დაკვირტვით. სქესობრივი გამრავლება არა აქვთ. ითვლებიან უმარტივეს ულტრამიკროსკოპულ ორგანიზმებად.


ს ოკოები საკმაოდ დიდი ჯგუფია. პეტეროტროფული ორგანიზმებია, ლორწოვნინი, ერთ ან მრავალუჯრედიანი, უმთავრესად, ძაღნარი აგებულების სხეული აქვთ (მიცელიუმი), იშვიათად კი პლაზმური. უჯრედის შიგთავსი დიფერენცირებულია: პლაზმას, ბირთვს, ბირთვაქს, მიტოქონდრის, რიზოსომს შეიცავს. სხვადასხვა სახის ჩინართებიც აქვს; სოკოს უჯრედის გარსი ცელულოზიანია ან ქიტინიანი. გამრავლება სხვადასხვა გზით ხდება: ვეგეტატიურად — მიცელიუმით ან მისი სახეცვლილებებით. იყითარებს საკმაოდ რთული აღნაგობის სხვადასხვა სახის უს ქესო გამრავლების ორგანოების თანა განობრივი გამრავლების მრავალი წარმომადგენლისთვისაა დამახასიათებელი. წყალმცენარეთაგან სოკოები ქლოროფილის და, საზოგადოდ, პლასტიდების უქონლობით განსხვავდებიან, ხოლო ბაქტერიებისაგან — სხეულის აგებულების და გამრავლების ორგანოების გართულებით.

თალუსოვან მცენარეთა უკანასკნელი კლასი მღიერები ანუ ლიქენებია, როგორც სხეულის აგებულებით, ისე ბიოლოგიური თვისებებით, მეტადრე კვების პირობებით, წყალმცენარეთაგან, ბაქტერიებისა და სოკოებისაგან განსხვავდებიან. ბევრ შემთხვევაში გარეგნულად საკმაოდ ძლიერ განვითარებულ თალუსს ქმნიან (ძაფისებრს, ბუჩქისებრს, ფირფიტისებრს, ქაფისებრს და სხვ.), მათი ვეგეტატიური სხეული ორი კომპონენტისაგან შედგება: წყალმცენარისა და სოკოსაგან. ამის დადგენა ადგილადაა შესაძლებელი ლიქენების ფალუსის განივჭრილზე. მიკროსკოპში კარგად შეიმჩნევა წყალმცენარის. მწვანე უჯრედები, რომელთაც გადახლართული აქვთ სოკოს მიცელიუმის ჰიფები. ამ ორი ორგანიზმის თანაცხოვრება ურთიერთსარგებლიანობაზეა დამყარებული და სიმბიოზის საუკეთესო მაგალითია.

მართალია, ლიქენების თალუსიან მცენარეთა მე-4 დამოუკიდებელ ჯგუფად ითვლებოდნენ. ამჟამად მკვლევართა უმრავლესობა მათ ისეთ სოკოებს აეუთვნებს, რომლებიც მასიმბიოზებელია ე. ი. ბუნებაში სიმბიოზში შედის სხვადასხვა წყალმცენარებთან.

სოკოების ვეგეტატიური სხეულის აგებულება

თვეისი აგებულებით სოკოების ვეგეტატიური სხეული ორი სახისაა: პირველ სახეს ქმნიან პლაზმური ანუ უგარსო სოკოები, რომელთა სხეული შიშველი პლაზმაა, ხოლო მეორე სახე — მიცელიარ ული ანუ ძაფნა ის სხეულის მექონების სოკოები, მათი სხეულის მასა სხვადასხვა სიძლიერითაა მოცემული. თუ საპროფიტულ ფორმებთან გვაქვს საქმე, წყლის ან ჭარბტენიან



სურ. 39. შეცელიუმი — а. ერთუჯრედიანი;
ბ. — მრავალუჯრედიანი

პირობებში, მათი სხეული უფრო ძლიერაა განვითარებული (მიქსომი-ცეტები); ხმელეთის პირობებთან დაკავშირებული პლაზმური სოკოების წარმომადგენლები კი უმაღლესი მცენარის ქსოვილებში ვითარდებიან და პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან. როგორც წესი, პარაზიტული სოკოს სხეული ყველთვის ნაკლებ განვითარებულაა, ვიდრე საპროფიტულისა. პლაზმატური სოკოები გარსს მხოლოდ მაშინ ივითარებენ, როდესაც სხეულის მოზამთრე სტადიებს (ცისტებს) იძლევა. სოკოების საერთო სისტემაში პლაზმური სხეულის შემნე თრგანიზმები თავისი პრიმიტული აგებულების გამო უმდაბლეს სოკოებად ითვლებიან (*Myxomycetes*, *Archymyctetes*).

ძაფნაირი სხეულის შემნე სოკოები გაცილებით მრავალრიცხოვანი არიან. მათთვის გარსი დამახასიათებელია. სხეული ძლიერ დატოტვილია. ასეთ სხეულს უწოდებენ მიცელიუმის შემადგენელ ძაფს — ჰიფას, ხოლო მიცელიუმის შემადგენელ ძაფს — ჰიფას. გვხვდება აგრეთვე ერთუჯრედიანი ელიფსისებრი სოკოებიც, მაგალითად, საფუარა სოკოები ანუ *Sacharomyctetes*-ები, რომლებიც ან ერთეულია ან კოლონიებსა ქმნიან.

მიცელიუმი, უმთავრესად, სოკოების გამრავლების ორგანოსგან ანუ სპორასგან ვითარდება; ვეგეტატიური გამრავლების შემთხვევაში კი მიცელიუმის ნაგლეჭებისაგან ან ცალკეული ჰიფასაგან მიცელიუმის სახეცვლილებიდან შეიძლება განვითარდეს

სოკოებისათვის სპორა ისეთსავე დანიშნულებას ასრულებს, რასაც თესლი ყვავილოვანი მცენარეებისათვის. მათ შორის განსხვავება ისაა, რომ თესლი უფრო რთული აგებულებისაა — შედგება ტყავისა და უმალესი მცენარის ძირითადი ორგანოების (ფესვის, ლეროს, ფოთლების) ნასახისაგან. გარდა ამისა, თესლთან ხშირად ენდოსპერმიც ანუ საკვები მასალის მარაგიც არის. სოკოების სპორა კი — ერთუჯრედიანია თუ მრავალუჯრედიანი — მარტო გარსისა და პლაზმური შიგთავსისაგან შედგება. როდესაც სპორა განვთარების ხელშემწყობ პირობებში მოხვდება, ლივდება და ძაფნაირ წინაზრდილს იძლევა. შემდეგ კი იტოტება. უმალესი სოკოების წინაზრდილი ტიხრებს ივითარებს და მრავალუჯრედიანი მიცელიუმი იქმნება.


უმდაბლეს სოკოებში (*Phycotomycetes*) წინაზრდილისაგან მიღებული მიცელიუმი საკმაოდ ძლიერაა დატოტვილი, მაგრამ უტიხროა, რის გამოც სხეული ერთუჯრედიანი და მრავალბირთვიანი რჩება. ასეთი აგებულება არაუგრძელებით არის ცნობილი. მათი სხეული წყალმცენარეთა, კერძოდ, *Siphonales*-ების სხეულს მოგვავრნებს, მხოლოდ უფერული მიცელიუმი აქვს.

მიცელიუმი, მართალია, ყველა სოკოს, ძირითადად, ერთნაირი აგებულებისა აქვს, მაგრამ სხვადასხვა სოკოორგანიზმის ბიოლოგიურ თავისებურებებთან თუ ეკოლოგიურ პირობებთან დაკავშირებით შესაძლებელია ერთმანეთისაგან განსხვავდებოდეს კიდეც.

მიცელიუმი შეიძლება იყოს ერთუგრძელება და იანი, როდესაც ტიხრები არა აქვს, და მრავალუგრძელება და იანი, როდესაც მთელი სხეული ან მიცელიუმის შემადგენელი ცალკეული პიფები, განვითარებითა ცალკე უჯრედებად დაყოფილი. მეზობელი უჯრედების გამოყოფი ტიხრის ცენტრალურ ნაწილში საკმაოდ დიდი ჭვრეტია განვითარებული, რომლის საშუალებითაც უჯრედების შიგთავსი ერთმანეთთან პლაზმოდესმებით (პლაზმური ძაფებით) არის დაკავშირებული.

მიცელიუმი ფერითაც განსხვავდება. გვხვდება უფერული მიცელიუმც და შეფერილიც (შავად, ნარინჯისფრად, წითლად და სხვ.). ისეთებიც გვხვდება, რომლებიც დასაწყისში უფერულია, ხოლო ხანში გადასცვლისას კი ფერს იღებს. სუბსტრატზე გავრცელების მიხედვით მიცელიუმი შეიძლება იყოს გარეგანი და შინაგანი გარეგანი. გარეგანი მიცელიუმი ისეთს ეწოდება, რომელიც სუბსტრატის ზედაპირზე განვითარებული და შიგნით არაა შეჭრილი. ამ სოკოების ფორმები, მაგალითად, ნაცროვანები (*Erysiphaceae*) სუბსტრატთან მხოლოდ საწოვდები და ანუ ჰაუსტრიული განვითარებული და დაკავშირებული. მათი საშუალებით სოკოს საკვებ მასალას იწოვს.

ჰაუსტრორიუმები სოკოებისათვის ფიზიოლოგიურ დანიშნულებას ასრულებენ და ისინი სხვადასხვა სოკოს სხვადასხვა ფორმისა აქვს (ქინძისთავისებრი, თათნაირი, იშვიათად დატიხრულიც და სხვ.).



სურ. 40. მიცელიუმზე განვითარებული საწოვრები (1. 2. 3) ანუ ჰაუსტორიუმები.

ზედაპირული მიცელიუმის მქონე სოკოებს, გარდა ჰაუსტორიუმებისა, მიცელიუმზე სხვაღასხვა სახის პატარა მორჩები, ანუ ე. წ. ა პრ ე-ს ო რ ი უ მ ე ბ ი უვითარდებათ. აპრესორიუმები ღღნავ გაბრტყელებულია, იშვიათად ღანაკვთული და მხოლოდ მექანიკური ღანიშნულება აქვთ. აპრესორიუმებით სუბსტრატს ემაგრებიან.

სოკოების დიდ უმრავლესობას შინაგანი ანუ ე ნ დ ო ფ ი ტ უ რ ი მიცელიუმი აქვთ. მაგალითად, პარაზიტული სოკოების მიცელიუმი მცენარის ქსოვილებშია გაგრცელებული. ამ მხრივ მიცელიუმი შეიძლება ყოს უ ჯ რ ე დ შ ო რ ი ს ი, როდესაც ჰიფები უჯრედშორისის მანძილებშია გაგრცელებული, და უ ჯ რ ე დ შ ი გ ნ ი თ ა — ენდოფიტური, როდესაც უჯრედის გარსს აღწევს და შიგთავს შია შეჭრილი. ორივე შემთხვევაში სოკო თავისი სხეულის მთლიანი ზედაპირით ან ჰაუსტორიუმების საშუალებით სუბსტრატიდან მასაზრდოებელ ნივთიერებებს იღებს. მიცელიუმი შეიძლება ყოს გ ა რ ე გ ა ნ ი ანუ ე ქ ს ო ფ ი ტ უ რ ი, როდესაც იგი სუბსტრატის ზედაპირზეა გართხმული.

მიცელიუმი შეიძლება ყოს ე რ თ წ ლ ი ა ნ ი, როდესაც მხოლოდ ერთ თაობას იძლევა და შემდეგ შესვენების სტადიაში გაღადის ან იღუპება, და მ რ ა ვ ა ლ წ ლ ი ა ნ ი. უკანასკნელ შემთხვევაში მიცელიუმი ყოველწლიურად ანახლებს ზრდას. იგი წლიდან წლამდე ცოცხალია. მრავალწლიანის მაგალითად შეიძლება დავასხელოთ აბედა სოკოების მიცელიუმი, რომელიც ხის ტანშია შეჭრილი (მერქანში) და ხშირად რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ცხოვრობს (*Polyporaceae*). ან გიდევ ქაჯისცოცხას გამომწვევი სოკო ორგანიზმები (Exoascalos).

სოკოების უჯრედის აგებულება

თავისი აგებულებით სოკოების უჯრედი ორნაირია. განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი სოკოების უჯრედი შიშველია, უგარსოა, პლაზმური (მაგალითად, *Archymycetes*). ასეთივე შიშველი პლაზმაა მიქ-სომიცეტების თალუსი, რომელიც საკმაოდ დიდ ე. წ. პლაზმოდიუმია ქმნის. ზოგიერთი სოკოს უსქესო გამრავლების ორგანოები, ე. წ. ზოო-სპორები შიშველ პლაზმას წარმოადგენს, რომლებიც შოლტებით არიან აღჭურვილნი და თავისუფლად გადაინაცვლებენ ჭარბი ტენის პირობებში (*Phycomycetes*).

უმაღლესი სოკოების უჯრედი ყოველთვის მკვრივი გარსითაა დაფარული, რის გამოც შესაფერისი ფორმა აქვს (მრგვალი, ცილინდრული და სხვ.).

გარსის შიგნით უჯრედის შიგთავსი ანუ პროტოპლასტია მოთავსებული (პლაზმა, ბირთვი, სხვადასხვა ჩანართები).

ახალგაზრდა უჯრედის გარსი ნაზია და საბადა, სოკოების ბევრ წარმომადგენელს ასეთი გარსი ბოლომდე შერჩება, შედარებით მცირე ნაწილის გარსი კი თანდათან კარგავს სინაზეს, სქელდება და შრეებრივი ხდება. ასეთი გასქელება შეიძლება მოხდეს გარსის როგორც გარეთა, ისე შიგნითა მხრიდან. ზოგიერთ სახეობაში (სახლის სოკოები) *Merulius lacrymans* შინაგანი გასქელება იმდენად ძლიერია, რომ ხშირად უჯრედის ღრუს თითქმის მთლიანად იყავებს. ასეთი მოვლენა ცნობილია უჯრედის ობლიტერაციის სახელშიდებით.

გარსის გარევანი გასქელება სხვადასხვა სახისაა. ხშირია გარსზე ბორცვების ან ეკლების განვითარება: მთელი გარსის ზედაპირი ვარაყით იფარება (*Tilletia tritici*) და სხვ. ზოგიერთი სოკოს გარსი სხვადასხვა ნაერთისაგან (კირი, მუაუნმუავა კალციუმი და სხვ.) შემდგარი კრისტალებით იქლინონტება ან იფარება. ამ მოვლენას ინკრუსტაცია სუშოდებენ. ეს უკანასკნელი გარეგნულად ძალიან წააგავს ზემოთ აღწერილ გარსის ბორცვებს ან ეკლებს. მათი ერთმანეთისაგან გარჩევა შესაძლებელია ობიექტის დამუშავებით მუავებში. თუ კრისტალები მუავაში დამუშავების შემდეგ გაიხსნა, გაქრა, მაშინ მინერალური წარმოშობისაა, ხოლო თუ არ გაიხსნა ბორცვები და ეკლები, მაშინ იგი გარსთან ორგანულად არის დაკავშირებული:

გარსის ზედაპირი ბევრ შემთხვევაში მკვრივია და მშრალი. ზოგიერთი სოკოს გარსი კი ლორწოვანდება. ასეთი სოკოს სხეული ტენიანია და სქელი.

მაშინ, როცა უმაღლეს მცენარეთა უჯრედის გარსი ნახშირწყლებისაგან (ცელულოზისაგან) შედგება, სოკოების გარსი ქიმიურად სხვადასხვანაირია. უმდაბლეს სოკოებში (მაგალითად, *Phycomycetes*-ები) გარსი ცელულოზის რეაქციას იძლევა; ქლორცინკიოლის მოქმედებით წითლ-

ლუბა; უმაღლესი სოკოების (ჩანთანები, ბაზიდანები და სხვ.) გარსი კი ცელულოზის რეაქციას არ იძლევა. გარდა ნახშირწყლებისა აზოტოვან ნივთიერებებსაც, კერძოდ, ჭიტინს შეიცავენ, რომელიც მწერების გარს-შიც შედის.

უჯრედის ცოცხალი შემაღენლობიდან, პირველ რიგში, ალსანიშ-
ნავია პროტოპლაზმა აღვილი შესამჩნევია
ახალგაზრდა პიფების წევრის უჯრედებში, სადაც პირველ ხანებში დიდი
რაოდენობით შეიცავს წვრილ ვაკუოლებს, რაც პლაზმაში შერეულ მარ-
ცვლებს მოგვავინებს. რაც უფრო ხნიერია უჯრედი, მით უფრო დიდდე-
ბიან ვაკუოლები და ხშირად უჯრედის ცენტრს იყავებენ. საბოლოოდ პლა-
ზმა თავისი აღვილის უდიდეს ნაწილს ვაკუოლებს უთმობს, თვითონ კი
გარსისავენ გადაინაცვლებს და ხშირად შეუმჩნეველიც რჩება.

უჯრედის ღრუში უჯრედის წვენი და ჩანართებია, უჯრედის წვენი
მოწითალო პიგმენტის — ჰ ე მ ა ტ ი ქ რ ი მ ი ს — შეცულობის გამო
ხშირად მკრთალი მოპირისფეროა.

სოკოს უჯრედის ჩანართებიდან აღსანიშნავია: სხვადასხვა სახის მონერალური თუ ორგანული კრისტალები, მარაგი ნივთიერებები ცხიმის წვეთების სახით. ეს უკანასკნელები ჯერ წვრილია, შემდეგში ფართზათან ერთდებიან და დიდდებიან. ძველ უჯრედში ცხიმის წვეთები ხშირად უჯრედის ღრუს მთლიანად იყავება.

სამარაგო პროდუქტებისგან აღსანიშნავია ე. წ. გ ლ ი კ თ გ ე ნ ი, რომელიც ქიმიურად ნახშირწყლების ფგუფს ეკუთვნის და სახამებელს უზრუნველყობა, თუმცა იოდის მოქმედებით გლიკოგენი შითლება.

სოკოების უჯრედი იმით განსხვავდება უმაღლეს მცენარეთა უჯრედებისაგან, რომ პლასტილიგებს არ შეიკავს.

სოკოს უჯრედის ერთ-ერთ ორგანელად ე.წ. მ ე ტ ა ქ ი ნ დ რ ი-
ე ბ ი ანუ ქ ი ნ დ რ ი ი ს ი მ ე ბ ი ი თ ვ ლ ე ბ ა. ი ვ ი დ ი დ ი ხ ი ნ ი ა, რ ა ც
უჯრედის პ ლ ა ზ მ ა შ ი ი ყ ი მ ა ღ ნ ი შ ნ უ ლ ი, მ ა გ რ ა მ მ ა თ ი დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ს უ ჯ რ ე-
დ ი ს. ს ა ს ი ც ი ც ხ ლ ი ფ უ ნ ქ ც ი ე ბ შ ი ა რ ი ყ ი კ ა რ გ ა დ ც ნ ი ბ ი ლ ი, ვ ი ღ რ ე ც ი ტ ი-
ლ ი გ ი უ რ კ ვ ლ ე ვ ა-ძ ი ე ბ ა შ ი ე ლ ე ქ ტ რ ი ნ უ ლ ი მ ი კ რ ი ს კ ი ნ ი ა რ გ ა მ ი ა ყ ე ნ ე ს.
მ ე ტ ა ქ ი ნ დ ი რ ი ე ბ ი ფ უ რ მ ი თ ც ვ ა ლ ე ბ ა დ ი ა: ც ი ლ ი ნ დ ი რ უ ლ ი, ე ლ ი ფ ს უ რ ი,
ძ ა ფ ნ ი რ ი დ ა ს ხ ე ბ ი, რ ა ც დ ა მ ი კ ი დ ე ბ უ ლ ი უ ჯ რ ე დ ი ს ხ ე ნ ი ა ნ ე ბ ა ზ ე. პ ლ ა ზ მ ი ს
მ დ გ ი მ ა რ ე ი ბ ა ზ ე, კ ა რ გ ა დ შ ე ს ა მ ჩ ი ნ ე ვ ი გ ა რ ს ი ა ქ ვ თ, ი შ ე ვ ი თ ა დ დ ა ტ ი ხ ე რ უ-
ლ ი ა დ ა მ რ ა ვ ლ დ ე ბ ა დ ა ყ უ რ ი ფ ი თ. მ ი ს ი უ ჯ რ ე დ შ ი ა ღ მ ო ჩ ე ნ ი ს ა თ ვ ი ს ი ხ მ ა რ ე ბ ა
ი ა ნ უ ს ი ს ს ა ღ ე ბ ა ვ ი, რ ა მ ლ ი ი თ ა კ მ ი მ წ ვ ა ნ ი - კ ი ს ფ რ ა დ ი ღ ე ბ ე ბ ა.

ქიმიურად შემდგარია ცილოვან-ლიპოიდური ნივთიერებებისაგან. შეიცავს სხვადასხვა ფერმენტს, რომლებითაც უჯრედში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლაში ანუ მეტაბოლიზმში იღებს მონაწილეობას. იგი ითვლება უჯრედში მიმდინარე ქიმიური გარდაქმნებისათვის საჭირო ენერგიის გენერატორად.

განსაკუთრებულ ორგანელად ითვლება ე. წ. რიბოსომები. იგი წარმოქმნება ხოლმე პლაზმაში, როდესაც ბირთვილან პლაზმაში გადასული რნმ (რიბონუკლეინის მჟავა) ცილების სინთეზს იწყებს. იქნება ფორმით სფეროსებრი წვრილი სხეულაკები, ზომით 200-მდე. უჯრედებში მათი რიცხვი დამოკიდებულია იმაზე, თუ სკოს რომელ სახეობასთან გვაქვს საქმე, რა მდგომარეობაშია იგი. უჯრედი ახალგაზრდაა თუ მობერებული, ტემპერატურაზე, უჯრედი მოშეულია თუ არა, შესაძლებელი. რიბოსომების შესწავლაც ელექტრონული მიკროსკოპთან შესაძლებელი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ე. წ. მეტაქრონის ანუ ვოლუტინს, რომლებიც ქიმიურად ცილოვან ნივთიერებათა ნაერთებს ეკუთვნის: გვხვდება აგრეთვე ცილოვანი კრისტალებიც.

უჯრედის ცოცხალი შემადგენლობის ძირითად ითვლება ბირთვილი სოკოებში გვხვდება ერთბირთვიანი, ორბირთვიანი და მრავალბირთვიანი უჯრედები (პლაზმური სოკოები). ერთბირთვიანები — ჩანთიანი სოკოებია, მაგალითად, ნაცროვანი სოკოები, აგრეთვე ქიტრიდიოვანი და ბაზდიანი სოკოების ნაწილიც.

ორბირთვიანობა ხშირად გამოწვეულია ბირთვების ფაზების მორიგეობით. სპორო ფიტი (უსქესო თაობა) ორბირთვიანია, ხოლო გამეტო ფიტი (სქესიანი თაობა) ერთბირთვიანი. შესაძლებელია ერთი და იგივე სოკო თაობათა მორიგეობასთან დაკავშირებით ჯერ ერთბირთვიანი იყოს, შემდეგ კი ორბირთვიანი. მრავალბირთვიანობა დამახსიათებელია ორაუჯრებული აგებულების სხეულის მქონე ორგანიზმებისათვის, მაგალითად, სოკოწყალმცენარეებისათვის.

ბირთვის ცენტრში ან ექსცენტრულია მოთავსებულია ბირთვაკი.

ბირთვი და ბირთვაკი ქრომატინოვანი ნივთიერებისაგან შეღვება.

სოკოების ვეგეტატიური სხეულის განვითარებისას ახალი უჯრედები ვითარდება, რომელთა წარმოქმნას წინ უსწრებს ბირთვების დაყოფა.

ისევე როგორც უმაღლეს, ასე უმდაბლეს მცენარეებში, ბირთვის დაყოფა ორი სახისაა: პირდაპირი ანუ ამიტოზი და არა პირდაპირი — მიტოზი ანუ კარიოკინეზი.

ამიტოზს ისეთ დაყოფას უწოდებენ, როდესაც დედა უჯრედის ბირთვი ყოველგვარი ცვლილებების ან გარდაქმნების გარეშე შეუნაწილზე გადაიწერება და საბოლოოდ ორ შეილეულ ბირთვად გაიყოფა. ამიტოზი შემჩნეულია მცენარეული ორგანიზმების მობერებულ უჯრედებში. დამახსიათებელია Shisophyta-ს წარმომადგენლებისათვის (ბაქტერიების, სიციური სოკოებისათვის).

მიტოზი ანუ კარიოკინეზი, ჩვეულებრივ ვეგეტატიურ უჯრედებში მიმდინარეობს ისეთივე გზით, როგორც უმაღლეს მცენარეებში. მიტოზის დროს დედა უჯრედის ბირთვი გაყოფამდე რამდენიმე

თანმიმდევრულ ფაზას გაივლის, რის გამოც ასეთ დაყოფას არაპირდაპირ დაყოფასაც უწოდებენ. მიტოზის დროს ქრომოსომების წარმოქმნა აუცილებელია.

არჩევნები ბირთვის დაყოფის ოთხ ფაზას: პროფაზა, მეტაფაზა, ანაფაზა და ტელოფაზა.

პროფაზა დედა უჯრედის ბირთვი შემდეგ ცვლილებებს იძლევა: ბირთვის პირვანდელ ჰომოგენურ მასაში წარმოიქმნება აუარებელი წვრილი, ოდნავ შეფერილი ქრომოსომების მარცვლები (თიმონუკლეინის მდავა) მოთავსებული. ქრომატინის მარცვლები თანდათან იზრდება, ჯგუფებად ან ძაფებად იკვრება და საბოლოოდ წყდება. მოკლე ნაწილებად, რომლებსაც ქრომოსომების მარცვლები თანდათან იზრდება, მათი მასა ერთმანეთს ერევა, რის გამოც ბირთვის ნაცვლად უჯრედის შიგთავსში ქრომოსომებია უწესრიგოდ განლაგებული.

პროფაზის შემდეგ, უჯრედის ბირთვი მეტაფაზაში გადადის. ამ უკანასკნელისათვის დამახასიათებელია უწესრიგოდ განლაგებული ქრომოსომების მოწესრიგება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ყველა ქრომოსომა ერთ ეკვატორულ სიბრტყეში უნდა განლაგდეს. ერთღრულად უჯრედის პოლუსებზე წარმოიქმნება თითო ცენტროს მა, საიდანაც ეკვატორულ სიბრტყეში განლაგებული ქრომოსომებისაკენ მიმართული ნაზი წვრილი ძაფები წარმოიქმნება. უკანასკნელი ბოლო წვრილი დაყაგშირებულია თითო ქრომოსომასთან. ამ ფაზას „თითისტროს“ ფაზასაც უწოდებენ.

ანაფაზაში იწყება თითო ქრომოსომის გასწვრივი (სიგრძეზე) გახლეჩა ორ ნაწილად, ამ ნახევრების ერთმანეთისაგან განცალყავება და ქრომოსომების ნახევარი რაოდენობის პოლუსებისაკენ გადანაცვლება. რჩება ისეთი შთაბეჭდილება, თოთქოს ცენტროსომებიდან ქრომოსომებისაკენ დაშვებული ძაფები შემოკლდნენ და ქრომოსომები თავისეკენ გადაადგილეს.

უკანასკნელ ფაზაში — ტელოფაზაში იწყება შებრტნებული პროცესები. საბოლოოდ ჩამოყალიბებული და პოლუსებისაკენ გადანაცვლებული ქრომოსომები თანდათან კარგავენ თავიანთ სახეს, იშლებიან ჯერ შედარებით მსხვილ გროვებად, ხოლო შემდეგ ქრომატინის წვრილ მარცვლებად, რომელთა შორის წარმოიქმნება ისევე თიმონუკლეინის მუავა. საბოლოოდ მარცვლების კონცენტრაცია უფრო მტკიცე ხდება, ერთმანეთს მკვრივად უკავშირდებიან და იქმნება ბირთვის ჰომოგენური მასა თავისი ზირთვაკით და თხელი გარსით, რითაც მკვეთრად გამოიყოფა უჯრედის შიგთავსი. ეს ბირთვი შვილეული უჯრედის ახლად წარმოქმნილი ბირთვია.

წარმოქმნილ ორ შვილეულ ბირთვს შორის საზიარო გარსი უნდა შეიქმნას. ეს პროცესი უმაღლესია და უმდაბლეს მცენარეებში სხვადასხვა სახით მიმღინარეობს: უმაღლეს მცენარეებში შვილეული უჯრე-




1




2



3



4



5



6

სურ. 41. ბირთვის დაყოფა და მისი ფაზები: 1.2.3 — პროფაზის, თანმიმდევრული სტადიები; 4. — მეტაფაზა; 5 — ანაფაზა; 6 — ტელოფაზა

დების საზიარო გარსის ჩანასახი, ე. წ. ფ რ ა გ მ ო პ ლ ა ს ტ ი, ეკვატორული სიმრტყის ცენტრიდან იწყებს განვითარებას და პერიფერიული მისკენ იზრდება, ვიდრე დედა უჯრედის კედლებს არ შეუერთდება. ამით ორ შეილეულ უჯრედს შორის ახალი ტიხარი შეიქმნება.

უძაბლეს მცენარეებში, კერძოდ, სოკოებში, კი ახალი გარსის ჩანასახი დედა უჯრედის კედლიდან, ანუ პერიფერიიდან, იწყება. მართალია, იგი ცენტრისაკენ ვითარდება, მაგრამ მთლიანი ტიხარი არ იქმნება. ახლად შექმნილი ტიხარის ცენტრში საკმაოდ დიდი ჭვრეტი რჩება, რომლის საშუალებითაც მეზობელი უჯრედების შიგთავსი, პ ლ ა ზ მ ო - დ ე ს მ ე ბ ი ს საშუალებით თავისუფლად გადაღის ერთი უჯრედიდან მეორეში. შიგთავსის ასეთი გადანაცვლება ადვილი შესამჩნევია ქვედა უჯრედებიდან წვერის მოზარდი უჯრედებისაკენ.

სოკოებში ბირთვის დაყოფის პროცესი კარგადაა შესწავლილი სოკოების გამრავლების ორგანოების — ბაზილიოსპორებისა და ასკოსპორების — განვითარებისას. ორივეს წინ უსწრებს სქესობრივი პროცესი. დაყოფის ამ ტიპს მ ე ი ო ზ ი ს, ანუ რედუქციულ დაყოფას უწოდებენ. ეს უკანასკნელი იმაში მდგომარეობს, რომ დედა უჯრედის ამ ფაზაში მიღებული ქრომოსომების რაოდენობის რედუქცია ხდება და თითოეულ ახლად წარმოქმნილ შვილეულ უჯრედს გადაეცემა დედა უჯრედის ქრომოსომების რაოდენობის ნახევარი.

ამ პროცესის შემჩნევა იმ ორგანიზმებზე შეიძლება, რომელთა განვითარების ციკლში სქესობრივი და უსქესო თაობათა მორიგეობა შედის.

სოკოების ფიზიოლოგია

სოკოები ქლოროფილს არ შეიცავენ, რის გამოც მათი კვება ჰეტეროტოფულია. სოკოებს შეუძლიათ მხოლოდ ორგანული ნივთიერებებით ჭვება. შეუძლიათ მინერალურ ნივთიერებათა მიღება, თუმცა ორგანულ ნაერთებად მათი გარდაქმნის უნარს მოკლებული არიან. ყველაფერი ეს თავისებურ ელფერს აძლევს სოკოების როგორც ქიმიურ შემადგენლობას, ისე მათ ფიზიოლოგიურ მოვლენებს (ასიმილაცია და დისიმილაცია).

სოკოების ქიმიური შემადგენლობა თითქოს ერთგვარია, მაგრამ ცალკეულ წარმომადგენლებს შორის სხვაობებს მანიც ვამჩნევთ. ასეთი სხვაობა არა მხოლოდ სოკოების სახეობათა შორისაა შემჩნეული, არამედ ერთი და იმავე სახეობის განვითარების სხვადასხვა ფაზაშიაც დასტურდება (ნაყოფსხეულმი, მიცელიუმში, სპორებში, მოსვენების ორგანოებში და სხვ.).

სოკოების სხეულში მრავალი ქიმიური ელემენტია დადგენილი. დღესათვის ცნობილი ელემენტების დიდი უმრავლესობა სოკოებშიცა აღნიშნული. მიუხედავად ელემენტების ასეთი სიმრავლისა, ყველა მათგანს ერთი და იგივე მნიშვნელობა არა აქვს; ზოგი სოკოს ზრდისათვის აუცილებელი ელემენტია, ზოგი კი მეორეხსარისხოვნი მნიშვნელობისაა. სოკოს სხეულში აღმოჩენილი ქიმიური ელემენტები ირ ჯგუფად იყოფა:

1. ბიოლოგიურად აუცილებელი ელემენტები. ეს ელემენტები სოკოს ნორმალური განვითარებისთვისაა საჭირო. ისინი მენდელევის პერიოდული სისტემის სხვადასხვა ჯგუფშია მოთავსებული. მეტალების ჯგუფიდან აღსანიშნავია მაკრო და მიკროელემენტები. მაკროელემენტებს ეკუთვნიან, მაგალითად, კალიუმი (K), მაგნიუმი (Mg); მიკროელემენტებია: რკინა (F), თუთა (Zn), სპილენდი (Cu), მანგანუმი (Mn), კობალტი (Cob) და სხვ. აღნიშნული ელემენტები სოკოების ნივთიერებათა ცვლაში დიდ მონაწილეობას იღებენ, ზოგიერთი მათგანი ფერმენტის შემადგენელი ელემენტთაგანია.

ქიმიურად სოკოების სხეული, ძირითადად, ორგანოგენებისაგან შედგება (ჟარგბადი, წყალბადი, ნახშირბადი). საკმაოდ დიდი წაწილი ნახშირწყლებს და წყალს უკავია (90%-მდე). სოკოებისათვის აუცილებელია აგრეთვე აზოტი — N, რომელიც ცილოვან ნივთიერებებთანაა დაკავშირებული; იგი პროტოპლაზმისა და ბირთვული ნივთიერების აუცილებელი ელემენტია, თუმცა აზოტი სოკოებში მინერალური ნაერთების სახითაც გვხვდება.

ასეთივე მნიშვნელობისაა ნახშირბადიც, რომელიც მიცელიუმის ყველა ნაწილში შედის. სოკოების მშრალი წყნის ნახევარი ნახშირბადზე მოღის. ნახშირბადის მთავარ წყაროდ ნახშირწყლები ითვლება.

ფოსფორი და გოგირდი ცილოვან ნივთიერებათა ჯგუფში შედინ და აუცილებელი ელემენტების რიცხვს ეკუთვნიან. ფოსფორი ბირთვისა და ბირთვაკის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტია.

სოკოს ზრდისათვის საჭირო ზემოთ ჩამოთვლილი ცალკეული ელემენტი სოკოს სხეულში ქმნის სხვადასხვა სახის ქიმიურ ნაერთს, რომელთაგან აღსანიშნავია ცილები, რომლებიც საკმაოდ დიდი რაოდენობით გვხვდება, ძნელად ხსნადია და მარილებისა და ტუტის ხსნარებით უჯრედიდან გამოიყოფა; ამით ხსნიან სოკოების ცილების მოუნელებლობას (კურსანოვა).

აზოტოვანი ნაერთებიდან აღსანიშნავია ტრიმეთილამინი; ეს. უკანასკნელი ხშირად ტოქსიკურია და მოშხამდას იწვევს.

სოკოებისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ნახშირწყლები — შაქ-რები. ნახშირწყლების ჯგუფს ეკუთვნის სოკოებში სახამებლის შემცვლელი გ ლ ი კ ო გ ე ნ ი, რომელიც იოდის ზემოქმედებით მოწითალო-მურა ფერს იღებს. ნახშირწყლების ჯგუფს ეკუთვნის აგრეთვე უჯრედოვანა, ანუ ცელულოზა, რომელიც ბევრი სოკოს გარსს ქმნის.

სოკოების სხეულში ხშირად სხვადასხვა ზომისა და ფერის ცხიმის წვე-თები გვხვდება. ეს ცხიმები მობერებული, ხანდაზმული მიცელიუმი-სთვისაა დამახასიათებელი.

ორგანული მუავების (ლიმონის, ქარვის, ფუმარინის და სხვა) გამო-ყოფა სოკოების სხეულში ხშირი მოვლენაა. ლიმონის მუავას ზოგიერთი სოკო (მაგალითად, *Aspergillus niger*) იმდენად ბევრს გამოყოფს, რომ ხშირად წარმოებაშიც კი იყენებენ ლიმონის მუავას მისაღებად.

სოკოების სხეულში წარმოქმნილი ნაერთებიდან უმთავრესი მნიშვნელობა ეძლევა ე. წ. ფ ე რ მ ე ნ ტ ე ბ ს ანუ ე ნ ზ ი მ ე ბ ს.

ყველა ქიმიური რეაქცია, რაც კი სოკოების სხეულში მიმდინარეობს ნივთიერებათა შეემნა იქნება ეს, თუ მათი დაშლა შედარებით უფრო მარტივ ნაერთებად, მხოლოდ და მხოლოდ ფერმენტების მონაწილეობით ხდება. ნივთიერებათა ცვლისას ფერმენტი თვითონ არ იშლება, იგი ამა თუ იმ ქიმიური რეაქციის ხელისშემწყობი, და მაჩქარებელი, ანუ ორგანული ბუნების კატერი, მოქმედება მეტად სპეციფიკურია და დაკავშირებულია ყო-ველთვის განსაკუთრებულ ნივთიერებებთან და ისინი ზუსტად განსაზღვრულ რეაქციებს წარმოადგენენ.

ცოცხალი ორგანიზმების ზრდა-განვითარება, უმთავრესად, კვებასა და გარემო პირობებზეა დამოკიდებული. კვებისას ათასნაირი რეაქციები მიმდინარეობს. ყველა რეაქციას თავისი წარმმართველი ფერმენტი მოე-პოვება.

ფერმენტები ორ ჯგუფად იყოფიან: პირველ ჯგუფს შეაღენს ე გ ზ ა-ფ ე რ მ ე ნ ტ ე ბ ი, ანუ გ ა რ ე გ ა ნ ი ფერმენტები. ამ შემთხვევაში გამოყოფილი ფერმენტი უჯრედის გარეთ მოქმედებს, უშუალოდ სუბსტრატს შლის, რთულ ნივთიერებას მარტივად გარდაქმნის (სოკოსა-თვის ადვილშესათვისებლად). ასეთებია: ამილაზა, ცელულოზა, პექტინაზა და სხვ.

ფერმენტების მეორე ჯგუფს შეადგენენ ე. წ. ე ნ დ ო ფ ე რ მ ე ნ-
ტ ე ბ ი ა ნუ შ ი ნ ა გ ა ნ ი ფერმენტები, რომლებიც უქრედში სოკოს
მიერ გარედან შეთვისებულ ნივთიერებათა გარდაქმნას იწვევენ.

სოკოების ზრდა-განვითარებაში გადამწყვეტი როლი მიკუთვნება
მათ კვებას. ამა თუ იმ ნივთიერების მოხვედრისას სოკოს სხეულში მეტა-
ბოლისტურ პროცესებთან დაკავშირებით, მრავალი სახის ქიმიური გარ-
დაქმნები ხდება. წარმოქმნილი ნივთიერებები ორგანიზმების სხეულში
სხვადასხვა დანიშნულებისაა. ნაწილი ნივთიერებისა შეითვისება მცენა-
რის მიერ, ნაწილი ასიმილაციას ემსახურება, ნაწილი კი ღისიმილაციას.
საჭიროა ვიცოდეთ განსხვავება ამ სამ მრვლენას შორის (ლილი და ბარ-
ნეტი).

შ ე თ ვ ი ს ე ბ ა ისეთი მოვლენაა, როდესაც ორგანიზმში შექმნილი
ან გარედან შესული ნივთიერება მცენარეში, მიმდინარე ქიმიურ რეაქ-
ციებში გამოიყენება როგორც დამხმარე საშუალება. იგი ახალი ორგანო-
ების შესაქმნელად იხარჯება. მაგალითად, შეიძლება თავისუფალი
წყალი მოვიყვანოთ, რომელიც მცენარის უქრედებში სხვადასხვა ნივთიე-
რების გამხსნელად ან მცენარის სხეულში გადამტანად გამოიყენება; ნა-
წილი წყლისა კი კოლოიდების მიერაა აღსორბირებული და პროტოპლაზ-
მას ქმნის.


ასეთ ნივთიერებათა კატეგორიას უნდა მივაუთვნოთ აგრეთვე სხვა-
დასხვა კატალიზატორი, ფერმენტები, რომლებიც მხოლოდ ქიმიურ
გარდაქმნათა რეაქციებში იღებენ მონაწილეობას, რეაქციების შედეგად
წარმოქმნილ ნივთიერებაში კი არ შედიან.

ტერმინი „ა ს ი მ ი ლ ა ც ი ა“ ისეთ პროცესს ჰქვია, როდესაც მცე-
ნარის სხეულში მოხვედრილი ნივთიერება უქრედის შიგთავსის სტრუქ-
ტურულ შემადგენელ ნაწილად რჩება, ე. ი. უქრედში მიმდინარე ქიმი-
ური რეაქციების შედეგად წარმოქმნილი ნივთიერების ერთ-ერთ შე-
მადგენელ ნაწილად შედის, ამავე დროს ენერგიას ნოჟავს. ამის კლასი-
კური მაგალითთან ნახშირბადი (C), რომელიც ასიმილაციის დროს მცენა-
რეთა ორგანიზმებში შექმნილ ახალ ნივთიერებათა შემადგენლობაში
შედის.

დ ი ს ი მ ი ლ ა ც ი ა ისეთი პროცესია, როდესაც უქრედში არსე-
ბული რთული შენაერთები მარტივ ნივთიერებად იშლება და ერთდროუ-
ლად ენერგია გამოიყოფა; დასიმილაცია იგივე სუნთქვაა.

საზოგადოდ მიკროორგანიზმებში ცნობილია სუნთქვის ორი ტიპი:

1) ა ე რ ო ბ უ ლ ი სუნთქვა ისეთი პროცესია, როდესაც უქრედში
მოხვედრილი თავისუფალი უანგბადი სუბსტრატის ნივთიერებათა ან
ნივთიერებათა ცვლის შუალედი პროცესის დაქანვას იწვევს, რასაც
თან სდევს ენერგიის გამოყოფა. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ
გლუკოზის დაუანგვის სქემა:



2). სუნთქვის მეორე ტიპია ანაერობული სუნთქვა. იგი უმდაბლეს მცენარეებში გვხვდება, უკანგბადო არეში მიმდინარეობს და ცნობილია როგორც ღუერება, ან ღულილი (მაგალითად, ღვინის, ტკბილის ღულილი, ცომის გაფურება და სხვ.).

ვინაიდან ფერმენტები განსაკუთრებულ, სპეციფიურ ნივთიერებათა გარდაქმნაში იღებენ. მონაწილეობას, მათ მოქმედების ხასიათის მიხედვით რამდენიმე ჯგუფად ანაწილებენ:

1. ჰიდროლიზური ფერმენტები. ამათი მოქმედებით, წყლის მოლეკულის შეერთების გამო, ორგანულ ნივთიერებათა დაშლა ხდება ან პირუკუ, ისინი ორგანულ ნივთიერებათა დაშლას იწვევენ წყლის მოლეკულის გამოყოფის გამო. ამ ჯგუფიდან ალსანიშნავია პროცესით ური ფერმენტები, რომლებიც ცილებს შლიან მარტივ ორგანულ ნივთიერებად, ნახშირწყლებისა და ცხიმების პიდროლიზის გამომწვევი ფერმენტები.

2. უანგვა-ალდგენის ფერმენტები. (კატალაზა, პეროქსიდაზა და სხვ.).

3. ღუების ანუ ღულილის ფერმენტები (ამილაზა).

ცალკეული ფერმენტის სახელშოდება წარმოქმნილია იმ ნივთიერების სახელისაგან, რომელიც იშლება ფერმენტის მოქმედებით და ბოლოში — აზა — ემატება. მაგალითად, ცელულოზასგან — ცელულაზა; პექტინისაგან — პექტინაზა; ლიგნინისგან — ლიგნინაზა; პილრალაზა და სხვ.

მიცელიუმის სახეცვლილებანი და ათი დანიშნულება

მიცელიუმი ჩვეულებრივად ნაზი პიფებისაგან შედგება. გარემო არახელსაყრელი პირობების გავლენით ხშირად მიცელიუმისაგან სხვადასხვაგვარი სახეცვლილებები ვითარდება, ზოგიერთი მათგანი სოკოს განვითარების ციკლის დამახასიათებელი ერთ-ერთი სტადიაცაა. მიცელიუმის სახეცვლილებათა დანიშნულება ორგანიზმის პირველია განვითარების არახელსაყრელ პირობებთან შეეფება, მისი ატანა, მეზამორეობა, ხოლო მეორე — ვეგეტატიური გამრავლება.

მიცელიუმის სახეცვლილებები წარმოშობის მხრივ ორ ჯგუფად იყოფა: პირველი ჯგუფი ისეთ ფორმებს შეიცავს, რომლებიც მიცელიუმის პიფების შეზრდით არიან წარმოქმნილი. ამ ჯგუფს ეკუთვნიან: ქიმი, რიზომორფი, სკლეროციუმი, აფსკი, და ჰემი. მეორე ჯგუფი კი პიფების ძაწყვეტის გზითა წარმოქმნილი. ასეთებია ქდამიდოსპორა და ოიდიები.

მიცელიუმის სუბსტრატზე განვითარებულ სოკობში გვხვდება. უმარტივეს შემთხვევაში იგი წარმოიქმნება პიფების პარალელურად შეზრდის გზით.

ეჭრდას ხშირად ხელს უწყობს ჰითების გარსის გალორწოიანებაც. არის სეთი შემთხვევებიც, როდესაც ჰითები ერთმანეთთან უფრო მტკიცედაა დაკავშირებული მათ ზედაპირზე განვითარებული მოჩჩების, ანუ ანას-ომოზების ერთმანეთთან შეზრდის გამო.


ჭიმი ანუ თასმები სხვადასხვა სიძლიერითაა წარმოდგენილი: ზოგ-ერ მიკროსკოპულია, მეტად ნაზი; ზოგიერთი სოკოს ჭიმი საკმაოდ სხვილია, ხშირად ერთი სანტიმეტრი და მეტი დიამეტრისაა (მაგალითად, ახლის თეთრი სოკო — *Potria Vailantii*, ნამდვილი სახლის სოკო — *Mer. lacrymans*). მხევილი ჭიმი, სახლის სოკოებში წყალგამტარობის ცუნქციასაც ასრულებს. როგორც წესი, ჭიმი საკვებნივთიერებათა მა-ავის სათავსო არაა.

მეორე სახეცვლილებაა რ ი ზ ო რ ფ ი. იგი ბუნებაში ფართო-ად გავრცელებული და გარეგნულად თითქმის ჭიმის წაგავს (თასმისნაირია, ატომტვილი), მაკრამ დანიშნულებით მიკროსკოპული აგებულებით და ცვერით ჭიმისაგან აშკარად განსხვავდება: რიზომორფი გრძელია, სწორ-უთხედად დატოტვილი და შავი ქერქით დაფარული. რიზომორფის განი-ო ჭრილის პერიფერიული ნაწილი შავი, სქელგარსიანი, კუტინიზებული ჯერედებისგანაა შემდგარი, რომელიც რიზომორფის თეთრი ფულს ფა-ავს. გულიც შეზრდილი ჰითებისგანაა წარმოქმნილი და გამოვსებულია აკვები მასალის დიდი მარაგით (ცხიმის წვეთებით, გლიკოგენით და სხვა).

რიზომორფის დაწყვეტით წარმოქმნილ ნაწილაკებისაგან შესაფერის ირობებში ვითარდება ახალი სოკოორგანიზმი, რაც მისი ვეგეტატიური ამრავლების უნარის მაჩვენებელია. გარდა ვეგეტატიური გამრავლები-ა (მაგალითად, მანჯვალა სოკო *Armillaria mellea*) რიზომორფებისა-ნ სოკოს ნაყოფსხეულის წარმოქმნაცაა. შესაძლებელი, რაზედაც სპე-ციალური გამრავლების ორგანოები ე. წ. ბაზიდიოსპორები ვითარდებიან. იზოზომორფები, უმთავრესად, უმაღლეს სოკოებს ახსათებს. რიზო-მორფის განვითარების ადგილის მიხედვით არჩევენ ქ ე რ ქ ე ვ ე შ ა ა ა' ნ ი ა დ ა გ ი ს რიზომორფებს, ორგვენი ერთიდაიმავე წარმოშობისა რიან, განსხვავდებიან მარტო ფორმით. ქერქევეში რიზომორფის ქერქსა და მერქნის შუა ფენაში განვითარების გამო მობრტყა, ხოლო ნიადაგისა ცილინდრული. ერთი და იგივე რიზომორფი დასაწყისში შეიძლება რტყელი იყოს, ხოლო შემდეგ — მისი ნიადაგში გადასცლის გამო, ცი-ლინდრული გახდეს.

მიკროსკოპული აგებულებით ს კ ლ ე რ თ ც ი უ მ ი, რიზომორფის სხვავსია, განსხვავდება მხოლოდ გარეგნული ფორმით; იგი მარცვლი-ებრია, მრგვალი, ბორტყელი, ნახევარსფეროსქებრი, ან მოგრძო, იშვია-რიად შეფერილიც. სკლეროციუმის ფორმა დამოკიდებულია იმაზე, თუ ჩა ადგილზე ჩასახული — ლია ადგილზე, გულგულში თუ სხვაგან.

კლეროციუმიც შავი ქერქითაა დაფარული, გულს ქსოფილი თეთრია და



სურ. 42. რიზომორფი მერქანზე (მარცხნივ) რიზომორფიდან განვითარებული სოკოს ნაყოფსეული (მარჯვნივ)

გავსებულია საკვები მასალის მარაგით (ცხიმის წვეთები, ცილები და სხვ. სკლეროციუმით სოკო მეზამორფობს (მაგალითად, *Botrytis cinerea* *Sclerotium Rolfsii* და სხვ.). გაღივებისას ზოგი სოკო სკლეროციუმ ნაყოფსეულს ივითარებს. სკლეროციუმი რომ გაღივდეს, საჭიროა იგი ყინვების გავლენის ქვეშ მოექცეს.


ზოგჯერ სკლეროციუმი სოკოს მიერ დაავალებული მცენარის ორგანიზმის წარმოქმნება. მაგალითად, ჭვავის ჩემა *Claviceps purpurea* მცენარის ნასკვს აავადებს. სოკოს გავლენით ჭვავის ნასკვი ძლიერ იზრდება დიდდება და ბოლოს ისე გამოიგებსა სოკოს ჰიფებით, რომ ნაყოფში მცენარეული ქსოვილი აღარ რჩება, იგი სოკოს მიერ მთლიანადაა გამოყენებული და საბოლოოდ მარცვალი სკლეროციუმადაა გადაქცეული.

ჰიფების შეზრდითაა წარმოქმნილი აგრეთვე ა ფ ს კ ი, რომელიც ხშირად ჰიფების ისეთ მტკიცე შეზრდას იძლევა, რომ ტყავს მოგვაცნებს. აფსკი თხელია და ნაზი. გვხვდება სახლის სოკოებში (*Merulius Porria*), მაგრამ სოკოებში ზოგიერთი აფსკი ჰიფების პარალელურად შეზრდითაა წარმოქმნილი, ზოგი კი გადახლართვით. აფსკის ნაწილაკებია საგან შესაძლებელია სოკოს ახალი თაობის მიღება.


მიცელიუმის განსაკუთრებულ სახეცვლილებად ე. წ. ჰ ე მ ი ითვლება. იგი მიცელარული წარმონაქმნია ჰიფების პატარა კვანძის სახით ჰიფებით სოკო არახელსაყრელ პირობებს ეგუება, მეტადრე, როდესაც მის შემდგომდ განვითარება ჩერდება. კარგ პირობებში კი ისევ გაღივდება და მცენარის ინფექციის იწვევს. ასეთი წარმონაქმნები ცნობილია, მაგალითად, შერის გუდაფშუტასათვის (*Ustilago levis*), სადაც ჰიფი თესლის კილის ქვეშად მოთავსებული.

მიცელიუმის სახე-
ცვლალებათა განკა-
უთარებულია ფორმა
მიფების დაწყვეტით ან
დაკირტვით წარმოქმ-
ნილი ქლა მიღისა-
ბორ ებილა ორ-
დი ები (ორგონპო-
რები). ქლამიდოსპო-
რების განვითარება მი-
ცელიუმის მქონე სოკო-
ებში ხშირია. ერთუჯ-
რედიან სოკოებში ქლა-
მიდოსპორის წარმოქმ-
ნის წინ უსწრებს მიც-
ელიუმის რომელიმე
ადგილზე გაბერვა. გა-
ბერილ ადგილებში უჯ-
რედის შიგთავსში. სა-
კვები მასალის მარაგი
გროვდება, შემდგომ
მტკიცედ იყუმშება,
ოდნავ იფერება და ივი-
თარებს სქელ გარსს.
ასეთი სქელგარსიანი
და მარაგი ნივთიერე-
ბით სავსე წარმონა-
ქმნით სოკო იზამთრ-
ებს, დედა მიცელიუ-
მის გარსი იშლება და განთავისუფლებული ქლამიდოსპორა ისევ ახ-
ალ ინდივიდის ავითარებს.

თუ მრავალუჯრედიანი მიცელიუმია და დატიხრული, მაშინ პიტას
ცალკეული უჯრედი ქლამიდოსპორად ვთარდება. იგი მსხვილდება,
მარაგი ნივთიერებით ბესება და სქელ გარსს შემოიქავს. შემდგომში
ასეთი ჰითა ცალკეულ ქლამიდოსპორებად იშლება. ზოგიერთ სოკოში
ქლამიდოსპორების განვითარება იშვიათია და გარემო პირობებთანაა
დაკავშირებული, ზოგიერთისათვის კი განვითარების აუცილებელ სტა-
დიანს წარმოადგენს. მაგალითად გამოლგება გულაფშუტოვანი სოკოები
(Ustilagineae). მათი გამრავლება მხოლოდ ქლამიდოსპორებით ხდება,



სურ. 43. ქლამიდოსპორების წარმოქმნა *Mucor*-ის
მაგალითზე ა — ქლამიდოსპორების წარმოქმნის პირ-
ველი ნიშნები ბ — ქლამიდოსპორების კონტურის შე-
ქმნა გ — მომწიფებული ქლამიდოსპორები სქელი გა-
რსთ დ — ცალკე ქლამიდოსპორა



სურ. 44. სოკოების დაკვირტვის ტიპები: 1 — საფუარა სოკოს დაკვირტვა; 2 — *Mucor*-ის ჰიფების დაკვირტვა; 3 — *Colibibia*-ს ჰიფადან ოდიების წარმოშმა 4 — ქლამიდოს პორების წარმოქნა

იგი მათი განვითარების ციკლში შედის. ქლამიდოს პორა გრძივებისათვის მოითხოვს ყოველთვის შესვენების პერიოდს. გულაფშუტების ქლამიდოს პორა ყოველთვის ბაზიდუმებად ვითარდება და ბაზიდიოს პორებს იძლევა იმ ღრმს, როდესაც სხვა სოკოების ქლამიდოს პორები მიცელიუმის წინაზრდილს უვითარებენ.

მიცელიუმის დაწყვეტილ წარმოქმნება ე. წ. ო ი დ ი ე ბ ი (ოდიოს პორები). მათი განვითარება უმთავრესად კების პირობების გაუარესებასთანაა. დაკავშირებული. ოდიების წარმოქმნა ჰიფას წვერილან იწყება, რაზედაც ჩვეულებრივ ჰიფასთან შედარებით, ტიხარების უფრო მეტი რიცხვი ვითარდება. შემდეგ ცალკეული უჯრედი მომრგვალო ან კვერცხისებრ ფორმას იღებს. ასეთი ჰიფა წვერილან, დაშლას იწყება. უჯრედები ერთმანეთს სცილდება და მოზამთრეობისათვის არაა განკუთვნილი. ჰიფების ოდიებად დაშლა შესაძლებელია იყოს ნაწილობრივი ან მთლიანი, მოზამთრეობას არ მოითხოვს და ვეგეტატიური გამრავლების საშუალებადაც ითვლება.

სოკოების ვეგეტატიური გამრავლების ფორმებს ეკუთვნის სოკოების დაკვირტვით გამრავლებაც. ტერმინი „დაკვირტვა“ გამოყენებულია ზოგიერთი სოკოს გამრავლების ფორმის აღსანიშნავად, მაგალითად, საფუარა სოკოებისათვის (*Sacharomycetineae*). უანასკნელი ჯგუფი დაკვირტვის ტიპიურ ფორმას იძლევა, რაც შემდეგში მდგრადი სოკოს ერთუჯრედიანი სხეულის ზრდის ერთდროულად გარსის ზედაპირისგან წარმოიქმნება კვირჩისებრი სხეული. იგი ადვილად აშენდება დედალა უჯრედს და შვილეულ უჯრედს იძლევა. ასეთი გზით წარმოქმნილი უჯრე-

დები სხვადასხვა ზომისაა. საბოლოოდ დედა უჯრედის ზომას რომ მიაღწევს, თვირთონაც იყვირტება. ზოგიერთ სოკოში ახლად წარმოქმნილი შვილეული უჯრედები ძეწვებად იყვრება და შემდგომ ადვილად იშლება. დაკვირტვა ზოგიერთი სოკოს, მაგალითად, საფუარა სოკოს *Cephalosporium*, *Torula*-ს განვითარების ციკლის ერთ-ერთი სტადია. დაკვირტვით გამრავლება ვეგეტატიურად ითვლება.

სოკოების გამრავლება

სოკოები მრავლდებიან ვეგეტატიური, უს ქესო და ქესობრივი გზით.

ვეგეტატიური გზით გამრავლებისას იგულისხმება სოკოს სხეულის ნაწილებით გამრავლება, როდესაც მიცელიუმი ცალკე ნაწილაკებად წყდება და თითოეული ასეთი ნაწყვეტი ან ცალკე ჰიფა შესაფერის პირობებში მოხვედრისას ისევ ახალ სოკოს ინდივიდს იძლევა. ვეგეტატიურ გამრავლებას ემსახურება აგრეთვე მიცელიუმის სახეცვლილებებიც, როდესაც ამა თუ იმ სახეცვლილების (რიზომორფის, სკლეროციუმისა და სხვათა) ცალკეული ნაწილაკისაგან ახალი სოკორგანიზმები მიიღება. ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მიცელიუმის სახეცვლილებათაგან სოკოს ნაყოფსახულები ვითარდება შესაფერისი სპორებით. გამრავლების ასეთი ფორმა ვეგეტატიურ გამრავლებად არ ჩაითვლება.


სოკოების უს ქესო და ს ქესობრივი გამრავლება ხდება სპორებით, რომლებიც სოკოს მიცელიუმზე წარმოქმნილ სპეციალურ ორგანოებზე ან ორგანოების შიგნით ვითარდებიან და თავისებური აგებულება აქვთ.

უსქესო გამრავლების სპორებად ისეთები ითვლებიან, რომელთა წარმოქმნა უსქესო გზით ხდება, ე. ი. სქესობრივი პროცესი—ორი ბირთვის ან გამეტის შეერთების სახით წინ არ უსწრებს.

უსქესოდ წარმოქმნილი სპორები დასაწყისში ყოველთვის ერთუჯრედიანი სხეულისგან წარმოიშობიან, შემდეგში კი თავის საბოლოო ფორმას იღებენ. სპორების ფორმა კი ნაირსახოვანია: ერთიდან — მრავალუჯრედიანამდე, შეფერილი, უფერული, მრგვალი, ცილინდრული და სხვ.

სქესობრივი გამრავლების შემთხვევაში კი ორი, მდედრობითი და მამრობითი უჯრედის, ანუ გამეტების ან ბირთვების შეერთება წინ უსწრებს, რის შემდეგ სათანადო სქესობრივი სპორები წარმოიქმნებიან (ასკოსპორები ან ბაზიდიოსპორები).


უსქესო გამრავლების გზით წარმოშობილი სპორები, იმისდამიხელვით, დახურულ არეშია განვითარებული, თუ ღიადაა წარმოქმნილი, ორ ჯგუფად იყოფიან: ენდოგენურ ანუ შინაგან და ეგზოგენურ ანუ გარეუგან სპორებად.



სურ. 45. სხვადასხვა ფორმის სპონსორები

შინაგანი წარმოშობის უსქესო სპორტია — ს პორანგით ს პორანგით დაწყის წევობით.

— სპორანგიოსპორა ვითარდება ს პორანგიუმში, რომელიც
შეიცემიდანაა წარმოქმნილი. იგი შედგება სქელი აღმართული ფეხი-
საგნი, რომლის წვეროზე მრგვალი, თხელკედლებიანი სპორანგიუმის
კოლოფია განვითარებული. სპორანგიუმის ფეხი ზოგჯერ კოლოფში
ნაწილობრივ შეჭრილი, ამ ნაწილს კოლუმნური უწოდებენ. სპო




სურ. 46. ენდოგენური წარმოშობის უსქესო გამრავლების ორგანოები: მარცხნივ: ზოოსპორანგიუმი — ზოოსპორაზით ა — ზოოსპორა (1.2 — მარცხნივ); სპორანგიუმი ბ — სპორანგიოსპორებით (1.2 — მარცხნივ).

ანგიუმის კოლოფში მოთავსებული შიგთავისი ბირთვიანად თანდათან ითვა. წარმოქმნილი ნაწილაკები და პლაზმა თავისი ერთი ბირთვით ბოლოოდ მტკიცე გარსს იყითარებენ და დამოუკიდებელ სპორად, ამ ემთხვევაში სპორანგიოსპორად, ყალიბდებიან. სპორანგიოსპორები კოლოფში, განუსაზღვრელი რაოდენობითაა. როდესაც სპორანგიოსპორები იმწიფდებიან, კოლოფის კედელი იშლება ან სკდება და განთავისუფლებული სპორები, ვინაიდნ უძრავნი არიან, მექანიკურად ვრცელდებიან. ითოვეული სპორა ახალ ინდივიდუმს იძლევა, თუ შესაფერის პირობები მოხვდა. ამ მხრივ ტიპურია ოჯ. *Mucoraceae*-ის წარმომადგენლები ურ. 46). *Rizopus*, *Mucor* და სხვა.

უსქესო გამრავლების ორგანოებს ეკუთვნის აგრეთვე ზოოსპორები და ასეურულ სხეულში ზოოსპორაზით მში წარმოიქმნება. ზოოსპორას მტკიცე გარსი არა აქვს, შიშველია, პლაზმური, აქვს — 2 შოლტი, რომელთა საშუალებით წყალში მოძრაობს. ზოოსპორები ვითარდებათ უმდაბლეს სოკოებს, რომლებიც წყალში ან ჭარბტენიან არემოში ცხოვრობენ; სპორანგიოსპორები კი ხმელეთის პირობებთან ეგუებულ სოკოთათვისაა დამახასიათებელი.

ეგზოგენური სპორები ყოველთვის სოკოს მიცელიუმზე წარმოქმნიან სპეციალური ჰიფების წვეროსგან ვითარდებიან. ამ ჰიფებს სხვა და-აუზნულება არა აქვთ, გარდა სპორების წარმოქმნისა. მათ კონდიციურ ები ანუ კონდიციათ მტკიცებულ სპორებს კი კონდიციურ მი ანუ კონდიცია კონდიციას მრავალი სოკო იძლევა და იგი მათი გავრცელდება. ლ. ყანჩაველი




სურ. 47. აკროპეტალური და 2 — ბაზიპეტალური კონი-
დიოსპორების განვითარების სქემა.

და საკმაოდ გრძელსა და აღვილად შესამჩნევ ძეწკვებსა ჭმნის.
კონიდიოსპორების წარმოქმნის ორ ფაზმას არჩევენ: პირველი —
აკროპეტალური ფორმა, როდესაც კონიდიათმტარებზე შექმნილი
ახალი სპორა ძეწკვების წვეროზე ვითარდება, ე. ი. მის წინ წარმოქმნილი
კონიდიუმის წვეროზე. ახლად შექმნილი კონიდიოსპორა კონიდიათ
მტარის წვეროდან ყველაზე დაშორებულია და ყველა წარმოქმნილ კონიდიუმებზე უფრო ახალგაზრდა.

კონიდიოსპორების წარმოქმნის მეორე ფორმას ბაზიკეტალური იქნება. იგი აკროპეტალური ფორმის საწინააღმდეგოა, განაიღან ყოველი ახალი კონიდიოსპორის წარმოქმნა კონიდიოსპორებზე
ძეწკვების ფუძეებიდან იწყება. ყოველი ახალი სპორა კონიდიათმტარის
წვეროთანაა შექმნილი. ასე რომ წარმოქმნილი სპორებიდან ყველაზე
ახალი სპორაა ძეწკვების ფუძესთან. ასეთი კონიდიუმების განვითარება
შემდეგი სახით ხდება: კონიდიოფორის წვერი თანდათან იბერება და
ერთდროულად შიგნით გადადის პლაზმა ბირთვებით. შემდეგ გაბერილ
ნაწილის ქვედა მხრიდან ჯერ ოდნავ შესამჩნევი ნაჭედების განვითარება
იწყება, რომელიც შემდეგ განივ ტიხრად გადადის, რის შედეგადაც ახა-
ლი კონიდიოსპორა გამოცალკავდება.

ლების მთავარ საშა-
ლებას წარმოადგე-
მიუხედავად იმისა, რ-
კონიდიოსპორების
რომშობა ყოველთ-
ერთი ტიპისა ხდება
სპეციალურ ჰიფას წ-
როზე, გარეგნული ფ-
რმით მრავალი სახის
ერთუჯრედიანიდან
მრავალუჯრედიანამდე
უფერულიდან — შეფ-
რილამდე, სწორი თ-
მოხრილი და სხვ. კონ-
დიური ნაყოფიანობ-
მომცემ სოკოს სახე-
ბას კონიდიუმები დამ-
ხსიათებელი ფორმი
აქვთ. წვეროზე განვით-
რებული კონიდიუმე-
ბები შემთხვევაში ი-
თიმეორეს არ სწყდე-



1



2

სურ. 48. კონიდიური ნაყოფიანობის ტიპები. 1 — თავისუფალი,
2 — სარეცელიანი და 3 — პიკნიდიუმი.

თავისი აგებულებით კონიდიოფორები სხვადასხვანაირია: მარტივი, ღატოტვილი, უფერული, შეფერილი და სხვ. მარტივი კონიდიოფორები ბევრ შემთხვევაში ერთმანეთისაგან განცალკავებული არიან და მიცელიუმი ზედაპირზეა გაფანტული (მაგალითად, ნაცროვანი სოკოები). ზოგ შემთხვევაში კონიდიოფორები ჯგუფადაა შეკრული და სვეტსქმნის, თავისუფლად ღატოვებულია მხოლოდ კონიდიათფორების წვერი. შეეთ ნაყოფიანობას კორე ემიუ მი ეწოდება.

განსაკუთრებულ ნაყოფიანობას წარმოადგენს ე. წ. სარეცელი, რომელიც უსრული სოკოების ერთ ჯგუფს ე. წ. მელანკონიალებს ახასიათებთ. ამ შემთხვევაში ვიღრე კონიდიოფორები განვითარდებიან, სუბსტრატზე ერთეულად ან ჯგუფურად შეიქმნება მიცელიუმისაგან, მტკიცედ შეკრული შრე, რაზედაც აღმართულად ვითარდებიან კონიდიოფორები. ასეთი სარეცელი ბრტყელია, ფდნავ ჩაზნექილია ან ამოზნექილი.

კონიდიური ნაყოფიანობის განსაკუთრებულ ფორმად პიკნი და იუ მი ითვლება. ამ შემთხვევაში კონიდიოფორები დახურულია და გარშემო უნაყოფო, მიცელიუმისაგან კუტინიზებული, სქელგარსიანი უჯრედებისაგან შემდგარი კედელი აქვს განვითარებული. ასეთ დახურულ პიკნიდიუმს წვერზე კარი ან ძუძუსებრი პორუსი აქვს განვითარებული, იშვიათად გრძელი მილისებრი ხორთუმიც გაჩინიათ, საიდანაც კონიდიუბის გარეთ გამოსვლა და გაფანტვა ხდება უმთავრესად წყლის ან ქარის საშუალებით. პიკნიდიუმის მიერ წყალი პორუსით შეისრულება. პიკნიდიუმში არსებული ლორწო წყლის შეთვისებით იჭირვება, ველარ ეტევა პიკნიდიუმის ღრუში და შიგნით განვითარებულ მრავალ კონიდიუმთან ერთად პიკნიდიუმიდან გარეთ გამოდის ლორწოვანი ბაფთის სახით; პიკნიდიუმებში განვითარებულ სპორებს პიკნი თა რ ე ბ ს ა ც უწოდებენ.

დაავადებული სუბსტრატის ზედაპირზე პიკნიდიუმები შავი წვრილი წერტილების სახით მოჩანს. პიკნიდიუმები ვითარდებიან როგორც ერთეულად, ისე ჯერთად შეკრული უნაყოფო ქსოვილით, რომელსაც სტრომა ეწოდება.

სოკოვას და სოკობრივი გამრავლება და მისი ზორები

სქესობრივი სპორებით გამრავლება სოკოვას თითქმის ყველა წარმომადგენელშია, გარდა უსრულო სოკოვას, რომელთა გამრავლება მარტო უსქესო სპორებით ხდება.


ამა თუ იმ სოკოს სრული გარკვევისათვის, მის სხვა ჯგუფის სოკოებთან ნათესაური, ანუ ფილოგენეტური კავშირის დაღვნისათვის, სქესობრივი გამრავლების ტიპის ცოდნა აუცილებელია.

სქესობრივი გამრავლებისას ორი უჯრედი ან ბირთვი შეერთდება, რომლის შედეგად მიღება ე.წ. ზ ი გ რ ტ ა ან სოკოს განვითარების დიპლოიდური 2X-იანი თაობა. სქესობრივი გამრავლების ფორმები სოკოებში რამდენიმე სახისა გვხვდება.


სქესობრივი გამრავლების მარტივ ფორმას უმდაბლეს სოკოებში, კერძოდ არქიმიცეტებში და ჩანთიან სოკოებში ვხვდებით. მას პოლაგა მიას უწოდებენ. ეს უკანასკნელი იმაში მდგომარეობს, რომ მდედრობითი და მამრობითი უჯრედები სპეციალურ სქესობრივ უჯრედებს. ანუ გამეტებს კი არ წარმოადგენენ, არამედ ჩვეულებრივი ვეგეტატიული სხეულებია, ცალკე ინდივიდებია და მათი შეერთება ხდება, რის შედეგადაც მიიღება ზიგოტა (მაგალითად, *Schizosacharomyces*). შესაერთებელ სხეულთაგან თუ რომელია მამრობითი და რომელი მდედრობითი, ამის გარჩევა შეუძლებელია.

სქესობრივი გამრავლების შედარებით სრულყოფილ ფორმას ფიცი მიცეტებში (Phycomycetes) ვხვდებით. ასეთი სქესობრივი პროცე-

სის შედარებითი სრულყოფა (ჰოლოგამიასთან შედარებით) იმაში მდგომარეობს, რომ აქ ინდივიდუების შეერთება კი არ ხდება, არამედ, მათ ვეგეტატიურ სხეულზეა განვითარებული სპეციალური, სქესობრივი უჯრედები, რომელთაგანაც ერთი მდედრობითია და მეორე მამრობითი, ისე რომ ინდივიდის სხეულის შეერთებას არა აქვს ადგილი. აქ აშკარადა გამოსახული ერთმანეთისაგან განსხვავდული გამრავლების ორი ფორმა. პირველია ზ ი გ ა მ ი ა, ანუ ი ზ ი გ ა მ ი ა, როდესაც სქესობრივი უჯრედები ანუ გამეტები ტოლნი არიან, ერთგვარნი და მათი ერთმანეთისაგან გარჩევა. სქესის მიხედვით შეუძლებელია. ასეთ სქესობრივ უჯრედებს ც ე ნ ი გ ა მ ე ტ ა ს უწოდებენ. მათ ფიზიოლოგიურ სხევადასხვაობას ანუ სქესს პირობით აღნიშნავენ პლუსით (+) — მდედრობითს და მინუსით (-) მამრობითს. ცენოგამეტების შეერთების შედეგად მიიღება 2X-იანი ზ ი გ ა რ ა, რომელიც შესვენების შემდეგ ისევ სპორანგიუმს იძლევა. სპორანგიუმში ბირთვების რედუქციული დაყოფის შედეგად მიიღება ერთ X-იანი მრავალი სპორანგიოსპორა. ამის საუკეთესო მაგალითია პურის ობის (Mucor) განვითარების ციკლი. სქესობრივი გამრავლების დროს მუკორის მიცელიუმის ზოგიერთი ჰიფა ერთი-მეორის მოპირდაპირედ განლაგდება. თითოეული ჰიფას წვერიდან ტიხარით გამოიყოფა ჰიფას ნაწილი. ორივე ჰიფას წვერი შემდგომ ერთი-მეორეს ეხება და თანდათან ერთმანეთს შეეზრდება. შეხების ადგილზე არსებული ტიხარი გაწყალდება და საბოლოოდ ორუჯრედიანი სხეულის ნაცვლად ერთუჯრედიანი ზიგოტა მიიღება. უკანასკნელი სოკოს განვითარების დიპლოიდური ანუ 2X-იანი ფაზა. ზიგოტა შესვენების შემდეგ ისევ სპორანგიუმად ვითარდება, ასშიც, რედუქციული დაყოფის შემდეგ ჰ ი პ ლ ი დ უ რ ი ა ნუ უსქესო სპორანგიოსპორები წარმოიქმნება. პაპლოიდური ანუ უსქესო თაობა გრძელდება მანამ, სანამ სპორანგიოსპორადან განვითარებული მიცელიუმი ისევ ზიგოტას არ განვითარებს. იზოგამია ორგვარია: ჰ ე ტ ე რ ი გ ა ლ უ რ ი, როდესაც სქესობრივ პროცესში მონაშილე ჰიფები სოკოს სხევადასხვა ინდივიდუმებისან არიან მიღებული. ასეთ შემთხვევაში სოკოს თალუსი ანუ მიცელიუმი



სურ. 49. ჰოლოგამია საფუარა სოკოებში.



სურ. 50. სოკოების სქესობრივი გამრავლების ტიპები (იზოგამია): *Rhizopus nigricans*.

ერთს ქესიანია. ჰეტეროტელური იზოგამია უნდა განვისხვავოთ ჰომოტელური რისაგან, როდესაც იზოგამიაში მონაწილე ჰიფები ერთი ინდივიდუმისაგანაა მიღებული, ე. ი. მიცელიუმი ორსქესიანია.

ფიკომიცეტებში იშვიათია აგრეთვე ჰეტეროგამია, როდესაც გამეტები ერთნაირი აგებულებისაა და მხოლოდ სიდიდით განსხვავდებიან: ერთი შედარებით უფრო დიდია, ვიდრე მეორე. დიდი მდედრობითადაა ჩათვლილი, ხოლო პატარა — მაგრობითად. *Allomyces javanicus*.

ფიკომიცეტების დიდ ნაწილს — ოომიცეტებს *Oomycetes* სქესობრივი პროცესის ტიპი — ოოგამია აქვთ. ამ შემთხვევაში მიცელიუმზე წარმოიქმნება ერთმანეთისაგან აშკარად განსხვავებული სპეციალური სქესობრივი ორგანოები — მდედრობითი — ოოგონიუმი და მაგრობითი — ანთერიდიუმი.

ოოგონიუმი დიდი მრგვალია ან ოვალური სხეულია, რომელშიც ზოგჯერ ერთი კვერცხუჭრედია განვითარებული *Monoblepharis*. ზოგიერთი წარმომადგენლის ოოგონიუმი კი მრავალბირთვოვანი შიგთავსია.

ანთერიდიუმი ყოველთვის ზომით უფრო პატარაა, მოგრძო, ცილინდრული, ზოგ შემთხვევაში სპირალური სახისა და შემოვლებულია ოოგონიუმზე. ანთერიდიუმი ხშირად კარგად განვითარებული ნისკარტით ოოგონიუმის კედელშია შეჭრილი. ზოგიერთი წარმომადგენლის ანთერიდი-

შში სპერმატოზოიდები ვითარდებიან. ეს უკანასკნელი წერილი, ერთ-ერთგვანი, შოლტებით აღჭურვილი გამეტაა, რომელსაც აქტიური გა-
ანაცვლება შეუძლია და ოოგონიუმის კვერცხუჯრედს ანაყოფიერებს.
ომიცვეტების უმრავლესობის ანთერიდიუმში მრავალბირთვიანი შიგ-
ავსია, განაყოფიერების დროს ანთერიდიუმის შიგთავსი მთლიანად
დაიდის ოოგონიუმში და მის შიგთავსს უერთდება. დაცარიელებული
ათერიდიუმი ქრება.

განაყოფიერებული ოოგონიუმისგან მიიღება ო ო ს პ ო ო ა, რო-
ელიც შესვენების პერიოდის გავლის შემდეგ ახალ ინდივიდუმად ვი-
არდება, უფრო ხშირად კი ოოსპორისგან წარმოიქმნებიან უსქესო გამ-
ავლებას ორგანოები, ე. წ. ზოოსპორები.

განაყოფიერებული ოოგონიუმის ცენტრში კვერცხუჯრედისაგან ვი-
არდება მრგვალი, სქელი გარსით დაფარული ოოსპორა, განაყოფიერე-
უმდე არსებული ოოგონიუმის კედელი ანუ გარსი თხელია და საღა.
შიგნით ცენტრში კი კვერცხუჯრედი კარგად განვითარებული დამოუკი-
ავებელი გარსით დაიფარება. ამიტომაა, რომ ოოსპორებში ორ გარსს
მჩნევენ, ე გ ზ ი ნ ა, ოოგონიუმის გარეგანი გარსის ნარჩენია, ხოლო
შიგნითა გარსი — ი ნ ტ ი ნ ა განაყოფიერებული კვერცხუჯრედისაგა-
აა განვითარებული. ოოსპორის გარსის აგებულებას ხშირად დიაგნო-
სტიკური მნიშვნელობა აქვს.

უმაღლესი სოკოების, მაგალითად, *Ascomycetes* სქესობრივი პრო-
ცესი მათი გამრავლების ორგანოების — ასკოსპორების განვითარებას
შინ უსწრებს, რის გამოც ასკოსპორები სქესობრივი გზით წარმოქმნილ
აპორებად ითვლებინ.

სქესობრივი გამრავლების ფორმა აქაც სხვადასხვა სახისაა. მაგალი-
თად, ჩანთიანი სოკოების უმარტივეს წარმომადგენლებს — საფუარ
აოკოებს (*Sacharomycetes*) ჰ ო ლ ო გ ა მ ი ა აქვთ. ცალკეული ვეგე-
ტატიური უჯრედების შეერთება ხდება, შიგთავსი ერთბირთვიანია, კო-
ნტაქტული უჯრედებულ სხეულში (ზიგოტაში) წარმოიქმნება ბირთვების შეერთ-
ებით პირველადი ასკოსპორა, რომელიც დიპლოიდური ფაზაა, მაშინვე
იგი რედუქციული სამკერადი დაყოფის შემდეგ გაპლოიდურ ასკოსპო-
რებს ქმნის. შერწყმული უჯრედები კი საბოლოოდ ასკად ანუ ჩანთად
იქცევა. თითოეულ ჩანთაში, ჩვეულებრივ, 8 სპორაა, მშვიათად მეტი ან
ნაკლები, თუმცა ორის ჯერადი მაინც უნდა იყოს.


უმაღლესი ჩანთიანი სოკოების სქესობრივი პროცესი, მართალია,
ძირითადად, ერთი ტიპით მიმდინარეობს, მაგრამ ზოგიერთი მნიშვნე-
ლოვანი მოვლენით მარტივი ჩანთიანი სოკოების სქესობრივი პროცესი-
საგან განსხვავდება. ამ საკითხის გაცნობისათვის კლასიკურ ობიექტად
ჯამნაირი სოკოების. (*Discomycetes*-ების) წარმომადგენელი — *Pyro-
nema confluens* — ითვლება. აღნიშნული სოკო საპროფიტული ბუნები-

საა და მას ხშირად ნახანძრევ აღგილებში ვხვდებით წვრილი, ჯგუფი განვითარებული წითელი ნაყოფსხეულების სახით.

Pyronema confluens-ის სქესობრივი ორგანოები ჯგუფად არიან გვხვდითარებული; მდედრობით ორგანოს ა რ კ ი კ ა რ პ ი ეწოდება. იგ შედგება; ძირითადად, გაბერილი ნაწილისაგან, ანუ ა ს კ თ გ თ ნ ი ს ა გ ა ნ, რომლის წვერიდან ცილინდრული მილი, ე. წ. ტრიკონია განვითარებული. არქიკაპთან ახლოს სქელი ცილინდრული სხეული სახით მამრობითი ორგანო ა ნ თ ე რ ი დ ი უ მ ი ა. არქიკაპი და ან-თერიდიუმის შიგთავსი მრავალბირთვიანია. განაყოფიერების წინ არქიკაპის ტრიკონი მიეზრდება ანთერიდიუმის წვერს. განაყოფიერებისას კი ტრიკონიასა და ანთერიდიუმის შეზრდილ აღვილზე არსებული ტიხარი გაიხსნება და ინთერიდიუმის შიგთავსი ტრიკონით ასკონი ში გადავა, საღაც მრავალბირთვიანი შიგთავსია (პლაზმოგამია). დასაწყისში ასკონში შერეული ანთერიდიუმის ბირთვები ასკონის ბირთვებს კი არ უკრთდებიან, არამედ წყვილ-წყვილად განლაგდებიან. ბირთვების ასეთ წყვილს დ ი კ ა რ ი თ ნ ი ეწოდება. თითოეული დიკარიონი შედგება მამრობითი და მდედრობითი ბირთვისაგან. ასეთი დიკარიონები ასკონში დაყოფით ისე მრავლდებიან, რომ ბირთვების ერთმანეთისა და განლაგება არ იშლება.


ამავე პერიოდში ასკონის ზედა კედლილან ვითარდებიან მოვრჩეს სქელი ჰიფები, რომლებიც თანდათან იტოტებიან და წარმოქმნიან ა ს კ თ გ ე ნ უ რ ჰ ი ფ ე ბ ს. თითოეულ ასკონენურ ჸაფში ერთი დიკარიონი გადადის. ამის შემდეგ დიკარიონის მამრობითი და მდედრობითი ბირთვი ერთდება (კარიოგამია) და მიიღება პირველადი ასკონპორა (პლაზმობი), ხოლო ასკონენური ჰიფიდან ა ს კ ი ანუ ჩ ა ნ თ ა გითარდება. ასკონისა და ანთერიდიუმის შიგთავსის შეერთებიდან (პლაზმოგამია) ჩანთაში ასკოსპორის შექმნამდე, ე. ი.: დიპლოიდური ბირთვის მიღებამდე საკმაოდ დიდი დრო გადის. ახლად შექმნილი ჩანთების პირველადი დიპლოიდური ბირთვი რედუქციულად სამჯერად იყოფა და წარმოქმნება ჰიფიდი ასკოსპორები.

ასკოგენური ძაფების წარმოქმნისას მათი წვეროს უჯრედი კაუჭივით მოიხრება, შიგ გადასული დიკარიონი იძლევა დიკარიონის მეორე წყვილს. უჯრედის მოხრილ ნაწილში ერთი დიკარიონი რჩება. ამ უჯრედისაგან ჩანთა ვითარდება. მეორე დიკარიონის წყვილი ბირთვი ერთმანეთს სცილდება, ერთი გადადის მთლად წვერის უჯრედში, მეორე კი ასკოგენური ჰიფის ფუძის უჯრედში, საიდანაც დამატებით მიცელიარული (პლაზმოდური) ქსოვილი ვითარდება, უკანასკნელისაგან ჩანთიანი სოკოს ნაყოფსხეულები წარმოიქმნება. იგი სოკოვანი ქსოვილისაგან ანუ პლექტენქის მისაგან შემდგარი სხევადასხევა სახის ნაყოფსხეულია. ასკები ამ ქსოვილთა დაფარული, ან მის ზედაპირზე განვითარებული. (სურ. 51).



სურ. 51. ოოგამიური სქესობრივი გამრავლება და ასკოს-ბორების წარმოქმნა *Pyuronema confluens*-ის მაგალითზე
1. სქესობრივი ორგანოების კეფი; 2. ანთერიდიუმი და ოოგონიუმი განყოფილების მომენტზე: ანთერიდიუმიდან-ტრიქოფინით შეითავსი ოოგონიუმში გადადის ანუ ასკოგონი და წარმოქმნება დიკარიონები; 3. ასკოგენური ძაფების განეითარება; 4. ჩანთების წარმოქმნა.

ბაზიდიანი სოკოების სქესობრივი პროცესი იმდენადაა გამარტივებული, რომ ტიპური სქესობრივი ორგანოები, თუნდაც ოოგონიუმისა და ანთერიდიუმის სახით აქამდე ცნობილი არაა. სქესობრივი პროცესი, უმთავრესად, მოცემულია ზოგიერთ უჯრედში მარტო ბირთვების დიკარიონებად შეერთების სახით. ორი ვეგეტატიური ჰაპლოიდური უჯრედი იშვიათად ერთდება. სქესობრივი პროცესის ასეთი ტიპი ცნობილია როგორც ა პ თ გ ა მ ი ა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ასეთი დიკარიონული ფაზა, როდესაც ბირთვები ჭერ კიდევ შეერთებული არ არის, ბაზიდიან სოკოებში ხანგრძლივია. ხშირად ასეთი ფაზა საქმაოდ დიდ მასიურ ნაყოფ-სხეულად ვითარდება, თითქოს დამოუკიდებელ ცხოვრებას ეწევა. ბაზიდიუმები ამ ნაყოფს ხელებზე ექმნება. დიკარიონი შემდეგ გადადის



სურ. 52. ბაზიდიუმზე ბაზიდიოსპორების განვითარება.

ბაზიდიუმში. როდესაც ბირთვები ერთდება (კარიოგამია) განაყოფიერებაც მაშინ მთავრდება. მიიღება დიპლოდური ბირთვი ანუ პირველადი ბაზიდიოსპორა, რომელიც ორჯერადი რედუქციული დაყოფის შემდეგ იძლევა ჰაპლოიდურ ბაზიდიოსპორებს. ეს უკანასკნელები ბაზიდიუმის წვერისენ გადაინაცვლებენ, გადადინ ბაზიდიუმის სტერიგმებზე, რომლის წვეროზე უკვე ბაზიდიოსპორები ეგზოგენურად ვითარდებიან. ბაზიდიოსპორებისგან ისევ ჰაპლოიდური მიცელიუმი ვითარდება. განვითარების დასაწყისში მათი უქრედები ერთბირთვიანია, ხოლო შემდგომ აპოგამური გზით ორბირთვიანი დაკარიონები წარმოიქმნება. ეს ფაზა გრძელდება, ვიდრე პირველად ბაზიდიოსპორას მივიღებდეთ, რასაც შემდეგ რედუქციული დაყოფა მოსდევს.

სოკოების ნაყოფის ეულება

სოკოების გარკვევებსათვის აუცილებელია მათი გამრავლების ორგანოებისა და ნაყოფსახეულების აგებულების ცოდნა. თუ სოკო მარტო მიცელიუმის ფაზაშია, სუფთა კულტურებში იქნება იგი, თუ დაავადებულ ორგანოს ქსოვილებში, სოკოს სახეობა არ გაიჩვევა. სოკოს ნაყოფსხეულები აგებულებით სხვადასხვანაირია: ბაზიდიანი სოკოების ნაყოფსხეულები, მეტადრე Hymenomycetes-ებისა, უმეტეს შემთხვევაში იმდენად დიდია, რომ შეუიარაღებელი თვალით შეიძლება გავარჩიოთ. მაგალითად, ქუდიან სოკოებში, რომელნიც ქოლგისებრ ნაყოფსხეულებს იძლევიან (ქამა, ნიყვი, მანჭკვალა და სხვ.), აბედა სოკოებს ცხენის ჩლი-

ქსებრი ან ქულიანი ნაყოფსხეული აქვთ. ზოგიერთი მათგანის სიდიღე და წონა საკმაოდ დიდ ფარგლებში მერყეობს. ნამდვილი აბედა სოკოს ნაყოფსხეული ზოგჯერ 25 კილოგრამზე მეტს აღწევს. ასეთი დიდია ყოფსხეულიანი სოკოები მ ა კ ჩ თ ფ ი ტ ე ბ ა დ არიან ცნობილი.


ჩანთიანი სოკოების ნაყოფსხეულები, უმეტეს შემთხვევაში, მიკროსკოპული აგებულებისაა და უბრალო თვალით მისი გარჩევა შეუძლებელია ფეხების მიხედვით ჩანთიანი სოკოების ნაყოფსხეულები სამი სახისაა. მათი ერთმანეთისაგან გარჩევა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა გზით ზღება ნაყოფსხეულებიდან ჩანთებისა და ასკოსპორების გაფანტვა. შედარებით მარტივი ნაყოფსხეულია ე. წ. კ ლ ე ი ს ტ ო კ ა რ პ ი უ მ ი. იგი ბურთისებრია, ყრუდ დახურული სხეულია, კარგად განვითარებული კედლით და მის შიგნით მოთავსებულია ჩანთები ასკოსპორებით. მათი მომწიფებისას კლეისტოკარპიუმის ლრუში ვთარება ლორწოვანი მასა, შიგთავსი იჯირჯვება, კედელზე წნევა ვთარება და საბოლოოდ კედელი სკდება. კლეისტოკარპიუმიდან თავისუფლდებიან ჩანთები ასკოსპორებით. კლეისტოკარპიუმის კედლის გახსნა მექანიკური დაზიანებითაცაა შესაძლებელი.

ნაყოფსხეულების მეორე ფორმა პ ე რ ი ტ ე ც ი უ მ ი ა. იგი პირენომიცეტებს უვითარდებათ. ნაყოფსხეული მრგვალია, კარგად განვითარებული კედელი აქვს, შიგნით კი ჩანთებია. კლეისტოკარპიუმისაგან იმით განსხვავდება, რომ წვერზე დატანებული აქვს ე. წ. პორუსი ანუ ღია კარი-ჭვრეტი, საიდანაც მომწიფებული ჩანთების ან ასკოსპორების გამოცვენა თავისუფლად ხდება. მათ გაფანტვას ხელს უწყობს პერიტეციუმში განვითარებული ლორწო, რომელიც პორუსიდან მოხვედრილ წვიმის წყალს ადვილად ითვისებს, იჯირჯვება და სპორებთან ერთად პორუსიდან გარეთ გამოდის. ზოგიერთი სოკოს პერიტეციუმიდან კი გარეთ ჩანთებში არსებული პიდროსტატიკური წნევის გამო ასკოსპორები გამოიტყორცნება.

ჩანთიანი სოკოების ნაყოფსხეულების მესამე ფორმად ითვლება პ ჲ თ ტ ე ც ი უ მ ი. იგი ჯამისნაირი ნაყოფსხეულია, ფეხიანი ან უფეხი. პიმენიალური შრე ნაყოფსხეულის ზედა მხრიდან ღიადაა განვითარებული, რაც დამახასიათებელია ჯამისნაირი სოკოებისათვის (*Dyscomycetes*).

სოკოების ნაწილს ნაყოფსხეულები არ უვითარდება. უკანასკნელ შემთხვევაში პიმენიალური შრე სოკოს მიერ დაავადებულ ორგანოს ზედა-პირზეა განვითარებული და ჩანთები ან ბაზიდიები თავისუფლად, სხედან. ასე, მაგალითად, *Exoascales*-ში ანუ შიშველჩანთიანებში, *Exobasidiales* ანუ შიშველბაზიდიანებში და სხვ.

სოკოები, თავისი განვითარების ციკლის გავლის პერიოდში, ხშირად იძლევებინ სხვადასხვა სახისა და ფორმის მასიურ წარმონაქმნებს (ნაყოფსხეულებს, მიცელიუმის სახეცვლილებებს და სხვ.) ზოგიერთი სოკოს



2



3

სურ. 53. ჩანთიანი სოკოების 'ნაყოფსხეულები: 1 — კლეისტოკარპიუმი
2 — პერი-ტეციუმი 3 — პოტეციუმი.

ნაყოფსხეულის ფორმა და ზომა საყმაოდ დიდია. მაგალითად, აბეღა სოკოსი (*Fomes fomentarius*). ბუნებრივია, რომ ასეთი დიდი კომპაქტური წარმონაქმნები თავისებური აგებულებისა უნდა იყოს და შედგებოდეს ქსოვილებისაგან. ტერმინი ქსოვილი სოკოებში იმ გაგებით არ იხმარება, როგორითაც უმაღლეს მცენარეთა ანატომიაში. სოკოებისა და უმაღლეს მცენარეთა ქსოვილები წარმოშობით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. უმაღლეს მცენარეთა ქსოვილების დასაბაში ყოველთვის ერთი უჯრედიდან იწყება, რომელიც შემძგომ სხვადასხვა მიმართულებით დაყოფით ქსოვილის შემადგენელ სხვა უჯრედებს წარმოქმნის. ასეთი უჯრედების ჯგუფს ერთგვარი აგებულება აქვს და თითოეული მათგანი განსაკუთრებულ ფუნქციებს ასრულებს მცენარის განვითარებაში. მაგალითად, საფარი ქსოვილი — მცენარის ორგანოებს გამოშობისაგან იცავს; გამტარი ქსოვილები — ერთი წყება უჯრედებისა მინერალურ ნივთიერებას ატარებს (მერქნის ჭურჭლები), მეორე — ლაფანი — ორგანულ ნივთიერებებს, ქსოვილების ნაწილი მექანიკური დანიშნულებისაა და სხვა.

სოკოებში ქსოვილების პიფების ერთმანეთთან შეზრდით ან გადახლართვით არის წარმოქმნილი. უჯრედი არ იყოფა, ამიტომაა, რომ სოკოს ქსოვილს ასხვავებენ უმაღლეს მცენარეთა ნამდვილი ქსოვილისაგან და უწოდებენ მას ცრუ ქსოვილს ანუ პლენტენ ნიმა.

პლენტენქიმას, უჯრედების ფორმის მიხედვით, ორგვარს არჩევენ. პარა პლენტენ ქიმას, როდესაც პიფს უჯრედები იზოლია-

შეტრული ანუ თანაბარგვერდებიანია. ასეთი სხეულის განვითი ჭრილი კოპური პარეგნქიმული ქსოვილის შთაბეჭდილებას ტოვებს. მეორე შემთხვევაში კი სოკოვანი ქსოვილის წარმომქმნელი ჰიფების უჯრედები მოგრძო ფორმის ინარჩუნებს და პარალელურად იზრდებიან. ამას პროცესში კი მას უწოდებენ.

მიუხედავად იმისა, რომ სოკოებში ურუ ქსოვილებია გავრცელებული, ზოგიერთი მათგანი სპეციალურ დანიშნულებას მაინც ასრულებს. მათ ფალები ტიპებად აჯგუფებენ, გამოყოფენ, მაგალითად, საფარის, მეჭანიკურის და გამტარის ქსოვილებს.

საფარი ქსოვილი, უმთავრესად, სოკოების ნაყოფსხეულზე ან მოზამთრე სტაღიების ზედაპირზე გვხვდება. მაგალითად, აბედა სოკოს ნაყოფსხეულის ზედა კანი, ანუ ქერქი, მაგარია, საღაა ან დაშაშრული, და ფარავს შედარებით ფაშარ ნაზ ნაწილს, რომელზედაც ჰიმენოფორი ვითარდება. ზოგი სოკოს ნაყოფსხეულის კანი მეტად ნაზია, ქერულისებრი და ნაყოფსხეულის ზედაპირს ფარავს (მაგალითად, ქუდიანი სოკოებისა, ქამასი, ნიუკისა და სხვა).

მეჭანიკური ქსოვილი სოკოების ნაყოფსხეულებში და თასმებშია გავრცელებული. მათი შემადგენელი უჯრედები სქელგარსიანია, უჯრედის ღრუ, ვარსის შიგნითა მხარის გასქელების ან ობლიტერაციის გამო, შემცირებულია, ვიწროა. ასეთი უჯრედები ქუდიანი სოკოების ფეხის პერიფერიულ ნაწილში ხშირად გვხვდება.

გამტარი ქსოვილის ფუნქციების შემსრულებელი წარმონაქმნები სოკოებში ცნობილი არაა, თუმცა ზოგიერთი წარმომადგენლის ნაყოფსხეულებსა თუ სხვა ორგანოებში, ანალოგიური დანიშნულების წარმონაქმნები გვხვდება და წყლისა თუ საკვებ ნივთიერებათა გატარების ფუნქციებს ასრულებენ. ასეთებია სახლის სოკოების თასმები; რძიანა სოკოების (მაგალითად, მჭადას, ვარყას) ნაყოფსხეულებში, რძის გამოყოფა განსაკუთრებული უჯრედებით ხდება.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გამტარი უჯრედები კონებად არაა შეკრული, ნაყოფსხეულში ერთეულად არიან დაფანტული; ორ მეზობელ უჯრედშუა არსებული ტიხარის ჭვრეტი მაქსიმალურადაა გადიდებული, რის გამოც ნივთიერებათა და წყლის გავრცელება წვეროსკენ აღვილად ხდება.

გამტარი ჰიფების მეორე ჯგუფი ორგანულ ნივთიერებებს ატარებს. ისინიც ჩვეულებრივი ჰიფებისაგან დამოუკიდებლად არიან განვითარებული. გარსი უსქელდებათ, უჯრედშუა ტიხარები ქრება. ამ უჯრედების შიგთავსა თრგანულ რძისებრ ნივთიერებას, სოკო ნაყოფსხეულებისა და ნაყოფიანობის გასავითარებლად იყენებს.

ლიქენების თალღის შედეგება სოფოსა და მასთან სიმბიოზურად დაკავშირებული წყალმცენარისაგან. ლიქენების სხეულში შემავალ სოფოს მიკობიონტს უწოდებენ, ხოლო წყალმცენარეს — ფიკობიონტს.

სოკების სისტემატიკური ჯგუფებიდან მიკობიონტების უმთავრეს წარმომადგენლებად ჩანთიანი სოკები (Ascomycetes) ითვლებან. შედარებით იშვიათად ბაზიდიანი სოკებიც (Basidiomycetes). ფიკობიონტები კი ე. ი. წყალმცენარენი — ლურჯ-მწვანე (Cyanophyceae) და მწვანე წყალმცენარეთა ერთუჯრედიანი ან ძაფნაირი წარმომადგენლება (Protococcales და სხვა).

მასიმბილოზებელი სოკოს მიერ შექმნილ თალღს თავისი დამახასიათებელი გარეგნული შეხედულება აქვს. იგი განსხვავდება, ჩვეულებრივ, მარტო მცხოვრები არამასიმბილოზებელი სოკოსაგან.

შღიერის სხეული მუდამ ზედაპირულია და სხვადასხვა ფორმის თა-
ლუსასა ქმნის: ფირფიტისებრს, დატოტვილს, ბუჩქისებრს, ქაფისებრსა
და სხვას. თალუსი, ძირითადად, სკოსაგნაა შემდგარი და წყალმცენა-
რებს დაქვემდებარებული უმნიშვნელო აღგილი უკავით, რაც თალუსის
ანატომიური აგებულებით მტკიცდება. იმისდამიხედვით, თუ თალუსში
როგორაა განაწილებული წყალმცენარის (ფიკობიონტების) უჯრედები,
ორი სახისას არჩევენ: პირველია . ჰ ო მ ო მ ო რ უ ლ ი, როდესაც
წყალმცენარის უჯრედები მღიერის მთელ თალუსშია თანაბრად განაწი-
ლებული და, მეორე — ჰ ო ტ ო მ ო მ ო რ უ ლ ი, როდესაც ფიკობიონ-
ტები ცალკე ერთ ან რამდენიმე შრესა ქმნიან.

ლიქენები მრავლდებიან ვეგეტატიურად და სპორებით. ვეგეტატიური გამრავლება ხდება იზიდიუმები ბიო და სორე ედიუმებით. ორივე ლიქენების თალღისიდანაა წარმოქმნილი. განსხვავდებიან მხოლოდ ფორმით: იზიდიუმის თალღისი ჰელაპირზე ბორცვი წარმოქმნება, რომელიც შემდეგ სკოლდება ანუ სწყლდება თალღსს და ახალ ინდივიდს

აფითარებს. იზიდიუმი შეიცავს ორივე კომპონენტს — მიკობი-ონტს და ფიკობიონტს. ასეთივე აგებულებისაა ს ორ ე დიუ მი, რომელიც მხოლოდ თალუსს ქსოვილის ნაწილაკებად დაშლის შემდეგ იფანტება, ვრცელდება.


ლიქენების გამრავლების უმ-თავრეს საშუალებად ითვლება მიკობიონტის შექმნილი სპორები, რომლებიც იმავე სახით, როგორც არამასიმბიოზებელ სო-კოებს, ჩვეულებრივად უვითა-რდებათ (ასკოსპორები — პე-რიტეციუმებში, აპოტეციუმებ-ზე), იშვიათად ბაზიდიისპორე-ბი, პიკნოსპორები და სხვა.

იმ სოფოს, რომელიც გამრავ-ლების უმაღლეს ფორმას იძლევა — ასკოსპორებსა და ბაზიდიის-პორებს — წინ უსწრებს სქესო-ბრივი პროცესი. მიკობიონტის მიერ წარმოქმნილი ნაყოფსხეულების ქსოვილში წყალმცენარის უჯრე-დები არ შედიან (იშვიათი გამონაცლისით).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ლიქენების თალუსის შემქმნელ ორ კომპონენტს დამოუკიდებლადაც შეუძლია ცხოვრება და გამრავლე-ბა. სიმბიოზური თანაცხოვრება იწყება ბუნებაში მათი ერთად შეხვედ-რის შემდეგ. ამას სათანად ო გარემო პირობები სჭირდება.

ლიქენების ორი კომპონენტის ნივთიერებათა ცვლის, მეტაბოლიზმის მაჩვენებლად აქვთ ე.წ. ლიქენების მეავა ითვლებოდა, რაც უკანასკნელ პერიოდში უარყოფილია, გინაიდან ლიქენების მეავა სხვა ორგანიზმებ-შიაც აღმოჩნდა, თუნდაც იგივე არამასიმბიოზებელი სოკოების სხეულ-ში.

ლიქენების ორი კომპონენტიდან — სოკო მიკობიონტს უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლევა, ვიდრე ფიკობიონტს. სოკოა თალუსის შემქმნელი; ლიქენების მიკობიონტის ნაყოფსხეულებით ირკვევენ თალუსში შემავალ წყალმცენარეთა უჯრედებს. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოება-საც, რომ ერთ მიკობიონტს შეუძლია ერთდროულად რამდენიმე ფიკ-ბიონტთან თანაცხოვრება — სოკოების უპირატესობა ცხადია.



სურ. 54. ლიქენების სხეულის განაკვეთი. შავი მრგვალი სხეულები ფიკობიონტია ანუ წყალმცენარე, რომლებსაც ზემოდან გადახლა-რთული აქვთ მიკობიონტის ანუ სოკოს ჰიფები ა — ფიკობიონტი, ბ — მიკობიონტი.

სოკოვის პლასტიკაცია და მისი საფუძლები

მთავარი ჯგუფების დანახილება

მცენარეთა სამყაროს შესწავლის მთავარი მიზანი ბუნებაში გავრცელებული მცენარეული ორგანიზმების შეღენილობის გამორჩევა და მათ შორის ფილოგენეტიკური კავშირის დადგენაა. ეს დებულება მიკოლოგიური კვლევისთვისაც სავალდებულოა. აღნიშნული კვლევის მასალები საბოლოოდ გამოყენებულია ფლორისტულ კვლევა-ძიებაში და, რაც მთავარია, გამოსაკვლევი ობიექტების სისტემატიკის საფუძვლების დასაღენად.

სისტემატიკის ტაქსონომიური ერთეულები მიკოლოგიაში ისეთივეა, როგორიც ბოტანიკის სხვა დისციპლინებში. ყველაზე მსხვილ ერთეულად ითვლება კლასი. კლასში შედის ქვეკლასი, შემდეგ რიგი, ქვერიგი, ოჯახი, ქვეოჯახი; ოჯახში შედის გვარი, გვარში — სახეობები, ქვესახეობები და სხვა. სოკოები იმითაა სისტემატიკის მხრივ აღსანიშნავი, რომ უფრო წვრილ ერთეულებად იყოფიან, ვიდრე ყვავილოვანი მცენარეები. სოკოებში აჩებობენ კრებული ს ა ხ ე თ ა ნ ი, რომლებიც შეიცვენ რამდენიმე სპეციალიზებულ ფორმას (f. *specialis*), ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, უფრო წვრილ ერთეულებად იყოფა, ე. წ. ბიოლოგიურ რასებად, და მათში შემავალ კიდევ უფრო წვრილ ერთეულებად — ბიოტიპებად, რომლებიც მორფოლოგიურად მსგავსნი არიან, ფიზიოლოგიურად კი განსხვავებულნი, რამდენადაც სხვადასხვა მცენარის ცალკეული სახეობის ან ჯიშის დავადებას იშვევენ.

ამის გამოა, რომ სისტემატიკური კვლევა-ძიებისათვის მიღებული მარტო მორფოლოგიური ნიშან-თვისებების ცოდნა საკმარისი არია. მხედველობის გარეშე არ უნდა დაგვრჩეს ამა თუ იმ ორგანიზმის ფიზიოლოგიური თვისებების ცოდნაც. უნდა ვიცოდეთ მათი დამოკიდებულება მკვებავ მცენარესთან. უკანასკნელი გამოყენებული უნდა იყოს, კერძოდ, ობლიგატო პარაზიტების შესწავლის. დროს, სადაც სოკოების მკვებავი მცენარისადმი სპეციალიზაცია საქმაოდ ფართოდაა გავრცელებული.

სოკოების კლასიფიკაციისს ერთეულების გამოსყოფად, ძირითადად, მაინც მორფოლოგიური ნიშანთვისებებია მიღებული. სოკოების 6 კლასია დადგენილი. კლასების გამოყოფისას, პირველ რიგში, თალუსის აგებულებას და შემდეგ გამრავლების ორგანოებს ექცევა ყურადღება. თალუსის აგებულების მიხედვით ყველა სოკოს ორ ჯგუფად ანაწილებენ: პლაზმურ და მიკრო ლია რულ ჯგუფებად. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ე. წ. ლორწოვანი სოკოები, რომლის თალუსი ნამდვილ ლორწოვანია, დასაწყისში ამებისებრია, შემდეგ ერთდებიან და მასიურ პლაზმოდიუმებსა ქმნიან. უმარტივეს სოკოებად განიხილებიან და პირველ კლასში შედიან, კერძოდ, *Myxomycetes* -ებში ანუ ლორწოვან სოკოებში.

პლაზმური სხეულის მქონე სოკოების ჯგუფი გამოყოფილია მეორე კლასად, ე. წ. არქიმიცეტებად (Archimycetes).

დანარჩენი სოკოები ყველა მიცელიარულია, ე. ი. კარგად განვითარებული ძაფნაირი; ერთ ან მრავალუჯრედიანი, საქმაოდ დატოტვილი, მცენივეგარსიანი სხეული აქვთ. მიცელიუმის მქონე სოკოებისაგან მესამე კლასის გამოსაყოფად საფუძვლად მიღებულია მიცელიუმის ერთუჯრედიანობა. ასეთი სოკოები გაერთიანებულია მესამე კლასში, მათ ფიკო-მიცეტები (*Phycomycetes*) ანუ სოკოწყალმცენარები ეწოდებათ. უკანასკნელი სახელწოდება „სოკოწყალმცენარები“ შერქმეულია ამ ჯგუფის სოკოების სხეულის მსგავსების გამო მწვანე წყალმცენარეთა სხეულთან, კერძოდ *Siphonales*-ებთან, რომელთაც არაუჯრედული აგებულება აქვთ და გიგანტური ერთუჯრედიანი ორგანიზმებია. მსგავსი არიან აგრეთვე სქესობრივი გამრავლების მხრივა:

არქიტექტურული და ფოკუმინისტურები თავისი აგრძულების გამო უძღაბ-ლეს სკოლებად თოვლებიან.

ერთუჯრედიანი მიცელიუმის მქონე სოკოების ცალკე კლასად გამოყოფის შემდეგ ჩჩება მხოლოდ მრავალუჯრედიანი მიცელიუმის მქონე სოკოები, რომლებიც საკმაოდ დიდი და ნაირსახოვანი ჭვეულაა. რამდენადც უკელას მრავალუჯრედიანი მიცელიუმი მოეპოვება, მისი აგებულების გამოყენება კლასიფიკაციის საფუძვლად შეუძლებელია. მრავალუჯრედიანი მიცელიუმის მქონე სოკოებს კლასებად ანაწილებენ მათი გამრავლების ფორმების, ე. ი. სპორების ტიპის მიხედვით. ამ საფუძველზე გამოყოფა ოთხი კლასი — ასკომიცეტები (*Ascomycetes*) ანუ ჩანთიანი სოკოები. ისინი მრავლდებიან სქესობრივი გზით წარმოქმნილი ასკოს პორებით. ბევრ მათგანს უსქექსო გამრავლების სპორებიც, ე. წ. კონიდიოსპორებიც მოეპოვება.

მეცნიერებულ კლასი ბაზიდიომიცეტები (Basidiomycetes) ანუ ბაზიდიანი სოკოებია. ამათაც მრავალუჩრედიანი მიცელიუმი აქვთ. ცალკე კლასად გამოყოფის საფუძვლად მიჩნეულია გამრავლების ორგანოზე — ბაზიდიუმზე განვითარებული ბაზიდი თან არ არ ებრა, რომლებიც ისე-ვე, როგორც ასკოსპორები, სქესობრივი გზით არიან წარმოქმნილი. ასკოსპორები და ბაზიდიოსპორები სოკოების ნაყოფიანობის უმაღლეს ანუ სრულ ფორმად ითვლებიან.

მეუქვე — Deuteromycetes ანუ Fungi Imperfecti-ს სახელითაა ცნობილი. ქართულად მათ „უსრული სოკოები“ ეწოდება. მართალია, იმ ჯგუფში შემავალ სოკოებსაც მრავალუჩრედიანი, დატიხრული მიცელიუმი აქვთ, მაგრამ სქესობრივი გამრავლება არ ახასიათებთ, მხოლოდ უსქესო გზით მრავლდებიან, იყითარებენ მარტო კონიდიურ ნაყოფიანობას, რაც უსქესო ნაყოფიანობად ითვლება. სოკოებში ხშირია შემთხვევები, როდესაც ნაყოფიანობის სრულ სტადიასთან ერთად, უს-
9. ლ. ყანჩაველი 129

რული ანუ უსქესო სტადიაც გვხვდება (პოლიმორფიზმი). ვინაიდან უსრული სოკოების ნაყოფიანობა მხოლოდ უსქესო გამრავლების სტადიაა, შეიძლება შემდგომ მათ ჩანთიანი ან ბაზიდიანი სტადია აღმოჩნდეთ. მათ ხელოვნურ ჯგუფად სთვლიან და ცალკე კლასად არაა გამოყოფილი. სოკოებში გამოიყოფა 6 კლასი:

- 1 კლასი-მიქსომიცეტები (ლორწოვანი სოკოები) — *Myxomycetes*,
- 2 კლასი — არქიმიცეტები — *Archimycetes*,
- 3 კლასი — ფიკომიცეტები — *Phycomycetes*,
- 4 კლასი — ასკომიცეტები — *Ascomycetes*,
- 5 კლასი — ბაზიდიონმიცეტები — *Basidiomycetes*,
- 6 ჯგუფი — უსრული სოკოები — *Fungi Imperfecti*, მხოლოდ უსქესო გამრავლების სოკოები.

1 კლასი — კლაზეონები სოკოები ანუ ლორწოვანი — MYXOMYCETES

მიქსომიცეტების კლასი თავისი აგებულებით და გამრავლებით სოკოებში უმარტივეს ორგანიზმებად ითვლება. მათ იხილავენ აქტინომიცეტების შემდეგ. მართალია, სოკოების სხვა ტაქსონომიურ ჯგუფებთან შედარებით მცირერიცხოვანია, სამასამდე სახეობაა ცნობილი, მაგრამ თავისი აგებულებით და ზოგიერთი ბიოლოგიური თავისებურებით, მეტად საინტერესო ორგანიზმებად ითვლებიან.

კვების მიხედვით დიდი უმრავლესობა საპროფიტებია და დამპალ მერქანტები, ორგანული ნივთიერებებით მდიდარ აღგილებში, ტყის ნიადაგის საფარში გვხვდებიან. მცირე ნაწილი ცოცხალ მცენარეთა დაავადებას იწვევს.

მათი სხეული შიშველი პლაზმაა, ამებას მაგვარია, თითქოს ცალმხრივი ზრდა ახასიათებს, ერთი მიმართულებით გადაინაცვლება. ასეთი ერთეული ლორწოვანი ამებისებრი სხეულები ხშირად ერთდებიან და სუბსტრატის ზედაპირზე გართხმულ პლაზმისებრი სხეულის საკმაოდ დიდ მასას ქმნიან. უკანასკნელს პლაზმა მ თ დ ი უ მ ს უწოდებენ. ამებები ზოგჯერ ისე ერთდებიან, რომ დამოუკიდებლობას კარგავენ და მთლიან პლაზმატურ მასად იქცევიან. ამ შემთხვევაში ნ.ა მ დ ვ ი ლ პ ლ ა ზ მ თ დ ი უ მ თ ა ნ გვაქვს საქმე. თუ სპორადან განვითარებული მიქსამიობები ერთმანეთს უკავშირდებიან და თავის დამოუკიდებლობას არა კარგავენ, მაშინ უწოდებენ ც რ უ ა გ რ ე გ ა ტ უ ლ პ ლ ა ზ მ თ დ ი უ მ ს. დასაწყისში პლაზმოდიუმი მრავალბირთვიანია. შემდეგ ბირთვები წყვილად ერთდებიან და მიიღება დიპლოიდური ბირთვი, რომელიც რედუქციული დაყოფის შემდეგ ისევ გაპლოიდურ ბირთვად გადაიქცევა, თითქოს თაობათა მორიგეობაა — სქესობრივი და უსქესო მდედრობით და მამრობით ინდივიდებთან უნდა გვქონდეს საქმე, თუმცა მათი გარჩევა შეუძლებელია.

ლორწოვანი სოკოები იძლევიან სხვადასხვა ფორმის დახურულ ნა-
ოფსხეულებს ანუ სპორანგიუმებს, რომლებშიც გაპლოიდური სპორე-
ბს დიდი რაოდენობა ვითარდება. ნაყოფსხეულები ერთეულად ან ჯგუ-
ფებადაა განვითარებული და ფერადია — შევი, მოყვისფრო, ნარინჯის-
ფრი, წითელი, თეთრი და სხვა. შეფერვით ისინი აღვილი შესამჩნევია.

ზოგიერთების ნაყოფსხეულები იმდენადაა ერთმანეთთან შეზრდილი,
ომ საკუთარი კედლებიც იშლება და მაშინ დიდი ფართი უკავია. ასეთ
შემთხვევაში ეტალიურ მს უწოდებენ, თუ ცალკე ნაყოფსხეულის
ნ სპორანგიუმის ზომა დიამეტრში 1 მმ-ს არ აღემატება. ეტალიუმის
მიგნე ზოგჯერ სანტიმეტრს აღწევს.

ლორწოვანი სოკოების ნაყოფსხეულებში, სპორების გარდა, განვი-
თარებულია მარტივი, ძაფისებრი ან დატოტებილი, ბადისებრად შეკრუ-
ლა ე. წ. კაპილი ციცი ები. უკანასკნელის დანიშნულებაა ნაყოფ-
სხეულში განვითარებული სპორების ბუნებაში გაფანტვა. კაპილიციების
ფორმას და აგებულებას ცალკე გვარების თუ სახეობათა დიაგნოსტიკი-
საფარის დიდი მნიშვნელობა ეძლევა.

მიქსომიცეტების სპორებს უჯრედოვანასაგან შემდგარი მტკიცე გარ-
ა აქვს, ხშირად ეკლებით დაფარული. გალივებისას არათანაბარშოლტე-
ბიან ზონისპორებს იძლევა. მოძრაობის შემდეგ შოლტები სწყდება სხე-
ულს და თვითონ ამებასებრ ორგანიზმებად ვითარდება. მათი შეერთების
შემდეგ ისევ პლაზმოლიუმი წარმოქმნება.

მიქსომიცეტები გარემო პირობებთან ე. ი. სინათლესთან და ტენთან
დამოკიდებულებით ცვალებაღობას ამჟღავნებენ. ვიზუა ახალგაზრდაა—
უარყოფითი — ფოტოტაქსიკურია, ბნელ აღგილს ეტანება, ხოლო ტე-
ნისადმი კი დადებითობას ქიკურია. როდესაც ნაყოფიანობის განვითარე-
ბის პერიოდი დგება, მაშინ იცვლის თავის თვისებას სინათლისადმი,
დადებით ტაქსის ამჟღავნებს, ხოლო ტენისადმი — უარყოფითს. ამი-
თა გამოწვეული ის გარემოება, რომ მიქსომიცეტები თავისი განვითა-
რების პირველ პერიოდში (ახალგაზრდობის) — ძნელი შესამჩნევია,
ვინაიდან იგი ბნელ, მითარებულ აღგილებში გვხვდება, მაგალითად,
მერქნის ნაპრალებში, ფოთლების ქვეშ, ტყის საფარში და სხვა. ნაყო-
ფიანობის შექმნისას კი სინათლისაკენ ისწრაფის და სუბსტრატის ზედა-
პირზე ნაყოფსხეულებს ავითარებს, მაშინ მისი პოვნა აღვილია, მით
უმეტეს რომ ნაყოფსხეულები ფერადია.

ლორწოვანი სოკოები ორ ქვეკლასად იყოფა:

1. Myxogaster — მიქსოგასტერები.

ღიდი უმრავლესობა საპროფიტული ორგანიზმებია და მკვდარ სუბსტ-
რატზე ცხოვრობენ. მაგალითად, *Ceratiomyxaceae* და სხვა. მათ სპო-
რები დახურულ ნაყოფსხეულებში უვითარდებათ.


2. Phytomyxin — ფ ი
ტ ო მ ო ქ ს ი ნ ე ბ ი .
განსხვადებიან მიქსოვა-
სტერებიდან მცენარეთა ქსო-
ვილებშითავისი პარაზიტული
ცხოვრებით. ნაყოფსხეულს
არ იძლევიან. პლაზმოდიუმი
მცენარის ცოცხალ უჯრედ-
ებშია შექრილი და უჯრე-
დშიგნითა არეს თანდათან
იყვებს; ბოლოს იშლება ცა-
ლქე სპორებად, დაავადებუ-
ლი ქსოვილი საბოლოოდ
ლპება. სპორებით კი ვრცე-
ლდებიან.

აღსანიშნავია ის გარემო-
ება, რომ ამ ჯგუფის პარაზ-
იტები მცენარის ქსოვილების
უჯრედებზე დადებით მოქმე-
დებას ამჟღავნებენ ისე, რომ
უჯრედების გამრავლების სტი-
მულაციას იწვევენ და საბო-
ლისიებული კორძები წარმოქ-
მნება.

ურ. 55. კარტოფილის ფხვიერი ქეცის სპორათ-
გროვები

ლოოდ დაავადებული მცენარის ფესვებზე მნება.
ამ ჯგუფს ეკუთვნის კომბოსტოს და სხვა ჯვაროსანი მცენარეების მნი-
შვნელოვანი ავაღმყოფობა — კილა, გამოწვეული *Plasmodiophora*
brassicae-თი. ამავე ჯგუფს ეკუთვნის კარტოფილის ფხვიერი ქეცის გა-
მოწვევი — *spongopora subterranea*.

ოქ. პ.ლ ა ზ მ ო დ ი ო ფ ო რ ა ს ე ბ რ ნ ი . ერთშოლტიანი ზოოს-
პორები აქვთ. აღსანიშნავია, რომ ზოოსპორა ხშირად ამებისებრ ფორ-
მას იღებს. პარაზიტულ წარმომადგენლებს შეიცავს, ენდოპარაზიტებია.
ცოტად თუ ბევრად შესწავლილია *Plasmodiophora brasicea*, რომელიც
ყველან საქმაოდ ხშირად გვხვდება. საქართველოში კი ნაპოვნი არაა,
იწვევს ე. წ. „კომბოსტოს კილა“-ს, რომელიც კომბოსტოს ფესვებზე
და მთავარ ღეროზე აჩენს კორძებს, პარაზიტის სხეული შიშველია. პლა-
ზმური თალუსი დაავადებული მცენარის ქსოვილებში შესამჩნევია უფ-
რო მკვრივი, მარცვლოვანი, ამებისებრი პლაზმას სახით. თუ დასაწყისში
დაავადებული მცენარის უჯრედში, მკვებავი მცენარის პლაზმას კიდევ
ვამჩნევთ, საბოლოოდ უჯრედის ღრუ მთლიანად დაკავებულია პარაზი-
ტით. ხშირად პარაზიტის შიშველი პლაზმა ერთდება და წარმოქმნის



აზმოდიუმს, რომელიც შემდეგ იშლება წვრილ ნაწილაკებად, სპორებ, საიდანაც თითო ზოსპორა წარმოქმნება. ზოსპორები საბოლოოდ შებისებრ ფორმას იღებენ და ისევ ინფექციას იწვევენ.

ამავე ოჯახს მიეკუთვნება ე. წ. *Spongopora subterranea*, პარაზიტი, იწვევს კარტოფილის ტუბერების მტვრიან ქეცს. მისი განვითარება სგავსია კარტოფილის კიბოს გამომწვევის განვითარებისა, მაგრამ განვითარებასაც იჩენს. მაგალითად, კარტოფილის უჯრედში წარმოქმნილი პორების მასა ეწყობა პატარა სპორათგროვებად, ისე, თითქოს მრავალუჯრედიანი სპორები იყოს. სპორათგროვის თითოეული უჯრედიდან თთო ზოსპორა გამოდის და ინფექციას იწვევს.

2 კლასი — არქიმიცეთები — ARCHIMYCETES

უმდაბლესი სოკოების მეორე კლასია. ცნობილია 300-ზე მეტი სახეობა. უმთავრესად პარაზიტული სოკოებისაგან შედგება. მათი სხეული ან მთლიანად პლაზმურია, ან ზოგი მათგანი მიცელიუმის მსგავს პლაზმურ ძაფებსაც ავითარებს. უმთავრესად ენდოფიტურია, მკებავი მცენარის უჯრედებში ან ქსოვილში განვითარებული სხული აქვთ. უსქესობამრავლება ერთშორმტიანი ზოსპორებით ჩდება. ეს უკანასკნელები ან ჰედაპირულად, ან ქსოვილში წარმოქმნილ სპორანგიუმში ვითარდებიან.

ზოსპორანგიუმი სხვადასხვა სახით ვითარდება. პირველ შემთხვევაში სოკოს სხეული თვით გადადის ზოსპორანგიუმად. ზოსპორების განვითარებისა და გარეთ გამოსვლის შემდეგ სოკოს სხეულიდან აღარაუერი რჩება. მის თალღუსს მთლიანად იყენებს ზოსპორანგიუმის წარმოქმნა. ასეთ სოკოებს ჰოლო ჰოლო ფორმებს უწოდებენ.

არქიმიცეტების უმაღლეს წარმომადგენლებში სოკოს თალღუსზე ერთი ან რამდენიმე ზოსპორანგიუმი წარმოქმნება. ზოსპორების განვითარებისა და გამოსვლის შემდეგ ინდივიდუმი, ე. წ. თალღუსი, მაინც რჩება. ასეთებს — ე უ კ ა რ ჰ ი უ ლ ს უწოდებენ.

გარდა თხელკედლიანი ზოსპორანგიუმებისა არქიმიცეტებს მოეპოვებათ სვენებადი სტადია სქელგარსიანი სხეულების სახით. ესაა, ე. წ. ცისტები. ცისტაში ხშირად ისევ ზოსპორა ვითარდება, რაც იმის მაჩვენებელია, რომ იგი ზოსპორანგიუმის ფუნქციასაც ასრულებს. ამათ სვენებად სპორანგიუმსაც უწოდებენ.

სქესობრივი გამრავლება იშვიათია. უმრავლესობას არა აქვს.

სხეულის აგებულების მიხედვით არქიმიცეტები ორ რიგად იყოფა.
1 რიგს შეადგენენ მიქსოქიტრიდიოვანები (*Myxochytridiales*) — პლაზმური სხეულს მქონე, უგარსო წარმომადგენლები, და რიგი — მიკოქიტრიდიოვანები (*Mycocochytridiales*) — გარსიანი წარმომადგენლები. მათთვის დამახასიათებელია თალღუსის ზედაპირიდან სუბსტრატში გავრცელებული უბირთვო პლაზმური ძაფები.

მიქსოქიტრიდიოვანები (*Myxochytridiales*). მათი კხეული მიცელი-უშს არ ქმნის, ყველა შიშველი პლაზმაა. ენდოფიტური პარაზიტული ფორმებია. მრავლდებიან ერთ ან ორშოლტიანი ზოოსპორებით. მოზამთრე სტადიად სქელგარსიანი ცისტები აქვთ, საიდანაც ისევ ზოოსპორები უკითარდებათ. ზოგიერთ წარმომადგენელს (*Synchitriaceae*) ცისტებიღან სპორანგიუმები წარმოიქმნება. 1 ჩივი *M y x o c h y t r i - a l e s* — მიქსოქიტრიდიოვანებში შემდეგი ოჯახებია აღსანიშნავი:

1. ოჯ. *Olpidiaceae* — ოლპიდიასებრნი.


პარაზიტული ფორმებია, უმთავრესად ენდოფიტურ ცხოვრებას ეწევიან მცენარეებზე. ერთშოლტიანი ზოოსპორები აქვთ. მოზამთრე სტადია, ანუ ცისტა — ზოოსპორანგიუმად ვითარდება.

ოლპიდიუმისებრთა ოჯახში ტიპურად ითვლება გვ. *Olpidium*-ი. პარაზიტულ ფორმებს შეიცავს. აღსანიშნავია *Olp. brasicæ*, რომელიც კულტურულ მცენარეთა აღმონაცენებზე პარაზიტობს და საკმაოდ ფართოდ გავრცელებულ ავადმყოფობას — „კომბისტოს შავფეხას“ — იწვევს. სახელწოდება „შავფეხა“ შერქმეულია იმის გამო, რომ, და-ავადებულ მცენარეს ფეხსი და ფეხვის ყელი უშავდება.

Olp. iibrasicæ მცენარის ქსოვილის სილრმეში იჭრება — ზოოსპორანგიუმად გადადის. ამ უკანასკნელს ზოოსპორების გარეთ გამოსვლისათვის მოგრძო ხორთუმი უკითარდება. ცისტებიც ქსოვილის სილრმეშია. ხორ-თუმი მათ არ მოეპოვება. ზოოსპორები მხოლოდ ქსოვილების სრული ლპობის შემდეგ გამოდიან.

აღსანიშნავია აგრეთვე ბარდას ილპიდიუმი (*Olp. viciae*), რომელიც, ძირითადად, ისევ ვითარდება, როგორც *Olp. brasicæ*. ზოოსპორა აზიანებს მცენარეს ფოთლებს, პლაზმა ქსოვილში იჭრება, თანდათან იზრდება, ბოლოს ისევ ზოოსპორებს წარმოშობს და ახალ ინფექციას იძლევა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ, თუ ზოოსპორები გამოსვლას დააგვიანებენ არახელსაყრელი პირობების გამო, მოიშევიან, მაშინ ზოოსპორები ასრულებენ არა უსქესო გამრავლების ორგანოების ფუნქციას, არამედ სქესობრივის, ე. წ. გამეტების ფუნქციას. მი-ლებული ზოოსპორები პირველ ხანებში ორშოლტიანია. იგი მოძრაობის შემდეგ ისევ იჭრება მცენარის ქსოვილში, შიგ იზრდება, ორბირთვიანობა შერჩენილი აქვს. განსაკუთრებული პერიოდის გასვლის შემდეგ, ცისტად გადაიქცევა. ცისტას გალივების დროს ბირთვები ერთდებიან და შემდეგ ისევ იყოფა მრავალ ბირთვად. თითოეული ასეთი ბირთვისგან ისევ ჩვეულებრივი ზოოსპორები ვითარდებიან (კურსანოვი).

2. ოჯ. *Synchytriaceae* სინქიოტრისტონი — პარაზიტული სოკებია, ენდოფიტური. მათი ტიპური წარმომადგენელია *Synchytrium endobioticum*, რომელიც იწვევს კარტოფილის კიბოს. კიბო იმის გამო შეარქვეს, რომ დააგადებულ ორგანოებზე — კიბოსებრა, გასიფ-



სურ. 56. სინქიტროუმის განვითარების ციკლი: 1 — ვეგეტატიური შოლტიანი სხეული; 2 — ქსოვილში შეჭრილი პლაზმის განვითარება; 3—4 — ზაფხულის სორუსი; 5 — ზოოსპორები; 6 — 7 — მოზამთრებული ცისტა.

ბული წარმონაქმნები ვითარდება. მცენარე ავადდება ერთშოლტიანი ზოოსპორებით. შეჭრილი პლაზმა ეპიდერმული უჯრედის გაზრდის იწვევს. მის არეში მყოფი მცენარის უჯრედების სტიმულაცია ხდება. უჯრედები მრავლდება, რის გამოც კორძები იქმნება. ტუბერის ქსოვილში განვითარებული პლაზმა თანადათან დიდდება, განვითარებს თხელ გარსს და გარღიავქმნება ე. წ. ზაფხულის და გარმონდება „ნამდვილ სორუსალ“, საქმაოდ დიდ სხეულად, რომლის შიგთავსი იყოფა და წარმოიქმნება 5—7 მრავალბირთვინი, საყვარებისიანი სპორანგიუმი. სპორანგიუმში ბირთვები იყოფიან, მრავლდებიან (200—300-მდე) და საბოლოოდ ისევ ზოოსპორებს ავითარებენ.

ისევე როგორც *Olpidium viciae*-ში, დაგვიანებით გამოსული ზოოსპორები გამეტების როლს ასრულებენ და მათი კოპულაციის შედეგად ისევ იწვევენ მცენარის ინფექციის და შეჭრილი სოკო ავითარებს ცისტას.

3. ოჯ. *Voroninaceae* — შერქმეულია ცნობილი ჭუსი მიკოლოგის ვორონინის პატივსაცემად. მისი ყველა წარმომადგენელი პარაზიტიანი ითვლება. აავადებენ წყალმცენარეთ და წყალში მცხოვრებ სოკოებს. შეჭრის შემდგომ მრგვალდება და გარღიავქმნება ზოოსპორანგიუმად. გამოსული ზოოსპორები ახალ დაავადებას იწვევენ.

ახასიათებს აგრეთვე ჰოლოგამიის ტიპის სქესობრივი გამრავლება. სქესობრივ გამრავლებას ხელს უწყობს კვების ცუდი პირობები. გამრავლებამდე ვეგეტატიური სხეული გარსით იფარება და შემდეგ მათი მთლია-

ნი კოპულაცია ხდება. უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ჰეტეროგამიას აქვს ადგილი. მამრობითი ინდივიდი უფრო მცირეა, მდედრობითი — დიდი. ზიგოტა ეკლებიანია და ისევ ზოოსპორებს იძლევა.

ამ ოჯახის წარმომადგენელია *Olpidiopsis saprolegniae*. იგი აზიანებს წყალმცენარეებს და წყალში მცხოვრებ სოკოებს, კერძოდ, *Saprolegnia*-ს. ზოოსპორა სოკოს ჰიფას ზედაპირისან შეიჭრება შიგნით და მექანიკურად პლაზმის დენით გადაინაცვლებს ჰიფის წვერისაკენ. ეს უკანასკნელი გაიძერება და შეიქმნება ზოოსპორანგიუმი — ზოოსპორებით, რომლებიც მოკლე ყელიდან ჰიფის უჯრედიდან გარეთ გამოდიან. თუ კვების ცუდი პირობები დაუდგა, ჰიფაში არსებული პარაზიტის ვეგეტატიური ორი ინდივიდი ერთდება; ადგილი აქვს ჰოლოგამიას. მიიღება ეკლებით დაფარული ზიგოტა, რომელიც სვენებად სპორანგიუმად გადადის. საბოლოოდ ისევ ზოოსპორები ვთიარდებიან.

რიგი II. *Mycosochitridiales* მიკოქიტრიდიონგან ები. არქიმიცეტების მეორე რიგია. იგი გარდამავალი ფორმაა პლაზმური და მიცელიარული თალუსის მქონე სოკოებისაკენ. პარაზიტი ორგანიზმებია. უმდაბლესი მცენარეების და, ნაწილი, ცხვველების დაავადებას იწვევენ. თალუსი გარსიანია, საიდანაც იწყება გრძელი, უბირთვო პლაზმური ძაფები. მრავლდებიან უსქესოდ, ზოოსპორებით. შემჩნეულია ჰოლოგამიის ტიპის სქესობრივი გამრავლებაც, რის შედეგადაც მიიღება სვენებადი სპორანგიუმები. ეს უკანასკნელები ისევ ზოოსპორებს იძლევა. მათი სხეული მომრგვალოა და შედგება ცენტრალური ერთბირთვიანი უჯრედისაგან და პლაზმური უბირთვო ძაფებისაგან. სპორანგიუმები შინაგანიც გვხვდება და გარებანიც.

ამ რიგში რამდენიმე ოჯახი შედის, მათგან აღნიშნავთ:


1 ოჯ. *Rhizidiaceae* რიზიდი ი ა ს ე ბ რ ნ ი. ერთბირთვიანია და ერთ სპორანგიუმს ავითარებს, რომლის წარმოქმნაში მთელი ვეგეტაციური სხეული მონაწილეობს.

ოჯ. რიზიდიასებრთაგან აღსანიშნავია *Rhizidium pollinis*, რომელიც დამდგარ წყალში ჩაცვენილ ფიჭვის მტვრის მარცვლებზე პარაზიტობს. განვითარების ციკლი შემდეგია. ზოოსპორა მტვრის მარცვლის ზედაპირზე მოხვედრისას გარსს ივითარებს. მარცვალში უშვებს შიგთავს, სადაც პარაზიტი იგვებება, იზრდება, იბერება და მრავალბირთვიანი ხდება. შემდეგ ზოოსპორებს ავითარებს, რომლებიც სპორანგიუმის კედლიდან გამოდიან და ახალ ინფექციას იწვევენ.

აღსანიშნავია აგრეთვე *Entophoictis bulligera*. მისი ზოოსპორანგიუმი უჯრედის შიგნით ვთიარდება. ზოოსპორა, მოხვდება თუ არა მცვებავ მცენარეს, ამ შემთხვევაში *Spirogera*-ს ძაფის ზედაპირზე, კერძოდ, ზიგოსპორას შემცველ უჯრედზე, ივითარებს გარსს. შიგთავსი შეიჭრება

უჭრედში. იგი თანდათან იზ-
რდება, იყითარებს პლაზმა-
ტურ ძაფებს, ბირთვი იყოფა
და საბოლოოდ ზოოსპორან-
გიუმად გარდაიქმნება. გამო-
სული ზოოსპორები ისევ მცე-
ნარის დაავადებას იწვევენ.

2. ოჯ. *Cladodochytidiaceal* კლადოქიტი-
დიაცეალ კლადოქიტი-
დიდი იოვანები უმაღლეს
მცენარეთა პარაზიტებია. მათ-
გან აღსანიშნავია დასავლეთ



სურ. 57. *Endophyctis bulbigoera*

წყალმცენარის სხეულები პლაზმატური ძაფებით

საქართველოში ფართოდ გავრცელებული სიმინდის ავაღმყოფობის გამო-
მწვევი *Physoderma zeae* — სიმინდის ფიზოდერმა. მისი სხეული გრძე-
ლი, დატოტვილი მიცელიარული ძაფების სახითაა წარმოდგენილი და
გავრცელებულია სიმინდის ფოთლების და ვაგინის ქსოვილებში, საღაც
დიდი რაოდენობით ქმნის ცისტებს. ტენიან პირობებში ცისტა მცენარეში
ვითარდება. ორგანისანია: გარეთა, შედარებით სქელი, ექსოსპორიუმია
და შინაგანი — ენდოსპორიუმი. ექსოსპორიუმზე რგოლური ბზარი
ჩნდება და საბოლოოდ სახურავივით იხსნება. ენდოსპორიუმში ვითა-
რდებიან ზოოსპორები, გამოიდან გარეთ და იწვევენ მცენარის ისევ
დაავადებას, ქსოვილებში ცისტების შექმნას და სხვა. ცისტები სიცო-
ცხლისუნარიანობას ხანგრძლივად ინარჩუნებენ.

3 კლასი — ფიკომიცეტები ანუ სოკოზალმცენარენი — PHYCOMYCETES

ისევე, როგორც არქიმიცეტები — ფიკომიცეტებიც (*Phycomycetes*)
უმდაბლესი სოკოების ჯგუფში შედიან. თავისი სხეულის აგებულებით,
გამრავლების ფორმებით ისინი უფრო პროგრესული ჯგუფია, ვიდრე არქი-
მიცეტები. მათი სხეული კარგად განვითარებული, დატოტვილი მიცელიუ-
მის მქონეა, მიუხედავად სხეულის ძლიერი განვითარებისა, იგი ერთი ვი-
განტური უჯრედისაგანაა შემდგარი. მრავალბირთვიანია, კენტრულად
იზრდება, შეიცავს ცხიმის წვეთებს. ასეთი სხეულის მქონე ორგანიზმებს,
არაუჯრედული აგებულების მიხედვით, მწვანე წყალმცენარეთა ერთ-
ერთი რიგის *Siphonales*-ების შეგვასად თვლიან. მსგავსი არიან აგრე-
თვე გამრავლებითაც, რის გამოც სოკოზალმცენარეებადაც იწოდე-
ბიან.

სქესობრივი გამრავლების საში სახე არსებობს: ოვგამიური, იზოგა-
მიური და ჰეტეროგამიური. ოვგამის ღროს სოკოებს უვითარდებათ
ოვგონიუმი, რაშიაც კვერცხუჯრედია მოთავსებული. განაყოფიერება
ხდება მაშინ, როდესაც ანთერიდიუმის შიგთავსი უერთდება კვერც-

უჯრედს და მიიღება ოსპორა. უმეტეს შემთხვევაში კვერცხუჯრედი ნაყოფიერდება ანთერიდიუმის პლაზმური შიგთავსით, რასაც პლაზმოგამია ეწოდება. შედარებით იშვიათად ანთერიდიუმში სპერმატოზოდები ვითარდებიან და კვერცხუჯრედს ერთი მათვანი ანაყოფიერებს (Mopoblepharidales). ჰეტეროგამიის დროს სხვადასხვა ზომის და ერთნაირი ავებულების გამეტები შეერთდება.

ფიკომიცეტების უსქესო გამრავლება სხვადასხვანაირია. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა შემთხვევაში, ე. წ. სპორანგიუმები წარმოიქმნება. იგი ერთუჯრედიანი, დახურული, ჩანთისებრი სხეულია, რაშიც უსქესო გამრავლების ორგანოები ვითარდებიან. თუ სპორანგიუმში წარმოიქმნენ უგარსო, შოლტებით აღჭურვილი და მოძრავი სპორები, ასეთ სპორანგიუმს ეწოდება ზოოსპორანგიუმი; ხოლო მოძრავ სპორებს — ზოოსპორები. ეს უკანასკნელი მოძრაობის შემდეგ შეჩერდება, შოლტები ქრება, უშოლტო პლაზმისაგან წინაზრდილი ვითარდება და ახალი ორგანიზმის დასაბამს იძლევა. როდესაც სპორანგიუმში გარსიანი, უშოლტო და ამავე დროს უძრავი სპორებია წარმოქმნილი, მისი სხეული სპორანგიუმად რჩება, ხოლო წარმოქმნილ სპორებს სპორანგიოსპორას, ანუ აპლანტოსპორას უწოდებენ.

ფიკომიცეტების უსქესო გამრავლების ორგანოებად განიხილება აგრეთვე ე. წ. კ თ ნ ი დ ი თ ფ თ რ ე ბ ზ ე ე გაზოენურად წარმოქმნილი კონიდიოსპორები, რომელთა განვითარებაც ორი სახით ხდება: ზოგიერთების კონიდიოსპორები გალივებისას ზოოსპორებს იძლევა, მეტადრეთუ გალივება ჭარბტენიან პირობებში მოხდა. თუ შედარებით მცირე ტენია, კონიდიუმის წვერიდან ჯერ პლაზმური ბუშტი გამოიბერება (Vitis), შემდეგ კი ლივს იძლევა და ინფექციას იწვევს. კონიდიოსპორების განვითარების ეს ორი სახე, შესაძლებელია ერთსა და იმავე სოკოს სახეობას ჰქონდეს (Peronosporal) ან, შესაძლებელია, სხვადასხვა სახეობებს ცალკე.

ფიკომიცეტების ნაწილის უსქესო გამრავლება სპორანგიუმში განვითარებული სპორანგიოსპორებით ხდება (Rhizopus, Mucor და სხვ.).

ფიკომიცეტებში გვხვდება როგორც პარაზიტული, ისე საპროფიტული ფორმები. პარაზიტთაგან აღსანიშნავია — Peronosporaceae-ების ოჯახი.

ფიკომიცეტების კლასიფიკაცია ქვეკლასებად, რიგებად და ოჯახებად დამყარებულია სქესობრივი და უსქესო გამრავლების ორგანოების თავისებურებებზე. სქესობრივი გამრავლების მიხედვით მთელი ფიკომიცეტები ორ ქვეკლასად იყოფა.

1. Oomycetes — ოომიცეტები. სქესობრივი პროცესი ოოგამიურია და განაყოფიერების შემდეგ ოსპორა ვითარდება.

2. Zygomycetes — ზიგომიცეტები. სქესობრივი პროცესი იზოგამიურია ან, შედარებით იშვიათად, ჰეტეროგამიური, უმთავრესად საპროფიტული ფორმებია.

ქვეკლასის — ომიცეტების რიგებად დანაწილება ხდება ზოოსპორების შოლტიანობისა და გამრავლების ფორმის მიხედვით.

1. რიგი Monoblepharidales მონობლებიანი ერთშოლტიანი ზოოსპორებით; სქესობრივი პროცესი ოოგამიურია, იშვიათად ჰეტეროგამიური. საპროფიტებია.

2. რიგი Acanthiales — ანცილისტას ებრნი. მრავლდებიან ორშოლტიანი ზოოსპორებით. სქესობრივი პროცესი ოოგამიურია, წყალმცენარეთა შინაგანი პარაზიტებია.

3. რიგი Saprolegniales — საპროლეგნიას ებრნი. მრავლდებიან ორშოლტიანი ზოოსპორებით. სქესობრივი პროცესი ოოგამიურია, უმრავლესობას მრავალკვერცხუჯრედიანი აქვს, იშვიათად — ერთიც.

4. რიგი — Peronosporales — პერონოს პოროვანი. ზოოსპორები ორშოლტიანია და ეგზოგენურად წარმოქმნილ კონიდიუმებში (სპორანგიუმებში) ვითარდებიან. ოოგონიუმში ერთი კვერცხუჯრედია.

მონობლეფარიდოვანთა რიგიდან აღსანიშნავია *Blastocladia Pringsheimi*. მისი სხეული მინიატურულ ბუჩქს მოგვაგონებს. ერთუჯრედიანია. ცენტრალური ლერო აქვს, რომლის ქვედა მხარეს რიზოდებია და მიმაგრებულია სუბსტრატზე. ზედა მხარე დატოტევილია და ტოტების წვერზე ზოოსპორანგიუმები და მოზამთრე სტადიებია განვითარებული.

Monoblepharis Rabenchorstii; ის სხეულიც ერთუჯრედიანია, რიზოიდებით მიმაგრებულია სუბსტრატზე და დატოტევილი. ზოოსპორანგიუმები ტოტის წვერზეა. სქესობრივი პროცესი ოოგამიურია. ერთბირთვიანი. ოოგონიუმი და ანთერიდიუმები ერთსა და იმავე ტოტებზე ვითარდებიან.

რიგი — Saprolegniales შედარებით დიდი ჭვეული და საპროფიტულ წარმომადგენლებს შეიცავს.

აქედან აღსანიშნავია გვ. *Saprolegnia* წარმომადგენლები *Sap. monica*. ხშირია დამდგარ წყალში. კარგად განვითარებულ სქელგარსიან ერთუჯრედიან, მრავალბირთვიან მიცელიუმს იძლევა, რომელიც ბაზალური მძრიდან რიზოიდებითაა სუბსტრატზე მიმაგრებული. გარსი ცელულოზისაგან შედგება. უსქესო გამრავლება ჰიფების წვერზე შექმნილ ზოოსპორანგიუმში განვითარებული ზოოსპორებით ხდება. ორივე სქესობრივი ორგანო ერთ ტოტზე ვითარდება. ოოგონიუმი მრავალკვერცხუჯრედიანია. ანთერიდიუმები მოკლეა, ცილინდრული და მიკრულია ოოგონიუმზე, რომლის კედელში ჩაშვებული მილით კერცხუჯრედებს ანაუთვიერებს.

რიგ. *Peronosporales*—პერონოსპორალები — ფიცომი-ცეტეტში ყველაზე პროგრესული ჯგუფია. გამოიჩენია სხვა წარმომადგენ-ლებისაგან საქმაოდ ძლიერად განვითარებული მრავალბირთვიანი, დატოტ-ვილი, ენდოფიტური და ეგზოფიტური მიცელიუმით. უმრავლესობას ორი-ვე მოეპოვება, თალღუსის ენდოფიტური ნაწილი უჯრედშორისია ან უჯრედ-შიგნითა და კვების ფუნქციებს ასრულებს. ეგზოგენური მიცელიუმი კი გამრავლებას ემსახურება, რამდენადაც ზედ ვითარდებიან უსქესო გამ-რავლების ორგანოები. ზოგიერთ უმდაბლეს ფიცომიცეტს სქესობრივი ორგანოები ეგზოგენურ, ჰაეროგან მიცელიუმზე აქვს განვითარებული (*Pythiaceae*). ჰაუსტორიუმები უმდაბლეს წარმომადგენლებს არ გააჩ-ნიათ.

აქვთ უსქესო და სქესიანი გამრავლება.

უსქესო გამრავლების ძირითად ფორმად ითვლება ზონსპორფბი და სპორანგიოსპორები, რომლებიც ერთუჯრედიან სპორანგიუმებში ვითარ-დებიან. უმაღლეს წარმომადგენლებს (*Peronosporaceae*) ეგზოგენურად უვითარდებათ, სპეციალურ ჰიფებზე ანუ სხვადასხვა სახის კონიდიო-ფორებზე. გაღივებისას კონიდიოსპორები ან წინაზრდილს ავითარებენ, ან ზონსპორებს.

სქესობრივი გამრავლება ოოგამიურია. ოოგონიუმი და ანთერიდიუმი, უმთავრესად, ერთმანეთის მეზობლად არიან განვითარებული: (მოკლე-ტოტებზე, ჰიფებზე). ოოგონიუმის ცენტრში კვერცხუჯრედია. იგი განა-ყოფიერებამდე უგარსოა და პერიპლაზმითა შემოვლებული. ანთერიდი-უმი მოგრძოა ან ცილინდრული და ოოგონიუმზეა შემოვლებული, გვერ-დითი ნისკარტით კი ოოგონიუმის კედელშია შეჭრილი. განაყოფიერებისას ანთერიდიუმის მთელი შიგთავსი გადადის ნისკარტის საშუალებით ოოგო-ნიუმში და ანაყოფიერებს კვერცხუჯრედს, რომელიც შემდგომ მტკიცე გარსს შემოიკრავს და გადაიქცევა ოოსპორად. უკანასკნელი ორი გარსი-თა დაფარული. გარეთა გარსი ანუ ე ქ ს ი ნ ა, რომელიც ოოგონიუმის გარსის ნაშთია, დანაოჭებულიფითა და შიგ მოთავსებულია სფეროსებრი, მრგვალი, სქელი გარსით დაფარული ოოსპორა. მეორე გარსს ეწოდება ი. თ ი ნ ა. განაყოფიერებული ოოსპორა შესვენების ფაზას გაივლის და შემდეგ ან ზონსპორად ვითარდება, ან წინაზრდილს იძლევა.

პერინოსპოროვანთა ზონსპორები ორშოლტიანებია და სიგრძიფ-გვერდზეა მიმღრებული.

პერინოსპოროვანთა უმრავლესობა ჰარაზიტებია და კულტურულ და ველურ მცენარეთა ბევრი წარმომადგენლის დავადებას იწვევენ. დიდ ზარალს აყენებენ სოფლის მეურნეობას, მაგალითად, ყურძნის ჭრაქი (*Plasmopara viticola*), კარტოფილის სოკო (*Phytophthora infestans*), ციტრუსების წებოს დენა ანუ ჰუმოჩი (*Phyt. citrophthora*) და სხვ.

პერინოსპოროვანთა რიგის კლასიფიკაცია ცალკე ოჯახებად დადგე-

ნილია იმის მიხედვით, აქვთ თუ არა კონიდიოფორები და, თუ აქვთ, როგორი ფორმის. პერინოსპოროვანები სამ ოჯახად იყოფა.

ოჯ. *Pythiaceae* — პითიოფანთა ოჯახი.

მიცელიუმი ძლიერ დატოტვილი აქვთ. ზოოსპორანგიუმები ჩვეულებრივ ჰიფებზეა, კონიდიათმტარები არა აქვთ. მრავლდებიან კონიდიუმებითაც, რომლებიც ჰიფებს სწყდება და ისე ვითარდება. პარაზიტები და საპროფიტებია.

ოჯ. *Albuginaceae* — ალბუგინასებრთა.

სპორანგიუმები ძეწყვებადაა შეკრული. კონიდიოფორი მარტივია, კომბლისებრი. ობლიგატი პარაზიტებია. ნაყოფიანობა ეპიდერმისის ქვეშაა განვითარებული.

ოჯ. *Phytophoraceae* — ფიტორთონთა ორასებრნი.

შეიცავს მხოლოდ ერთ გვარს *Phytophthora*-ს

ოჯ. *Perenosporaceae* — პერენოსპორასებრი. კონიდიათმტარები სხვადასხვანირადაა დატოტვილი, ბაგეებიდან ჭვეფად ან ერთეულადაა ამოსული, სპორანგიუმები კონიდიათმტარების ტოტების წვერზეა განვითარებული.

პითიოფანთა ოჯახის წარმომადგენელთაგან აღსანიშნავია სათბურებში გავრცელებული *Pythium de Baryanum* ნიადაგის სოკო, საიდანაც მცენარის აღმონაცენის ფესვის ყელზე გადადის, ალბობს მას და იწვევს „ჩითილების ჩაწოლას“, „ჩითილების ამოსვლებას“. მიცელიუმზე ვითარდება ზოოსპორანგიუმები. ზოოსპორები იწრებიან აღმონაცენის ფესვის ყელში და ალბობენ მას. სქესობრივი გამრავლებისას დავადებული მცენარის ქსოვილებში ვითარდება ოსსპორები. საქართველოში აღსანიშნავია *Pyth. graminearum*, რომელიც ხორბლოვანთა აღმონაცენებს აავადებს; *Pyth. ultimum*, რომელიც გოგროვანთა (კიტრი, საზამთრო, ნესვი) ნაყოფების ლპობს იწვევს.

გვ. *Pytophthora* — ფიტოფარმატიკორა ფიტოფარმატოვანთა ოჯახში შედის. ამ გვარის მთავარ წარმომადგენლად ითვლება კარტოფილის სოკო *Pytophthora infestans*. გავრცელებულია ცველგან, მეტადრე ჭარბტენიან და გრილ რაიონებში. ხშირად ისეთი სიძლიერით ვითარდება, რომ მოსავალს თითქმის მთლიანად ხპობს. აავადებს ფოთლებს, ღეროს და ტუბერებს. სოკოს ნაყოფიანობა ფოთლის ქვედა მხარეს ვითარდება ლაქის გარშემო. მიცელიუმის ძაფები, ან ამ შემთხვევაში, კონიდიოფორები, წვერიდან ავითარებენ კონიდიოსპორებს. ამ უკანასკნელის ჩამოვარდნის შემდეგ კონიდიათმტარი მაინც განაგრძობს ზრდას. კონიდიუმი შედარებით ტენიან პირობებში ზოოსპორებს ავითარებს, მშრალ გარემოში კი იძლევა ძაფნაირ წინაზრდილს.

სქესობრივი გამრავლება მცენარის ქსოვილებში იშვიათადაა აღნიშ-

ნული, ნაპოვნია ხელოვნურ პირობებში, საპროფიტულად მცხოვრებ ზე-დაპირულ მცენერიულში. აავადებს პომიდორსაც.

ჩვენში აღსანიშნავია ფიტოფეტორას მეორე სახეობაც *Phytophthora citrophthora*, რომელიც ციტრუსების ჰუმორზს, ანუ წებოს დენას იწ-ვებს, მეტადრე ფეხვის ყელთან. წებოს დენის არეში მოყოლილი ქერქი ლპება, ხმება და სძვრება მერქანს. იწვევს ნაყოფების ცვენას, ნერგების ხმობას, *Phytzparasitica* პომიდორების ღეროს ფუძის და ნაყოფების ცვე-ნას იწვევს: *Phytabacina* — თამბაქოს ფიტოფეტოროზი — დიდ ზა-რალს იძლევა. საქართველოში გამოჩენისას პირველი 2—3 წლის განმავ-ლობაში ანადგურებდა თამბაქოს, როგორც სათბურებში, ისე მინდვრა-დაც.

ოჯ. *Albuginaceae* — ა ლ ბ უ გ ო ს ე ბ რ ნ ი.


ყველა ობლიგატური პარაზიტია. იწვევენ სხვადასხვა კულტურულ და ველურ მცენარეთა დაავადებას. ჩვენში გავრცელებულია *Albugo candida*. (*Cystopus*) — თეთრი უანგა, რომელიც აავადებს ქვაროსანთა ოჯახის წარმომადგენლებს — კომბოსტოს, ბოლოქს, თალგამს, წიწმატს და სხვ. კონიდიათმტარები ეპიდერმისის ქვეშ ვითარდებიან, კონიდიები ძეწვებად და ზოოსპორებად ვითარდებიან. სქესობრივი გამრავლება დაავადებული მცენარის ქსოვილში ხდება. ოვაგამიურია. ოოსპორები ისევ ზოოსპორებს იძლევა, ხშირად გვხვდება ველურ მცენარეებზე *Cys. trapocogonis* — ბაბუაწვერაზე, *Cyst. bliti* ნაცარქათამაზე, *Cyst. por-tulaceae* — ღანდურზე და სხვ.

ოჯ. *Peronosporaceae* — პ ე რ ე ნ ი ს პ ო რ ი ვ ა ნ ე ბ ი.

პერენისპოროვანები ფიკომიცეტების კლასში, კერძოდ, ოომიცეტებ-ში თავისი განვითარების დონით ყველაზე წინა წასული. ყველა სახეობამ მიატოვა წყლის პირობებში ცხოვრება და ხმელეთის სოკოებად იქცა. ისინი კულტურულ მცენარეებს დიდ ზარალს აყენებენ. მრავლდებიან უსქესოდ და სქესობრივადაც, უსქესოდ — კარგად განვითარებულ და-ტოტვილ კონიდიოფორებზე მიღებული კონიდიუმებით ვითარდებიან, რომლებიც ან ზოოსპორებს იძლევიან, ან ზრდის მიღს, ხოლო სქესობ-რივი გამრავლება ოფამიური ტიპისაა. უკანასკნელი მცენარის ქსოვილ-ში მიმდინარეობს.

პერონისპოროვანთა გვარებად დანაწილება კონიდიოფორების და-ტოტვილობის ტიპის მიხედვით ხდება.

1. გვარი *Plasmopara* — პლაზმოპარას გვარი, მართალია, მცირე-რიცხოვან წარმომადგენლებს შეიცვეს, მაგრამ ერთი მათგანი — (*Plasmopara viticola*) — გამომწვევია. ვაზის ჭრაქისა, რაც მევენახეობას დიდ ზარალს აყენებს, აზიანებს ვაზის ყველა მწვანე ორგანოს. ვაზის ფო-თლებზე და ახალგამონასკველ ნაყოფებზე თეთრი ფიფქი ვითარდება. კონიდიოფორები სწორ კუთხეებადაც დატოტვილი, ბოლო დაკბილული



სურ. 58. ალბუგინასებრთა კონიდიოფორები

აქვს და ზედ კონიდიუმებია. ამ უკანასკნელთა წყლის წვერში მოხვედრის შემდეგ, სათანადო ტემპერატურის პირობებში — ზოოსპორები ვითარდებიან. სქესობრივი პროცესი დაავადებული ფოთლების ქსოვილში უმთავრესად გვიან შემოდეობაზე ხდება, ოოფამიურია. დაზამთრებული ოოსპორებიდან ვითარდება ერთი მაკროკონიდიუმი, რომელშიაც უფრო მეტი ზოოსპორები ვითარდებიან, ვიღრე ჩვეულებრივ კონიდიუმებში. ამ უკანასკნელისაგან მცენარის ძირითადი ფოთლები ავძლდება.

გვ. *Peronospora* — პერონოსპორა. მრავალრიცხოვანი გვარია. ამ გვარის 100-ზე მეტი წარმომადგენელია ცნობილი. ობლიგატი პარაზიტია და კულტურულ და ველურ მცენარეებს აავადებს. მრავლდება კონიდიოსპორებით, რომლებიც მარტო წინაზრდილს ივითარებენ და ზოოსპორები არა აქვთ. ამათგან აღსანიშნავია *Peronospora spinacea* ისპანახის ჭრაქის გამოწვევი. ფოთლებზე დიდ მოყვითალო ლაქებს აჩენს, რომელიც ქვედა მხრიდან დაფარულია მოთეთორო-სოსანი ფიფქით. კონიდიათმტარები დიქოტომიურადაა დატოტვილი და წაწვეტებულ ბოლოზე კონიდიუმებია განვითარებული. ამ გვარის სხვა წარმომადგენელთაგან აღსანიშნავია *Per wiciae*-ბარდას ჭრაქი, *Per. Medicaginis* მონჯის ჭრაქი, სოიასა და სხვა. *Per. schleidenii* ხახვის ჭრაქი, სათესლე ხახვის ნარგავების დაღუპვას იწვევს.

გვ. *Premia* — დიქოტომიურად დატოტვილი კონიდიოფორებია; მათი უკანასკნელი რიგის ტოტების წვერი ფიალისებრია, რომლის კიდეზე მოკლე სტერიგმებია. კონიდიოსპორები ზრდის მიღს იძლევან. აღსანიშნავია *Pr. lactucae* სალათის ჭრაქი, წვრილ, სოსანი ფიფქით დაფარულ ლაქებს ავითარებს.


გვ. *Sclerospora* — სკლეროსპორა. კონიდიათმტარები სქელი ღეროთა წვერზე მოკლე გვუფალ, შეკრებილი. მახვილი წვერიანი ტო-

ტები აქვს, რაზედაც მრგვალი კონიდიუმებია განვითარებული. მცირე-რიცხვანი გვარია. ხორბლეულ მცენარეებზე საქართველოში გვხვდება *Sci. gramineum*-ი.

გვ. Basidiophora — ბაზიდიოფორა. კონიდიატმტარები მარტივი, ცილინდრული ან კობლისებრია. წვერი გასქელებული. აღსანიშნავია *Basidiophora endospora* მცენარე *Erigeron*-ზე.

ჰვეკლასი Zygomycetes — ზიგომიცეტები

ზიგომიცეტებისათვის დამახასიათებელია ზიგოვამია. ზიგოვამია სქესობრივი პროცესის ისეთი ფორმაა, როდესაც ორი თანაბარი გამეტის შეერთება ხდება. მოძრავი სტადიები ზიგომიცეტებს არ გააჩნიათ. სქე-



სურ. 59. პერიონისპოროვანთა წარმომადგენლების კონიდიოფორების ტიპები:
1 — უკარავებები; 2 — ბითიუმი; 3 — ბლაზმობარა; 4 — ბრემია; 5 — პერი-
ონისპორა; 6 — ფსეულოპერიონისპორა

შობრივი პროცესის ღრას ორი ჰიფი ერთმანეთის მოპირდაპირედ დგება; თურივე ჰიფზე ტიხარით თითო მრავალბირთვიანი უჯრედი გამოყოფა და ერთმანეთს ეხება. საბოლოოდ შეხების აღვილზე ტიხარი იხსნება და ორი უჯრედი შეიქრთობა. წარმოიქმნება სქელგარსიანი ზიგორა.

ზიგომიცეტები ორ რიგად იყოფიან: Mucorales — მუკორასვანები
ანუ ობის სოკოები, და Entomophthorales — ენტომოფთოროვანნი.

რიგი — Mucorales — ობის სოკონები

მუკოროვანებს საკმაოდ ძლიერ განვითარებული ერთუჯრედიანი მიცელიუმი აქვთ. ისევე როგორც ფიკომიცეტების სხვა წარმომადგენლებს, ტიხარი დაბერებულ მიცელიუმზე უვითარდებთ, ისიც ყოველთვის არა. უმთავრესად საპროფიტებია, აქვთ შინაგანი და გარეგანი მიცელიუმი.

სქესობრივი პროცესი ზიგლამიურია, უსქესო სპორანგიოს პორებით ან კონიდიოს პორებით ხდება. არა ხელსაყრელ ჰიტობებში ოიდიოს პორებ-საც ქმნის. ჰიფის წვერი ხშირი ტიხრებით იფარება და შემდეგ ცალკე ცხრედებად იშლება.

ამ რიგის წარმომქმნელთა შორის შეიძლება გვ. *Mucor*-ი დაყასახელოთ. *M. mucedo* — პურის ობი ძლიერ დატოტვილ ერთუჯრედიან მიცელიუმს ავითარებს. უსქესო გამრავლება სდება სპორანგიოსპორებით, რომლებიც გრძელფეხიანი სპორანგიუმის კოლოფში გითარდებიან. კოლოფი მრავალბირთვიანია. კოლოფის კედელი იხსნება ან იშლება და სპორანგიოსპორები ვრცელდებიან. სქესობრივი გამრავლება ტიპიური ზიგოგამურია. ზიგორა შესვენების შემდეგ ავითარებს სპორანგიუმებს სპორანგიოსპორებით, რასაც წინ ბირთვის ჩედუქციული დაყოფა უსწრება.

მეორე გვარია *Rhizopis*-ი. იგი ახლო დღის *Mucor*-თან, ხოლო განსხვავდება მისგან სპორანგიუმების სტოლონებზე ჯგუფად განვითარებით. სტოლონებს სუბსტრატში ჩაშვებული აქვთ რიზიოლები. მრავლდება ისევე, როგორც *Mucor*-ის წარმომადგენლები.

Rhizopus nigricans გავრცელებული ობის სოკა. საპროფიტოა,,
თუმცა მცენარეული პროდუქტების გაფუჭებასაც იწვევს. სპორანგიო-
სპორები არათანაბარზომიერები არიან და გარსი დასერილი აქვთ. ონბავ
მცრა ფერისაა.

83. *Pilobolus*-ის წარმომადგენელი *Pil. cristalinus*-ი ცხენის-ნაკელზე გახვდება. სპორანგიუმების ფეხი გასიებულია და წვერთან შევიწროებული, რაზედაც დახურული სპორანგიუმის კოლოფია. აღსა-

ნიშნავია, რომ სპორანგიუმის ფეხში ჰიდროსტატიკური წნევაა განვითარებული, რის შედეგადაც სპორანგიუმის კოლოფი მთლიანად გაიტყორცება შორ მანძილზე.

ენტომოფტოროვანები — ოგი Entomophthorales

ენტომოფტოროვანთა წარმომადგენლები, უმთავრესად, მწერების პარაზიტებად ითვლებან, თუმცა ზოგიერთი ფაულტატური პარაზიტის სახით მცენარეებზედაც ცხოვრობს. სხვა ზიგომიცეტებისაგან იმით გამოიჩინება, რომ სპორანგიუმები არა აქვს და კონიდიოსპორებით მრავლდება. ენტომოფტოროვანთა ოჯახილან აღსანიშნავია Empusa musci — ბუზების პარაზიტი. ხშირად შევხვდებით შემოდგომით ფანჯრის მინებზე მიმაგრებულ ბუზებს, რომელთა სხეული დაფარულია თეთრი ფიფქით. ეს სოკო Em. muscia-a. უსქესო გამრავლება ხდება სკეტურად მდგომი კონიდიოფორების წვერზე განვითარებულა კონიდიოსპორებით, რომლებიც თავისუფლად ვრცელდებიან და ბუზის დაავადებას. იწვევენ. სხეულში შეჭრილი მიცელიუმი ცხიმის ქსოვილებში იტიხრება, წყდება სხეულში და ვრცელდება. სქესობრივი გამრავლება აზიგოსპორებით ხდება, როდესაც ზიგოტა კონულაციის შედეგად არაა განვითარებული, შესვენების სტადიას წარმოადგენს.

გვ. Entomophthora-ს წარმომადგენელია Ent. rhizospora, მას დატოტვილი კონიდიათმტარები აქვს, რითაც Empusa-საგან განსხვავდება, განვითარებით კი მისი მსგავსია. შეჭრილი მიცელიუმი მწერის სხეულში იტიხრება და იძლება ცალკე უჯრედებად, რომლებიც მწერის სიკვდილის შემდეგ ვითარდებიან, კონიდიურ ნაყოფიანობას იძლევიან.


ენტომოფტოროვანთა ჯგუფის სოკოები, რამდენადაც ისინი მწერების პარაზიტები არიან, შეიძლება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნე მწერების წინააღმდეგ იქნენ გამოყენებული.

* კლასი — ჩანთიანი სოკოები ანუ ასკომიცეტები — ASCOMYCETES

ჩანთიანი სოკოებისათვის დამახასიათებელია კარგად განვითარებული, დატოტვილი, მრავალუჯრედიანი მიცელიუმი, რომელიც სხვადასხვა სახის გამრავლების ორგანოებს იძლევა; მათი განვითარების ციკლში ჩანთების ანუ ასკების მიღება აუცილებელია. ჩანთიანი სოკოების წირმომადგენელთა უმრავლესობას პლეომორფოზმიც ახასიათებს და ჩანთი გარდა, სხვადასხვა ფორმის კონიდიურ ნაყოფიანობასაც იძლევა. უჯრედის გარსი ცელულოზისთან ერთად ქიტინსაც შეიცავს.

ასკები ტიპურ შემთხვევებში რვა სპორიანია, იშვიათად სპორები რაოდენობა 8-ზე მეტი ან ნაკლებია.

ასკოსპორების წარმოქმნას უსათუოდ წინ უსჭრებს ჩანთიანი სოკოები სქესობრივი გამრავლება, რის გამოც ჩანთიან ნაყოფიანობას სრულყო-



სურ. 60. ზიგომიცეტები. *Mucor mucedo* 1 — მიცელიუმი
სპორანგიუმით, 2 — სპორანგიუმის კოლოფი, 3 — იზოგამია,
4 — განვითარებული ზიგოტა.

ფილ სტადიად თველიან და ასკოსპორებს სქესობრივ სპორებს უწოდებენ.

ჩანთიან სოკოებში ფართოდაა წარმოდგენილი უსქესო გამრავლების ორგანოები კონიდიური ნაყოფიანობის სახით. შეიძლება ითქვას, რომ ჩანთიანი სოკოების განვითარების ციკლში, მთელი ვეგეტაციის პერიოდში კონიდიური ნაყოფიანობა დომინანტობს. მათი გავრცელების საქმეში კონიდიური ნაყოფიანობა მთავარია. რაც შეეხება ჩანთიან სტადიას უმრავლეს შემთხვევაში იგი მხოლოდ მოზამთრეობის ფუნქციას ასრულებს. ისეთი ასკომიცეტებიც გვხვდებიან, რომელთა განვითარების ციკლში მარტო ჩანთიანი სტადია შედის (მაგალითად, ტიტველჩანთიანები).

ჩანთიან სოკოებში სქესობრივი გამრავლების ფორმები სხვადასხვაა. მაგალითად, მარტივჩანთიანებში მიცელიუმის ორი მეზობელი უჯრედის შეერთებით მიიღება ზიგოტა, რომლის დიპლოიდური ბირთვის რედუქციული დაყოფის შემდეგ ასკოსპორები წარმოიქმნება.

ჩანთიანი სოკოების სქესობრივი გამრავლების მარტივ ფორმად ჰილოგამიაც ითვლება. ეს უკანასკნელი საფუარ სოკოებშია გავრცელებული. მათ ერთუჯრედიანი თალუსი აქვთ. ძირითადად სხეულის ვეგეტატიურად დაკვირტვით მრავლდებიან. სქესობრივი პროცესის დროს კი ორი ინდივიდის შეერთება ანუ შერწყმა ხდება. ზოგოტაში მიღებული დიპ-

ლოიდური ბირთვი რედუქციული დაყოფის შემდეგ 2—8 ასკოსპორას აყითარებს.

უმაღლესი ჩანთიანი სკორების სქესობრივი გამრავლება უფრო რთული სახითაა წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში მათ სქესობრივი გამრავლებისათვის თალუსზე სპეციალური ორგანოები უვითარდებათ, მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ *Rygonema confluentes*. მის მდედრობით ორგანოს არქიკარპი ეწოდება, მამრობითს კი — ანთერიდიუმი. არქიკარპი (ოოგონიუმი) ორი ნაწილისაგან შედგება: ძირითადი ქვედა ნაწილი მომრგვალოა ან სფეროსებრი, მრავალბირთვიანი შიგთავსით. მას ასკოგონს უწოდებენ. ზედა ნაწილი კი ცილინდრული უჯრედია და ტრიქოგონი ეწოდება. ტრიქოგონის დანიშნულებაა. გამანაყოფიერებელი ბირთვისა და პლაზმის გატარება ასკოგონში. (იხ. სურ. 51).

მამრობითი ორგანო ანთერიდიუმი ცილინდრულია, მრავალბირთვიანი და არქიკარპის კედელთან მტკიცედაა შეზრდილი. თავისი წვერით ტრიქოგონშია შეჭრილი. ბირველ ხანებში შეჭრის ადგილზე ტიხარითაა განცალკევებული. განაყოფიერების პერიოდში ტიხარი იხსნება და ანთერიდიუმის მრავალბირთვიანი შიგთავსი ასკოგონში გადადის. ორივე ორგანოს შიგთავსი ერთმანეთში აირევა, ისე, რომ ბირთვები კი არ ერთდებიან, არამედ მათი დაწყვილება ხდება, ე. ი. მამრობითი და მდედრობითი ბირთვები წყვილდებიან. ასეთ წყვილებს დიკარიონს უწოდებენ. ვიდრე დიკარიონის ბირთვები ერთმანეთს არ შეერწყმიან, არ შეერთდებიან და დიპლოიდური ბირთვი (2—X-იანი) არ მიიღება, განაყოფიერება არაა დამთავრებული. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სკოებში დიკარიონის ფაზა გახანგრძლივებულია, რაც სხვა ორგანიზმებში არა შენიშნული. ბირთვების შეერთების შემდეგ მდედრობითი და მამრობითი ორგანოები (ტრიქოგონი და ანთერიდიუმი) კარგავენ თავის დანიშნულებას.

ასკოგენურ ჰიფებში თითო დიკარიონი გადადის. უკანასკნელი იყოფა და მეორე დიკარიონი წარმოიქმნება. ვიდრე ჩანთები ჩამოყალიბდებოდეს, ასკოგენური ძაფი კაუჭივით ანუ ნალისებრად იხრება და შემდეგ ორი ტიხარი უვითარდება ერთი წვეროს და მეორე ფუძის მხრიდან, ისე რომ მოკაუჭებული ნაწილი ე. ი. წვერი ორი ტიხარითაა გამოყოფილ მისი ფუძის წვეროს მხრიდან და 2 დიკარიონს შეიცავს.

შუა ნაწილში მოთავსებული ორი დიკარიონიდან, ერთი მათგანი ბირთვები ერთმანეთს სცილდებიან. აქედან ერთი ბირთვი გადადის წვერის უჯრედში, ხოლო მეორე ასკოგენური ძაფის ფუძის უჯრედში. ერთი დიკარიონი რჩება ასკოგენური ძაფის მოხრილ ნაწილში, საიდანაც ჩანთა უნდა განვითარდეს. აღნიშნული დიკარიონის ბირთვები ერთდებიან, განაყოფიერება მთავრდება და 2—X-იანი დიპლოიდური ბირთვი მიიღება, რომელსაც პირველად ასკოსპორას უწოდებენ.

პირველადი ასკოსპორა მაშინვე იწყებს სამჯერად რედუქციულ და-
კუთხის (ორად, ოთხად და რვად). მიღებული რვა ბირთვი ჯერ შიშველია,
შემდეგ პლაზმას იკრეფს და ივითარებს ქიტინოვან გარსს. საბოლოოდ მი-
ღება ერთ-X-იანი გაპლოიდური 8 ასკოსპორა.

ასკოგენურ ძაფში დაშლილი დიკარიონის ერთი ბირთვი, რომელიც
კუჭის წვერის უჯრედში გადავიდა, ფუძის უჯრედში გადასულ ბირთვს
უერთდება და მიღება დიკარიონი, რომელიც ახალი ჩანთების განვი-
თარებას იწყებს.

ჩანთიანი სოკოების ნაყოფსხეულები სამი სახისაა: ა) კლეისტოკარ-
პიუმი, ანუ ყრუდ დახურული ნაყოფსხეულები, როდესაც ჩანთების გამო-
სასვლელად სპეციალური კარი ანუ პორტუ არა დატანებული.

ბ) პერიტეციუმი დახურული ნაყოფსხეულია, მხოლოდ წვერზე პო-
რუსი, ანუ კარი აქვს დატანებული, საიდანაც ნაყოფსხეულში განვითა-
რებული ჩანთები ან ასკოსპორები გამოცვითან და შემდეგ ვრცელდე-
ბიან.

გ) აპოტეციუმი ლია ჭამისნაირი ნაყოფსხეულია, რომლის ზედაპირ-
ზე ჩანთებისაგან შემდგარი ჰიმენიუმია განვითარებული.

სამივე სახის ნაყოფსხეულს კარგად შესამჩნევი, კუტინიზებული პა-
რენჯიმული ან პროზენჯიმული უჯრედებისაგან შემდგარი შავი ან ფე-
რადი კედელი, ანუ პერიდიუმი, აქვს. უმრავლესობის კედლისშიგნითა
მხარეს უფერული უჯრედებისაგან შემდგარი შრეა გამოკრული, საი-
დანაც ჩანთები წარმოიქმნება. შინაგანი უფერული შრე კედელთანაა შე-
ზრდილი. პერიტეციუმის შიგნით არის ღრუ. ჩანთები მისი ფუძილან
ჭგუფადაა განვითარებული. ჩანთებთან ერთად ზოგიერთ სოკოს პარა-
ფიზები ანუ უნაყოფო ძაფები აქვს.

ასკომიცეტების კლასი იყოფა ორ ქვეკლასად. პირველი ქვეკლასია
Protoascomycetes ანუ *Gymnoasci* — მარტივჩანთიანები და *Euasco-*
mycetes ანუ *Carpoasci* — ნაყოფჩანთიანები.

მარტივჩანთიანები ნაყოფსხეულს არ იძლევიან. მათი ჩანთები მი-
ცელიუმზე თავისუფლად ვითარდებიან ერთეულებად. ამ ქვეკლასში
თოხი რიგია:

რიგი 1. *Protascales* — მარტივჩანთიანები. მათი ვეგეტატიური გამ-
რავლება თალუსის დაკვირტვით ხდება. ჩანთები მიცელიუმზე ერთე-
ულადაა განვითარებული და დაკვირტვის შედეგად მიღებული უჯრედე-
ბის კოპულაციით წარმოიქმნება (პოლიგამია). უმთავრესად შაქრის
შემცველ სუბსტრატზე ცხოვრობენ. უმრავლესობა საპროფიტებია.
ცნობილია 5 ოჯახი, რომელთაგანაც აღსანიშნავია:

ოჯახი 1. *Dipodascales* — ახასიათებთ მრავალუჯრედიანი და მრა-
ვალბირთვიანი დატიხრული მიცელიუმი. მრავლდებიან ჰიფების ოიდი-
ებად დაწვეტით (ვეგეტატიური გამრავლება) ან ერთბირთვიანი ასკო-

სპორიანი ჩანთებით, რომლებიც ჰიფის ორი მეზობელი მრავალბირთვიანი უჯრედის კოპულაციის შედეგად მიიღება.

აღსანიშნავია — *Dipodascus albidus*. იგი ხეების გამონაყოფზე გვხვდება. მიუხედავად მრავალბირთვიანი უჯრედების კოპულაციისა, მხოლოდ ორი ბირთვის შეერთება ხდება, დანარჩენები გაწყვალდებიან. კოპულაციური ბირთვი შემდეგ ისევ მრავალ ბირთვად იყოფა და სპორები წარმოქმნება.

Pericistis apis იწვევს ფუტკრის მატლების და ჭუპრის დავადებას. ჭეოს დამავადებელს ცალკე სახეობად თვლიან — Per. apii. ჰეტერო-თალური თალუსი აქვთ. ასები მრავალსპორიანია. სქესობრივი პროცესი ჰეტეროგამიურია.

ოჯახი 2. Endomycesaceae — კარგად განვითარებული მიცელიუმი აქვთ, უკანასკნელი რიგის ჰიფების წვერო, საფუარა სოკო-ების მსგავსად, ცალკე იოდიუბად იშლება, რომლებიც შემდგომ ჩვეულებრივად იყვირტებიან. ჩანთები უვითარდებათ გვერდითი ტოტების უჯრედების კოპულაციის შედეგად, შეიცავენ 4—8 ასკოსპორას.

აღსანიშნავია გვ. *Endomyces* ენდომიცესი. მიცელიუმი კარგადაა განვითარებული. აქვთ მკვირტავი უჯრედებიც, რომლებიც ძეწვებსა ქმნიან. ახლად შექმნილი უჯრედებიც იყვირტებიან. ჩანთები ვეგეტატიური უჯრედებილანაც ვითარდებიან. პართენოგენეზურად. ჩანთების შემქმნელი უჯრედების კოპულაცია არ ხდება. მრავალ სახეობას შეიცავს.

ამათი წარმომადგენელია *Eremascus fibuliger*. იგი ბუნებაში შაქრის შემცველ სუბსტრატზე გვხვდება. მრავლდება მიცელიუმის დაკვირტვით. სქესობრივი გამრავლება არა აქვს. ასკოსპორები პართენოგენეზურად წარმოქმნებიან — რიცხვით 4; *Endomyces caprophylus* მიცელიუმი კარგადაა განვითარებული; მკვირტავი უჯრედები არა აქვს. ასკოსპორები პართენოგენეზურად ვითარდებიან. თითო ჩანთაში 8 ასკოსპორაა.

ოჯახი 3. Sacharomycetaceae — საჭარო მიცეტები ან უსაფუარა სოკოები. საფუარა სოკოები ტკბილი სუბსტრატის სპირტულ დუღილს იწვევენ, რის გამოც ფართოდაა გამოყენებული სახალხო მეურნეობაში, კერძოდ, მეღვინეობაში, პურის მრეწველობაში, ღუდის მრეწველობაში და სხვ. ტკბილის დუღილს ანუ ღუებს შედეგად შაქრის ნახშირორჟანგად და სპირტად დაშლა მოსდევს.

უმრავლესობას ძაფნაირი მიცელიუმი არა აქვს. სხეული ერთუჯრედიანია, ოვალური ან მოგრძო, იშვიათად ძეწვებადა შეზრდილი. ყველა სახეობისთვისაა დამახასიათებელი ჭავირტვით გამრავლება. სხეულის გარსზე წარმოქმნება პატარა ბორცვი, რომელიც თანდათან იზრდება და, როცა დედა უჯრედის ზომას მიაღწევს, მოწყდება და შემდეგ თვითონ იკვირტება. ზოგ შემთხვევაში უჯრედის დაკვირტვა კი არა ხდება, არამედ, დედა უჯრედი ტიხარით იყოფა.

ყველა საფუარა სოკო ჩანთებს ივითარებს. ორი ინდივიდუმის თალუ-
სის კოპულირებით მიიღება ზიგოტა. ხშირია ისეთი მოვლენა, როდესაც
ჩანთები ერთი ინდივიდუმიდან პართენოგენურად მიიღება. უჯრედების
ჭობულაცია არ ხდება. ასკოსპორების წარმოქმნა კვების ცუდი პირობები-
თაა გაპირობებული. უგითარდებათ 1—8, უფრო ხშირად 4 სპორა. სა-
ფუარა სოკოების ოჯახში მრავალი გვარი შედის. გვარები გამოყოფა,
უმთავრესად, ასკოსპორების ფორმის მიხედვით: სფეროსებრია, მრგვა-
ლი, ცერცისებრი თუ ნახევრად სფეროსებრი და სხვა. ყურადღება
ექცევა აგრეთვე ასკოსპორების წარმოქმნის გზას — ორი უჯრედის კო-
პულირებით და პართენოგენურად წარმოქმნას, იმასაც თუ ზიგოტა
რას იძლევა.

ყველაზე მნიშვნელოვანი გვარია *Sacharomyces*. ერთუჯრედიანი
ორგანიზმებია, რომლებიც შაქრის შემცველ საკვებ სუბსტრატიან არის
შეგუებული. სუბსტრატის შაქრიანობა არ უნდა აღემტებოდეს 30 —
— 32%-ს. ვეგეტატიური სხეული დაკვირტვით მრავლდება. არახელსაყ-
რელ პირობებში უგითარდებათ მსვენებადი სპორები, რომლებიც მკვრივ
შიგთავს შეიცავნ (გლიკოგენი, ცხიმის წყვეტები). თუ სვენებადი სპორ-
ა განვითარებისათვის კარგ პირობებში მოხვდა, ისევ დაკვირტვას იძ-
ლევა. ჩანთა ასკოსპორებით პართენოგენურად ვთარდება. მიღებული
სპორები ისევ იცვირტებიან, თუმცა წინ უსწრებს გაღივებული სპორე-
ბის ან კვირტების ჭობულაცია.

აღსანიშნავია ღვინის დუღილის გამომწვევი: *Sacharomyces vini*,
რომელიც გლუკოზისა და სხვა შაქრების შემცველ ხელოვნურ თუ ბუ-
ნებრივ არეში ყველგანაა გავრცელებული. ვეგეტატიური გამრავლება
დაკვირტვით ხდება, ხოლო სქესობრივი გზით ასკოსპორები წარმოქმ-
ნება. სახელწოდება *Sach. ellipsoideus* და სხვა კიდევ მრავალი მის სი-
ნონიმად ითვლება; თუ წინათ ღვინის დუღილის, ლუდის დუღილის,
პურის გაფუების მიზეზებად ცალკე სახეობებს თვლილნენ, ამჟამად
ძლიარებულია, რომ ყველა ერთი და იგივე სახეობაა — კერძოდ, *Sach. vini*, აღსანიშნავია აგრეთვე *Sach. cerevisiae*, რომელიც მარტო ლუდის
ლუების გამომწვევად ითვლებოდა. ამჟამად ღაღისტურებულია, რომ
პურის ცომის გაფუებასაც იწვევს. გვარი *Schizosacharomycetes*-ისა-
თვის დამახასიათებელია ვეგეტატიური უჯრედის დაყოფა და არა დაკვირ-
ტვა. დაყოფისას ტინარი შუაზე უჩნდება და ორ შვილ უჯრედად იყოფა.
სპორები იქმნება ჭობულაციის შედეგად.

II-რიგი Exoascales — შიშველჩანთიანი

შიშველჩანთიანთა რიგისათვის აღსანიშნავია ის გარემოება, რომ
ყველა წარმომადგენელი მრავალწლიანი ხეებისა თუ ბუჩქების ნამდვი-
ლი პარაზიტებია. იშვიათად გვიმრებზედაც გვხვდებიან. მიცელიუმი,

როგორც ყველა პარაზიტს, ენდოფიტური აქვს. ცხოვრობენ დაავადებული მცენარის ოჯანოების ქსოვილში. მცენარის დაავადების შედეგად იწვევენ დაავადებული ორგანოების (ფოთლების, ყლორტების, ტოტების, ნაყოფების) სხვადასხვა სახის დეფორმაციას. როგორც ყველა ობლიგატი პარაზიტისთვისაა დამახსიათებელი, მიცელიუმი სუსტადაა წარმოდგენილი. მიუხედავდ ამისა, მცენარის ქსოვილში ადვილად ვრცელდება გამრავლების ორგანოები — ჩანთები ასკოსპორებით. ერთ შრედ დაავადებული ორგანოების ზედაპირზე ერთმანეთთან ახლოს მდგომად ვთარდებიან და ჰიმნიუმს ქმნიან. ასკოსპორები 4 ან მრავალია. იზამთრებს ასკოსპორებით. შიშველჩანთიანთა ზოგიერთი წარმომადგენლის ჩანთებში შექმნილი პირველადი ასკოსპორები მომწიფების წინ იყვირტებიან იმდენად, რომ ჩანთის ღრუს მთლიანად ავსებენ. ასკოსპორების ტაკვირტვით წარმოქმნილ მეორეულ სპორებს — ასკოსპორებს უწოდებენ. მეორეული ასკოსპორები ტიტველჩანთიანთა ოჯახშია გავრცელებული. ისინი იმავე ფუნქციებს ასრულებენ, როგორსაც პირველად ასკოსპორები.

ო. Exoascaceal — შიშველჩანთიანთიანთა შიშველჩანთიანთა სოკოებში ორი გვარი შედის — *Exoascus* და *Taphrina*.

გვ. *Exoascus*-ის მიცელიუმი ენდოფიტურია და ტოტებისა და ყლორტების; დაზიანებას იწვევს. ტოტების შემთხვევაში დაავადებულ მცენარეზე მძინარე კვირტების გამო „ქაჯის ცოცხე“ ვთარდება. მრავალწლიანი მიცელიუმი აქვს. მერქნის ქსოვილებში იზამთრებს. ჩანთები ოვასპორიანია. ზოგიერთი წარმომადგენლის ჩანთებში მომწიფების წინ ასკოსპორები იყვირტება და მრავალ მეორეულ ასკოსპორას ავითარებს. ჩანთის ბაზალურ ნაწილში ტიხარით პატარა უჯრედია გამოყოფილი, რომელსაც ღიაგნოსტიკური მნიშვნელობა ექლევა. მას ჩ. ა. ნ. თ. ი. ს. ჭ. ვ. შ. ა. უჯრედს უწოდებენ. ჩანთა მიცელიუმთან ამ უჯრედითაა დაკავშირებული.

გვარ *Exoascus*-დან აღსანიშნავია *Ex. carpini*. იგი ჩვენში გავრცელებულია და რცხილაზე იწვევს რცხილის „ქაჯის ცოცხეს“. მიცელიუმი მერქანტშია შეკრილი, მძინარე კვირტებს აღვიძებს, საიდანაც წვრილი, ჯგუფად შეკრული ტოტები ვთარდება. მიცელიუმი ღეროდან ჯერ ტოტებში და შემდევ ფოთლებში გადადის, დიფუზურად ვრცელდება. ოვასპორიანია, ჩანთები ფოთლების ზედაპირზეა განვითარებული.

ასეთივე განვითარება აქვს არყის „ქაჯის ცოცხეს“ — *Ex. betulinus* ალუბლის „ქაჯის ცოცხეს“ — *Ex. cerasus*, ნეკერჩელისას *Ex. acerinus* და სხვა.

მე-2 გვარია *Taphrina* — ტაფრინა. პარაზიტია, ერთწლიანი, აქვს ლიკალზებული მიცელიუმი, რებასპორიან ჩანთებს იძლევა. აღსანიშნავია ატმის ფოთლის სიხუჭუჭის გამომწვევი *Taphrina deformans*. ივა

ტმის უსაშინელესი ავადმყოფობაა, იწვევს ფოთლების დახუჭუჭებას და ცენზს, ყლორტების ხმობას. დახუჭუჭებული ფოთლის ზედაპირზე თარღება ჩანთები ასკოსპორებით.

ქლიავის ბოყის გამომწვევია *T. pruni*. მცენარეს ავადებს ყვავილობის ფაზაში, კერძოდ მის ნასკვებს, რის შედეგადაც დაავადებული ზურგი დეფორმირებულია, უვარგისი გამოდის. *T. cerulescens* მუხის ფოთლის ლაქიანობას იწვევს, *T. alni* — მურყანის დაავადებას და სხვა.

ოჯახი *Protomycetaceae* — პროტო მი ც ე ტ ი ვ ა-ნ ნ ი პირველადანთიანები. შიშველჩანთიანთა მეორე ოჯახია. ენდოფიტურია, ქსოვილებში გაბლანდული მიცელიუმი აქვს. მიცელიუმის ვერდითი ტოტები თხელგარსიან, უფერულ ქლამიდოსპორებს იძლევა. გალივებისას ქლამიდოსპორიდან ჩანთისებრი სხეული იქმნება, რომელიც აუზრებელ სპორებს წარმოშობს. აღნიშნული სპორები გალივებისას ერთდებიან და ზიგოტა იქმნება.

აღსანიშნავია *P. macrosporus*, რომელიც ქოლგოვან მცენარეთა გარაზიტია.

ქვეფლახი Eu-ascomycetes ანუ Carpoasci ნაყოფჩანთიანნი

ნაყოფჩანთიანი სოკოები, როგორც სახელი გვიჩვენებს, ნაყოფსხეულებს ივითარებენ. ნაყოფსხეულის კედელი სხვადასხვა სიმკერივისაა. ხოვიერთებში (პლექტასკალებში) ნაყოფსხეულები მიკროსკოპულია. პერიდიუმი თხელია და ბადისებრი; უმრავლესობის პერიდიუმი კი უტინიზებული სქელგარსიანი უჯრედებისაგან შედგება. სამნაირი ნაყოფი აქვს — კლეისტოკერპიუმი, პერიტეციუმი და აპოტეციუმი. უმრავლესობაში პოლიმორფიზმი კარგადაა გამომუღავნებული. ჩანთიან და კონიდიურ სტადიებს ივითარებენ.

საკმაოდ დიდი ჯგუფია და შეიცავს მრავალ სახეობას. მათი კლასიფიკაცია დამყარებულია ნაყოფსხეულის ფორმაზე და გამრავლების ორგანოების აგებულებაზე. შემდეგი რიგებია აღსანიშნავი:

ა — კლეისტოკარპიუმიანი სოკოები;

1. *Plectascales* 2. *Perisporiales*

ბ. პერიტეციუმიანი სოკოები. რიგი *Hypocreales*, *Dothydeales* და *Sphaeriales* და სხვ.

3. აპოტეციუმიანი სოკოები — *Dyscomycetales*, ანუ ჯამნაირი სოკოები, რომელშიაც 4 რიგი შედის: *Hysteriales*, *Phacidiales*, *Pezizales* და *Tuberiales*.

რიგი *Plectascales* — პლექტასკალებია.

პლექტასკალები ჩანთებს ყოველთვის დახურულ ნაყოფსხეულებში (კლეისტოკარპიუმში) ივითარებენ. კლეისტოკარპიუმის შიგნითა ნაწილი

სოკოვანი ქსოვილითაა გამოვსებული და ჩანთები ერთეულებად არია ამ ქსოვილში გაბნეული. ნაყოფსხეულის კედელი ზოგს ნაზი აქვს, ძაფი ნაირი ხლართით, ზოგისა კი მაგარია, კუტინიზებული, სქელგარსიანი უჯრედებისგან შემდგარი.

პლექტასკალების ორიდან აღსანიშნავია: ოჯახი *Gymnoascus* 1. *Lees* — ჰი მნ აღ ას კა ლ ე ბ ი.

პიმნიასკალებს პროტოსკალებისა და ნამდვილი ასკომიცეტებს შორის თითქოს გარდამავალი საფეხური უკავიათ. მიცელიუმი მრავალუჯრედიანია და ამავე ღროს, მრავალბირთვიანი. იშვიათად იძლევა კონიდიური ნაყოფიანობას ან აიდიებს.


სქესობრივი სპორები (ასკოსპორები) ანთერიდიუმისა და სპირალურად დახვეული არქიკარპის კოპულაციის შედეგად ვითარდებიან. ზიგოტიდან მიიღება დატოტვილი ასკოგენური ძაფი, რომელიც გვერდითო ტოტების თავზე რვასპორიან ჩანთებს ავითარებენ. ნაყოფსხეული მიკროსკოპულია და კედელი არა აქვს განვითარებული, დაფარულია იგი მიცელიუმის ხლართით, მოყვითალოა. აღსანიშნავია *Gymnoascus Reesii*. იგი საპროტიტია; ნაყოფსხეული ნამზის ან ნარინჯისფერია. ნაყოფსხეულის კედელი შემდგარია სქელგარსიანი უჯრედებისაგან შექმნილი ბადისებრი ჰერიდიუმისაგან.

ოჯახი *Aspergillaceae*—ასპერგილოვანნი. კლეისტოკარპიუმები მრგვალია, მკვრივი გარსით დაფარული; კონიდიურ სტადიას ძლიერს ივითარებს, რის გამოც უსქესო სტადია ყოველთვის გვხვდება — გაბატონებულია, სქესობრივი კი — იშვიათად. დიდი ოჯახია და რამდენიმე ასეულ სახეობას შეიცავს. ორი გვარის წარმომადგენელია აღსანიშნავი *Aspergillus*-ისა და *Penicillium*-ისა.

ასპერგილუსის წარმომადგენლად შეგვიძლია დაგასახელოთ ბუნება. ში ფართოდ გავრცელებული *Aspergillus niger*-ი, ანუ შავი ობის გამომწვევი. მიცელიუმი ენდოგენურია, ძლიერ დატოტვილი. კონიდიაფორმები აღმართულია, დაუტოტავი, გაბერილი წვერით, რაზედაც ერთი ახორი რიგი სტერიგმებია განვითარებული. ამ უკანასკნელზე კონიდიუმები ბაზიპეტალურად ვითარდებიან და ძეწკვებს ქმნიან. უმთავრესად კონიდიურ სტადიაში გვხვდება. კლეისტოკარპიუმი მრგვალია, იშვიათად ვათარდებიან. .

შემდეგი სახეობებია — *Asp. flavus* და *Asp. fumigatus*. ცნობილი არიან, როგორც ზოგიერთი მწერის, მაგალითად, ფუტკრის სასუნითქმორგანოების დამააღვებელნი. აღამიანისთვისაც საშიშია. ზოგიერთი წარმომადგენელი ხელოვნურ სუბსტრატზე განვითარების დროს, ნივთიერებათა მეტაბოლიზმის შედეგად, საკვებ არეში ლიმონის მუავას წარმოქმნის, რასაც წარმოებისათვის ქარხნული წესით იღებენ.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს გვ. *Penicillium*-ის წარმომადგენ



სურ. 61. 1 — *Penicillium*, 2 — *Aspergillus* კონიდიური ნაყოფიანობა

ლებს. ასპერგილუსისაგან განსხვავდებიან დატოტივილი კონიდიათმტარებით, რომელთა ტოტების წვერზე სტერიიგმებია და ზედ ბაზიპეტალური განვითარებული კონიდიების ძეწვება. მავნე სახეობათაგან აღსანიშნავია *Penic. italicum* — ლურჯი აბი და *Pen. digitatum* — მწვანე აბი. ორივე ციტრუსების ნაყოფების ლპობას იწვევს. საქართველოში ძლიერაა მოდებული ციტრუსების ნაყოფებზე შენახვისას და დიდი ზარალის მომცემია. ასევე *P. crustaceum* ბინებში საკვებ პროდუქტებს აფუჭებს.

პენიცილიუმის გვარში სასარგებლო წარმომადგენლებიცაა, მაგალითად, *P. notatum* და *P. crustosum*, რომელთაგანაც საუკეთესო ანტიბიოტიკი ე. წ. პენიცილინი მიიღება. ეს უკანასკნელი აღამიანის მრავლობით ინფექციურ ავადმყოფობას კურნავს. პენიცილინის ზოგიერთი წარმომადგენელი, მაგალითად, *Pen. roguefortii* რძის მრეწველობაში გამოიყენება როკფორის ტიპის ყველის დასამზადებლად. ასპერგილოვანთა ოჯახის ერთ-ერთ წარმომადგენელს *Monascus purpureus*-ის ჩინელები ბრინჯთან ერთად საჭმელად ხმარობენ.

ოჯახი *Terfeziaceae* — ტ ე რ ფ ე ზ ი ა ს ე ბ რ ნ ი . ტერფეზია-სებრნი ნიადაგში მცხოვრები სოკოებია. მეტად დიდი ნაყოფსკეულები აქვთ, ხშირად კარტოფილის საშუალო ტუბერის ზომისა, ნაყოფსხეუ-

ლის ქერქი მტკიცედაა შიგა ქსოვილთან შეერთებული. ჩანთები ნაყოფის ხორცის ქსოვილში ისევეა გაფანტული, როგორც პლექტასკალების სხვა წარმომადგენლებში. ამ ოჯახიდან საქართველოში ერთი სახეობაა ცნობილი, რომელსაც *Terfezia transcaucasica* ეწოდება. მოგვავონების ტრიუფელებს. ნაყოფსხეული მოთეთრო-მრყვითალოა, სპორები ბადი-სებრი ვარაყითაა დაფარული. საკვებად იყენებენ.

რიგი *Perisporiales* — პერისპოროვანნი. —

პერისპოროვანი სოკოები ეგზოგენური ორგანიზმებია, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი მიცელიუმი სუბსტრატისადმი ზედაპირულია. ნაყოფ-სხეული ყველას კლეისტოკარპიუმი აქვს, რომელიც განსხვავდება პლექტასკალების კლეისტოკარპიუმისაგან. განსხვავდება იმაში მდგომარეობს, რომ პერისპოროვანთა ოჯახის კლეისტოკარპიუმის შიგნით ცარიელობულ არის და მისი ფუძიდან ჯგუფადაა ამოსული ჩანთები — ხან ერთი, ხან მრავალი. იგი პოლიმორფული სახეობებისაგან შედგება. კლეისტოკარპიუმთან ერთად კონიდიურ ნაყოფიანობასაც იძლევა, შეიცავს როგორც ობლიგატურ პარაზიტებს, ისე ჩვეულებრივ საპროფიტებსაც.

პერისპოროვანებში ორი ოჯახი შედის:

ოჯ. 1. *Erysiphaceae* — ნაცროვანი სოკოები. უფერული ან ოდნავ მონაცრისფრო დატოტვილი ექსოფიტური მიცელიუმით. იშვიათად ენდოფიტურიც გვხვდება.


ნაყოფსხეულებს სპეციალური, სხვადასხვა სახის ნამატები უფითარ-დებათ, რომელნიც უმთავრესად სუბსტრატზე მიმაგრების ფუნქციას ასრულებენ. ობლიგატური პარაზიტებია.

2-ოჯახი *Perisporiaceae* — პერისპოროვანი სოკოები ანუ სიშავის გამომწვევი სოკოები. უყელა საპროფიტია. მიცელიუმი შავი ან ყავისფერია და გართხმული. მცენარის ზედაპირზე მექანიკურადაა შეტანილი, იწვევს ნაყოფების სიშავეს, რაც მათ სასაქონლო ღირებულებას უკარგავს.

1. ოჯ. *Erysiphaceae* ნაცროვანი სოკოები

ნაცროვანი სოკოები ბუნებაში ფართოდაა გავრცელებული. რამდენიმე ასეულ სახეობას შეიცავს. მიუხედავად ამისა, ნაცროვანი სოკოების ბიოლოგიური ნირი, ძირითადად, უყელას ერთნაირი აქვს. უყელა ობლიგატური პარაზიტია. ველურ და კულტურულ მცენარეთა დავადებას იწვევს, რაც ხალხი ნაცროს უწოდებს.

ნაცროვანი სოკოების მიცელიუმი გართხმულია სუბსტრატის ზედა-პირზე და ერთბირთვიანი უქრედებისაგან შედგება. სახეობათა უმეტე-სობას ზედაპირული მიცელიუმი აქვს, რომელიც აპრესორიუმებით ეპი-დერმისზეა მიმაგრებული, ხოლო ჰაუსტორიუმები ეპიდერმისის უქრედებშია შეჭრილი და სოკო იმით იკვებება. მიცელიუმზე აღმართულადაა



სურ. 62. ნაცრის ნაყოფიანობა. 1 — ზედაპირული მიცელიუმი,
2 — კონიდიათმატარი, 3 — კონიდიოსპორა. 4 — საწოვარა

მოგრძო კომბლისებრი კონიდიათმტარები, რაზედაც ბაზიპეტალურად
წარმოქმნილ, მოკლე თუ გრძელ ძეგლებად შეკრულ კონიდიუმებს აფი-
თარებს.

ნაცროვანი სოკოები, როგორიცაა *Leveillula* და *Phylactinia* შედა-
რებით ქსეროფიტულ რაიონებშია გაფრცელებული. მათი ზედაპირული
მიცელიუმის ნაწილი ქსოვილებშიცაა შეჭრილი, რის გამოც კონიდიათ-
მტარები ბაკიდანაა ამოსული. უკანასკნელი მათი ენდოფიტური ბუნების
მაჩვენებელია. ასეთ კონიდიათმტარზე, როგორც წესი, მხოლოდ ერთი
კონიდიუმი ვითარდება. ენდოგენურად წარმოქმნილი კონიდიათმტარე-
ბის მქონე უსქესო სტადიას ეწოდება — *Ovulariopsis*; ხოლო, როდესაც
კონიდიათმტარები უშუალოდ ზედაპირულ მიცელიუმთანაა განვითარე-

ბული, მრავალ კონიდიუმს იძლევა, ქეშკვებს ქმნის, გაერთიანებული არიან გვ. *Oidium*-ში. ზოგიერთი ნაცროვანი სოკო მარტო კონიდიუმ სტადიაში გვხვდება. ნაცროვანი სოკოების უმრავლესობას ჩანთიანი სტადია (სქესობრივი) ჩვეულებრივად კლეისტოკარპიუმი აქვთ, რომელთაც სხვადასხვა სახის და ფორმის ნამატები უკითარდებათ. ეს უკანასკნელები არ იცვლებიან, მუდამ ერთი ფორმისანი არიან და ოჯახის გვარებად დანაწილებაში მთავარი მნიშვნელობა ენიჭებათ, რასაც სქესობრივი პროცესი უსწრებს წინ. ნაყოფსხეულები ყოველთვის ზედაპირულად ვთარდებიან.

უმრავლესობა სქესობრივ გამრავლებას იძლევა, რის შედეგადაც წარმოიქმნებიან კლეისტოკარპიუმის ტიპის ნაყოფსხეულები. უკანასკნელში კი ვითარდებიან სხვადასხვა რიცხვის ჩანთები და ასკოსპორები (1—8). ჩანთებისა და ასკოსპორების განვითარების სხვადასხვა რიცხვი აისხნება როგორც განაყოფიერების, ისე მათი განვითარების სხვადასხვა გარემო პირობებით.

ნაცროვანი სოკოების სქესობრივი პროცესი თავისებურია და შემდეგი სახით მიმდინარეობს:

სქესობრივი ორგანოები მოკლე გამონაზარდების სახით ზედაპირული მიცელიუმის ჰიფების გვერდებზეა განვითარებული. გამონაზარდება ერთმანეთისაგან განსხვავდებიან; მდედრობითი გამონაზარდი უფრო სქელია და ერთბირთვიანი. მას ოოგონიუმს ანუ ას კ თ გ თ ნ ს უწოდებენ, მამრობითი გამონაზარდი კი უფრო წვრილია და ორუჯრედიანი, მისი ზედა წვერის უჯრედი ანთერიდიალურია და ერთბირთვიანი. ხოლო მეორე, ქვედა უჯრედი — მის ფეხად ითვლება და ისიც ერთბირთვიანია.

ანთერიდიალური უჯრედი მტკიცედ ეკვრის კარპოგონის წვერს. მათ შორის ჯერ ტიხარია, რომელიც შემდეგ ისხნება და ანთერიდიალური უჯრედის შიგთავსი ასკოგონში გადადის ისე, რომ კარპოგონში უკვე არიან ბირთვია. ამ ორი ბირთვის (დიკარიონი) შეერთება ჯერ არ ხდება.

ასკოგონი შემდგომ იწყებს განვითარებას. შიგნით წარმოქმნება მრავალი ბირთვი, რომლებიც მის ცენტრალურ ნაწილში ერთ რიგად განლაგდებიან და მათ შორის ტიხერები ვითარდება, ისე რომ უჯრედების წყებაა შექმნილი. ამ უჯრედებიდან უმრავლესობა ერთბირთვიანია, უმცირესობა კი ორბირთვიანი (დიკარიონი), რომელთაგანაც ჩანთები ვითარდებიან. გვ. *Sphaerophycea* და *Podosphaera* — ს თითო დიკარიონს ავთარებენ და ერთ ჩანთას აძლევენ დასაბამს. თუ დიკარიონიანი უჯრედები მრავალია, მაშინ მრავალი ჩანთა ვითარდება (გვ. *Erysiphe*, *Uncinula*, *Microsphaera* და სხვ).

კლეისტოკარპიუმის წარმოქმნაში მონაზილეობას იღებენ სქესობრივი ორგანოების ფუძესთან არსებული ვეგეტატიური ძაფებიც. უკანასკნელნი იზრდებიან, იტიხერებიან და საბოლოოდ ჩანთების გარშემო უნაყოფო

ქსოვილს ანუ პსეუდოპარენქიმას ქმნიან. პერიფერიუმზე კი გამოყოფენ ექცელებლიან კუტინიზებულ ყავისფერ უჯრედებს, რომლებიც კლეისტოკარპიუმის კედელს წარმოადგენენ. კლეისტოკარპიუმის შიგნითა ნა-შილი უფერული ქსოვილისგანაა და მის ფუძიდან ჩანთები ვითარდებიან.

ნაცროვანთა ოჯახის გვარების სარკვევი

ნაცროვანი სოკოების რკვევისას შემდეგ ნიშნებს ექცევა ყურადღება: ნაყოფსხეულების — კლეისტოკარპიუმის და მისი ნამატების ფორმას; ნაყოფსხეულებში ჩანთების რიცხვს; მიცელიუმი შინაგანია თუ გარეგანი. უსქესო გამრავლების ნაყოფიანობის რკვევა კი ხდება კონიდიალური ნაყოფიანობის განვითარების მიხედვით, შინაგანია თუ გარეგანი, კონი-დიათმტარის ფორმას, კონიდიუმების წარმოქმნის ტიპს.

მოგვყავს ნაცროვანი სოკოების გვარების სარკვევი მიცელიუმის ტიპისა და კლეისტოკარპიუმების მიხედვით (ბლუმერი):

I ჭ. ოჯ. — მიცელიუმი გარეგანია, ზედაპირული. უსქესო გამრავლე-ბა Oidium-ის ტიპისაა.

1 — კლეისტოკარპიუმები ერთჩანთიანია,

2 — კლეისტოკარპიუმი ერთჩანთიანია, ნამატები მარტივი გვ. *Sphae-rotheca*.

3. კლეისტოკარპიუმის ნამატები წვერზე დიქოტომიურად დატოტვი-ლი, ერთჩანთიანია. გვ. *Podosphaera*,

2. კლეისტოკარპიუმი მრავალჩანთიანია.

3. ნამატები მარტივია ან იშვიათად წვერზე ოდნავ განშტოებული, ჩანთები მრავალი. გვ. *Erysiphe*,

3. ნამატები წვერზე დიქოტომიურად დატოტვილი, მრავალჩანთიანია.

გვ. *Mycrosphaera*,

გ. ნამატები წვერზე სპირალურად დახვეულია ან მოყალჭებული, მრა-ვალჩანთიანია. გვ. *Uncinula*,

II ჭ. ოჯახი. მიცელიუმი ნაწილობრივ ენდოფიტურია. ჰაუსტორიები უჯრედშორის მანძილებშია ჩასული:


I. ორგარი ნამატებით, სადგისისებრი ფუძე ბოლქვისებრ გასქელებუ-ლი; მეორე წვერზე ძაფნაირი, რადიალურად განწყობილი, მრავალჩა-თიანი. გვ. *Phyllactinia*,

2. ენდოფიტური მიცელიუმი, მრავალი მარტივი ან დატოტვილი ნამატე-ბით. დასაწყისში მრგვალია, შემდეგ კი ცერცვისებრად შეზნექილია.

გვ. *Leveillula*.

ნაცროვანი სოკოების უსქესო გამრავლების სტადიების სარკვევი

1. მიცელიუმი ზედაპირულია — ექსოფიტური და ეპიდერმისის უჯრე-დებში მარტო ჰაუსტორიუმებითა დაკავშირებული. კონიდიოფორები



სურ. 63. ნაცროვანთა სოკოების უსქესო გამრავლების ტიპები.

1. Oidium 2. Ovulariopsis 3. Oidiopsis

მხოლოდ ზედაპირული მიცელიუმიდანაა წარმოქმნილი.» კონიდიოსპორები ძეწვებადაა შეკრული. გვ. Oidium.


2. მიცელიუმი დასაწყისში ენდოფიტურია, მესრისებრ ან მეზოფილის ქსოვილებში გავრცელებული და მათ უჯრედებთან საშოვრებით დაკავშირებული (პირველადი მიცელიუმი). აღნიშნული შემდეგ ბაგეებიდან ამოდის და ზედაპირული მიცელიუმის შრესა ქმნის. პაუსტორიუმების ნაცვლად აპრესორებსა ქმნიან. კონიდიოფორები ბაგეებიდანაა ერთეულად ან ჯგუფად განვითარებული ერთი კონიდიოსპორით.

გვ. Ovulariopsis,

3. ზედაპირული მიცელიუმის ცალკეული ჰიფები ბაგეების გზით მცენარის მეზოფილის ქსოვილში იჭრებიან და პაუსტორიუმებით უჯრედებთანაა დაკავშირებული; კონიდიოფორები ცილინდრულია, დატიხული, მარტივი ან იშვიათად დატოტვილი; კონიდიუმები კომბლისებრია ან ფართე თითისტარისებრი, იშვიათად კვერცხისებრი. მოკლე 3—4 სპორიან ძეწვებსა ქმნიან, გვ. Oidiopsis.

გვ. Sphaerotheca. სფეროტეკას ამ გვარში ერთჩანთიანი და მარტივნამატებიანი სოკოები შედიან. მიცელიუმი გარეგანია, ეგზოფიტური. ალსანიშნავია: *Sphaerotheca pannosa f. persicae* და *Sphaer. pannosa f. rosae* — ატმისა და ვარდის ნაცარი. ყველგან გვხვდება. ავადებს ფოთლებს, ყლორტებს, ნაყოფებს; დაავადებული ორგანოები ნაცრისფერი ფიფქებით იფარება.

Sph. mors. unvae სტრატეგიულის ნაცარი ანადგურებს მოსაგალს, აზიანებს ყლორტებს და ნაყოფებს;



სურ. 64. ნაცროვანი სოკოების კლეისტოპარპიუმების ტიპები.
1 — სფეროტექა, 2 — პოდოსფერა, 3 — ერიზიფე, 4 — უნცინულა
ა., 5 — მიკროსფერა, 6 — ფილაქტინა.

Sph. fuliginea გოგროვანთა ერთ-ერთი ნაცართავანია. აზიანებს უფრო
მეტად კიტრს, ვიღრე გოგრას.

გვ. *Podosphera* — პოდოსფერას ზედაპირული მიცელიუმი აქვს.
ერთხანთანია და დიქოტომიურად დატოტვილი ნამატებით. აღსანიშნა-
ვა *P. leucotricha* ვაშლის ნაცარი. უკანასკნელ წლებში ვაშლზე ძლიერ
იჩინა თავი, აავადებს და ახმობს ყვავილის კოკინებს, ყვავილებს, ფოთლებს,
ყლორტებს, ნაყოფებს.

გვ. *Erysiphe* ერიზაფე. მარტივნამატიანი, მრავალჩანთიანი ნაყოფს ხეულებია. ამ გვარის წარმომადგენლები ნაცროვან სოკოებში ყველაზე მრავალრიცხვანია და ბევრ სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა დაავალებას იწვევს, მაგალითად:

Erysiphe graminis — ხორბლოვანთა ნაცარი. მკვებავი მცენარის მიხედვით მრავალ ფორმას იძლევა. ასეთივე *Er. cichoracearum*, რომელიც მრავალი კულტურული და ველური მცენარების დაავადებას იწვევს. კონიდიური სტაფია — *Oidium*-ია. კლეისტოკარპიუმსაც დიდი რაოდენობით იძლევა; *Er. umbeliferarum*-ი ქოლგოსანთა ოჯახის წარმომადგენლებზე გვხვდება.

გვ. *Leveillula* — უმთავრესად ქსეროფიტულ რაიონებში გვხვდება. თავისი ნაყოფიანობით გვარ ერიზიფეს წააგავს. განსხვავდება მხოლოდ განვითარების დასაწყისში ენდოფიტური მიცელიუმით. კონიდიური სტადია *Oidiopsis*-ის ტიპისაა, კონიდიოფორები ბაგეებიდანაა ამოსული და ერთ კონიდიუმს ავითარებს. ერთადერთი წარმომადგენელია *Leveillula taurica* — თავისი მრავალი ფორმით. წინათ ერიზიფეს გვარში შედიოდა.

ქსეროფიტულ, მშრალ რაიონებში აავადებს ველურ მცენარეულობას.

გვ. *Microsphaera* — მიკროსტერა. მრავალჩანთიანი ნაყოფს ხეულებით, დიქოტომიურად დატოტვილი ნამატებით. უმთავრესად მერქნიან და ტყის ჯიშებსა და ბუჩქნარებს აავადებს. წარმომადგენლებია: *Microsphaera alphitoides* მუხის ნაცარი. სპეციალზებული სახეობაა, ძლიერ აზიანებს მუხის ამონაყარს, ქვედა ტოტებს. უმთავრესად კონიდიურ სტადიაში გვხვდება. ეწოდება *Oidium dubium*, *Mierosph. berberidis* — კოწახურის ნაცარი. აავადებს ფოთლებსა და ყლორტებს.

გვ. *Phyllactinia* ფილაქტინია. ორგვარი ნამატებით, წვერზე რადიალურად მიმართული ძაფებით, ხოლო ეკვატორულ სიბრტყეში — რამდენიმე სადგისისებრი ნამატია, რომელთა ფუძე ბოლქვისებრაა გაბერილი სიმშრალეში კლეისტოკარპიუმი თთოქოს ზედაღვარზე ზის. დასაწყისში ენდოფიტური მიცელიუმი აქვს. ცნობილია ერთი სახეობა — *Phyllo suffulta* — თხილის ნაცარი, მაგრამ კრებული სახეობაა და მრავალ ტყის ჯიშისა და ხეხილის დაავადებას იწვევს. უკანასკნელთან დაკავშირებით მრავალი ფორმებია გამოყოფილი მკვებავი მცენარეების მიხედვით.

გვ. *Trichocladia* — ტრიქოკლადია. ნაყოფს ხეულები. მრავალჩანთიანია, მწვერზე გრძელი, ძაფნაირი, იშვიათად წვერზე ორად გაყოფილი ნამატების ჯიშუფი აქვს. აავადებს უმთავრესად ტყის ჯიშებს. მეტად პარკოსანთა ოჯახის წარმომადგენლებს. ჩვენში ცნობილია *Trich. robiniaeae*, თეთრი აკაციის ფოთლებს აზიანებს.

Trich. astragali — გლერტას ნაცარი.

ო. *Perisporiaceae* — პერისპორიას პოროგანი — სიშაგის გამომწვევის სოკოები. პერისპორიას სხვადასხვა მწერის ან მცენარეების გამონაყოფზე. ეგზოფიტური მიცელიუმი აქვთ. პაუსტორიუმები არ უვითარდებათ. იყვებებიან ჰიფების „ზედაპირით, „სიშავე“ გავრცელებულია ისეთ ხეებზე, რომელთა ორგანოები მწერების გამონაყოფითაა დასველებული. მწერის გამონაყოფი შაქრებისაგან, ნახშირწყლებისაგან შეღება, რაც სიშავის გამომწვევი სოკოსათვის საუკეთესო სუბსტრატია. ამ ექსუდატში მოხვედრილი სპორები ადგილად ლივდებიან და მიცელიუმის შავ ფიფქის წარმოქმნიან. შავი ფიფქი მცენარისათვის სახარბიელო არაა, ვინაიდან ფოთოლსა ფარავს და ასიმილაციის შენელებას იწვევს. ნაყოფებზე დასახლებისას მათ უკარგავს სასაქონლო ლირებულებას. როდესაც სოკოს საკვები გამოვლევა, მაშინ შავი ფიფქის შრე სძვრება და მცენარე ისევ ნორმალურ ასიმილაციას განაგრძობს.

ძველად ფიქრობდნენ, რომ სიშავეს ერთი რომელიმე სოკოს სახეობა იწვევს. შემდგომი გამოკვლევებით გამოიჩვა, რომ სიშავის ფიფქი შემდგარია კომპლექს არგანიზმებისაგან (12), რომლებიც ზოგი ჩანთიანს ეკუთვნის, ზოგი კი კონიდიურ ნაყოფიანობას იძლევა. ჩანთიანებიდან გვხვდებიან *Lumacinia*, *Zuckali*, *Antennularia* და სხვა; კონიდიური სოკოებიდან — *Triposporium* და *Cladosporium* და სხვ.

პირენომიცეტები — ქ/ქ Pyrenomycetes

პირენომიცეტების სახელშოდებით გაერთიანებულია ისეთი ჩანთიანი სოკოები, რომლებიც განვითარების ციკლში პერიტეციუმს იძლევა. მისი უსქესო გამრავლება სხვადასხვა სახის კონიდიური ნაყოფიანობით ხდება. ყველას პოლიმორფიზმი ახასიათებს.

მათი პერიტეციუმები მრგვალია, ღრუიანი და კარგად განვითარებული, სქელგარსანი უჯრედებისაგან შემდგარი პერიდიუმი ანუ კედელი აქვთ. წვერზე პორუსია დატანებული, საიდანაც სკოსპორები გამოცვივა. ჩანთები პერიტეციუმის ფუძიდინაა წარმოქმნილი. ზოგიერთ წარმომადგენელს ჩანთებთან ერთად უნაყოფოდ ძაფები ანუ პარაფიზებიც უვითარდებათ. პერიტეციუმის მომწიფების პერიოდში, ხშირად პარაფიზები იხსნება, ლორწოიანდებიან და საბოლოოდ ქრებიან. ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიექცეს ჩანთიანი სოკოების რკვევის დროს. ჩანთიანი სოკოების ნაწილს პერიტეციუმები ერთეულად უვითარდებათ, ერთიმეორექსთან დაშორებული; ნაწილს კი გვუფად. უკანასკნელ შემთხვევაში პერიტეციუმები უნაყოფო ქსოვილით ანუ ს ტრომით ერთმანეთთან არიან შეზრდილი. ასეთ შემთხვევაში პერიტეციუმები ან მთლიანად სტრომაში ჩამდგარი, ან მარტო თავისი ფუძით, სტრომის ზედაპირზე მჯდომარე. გარდამავალი ფორმებიც არსებობს. სტრომა შავია

ან შეფერილია ნარინჯისფრად, წითლად, ყვითლად, ლურჯიდ და სხვ. სტრომის ფერს, ფორმასა და მისი ქსოვილის ჭრედებს — დიაგნოსტიკური მნიშვნელობა აქვს. სტრომაში განვითარებული პერიტეციუმები ხშირად თავის დამოუკიდებლობას ინარჩუნებენ; საკუთარი პერიტიუმი ანუ კედელი აქვთ; ზოგიერთის პერიტეციუმები კი სტრომაში ცალკე კამერების სახითაა მოცემული, საკუთარი კედელი არა აქვთ, მრავალ-კამერიანია, ერთი ან მრავალი პორუსით.

პორუსი სხვადასხვა სახითაა მოცემული. ზოგ შემთხვევაში პორუსი პერიტეციუმის წვერზე დატანებული ნაჩვრეტის სახითაა, ზოგი ძუძუ-სებრია (*Mycosphaerella*); ზოგს ნაჩვრეტის გარშემო, წამწამებივით ძაფ-ნაირი ან ჯაგრისებრი ნამატები უვითარდება, ალბათ ტენის დასაკავებ-ლად (*Venturia*). სტრომის ქსოვილის სილრმეში განვითარებული პერი-ტეციუმის პორუსი გრძელი ხორთუმის სახით ვარეთ გამოიდის. მომწი-ფებისას ჩანთები პორუსისაკენ ან ხორთუმისაკენ გადაიწევიან, შეიძლება ნაწილობრივაც გამოვიდეს ვარეთ და ასკოსპორები გამოიყოს.

ასკოსპორების ჩანთებიდან გამოსვლა სხვადასხვანაირია; ზოგიერთი სოკოს ჩანთის წვერი პირდაპირ იხსნება, ზოგიერთების ჩანთის წვერზე ასკოსპორების გამოსასვლელი სპეციალური ჭვრეტი აქვს დატანებული. ხშირად ასკოსპორები პერიტეციუმიდან გამოყოფილ ლორწოშია შერე-ული. ამ შემთხვევაში ასკოსპორების გამოცალკევება და შემდგომი გავრ-ცელება წვიმის წვეთების დახმარებით ხდება: წვიმა გამოყოფილ ლორწოს თანდათან ხსნის და საბოლოოდ ასკოსპორები წვიმის შეხეს გადააქვს მანძილზე. ასკოსპორების გაფრცელება ქარის საშუალებითაცაა შესაძ-ლებელი. ეს ხდება მაშინ, როდესაც ჩანთებში არსებული ჰიდროსტატუ-ლი წნევით ასკოსპორები ჩანთებიდან გამოიტყორცება ატმოსფეროში და შემდეგ ნიავი ან ქარი გაიტაცებს და მანძილზე გადაიტანს.

¹ პირენომიცეტესების კლასიფიკაციის საფუძვლად მიღებულია შემ-დეგი ნიშნები: პერიტეციუმები სტრომაშია, ჯგუფად განვითარებული, თუ სტრომა არა აქვს, ერთეულებია; სტრომა შავია თუ შეფერილი; პე-რიტეციუმის ფორმა, ასკოსპორების აგებულება, როგორია შეფერილო-ბა და სხვა.

პირენომიცეტები რამდენიმე რიგად იყოფა. ჩვენთვის საინტერესო შემდეგი რიგი:

1. Hypocreales პიპორეალები — შეფერილი სტრომით.
2. Dothydeales — შავი სტრომით.
3. Sphaeriales — პერიტეციუმები შავია, სტრომა არა აქვთ და ერ-თეულად განვითარებულია.

ჰიპოკრეალების შარმომადგენლები, უმთავრესად მცე-ნარეთა და, იშვიათად, ცხოველების კარაზიტებად ითვლებან. საპრო-ფიტული ფორმებიც გვხვდება. მიცელიუმი უფერულია. მათთვის დამახა-

სიათებელია შეფერილი სტრომით შეკრული ჭვეფად განვითარებული პე-
პერიტეციუმები (ნარინჯი, წითელი, ყვითელი). იშვიათად თავისუფალ
ზედაპირულ პერიტეციუმებსაც იძლევიან.

ჰიპოსტიგმაცეაების რიგიდან სამი რჯახია აღსანიშნავი:

ოჯ. *P o l y s t i g m a c e a e* — პოლისტიგმაცეაების განვითარებული, ნარინჯია ან მოწითალო. სტრომა ფოთლის ქსოვილშია განვითარებული, ნარინჯია ან მოწითალო. პერიტეციუმები მრგვალია და სტრომაში ჩამჯდარი. ჩანთები კომბლი-
სებრია; ასკოსპორები უფერულია და ელიფსისებრი.

პოლისტიგმაცებრთა ოჯახიდან აღსანიშნავია საქართველოში ფართოდ
გავრცელებული კურკოვან მცენარეთა ავადმყოფობა, ე. წ. „კურკოვან-
თა აწვა“ ანუ პოლისტიგმიზი. მისი გამომწვევები *Polystigma rubrum*-ი,
ხშირია ნუშზე, ქლიავზე, ატამზე. მისი კონიდიური სტადია *Polystig-
mina rubra*. ასკოსპორები ელიფსისებრია, უფერული. პერიტეციუმის
პორუსი სტრომის ქვედა მხრიდან, ძუძუსებრი წერტილების სახითაა გან-
ვითარებული. ამ ოჯახის მეორე წარმომადგენელია გვ. *Polystigmella*, რო-
მელიც *Polystigma*-საგან მხოლოდ ორუჯრედიან მოგრძო ასკოსპორებით
განსხვავდება.


ოჯ. *Hypocreaceae* — ჰიპოსტიგმაცეაების სტრომა კარგადაა
შესამჩნევი. ზოგიერთების სტრომა სუბსტრატზე გართხმული, ზოგიერ-
თისა კი მთლად დამოუკიდებელია, ვერტიკალურად მდგომი, რომელიც
შედგება უნაყოფო ფეხისაგან და ნაყოფიერი ნაწილისაგან, სადაც პერი-
ტეციუმებია შეკრული.

ჩანთები ცილინდრულია, ასკოსპორები ძაფნაირი და პარალელურად
განლაგებული ან ელიფსისებრია მრავალუჯრედიანი ასკოსპორებიც აქვთ.
რამდენიმე გვარი შედის. აღსანიშნავია:

გვ. *Epichloe* — ეპიხლოე,

წარმომადგენლად *Epichloe typina* — მარცვლეულ მცენარეთა პა-
რაზიტია. აავადებს ღეროს წვერს, რის გამოც თავთავი არ მიიღება.
ჭერ ვითარდება კონიდიური სტადია თეთრი მიცელიარული, ქეჩისებრი
ფიფქის სახით (*Sphacelia*), შემდეგ კი, იგი თანდათან ფერს იცვლის,
მონარინჯი-მოყვითალო ხდება და მყვრივ სტრომად გადადის. სტრომის
ქსოვილში მრავალი პერიტეციუმი ვთიარდება. სტრომის ზედაპირზე პე-
რიტეციუმის ძუძუსებრი პორუსი წარმოიქმნება.

გვ. *Claviceps* — კლავიცეპსი. მარცვლოვან მცენარეთა პარაზიტებია
და იწვევს მათ ავადმყოფობას ე. წ. ჭვავის რქას ანუ ჭვავი-
ლას. მისი გამომწვევები *Cl. purpurea*. აავადებს ხორბლეულთა ნასკვს.
პარაზიტის გავლენით ნასკვიძლიერი იზრდება და საბოლოოდ მისი მფარა-
ვი კილებიდან ნასკვი გრძელ შავ სხეულად გამოდის. ავადმყოფობის და-
საწყისში ცვარტკბილას გამოყოფს და ერთდროულად კონიდიურ ნაყოფია-
ნობასაც იძლევა (*Sphacelia*). საბოლოოდ სკლეროციუმიდ გადაქცეული



სურ. 65. ტკვავის ჩეა — *Clayoceps purpurea*-ს განვითარების ფაზები

1) დააგადებული თავთავი სკლეროციებით; 2) დააგადებული ნასკვი; 3) კონიდიური წაყოფიანობა კონიდიოსპორებით; 4) ნიადაგში განვითარებული სკლეროციუმი — სოკო ქინძისთავისებრი ნაყოფსხეულებით; 5) ნაყოფსხეული და მისი განვერი; 6) პერიტეციუმი ჩანთებით; 7) ჩანთა ძალა ნაირი 8 ასკუსპორით.


მარცვალი ნიაღაგში იზამთრებს. გაზაფხულზე სკლეროციუმიდან ვითარდება სკოს ქინძისთავისებრი ნაყოფსხეულები. იგი შედგება ვერტიკალურად მდგომი ფეხისაგან და სფეროსებრი თავისაგან. იგი ნარინჯისფერი სტრომაა. უკანასკნელის ზედაპირზე აუარებელი ძუძუსებრი მორცვებია, რაც სტრომაში ჩამჯდარ პერიტეციუმის პორუსის მაჩვენებელია.

როდესაც ხორბალში მოხვედრილია სკლეროციები დიდი რაოდენობით, საკვებად არ გამოიყენება, ვინაიდან იწვევს „მათრობელა პურის“ თვისებებს და აავადებს როგორც ადამიანს, ისე ცხოველებს. აღნიშნული ავადმყოფობა ცნობილია აგრეთვე ერგოტიზმის სახელწოდებით, რასაც ხშირად მსხვერპლიც მოსდევს.

საქართველოში ვგ. *Claviceps*-ის მეორე მნიშვნელოვანი სახეობაა — *C. paspali*. იგი გვხვდება შავი ზღვის სანაპიროების საძოვრებზე. განვითარების ციკლი ისეთივეა, როგორც ჭვავილისი. პარაზიტობს საძოვრებზე საკმაოდ ძლიერ გავრცელებული საკვები მცენარის ვგ. *Paspalum*-ის წარმომადგენლებზე. სკლეროციუმი მრგვალია, მონაცრისფრო. კონიდიური სტაფილია *Sphacellia paspali*, ერთდროულად ცვარტკბილის გამოყოფა ხდება. იწვევს მსხვილფეხა საქონლის დაავადებას ე.წ. ბანდალს — იგივე ერგოტიზმის ტიპის დაავადებაა, მხოლოდ საქონლისა.

ოჯ. *Nectriaceae* ნეკტრი რიას ებრ ნ. ნექტრისებრთა ოჯახი საქმაოდ დიდი და ნაირსახიანია. სტრომა სხვადასხვა სიძლიერითად მოცემული — სუსტად განვითარებულილი დაწყებული დამოუკიდებელ სტრომამდე. ფორმით გართხმულია ან ნახევრად სფეროსებრია, მარცლისებრი და სხვ. ქსოვილი აშკარად შეფერილია მოწითალო-ნარინჯის, სოსნად და სხვა. პერიტეციუმები ხან ერთეულია, უფრო ხშირად ცოტად თუ მეტად გვუფადაა შეკრებილნი, ზედაპირულია ან სტრომაში ჩამჯდარი და კარგად შესამჩნევი ძუძუსებრი ხორთუმი გააჩნიათ. ჩანთები ცილინდრული ან თითისტარისებრია, 8 სპორიანი; ასკოსპორები სხვადასხვა-ნაირია, უფერულნი, ერთიდან მრავალუჯრედიანამდე; ნახევრად პარაზიტები ან საპროფიტებია. 12-მდე ვარი შედის. აქედან აღსანიშნავია:

ვგ. *Endothia* — ენდოტია. ვგ. ენდოტია პარაზიტულ ფორმებს შეიცავს. ზოგიერთ მათგანს — დიდი მნიშვნელობა აქვს. მისი მოქმედებით მსოფლიოში წაბლის კორომები ბევრგან მთლიანად განადგურებულია. ჩვენ შეიცავ იჩინა თავი 30 წლის წინათ და დასავლეთ საქართველოს წაბლნარებს საგრძნობი ზიანი მიაყენა. ეს ავადმყოფობა ცნობილია როგორც წაბლის „ენდოთიოწი“, ან წაბლის კიბო; კიბოს გამომწვევია — *En. parasitica* უფრო. მეტად ისეთ კორომებში ჩნდება, სადაც წაბლის ტყეები ამონაყრით ახლდება და არა თესლით. დაავადებულ ხეებს ჭერ წვერხმელობა ემჩნევა და შემდეგ თანდათან მთლიანად ხმება. დამახასიათებელია დაზიანებული ქერქის ბზარებში ენდოთიას ნაყოფიანობის



სურ. 66. ხეხილის კიბოს გამოშრევევი
 1 — დაავადებული ტოტი; 2 — კინიდიები;
 3 — ჩანთა ასკოსპორებით და პარატიზებით;
 4 — ასკოსპორები.

ბის სახით. პერიტეციუმები სტრომის ზედაპირზეა მჯდომარე და ხშირად ბორცვების სახით ან ქერცლითაა დაფარული.

ჩანთები ცილინდრული ან კომბლისებრი (გურზისებრი). ასკოსპორები ჩანთაში ერთ ან ორ რიგადაა განწყობილი; 8 სპორიდიანია. ასკოსპორები ორუჯრედიანია.

გვხვდება როგორც წიწვიან, ისე ფოთლოვან ჯიშებზე, მათ შორის ხეხილზედაც.

მრავალ წარმომადგენელს შეიცავს. აღსანიშნავია *N. cinnabrina*. სხვადასხვა მერქნიან მცენარეებზე გვხვდება და იწვევს ე. წ. ხ ხ ი-ლ ი ს კ ი ბ ა ს. დიდ ნახევარსფეროსებრ მოწითალო მეჭეჭებს იძლევა, რომლის ზედაპირიც ძუძუსებრი პორუსითაა დაფარული. მის კონიდიურ სტადიად ითვლება — *Tubercularia vulgaris*. მეორე სახეობაა *Nec. galligena* — იწვევს ხეხილის ტოტების ღია კიბოს.

გვ. *Gibberella* — გ ი ბ ბ ე რ ე ლ ა. გიბბერელას სტრომა მთლად ჩამოყალიბებული არაა. იგი მტკიცე ქსოვილს არა ქმნის, თითქოს პარენქიმული უჯრედებისაგან შემდგარი ხლართია.

ხორბლოვანთა მცენარეებზე აღსანიშნავია ნახევრად პარაზიტული ორგანიზმი — *Gibberella saubinetii*, რომელიც იწვევს ე. წ. სიმზნების ფუზარიოზს. მისი კონიდიური სტადიაა *Fusarium graminearum*. სტრომა ბრტყელი აქვს; პერიტეციუმები ჯგუფადაა ერთმანეთთან შეზღდილი, ელიფსურია ან კვერცხისებრი; ჩანთები მოგრძო ლანცეტისებრია წვე-

მოწითალო მეჭეჭების განვითარება. უკანასკნელი მოწითალო ნარინჯისფერი სტრომაა, რომელშიაც ერთრიგად განვითარებულია ხორთუმიანი პერიტეციუმები. ჩანთები მოგრძო თითოსტარისებრია, უპარაფიზოდ; ასკოსპორები თითოსტარისებრია, ორუჯრედიანი, — გვხვდება მხოლოდ წაბლზე. მეორე სახეობაცაა *En. flueus*. ისიც მერქნიან ჯიშებზეა აღნიშნული, მხოლოდ როგორც საპროფესიო.

გვ. *Nectria* — ნექტრია. სტრომა განვითარებულია ქერზის ბზარებში, ბალიშისებრია ან ბორცვების სახით. ბორცვების განვითარება მჯდომარე და ხშირად ბორცვების სახით ან ქერცლითაა დაფარული.

თან შევიწროებული და პორუსდატანებული, მოკლე სქელი! ფ ეხი აქვს; უკისპორები 3 ტიხრიანია, უფერული.

კონიდიები ახალი მთვარისებრია ან ცელისებრი, 5 ტიხრიანია. უმ-ავრესად კონიდიურ სტადიაში გვხვდება.

როგ *Dothydeae* — დოთიდესებრია. დოთიდესებრი იმით გან ხავდებიან *Hypocreales*-ებისაგან, რომ მათი სტრომა შავია, მკვრი-კა, პარენქიმული უჯრედებისაგან შემდგარი. სტრომა ან მკვებავი მცე-არის ქსოვილთანა შეზრდილი, ან ოღნავ ამომჯდარია ბალიშისებრი წარმონაქმნების სახით. აღსანიშნავია, რომ სტრომაში განვითარებულ ჟრიტეციუმებს დამოკიდებელი, საკუთარი კედელი გააჩნიათ. რის ჭამოც, სტრომა მრავალყამერიანია. კამერებში ასკებია. დოთიდესებრთა წაწილი მცენარეებზე პარაზიტობს: ორი ოჯახია აღსანიშნავი:

ოჯ. *Phylachoraceae* — ფ ი ლ ა ხ ო რ ა ს ე ბ რ ნ ი სტრომა შეზრდილია პატრონ მცენარის ქსოვილთან, სუბსტრატიდან იშვიათად სუსტადაა ამომჯდარი. შედგება კამერებისაგან, რაშიაც ჩან-თებია განვითარებული.

აღსანიშნავია გვ. *Phylachora* და მისი წარმომაღვენელი — *P. graminis*. ხორბლოფან მცენარეთა ფოთოლების შავლაქიანობას იწვევს. სტრომას ავითარებს ფართო შავი ლაქების სახით, რომელიც მკვებავი მცენარის ქსოვილშია ჩამჯდარი და აუარებელი კამერისაგან შედგება. უკანასკნელში ასკებია განვითარებული; ასკისპორები ერთუჯრედიანია, უფერული.

მეორე სახეობა *P. trifolii* — ორლებნიან პარკოსან (*Leguminosae*) მცენარეებზე გვხვდება. სტრომას ისეთივე შავი კრიალა ლაქების სახით ავითარებს, როგორც *P. graminis*.

ოჯ. *Dothideaceae* — დ ო თ ი დ ე ა ს ე ბ რ თ ა . დოთი-დესებრთა წარმომაღვენლები მერქნიან ჯიშებზე გვხვდებიან, უმთავ-რესად როგორც საპროფიტები. მათი სტრომა შავია, ფუძე სუბსტრატის ქსოვილებშია ჩამჯდარი, ზედა ნაწილი კი ამობურული აქვს ზოგიერ-თების სტრომა კი მთლად ზედაპირულია, მრავალყამერიანი.

წარმომაღვენლებია — გვ. *Dothidea*. ციტრუსებზე გვხვდება გა-მხმარ ტოტებზე. სტრომები მრავალია, მეჭვეჭის ან ბალიშისებრი 2 მმ სიგანის. გარედან მოშავო, შიგნითა ქსოვილი კი უფრო მკრთალია. მრავალყამერიანია, რომელთა პორუსი კონტუსისებრი წარმომაქმნების სახით სტრომის ზედაპირს ემჩნევა.

ჩანთები — ფართო ცილინდრისებრია. ასკისპორები მუქი-ყვითე-ლია, ორი აზათანაბარუჯრედიანი; *Doth. Berberidis* — გვხვდება კოწა-ხურის გამხმარ ტოტებზე, ჩანთები ცილინდრული; სპორები ორუჯრე-დიანი;

როგ. *Sphaeriales* — სფერიალები. სფერიალები ჩანთიანი სოკოებ-

ის დიდი ჯუფია. საპროფიტულ და პარაზიტულ ფორმებს შეიცავს. მიუხედავად იმისა, რომ ნაყოფიანობა ძირითადად ყველას ერთი ტიპისა აქვს (პერიტეციუმები), მათი განვითარება, აგებულება, ფორმა სხვადა-სხვანაირია. ასკუსპორების ტიპი — ბევრნაირია, რის გამოც ამ რიგში მრავალი ოჯახი შედის. ზოგჯერ წარმომადგენლებს სხვადასხვა ფორმის სტრომაც კი გააჩნია. მაგრამ პერიტეციუმებს თავისი კედელი აქვთ და დამოუკიდებლობას ინარჩუნებენ. პერიტეციუმის პორფიც სხვადასხვა-ნაირია; ძუძუსებრი, მარტივი, ხორთუმიანი, ზოგჯერ მეტად გრძელი, მილნაირი. მაგ., *Ceratostomella* და სხვ.

მნიშვნელობა ეძლევა აგრძელებულებასაც. კერძოდ, თუ კედელი როგორი უჯრედებისგანაა შემდგარი, პარენქი-მულია თუ პროზენქიმული. თვით კედელი სიფრითანასებრია ან ნახში-რისებრი სქელი. იმასაც აქვს მნიშვნელობა, სტრომა წმინდა ჰიტების-განაა შემდგარი თუ მის წარმონაქმნში მკვებავი მცენარის ქსოვილებიც მონაწილეობენ.

პოლიტორეფული სოკოებია. სხვადასხვა ფორმის კონიდიურ ნაყოფიანობას იძლევან, რომლითაც მთელი ვეგეტაციის პერიოდში ვრცელდებიან. ჩანთიანი სტარია, უმთავრესად, მოზამთრების ფუნქციებს ასრულებს.

სფერიალუსებში მრავალი ოჯახი შედის. განვიხილავთ რამდენიმე მათგანს მათში შემავალი მნიშვნელოვანი წარმომარგენლებით.

ოჯ. *Sordariaceae* — ს ორ და რი ია ს ე ბ რ ნ ი. ეს ოჯახი ნაკელზე მცხოვრებ სოკოებში შედის. პერიტეციუმის კედელი თხელია, შავი და პარენქიმული უჯრედებისაგან შემდგარი. ტიპური გვარია *Sordaria*. მკინარეებზე — ბირქაზეა აღნიშნული.

ოჯ. *Melanosporaceae* — მელანოსპორანთა პერიტეციუმები, ნათელი შეფერვისაა — მოკვი-
თალი, მურა, რუხი, ყავისფერი, თავისუფლად არიან განვითარებული,
თუმცა ფუძე სუბსტრატშია ჩამოჭდარი. პერიტეციუმის ფუძესთან ქეჩა-
სებრი მიცელიუმია ცოტად თუ მეტად განვითარებული; პერიტეციუმის
პორუსი ძირძუსებრია ან მოგრძო ხრითუმით.

წარმომადგენელია — გვ. *Melanospora* — ტიპური გვარია ამ მელანის პორფირობრივი კვასისათვის. *Mel. betae*, — ჩანთები მოვრძო ფეხითაა და მომრგვალო თავით; პერიტეციუმები თხელგარსიანია, სფეროსებრი. ჟარხლის ძირხვენებზეა გავრცელებული.

ოჯ. *Rosseliniaaceae*—როზე ლინიას ებრნი პერიტეციუმში თავისუფლად ან პატარა ჯგუფებად არის განვითარებული კარგად მოცე- მულ მოყვაისტრო ქეჩისებრ მიცელიუმშე. პერიტეციუმის კედელი მკრი- ვია, ნაცშირისებრი. ამ ჯგუფის წარმომადგენელი *Rosselinia necatryx* — ვაზისა და ხეხილის ფესვის სიღამპლეს იშვევს. ხშირია აგრეთვე თუთა- ზედაც; თუთაზე მეორე სახეობაცა აღნიშნული *R. aquila*. ასკები ცი-

ანდრულია, პარაფიზებით 8 ერთ რიგად გაწყობილი ელიფსისებრი ან უცხნაირი, ერთუჯრედიანი ყავისფერი ასკოსპორებით.

ოჯ. *Ceratostomaceae* — ც ე რ ა ტ ო ს ტ მ ა ს ე ბ რ-ი. საპროფიტია მკვდარ მერქანზე, ხე-ტყის მასალაზე მცხოვრები; პერიტეციუმები ზედაპირული ან იშვიათად სუბსტრატის ქსოვილში ჩა-კვარი. კედელი თხელია, იშვიათად მკვრივიცაა, შავი ან მუქი-ყავის-ურია; ძალიან გრძელი ხორთუმი აქვს, რომლის პერიტეციუმის სიგანეს ამდენჯერმე სჭარბობს.

ჩანთები — ტომრისებრია, მოკლე, მოხრილი ფეხით. ტიპური გვარია *Ceratostomella*, წარმომადგენელია *Cer. pini* — ანუ ფიჭვის ცერატოს-ტომელა. იგი იწვევს ფიჭვის მერქნის სილურჯეს.

ფიჭვის ხე-ტყის მასალა ლურჯდება და სასაქონლო ლირებულებას ყარგავს. პერიტეციუმი მეტად წვრილი — გრძელი ხორთუმითა; ჩან-თები მომრგვალოს; სპორები ოღნის მოხრილი; *Cer. piceae* — ნაძიის ცერატოსტომელა. სტომელი ისეთივე დაზინებას იწვევს, როგორც ფი-ჭვზე იყო აღწერილი; დიდი ზარალის მომცემია აგრეთვე *Cer. ulmi* — იწვევს ე. წ. თელის პოლანდიურ ავადმყოფობას, რომლის კონიდიური სტადია *Graphium ulmi* — სახელწოდებითა ცნობილი. ამ სოკომ ევრო-პაში გაანადგურა თელის კორომები თუ ხელოვნური ნარგავები. ჩვენ-შიაც მნიშვნელოვან ზარალს იძლევა, მეტატრე ველის თელაზე (*Ulmus campestris*);


ოჯ. *Pleosporaceae* — პ ლ ე ო ს პ თ რ თ ვ ა ნ ნ ი . პლე-სტოროვანთა ოჯახისათვის დამახასიათებელია ერთეულად განვითარებული წვრილი პერიტეციუმები ძუძუებრი პორუსით. დასაწყისში სუბსტ-რატშია ჩამჯდარი, შემდეგ კი სუბსტრატის ზედაშრის დაშლის გამო ამომჯდარია სუბსტრატიდან. პერიტეციუმის კედელი მრავალშრიანია. ასკები ცილინდრულია, იშვიათად კომბლისებრი.

ასკოსპორები — ერთ და მრავალუჯრედიანები — ფორმით ელიფსი-სებრი, მოგრძო, ძაფნაირები და სხვ.

ცხოვრობენ როგორც საპროფიტულად, ისე პარაზიტულად და ზო-გიერთი ხეხილის კიშის მნიშვნელოვან დაავალებას იწვევენ. ალსანიშნა-ვია შემდეგი წარმომადგენლები:

გვ. *Physalospora* — ფიზალოსპორა. პერიტეციუმი ერთეულია, პარაფიზები არა აქვს, ნახშირისებრი კედლით; სპორები ელიფსისებრია, უფერული, თითოეულ ჩანთაში 8; *Phys. cydoniae* — ხეხილის შავი კიბოს გამომწვევია; აავალებს ტოტებს, ნაყოფებსა და ფოთლებს. ერთ-უჯრედიანი უფერული ასკოსპორები აქვს. მისი კონიდიური სტადია — *Sphaeropsis malorum*; სოკო *Lenzites*-ის ნაყოფსხეულებზე აწერილია — *Phys. polypori*;

გვ. *Venturia* — ვენტურია. გვ. ვენტურიას წარმომადგენლები



სურ. 67. *Venturia inaequalis*. 1 — 2 კონიდიური ნაყოფიანობა 3 — პერიტეციუმი 4 — ჩანთა ასკოსპორებით.

პერიოდში მრავალდება. ჩანთიანი სტადია ვითარდება მხოლოდ ჩამოცვივა ნულ ფოთლებში, საღაც ზამთრობს. მეორე სახეობაა *Vent. pirina* — მსხლის ქეცის გამომწვევია. მისი კონიდიური სტადია *Fusicladium pirina* განვითარებული ვაშლის ქეცის მსგავსია; *Vent. Crataegi* ორილია კუნელზე. იწვევს ფოთლების ლაქიანობას.

გვ. *Ophiobolus* — ოფიობოლუსი. ოფიობოლუსს ერთეული პერიტეციუმები აქვს, იშვიათად ჭავლადაა გაფანტული, სფეროსებრია, მოგრძო ძუძუსებრი ხორთუმით. დასაწყისში ქსოვილშია ჩამჯდარი, შემდეგ ცოტად თუ ბევრად სუბსტრატის ზედაპირის დაშლის. გამო ამომჯდარია. ჩანთები მოგრძო ცოლინდრულია, პარაფიზებით. ასკოსპორები ძაფნაირია, მრავალი განივითარებულია, დანავ შეფერილი.

პარაზიტული ფორმებია და ხეხილისა და ტყების ჭიშების: ავაღმყოფობას იწვევენ.

პერიტეციუმი ფოთლის ქსოვილშია განვითარებული. ერთეულებია, პორუსის გარშემო ჯაგრისებრი ნამატები აქვთ განვითარებული: პარაფიზები არა აქვს, ასკოსპორები ცილინდრულია განვითარებული პერიტეციუმის ფუძიდან. ასკოსპორები ორუჯრედიანია, ოდნავ შეფერილი.

თავისი უარყოფითი მნიშვნელობით პირველ რიგში *Vent. inaequalis* უნდა დავაყენოთ. იგი ვაშლის ქეცს იწვევს. დიდი ზარალის მომცემია. ნაყოფებს სასაქონლო ღირებულებას უკარგავს. მისი კონიდიური სტადია *Fusicladium dendriticum*, რომლითაც ვეგეტაციის

ჩვენს გავრცელებულია.

ჩვენში გავრცელებულია — *Oph. graminis* — ხორბლოვანთა ფესვის

იღამპლის გამომწვევი. პერიტეციუმები საღაგარსინია. ჩანთები მოგრძო ცილინდრული. უპარაფიზო. ასკოსპორები ძაფნაირია, მრავალი ცხის წვეთით.

გვ. *Pleospora* — პლეოსპორა. პერიტეციუმები ერთეულია ან გუფად განვითარებული, ფორმით ელიფსისებრი, სფეროსებრი, ზოგიერთი კონუსისებრია. თხელი პარენქიმული კედლით და ძუძუსებრი პირუსით: ჩანთები კომბლისებრია ან მოგრძო ცილინდრული, 8 სპორიანი, პარაფიზებით.

სპორები ელიფსისებრია, მრავალუჯრედიანი განივი და გასწვრივი ტიხებით, ფერით მოყვითალო ან მურა.

მათი კონიდიური სტადია დაკაფშირებულია ჰიფომიცეტების ჭარმო-მაღვენლებთან *Alternaria*, *Macrosporium*-თან ან *Phoma*-სთან.

საპროფიტული და ნახევრადპარაზიტული ორგანიზმებია. გვხვდება მცენარეთა ნაშთებზე, ცოცხალ მცენარეთა ფოთლებზე. ხშირია *P. herbarium*.

ზოგიერთი სახეობა სპეციალიზაციის ამუღავნებს და სხვადასხვა მცენარეებზე სპეციალიზებულ სახეობებსა ქმნის. ციტრუსებზე აღნიშნულია *Alternaria citri*.

გვ. *Leptosphaeria* — ლეპტოსფერა. დიდი გვარია, მრავალ ჭარმომაღვენელს შეიცავს; პერიტეციუმები ისეთივეა, როგორც *Pleospora*-სი. მოგრძო-თითისტარისებრია, 8 ან 4-სპორიანი. ასკოსპორები მრავალუჯრედიანია 3 და მეტი განივი ტიხეარით.

გვხვდება ერთლებნიან და ორლებნიან მცენარეებზე, როგორც საპროფიტები.

აღსანიშნავია *Leptosphaeria acuta* დაფნის ფოთლებზე; *L. pruni* — კურკოვანებზე და სხვა ბალახოვან მცენარეთა ღეროებზე.

ოჯ. *Mycosphegellaceae* — მიკროსფეგები ან მცენარეების ათასზე მეტი სახეობას.


პერიტეციუმები თხელკედლიანია, განვითარებულია ფოთლის ქსოვილში, რომლის ზედაპირზე მხოლოდ ძუძუსებრი ნამატია ამოწეული.

ჩანთები ტომრისებრია, უპარაფიზო, მოკლე ფეხითაა ნაყოფსხეულის ფუძეზე მიმაგრებული, 8 სპორიანია, წვერი გასქელებული და მომრგვალო აქვს.

ასკოსპორები სხვადასხვანაირია — უმეტეს შემთხვევაში უფერულებია ზოგიერთ გვარს შეფერილი აქვს.

აღსანიშნავია, რომ პოლიმორფული ფორმებია. მათი კონიდიური სტადია ვეგეტაციის დროს გთავარდება და უსრულოს სოკოების სხვადასხვა ჭარმომაღვენელთან არის დაკაფშირებული. ჩანთიანი ნაყოფიანობა კი მოზამთრეობისთვისაა ან შესვენების სტადიას ჭარმოაღვენს.

მიკოსფერელასებრთა კლასიფიკაციისათვის გამოყენებულია სპორე-



სურ. 68. მსხლის მიკოსფერელა *Mycosphaerella sentina*.

ბის ფორმა და შეფერვა. თითქმის ყველა პარაზიტია, მრავალ გვარს შეიცავს.

ჩვენთვის საინტერესოა: გვ. *Mycosphaerella* — წვრილი, თხელკედლებიანი პერიტეციუმია ძუძუსებრი, დააგადებული ქსოვილიდან ოდნავ ამომჯდარი პორუსით; ასკები განიერია, ანუ ტომრისებრი, მოკლე ფეხით და გასქელებული წვერით. ოჯახის ტიპურ გვარად ითვლება.

ასკოსპორები ორი არათანაბარი უჯრედისაგან შედგება. ზედა უჯრედი განიერია და მოკლე, ქვედა უფრო ვიწრო და გრძელი. წარმომადგენლებიდან აღსანიშნავია — *Myc. sentina*, რომელიც მსხლის ფოთლების თეთრ ლაქიანობას იწვევს. მისი კონიდიური სტადია *Septoria piricola*, არანაკლები მნიშვნელობა აქვს *M. mori*-ს, რომელიც თუთის ფოთლების ლაქიანობას იძლევა. მისი კონიდიური სტადია *Cylindrosporium mori* ახმბს აგრეთვე ყლორტებსაც, მეტადრე სანერგებში; ჩვენ სუბტროპიკებში ხშირია ჩაის ბუჩქის ფოთლების ლაქიანობის გამომწვევი *Myc. theae* და *Myc. Ikedai*; ტყის ხიშებზე აღსანიშნავია *M. populi* და სხვა. მარტყვის თეთრი ლაქიანობა — *Myc. fragariae*-თავ გამოწვეული, მისი კონიდიური სტადია *Ramularia fragariae*-ა.

გვ. *Lestadia (guignardia)* — ლესტადია ძველად ცნობილი იყო როგორც *guignardia* (გუიგნარდია). პერიტეციუმები ისეთივე აქვს, როგორც *Mycosphaerella*-ს, ხოლო განსხვავდება ერთუჯრედიანი უფერული ასკოსპორებით.

ჩვენში აღსანიშნავია *Lestadia baccae* — ყურძნის შავი სიდამბლის (ბლეკ-როტ) გამომწვევი. მისი კონიდიური სტადია *Macrophoma (Phoma) reniformis*; ჩაის ბუჩქის ყავისფერი ლაქიანობის გამომწვევის

ჩანთიანი სტადია — *guignardia theae*, ხოლო კონიდიური სტადია — *colletotrichum theae* — არის; სოფორაზე აღწერილია *L. sophora* და სხვა:

ოჯ. *Gnomoniaceae* — გ ნ ო მ ო ნ ო ა ს ე ბ რ ნ ო პერიუმები თავისუფლადაა განვითარებული. იშვიათად სტრომასაც იყითარებს (მაგ. გვ. *Mamiania*). ჩამჭდარია ქსოვილში და გარეთ ზომ-შვერილია ცოტად თუ ბევრად გრძელი ხორთუმებით; ჩანთები ფართო თითისტარისებრია, წვერზე დატანებული აქეს ასკოსპორების გამოსასვლელი. მილაკი, გვერდითი კედლები გასქელებულია.

ასკოსპორები ერთ ან მრავალუჯრედიანია, უფერული; გნომონია-სებრთა ოჯახი შეიცავს უმთავრესად საპროფიტულ ფორმებს, რომლებიც გამხმარ მცენარეულ ნაშთებზე გვხვდება. გვ. *Mamiania* კი პარაზიტებია. პოლიმორფული ფორმების უსქესო გამრავლება დაკავშირებულია უმ-თავრესად *Melanconiales*-ებთან. რამდენიმე გვარს შეიცავს. დაგასახელებთ თუ მათგანს:

გვარი — *Mamiania* — მამიანია. ნამდვილი პარაზიტია. აავადებს რცხილის და თხილის ფოთლებს. რცხილაზეა აღნიშნული *M. fimbriata*, ხოლო თხილზე — *M. coryli*.

ორივეს სტრომა ერთნაირადაა განვითარებული ფოთლის ქსოვილში: ბალიშისებრია ან მომრგვალო, შავია, თუმცა სტრომის გული, საიდანაც პერიტეციუმები იწყებს განვითარებას, თეთრია. სტრომაში 20-მდე პერიტეციუმი სტრომის ზედაპირზე ხორთუმით გამოდის.

ჩანთები მოკლეფეხანია, 8 სპორიანი, სპორები ელიფსის ან კვერცხი-სებრია, რომლის ფუძის მხარეს ტიხარი აქეს განვითარებული, რის გამოც ასკოსპორა თუ არათანაბარ ნაწილადაა განვითარებული; *M. fimbriata*-ს თხილის ფოთლებზე ისეთივე სტრომას იძლევა, როგორც რცხილაზე. ბალიშისებრია, შავი, კრიალა. ზედაპირზე გრძელი ხორთუმებია ამოშვერილი. პერიტეციუმები ლინზისებრია; ჩანთები გრძელფეხანია, კომბლისებრი, 8 სპორიანი, სპორები არათანაბარგვერდებიანი, ერთ-უჯრედიანი.

გვ. *gnomonia* — გნომონია. უმთავრესად ერთეული ან იშვიათად ჯგუფად განვითარებული პერიტეციუმები აქეთ, რომლებიც ფოთლის ქსოვილში არიან ჩამჭდარნი და ზედაპირზე მხოლოდ გრძელი ხორთუმი ამოუშვერიათ, პერიტეციუმის ქსოვილი ტყავისებრია, ხოლო ფორმით ელიფსისებრი, ან მრგვალი.

ჩანთები ფართო თითისტარისებრია, ან ელიფსისებრი, წვერზე დატანებული ასკოსპორების გამოსასვლელი ხვრელით. ჩანთების გვერდით კედლები გასქელებულია. ასკოსპორები უფერულია, ელიფსისებრი ან მოგრძო, ერთ ან იშვიათად რამდენიმე ტიხარით. ერთტიხარიანს ტიხარი ასკოსპორის ფუძის მხარეზე უვითარდება ისე, რომ ორი არათანაბარი უჯრედისაგან შედგება.

პოლიმორფული გვარია და კონიდიური ნაყოფიანობით დაკავშირებულია *Melanconiales*-ების ჯგუფთან.

იღსანიშნავია *Gnomonia Leptostila*, რომელიც ჩვენში კაქლისა და ლაფინის გავრცელებულ ავადმყოფობას იწევს ე. წ. კაკლის ფოთლები მარტონიოზის. ვეგეტაციის პერიოდში გახვდება კონიდიური სტადიაზე *Marssonia Jglandis*-ს სახელწოდებით. კონიდიუმები სარცელზე განვითარებული, ორ არათანაბარუქრედიანია, ოდნავ მოხრილია. ჩანთიანი სტადია უვითარდება წინა წელს დაავადებულ და ჩამოცვენილ ფოთლებზე, გრძელ ხორთუმებს ივითარებს. ასკოსპორები არათანაბარგვერდებიანია, წაწვეტებული ბოლოებით. ჩანთაში ორჭიგადაა განწყობილი *gn. errabunda* — გავრცელებულია ფოთლოვან ტყის ჯიშებზე — მუხაზე, წიფელზე, რცხილაზე და სხვა.

ოჯ. *Valsaceae* — ვალზასებრნი სფერიალების რიგის სკოებში საკმაოდ დიდი და თავისებური აგებულების ოჯახია. მათი ძირითადი დამახსასიათებელი ნიშანთვისებაა სტრომის ხასიათი და ასკოსპორების ფორმა — ალანტი თიდური რი ანუ ორნავ მოხრილი.

ვალზასებრი სკოების სტრომის შექმნაში ყოველთვის მონაწილეობს მკვებავი მცენარის — ანუ სუბსტრატის ქსოვილი. იღსანიშნავია, რომ სტრომას გარკვეული ფორმა აქვს, მომრგვალოა ან ბალიშისებრი, ან წვერწაკვეთილი კონუსისებრია. სტრომაში პერიტეციუმები განლაგებულია ერთ რიგად, იშვიათად 1,5—2 რიგად. სტრომიდან ყველა პერიტეციუმის გრძელი ხორთუმი ცალკე გამოიდის, რაც იმის მაჩვენებელია, რომ პერიტეციუმებს თავისი დამოკიდებლობა შერჩენილი აქვთ. ასეთ სტრომას „ვალზასებრ“-ს უწოდებენ.

ზოგიერთი წარმომადგენლის სტრომა, თითქოს გაღაკვეთილია და სკოეს ქსოვილს ფარივით ფარავს, საიდანაც იმდენი ხორთუმი გამოდის, რამდენი ჰერიტეციუმია სტრომაში. ასკები ჰერიტეციუმში მრავალიალანცეტისებრი, უფეხო ან გრძელფეხიანი და რვა სპორიანი. იშვიათად მრავალსპორიანია. სპორები ალანტოდური, მოხრილი, უფერულები. ერთ ან ორუჯრედიანები (Diaporthe).

სხვადასხვა სახის კონიდიურ ნაყოფიანობასთან არიან დაკავშირებული — უმთავრესად პინიდიან სკოებთან — ე. წ. *Cytopora*-სთან. ჩვეულებრივად საპროფიტულ ორგანიზმებადა სთვლიან, თუმცა ზოგიერთი წარმომადგენელი განიხილება როგორც შეორადი პარაზიტი და ხეხილის მძიმე ავადმყოფობას, კურროვნების ნააღრევ ხმობას იწვევს.

ვალზასებრთა ოჯახის გვარებად დანაწილებაში ყურადღება ექცევა სპორების ფორმს, სტრომის ხასიათს. 15-მდე ცალკე გვარია გამოყოფილი. ჩვენ შევეხებით სამ გვარს *Leucostoma*, *Eu. valsa* და *Eutypa*-ს ზოგიერთ წარმომადგენელს.



სურ. 69. Valsa-ს სტრომა შიგნით მოთავსებული გრძელხორთუმიანი პერიტეციუ-
მებით; 2 — ჩანთები; 3 — ასკოსპორები.

გვ. *Eu. valsa* — ეუვალზა. სტრომა ვალზასებრია, მარტო ქერქის უვილშია ჩამჯდარი ისე, რომ მერქან ს არ ეხება. ზომით 2 მმ-
ე ღლწევს; ფორმით ნახევარსფეროსებრია, კონუსისებრი. სტრომის დაპირზე ემჩნევა მოგრძო ხორთუმები.

ჩანთები უფეხოა. 8 ან იშვიათად 4 სპორიანი. ასკოსპორები ალანტო-
ური, უფერული. ჩვენში თავისი უარყოფითი მნიშვნელობით შემდეგი
ცეობებია აღსანიშნავი:

გვ. *Leucostoma* — ლეუკოსტომა. სტრომა ვალზასებრია. ზო-
თ 2—3 მმ-მდე ღლწევს. ფუძე ჩაღუნული, შავი ზოლით გამოყო-
ლია სალი ქსოვილისაგან. სტრომის ზედა ნაწილი წაკვეთილივითაა
ფარისებრი თეთრი ფირფიტითაა დაფარული. ჭაიდანაც პერიტეციუ-
ს ხორთუმები გამოდიან.

ჩანთები უფეხოა. 8 ალანტოიდური სპორით. უსრულო სტადია და-
კუშირებულია გვ. *Cytospora*-სთან.

აღსანიშნავია აგრეთვე კურკვევანთა ნაადრევი ხმობის გამომწვევი —
Leucostoma personii. სტრომა 10 პერიტეციუმს შეიცავს და კარგად გან-
თარებული მოთეთრო ფირფიტითაა დაფარული.

გვ. *Eutypa* — ეუტიპა. ვალზასებრთა ოჯახის დანარჩენი წარმო-
იგენლებიდან ეუტიპა განსხვავდება თავისი სტრომით, რომელიც და-
დებულ ორგანიზმებზე სკემაოდ დიდ ფართობს იკავებს (10-15-
ს). სტრომა ქერქშია ან ზედაპირულად განვითარებული. ხშირად
კურკვევანთა შეიცავს ქმნის. იგი პერიფერიულ ნაწილში საღ ქსოვილთან მოსაზღვრე
გილთან, შავი ზოლითაა შემოვლებული. პერიტეციუმები მრგვალია,
რიფსური, სტრომის შიგნით ვერტიკალურად მდგომი ხორთუმები გა-
სულია სტრომის ზედაპირზე, ჩანთები გრძელფეხიანია; სპორები —
ალანტოიდური. აღსანიშნავია *Eutypa milliaris* ფოთლოვანი ჯიშე-
ს მომაკვდავ ტოტებზე გვხვდება.

ოჯ. *Diatriaceae* — დიატრიაციასებრი. დიატრი-
ისებრთა ოჯახში, მართალია; სტრომა ყველას გააჩნია, მაგრამ სხვადა-
ვა სიძლიერითაა განვითარებული. ზოგიერთებს არც ემჩნევათ, ზოგს
ლზასებრი, ზოგს კი დიატრიაციასებრი აქვს. სპორები ალანტოიდური ან
ილინდრული. ჩანთები გრძელფეხიანი.

აღსანიშნავია გვ. *Diatrype*-ს წარმომადგენელი გავრცელებული ტყის ფოთლოვან ჯიშებზე: არყზე, მუხაზე, კუნელზე, ტყემალზე და სხვ. დიატრიპასეული სტრომა აქვს; დაავადებულ ტოტებზე საკმაოდ დიდ ფართობს იკვებს. პერიტეციუმები უამრავი ვითარდება, მოკლე ძუძუ-სებრი პორუსით; ჩანთები გრძელი ფეხითაა.

ოჯ. *Xylariaceae* — ქსილა-რიასებრთა სტრომა ნახევრად სფეროსებრი ან ბალიშისებრია. სუბსტრატის ზედა პირიდან მნიშვნელოვნად ამოწეულია ისე, რომ ზედაპირულად ითვლება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ იგი მარტო სოკოს ჰიფებისა-განაა შექმნილი და სუბსტრატის ელემენტები არ მონაწილეობენ. იშვია-თად სტრომა დატოტვილიცაა, გაბრტყელებულიც. სტრომის კონსისტენ-ცია მკვრივია. ნახშირისებრი, თითქოს გამერქნიანებული, ფერიდ შავია.

პერიტეციუმი — 1 ან 2 რიგად სტრომის პერიფერიულ ზონაშია მო-თავსებული; ზოგი მოკლე ფეხითაცაა და ძუძუსებრი მოკლე პორუსი აქვს.

ჩანთები ცილინდრულია, პარაფიზებით, 8 სპორიანია. სპორები მუქი-ყავისფერია, მოშავო, ერთუჯრედიანი და არათანაბარგვერდებიანი. ამ ოჯახიდან შემდეგი გვარებია აღსანიშნავი:

გვ. *Hypoxylon* — ტაბური გვარია, მისი წარმომადგენელია *Hypoxylon fuscum*. მისი სტრომა ქერქზე ან მერქანზეა ზედაპირულ-ად განვითარებული, მუქი-ყავისფერია, პერიტეციუმები პერიფერიულ ნაწილშია განვითარებული და ერთ რიგად განწყობილი. ხის გა-მხმარ ტოტებზე გვხვდება; ამის მსგავსია *Hyp. coccineum* — წიფლის გამხმარ ტოტებზე; *Hyp. rubinosum* — ბრტყელ-ქერქისებრ, საკმაოდ დიდ სტრომას ავითარებს. პერიტეციუმი ძუძუსებრი პორუსითაა; ჩა-თები გრძელი ფეხითაა, 8 სპორიანი, ასკოსპორები მოვრძოა, ფოთლოვა-ნი ჯიშების გამხმარ ტოტებზეა გავრცელებული.

გვ. *Xylaria* — ქსილარია. ქსილარიას სტრომა ვერტიკალურა-დაა მდგომარე, მარტივია, კომბლისებრი ან დატოტვილია. შეღ-გება მოკლე ფეხისა და ნაყოფიერი ზედა ნაწილისაგან. პერიტეციუმები სტრომის ფეხის ნაწილში ან მთლიანად ტოტების ზედაპირზეა განვითა-რებული და სტრომის ქსოვილშია ჩამჯდარი, მოკლე ხორთუმი აქვს, ჩომელიც სტრომის ზედაპირზე ძუძუსებრი პორუსით ამოფის. სტრომის ახალ ნაწილზე, ტოტების წვერზე კრიიდიალური ნაყოფიანობის თეთრი ფიფქია განვითარებული. აღსანიშნავია:

Xylaria polymorpha — სტრომა ფეხითაა, მარტივი, დაუტოტვავი, ღრმა კომბლისებრი ან ცილინდრული; ზედაპირი პერიტეციუმებითაა დაფა-რული. კონიდიური ნაყოფიანობა არა აქვს. ასკოსპორები ელიფსისებ-რი ან თითისტარისებრია. გვხვდება როგორც საპროფიტი ჯირკვებზე გამხმარ ტოტებზე, ძველ ფესვებზე და სხვა; *Xyl. hypoxylon* — დატო-ტვილი სტრომა აქვს 3—8 სმ სიმაღლის; ტოტების წვერზე კონიდიური

ყოფიანობის თეთრი ფიფქი აქვს; პერიტეციუმი მრავალი; ჩანთები იძლევებიანი; ასკოსპორები თამისტარისებრი, წვერი ბლაგვია და არა-ანაბარგვერდებიანი. ფოთლოვან მცენარეთა ნაშთებზე გვხვდება.

დისკოშიცეტები ანუ ჯამნაირი სოკოები — ქ/კლ. *Discomycetes*

ჯამნაირი სოკოები გაერთიანებულია აპოტეციუმის ტიპის ნაყოფსხეულით. აპოტეციუმის დამახასიათებელი ნიშანთვისება ისაა, რომ ნაყოფიანი რე ანუ ჰიმენიუმი ყოველთვის ცოტად თუ ბევრად ღიაღა განვითარებული. ზოგიერთ წარმომადგენელს აპოტეციუმი განვითარების დასაწყისში, თითქმის დახურული აქვს, მაგრამ მისი მომწიფებისას სხვადასხვა ხით მანც იხსნება და ჰიმენიუმი თავისუფალი ანუ ღია რჩება.

ჰიმენიალური შრე ყოველთვის პარაფიზებისა და ჩანთებისაგან შედგება. ზოგიერთ წარმომადგენელს ნაყოფსხეულებზე ჰიმენიუმი თავისნვე ღიად უვითარდება. ასეთებს ჰ მ ნ ო კ ა რ ჰ ი უ ლ ფორმებს ეწოდებენ. ხოლო, როდესაც ჰიმენიუმი დასაწყისში დაფარულია სოკოს ნაყოფო ქსოვილით და შემდეგ უკანასკნელის დაშლით, ჰიმენიუმი იშვლდება, ღიად რჩება, მაშინ ჰ ე მ ი ა ნ გ ი ო კ ა რ ჰ ი უ ლ ი ე ეწოდება.

აპოტეციუმის განაკვეთზე რამდენიმე შრეს ვამჩნევთ. ძირითადი ნაშილი, რომელიც ნაყოფსხეულის კედლის ფუნქციას ასრულებს, მკვრივი, მიცელიარული ხლართებისგანაა შემდგარი, რომლის ზედაპირული უქრედები კედლებგასქელებულია და მუქად შეფერილი. შემდეგ მოსდევს ე. წ. უფერული ჰიფებისაგან შემდგარი სუბპიმენიალური შრე, საიდანაც დასაწყისს იღებენ ასკოგენური ძაფები და პარაფიზები. მას ჰ გ - რ ტ ე ც ი უ მ ი ე წოდება.

ალსანიშავია, რომ ჯერ ყალიბდება პარაფიზებისაგან შემდგარი შრედა შემდეგ ამ შრეში იჭრება ჩანთები. უკანასკნელი ცილინდრულია და ერთინიგაღაა განვითარებული, 8 ასკოსპორიანი, ასკოსპორების განთავისუფლების შემდეგ ჩანთა ისპობა და მის ნაცვლად ახალი ჩანთა წარმოიქმნება.

სუბპიმენიალურ შრეს მოსდევს ჩანთებისაგან და პარაფიზებისაგან შემდგარი ჰ ი მ ე ნ ი უ მ ი ა ნუ ტ ე ც ი უ მ ი. პარაფიზები ზოგი პარტიგია, ზოგი კი წვერთან დატოტვილი. ხშირად დატოტვილი ნაწილის ჰიფები ჰიმენიუმის თავზე ასკების წვერს გადაეფარება და ჰიფების შერდის გამო ჰიმენიუმის ზედა საფარი ე. წ. ეპიტეციუმი ვითარდება. სუთი საფარი ზოგიერთებს ნაყოფსხეულის კედლის ჰიფებისაგან შეიძლება წარმოექმნას.

აპოტეციუმები სხვადასხვა სახით იხსნება. ჯამნაირი სოკოების სისტემატიკისათვის მას დიდი მნიშვნელობა ეძლევა. მნიშვნელოვანია აგრესუე საიდანაა აპოტეციუმი განვითარებული. უმრავლესობას აპოტეციუმი

ჭოფიანობის თეთრი ფიფქი აქვს; პერიტეციუმი მრავალი; ჩანთები ძელფეხიანი; ასკოსპორები თამისტარისებრი, წვერი ბლაგვია და არა-ანაბარგვერდებიანი. ფოთლოვან მცენარეთა ნაშთებზე გვხვდება.

დისკომიცეტები ანუ ჯამნაირი სოკოები — ქ/კლ. *Discomycetes*

ჯამნაირი სოკოები გაერთიანებულია აპოტეციუმის ტიპის ნაყოფსხეულთ. აპოტეციუმის დამახასიათებელი ნიშანთვისება ისაა, რომ ნაყოფიანი ჩე ანუ ჰიმენიუმი ყოველთვის ცოტად თუ ბევრად ღიაღაა განვითარებული. ზოგიერთ წარმომადგენელს აპოტეციუმი განვითარების დასაწყისში, თითქმის დახურული აქვს, მაგრამ მისი მომწიფებისას სხვადასხვა ანით მაინც იხსნება და ჰიმენიუმი თავისუფალი ანუ ღია რჩება.


ჰიმენიალური შრე ყოველთვის პარაფიზებისა და ჩანთებისაგან შედგება. ზოგიერთ წარმომადგენელს ნაყოფსხეულებზე ჰიმენიუმი თავისაწყვე ღიად უვითარდება. ასეთებს ჰიმენიუმი დასაწყისში დაფარულია სოკოს უნაყოფო ქსოფილით და შემდეგ უკანასკნელის დაშლით, ჰიმენიუმი შეშველდება, ღიად რჩება, მაშინ ჰიმენიუმი დასაწყის იღებენ ასკოგენური ძაფები და პარაფიზები. მას ჰიმენიუმი დასაწყის იღებენ ასკოგენური ძაფები და პარაფიზები.

აპოტეციუმის განვეტზე რამდენიმე შრეს გამჩნევთ. ძირითადი ნაწილი, რომელიც ნაყოფსხეულის კედლის ფუნქციას ასრულებს, მკვრივი, მიცელიარული ხლართებისგანაა შემდგარი, რომლის ზედაპირული ურედები კედლებგასქელებულია და მუქად შეფერილი. შემდეგ მოსუევს ე. წ. უფერული ჰიფებისაგან შემდგარი სუბპიმენიალური შრე, საიდანაც დასაწყისს იღებენ ასკოგენური ძაფები და პარაფიზები. მას ჰიმენიუმი დასაწყის იღებენ ეწოდება.

აღსანიშნავია, რომ ჯერ ყალიბდება პარაფიზებისაგან შემდგარი შრედა შემდეგ ამ შრეში იჭრება ჩანთები. უკანასკნელი ცილინდრულია და ერთ-რიგაღაა განვითარებული, 8 ასკოსპორიანი, ასკოსპორების განთავისუფლების შემდეგ ჩანთა ისპობა და მის ნაცვლად ახალი ჩანთა წარმოიქმნება.

სუბპიმენიალურ შრეს მოსდევს ჩანთებისაგან და პარაფიზებისაგან შემდგარი ჰიმენიუმი და შემდგარი შრე ტენიული შემდეგ ასკების შემდეგ ამ შრეში იჭრება ჩანთები. ხშირად დატოტვილი ნაწილის ჰიფები ჰიმენიუმის თავზე ასკების წვერს გადაეფარება და ჰიფების შეზრდის გამო ჰიმენიუმის ზედა საფარი ე. წ. ეპიტეციუმი ვითარდება. ასეთი საფარი ზოგიერთებს ნაყოფსხეულის კედლის ჰიფებისაგან შეიძლება წარმოქმნას.

აპოტეციუმები სხვადასხვა სანით იხსნება. ჯამნაირი სოკოების სისტემატიკისათვის მას ღილი მნიშვნელობა ეძლევა. მნიშვნელოვანია აგრეთვე საიდანაა აპოტეციუმი განვითარებული. უმრავლესობას აპოტეციუმი



სურ. 70. *Phacidiales* ფაციდიასებრი. 1 — დაავადებული წიწვები
2—3 — ნაყოფსხეული ჩანთებით და პარაფიზებით.

პირდაპირ მიცელიუმიდან უვითარდება, ნაწილს კი — სკლეროციუმიდან. ჯამნაირი სოკოების კლასიფიკაციისათვის მნიშვნელობა ეძლევა აგრეთვე ასკოსპორების აგებულებას, სპორების რიცხვს და სხვა.

ჯამნაირ სოკოებში პოლიმორფიზმი კარგადაა წარმოდგენილი. მათი უსქესო გამრავლება ძირითად *Hyphales*-ებთან და *Melanconiales*-ებთან არის დაკავშირებული. უმთავრესად საპროფიტული ორგანიზმებია, გვხვდებიან აგრეთვე პარაზიტული წარმომადგენლებიც, რომელნიც ხეხილისა და ტყის ჯიშების მნიშვნელოვან ავაღმყოფობებს იწვევენ. ზოგიერთნი კა თავის ცხოვრებას ნიადაგში ატარებენ და თავისებური ნაყოფსხეულები აქვთ.

ჯამნაირი სოკოების ქვეკლასი საკმაოდ დიდი ჯგუფია. ბევრ რიგებს შეიცავს. ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ რამდენიმეს. რიგებად დანაწილებაში აპოტეციუმის გახსნის წესსა და მის ფორმას ექცევა ყურადღება. ჯამნაირი სოკოებიდან შემდეგი რიგები შეიძლება დაგასახელოთ:

რიგ. *Phacidiaceae* — ფაციდიასებრი. აპოტეციუმი უგითარდებათ ქსოვილში არსებული სკლეროციუმიდან. ჯერ დაფარულია მცენარის ქსოვილით, შემდეგ ნაწილობრივ ამომჯდარია და იხსნება წვერიდან, რის გამოც აპოტეციუმის საფარი იფლითება და კიდენაკვთაინი ხდება. დაფლეთილი და დანაკვთული საფარი ჰიმენიუმს გარშემო აქვს შემორტყმული.

ჩანთები ცილინდრულია ან კომბლისებრი; პარაფიზები ზოგიერთ წარმომაღენელზე ეპიტეციუმს ავითარებს. სპორები ერთ სი მრავალ-უჯრედიანია — უფერული. შევეხებით პარაზიტულ ფორმებს.

გვ. *Phacidium*-ის წარმომაღენელია *Ph. infestans*. იგი პარაზიტული ფორმაა. იწვევს ფიზების მნიშვნელოვან ავადმყოფობას, ზომელსაც „თოვლია სოკოსაც“ უწოდებენ. ახალგაზრდა მცენარეებს ახმობს მთლიანად, ხოლო მოზრდილებზე შეიძლება ცალკეული ტოტები გაახმოს. აპოტეციუმები დაავადებული მცენარის ქსოვილშია განვითარებული, მეტადრე წიწვებზე და ტოტებზე, წვრილი შავი წერტილების სახით, რაც დაავადებულ ორგანოს მონაცრისფრო შეფერვას აძლევს. პიმენიალური შრე მკრთალი-ყვითელია; ჩანთები კომბლისებრია; ასკო-სპორები მოგრძო-ელიფსურია, ერთუჯრედიანნი, უფერული. პარაფიზები აქვთ, ეპიტეციუმს არ ქმნიან; *Ph. vaccini* მოცვის ფაციდიუმი იწვევს მოცვის ფოთლების შავ ლაქიანობას; აპოტეციუმის წვერი ოთხნაკვთად იხსნება.

გვ. *Rhytisma* — რიტიზმა. რიტიზმა პარაზიტული ორგანიზმია და ფოთლოვანი ტყის ზოგიერთი ჯიშის ფოთლების დაავადებას, ე. წ. შავ ლაქიანობას იწვევს. ეპიდერმისის ქვეშ ფოთლის ქსოვილში საქმაოდ დიდი შავი სტრომა იქმნება, რომლის ზომა ხშირად 1,5 სანტი-მეტრს აღწევს. აპოტეციუმები სტრომაშია მთლიანად ჩამჯდარი და სტრომის ზედაპირზე მრგვალი ან მოგრძო ჭვრეტით იხსნება. ჩვენში გავრცელებულია შემდეგი სახეობები:

R. acerinum — ნაკერჩხლის ფოთლების შავ ლაქიანობას იწვევს. ლაქები შეიცავენ სტრომას და დიდი ყვითელი არშიით წერმოვლებულია, ჩანთები კომბლისებრია, ერთუჯრედიანი სპორებით; R. punctatum ნაკერჩხლის ფოთლების შავ დაწინწკვლას იწვევს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ სტრომა წვრილია და ერთსა და იმავე ლაქაზე განცალკევებულია შავი წერტილების სახით ჩანს; R. salicinum — იწვევს გვარ *Salyx*-ის წარმომაღენლების ფოთლების შავ ლაქიანობას.

გვ. *Rhytisma* — კონიდიური სტადია ეკუთვნის გვ. *Melasmia*-ს. რიგი *Hysteriales* — ჰისტერიალისა და რინისა აპოტეციუმები ქსოვილშია ჩამჯდარი, ერთეულადაა განვითარებული, ნაყოფსხეულები შოგრძო, ან ვარსკვლავისებრი, ტყავისებრი კონსისტენცია აქვს. იხსნება გასწვრივი ბზარით, ჩანთები ცილინდრულია ან კომბლისებრი, მრავალი პარაფიზებით, პლოიმორფული სოკოებია. უსქესო სტადია დაკავშირებულია გვ. *Leptostroma*-თან. აღსანიშნავია:

ოგ. H y p o d e r m a c e a e — ჰიპოდერმა ცოდერმას ებრნი აპოტეციუმები ფოთლისა თუ წიწვების ქსოვილშია ზედა ქსოვილის დაშლის გამო, ქსოვილიდან ამომჯდარი ჩანს, ტყავისებრი კონსისტენციისა და სიგრძეზე იხსნება. ჩანთები ცილინდრულია, სპორები სხვადასხვანირი. აღსანიშნავია:

88. Hypoderma — პიპოდერმა აპოტეციუმი იხსნება სიგრძე-
ზე. ასევე კომბლისებრია, სპორები ერთ ან ორუჯრედიანი; აღ-
სანიშნავია *Hypoderma pinicola*; იწვევს ფიჭვის წიწვების დაავადებას.
აპოტეციუმი სიგრძეზე იხსნება; ჩანთები ცილინდრულია და მჯდომარე.
სპორები ოდნავ მოგრძოა და საკმაოდ სქელი, ლორწოვან მასაშია გახვე-
ული; ამავე გვარის წარმომადგენელია *Hyp. nervisecum*. იწვევს სოჭის
წიწვების დაავადებას.

გვ. *Lophodermium* — ლოფოდერმიუმი აპოტეციუმი ქსოვილშია
განვითარებული, ოდნავ ამობურულია. ტყავისებრი კონსისტენციის
ქედლები აქვს; იხსნება სიგრძივი ბზარით. მკვდარ ან მომაკვდავ სუბსტ-
რატზე ვთარდება. ჩანთები ცილინდრულია, ასკოსპორები გრძელი, ძაფ-
ნაირია, ტიხებიანი, პარალელურად განწყობილი.

ლოფოდერმიუმი ტიპიური გვარია. წარმომადგენლად უნდა აღინიშ-
ნოს *Lophodermium pinastri*, ცნობილია როგორც ფიჭვის წიწვების
ცვენის გამომწევი (შუტე). აზიანებს ცოცხალ წიწვებს კონილიური სტა-
დიით — *Leptostroma*-თი წლის განმავლობაში წიწვი წითლდება და
ცვიგა; ჩამოცვენილ გამხმარ წიწვებზე სოკო განვითარებას განაგრძობს
და ჩანთიან სტადიას იძლევა. აპოტეციუმი იხსნება სიგრძივი ხაზით; ჩან-
თები ცილინდრულია, ასკოსპორები ძაფნაირია მრავალუჯრედიანი და
პარალელურად განწყობილი ჩანთის მთელ სიგრძეზე; *Loph. nervise-
cum* — იწვევს სოჭის წიწვების დაავადებას. *L. juniperinum* — ღვიას
წიწვებს აზიანებს და სხვ.

რიგი *Pezzizales* — პეჟიძოვანნი. პეჟიძოვანთა აპოტეციუმი რბი-
ლი კონსისტენციისაა და პროზენქიმულ ან პარენქიმული ქსოვილისაგან
შემდგარი კედელი ანუ პერიდიუმი აქვს. უმრავლესობა კარგად განვითა-
რებული ფეხითაა, რომლის თავი ჯამნაირად გადაშლილი ნაყოფსხეულია.
ზოგი კი უფეხოა და ნაყოფსხეული მჯდომარეა. უშუალოდ მიცელიუმი-
დანაა განვითარებული. აპოტეციუმი ზოგიერთს სკლეროციუმიდან
უვითარდება. ცველას აპოტეციუმი პირველად დახურულია, შემდეგ კი,
წვერზე მრგვალი კარი ჩნდება, რომელიც თანდათან დიდდება, განივრ-
დება და საბოლოოდ ფიალასებრივ გადაიშლება. აპოტეციუმის კიდე
სწორება, დანაკვთული არაა.

ჩანთები ცილინდრულია, პარაფიზებით, ერთ ან მრავალსპორიანი.
ეპიტეციუმი არა აქვთ. პოლიმორფული ფორმებია და დაკავშირებულია
უმთავრესად *Hyphales*-ების წარმომადგენლებთან, კერძოდ *Monilia*-
თან და *Botrytis*-თან, მელანკონიასებრთა და სფერობსიდალეს-ებთან.


ჩანთები გახსნის მიხედვით პეჟიძიასებრი, ორ ძირითად ჯგუ-
ფად იყოფა: პირველია *Operculata*, რომელთა ჩანთის წვერზე არსე-
ბული სახურავის გახსნით სპორები თავისუფლდება და იფანტება. მეორე
ჯგუფია *Inoperculata*, როდესაც სპორების გამოცვენა ხდება ჩანთის
წვერზე განვითარებული სპეციალური მილით ანუ პორუსით.

პედიანთა რიგი რამდენიმე ოჯახად იყოფა. აქედან ჩვენთვის საინტერესო სახეობებს შეიცავს ოჯ. *Helotiales* ჰელოტიასებრინი. ნაყოფსეულებს კარგად განვითარებული ფეხი აქვთ; აპოტეციუმი იხსნება წვერზე მრგვალი ნაჩვრეტით, შემდეგ კი ფიალისებრ სხეულად გადადის. მისი ქსოვილი პროზენქიმულია, ჩანთები ცილინდრულია, 8 სპორანი. ჰელოტიასებრთა ოჯახიდან ალსანიშნავია შემდეგი გვარების წარმომადგენლები:

გვ. *Sclerotinia* — სკლეროტინია. გვ. სკლეროტინიას დამახა-
სიათებელია სკლეროციუმების განვითარება, რომლებიც ფორმით
და ზომით სხვადასხვაა. მოზამთრეობის შემდეგ სკლეროციუმები-
დან ფეხინი აპოტეციუმები ვითარდებიან. ამ გვარში, უმთავრესად,
პარაზიტული ფორმებია, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო მცენარეებს
დიდ ზარალს აენებენ. ალსანიშნავია: *Scl. Libertiana*. მარტო ჩანთიან
სტადიას ივითარებს, ცნობილია როგორც თეთრი სიდამპლის გამომწვევი
ორგანიზმი. გვევდება როგორც ბუნებაში, ისე საწყობებში. თეთრი, კარ-
გად განვითარებული მიცელიუმის გამო ბამბისებრ სიდამპლესაც უწო-
დებენ. სკლეროციუმები მიცელიუმზე შავი, სხვადასხვა ზომის სხეულე-
ბის სახით ვითარდებიან. აპოტეციუმი 0,5—5 სანტიმეტრი სიგრძის ფე-
ხითაა; ჩანთები ცილინდრული, ასკოსბორები ერთუჯრედიანი, უფერული.
აგრეთვე ალსანიშნავია *Scl. Fuckeliana*, ნახევრად პარაზიტულ ორგანიზმ-
თა ჯგუფს ეკუთვნის. მრავალ მცენარეთა და მათი პროდუქტების დაავა-
დებას იწვევს და ნაცრისფერ ან კეთილთვისებიან სიდამპლეს უწოდებენ;
ივითარებს სკლეროციუმებს, შემდეგ აპოტეციუმს, ჩანთები ცილინდ-
რულია პარაფიზებით. მასთან დაკავშირებულია კონიდიური სტადია
Botrytis cinerea; *Scl. trifoliorum* — სამყურას ფესვის ყელის სიდამპ-
ლეს იწვევს.

გვ. *Stromatinia* — სტრომატინია. სტრომატინია გვ. სკლეროცი-
ნიასაგან იმით განსხვავდება, რომ სკლეროციუმს არ ივითარებს. მის
მაგივრად მუმიფიცირებულ ნაყოფებს წარმოქმნის, რომლებიც აპო-
ტეციუმს იძლევა. წარმომადგენლებია: *Stromatinia fructigena* —
ხეხილის ნაყოფის სიდამპლის გამომწვევი. მისი კონიდიური სტადიაა
— *Monilia fructigena*; კურკოვანთა ნაცრისფერი სიდამპლის გამომწ-
ვევია *Stromatinia cinerea*, მისი კონიდიური სტადია *Monilia cinerea*.
ტყის ჯიშებიდან პარაზიტობენ *St. betulae* — არყის ნაყოფების და
Strom. pseudotuberosa მუხის რქოს დაავადებას იწვევენ.

ჯამნაირი სოკოებიდან მრავალი საპროფიტოა და ნიადაგში ცხოვ-
რობენ. ზოგიერთი სხვადასხვა სახის დიდია და ხორციან კონუსისებრ
ნაყოფსეულებს ავითარებს. ზოგიერთებს კარგად გამოკვეთილი ფეხი
და ქუდი აქვთ. ზოგი კარტოფილის ტუბერს მოგვაგონებს და მიწაშია
განვითარებული (Tuber). წარმომადგენლად შეიძლება დაგვასხელოთ:



სურ. 71. სტრომატინიას ა. კონიდიური სტ. *Monilia*, ბ. ჩანთიანი სტ. პარაფიზებით

ოჯ. *Helvelaceae* — ნაოჭა სოკოები ანუ ჰელველიას ებრნი ნიადაგში შცხოვრები საპროფიტული სოკოებია. მათი ნაყოფსხეული მასიურია, ხორციანი და შედგება, სქელი ფეხისაგან და მის წვერზე განვითარებული კონუსისებრი ქუდისაგან. ქუდის ზედაპირი დანაოჭებულია, რის გამოც „ნაოჭა“ სოკოს სახელი აქვს შერქმეული. იგი მთლიანად ჰიმენიუმითაა დაფარული.

ახალგაზრდა ნაყოფსხეულებში ქუდი მიცელიარული შრითაა დაფარული, შემდეგ ეს შრე იშლება და ჰიმენიუმი შიშვლდება. ასკები ცილინდრულია. წვერიდან იხსნება. ასკოსპორები ელიფსისებრი ერთრიგად განწყობილი და უფერული. საჭმელი სოკოებია, გავრცელებულია *Helvela crispa* — ნაოჭა სოკო. მიწაზე გვხვდება როგორც საპროფიტი; ფეხზე წახნაგები ემჩნევა, ქუდი ოთხნავთიანია, შუაში ჩაზნექილი.

გვ. *Morchella* — მორჩელა ანუ ხარისფაშვა — სქელი, სადაზედაპირიანი ფეხი აქვს. ქუდი კონუსისებრია და მისი ზედაპირი გასწვრივი და განივი ნაოჭების გამო, თითქოს ოთხუთხი კამერებით იყოფა. მისი ზედაპირი მოგვავონებს ფაშვის წიგნარას ზედაპირს, რის გამოც „ხარის ფაშვას“ უწოდებენ.

გვ. *Gyromitria* — ეირომიტრა. ესეც ნიადაგის სოკოებს ეკუთვნის. შედგება შედარებით მოკლე ფეხისაგან და ძლიერ უსწორმასწოროდ დანაოჭებული თავისაგან. ჩანთები ცილინდრულია; ას-


კოსპორები ერთუჯრედიანი, უფეხული, კვერცხისებრი. ერთი დიდი ცხიმის წვეთით, თავსა და ბოლოს გარსის გასქელების გამა — ბორცვები ემჩნევა.

აღსანიშნავია *Gyromitra esculenta* ნიაღაგებზე. საჭმელი სოკოა საკმაოდ დიდი ნაყოფს ხეულით.

რიგი *Tuber* — ოუბერის ებრნი განსაკუთრებული ავებულების სოკოებია. აღსანიშნავია, რომ ნიაღაგში ცხოვრობს და ნაყოფს ხეულებიც ნიაღაგში ვითარდებიან. ნაყოფს ხეული ტუბერის მსგავსია. განაჭერზე ემჩნევა ქერქი და შიგნით ლაბირინთისებრად მიმართული კამერები, რომლის ფედლებიდან ჩანთები და პარაფიზებია განვითარებული. შიგნითა არე გარემოსთან პორუსითაა დაკავშირებული. ჩანთები 8 სპორიდია; ასკოსპორები დიდია, სქელი, სხვადასხვა სახით მოვარაყებული გარსით. იშვიათად საღაგარსიანი.

ჩვენი ფიჭვნარი ტყის კორომებში გვხვდება:


გვ. *Tuber*-ის წარმომადგენელი — *T. brumale* მაღალი ლირსების საკედებ სოკოდ ითვლება, „ფრანგული“ ან „შავი ტრუფელის“ სახელითაა ცნობილი. მიწაში მცხოვრებია; ტუბერისებრი ნაყოფს ხეული აქვს. შავკედლიანია. მონაწილეობს მიკორიძების შექმნაში. ჩანთები მომრგვალო ან ელიპსისებრი; ასკოსპორები 1—6-მდე დაფარულია ჭავრისებრი ეკლებით.



სურ. 72. *Tuber*-ს ნაყოფს ხეული. ქვემოთ — ქსოვილში განვითარებული ჩანთები

V. კლასი — Basidiales — გაზიდიანი სოკოები ანუ გაზიდიონიერები

ბაზიდიან სოკოებს მრავალუჯრედიანი დატოტვილი მიცელიუმი აქვთ. მათი უმრავლესობის დიპლორდური ფაზა გახანგრძლივებულია. მრავალუჯრედიან მიცელიუმზე ზოგიერთ ტიხართან განვითარებული აქვთ პარკისებრი გამონაზარდები, ანუ აბზინდები, რომლებიც წარმოქმნილია ტიხარის ზედა უჯრედის გვერდის გარსის ქვედა უჯრედზე ჩამონაზარ-




სურ. 73. მიცელიუმზე განვითარებული აბზინდები. ბაზიდიუმებისა და ბაზიდიოსპორების წარმოქმნა.

დათ და მის გარსთან შეზრდით. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი აბზინდები მიცელიუმზე არც თუ ისე ხშირად გვხვდება, ბაზიდიანი სოკოების მიცელიუმის დიაგნოსტიკისათვის მას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ბაზიდიანი სოკოების გამრავლების ძირითად ორგანოდ ბაზიდიუმი ითვლება, რომელზედაც ბაზიდიოსპორები ეგზოგენურად ვთარებიან. ბაზიდიოსპორები ამით განსხვავდებიან სკოსპორებისაგან, რომლებიც ენდოგენურად წარმოიქმნებიან. ვინაიდან ბაზიდიოსპორების წარმოქმნას, ისევე როგორც სკოსპორებს, წინ სქესობრივი პროცესი უსწრებს. მათ სქესობრივ სპორებადაც თვლიან. მიუხედავად იმისა, რომ სკოსპორებისა და ბაზიდიოსპორების განვითარებაში ერთგვარი პარალელიზმი არსებობს, მათ შორის შესამჩნევი განსხვავებაცაა. ეს უკანასკნელი შემდეგში მღვმარეობს: ბაზიდიან სოკოებს სქესობრივი გამრავლებისათვის სპეციალური სქესობრივი ორგანოები ან გამანაყოფიერებელი ელემენტები არ უვითარდებათ (ცენოგამეტები, ოოგონიუმი, ანთერიდიუმი და სხვა).

სქესობრივი პროცესის დროს მარტო უჯრედის ბირთვების გადანაცლებას და შემდეგ შეერთებას აქვს ადგილი, რასაც ა პ თ გ ა მ ი ა ს უწოდებენ.

ბაზიდიუმი წარმოიქმნება უმთავრესად დიპლოიდური მიცელიუმის ჰიფის წვერიდან, რომელშიაც პირველად ერთი დიკარიონია მოთაცსებული. ვიდრე დიკარიონის შემცველი, წვერის უჯრედი ბაზიდიუმის დედაუჯრედად გადაიცევა, ტიხართო ახლოს პარკისებრ ა ბ ზ ი ნ დ ა ს ივითარებს, წვერის უჯრედის დიკარიონის ბირთვები ორად იყოფა და ორ დიკარიონი წარმოიშობა. აქედან ერთი დიკარიონი წვერისკენ გადაი-



სურ. 74. ბაზილიუმების ტიპები.

ნაცვლებს, მეორე დიკარიონის ერთი ბირთვი გადადის აბზინდაში, მეორე კი წვერის უჯრედის ფუქსეში, რომელიც შემდგომ ტიხარით გამოყოფა ბაზიდიუმის დედა უჯრედიდან, თითქოს ფეხი განუვითარდათ.

ბაზიდიუმის დედა უჯრედიდან ერთბირთვიანი აბზინდაც ტიხარით გამოეყოფა და მტკიცედ შეეზრდება ე. წ. ერთბირთვიანი ფეხის უჯრედს. შემდგომ მათს საერთო კედელზე ჭვრეტი ვითარდება, საიდანაც აბზინდის ბირთვი გადადის ფეხის უჯრედში და ისევ დიკარიონი წარმოიქმნება. ამით ფეხის უჯრედი ალიღენს შემდგომი განვითარების უნარს, გვერდზე პიფის ახალ მორჩებს იძლევა. ამ უკანასკნელში ფეხის უჯრედში წარმოქმნილი დიკარიონი გადადის და ახალი ბაზიდიუმის დედაუჯრედი მიიღება. დიკარიონის ბირთვების შეერთებით 2-X-იანი დიპლოიდური ერთი ბირთვი მიიღება, რომლის ორჯერადი რედუქციული დაყოფის შემდეგ დედაუჯრედში ოთხი ჰაპლოიდური ანუ ერთ X-იანი ბირთვი წარმოიქმნება. ბაზიდიუმის დედა უჯრედის ზედაპირზე ოთხი სტერიგმა ვითარდება. ჰაპლოიდური 1-X-იანი ბირთვი გადადის თითო სტერიგმის წვერზე და ეგზოგენურად ბაზიდიოსპორები წარმოიქმნებიან.

ბაზიდიუმები თავიანთი აგებულების მხრივ სხვადასხვანაირია. ბაზიდიანი სოკოების დიდ ნაწილს ბაზიდიუმები ერთუჯრედიანი აქვთ, ე. ი. დატიხრული არაა. მას ჰოლობაზიდიუმს, ანუ აუტო-

ბ ა ზ ი დ ი უ მ ს უწოდებენ. ასეთი ბაზიდიუმის წარმოქმნა იმის მაჩვენებელია, რომ ბაზიდიუმის დედაუქრედი თანდათან გაიზარდა და ერთ-უჯრედიანი დარჩა.

ბაზიდიან სოკოებში ფართოდაა გავრცელებული აგრეთვე მრავალუჯრედიანი ბაზიდიუმი, რომელსაც ფ რ ა გ მ ო ბ ა ზ ი დ ი უ მ ს, ანუ ჰ ე ტ ე რ ო ბ ა ზ ი დ ი უ მ ს უწოდებენ. ამ შემთხვევაში ბაზიდიუმის დედაუქრედი ტიხრებით ოთხად იყოფა. თითოეული უჯრედი ერთ სტერიგმას ივითარებს, რომლის წვერზე გადადის რედუქციული დაყოფის შემდეგ მიღებული ერთ X-იანი ბირთვი და წარმოქმნება ბაზიდიოსპორა.

როგორც პოლო — ისე ფრაგმობაზიდიუმი უშუალოდ მიცელიუმიდანაა განვითარებული. ბაზიდიან სოკოებში ისეთ შემთხვევებსაც ვხედავთ, როდესაც ბაზიდიუმი მოზამთრე სპორებიდან ან ქლამიდოსპორებიდან გითარდებიან (გულაფშუტოვნები, უანგაროვანი სოკოები). ასეთ ბაზიდიუმს ს კ ლ ე რ ო ბ ა ზ ი დ ი უ მ ი ეწოდება.

სოკოების მცირე ნაწილს ბაზიდიუმები, ერთეულად აქვთ განვითარებული, ერთ მთლიან მკვრივ შრეს არ ქმნიან. უმრავლესობას კი (ქულიანი სოკოები, აბედა სოკოები) ბაზიდიუმები დიდი რაოდენობით უვითარდებათ და ერთ მთლიან ნაყოფიერ შრეს ქმნიან, რასაც ჰ ი მ ე ნ ი უ მ ს უწოდებენ. ჰიმენიუმი ან უშუალოდ მიცელიუმისგანაა განვითარებული, ან სოკოს სხვადასხვა ნაყოფხეულებზეა მოცემული. ზოგიერთი სოკოს ჰიმენიუმი დასაწყისში დახურულია მიცელიარული აპკით. შემდეგ აპკი ან იხსნება, ან იშლება და ჰიმენიუმი ლია ჩერება, თავისუფლდება, ნაყოფსხეულის იმ ნაწილს, რაზედაც ჰიმენიუმია განვითარებული, ჰ ი მ ე ნ ი ფ რ ა ს უწოდებენ.

ჰიმენიუმი ან მარტო ბაზიდიუმებისაგან, ან, ბაზიდიუმებთან ერთად, უნაყოფო ძაფებისაგან, ანუ ჰ ა რ ა ფ ი ზ ე ბ ი ს ა გ ა ნ შედგება. ხშირია აგრეთვე სხვა წარმონაქმნებიც. მაგალითად, ც ი ს ტ ი დ ე ბ ი უნაყოფო ძაფებია, მხოლოდ წვერი სქელგარსიანი აქვთ და დახორკლილი, თითისტარისებრი; აღსანიშნავია აგრეთვე გ ლ ე რ ც ი ს ტ ე ბ ი, ძაფნაირია, მრგვალი (ქინძისთავისებრი) თავით, რომელშიც ცხიმის წვეთებია. ეს უკანასკნელი საკვებით მომარაგების ფუნქციებს უნდა ასრულებდეს.

თუ ბაზიდიოსპორები ბაზიდიუმის წვერზე არსებულ სტერიგმებზეა განვითარებული, ასეთ ბაზიდიუმს ა კ რ ო ს პ ო რ ო ვ ა ნ ს უწოდებენ; თუ სტერიგმები გვერდებზეა, პ ლ ე ვ რ ო ს პ ო რ ო ვ ა ნ ს უწოდებენ.

ბაზიდიოსპორების დიდი უმრავლესობა მრგვალია ან, იშვიათად, მოგრძოა, ძაფისნაირი. გაღიერებისას ან ძაფისნაირ წინაზრდილს, ან უშუალოდ ბაზიდიუმს იძლევა. შედარებით იშვიათად ბაზიდიოსპორები იკვირტებიან.

ბაზიდიანი სოკოების ნაყოფსხეულები სხვადასხვანაირია. ყველა ნაყოფსხეული შედგება უნაყოფი მიცელიარული ქსოვილისაგან და ნაყოფიერი ჰიმერიუმისაგან. ნაყოფსხეულების მიხედვით ორგვარი სოკოებია ცნობილი: მ ი კ რ თ ფ ი ტ ე ბ ი, რომელთა ნაყოფსხეული წვრილია და მათი გარჩევა მხოლოდ მიკროსკოპის გამოყენებითაა შესაძლებელი; მეორენია — მ ა კ რ თ ფ ი ტ ე ბ ი, დიდი ნაყოფსხეულის მქონენი, რომელთაგან ზოგი გართხმულია ან რ ე ზ უ პ ი ნ ა ტ უ ლ ი, ზოგი ქოლგისებრია, ზოგი ფლოქვისებრი, ქუდისებრი და ა. შ. მათი გარჩევა უბრალო თვალითაც შესაძლებელია.

ბაზიდიანი სოკოების სისტემატიკის ძირითადი ერთეულები გამოყოფილია ბაზიდიუმების აგებულებისა და ნაყოფსხეულების განვითარების მიხედვით.

ბაზიდიანთა კლასი ორ ქვეკლასად იყოფა:

I ქვეკლასი Phragmobasidiales — ფ რ ა გ მ თ ბ ა ზ ი დ ი ა ნ ე ბ ი მრავალუჯრედიანი (ძირითადად 4) ბაზიდიუმით;

II ქვეკლასი Holobasidiales — ჰ თ ლ თ ბ ა ზ ი დ ი ა ნ ე ბ ი — ერთუჯრედიანი ბაზიდიუმით.

ფრაგმბაზიდიანების ქვეკლასის პირველი რიგია — Dacryomyctetales დ ა კ რ ი თ მ ი ც ე ტ ე ბ ი. პატარა ჯგუფია. ნაყოფსხეულები, ლაბასებრი კონსისტენციისაა, შეფერილია სხვადასხვაუერად, დანაოჭებული ზედაპირი აქვს. ბაზიდიუმი, მართალია, ერთუჯრედიანია, მაგრამ ორ ტოტადა გაყოფილი, რომელთა წვერზე თითო ბაზიდიოსპორაა, ისე, რომ ორსპორიანი ბაზიდიუმები აქვთ. გალივებისას სპორები ტიხრებით იყოფიან და შემდეგ დაკვირტვით კონიდიურ ნაყოფიანობას ქმნიან. ზოგიერთი ერთუჯრედიანი რჩება და მიცელიუმად ვითარდება. საპროფიტებია, მკვდარ მერქანზე გვხვდება.

გვ. Dacryomyces-ისან აღსანიშნავია D. deliquescentis. დამპალ მერქანზეა. ნაყოფსხეულები ნახევარსფეროსებრია, ყვითელი. ბაზიდიოსპორები ღიანა მოხრილია. გალივებისას ერთუჯრედიანი.

რიგი Tremella ტემელის — ფ რ ე მ ე ლ ა ს ე ბ ა ნ ი. ტრემელასებრთა რიგი ახლო დგას დაკრიომიცეტებთან. ნაყოფსხეულები სხვადასხვა ფორმისაა, წყლოვანი, ლაბასებრი კონსისტენციისა და დანაოჭებული ზედაპირი აქვს. მათი ბაზიდიუმი სიგრძეზე ჯვარედინადა გაყოფილი 4 ტოტად და თითოეული მათგანის წვერზე, კარგად შესამჩნევ სტერიიგმაზე, ბაზიდიოსპორა განვითარებული. ეს უკანასკნელი გალივებისას იყოფა ტიხრებით და წარმოქმნის კონიდიუმებს, რომლებიც ჭერ მიცელიუმს და შემდეგ ნაყოფსხეულებს იძლევა.

გვ. Tremella — ტრემელა ივითარებს მომრგვალო ბაზიდიოსპორებს, რომლებიც კონიდიურ ნაყოფიანობას იძლევა; T. fibriata ნაყოფსხეული მოწენგოსფრო შავია. გვხვდება გამხმარ მერქანზე.

რიგი—*Auriculariales*—აურიკულარიას ებრძოს არ იას ებრნი. ნაყოფსხეულები ტყავისებრია ან ლაბასებრი, ლორწოვანი კონსისტენციისა; ბაზიდიუმები მიცელიუმიდანაა განვითარებული; ბაზიდოსპორები გაღივებისა განვიტიხებით იყოფა და სწორ ან ოღნავ მოხრილ კონიდიუმებს ქმნიან. ზოგიერთი წარმომადგენლის ბაზიდიუმები ქეჩასებრი მიცელიუმიდან წარმოიქმნებიან;

გვ. *Septobasidium* — სეპტობაზიდიუმი. სეპტობაზიდიუმი ხეხილის და ტყის ჯიშების ტოტებზე დასახლებული. ქმნის საკმაოდ ძლიერ, ტყავისებრი კონსისტენციის გართხმულ ნაყოფსხეულებს, რომლის კიდე ქეჩისებრია; ბაზიდიუმები მკვრივადაა შეკრული და ჰიმენიუმს მოგვავონებს.

ერთ სახეობას შეიცავს *Septobasidium pedicellatum*

გვ. *Auricularia* აურიკულარია. ნაყოფსხეულები ნიუარებს მოგვაგონებს, გართხმულია ან კიდეებით ოღნავ წამოწეული. ტყავისებრი კონსისტენციისაა. ერთი სახეობაა *Auricularia mesenterica*, რომელიც ნეკერჩხლის ტოტებზე გვხვდება. ნაყოფსხეული ხელისმტევნის ოდენაა. ძირიდან ისფერია, ზემოდან რუხი, ბაზიდოსპორები — თირკმლისებრი.

რიგი *Ustilaginales* — გულაფუტუტო შუტო ვანნი. გულაფუტოვანთა რიგის წარმომადგენლები, ნამდვილი ანუ ობლიგატი პარაზიტებია. ბუნებაში ფართოდ არიან გავრცელებული და უმთავრესად ერთლებნიან (ხორბლოვან) მცენარეება დაავადებას იწვევენ, იშვიათად ორლებნიანებზედაც გვხვდებიან. 700 სახეობამდეა ცნობოლი.

მიცელიუმი ენდოფიტურია და, უმთავრესად, უჯრედშორისი; იშვიათად პაუსტორიებსაც ივითარებს. უმრავლესობა დაავადებულ მცენარეში დიფუზურად ვრცელდება და ყველა ორგანოს ედება; ნაწილი კი, რომელთა მიცელიუმი მცენარის სხეულში ლოკალიზებულია, ერთ ადგილზე დაბუდებული, მაგალითად, სიმინდის გულაფუტუტა (*Ustilago zae*).

გულაფუტუტა სოკოებით დაავადებული მცენარის ორგანოები მთლიანად ან ნაწილობრივ იშლებიან და წარმოქმნიან ქლამიდოსპორებისაგან შემდგარ შავ მტვერს, რომელიც გულაფუტუტების გამრავლების ორგანოებად ითვლებიან, ე. წ. გულაფუტუტოვანთა სპორებია. ეს უკანასკნელები ერთუჯრედიანებია, ერთეულია ან პატარა ჯგუფებადაა შეკრული, რასაც ს პორა თ გრ ა თ გრ ე ბი ეწოდება. სპორათგროვებში ხან ყველა სპორა შეფერილია და გაღივების უნარი აქვს, ხან კი ზოგიერთებს შეფერილი სპორების გარშემო, შემოვლებული აქვს უფერული უჯრედები, რომლებსაც გაღივების უნარი არა აქვთ (*Tuburtinia*). ცალკეული სპორების გარსი ზოგისა ეკლიანია, ზოგის კი ბადისებრი ვარაყითა დაფარული.

ყველა შემთხვევაში სპორები წარმოშობით ქლამიდოსპორებია,

ონაიდან მცენარის შიგნით განვითარებული მიცელიუმის დაწყვეტის ჭითაა წარმოქმნილი.

იმის მიხედვით, თუ მცენარე ოომელ ფაზაში ავალება გუდაფშუტოვინი სოკოებით, ეს უკანასკნელები სამ ბიოლოგიურ ჯგუფად იყოფიან. პირველში ისეთი წარმომადგენლები შედიან, ოომლებიც მცენარეს აავადებენ ლივის ფაზაში, ე. ი. ნიადაგში განვითარებულ მცენარის ღივში იჭრება ინფექცია, გაღადის ზრდის წერტილში და შემდეგ გასდევს მცენარეს დათავთავებამდე; შემდეგ თავთავზე განვითარებულ ნასკვებში იჭრება და მარცვლის შიგნითა ნაწილს შლის. დაუშლელი მარტო თესლის ტყავი რჩება (მაგალითად, ხორბლის სკელი გუდაფშუტა — *Tilletia tritici* T. levis). გუდაფშუტების დიდი უმრავლესობა პირველ ჯგუფში შედის.

გუდაფშუტების მეორე ჯგუფის წარმომადგენლები მცენარეს აავადებენ მარტო ყვავილობის ფაზაში. თუ მცენარემ უკვე დაიყვავილა ან ყვავილობა არაა დაწყებული, მცენარე არ ავალდება, ვინაიდან გუდაფშუტოვანი სპორა ახალგაზრდა ნასკვის კედელს ან დინგს უნდა მოხვდეს. ნასკვში შეიჭრება წინაზრდილი, გაღავა ნასახში და იქ იზამთრებს მიცელიუმის ჩანასახის სახით. ასეთი თესლი ნორმალურად განვითარებას ამთავრებს. მეორე წელს თესლის გაღივებასთან ერთად, მოზამთრე მიცელიუმი იღვიძებს, ზრდის წერტილს გაყვება და, ოოდესაც ღეროში თვავის ჩანასახი იქმნება, მაშინ სოკო აქტიურ მოქმედებას იწყებს და მთლიანად შლის თავთავის ყველა ნაწილს, გარდა მთავარი ღეროსი. მაგალითად, ხორბლის მტვრიანა გუდაფშუტა (*Ustilago tritici*), ქერის მტვრიანა გუდაფშუტა (*Ust. nuda*).

გუდაფშუტოვანი სოკოების კლასიფიკაცია დამყარებულია გუდაფშუტოვანი სპორების გაღივების ტიპზე და მკვებავი მცენარის სახეობაზე. გუდაფშუტოვან სოკოებში ორი ოჯახია გამოყოფილი: ოჯ. *Ustilaginaeae* და ოჯ. *Tilletiaceae*.

ოჯ. *Ustilagineae* — გუდაფშუტოვანი გუდაფშუტოვანი მრავალ წარმომადგენელს შეიცავს. მათთვის დამახსიათებელია მრავალუჯრედიანი (ოთხუჯრედიანი) სკლერობაზიდიუმი. უკანასკნელი უშუალოდ გუდაფშუტოვანი სპორიდან ვითარდება, ოომლის წინაზრდილი ტიხრებადა დაყოფილი; თითოეულ უჯრედში თითო დიკარიონი რჩება, დიკარიონის ბირთვების შერწყმის შემდეგ სტერიგმაზე ბაზიდიოსპორები იქმნება.

დაავადებული ადგილები ჯერ პიფებით ივსება, შემდეგ კი წყდება ქლამიდოსპორებად, ოომელიც შავი მტვრის სახითაა მოცემული.

სპორები ერთუჯრედიანია, სადა ან ეკლებით დაფარული გარსით, ერთეულებია, ან ჯგუფებადა შეკრული.

ყველაზე გავრცელებული გვარია *Ustilago* ოომელიც მოიცავს ყვე-

ლა სახის გუდაფშუტებს, ე. ი. ლივის, ყვავილობის და სხვ. ორგანოთა და-
ავადებას იწვევს.

წარმომადგენელთაგან უნდა აღინიშნოს ყვავილობის ფაზაში დამა-
ავადებელი — *Ustilago tritici*, თავთავიანი პურეულის გავრცელებული
ავადმყოფობა, რომელიც ხორბლის მტკრიანა გუდაფშუტის სახელითაა
ცნობილი. ავადებს მცენარეს მხოლოდ ყვავილობის ფაზაში; იზამთრებს
თესლის ნასახში. თავთავს მთლიანად შლის, არ იშლება მარტო თავთავის
მთავარი ღერო; ავადმყოფობის განვითარების ციკლი ორწლიანია.

ხორბლის მტკრიანა გუდაფშუტის გამომწვევის სრული ანალოგია
Us. nuda, ანუ ქერის მტკრიანა გუდაფშუტია. ესეც თესლის ნასახში იზა-
მთრებს და მთელ თავთავს შლის. ავადმყოფობა დათავთავების, ანუ ყვა-
ვილობის დროს ჩნდება.


Us. zae — სიმინდის ბუშტა გუდაფშუტა. მცენარე სიმინდის ყველა
ორგანოს ავადებს, რის შემდეგაც მცენარეზე დიდი მონაცრისფრო-
მოთეთრო აპკით დაფარული ბუშტები ვითარდება, აპკი ადვილად იშლება
და სპოროგანი შავი მასა ვრცელდება. იწვევს მოზარდი ქსოვილების ლო-
კალიზებულ დავადებას.

შვრის მტკრიანა გუდაფშუტა — *Ustilago avenae* მცენარეს თეს-
ლის გაღივების პერიოდში ავადებს; ასეთივე *Us. hordei* — ქერის ქვა-
გუდაფშუტა და სხვ. მრავალი.

გვ. *Sphacelotheca* უმთავრესად ნასკვებს ავადებს და ქლამი-
დოსპორებიც შიგ ვითარდება. დაავადებული ნასკვი დიდდება,
სპორებისაგან შემდგარი მასა იფარება სოკოს სტერილური ჰიფებისაგან
შემდგარი აპკით, რომლის შექმნაში მცენარის დაშლილი ქსოვილის
ნაშთებიც იღებენ მონაწილეობას. აღსანიშნავია *Sphacelotheca sorghi*.
იგი ჯიქურაზე გვხვდება; საგველას (ქეჩეჩის) ნასკვების დაავადებას იწ-
ვევს; *Sphacelotheca panici milliae*. ფეტვის გუდაფშუტას იწვევს —
აქ საგველა მთლიანად ავადდება და მოთეთრო-მონაცრისფრო აპკითაა
დაფარული.

გვ. *Sorosporium* — სოროსპორიუმი. სოროსპორიუმის სპო-
რები სპორათგროვებს ქმნის, რომლებიც დასაწყისში ლორწოვა-
ნი შრითაა დაფარული. უკანასკნელის გახსნის შედეგად სპორები
განცალკევდებიან ერთმანეთისაგან, გარსი ბორცვებითაა დაფარული.
Sor. rehillianum — გვხვდება სიმინდზე და შალაფაზე. მათ ცალკე
ფორმებად თვლიან *f. sorghi* და *f. zae* მარტო ტაროსა და ქეჩეჩის და-
ავადებას იწვევს, შალაფაზე კი საგველას ავადებს.

ოჯ. *Tilletiaceae* — ტილეტიას ებრ ნ. ტილეტია-
სებრთა ოჯახისათვის სისტემატიკურ ძირითად ნიშან-თვისებად ითვლება
ერთუჯრედიანი სკლერობაზიდიუმის განვითარება, რომლის წვერზე
ძაფისნაირი, მოგრძო აქ. ნახევრად მთევარისებრი ბაზიდიოსპორებია.



სურ. 75. სხვადასხვა გუდაფშუტას ქლამიდოსპორების ფორმები 1 — მყრალი გუდაფშუტა — *Tilletia tritici*. 2 — *Til. levis* სადა გარსიანი. 3 — საღი მარცვალი, 4 — დაავადებული მარცვალი, 5 — დაავადებული მარცვალის განაკვერი, 6 — ხორბლის მტერიანა გუდაფშუტა *Ustilago triti*. 7 — *Tubercinia occulta* — ღეროს გუდაფშუტას ქლამიდოსპორები.

უკანასკნელნი ანასტომოზებად წყვილ-წყვილად ერთდებიან და შემდეგ დიპლოიდურ წინაზრდილს იძლევიან. წინაზრდილზე კონიდიები ანუ სპორიდიები ვითარდებიან და მცენარის ნასკვის ან ლივის დაავადებას იწვევენ.

ოჯახი რამდენიმე გვარს შეიცავს, რომელთაგანაც აღსანიშნავია გვ. *Tilletia* — ტილეტია. მას ერთეული სპორები. აქვს, სადა ან ბაღისებრი გარაყით დაფარული, გარსიანია. აავადებს ლივს; იშვიათად სხვა ორგანოებს. მყრალი ტრიმეთილამინის გამოყოფის გამო სპოროვინი მასა ტენიანია და მყრალი, გარსი საღაა ან წვრილი ეკლებითაა დაფარული.

ყველგან გაგრცელებულია *Tilletia tritici* და *T. levis* ხორბალზე, რაზედაც ე. წ. სველ ანუ მყრალ გუდაფშუტას იწვევენ.

სპორები სფეროსებრია და გარსი ბაღისებრი გარაყითაა დაფარული. იგი უფრო მთლიან ზონებში გვხვდება. მეორეს *T. levis* სპორები ელიფ-სური, სადა გარსიანია და დაბალ ზონებში გვხვდება; *T. panceci* ქერის მყრალ გუდაფშუტას იწვევს, *T. secales* — ჭვავის გუდაფშუტას.

გვ. *Tubercinia* — ტუბურცინია.

სპორათგროვებს ქმნის. იგი შედგება ცენტრალური, შეფერილი, ნაყოფიერი სპორებისაგან, რომლებიც ერთმანეთთან მტკიცედ არიან და-

კაფშირებული. მათ გარშემო უფერული, უნაყოფო უჯრედებია. შეფერილი სპორები ერთუჯრედიან ბაზიდიუმებს იძლევიან, აავადებენ ყველა ორგანოს, უმეტესად კი — ვეგეტატიურ ნაწილებს.

აღსანიშნავა *Tub. tritici* — ხორბლის ღეროს გულაფშუტა. ხორბლის ღეროსა და ფოთლების დაავადებას იწვევს. მცენარის ფოთლებზე და ღეროზე გრძელი შავი ხაზები ვითარდება. შავი მასა სპორათგროვებია. ჩვენში გარცელებულია აგრეთვე ხახვის გულაფშუტა, რომლის გამომწვევია *Tub. cepulae*. ხახვის ბოლქვების და ფოჩის დაავადებას იწვევს; *Tub. occulta* — მარცვლოვან მცენარებზე გვხვდება. ფართო სპეციალიზაცია ემჩნევა, ვინაიდან მარცვლოვანთა ველურ წარმომადგენლებსაც აავადებს *Tub. violae* — იწვევს ის ვეგეტატიური ნაწილების დაავადებას.

რიგი — *Uredinales* — უანგა სოკოები. ურედინალები ანუ უანგა სოკოები, დიდი ჯგუფია. რამდენიმე ათასი სახეობაა ცნობილი. სახელი „უანგა სოკოები“ იმის გამოა შერქმეული, რომ მისი მიცელიუმი და გამრავლების ორგანოები, უანგისფერ პიგმენტიდ შეფერილ ცნიმის წვეთებს შეიცავენ. დაავადებული მცენარე უანგისფერი მეჭეჭებით იფარება.

ყველა ობლიგატური პარაზიტია და ჭულტურული და ველური მცენარეების დაავადებას იწვევს.

მათი მიცელიუმი ენდოფიტურია, უფითარდებათ უჯრედშორისი ჰაუსტორიუმები, რომლებიც შემდეგ უჯრედებშიც იქრებიან. აღსანიშნავია ის გარეშება, რომ მათი პაპლოიდური და ლიპლოიდური მიცელიუმები თავიანთი დამახასიათებელი ნაყოფიანობით, დამოუკიდებლად არსებობენ და ერთმანეთს განსაკუთრებული თანმიმდევრობით ენაცვლებიან. მიცელიუმი ზოგიერთს დიფუზიური აქვს, მცენარის მთელ სხეულშია გავრცელებული, ზოგიერთს კი — ლოკალიზებული და მცენარის ცალკეორგანოებს აავადებენ. უანგა სოკოებით დაავადებულ მცენარეებზე, გარდა მეჭეჭებისა, ორგანოების დეფორმაციისაც ვხვდებით. წმაგალითად, გალები, ქაჯისცოცხები და სხვა. მიცელიუმი ერთწლიანი ან მრავალწლიანია.

უანგა სოკოებში ერთი და იგივე სახეობის ფარგლებში გამრავლების ფორმათა სხვადასხვაობა, ე. ი. პოლიმორფიზმი, ფართოდაა წარმოდგენილი. მაგალითად, ხორბლოვანთა ღეროს უანგას გამომწვევი ორგანიზმი *Puccinia graminis*-ი, თავისი განვითარების სრული ციფლი რომ განვლოს, 5 სახის ერთი მეორის მიმდევარ სხვადასხვა სტადიას იძლევა. გამრავლების ფორმების მორიგეობა განსაკუთრებულ კანონზომიერებას ემორჩილება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მისი გამრავლების ფორმები ციტოლოგიურად ზოგი პაპლოიდური მიცელიუმიდან იქმნება, ზოგი კი ლიპლოიდურიდან. უანგა სოკოებში ერთბინიანობა და ორბინიანობა ცალკეულ სახეობებისთვისაა დამახასიათებელი.

პოლიმორფიზმის მოვლენის შესწავლისათვის კლასიკური მაგალითია *Zuccinia graminis*. იგი შემდეგ სტადიებს იძლევა:

პირველი იქნება¹ ს პ ე რ მ ო ნ ი უ მ ი, რომელიც *P. graminis*-ს შუალედი მცენარის — კოწახურის ფოთლების ზედაპირზე არსებულ ლაქებზე ვითარდებიან. სპერმოგონიუმები კულასებრი პიკნიდიუმებია, აკუთარი კედელი აქვს. კედლის შიგნითა მხარე სპერმატოფორებითა დაფარული, რომლებიც წვერიდან ს პ ე რ მ ო ც ი ე ბ ს ავითარებენ. სპერმაგონიუმში დაგროვილი სპერმაციები ნახშირწყლებისაგან და შაქ-ჩებისაგან შემდგარ ლორწოშია შერეული. ეს ლორწო სპერმაგონიუმის პორუსით წვერის სახით გარეთ გამოდის. მას მწერები ეტანებიან და თავიანთი ორგანოებით სპერმაციები სხვა მცენარეებზე გადააქვთ.

გარდა სპერმაციებისა სპერმოგონიუმში განვითარებულია უნაყოფო რეცეპტორული ანუ მიმღები ძაფები, რომლებიც ნაწილობრივ სპერმოგონიუმის პორუსიდან ფოთლის ზედაპირზე პატარა კონკრეტულადა ამოშვერილი.

რ ე ც ე პ ტ ი რ უ ლ ი ძ ა ფ ე ბ ი ს ქ ე ს ო ბ რ ი ვ გამრავლებაში იღებენ მონაწილეობას.

სპერმოგონიუმის მეორე ტიპიც არსებობს — ბრტყელი; ეს მაშინ გვხვდება, როდესაც სპერმაციების წარმომქმნელი ძაფები პარალელურად დგას და სიბრტყეზეა განვითარებული. ამათ პარაფიზები არ მოეპოვებათ.

იმავე ლაქაზე, რაზედაც სპერმოგონიუმი იყო განვითარებული, ქვედა მხრიდან წარმოიქმნება ე. წ. ე ც ი დ ი უ მ ი, რომელიც ეციდიოსპორებს ანუ გაზაფხულის სპორებს ავითარებს. მათი ჩასახვა ფოთლის ქსოვილში ხდება. ეციდიოსპორები ეციდიუმის ფუძეზე წარმოქმნილ ძაფებზე ვითარდება ძეწკვების სახით. ძეწკვებში ეციდიოსპორებს შორის კიდევ წვრილი, ბრტყელი, უნაყოფო უჯრედებიცაა, რომლებიც ე. წ. დიზუნქტორის როლს ასრულებს, ე. ი. ხელს უწყობს ეციდიოსპორების ერთიმეორისგან დაცილებას და გაფანტვას. ეციდიოსპორები ერთუჯრედიანებია. წვრილი ეკლებით დაფარული, სქელი გარსი აქვთ და უანგისფერ პიგმენტიან ცხიმის წვერებს შეიცავენ დიპლოიდურ მიცელიუმზე.

ეციდიუმის უმრავლესობას კედელი ანუ პ ე რ ი დ ი უ მ ი აქვს. კედლის შემქმნელი უჯრედები სქელგარსიანი, მოგრძო-რომბისებრი ან შეიძლება სხვანაირიც იყოს; იმის მიხედვით, წთუ. პერიდიუმი როგორია და რამდენად ძლიერ აქვს განვითარებული ეციდიუმებს, მათს წსხვადა-სხვა სახეს არჩევენ და შესაფერისი სახელწოდებაც აქვთ. მაგალითად, ე ც ი დ ი უ მ ი ისეთი ფორმის ნაყოფიანობაა, როდესაც თავისი ფუძით ჩამჯდარია ფოთლის ქსოვილში² და გარშემო შემოვლებულია კედელი. იგი იმდენადა განვითარებული, რომ ფოთლის ქსოვილიდან ოდნავაა ამო-სული, ამიტომა, რომ მას ჯამისნაირად თვლიან.

ეციდიუმის მეორე ფორმაა ე. წ. რ თ ე ს ტ ე ლ ი ა. ამ შემთხვევაში პერიდიუმი საკმაოდ ძლიერაა განვითარებული. ეციდიუმის ფუძიდან დაწყებული, ფოთლის ზედაპირს სცდება და გრძელი მილივითაა ფოთლებიდან ჩამოშვებული ისე, რომ ეციდიოსპორაგმა, მათი ძეწვიდან მოწყვეტის შემდეგ, საკმაოდ გრძელი პერიდიუმის მილი უნდა გაიარონ, რომ განთავისუფლდნენ და ჰაერის დენმა გაიტაცოს. ასეთი ეციდიუმები ჯგუფებადაა განვითარებული, თითქოს ფუნქს ქმნიან. ახასიათებს გვ. *gymnosporangium*-ს.

ეციდიუმის მესამე ტიპია ე. წ. პ ე რ ი დ ე რ მ ი უ მ ი. ხშირია წიწვიანი ტყის ჯიშების უანგებით დაავადების დროს. ეციდიური ნაყოფიანობა ნახევრად სფეროსებრი წარმონაქმნების სახით ვითარდება და ზემოდან პერიდიუმი, ანუ თხელი კედელი ფარავს. თითქოს ბოხჩას მოგვავონებს. მისი გახსნა ხდება მაშინ, როდესაც პერიდიუმის ქსოვილი რომელიმე აღგილას გასქდება. გამოცვიფა ეციდიოსპორები და პერიდიუმი კი ხეზე რჩება. თუ პერიდერმიუმი გაუხსნელია, მუქი-უანგისფერია, თუ გახსნილია და ეციდიოსპორები გაფანტულია, მაშინ მოთეთრო-ყვითელია.

უანგა სოკოებში ისეთი წარმომადგენლებიცაა, რომელთა ეციდიუმს პერიდიუმი არ გააჩნია. უმთავრესად ზედაპირულია და მარტო ეციდიოსპორების შემქმნელი ძაფებისაგან შედგება ან კიდევ პარაფიზებითაა გარშემოვლებული. ასეთ ეციდიუმს ც თ ე მ ა ს უწოდებენ (*Melampsora, Coleosporium*).

ეციდიური სტადიის მიცელიუმიც დიპლოიდურია. *P. graminis*-ის ეციდიოსპორები, მართალია, კოწახურზე განვითარდნენ, მაგრამ მის დაავადებას არ იწვევენ. ეციდიოსპორა უსათუოდ უნდა ხორბლოვან მცენარეზე გადასახლდეს და მის დაავადებას იწვევს. ეციდიური სტადიის შეძეგ *P. graminis* — გადაღის ხორბალზე და ე. წ. ურედოსპოროვანი სტადიას იძლევა. ურედოსპორები, ანუ ზაფხულის სპორები, ერთუჯრედიანებია. ელიფსისებრი ან მომრგვალო. გარსი სქელია და ეკლებითაა დაფარული. შიგთავსი უანგისფერპიგმენტიანი ცხიმის წვეთებითაა. ურედოსპორების გარსში რამდენიმე პორუსია დატანებული, საიდანაც წინაზრდილი გამოდის. ხორბლოვანებზე ურედოსპორების რამდენიმე თაობა ვითარდება. უანგას ავადმყოფობათა ეპიფიტოთია გარემო პირობებზეა დამყარებული და ყოველთვის ურედოსტადიითაა გამოწვეული.


ხორბლის შემოსვლისას უანგა ურედომეჭვეჭები შავი მეჭვეჭებით იცვლება. უკანასკნელი უანგა სოკოების მოზამთრე სტადიის განვითარების მაჩვენებელია, ე. ი. ტელეიტოსპორები ანუ ზამთრის სპორები განვითარდნენ. სხვადასხვა უანგა სოკოების ტელეიტოსპორები სხვადასხვანარია, ერთ, ორ ან მრავალუჯრედიანი, სქელი შეფერილი გარსით. უანგა სოკოების უმრავლესობას ტელეიტოსპორები მოზამთრეობისთვის აქვს.

ზოგიერთი უანგას ტელეოტოსპორები მოზამთრეობას არ მოითხოვენ და გამოჩენისთანავე ვითარდებიან (მაგალითად, *Gymnosporangium*), როგორც კანონი ტელეოტოსპორისაგან მიიღება ტიპიური ფრაგმობაზიდიუმი ათხი ბაზიდიოსპორით, რომლებიც გადადან ისევ კოწახურზე. უანგების სხვა წარმომადგენლებს სხვა შუალედი მცენარეები ყავს.

უანგა სოკოების განვითარების ციკლის გავლისას ბირთვების ფაზების ანუ უსქესო და სქესობრივი თაობათა მორიგეობა შემდეგი სახით ხდება (*P. graminis*-ის მაგალითზე).

მოზამთრე ტელეოტოსპორებისგან განვითარებული ფრაგმობაზიდიუმი — ბაზიდიოსპორებს იძლევა. ბაზიდიოსპორები წარმოიქმნებიან რედუქციული დაყოფის შემდეგ, ისე რომ ბაზიდიოსპორა ერთბირთვიანია ანუ ერთსქესიანი (ერთი X-იანი).

ბაზიდიოსპორებით დაავადებული კოწახურის ფოთლებზე ვითარდება ლაქები, რომლის ზედა მხარეს ცენტრში წარმოიქმნება კულასებრი სპერმოგონიუმები სპერმაციებით. სპერმოგონიუმში წარმოიქმნებიან აგრეთვე ე. წ. რ ე ც ე პ ტ ო რ უ ლ ი ნაზი ძაფები, რომლებიც ნაწილობრივ სპერმოგონიუმის პორუსიდან გარეთა გამოსული პატარა კონების სახით. სპერმაციების წარმოქმნასთან ერთდროულად სპერმოგონიუმიდან გამოიყოფა ნახშირწყლებისა და სხვა ორგანულ ნივთიერებათაგან შემდგარი ლორწოვანი სითხე, რასაც თან სპერმაციები მოყვება. სპერმაციანარევ სითხეს მწერები ეტანებიან და თავისი სხეულით სპერმაციები გადააქვთ სხვა ფოთლებზე განვითარებული უანგას სპერმოგონიუმის რეცეპტორულ ძაფებზე. აქ მოხვევდრილი სპერმაციები უერთდება რეცეპტორულ ძაფებს, რის გამო ისევ ორბირთვიანი, ანუ დიპლოიდური, ანუ 2-X-იანი თაობა იწყება. ისე, რომ უანგა სოკოების სქესობრივ თაო-



სურ. 76. ეციდიუმს ტიპები: 1 — ცოვა 2 — ეციდიუმი. 3 — როგორელიუმი. 4 — პერიდერმიუმი.

ბას მოქლე პერიოდი აქვს; იგი იწყება რედუქციული დაყოფის შემდეგ მიღებული ბაზიდიოსპორებისაგან და მთავრდება რეცეპტორული ძაფების სპერმაციებით განაყოფერდებით.

უსქესო, ანუ დიპლოიდური თაობა ხანგრძლივია და გრძელდება რეცეპტორული ძაფების განაყოფიერებიდან, უანგას ყველა სტადიების (ეციდების, ურელიოსპორების, ტელეიოტოსპორების) გავლით ბაზიდიოსპორების შექმნამდე. თთქმის მთელი ვაგეტაციის პერიოდია. ვინაიდან ბაზიდიოსპორებიდან განვითარებული უანგას მიცელიუმი უსათუოდ ერთსქესიანია, რომელია მამრობითი და რომელი მდედრობითი, წინასწარ ვერ ისაზღვრება.

პოლიმორფიზმი უანგა სოკოებს ყველას ერთსა და იმავე დონეზე არა აქვს. თუ *P. graminis*-ის ზუთი სტადია ალინიშნა, სხვებს ზოგს ოთხი, ზოგს სამი, ორი სტადია აქვს და ისეთებიც გვხვდებიან, რომლებიც მარტო ერთ სტადიის იძლევიან. სავალდებულო არა აგრეთვე ორბინანობა ვინაიდან უანგა სოკოებში ისეთებიცა გვხვდებიან, რომლებიც თავისათვის დამახასიათებელ სტადიებს, ერთსა და იმავე მცენარეზე გადიან.

იმის მიხედვით, თუ უანგა სოკოებს რამდენი და რომელი სტადიები მოეპოვება ამა თუ იმ უანგა სოკოს გვარის სახელს შესაფერის თავსართს უმატებენ. მაგალითად, გვ. *Puccinia*.

1. Eu — *Puccinia*-ს ისეთ წარმომადგენლებს უწოდებენ, რომელთაც ყველა სტადია, 0 — სპერმოგონიუმები, I — ეციდიები, II — ურედოსპორები და III — ტელეიოტოსპორები მოეპოვებათ ისე, რომ *P. graminis*-ის ფორმულა შედეგი რომაული ციფრებით გამოიხატება 0, I, II, III.

2. Hemi-*Puccinia*-ს უწოდებენ ისეთებს, რომელთაც ორი სტადია მოეპოვებათ II, III, რაც იმის ნიშნავს, რომ სპერმოგონიუმები და ეციდიები არა აქვთ.

3. Brachy-*Puccinia*-ს მარტო ეციდიური სტადია აქვს, დანარჩენი სტადიები კი — 0, II, III — არა აქვს.

4. Micro-*Puccinia*-ს მარტო ერთი რომელიმე სტადია მოეპოვება.

5. *Pucciniopsis* აქ სიტყვა *opsis* დაემატა გვარის სახელწოდების ბოლოს. რაც ნიშნავს, რომ ფორმულას აკლია ზაფხულის სპორები.

უანგა სოკოების ერთბინიანობას თუ ორბინიანობასაც სათანადო თავსართით აღნიშნავენ. მაგალითად, *Auto Puccinia* — ერთბინიანი, ე. ი. ყველა სტადია ერთ მკვებავ მცენარეზე მიმდინარეობს.

Hetero-Puccinia ორბინიანია, ყველა სტადია ორ მკვებავ მცენარეზე მიმდინარეობს.

შესაძლებელია აგრეთვე გვარის სახელწოდებას ორი თავსართი დაემატოს, რაც მაჩვენებელი იქნება მისი როგორუ ერთ, ისე ორბინიანობისა, ე. ი. იმისა, ერთი მკვებავი მცენარე ყავს თუ ორი, და რა სტადიები აქვთ. მაგალითად, *Auto-Eu-Puccinia* — ერთ მკვებავ მცენარეზე გან-

ვითარების სრული ციქლით. Hetero-Eu—Ruccinia ორბინიანია — ორ მკვებავ მცენარეზე განვითარების სრული ციქლით.

ეანგა სოკოების ოჯახებად და გვარებად დაყოფისათვის, ძირითადად დიაგნოსტიკურ ნიშანთვისებად ტელეიტოსპორების აგებულება ითვლება. კერძოდ, ოჯახებად დაყოფისათვის მიღებულია ტელეიტოსპორებს ფეხი აქვთ თუ არა, და თუ აქვთ როგორია სქელი, ძაფნაირი თუ სხვა. ოჯახის ფარგლებში გვარებად დანაწილება კი ხდება ტელეიტოსპორების ავებულების მიხედვით, ე. ი. იმის მიხედვით, რამდენურჯედიანია და ნაწილობრივ როგორი ფეხი აქვს ძაფნაირი, სქელი და უფეხო. მნიშვნელობა ეძლევა აგრეთვე ტელეიტოსპორების განლაგებასაც. დიდი მნიშვნელობა აქვს და აუცილებელიცა მკვებავი მცენარის ზუსტი სახელწოდებაც.

ეანგა სოკოები ორ ოჯახად იყოფა:

1. *Melampsoraceae* — მ ე ლ ა მ პ ს ო რ ა ს ე ბ რ ნ ი. ტელეიტოსპორები ერთურჯელიანი უფეხო, უმრავლესობას მტკიცედ შეკრული აქვს და განწყობილია მარაოსებრად ან სვეტურად.

2. *Rucciniaceae* — პ უ ქ ც ი ნ ი ა ს ე ბ რ ნ ი. ტელეიტოსპორები კარგად განკითარებული ფეხითაა, ერთ, ორ ან მრავალურჯელიანია;

მელამპსოროვანთა ოჯახიდან აღსანიშნავია შემდეგი გვარები:

ვგ. *Melampsora* — მელამპსორა ორბინიანია. აავადებს წიწვოვან და ფოთლოვან ტყის ჯიშებს *Mel. pinitorqua* ორბინიანია, იწვევს ფიჭვის ტოტების ან ყლორტების დეფორმაციას, ტოტებსა და ყლორტებზე ცოებას ტიპის ეციდიუმები ვითარდება. ურედო და ტელეიტოსპორები ვერხვის ფოთლებზეა და ძლიერი დავალებისას ვერხვის ფოთლების ნაადრევ ცვენას იწვევს. *Mel. alii-populinæ* — 0 და I სტადია ვითარდება ხახვის ფოტჩე; ხოლო ურედო და ტელეიტოსტადია ვერხვის ფოთლებზე *M. helioscopiae* ერთბინიანია, რძინაზე გვხვდება *M. abieti caprearum* — 0,1 ვითარდება სოჭზე, ხოლო II და III მდგნალზე. ვგ. *B. Uredihopsis* — 0 და I სტადია სოჭის წიწვებზეა, რაზედაც მოკლე ცილინდრული პერიდიუმის მქონე ეციდიუმებია; II და III სტადია გვიმრების დავალებას იწვევს. ტელეიტოსპორები პატარა ჯგუფების სახით ფოთლის მეზოფილის ქსოვილშია გაფანტული. ურედოსპორები უფეხულია, ორი სახეობაა ცნობილი: *Uredinopsis filicis* — II და III სტადია გვიმრა *Dyopteris-pegopterus*-ის ფოთლებზე; *Ured. strutiophtheridis* II, III გვიმრა-ირმისენაზე (*Scolopendrium vulgare*).

ვგ. *Melampsoridium* — მელამპსორიდიუმი. მისი წარმომადგენლები აავადებენ არყს. სპერომგონიუმი ბრტყელია, ეციდიუმს ოდნავ შესამჩნევი პერიდიუმი აქვს. ურედოსპორების მეჭეჭები ფსევდოპერიდიუმითაა დაფარული. ცენტრში კარგად შესამჩნევი პორუსი აქვს.

ერთ სახეობას შეიცავს. *Mel. betulae* — ორბინიანია; 0,1 სოჭზე, ხოლო II—III არყზე გვხვდება.

გვ. *Coleosporium* — კოლეოსპორიუმი. კოლეოსპორიუმი ორბინიანია. 0 სტადია ბრტყელია ან კონუსისებრი; 1 სტადია — ეციდიუმები პერიდერმიუმის ტიპისაა — ბუშტისებრი, II და III სტადია ბალახეულზეა, უმთავრესად, რთულყვავილოვანთა წარმომადგენლებზე. ტელეიტოსპორები გაღივების დროს თვითონ იყოფა ოთხ უჯრედად და ფრაგმობაზიდიუმის ფუნქციებს ასრულებს. ჩვენში ხშირია *Col. campanulae* — 0,1 სტადია. ვითარდება ფიჭვის წიწვებზე, ხოლო II—III სტადია ველურ ბალახზე — *Campanulas*-ს ფოთლებზე; რთულყვავილოვნებზეა, მაგალითად, *Col. inulae*, *Col. tussilaginis* II—III სტადია ვირის ტერფაზეა და სხვ.

გვ. *Cronartium* — კრონარციუმი. ორბინიანია. 0,1 სტადია ფიჭვის ტოტებზე გვხვდება. სპერმოგონიუმები ბრტყელია. ეციდიუმები პერიდერმიუმის ტიპისაა და ხეზე დიდხანს ინახება. ამ სტადიაში ფიჭვის საშინელ ავალმყოფობად ითვლება. იგი იწვევს ტოტების ხმობას; II და III სტადია ვითარდება ქვეტყის წარმომადგენლებზე. ტელეიტოსპორები უფეხოა და სვეტურად არიან შეზრდილი. ეს სვეტები დაზიანების ცენტრიდან წამწამებივითა ამოშვერილი. შემდეგი სახეობებია აღსანიშნავია: *Cron. ribicola* ე. წ. ხუნწას ეანგა. ორბინიანია, 0,1 სტადია ფიჭვზეა და იწვევს ტოტების ხმობას; II—III სტადია გადადის ხუნწას ფოთლებზე. ძლიერი დაავადებისას ფოთლები ცვივა. *Cron. asclepiadeum* 0,1 ფიჭვზე, II—III ველურ მცენარე *Asclepiada*-ზე. ფიჭვზე იწვევს ლეროს ექსცენტრულობას.

ფიჭვზე გავრცელებულია აგრეთვე მარტო ეციდიური სტადიის მქონე ე. წ. *Peridermium*-ი; იწვევს ტოტების დაავადებული ადგილის გასქელებას და ხმობას ხშირად მთავარ ლერძზედაცაა. ეციდიუმები პერიდერმიუმის ტიპისაა. ფიჭვის უსაშინელეს ავალმყოფობად ითვლება. *Peridermium pini*.

ოჯ. *Pucciniales* — პუკინიანია. პუკინიანის მქონე ერთ სტადიის მქონე ე. წ. *Peridermium*-ი; იწვევს ტოტების დაავადებული ადგილის გასქელებას და ხმობას ხშირად მთავარ ლერძზედაცაა. ეციდიუმები პერიდერმიუმის ტიპისაა. ფიჭვის უსაშინელეს ავალმყოფობად ითვლება. *Peridermium pini*.

მათი გვარებად დანაწილება ტელეიტოსპორების აგებულების მიხედვით ხდება.

გვ. *Uromyces* — ურომიცესი. ერთუჯრედიანი, სქელგარსიანი და სქელფეხიანი, წვერზე ძუძუსებრი ნამატიანი და აგრეთვე პორუსიანი ტელეიტოსპორა აქვს. განვითარების სრული და მოქლე ციკ-

ლიანი ფორმები გვხვდება. აავადებენ კულტურულ და ველურ, ერთ და მრავალწლიან მცენარეებს, უფრო მეტად პარკოსან მცენარეებს. უმრავლესობა ერთბინიანია; *Uromyces trifolii* — სამყურას ფოთლებზე; *Ur. medicaginis* — იონგაზე; *Ur. fabae* — ცერცვებზე; *Ur. vitiae* — ბარდაზე; *Ur. Phaseoli* — ლობიოზე; *Ur. pisi* — 0,1 სტადია რძინაზეა, ხოლო II და III — ცერცველაზე (*Pisum*). ურთმიცესის წარმომადგენლები საერთოდ მრავალ მცენარეებზე გვხვდებიან, სულ 550 სახეობამდეა ცნობილი.

გვ. *Transchelia* — ტრანშელია. სრულციკლიანი გვარია. სპერმაციები და ეციდიუმები ბაისნაირთა ოჯახის წარმომადგენლებზე ცხოვრობენ. II და III სტადია კურკოვნებზეა განვითარებული, მეტადრეგვ. *Prunus*-ის სახეობებზე.

ურედოსპორების მეჭეჭებში თავიანი, მუქად შეფერილი პარაფიზები აქვთ. ტელეიტოსპორები ორუჯრედიანია, ტიხართან ძლიერ გადაჭიმული.

აღსანიშნავია *Transchelia pruni spiposae* ძეელად ერქვა *Puccinia pruni spinosae*, 0 და 1 სტადია ბაისნაირთა წარმომადგენლებზეა (*Anemone ramunculoides*), ხოლო II და III—*Prunus* წარმომადგენლებზე. ტელეიტოსპორებს პორუსი არა აქვთ და მომწიფების დროს ხშირად ტიხართან გადაიხსნება, გარსი ძლიერ დახორცილია. ჩვენში ხშირია ატ-მის ფოთლებზე, ნუშზე და ქლიავზე.

გვ. *Gymnosporangium* — გიმნოსპორანგიუმი. გვარი გიმნოსპორანგიუმი ობინიანია. 0,1 სტადია ვითარდება ვარდისნაირთა წარმომადგენლებზე, ხოლო III სტადია — ღვიაზე (*Juniperus*), სპერმოვონიუმი კულასებრია, ეციდიუმები — როესტელის ტიპისაა. ყველა წარმომადგენელს ურედოსტადია არ მოეპოვება. ტელეიტოსპორები გრძელი ძაფნიარი ფეხითაა, რომლითაც ერთმანეთთან შეზრდილი არიან და დიდ ყავისფერ მეჭეჭებსა ქმნიან. წვიმის დროს მეჭეჭები იჯირჯვება და ლაბასებრი ხდება. ტელეიტოსპორა ორუჯრედიანია, თხელ და საზაგარსიანი. სხვა უანგა სოკოების ტელეიტოსპორები მათგან იმით განსხვავდებიან, რომ დაზამთრებას არ მოითხოვენ, გამოჩენისთანავე გაზაფხულზე ღივდებიან. ცოტა წარმომადგენლებს შეიცავს. ჩვენში თთქმის ყველა გვხვდება.

აღსანიშნავია შემდეგი სახეობები: *Gymnosporangium yuniperinum*— ვაშლის უანგა. ოვი ვაშლის ფოთლების, ტოტების და ნაყოფების და-ავადებას იწვევს 0 და 1 სტადიით; ვაშლის ტოტებზე კიბოსებრ დაზიანებას იწვევს. ეციდოსპორებით ავადდება ღვიის ტოტები (*Juniperus, oxycedrus*), სადაც მიცელიუმი იზამთრებს და წლინახევრის შემდეგ, გაზაფხულზე, დაზიანებულ ტოტებზე მსხვილი, ტელეიტოსპორებისაგან შემდგარი, ყავისფერი მეჭეჭები ვითარდება. პირველი წვიმის შემდეგ — ტელეიტო-

სპორები ფრაგმობაზიდიუმს იძლევიან. ვაშლის ინფექციაც ამ პერიოდშივე ხდება. ტელეიოტოსპორები არ იზამთრებენ.

Gymn. *sabinae* — მს ხლის უანგა, ბიოლოგიური თვისებებით მსგავსია ვაშლის უანგასი, განსხვავდება მხოლოდ მკვებავი მცენარეებით. 0 და I სტადია მსხალზე ვითარდება, ხოლო III სტადია ყაზახურ ღვაზე (*Junip. sabinae*); Gymn. *juniperum* 0 და 1 სტადიას იძლევა ჭნავზე (*Sorbus*), ხოლო III სტადიას ღვის სხვადასხვა სახეობებზე; Gymn. *confusum* კომშისა და ზღმარტლის უანგა 0 და I სტადია — კომშზე და ზღმარტლზე, III — ღვის სხვადასხვა წარმომადგენლებზე; Gymn. *clavariaeforme*-ს 0 და I სტადია კუნელზე გვხვდება, ხოლო III სტადია — *Junip. oxycedrus*-ზე.

გვ. *Puccinia* — პუქცინია. ვვარი პუქცინია უანგა სოკოებში, სახეობათა სიმრავლით ყველაზე დიდია, 1800-მდეა ცნობილი.


ორუჯრედიანი, სქელფეხიანი ტელეიოტოსპორები აქვს. ზედა უჯრედის გარსი წვერთან ხშირად გასქელებულია. ერთ და ორბინიან ები არიან, ვეხვდებიან განვითარების როგორც სრული, ისე უსრული ციკლით.

გაჭრცელებულია ფარულთესლოვან მცენარეთა შორის. ხორბლეული მცენარეების მეტად მნიშვნელოვან ავალმყოფობებს იწვევენ და დიდი ზარალის მომცემი არიან.

საქართველოში ხორბლეული მცენარეები უანგას შემდეგი სახეობებით ავადდებიან: *Puccinia graminis* — ხორბლეულთა ღეროს უანგა. იგი ორბინიანია; 0 და I სტადია ვითარდება კოწახურის ფოთლებზე, ხოლო II და III — ხორბლეულზე. ტელეიოტოსპორებით იზამთრებს, ორუჯრედიანია. ზოგიერთის ზედა უჯრედის წვერი გასქელებულია, მოკლე სქელი ფეხი აქვს; *Pucc. triticina* — ხორბლის ფოთლების მურა უანგა. 0 და I ვითარდება სარეველაზე — გველის ჰყინვებზე (*Thalictrum*) II—III სტადია ხორბლის ფოთლებზე; *F. glumarum* ხორბლის ყვითელი უანგა. მისი სპერმოგონიუმი და ეციდიუმი ბრაა ცნობილი, ხორბალზე მარტო ურედონ და ტელეიოტოსპორების სტადიაა აღნიშნული; *P. coronifera* და *P. coronata* ხორბლეულის გვირგვინიანი უანგა, 0 და 1 სტადია ხეშავზე ან ხეჭრელზე ვეხვდება (*Rhamnus frangula* და *R. carthartica*, ხოლო II და III — შვრიაზე, ჭვავზე და ზოგიერთ ველურ წარმომადგენელზე).

გარდა ხორბლეულისა ვვარ პუქცინიას წარმომადგენლები ორლებნიან სხვადასხვა მცენარეებს ავადდებნ.

გვ. *Phragmidium* — ფრაგმოდიუმი. ფრაგმოდიუმის ტელეიოტოსპორები მრავალუჯრედიანებია და კარგად განვითარებული, ფუძესთან გასქელებული ფეხი აქვთ. ტელეიოტოსპორების უჯრედების რიცხვი სხვადასხვაა — 3—6—8-მდე. უჯრედები ვერტიგალურად არიან აწყობილი. ტელეიოტოსპორების წვერის უჯრედს ძუძუსებრი გარსის გასქელება აქვს. ეციდიუმები ბრტყელია, ცოემას ტიპისაა, პერი-



სურ. 78. უანგა სოკოების ტელეიოტიოსპორების ფორმები

1. *Uromyces*. 2 — *Puccinia* 3 — *Gymnosporagium* 4 — *Triphragmium*
5 — *Coleosporium* 6.— *Cronartium*. 7 ab *Melampsora*, 8 — *Coleosporium*.

დიუმის ნაცვლად კომბლისებრი პარაფიზებია გარსშემოვლებული; ეცი-დიოსპორები ყვითელია, ექლებით დაფარული, გამოსასვლელი პორუსები არა აქვს. ურედოსპორების მრავალი პორუსი აქვთ. ჩვენში გავრცელებულია შემდეგი სახეობები: *Phrag. Subcorticium* გარდის უანგა, ყველგანაა გავრცელებული, აავადებს გარდის ყველა ორგანოს, გარდა ფესვისა. ერთბინიანია, ყველა სტადიას ვარდზე გადის. დაავადებული ფოთლების ქვედა მხარე ყავისფერი ან შავი მეტეჭებითაა დაფარული. პირველი ურედოსპორებია, ხოლო მეორე — ტელეიოტიოსპორები. *Phrag. violaceum* — მაყვალზეა აღნიშნული, *Phrag. rubi* უოლოს უანგაა და სხვ.

ჰოლობაზიდიანები მოიცავს ქ/კ Holobasidiales

ჰოლობაზიდიანების ანუ ავტობაზიდიანების ქვეკლასი მოიცავს ერთ-უჯრედიან, დაუტიხრავი ბაზიდიუმების მქონე სოკოებს, რომლებიც ტიპიურ შემთხვევაში ეგზოგენურად წარმოშობენ ოთხ ან, იშვიათად, მეტ ან ნაკლებ ბაზიდიოსპორას. ბაზიდიოსპორების შექმნას წინ უსწრებს ბირთვების რედუქციული დაყოფა.

ბაზიდიოსპორები ან უშუალოდ მიცელიუმზე იქმნება, ან კარგად განვითარებულ სხვადასხვა სახის და სიღიდის ნაყოფსხეულებზე. უკანასკნელი ნიშნის მიხედვით ჰოლობაზიდიანი სოკოების ქვეკლასი იყოფა ორ რიგად:

Exobasidiales — ეგზობაზიდიანები ანუ შიშველბაზიდიანები, როდესაც ბაზიდიუმები პირდაპირ მიცელიუმიდან იღებენ დასაწყისს და იძლევიან ღიად განვითარებულ ჰიმენიუმს — ნაყოფსხეულებს არ იძლევა.

მეორე რიგია — *Aphyllophorales* — აფილოფორალები. ბაზიდიუმები სხვადასხვა სახის ერთ ან მრავალწლიან ნაყოფსხეულებზეა განვითარებული.

Exobasidiales — ების რიგში ერთი ოჯახი შედის: ოჯ. *Exobasidiaceae* — ეგზობაზიდიანები პარაზიტებია და ბაზიდიუმები თეთრი ფიფქის სახით დაავადებულ ორგანოს ზედაპირზე ღიად უვითარდებათ. იწვევენ დაავადებული ორგანოების სილაქავეს, დეფორმაციას და ჰიპერტონიას. ბაზიდიოსპორები უფერულია, სფეროსებრი ან არათანაბარ-გვერდებიანი. ეგზობაზიდიანთა ოჯახში ორი გვარია აღსანიშნავი.

გვ. *Microstroma* — მიკროსტრომა. პარაზიტული ორგანიზმებია და მცენარის დაავადების დროს. მარტო ფოთლების სილაქავეს იძლევა. აავადებს მერქნიან ჯიშებს. ორ სახეობას შეიცავს. პირველი სახეობაა *Mic. juglandis* — კაკლის მიკროსტრომა. აავადებს ფოთლებს, დაკუთხული თეთრი ფიფქით დაფარულ ლაქებს იწვევს. ფიფქი ბაზიდიუმებია, რომელთა წვერზე 6 სტერიგმაა განვითარებული, რაც იმის მაჩვენებელია, რომ 6 ბაზიდიოსპორას იძლევა. ბაზიდიუმი თითქმის ცილინდრულია; ბაზიდიოსპორები მოგრძოა და უფერული. მეორე სახეობაა *Microstroma album*. ისეთივე ნიშნები აქვს, როგორიც კაკლის მიკროსტრომას, მხოლოდ მუხაზე გვხვდება. ბაზიდიოსპორები მოვრძო კვერცხისებრია, არათანაბარგვერდიანი.

გვ. *Exobasidium* — ეგზობაზიდიუმი. ეგზობაზიდიუმის წარმომადგენლები აბლიგატური პარაზიტებია და იელისებრთა ოჯახის (*Ericaceae*) მცენარეების დაავადებას იწვევს. ხშირია, დაავადებული ორგანოების ჰიპერტონია, გამონაკლის შემთხვევაში მარტო ლაქებს ავითარებს. დაავადებულ ორგანოებზე განვითარებული ფიფქი

2—4 სტერიგმიანი ბაზიდიუმებია, რომლებიც 2—4 ბაზიდიოსპორას იძლევა.

ჩვენში გავრცელებულია *Ex. discoideum*-ი. იგი იელის ფოთლებზე ჰიპერტროფიულ დისკოსებრ წარმონაქმნებს იძლევა. ფშაველები „იელის ღუმას“ უწოდებენ. დისკო იფერება ბაზიდიოსპორებისაგან შემდგარი მოთეთრო ან მოწითალო ფიფქით. ბაზიდიოსპორები ერთტიხრიანია, უფერული; *Ex. magnusii* იელის ფოთლების თეთრ ლაქიანობას იწვევს; *Ex. cameliae var. sasanqua* კამელიის ყლორტების ჰიპერტროფიას იწვევს და საბოლოოდ ახმობს; *Ex. vaccini* — მოცვის ეგზობაზიდიუმებია; ტროპიკებში ჩაის ბუჩქის საშინელ ავაღმყოფობას იწვევს. *Ex. vexans* და სხვ; *Ex. rododendri* იწვევს დეკას ფოთლების დაკორსებას.

რიგი *A phyllophorales* — ა ფილო ფორმის ასებრნი და ნი დიდი ჯგუფია. 4600 სახეობამდეა ცნობილი. უმრავლესობა ნიადაგზეა, გამხმარ მერქნიან ჯიშებზე, ხე-ტყის მასალაზე. ამ ჯგუფის შედარებით შეცირე ნაწილი ფაკულტატურ პარაზიტებად ითვლებიან და ცოცხალი შეცნარის მერქნის დაშლასაც იწვევენ.

მორფოლოგიური ნიშნებიდან *Aphyllophorales*-ების სისტემატიკისათვის დიდი ყურადღება ექცევა სხვადასხვა სიმძლავრით და ფორმით განვითარებულ ნაყოფსხეულებს, რაზედაც ჰიმენური შრე ღიად ვითარდება. მათი ნაყოფი ჰიმენოპოლია. მნიშვნელობა ეძლევა აგრეთვე იმას, თუ ნაყოფსხეულის რომელ მხარეზეა განვითარებული ჰიმენიუმი, როგორია ჰიმენოფორი; ეს უკანასკნელი დამოკიდებულია სოკოს სახეობაზე და მის ნაყოფსხეულის ფორმაზე.

აფილოფორასებრთა რიგის ოჯახებად დანაწილებას საფუძვლად ჰიმენოფორის ტიპი და ნაყოფსხეულის ფორმა უდევს.

შველაზე მარტივ წარმომადგენლად ითვლება სუბსტრატზე გართხმული ნაყოფსხეული, რომლის ზედაპირზე ჰიმენური შრე ღიადაა განვითარებული, ბაზიდიუმები ვერტიკალურად დგანან და არაფრით არ არიან დაფარული. თუ ნაყოფსხეული სუბსტრატზე გვერდითაა მიმაგრებული, მაშინ ჰიმენიუმი ქვედა მხარეზეა განვითარებული. ასეთ შემთხვევაშიც ჰიმენიუმი სადაც, ნაყოფსხეულები ჰიმენოპოლია, გაერთიანებულია ოჯ. *Thelephoraceae*-ებში.

ნაყოფსხეულების შემდგომი განვითარება იმაში გამოიხატება, რომ იგი ვერტიკალურადაა აღმართული და ერთი წერტილითაა სუბსტრატზე მიმაგრებული. ნაყოფსხეულის ზედა ნაწილი ვერტიკალურადაა აღმართული, კომბლისებრია ბუჩქისებრად დატოტვილი. მისი ზედაპირი მთლიანად ჰიმენიუმითაა დაფარული. ასეთი ჰიმენოფორი აქვს ოჯ. *Clavariaceae*-ს ანუ ს ა ჩ ე ლ ა ს ე ბ რ სოკოებს.

ნაყოფსხეულების შემდგომ ფორმებში ჰიმენური შრე უკვე ქვედა მხარეს ვითარდება. ნაყოფი ქუდისებრია ან გვერდით სუბსტრატზეა მი-

მაგრებული. ქვედა მხარეს ეკლების მსგავსი წამონაზარდები აქვს, რა-ზედაც ჰიმენიუმია განვითარებული. ასეთ შემთხვევაში ჰიმენოფორი ეკლისებრია და გაერთიანებულია ოჯ. *Hydnaceae*-ებში, ანუ ზღაპროცესის შემთხვევაში.

განსაკუთრებული ჰიმენოფორი განუვითარდა ოჯ. P o l y p o r a c e a e ს — ა ბ ე დ ა ს თ კ თ ე ბ ს. მიუხედავად სხვადასხვა ფორმის ნაყოფსხეულებისა, მასზე განვითარებულია მილნაირი ჰიმენოფორი, რომელიც ყოველთვის ქვედა პირისკენაა მიმარტული; ჰიმენიუმი ნაყოფის ქვედა მხარეს განვითარებულ მილებშია. მილებიდან გამოცვენილი ბაზიდიოსპორები ჰაერის დენით ვრცელდებიან. ამ ჯგუფს უკუთვნიან აბედა სკორების დიდი ოჯახი, რომლებიც, როგორც საპროფიტები ან, იშვიათად, ფაქულტატური პარაზიტები მეტენარეებზე ან მათ ნაშთებზე ცხოვრობენ.

ჰოლობაზიღიანების განსაკუთრებული ოჯახია ფირფიტოვანი სოკო-ები — *Agaricaceae*. მათვის დამახსიათებელია ნაყოფსხეულის ქვედა მხარეს განვითარებული ფირფიტოვანი ჰიმენოფორი. ფირფიტების მიმართულება რადიალურია. ჰიმენიუმი ფირფიტის ორივე მხარეზეა. ნაყოფსხეულს ფეხი აქვს. ჰიმენიუმი ვიღრე მომწიფდებოდეს, ახალგაზრდა ნაყოფსხეულზე ჰიმენოფორი ჰიფებისაგან შემდგარი აპკითა დაფარული, რომელიც შემდეგ იშლება და ჰიმენიუმი ლიად ჩაწება. აპქს ორნაირს აჩჩევენ: პირველია საერთო. ეს ის შემთხვევაა, როდესაც დასაწყისში მთელი ნაყოფსხეულია აპკით დაფარული, შემდეგ კი აპკი წვერზე იხსნება, ნაყოფსხეული ფეხიანად პარიზრდება და მფარავი აპკი ფუძეზე ჩაწება, ან ქუდიან თავზეა სხვადასხვა სახით შეჩენილი. ასეთ საფარს საერთო საბური ველ ს უწოდებენ.

ფირფიტოვან სოკოლებს სხვაგვარი, ე. წ. კ ე რ ძ თ ს ა ბ უ რ ვ ე -
ლ ი ც აქვთ. იგი ისეთივე აპკისებრია და დასაწყისში მარტო ჰიმენოფორს
ფარავს და ახალგაზრდა ნაყოფსხეულის ქუდის კიდეს, ფეხთან აერთობს.
როდესაც ქუდი გაიშლება, აპკი წყდება, იგლიჯება და ნაწილი ქუდის კი-
დეს ნაფლეთების სახით გასდევს, ნაწილი კი ფეხზეა შერჩენილი. ამ
უკანასკნელს ს ა ყ ე ლ თ ს უწოდებენ. საერთო და კერძო საბურველი
ყველას არა აქვს. ასეთ ნაყოფებს, როცა დასაწყისში ჰიმენიუმი დახურუ-
ლია და შემდეგ თავისუფლდება, ეწოდება ჰე მ ი ა ნ გ ი ო კ ა რ ჰ ჲ უ -
ლ ი.

ჰოლობაზიდიანთა უკანასკნელი რიგია ე. წ. *Gas teromyctes* — გასტერომიცეტები. მათი ნაყოფსხეულები ნიაღავზე ვითარდება, სფეროსებრია ან მოკრძო; ჰიმენიუმი ყოველთვის დახურულია; ბაზიდიუმები დახურულ არეში ვითარდებიან ნაყოფსხეულის გულში არსებულ ე. წ. გლებასაგან. როდესაც მომწიფდებიან, მისი მფარავი აპკი — კედელი იშლება. ბაზიდიოსპორები მტკრის სახით ვრცელდებიან. ზოგიერთს


კი ნაყოფსხეულის წვერზე პორუსი აქვს დატანებული, საიდანაც სპორები ვრცელდებიან. როცა გასტერომიცეტების ნაყოფსხეული ყოველთვის დახურულია და ბაზიდიუმები სხეულის შიგნით ყალიბდებიან, ასეთ ნაყოფსხეულებს ან გიოკა რაზიულს უწოდებენ.

ოჯ. *Thelephoraceae* — ტელეფორატორიანი ნაყოფსხეულები უმთავრესად გართხმულია, ტყავისებრი კონსისტენციისაა, იშვიათად კიდევებზე ოღნავ წამოწეულია, ჰიმენოფორი საღაა ან ბორცვებიანი ზედაპირის მქონე. ჰიმენიუმში ბაზიდიუმები, პარაფიზები, ცისტიდები, გლეოცისტები გვხვდება, უმთავრესად საპროფიტებია. შემდეგი გვარებია აღსანიშნავი:

გვ. *Coniophora* — კონიოფორა; მის წარმომადგენლად შეიძლება დავასახელოთ *Coniophora cerebella*. იგი მერქნის დამშლელი სოკოა. ნაყოფსხეული გართხმულია, ბორცვიანი ზედაპირით. ჰიმენიუმი მარტო ბაზიდიუმებისაგან შედგება.

გვ. *Corticium* — კორტიციუმი ნაყოფსხეულები გართხმულია, სხვადასხვა კონსისტენციისაა: მკვრივი, ტყავისებრი, ქეჩისებრი; ჰიმენიუმი მარტო ბაზიდიუმებისგანაა შემდგარი, აქვს ოთხი ბაზიდიოსპორა.

წარმომადგენელია: *Corticium hevae*, ნაყოფსხეული გართხმულია, სანთლისებრი ზედაპირიანი, ფერად მოყვითალო ან ყავისფერია, ზოგჯერ, თუმცა იშვიათად, ზედაპირზეა, პატარა ბზარები ემჩნევა. ჰიფებზე ხშირად აბზინტებია. გვხვდება ტყენაყაფებზე — ნაყარ მერქაზე; *Cort. salmonicolor* ტროპიკულ ქვეუნებში ცოცხალი მცენარეების, ყავის, ჩაის



სურ. 78. ჰიმენოფორის ტიპები
1. მილნაირი, 2. ფირფიტისებრი, 3. ეკლიანი ანუ ზლარბა, 4. საჩეჩელოვანი. 5 — ლაბირიტისებრი.

და სხვების დაავადებას იწვევს. მცენარის ვარჩს გრძელი თასმისებრი მიცელიუმით ფარავს. წვრილი ტოტების ხმობას იწვევს. ფოთლები ცვივა; Cor. vagum კარტოფილისა და ბოსტნეული მცენარეების ხმობას იწვევს. იშვიათად მკვდარი მერქნის ზედაპირზედაც გვხვდება.

გვ. Hypochnus — ჰიპოქნუსი. ნაყოფსხეული გართხმულია. ქეჩისებრი; ჰიმენიუმი 2—4 სტერიგმანი ბაზიდიებისგანაა შემდგარი; პატარა გვუფებად არიან ან მთლიან სანთლისებრ ფენასა გმნიან.

გვ. ჰიპოქნუსის წარმომადგენლებში პარაზიტული ფორმებიც გვხვდება. მაგალითად, Hypochnus solani კარტოფილის დაავადებას იწვევს; Hyp. centrifugus — ღიღი ნაყოფსხეულებს ავითარებს, რითაც სუბსტრატია ხოლმე დაფარული. გვხვდება ჩამოცვენილ ფოთლებზე სხვადასხვა ბალანეულ მცენარეებზე.

გვ. Peniophora — პენიოფორა. ნაყოფსხეული გართხმულია, პერგამენტისებრი კონსისტენციისაა. იგი მტკიცედაა სუბსტრატზე მიმაგრებული, ფერად ყვითელია, სანთლისფერი ან მოწითალო-მორუხო და სხვ. ჰიმენიუმში ბაზიდიუმების გარდა ჯავრისებრი ცისტიდები გვხვდება. ბაზიდიუმები კომბლისებრია. ბაზიდიოსპორები სტერიგმებზეა, უფერულია, რიცხვით 4; Peniophora gigantea — წიწვოვანი ჯიშების მკვდარ მერქანზე, სატყეო მასალებზე და მორებზე ხშირად გვხვდება; იწვევს მერქნის ზედაპირულ ლპობას; ნაყოფსხეული გართხმულია, მოყვითალო, პერგამენტული კონსისტენციისაა; ამავე პირობებშია Pen. setigera — წიწვიანი ჯიშების ნე-ტყე მასალაზე. ჰიმენიუმში განვითარებულია ცისტიდები, ინკრუსტირებულია და ჰიმენიუმის ზედაპირიდან მნიშვნელოვნადაა ამოშვერილი.

გვ. Stereum — სტერეუმი. ნაყოფსხეულის ქსოვილი ტყავისებრია, იშვიათად კორპისებრიც. თხელია, სუბსტრატზე გვერდითაა მიმაგრებული და ხშირად კრამიტისებურად განლაგებულ ქუდებს ქმნის. ნაყოფის ზედაპირი ხავერდოვანი, კონცენტრულად განვითარებული ბუსუსებითაა დაფარული. ჰიმენიფორი ქვედა მხარეზეა, საღაა ან ოდნავ ბორცვიანი. შედგება ან მარტო ბაზიდიუმებისაგან, ან ცისტებიც, ჯავრისებრი ძაფებიც იღებენ მასში მონაწილეობას.

ჩვენში აღსანიშნავია Stereum hirsutum-ი. იწვევს მერქნიანი ჯიშების მერქნის დაშლას. საყურადღებოა მისი განვითარება ვაზზე, რის შედეგადაც ვაზს დამბლა ემართება, უცირად ხმება. ვაზზე ეს ავადმყოფი ცნობილია აგრეთვე როგორც „ზაფხულის ხმელი“ ან „ვაზის დამბლა“, ან უცხოურად „ესკა“; Ster. rugosum ვითარდება წიფლის, მუხისა და სხევათა მორების თორზულ ნაწილზე, მოპირისფრო, გართხმული ნაყოფსხეულის სახით. მერქნის სუსტი დამშლელია; St. Abietinum — ნაძვისა და სხვა წიწვიანების მერქნის ცენტრალური ნაწილის

ფიჭისებრის სტრუქტურის მქონე სიღამპლეს იწვევს. გვხვდება ტანინის მნიშვნელოვანი რაოდენობის შემცველ სუბსტრატზე.

გვ. *Telephora* — ტელფორა. ნაყოფსხეულები ყავისფერია, სხვა-დასხვა ფორმისა, გართხმული, ფეხიანი და სხვა. ჰიმენოფორი ნაყოფსხეულს ხშირად მთლიანად ფარავს და საღა ან მარცვლისებრი ზედაპირის მქონეა, მარტო ბაზიდიუმებისაგან შედგება. სპორები მოგრძოა, მომრგვალო ეკლებითა და ბორცვებით დაფარული, ყავისფერია ან რუხი. აღსანიშნავია *Thel. terestris*. მტრი ნაყოფსხეული ტყავისებრია, გართხმულია ნიაღაგზე, იშვიათად დაავადებული მცენარის ფესვის ყელზეა შემოვლებული და ზედა მხარეს პატარა გვერდით მიმაგრებულ ხავერდოვანზედაპირიან ქუდებს ქმნის. მიცელიუმი ყავისფერია. იწვევს მერქნიანი ჯიშების ნერგების დაავადებას.

ოჯ. *Clavariaceae* საჩერებლოვანთა ოჯახის წარმომადგენლები უმთავრესად, მიწაზე ცხოვრობენ და ჩვეულებრივ საპროფიტებს წარმომადგენენ.

მათი ნაყოფსხეული ვერტიკალურად დგას და ქვედა ნაწილით სუბსტრატთანაა დაკავშირებული, ზედა ნაწილი კი ან მარტივია, კომბლისებრი, ან საკმაოდ ძლიერ იტოტება და საბოლოოდ პატარა უფოთლო ბუჩქის შეხელულება ეძლევა; ფერად მოყვითალოა ან მოწითალო-მურა და სხვ. ნაყოფსხეულის მთელი ზედაპირი და ტოტები ჰიმენიუმითაა დაფარული, რომელიც მარტო ბაზიდიუმებისაგან შედგება. 2—4 უფერული ან მოყვითალო მოგრძო ან ოვალური ერთუჯრედიან ბაზიდიოსპორებს იძლევა. ამ უკანასკნელის გარსი საღა ან ბორცვიანი თუ ეკლიანი. ზოგიერთი წარმომადგენელი სკლეროციუმს იძლევა, საიღანაც ნაყოფსხეული ვითარდება. რამდენიმე გვარია აღსანიშნავი.

გვ. *Sparasis* — სპარაზისი. ნაყოფსხეულები ღიდებია, ზომით 30—50 სანტიმეტრამდე, ხორციინი ქსოვილისაგან შემდგარი, ძლიერ დატოტვილია; ტოტების წვერი გაბრტყელებულია და ოდნავ დახუჭუჭებული, ჰიმენიუმით დაფარული. ნაყოფსხეულის ქვედა ნაწილი — ფეხად გადაღის. ბაზიდიუმი 2—4 სტერივიანია; ბაზიდიოსპორები უფერულია, ნიაღაგზე ცხოვრობს.

წარმომადგენელ *Sparasis crispas*-ს დიდი ნაყოფსხეული აქვს, მოყვითალო-მოპირისფრო ელფერით. ყვავილოვან კომბლისტოს მოგვაგონებს ტოტები ბაფთისებრია და დახუჭუჭებული. რიზოიდებითაა მიმაგრებული სუბსტრატზე; სპორები უფერულია; *Sp. laminosa* ნაყოფსხეული ყვითელია, ფეხი კი თეთრი. ესეც ღიდ ნაყოფსხეულებს ივითარებს, მიწაზე ცხოვრობს.

გვ. *Typhula* — ტიფულა. გვარი ტიფულა სხვა გვარებთან შედარებით, მეტად წვრილ, უმთავრესად მარტივ, კომბლისებრ ან ძაფისნაირ ნაყოფსხეულებს იძლევა. იგი სკლეროციუმიდანაა განვითარება.

ბული და ღია ფერადაა შეფერილი. ჰიმენიუმით მხოლოდ ტოტების წვერის გასქელებული ნაწილია დაფარული; ბაზიდიუმი 2—4 სტერიგმითაა, საპროფიტებია. პარაზიტულ წარმომადგენლებსაც შეიცავს.

პარაზიტულია, მაგალითად, *Typhula variabilis*-ი. იწვევს ჭარხლის ძირხვენების და კარტოფილის ტუბერების (ფესვების) ლპობას, მურა სკლეროციებს იძლევა, საიდანაც ნაყოფს ხეულები ვითარდებიან; ამის ანალოგია *Typhula graminium*, რომელიც გარეულ და კულტურულ მარცვლობანებს აავადებს. გვხვდება აგრეთვე წიწვიანების აღმონაცენებზე; *T. trifolii* — სამურას აღმონაცენების ფესვის ყელის ლპობას იწვევს.

გვ. *Clavaria* — კლავარია, საჩეჩელა სოკო. ნაყოფს ხეულები მარტივი ან უფრო ხშირად დატოტვილია. ზოგიერთებს კარგად განვითარებული ფეხი აქვთ.

ნაყოფს ხეულის ზედაპირი ჰიმენიუმითაა დაფარული, ხორცი ნაზია: აღვილად ლპება, ბაზიდიუმები კომბლისებრია, ბაზიდიოსპორები — კვერცხისებრი ან ელიფსისებრი, უფერული ან შეფერილებია. ყველა — ნიადაგზე მცხოვრებია.

მათ შორის ზოგი საკვებად იხმარება.

აღსანიშნავია *Ci. cinerea*. ნაყოფს ხეული დატოტვილია და კარგად განვითარებული ფეხი აქვს. ტოტების დაბოლოება ცილინდრულია, ბაზიდიუმებზე ორი სტერიგმაა. ნაცრისფერია; *Ci. Botrytis*-ს ყვითელი დიდი ძლიერ დატოტვილი ნაყოფს ხეული და მოკლე მოწითალო ან მოყავისფრო ტოტები აქვს; ტყეში ნიადაგებზე გვხვდება; *Ci. aurea* — ნაყოფს ხეული ოქროსფერია (კვერცხის გულის ფერი). ტოტები ხშირია და წვერი კბილებადაა დანაკვთული.

ოგ. *Hydnaceae* — ზღარბა სოკოები. ზღარბა სოკოები შედარებით მცირე ჯგუფს შეადგენს. მათვის დამახასიათებელია ეკლიანი ჰიმენიუმი ნაყოფს ხეულის ქვედა მხარეს უგითარდება სხვადასხვა ზომის ექლები, რომელთა ზედაპირი ჰიმენიუმით იფარება.

ბაზიდიები კომბლისებრია, 2—4 სტერიგმიანი.

ზღარბა სოკოების ნაწილი პარაზიტებია, ნაწილი კი მიწაზე მცხოვრები საპროფიტები. ნაყოფს ხეულის აგებულების, ფერისა და ჰიმენოფორის მიხედვით რამდენიმე გვარია გამოყოფილი, რომელთა ზედაპირი ჰიმენიუმით იფარება:

გვ. *Radula* — რაღულა. ნაყოფს ხეული გართხმულია, იშვიათად კიდეწამოწეული, აპკისებრი. ხორცისებრი; კონსისტენციისა სხვადასხვა ფერისაა. ჰიმენოფორის ზედაპირი ჯგუფად შეკრებილ ან ერთეულად მდგომ ბლაგწვერიან ბორცვებითაა დაფარული. ბაზიდიუმები კომბლისებრია, 4 სტერიგმიანი.

Radula pendulum — მუხაზე გვხვდება. გართხმული ნაყოფს ხეულებია.

დასაწყისში თეთრი, შემდეგ — პირისფერი. ბაზიდიუმი 2—4 სტერიგ-
მიანია; R. lactum — ფოთლოვანი ჯიშების ტოტებზე გვხვდება.

გვ. *Hydnus* — ზღარბა სოკოები. ნაყოფსხეული ქუდისებრია, ცე-
ნტრალური ან ექსცენტრული გვერდითი ფეხი აქვს. იშვიათად დატო-
ტვილიცაა, გართხმულიც გვხვდება. ჰიმენოფორი ეკლიანია, წაწვეტილი,
კონუსისებრი; ბაზიდიუმები 4 სტერიგმიანია, სპორები ელიფსისებრია,
უფერული და შეფერილი. *Hydnus repandum* ანუ ორება სოკო. ნაყოფ-
სხეული ქუდიანი, ექსცენტრული ფეხით; ჰიმენოფორი ქუდის ქვედა
მხარეზეა, ეკლიანია, მოთეთორო; ნაყოფსხეულის ზედაპირი ყავისფერია,
კონცენტრული ზონალობა აქვს. წიწვიან და შერეულ ტყეებში გვხვდება,
იჭმება. ამ სახეობასთან ახლოს დგას — *Hydnus imbricatum* — სპო-
რები ეკლებითად დაფარული, ყავისფერია, ერთი ცხიმის წვეთით.

გვ. *Jrrex* — ორპექსი. ნაყოფსხეულები მოკლე ფეხით გვერდი-
თაა. მიმაგრებული სუბსტრატზე. იშვიათად გართხმულია. ჰიმენო-
ფორი თითქოს ოდნავ წამოწეული ბუგრების ან ფირფიტების სახითაა;
ფირფიტების შეერთებით ბადისებრი ზედაპირი იქმნება. გვ. *Jrrex*-ის
ჰიმენოფორს დასაწყისში თავისი დამახასიათებელი ეკლიანი სურათი არა
აქვს, ხშირად ჯერ მილისნაირია, საბოლოოდ კი ეკლიანი ხდება; ყველა
საპროფიტებია და მკვდარ მერქანზე ვითარდებიან. აღსანიშნავია: *Jr. la-
cteus*-ი. იგი ფოთლოვან ჯიშებზე გვხვდება. გართხმული ნაყოფსხეულია,
რომლის კიდე ქუდისებრადაა ოდნავ წამოწეული. ჰიმენოფორი სავარცე-
ლისებრია, ცისტებით, ფერად — რძისებრი;

J. candidus თეთრი ორპექსი იმითაა აღსანიშნავი, რომ ჰიმენოფორის
გამონაზარდი. სხვადასხვანაირია — ბადისებრი, კბილისებრი, არათანა-
ბარი, ფიჭვის ტოტებზეა აღნიშნული; *J. fusco-violaceum* გართხმული,
კიდეაწეული ნაყოფსხეულებია: ზედა მხარე მოთეთორო და ხავერდოვანი
კონცენტრული ზოლები ემჩნევა. ჰიმენოფორი დასაწყისში ფირფიტნაი-
რია, ბადისებრი, ხოლო შემდეგ კბილისებრ ფირფიტად იშლება.

ოჯახი *Polytopaceae* — პოლიპორები ან ნი ანუ
ა ბ ე დ ა ს თ კ თ ე ბ ი. პოლიპოროვანთა ოჯახი მრავალრიცხოვანია.
მათ შორის დიდი ადგილი უკავია აბედა სოკოებს.

ნაყოფსხეულები დიდი უვითარდებათ, რის გამოც მაკროფიტებს უწო-
დებენ.

გვხვდება ქუდისებრი, ჩლიქისებრი, ფეხიანი თუ გართხმული ნაყოფ-
სხეულები. ნაყოფსხეულის კონსისტენცია სხვადასხვანაირია: გამერქნია-
ნებული, კორპისებრი, მკვრივი, ლაბასებრი და სხვა. ჰიმენოფორი ყვე-
ლას მილისნაირი აქვს. მილები სწორია ან კლაკნილი, ბადისებრი ნაოჭე-
ბისაგან შემდგარი. მილებში ბაზიდიუმებისაგან, ცისტებისაგან შემდგარი
ჰიმენიუმია. გვხვდებიან როგორც ნიაღავზე, ისე მკვდარი და ცოცხალი

ტყის ჭიშების მერქანზე, ხე-ტყის მასალაზე, სახლებში და ნაგებობის მერქნის ნაწილების ლპობას იწვევენ.

პოლიპოროვანთა სისტემატიკას საფუძვლად უდევს ნაყოფსხეულის ერთწლიანობა და მრავალწლიანობა. ერთწლიანს უწოდებენ ისეთ ნაყოფსხეულს, რომელიც მხოლოდ ერთხელ იძლევა სპორებს და შემდეგ კი იღუპება; მრავალწლიანი ნაყოფსხეული კი პირიქით არ კვდება და ყოველწლიურად წინა წლის ახალ ჰიმენოფორს ივითარებს. მრავალწლიანი ნაყოფსხეულები ხშირად 30—50 წლამდე ცოცხლობენ. ერთწლიანი ნაყოფსხეულები რბილია, კორპისებრი და აღვილად ქრება. მრავალწლიანი გამერქნებულია, მაგარია და ხეზე დიდხანს ინახება.

პოლიპოროვანთა ოჯახში შემდევი გვარები და სახეობებია აღსანიშნავი:

გვ. *Merulius* მერულიუსი. ნაყოფსხეული თხელია და გართხმულია სუბსტრატზე, იშვიათად კიდე აწეული აქს. ჰიმენოფორი — ფართო ყულფებისაგან შედგება, ამიტომაა, რომ ჰიმენოფორს ბარისნაირსაც უწოდებენ.

გვხვდებიან დამუშავებულ მერქანზე შენობებში, ნაწილობრივ ცოცხალ ხებზე. აღსანიშნავია სახლის ნამდვილი სოკო — *Mer. lacrimans* იმ შენობებში, სადაც ტექნიკური თუ კონსტრუქციული პირობები არა დაცული, რის გამოც, მერქნიან დეტალებს ტენი ხედება და მერქანს ილპობს. ამასთან დაკავშირებით ხშირია იატაკის და ჭერის ლპობა, ჩამონგრევა. მიცელიუმი ძლიერაა განვითარებული. იძლევა გრძელ, ოდნავ მობრტყო ნაცრისფერ თასმებს და მოყვითალო-ოქროსფერ გართხმულ ნაყოფსხეულებს. აღსანიშნავია: *M. silvestris* მსგავსი ნამდვილი სახლის სოკოსია სპორები მოყვითალო-ყავისფერია; *M. rufus* — გართხმული ნაყოფსხეულით, ფიჭასებრი ჰიმენოფორით, ცილინდრული სპორებით — გვხვდება ფოთლოვანი და წიწვოვანი ხეების მერქანზე და მის ლპობას იწვევეს.

გვ. *Fistulina* — ფისტულინა. ნაყოფსხეული [გვერდითი ან ცენტრალური ფეხით სუბსტრატზეა მიმაგრებული, რბილია, მოწითალო აგურისფერი.

ჰიმენოფორი მილისნაირია; მილები ერთმანეთისაგან განცალკავებულია. ნაყოფსხეულის ხორცში თეთრი ხაზებიც გასდევს. სპორები ელიფსისებრია, ღამ-ყავისფერი; ერთ სახეობას შეიცავს, კერძოდ *Fis. hepatica* — ღვიძლა სოკო. იწვევს მუხის, წაბლისა და სხვა ტყის ჭიშების მერქნის ლპობას, ნაყოფსხეული რბილია და მტვრევადი.

გვ. *Poria* — პორია, სახლის თეთრი] სოკო. სახლის სოკოების ჭგუფს ეკუთვნის. ნაყოფსხეულები თეთრია, გართხმული და მიცელიარული შრით სუბსტრატზეა მიკრული. ჰიმენოფორი ვერტიკალურად მდგომი მოკლე მილებისგანაა შემდგარი, იშვიათად, გვერდულად ან ჰიმენონტალურადაცაა განლაგებული.

მრავალ წარმომადგენლებს შეიცავს, ჩვენში აღსანიშნავია სახლის თეთრი სოკო *Porria Vailantii*; იგი გვეცვდება შენობებში, სადაც ფიჭვის მერქნის სწრაფ ლპობას იწვევს. ნაყოფს ხეული გართხმულია, თეთრი, ჰიმენოფორი — ვერტიკალურად მდგომი. მიცელიუმი ბამბისებრია და თეთრ ცილინდრულ თასმებს ივითარებს; *P. vaporaria* თეთრი სახლის სოკოს მსგავსია; ერთწლიანი ნაყოფს ხეულია.

გვ. *Polyporus* — პოლიპორუსი. ნაყოფს ხეულები ერთწლიანია, უმთავრესად რბილი. და კორპისებრი კონსისტენცია აქვს. ფორმით ნახევარ ქუდისებრი და გვერდით სუბსტრატზე მჯდარი. იშვიათად, ექსცენტრული ფეხით.

ჰიმენოფორი მილისნაირია და ნაყოფს ხეულის უნაყოფო ქსოვილთან არაა შეზრდილი. ხორცი თეთრია ან, იშვიათად, ყვითელი. მილები მომრგვალოა, იშვიათად დაკუთხული; ბაზიდიუმები კომბლისებრია, ბაზიდა-ოსპორები უფერულია, მრგვალია ან მოგრძო.

გვარი *Polyporus*-ი შეიცავს როგორც საპროფიტებს, ისე პარაზიტებ-საც. ეს უკანასკნელნი მერქნიან მცენარეთა ღეროს სხვადასხვა სახის ლპობას იწვევენ. ჩვენში ხშირია, მაგალითად, *Polyporus squamosus* — ძ ე რ ა ნ ა . ს ო კ ო, იწვევს ლელვის, კაქლის, ნეკერჩელის, თელის ღე-როს დაავადებას. ნაყოფს ხეული ქუდისებრია, მხრებზე ყავისფერი ქერც-ლი აქვს, ექსცენტრული ფეხით სუბსტრატზეა არამდენიმე ერთად მიმაგრებული. ერთწლიანი ნაყოფს ხეული აქვს;

P. hispidus — თ უ თ ი ს ს ო კ ო ჩვეულებრივია თუთაზე, თელაზე, ალვის ხეზე. მუქი-ყავისფერი საყმაოდ სქელი ნაყოფს ხეული და მაღალი მილებისაგან შემდგარი ჰიმენოფორი აქვს, რომელიც უნაყოფო ქსოვილი-საგან აღვილად ძვრება. სპორები მოყავისფროა. იწვევს გულის სიდამპლეს; *Pol. sulphureus* ნაყოფს ხეულები დიდია, ყვითელი, გოგირდის-ფერი; სპორები უფერული; აავადებს ტირიფს, ალვის ხე... მოთეთრო-მონაცრისფრო ნაყოფს ხეულებს იძლევა, ფოთლოვანი და წიწვოვანი ჯი-შების მოჭრილ მერქანზე გვეცვდება; *Pol. betulinus* ა რ ყ ი ს ს ო კ ო-დ ა ა ცნობილი. თეთრ თირკმლისებრ ნაყოფს ხეულებს იძლევა. არყის მთავარი პარაზიტია.

გვ. *Daedalea* — დედალეა. ნაყოფს ხეულები ქუდისებრია, უმთავრესად გვერდით მიმაგრებულია სუბსტრატზე, ტყავისებრია და კორპისებრი, იშვიათად ფეხითა; ხშირად კრამიტისებურად განლაგებულია ერთიმეორეზე, ერთწლიანია, თეთრი ან მოყვითალო ქსოვილით. ჰიმენოფორი ლაბირინთისებრია, დაკლაკნილი, ერთმანეთთან გაერთიანებული ფირფატიტებით. ახალგაზრდობაში ფართოფორმოვანია და შეზრდილია ნაყოფს ხეულის ძირითად ქსოვილთან. ჰიმენიუმი შედგება ბაზიდიუმებისა და ცისტიდებისაგან. სპორები ელიფსისებრი, უფერულია; ჩვენში ფართოდაა გავრცელებული *D. quercina* მუხის დედალეა. აავა-

დებს, უმთავრესად, მუხის მერქანს. იშვიათად, სხვა ფოთლოვანებზე-დაცაა აღნიშნული, ნაყოფსხეული კორპისებრია, სუბსტრატზე გვერდითაა მიმაგრებული.

ზედა მხარე ხორკლებითაა დაფარული ან ოდნავ შებუსუსებულია. ქვედა მხარე ლაბაბივითაა ჩამოშვებული და ლაბირინთისებრ ჰიმენოფორს წარმოადგენს. მერქანს ალბობს; *D. unicolor* — მოთეთრო-მონაცრისფრო ტყავისებრი ნაყოფსხეული აქვს. ზედა მხარე შებუსუსებულია, რაზედაც კონცენტრული ზონალობა ემჩნევა; ჰიმენოფორი მონაცრისფრო-ყავისფერი ან მოშაოა; ფირფიტები საბოლოოდ იფლითება ჰიმენიუმი ცისტიდებს და პარაფიზებს შეიცავს.

ვგ. *Trametes* — ფიჭვის ტრამეტესი. სხვადასხვა სახის მრავალწლიან ნაყოფსხეულებს ივითარებენ. ნაყოფსხეულები ქუდისებრია, რეზუპინატური და სხვ.; ნაყოფსხეულის ქსოვილი მთლიანია. ჰიმენოფორის და ნაყოფსხეულის ქსოვილთა შორის განსხვავება არ შეიძლება. ჰიმენოფორი ერთ ან მრავალშრიანია. ფორების ანუ მილების პირი არათანაბარზომიერია; ზოგი მრგვალია, ზოგი დაკუთხული. სპორები ერთუჯრედიანია, უფერული ან შეფერილი. მათ შორის გვხვდებიან საპროფიტებიც და პარაზიტებიც.

პარაზიტებიდან აღსანიშნავია ე. წ. ფიჭვის ტრამეტესი — *Tr. pini* იწვევს ფიჭვის მთავარი ლეროს ცენტრალურ სიდამპლეს. მრავალწლიანი ნაყოფსხეული აქვს, ყანგისფერი, ქერქი კი მოშაოა, გამერქნიანებული. ზედა მხარეს კონცენტრიული და მოკლე რაღიალური ბზარები ემჩნევა. ჰიმენოფორი დაკუთხული მილებისაგან შეღვება; *Tr. abietis* მსგავსია ფიჭვის ტრამეტესისა, ოღონდ ნაყოფსხეული უფრო მცირეა. იწვევს ნაძვის ანდა სოჭის ლეროს ცენტრალურ სიდამპლეს; *Tr. sylvareolens* — სუნიანი ტრამეტესი — წნორის, ვერხხის, ალვის ხის ლეროზე გვხვდება და ალბობს. ნაყოფსხეული ჩბილია, კოპისებრი, სადა ზედაპირიანი. ახალ ნაყოფსხეულს ანისის სუნი აქვს..

ვგ. *Fomes* — ფომესი ნაყოფსხეულები დიდია, მაგარი, გამერქნიანებული. ფორმით ან ქუდისებრია, ან ჩლიქისებრი, სუბსტრატზე გვერდითაა მიმაგრებული. ზედა მხარეზე კონცენტრული ზონალობა ემჩნევა, რომელთა რიცხვი მისი ხნოვანების მაჩვენებელია. ჰიმენოფორი მრავალშრიანია, თვით ნაყოფსხეული კი მრავალწლიანი; ბაზიდიოსპორები ერთუჯრედიანია, სხვადასხვა ფორმისა და ფერისა.

უმთავრესად ჭრილობების პარაზიტებია და ფოთლოვანი და, იშვიათად, წიწვოვანი ტყის ჯიშების მერქის ლპობას იწვევენ.

ყველაზე გავრცელებულია ფოთლოვანებზე — *Fomes fomentarius* ნამდვილი აბედის სოკო, ანუ წიფლის სოკო. ნაყოფსხეული დიდი ზომისაა და ნაცრისფერი ზედაპირი აქვს; ჰიმენოფორი სწორია, მოყვითალო თანაბარზომიერი მილების პირით. წიფლის მერქ-

ნის მთავარი დამშლელია. გვხვდება როგორც ცოცხალ მერქანზე, ისე მოჭრილზე ტყენაკაფებში; *Fomes igniarius*-ი (*Phellinus igniarius*) ფოთლოვანი ჯიშების მერქანზე: მუხაზე,¹ თელაზე, იფნაზე, წაბლზე გვხვდება. წაგავს წიფლის სოკოს, მხოლოდ ქერქი აქვს შავი და დაშაშრული. ჰიმენოფორი ჩამოწერილია; *Fomes fulvus*-ი კურკოვან, მცენარეთა მერქნის პერიფერიულ ლპობას იწვევს. ნაყოფსხეულები ბრტყელია. გვერდითაა სუბსტრატზე მიმაგრებული და ზედა მხრიდან ოდნავ წამოწეული. იშვიათად სხვა ჯიშებზედაც გვხვდება *F. robustus* მუხაზე გვხვდება და იწვევს ღეროს თეთრ სიღამპლეს; *F. annosus* (*Fomitopsis annosus*) ფიჭვის მთავარი ფესვების სიღამპლის გამომწვევია. ნაყოფსხეული გართხმულია, ოდნავ წამოწეული კიდით, რაზედაც კონცენტრული ხაზები შეიმჩნევა. მოწითალო მკერივი ქსოვილი აქვს; *F. pinicola* (*phelinus*), ფიჭვის, ანუ ჭრელი ფომესი. ნაყოფსხეული დიდია, კიდე ყვითელია, შემდეგ — წითელი და ბოლოს მუქ ყავისფერში გადადის; ჰიმენოფორი ყვითელია. იწვევს წიჭვიანების, მეტადრე სოჭისა და ნაძვის, ჯირკვებისა და ღეროს ლპობას ტყეებში.

გვ. *Ganoderma* — განოდერმა. განოდერმას ნაყოფსხეულები ერთ ან მრავალწლიანია. გვერდით მიმაგრებულია სუბსტრატზე, ზოგი-ერთს კარგად განვითარებული ექსცენტრული ფეხი აქვს. გარდა ჰიმენოფორისა მთელი სხეული კრიალა ქერქითა დაფარული და მოწითალო-ყავისფერია.

ჰიმენოფორი თანაბარზომიერი მილებისაგან შეღვება. ჩვეულებრივად იმავე ფერისაა, როგორისაც ნაყოფსხეული, მაგრამ, მოთეთრო ნივთიერების გამოყოფის გამო, თეთრად მოჩანს; საკმარისია ჰიმენოფორს ხელით შევეხოთ, რომ სითეთრე გადაეცლება და ყავისფრად გამოჩნდება. დამახასიათებელია ბაზიდიოსპორების ავებულება; მომრგვალოა, ორმაგი გარსით, გარეგანი გარსი ეკლიანია, სპორა მოყავისფროა. იწვევს ფოთლოვანი ჯიშების ცოცხალი მერქნის სიღამპლეს.

Ganoderma applanatum ნაყოფსხეული მოწითალო ყავისფერია, ბრტყელი, მრავალწლიანი; ჰიმენოფორი მოთეთროა, ხოლო ხელის შესების შემდეგ მოყავისფრო-წითელი ხდება. გვხვდება ფოთლოვანებზე — რცხილაზე, მუხაზე, ლელვზე, კაკალზე და სხვ. იწვევს ღეროს ცენტრალურ მოყვითალო-მურა სიღამპლეს; *Gan. lucidus* — ნაყოფსხეული მრგვალია ან ექსცენტრული შედარებით მაღალი ფეხითაა, დაფარულია მოწითალო-ყავისფერი კრიალა ქერქით; ჰიმენოფორი დასაწყისში მოთეთროა, მომწიფებისას მოყავისფრო, გვხვდება ფოთლოვანი ჯიშების ჯირკებზე.

რიგი *Agaricales* — ქუდიანი სოკოები. ქუდიანი სოკოების რიგი ყველაზე გავრცელებული და მრავალრიცხვანია. მოსახლეობაში ცნობილია საჭმელი და შხამიანი სოკოების სახით. რაოდენობა

საჭმელი სოკოებისა, რომელსაც მოსახლეობა იყენებს, ორ ათეულს თუ მთალწევს, შხამიანი სოკოების ჩიცხი კიდევ უფრო მცირეა, დაარჩენების თვისისგები ჯერ კიდევ შეუსწავლელია. ღიღი უმრავლესობა საპროფიტებია. მათი მიცელიუმი ნიადაგშია, მხოლოდ მისი ნაყოფს ხეული ამოდის ნიადაგის ზედაპირზე. ამ სოკოთა მცირე ნაწილი პარაზიტებად ითვლება და კულტურულ და ველურ მცენარეთა ფესვის ან ღეროს დაავადებას იწვევს. ზოგიერთი ცნობილია როგორც მიკორიძების წარმომშობი.

უმრავლესობის ნაყოფს ხეული ორი ნაწილისაგან შედგება — ქული-საგან, რომლის ფორმა მრგვალია, და ფეხისაგან, რაზედაც ქუდია განვითარებული. ფეხით ან მთლიანია, ან შიგნით ღრუ აქვს, შეიძლება ცენტ-რალური იყოს ან ექსცენტრული. ქუდის ქვედა მხარეზე ფირფიტოვანი ჰიმენოფორია, რაზედაც განვითარებულია. ბაზიდიუმები. ბაზიდიოსპორები ოთხია, ლფერული ან შეფერილი, მოგრძო ან მრგვალი. ზოგიერთს ეკლებით დაფარული ბაზილისპორები აქვს.

ქუდიანი სოკოების ნაყოფს ხეული ჰემიანგიოკარპიულია, რაღვან დასტყისში ჰიმენოფორი დაფარულია სოკოვანი აპკით, შემდგომ კი, ნაყოფს ხეულის საბოლოო განვითარებისას, აპკი იშლება და ჰიმენოფორი თავისუფალი, დაუფარავი რჩება.

აპქს უწოდებენ აგრეთვე საბურველს, რომელსაც ქუდიან სოკოებში ორი სახისა არჩევენ. პირველი იქნება საერთო საბურველი, ხოლო მეორე — კერძო საბურველი. საერთო საბურველში ახალგაზრდა ნაყოფები მთლიანადა გახვეული. ქუდი ფეხიანია. ამის საუკეთესო მაგალითია ნიკვი ანუ სოკოწითელა — *Amanita cesareus*. მისი ახალგაზრდა ნაყოფი კვერცხისებრია, თეთრი და ნიადაგთანაა დაკავშირებული. ნიკვის ნაყოფს ხეულის ქუდი და ფეხი ამ კვერცხიდან გამოდის. ამ უკანასკნელის წვერი სკდება და ამოდის ფეხზე განვითარებული გაშლილი ქუდი. კვერცხიდან რჩება მარტო ბუდე, რაშიაც ფეხის ფუძეა მოთავსებული. ზოგჯერ საერთო საბურველი შეზრდილია ქუდთან. ამ შემთხვევაში ქუდი რომ იზრდება, საბურველის ნაგლეჯები ქერცლის სახით ზედ შერჩება. ნიკვზე ეს მოვლენა იშვიათია, მაგრამ სხვა სოკოებში ხშირია. მაგ. წითელი შხამა — *Amanita cesareus*.

საბურველის მეორე სახე იქმნება მაშინ, როდესაც სოკოს ახალგაზრდა ქუდის კიდე და ფეხი ერთმანეთთანაა დაკავშირებული. ქუდის შემდგომი განვითარებით მისი კიდე ფეხს თანდათან სცილდება, ქუდი გადაიშლება, ქუდისა და ფეხის შემაერთებელი აპკი სკდება. წყდება, ნაწილი ქუდის კიდეს გაპყვება, ნაწილი კი ფეხზე შერჩება საყელოსავით. ამას კერძო საბურველი ეწოდება. საბურველი ყველა სოკოს არ მოეპოვება. ზოგს მარტო საერთო საბურველი აქვს, ზოგს კი მარტო კერძო, ზოგს — ორივე, ზოგს კი სრულებით არა აქვს. ამის გამოა, რომ ქუდიანი სო-

კოების რკვევის დროს საბურველის ტიპი სისტემატიკურ ნიშანთვისებად თვლება.

ქუდიანი სოკოების კლასიფიკირისათვის მნიშვნელობა ეძლევა ქუდის ფორმას. იგი ამოწეულია, ან სწორი ზედაპირი აქვს, ან ჩაზნექილი, ან ძარღისებრია და სხვა.

მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმას, თუ ფირფიტები როგორაა ქუდზე მიმაგრებული. ფირფიტა ქუდზე დატეული, თუ ფეხზედაც ჩამოდის. სპოროვანი მასის მტკვერის ფერის ცოდნაცა ხანდახან საჭირო. დაგახასიათებთ შხამიანი და საკვები სოკოების მხოლოდ რამდენიმე ოჯახის წარმომადგენელს ცალკე გვარების მიხედვით.

ოჯ. *Paxilaceae* — პა ქსილუსისებრი. ნაყოფსხეულები ხორციანია, ცენტრალური ან ექსცენტრული ფეხით. ფირფიტები ძირს მსრბოლია, ე. ი. ის ქუდის გარდა ფეხზედაცა ჩამოსული, სადაც ერთმანეთთან ანასტომოზებით ერთდებიან და თითქმის მილისნაირი ჰიმენოფორი იქმნება. ერთი გვარია ცნობილი რამდენიმე სახეობით. აღსანიშნავია *Pax. acheruntius*. მას მაღარებში სამაგრი ხე-ტყის მასალის ლპობას იწვევს. ქუდი მარაოსებრია, ან ოდნავ ჩაზნექილი, უფეხო, ან მოკლე ფეხით სუბსტრატზე მიმაგრებული.

ოჯ. *Cantharelaceae* — მიქლიოსებრი. ნაყოფსხეული უმთავრესად ძაბრისებრია ყვითელი ცენტრალური ფეხით. ფირფიტები ქუდის ქვედა მხარეზე და ფეხზე ჩამოსდევს ბლავები წიბურის სახით, რაზედაც ჰიმენიუმია განვითარებული. ზოგჯერ, თუმცა იშვიათად, არც წიბურები ემჩნევა. ბაზილიოსპორები უფერულია.

აღსანიშნავია *Canth. cibarius* — მიქლიო, ყვითელი, ძაბრისებრი კიდენაკვთული ნაყოფსხეული უვითარდება. ჰიმენოფორი ძირს მსრბოლია. საჭმელი სოკოების რიგს ეკუთვნის.

ოჯ. *Agaricaceae* — ქუდიანი სოკოების ოჯახია. ნაყოფსხეული ქუდიანია, ცენტრალური ან გვერდითი ფეხი აქვს. ჰიმენოფორი ფირფიტისებრია, ფირფიტა ქუდზე მიმაგრებული ან ფეხზედაც გადადის. აქვთ საერთო და კერძო საბურველი, ფეხი მასიურია ან ცილინდრული ღრუ აქვს.

გვ. *Coprinus* — კოპრინუსი. სილიოსებრი. ნაყოფსხეულები რბილია, ცენტრალური ფეხით. ქუდი ზარისებრია. საერთო და კერძო საბურველი აქვს, ზოგს — არა. ჰიმენოფორი ცისტიდებითა, შავია. დამახასიათებელია ნაყოფსხეულის სწრაფად დაშლა შავ-მასალ. ორგანული ნივთიერებით მდიდარ ნაკვეთებზე გვხვდება.

მათი წარმომადგენლებია — *Coprinus percellans*-სილიოსოკო ჯგუფად ვითარდება. რბილი ხორციანი ნაყოფსხეულები აქვს საერთო და კერძო საბურველით. ზედაპირი მონაცრისფროა, საჭმელია, თუმცა იჭმება მხოლოდ ახალგაზრდა ნაყოფი.

გვ. *Marasmius* — მარაზმიუსი. ნაყოფსხეულები წვრილია, კარგად განვითარებული მკერივი ფეხით, ღასაწყისში ზარისებრია, შემდეგ ქოლგასავით იშლება, ელასტიკური ხდება, არ ფუჭდება, ღასველებას იტანს, ბაზიდიოსპორები უფერულია. გვხვდებიან გამხმარ ფოთლებზე, წიწვებზე, მიწაზე და სხვ.

გვ. *Schizophillum* — შიზოფილუმი. ნაყოფსხეულები წვრილია, შონაცრისფრო-თეთრი. ზედა მხრიდან ბუსუსიანია, ხოლო ქვედა მხარეზე ფირფიტისნაირი ყავისფერი ჰიმენოფორი აქვს და მოკლე ფეხითაა მიმაგრებული. მომწიფებას ფირფიტები მთელ სიგრძეზე ორად იყოფიან და კიდე გარეთ ეგრისებათ. ცხოვრობენ მერქნიანი ჯიშების მკვდარ მერქანზე: ხშირია ცეცხლისაგან ან ყინვისაგან დაზიანებულ ხეებზე. ერთი წარმომადგენელია *Schiz. communae*.

გვ. *Panus* — კაცისყურასებრი. ნაყოფსხეულს აქვს შებუსუსებული ზედაპირი, რომლის კიდე ორნავ დახრილია აღამიანის ყურივით. ჰიმენოფორი ფირფიტისებრია, კიდემთლიანი; მოყვითალო ნაყოფსხეულებია, არ ფუჭდება და ინახება ბუნებაში.

Panus rufidus (კაცისყურა) გვხვდება გამხმარ მერქანზე. ნაყოფსხეულებს პატარა ჯგუფებად ივითარებს. ჩვენში მთიან რაიონებში ყველის შესაძედებლად საკვეთად ხმარობენ.

გვ. *Lactarius* — რძიანა სოკოები. რძიანა სოკოები ხშირად გვხვდება ბუნებაში და მრავალ წარმომადგენელს შეიცავს. მისი ნაყოფსხეული რბილი, მტვრევადი ქსოვილისაგან შედგება. მექანიკური დაზიანების დროს რძისებრ სითხეს გამოყოფს. ზოგიერთების რძე ჰაერზე დაყოვნების შემდეგ უანგდება და ფერს იცვლის. რძიანა სოკოების ნაყოფსხეულში სპეციალური უჯრედებია, რომლებიც რძის გამტარ ჭურჭლებად ითვლებიან. ჰიმენოფორი ფირფიტისებრია.

თეთრრძიანი სახეობებია:

Lactarius piperatus — ვარყა სოკო, საქართველოში ყველანაა. ნაყოფსხეული თეთრია; რძეც თეთრია, ძალიან მწარეა, მაგრამ შეწვის შემდეგ სიმწარე ეკარგება. *Lact. deliciosa* — მჭადა სოკო; ტყის პირობებში ბუჩქნარებში გვხვდება. ნაყოფსხეული ნარინჯისფერია, ცილინდრული ფეხით. რძესაც ნარინჯისფერს იძლევა; საუკეთესო საჭმელ სოკოდ ითვლება.

Lact. sanguineus — ცრუ მჭადა ან წითელ რძიანა სოკო. პირველად აშკარა წითელი რძე აქვს; შემდეგ მწვანდება. ნაყოფსხეულიც მონარინჯისფრო-წითელია, ფირფიტები ჯერ მოთეთროა, შემდეგ წითლდება. საჭმელ სოკოდ ითვლება.

გვ. *Russula* — ხრაშუნა სოკოები. ხრაშუნა სოკოებს სახელ-წილება მათი ნაყოფსხეულის კონსისტენციის მიხედვით აქვთ შერქმეული. რბილია, მტვრევადი, რძეს არ შეიცავს. ხელში დაფხვნისას ხრაშუნს იწვევს.

ნაყოფსხეულის ქუდი მრგვალია და სხვადასხვა ფერის. ჰიმენოფორი ფირფიტოვანია, თეთრი ან მოყვითალი, თავისუფალი, ძირსშერბოლი, ფეხი უმეტესად ღრუიანი აქვთ.

ბაზიდიოსპორები სფეროსებრია ან ელიფსისებრია, ეკლიანი ან ბორცვებიანი გარსით.

სახეობების გარკვევისას ქუდის ფერს აქცევენ ყურადღებას. ქართულად თითოეულ მათგანს შესაფერისი სახელი აქვს.

აღსანიშნავია: *Russula rubra* — წითლიო. ქუდის კანი წითელია, ჰიმენოფორი და ხორცი თეთრი აქვს; *Russ. rubra* მოლურჯო ზედაპირი აქვს. მტრედა სოკო; *Russ. lilae* — ღვინიო და სხვა.

გვ. *Amanita* — ამანიტა. ნიყვისებრნი. ამანიტას ნაყოფსხეული საკმაოდ დიდია. მისთვის ღამახასიათებელია საერთო და კერძო საბურველი. განვითარებული ნაყოფსხეულის ფეხის ფუძე საერთო საბურველშია ჩამჭდარი, ზოგიერთ სოკოს საერთო საბურველის ნაშთი ქუდის თავზედაც რჩება ქერცლის სახით. ფეხზე კარგადაა შერჩენილი კერძო საბურველიც საყელოს სახით. უმრავლესობა შხამიანია, მაგრამ, საჭმელისოკოებიც უჩიევია, მაგალითად, *Amanita cesareus* — ნიკე ვი, სოკო წითელა. ლათინური სახელწოდება კეისრის სოკოს ნიშნავს. საკვებად საუკეთესო სოკოდ ითვლება.

ნაყოფსხეული პირველად საერთო საბურველით ამოდის მიწიდან და კვერცხისებრია. შემდეგ წვერი იხსნება და ჩნდება სოკოს წითელი ქუდი, შემდეგ ფეხიც კერძო საბურველით. ჰიმენოფორი და ფეხი მოყვითალოა. გვხვდება მუხნარ და წაბლნარ ტყეებში. მაღალი ლირსების მქონე საჭმელი სოკო; *Amanita muscaria*-ს ქართულად წითელი შხამიანი ეწოდება. ნაყოფსხეული ზედაპირით წითელია და დაფარულია საერთო საბურველიდან დარჩენილი თეთრი ქერცლებით. ხორცი თეთრი აქვს. ხშირია წიწვიან ტყეებში. *Am. phalloides* — თეთრი შხამა. ნაყოფსხეულის ქუდი თეთრი ან ოდნავ მომწვანოა. ქუდის ზედაპირზე საერთო საბურველის ქერცლი სუსტად ემჩნევა. ფეხის ფუძე ბოლქვისებრად გასქელებულია და საერთო საბურველში ზის. ხორცი თეთრია, ხოლო საყელო — თეთრი ან მომწვანო. შხამიანი სოკო. *Am. panterina* ქუდი მონაცრისფრო-რუხია. იშვიათად წენგოსფერი იერი გადაპკრავს, ქუდის ზედაპირზე კონცენტრულად ან არეულად განლაგებული საერთო საბურველის ქერცლი აქვს. ფეხი თეთრია, ფუძე — გასქელებული, ტყეებში გვხვდება, შხამიანია.

გვ. *Lepiota* — წეროსწვივისებრნი. ნაყოფსხეულები ხორციანია, დასწუყისში ნესტიანია, შემდეგ შრება. ქუდის ზედა მხარე დაფარულია კონცენტრულად, კრამიტისებრად ერთმანეთზე მიწყობილი საერთო საბურველის ყავისფერი ქერცლით. ფეხზე კერძო საბურველი აქვს.

ამ გვარის წარმომადგენელია *Lep. procera* — წეროსწვივია ანუ მეზაგრიო. ნაყოფსხეული მაღალ ფეხზეა, რომელიც იშვიათად 40 სანტიმეტრამდე აღწევს.

ვ3. *Armillaria* — მანქვალასებრნი. მანქვალა უმთავრესად ხე-ნილისა და ტყის ჯიშების ფესვის სიღამპლეს იწვევს.

ნაყოფსხეული ოდნავ მოყავისფროა, ჯუფადაა განვითარებული და-ავადებული მცენარის ფესვის ყელთან. ხორცისფერია, კერძო და საერ-თო საბურველი აქვს. ფირფიტები ფეხზეა შეზრდილი. წარმომადგენელი — *Arm. mellea* — მანქვალა სოკო — აავადებს კურკოვნებს და ტყის ჯიშებს, ტუნგოს, ვაზს და სხვ. ყველა შემთხვევაში ფესვის სიღამპლეს იწვევს და ავადმყოფობა ერთნაირად მიმდინარეობს. გარდა ბაზიდიო-სპორებისა ივითარებს რიზომორფებსაც.

ვ3. *Phsaliota* — ფსალიოტასებრნი (ქამსებრნი). ფსალიოტასებრთა გვარში შედის აგრეთვე ქამა სოკოების ჯუფი. ნაყოფსხეული ქუდიანია, კარგად განვითარებული საერთო და კერძო საბურველით. ჰიმე-ნოფორი ფირფიტისნაირია და მოშავო ან ყავისფერი; ბაზიდიოსპო-რები ისტერია ან. მუქი-მურა, ყავისფერი. ქამა სოკოებიდან აღსანიშ-ნავია: *Phs. compestris* — ქამა სოკო ნაკელიან, ორგანულ ნივთიერებე-ბით მდიდარ ადგილებში გვხვდება. ბინებთან, ბოსტნებში, ნაყოფსხეუ-ლების ქუდი ოდნავ ხავერდოვანია, ქერცლიანი; ფეხზე საყელოთა; ხორცი თეთრია, გადატეხის შემდეგ ოდნავ ბირისფერი გადაქრავს. ახა-ლი ჰიმენოფორი ოდნავ მოყავისფრო-მოწითალოა, მომწიფებისას კი მუქი-ყავისფერი და შავი ხდება.

ქამა სოკოებიდან აღსანიშნავია აგრეთვე *Phs. silvestris* ტყის ქამა: ხშირია საძოვრებზე, *Phs. arvensis* ველის ქამა.

ვ3. *Pleurotus* — ხეთამხალასებრნი ანუ პლეუროტუესი. ზოგვან მერცხალასაც უწოდებენ. ნაყოფსხეული მომრგვალოა ან რამდენიმე ნაყოფსხეული ერთად გვერდითაა სუბსტრატზე ჯუფად მიმაგრებუ-ლი. ნაყოფსხეულის ხორცი თეთრია, ფიფრიტები ფეხზედაცა შე-ზრდილი.

აღსანიშნავია P. 1. *Ostreatus* ხეთამხალს უწოდებენ. გვხვდება უმ-თავარესად მოჭრილი ხეების მორებზე, გადანაჭერ ვერხვზე და] სხვა. ნაყოფსხეული მსხვილია, ზევიდან მოყავისფრო, ჰიმენოფორი თეთ-რია.

რიგი — *Gasteromycetes* გასტერომიცეტები. სხვა ბაზიდიანი სოკოებისაგნ დახურული ნაყოფ-სხეულებით განსხვავდება. მათ ანგიოკარპიული ნაყოფსხეულები აქვთ. ჰიმენური შრე მომწიფებამდე დახურულია ერთ ან ორშრიანი მფარავი კედლით, ანუ პერიდიუმით. ბაზიდიოსპორები მაშინ თავისუფლდებიან, როდესაც მღარავი კე დელი ირლვევა — იშლება, რის შედეგადაც ბა-


ზიდიალური ნაყოფიანის მომცემი ნაწილი ზედაპირზე აღმოჩნდება და ნივის მოძრაობით ბაზიდიოსპორები აღვილად ვრცელდებიან. გასტერომიცეტების ზოვიერობა წარმომადგენელს (მაგალითად, *Lycoperdon*-ს ნაყოფსხეულის წვერზე ჸსპერიალური პორუსი, ანუ კარი აქვს განვითარებული, საიდანაც ბაზიდიოსპორები თავისუფლად ვრცელდებიან.

გასტერომიცეტების ნაყოფსხეულები მოძრვალო და სუბსტრატზე მჯდომარეა (*Bovista*), ზოგი კი მოკლე ან გრძელი კარგად გამოკვეთილი ფეხითაა.

ნაყოფსხეულის შიგნითა, ცენტრალურ ნაწილს, საიდანაც ბაზიდიუმები ბაზიდიოსპორებითურთ წარმოიქმნება, გლება ბას უწოდებენ. მხოლოდ გარეთა წაწილს, რაც გლებასა ფარავს — პერიდიუმი ეწოდება. ახალგაზრდა ნაყოფსხეულზე გლება ოთხრია. გლებაში შემდეგ თანდათან კამერები წარმოიქმნება, რომელთა კედლის ზედაპირიდან ვითარდებიან ბაზიდიუმები მოშავო ბაზიდიოსპორებით, რის გამოც გლება შავდება. კამერების შემქმნელ მიცელიარულ შრეს ტრამს უწოდებენ. გლებაში ვითარდებიან აგრეთვე ბაზიდიოსპორების გაფანტვის ხელისშემწყობი წარმონაქმნები, ე. წ. კაპილიციუმები. ეს უკანასკნელნი ძაფისნაირია, ზამბარავისებრი და ელასტიკური. ბაზიდიუმი 2-დან 10-მდე ოვალურ ან მოგრძო, უფერულ ან შეფერილ და სადა, ეკლებიან ან ბორცვებით დაფარულგარსიან ბაზიდიოსპორას ავითარებს.

გასტერომიცეტების სისტემატიკა დამყარებულია მათი ნაყოფსხეულის ფორმაზე, გლებას აგებულებაზე (კამერიანი, უკამერო), ბაზიდიოსპორების ფორმაზე...

აღვინშნავთ ჩვენში საკმაოდ ფართოდ გავრცელებულ რამდენიმე ოჯახის წარმომადგენელს,



სურ. 79. *Armillaria* — მანჭვალა.

ოჯ. *Sclerodermataceae* ნაყოფსხეულები მიწის ქვეშ ან მიწის ზედაპირზეა განვითარებული. ფორმით ტუბერისებრია, მომრგვალო, გლებაში ბაზიდიუმები ჰიმენიურ შრეს არ ქმნიან. ისინი გაფანტული ან პატარა ჭგუფად არიან შეკრებილი. პერიდიუმი ერთ ან ორშრიანია და მომწიფებისას იშლება. ბაზიდიოსპორები ზღან — 12-მდეა, ბაზიდიუმების გვერდზეა მჯდომარე, მურა, ხორციანი გარსი აქვთ. მომწიფებისას გლება მთლიანად ბაზიდიოსპორებად იშლება.

წარმომადგენელთაგან დავსახელებთ — *Scleroderma vulligari* s-ს. ნაყოფსხეული მიწის ქვეშ ვითარდება, იშვიათად ნახევრად ამომჯდარია და ფუძეზე თასმისებრი თეთრი მიცელიუმის ჭიმი აქვს. გლება დასაწყისში ბაკი-მონაცრისტროა, შემდეგ კი მოშავო-ისტერი ხდება. იხსნება პერიდიუმის დაშლით. ბაზიდიოსპორები 2—3-ია, მოშავო, ისტერი იერით. მყრალი სოკოა, უმეტესად ტყეებში, პარკებში, ბალებში გვხვდება.

ოჯ. *Lycoperdaceae* — ლიკოპერდონიანთა. ნაყოფსხეული ზედაპირზეა, მომრგვალო ან მოგრძო, მჯდომარეა ან კარგად განვითარებულფეხიანი. გლება დაფარულია ორმაგი პერიდიუმით; გარეგანი ანუ ეგზოპერიდიუმი სიფრიფანისებრია და აღვილად იშლება; ენდოპერიდიუმი მკვრივი ქსოვილებისგანაა შემდგარი, ან მთლიანად იშლება, ან წვერზე პორუსს ქმნის. გლება მრავალკამერიანია. მომწიფებისას მთლიანად იშლება სპოროვან მასად და კაპელიციებად, მარტო ნაყოფსხეულის უნაყოფო ქსოვილი ჩამოარიცა გლება იყო განვითარებული. ბაზიდიოსპორები თითო ბაზიდიუმზე 4—12 ვითარდება, სფეროსებრია, სადა ან ეკლიანი გარსით.

ყველაზე გავრცელებულია გვ. *Lycoperdon*, *Bovista* და *Geaster*-ის წარმომადგენლები. აღსანიშნავია ჩვენში გავრცელებული *Lycop. gemmatum*, რომელსც წიგირს სოკოს უწოდებენ. ხშირია ტყის-პირებში. ნაყოფსხეული მოგრძოა, თავი განიერი აქვს და ქვედა მხარე სქელი ფეხით მთავრდება; ზედა მხარეს ნაყოფსხეულს კარგად განვითარებული პორუსი მოეპოვება, საიდნაც სპორები ვრცელდებიან. ეგზოპერიდიუმი კონუსისებრი ბორცვებითა დაფარული.


გვ. *Bovista* მრგვალ უფეხო ნაყოფსხეულს იძლევა: დასაწყისში მოთეთროა, შემდეგ მონაცრისფრო. ნიალავთანაა დაკავშირებული მიცელიარული ჭიმებით. ორმაგი პერიდიუმითაა, ეგზოპერიდიუმი მალე იშლება, ენდოპერიდიუმი დიღხნს რჩება. მომწიფებისას იხსნება სხევადასხვა მიმართულების ბზარით. გლება დასაწყისში თეთრია, შემდეგ მოყავისფრო, იშლება მთლიანად სპორებად და დიქოტომიურად დატოტვილ კაპელიციებად.

აღსანიშნავია *Bovista nigrescens* ქვეყნის გული. გავრცელებულია ყველგან. წვიმის შემდეგ ზაფხულის მეორე ნახევარში ხშინის 222

რია. ნაყოფსხეული და-
ღი იცის, ზომით 20 სა-
ნტიმეტრამდე და მე-
ტიც. ახალგაზრდა ნა-
ყოფსხეულებს საჭმე-
ლად იყენებენ. ვიდრე
გლება ფერს არ შეიცვ-
ლის (ზეთისხილის ან
მოშავო ფერისაა) B.
bovina — ხარის თა-
ვა. დიდ მოთეთრო
ნაყოფსხეულებს ივი-
თარებს. ესეც ყველგან
გვხვდება, მეტალუ-
რიუსპირებში.

ლიკოპერდოვანთა ოქ-
ახში შედის აგრეთვე გვ.
Geaster. ნაყოფსხეუ-
ლები ნიადაგის ზედა
ფენებშია განვითარებული
და სფეროსებრია. კარგად გამოსახუ-
ლი ორმაგი პერიდიუმი
აქვს. ეგზოპერიდიუმი
ტყავისებრია და გახსნ-
ისას რამდენიმე ნაკვეთ-
ად იხსნება და ქვედა მხარეს იხრება, თითქოს გარსკვლავისებრადაა
განწყობილი. ენდოპერიდიუმი მრგვალ ან მოგრძო ნაყოფსხეულს ქმნ-
ის, რომლის წვერზე სპორების გასაფანტი პორუსია დატანებული. ძლი-
ერი ჰიგროსკოპიულობის გამო ტენიანობის დროს ეგზოპერიდიუმი თი-
თქოს ისევ იხურება, მშრალ ამინდში კი იხსნება. აღსანიშნავია — *Gea-
ster coronatus*, რომლის ეგზოპერიდიუმი 4 ნაკვეთად იხსნება. გვხ-
დება ტყისპირებში.

ოჯ. *Phallaceae* — ფალუსის ისებრთა ნაყოფსხეული
დასაწყისში ეგზოპერიდიუმით მთლად დახურულია, მრგვალია, კვერცხი-
სებრი. შემდეგში ნაყოფსხეული წვერიდან იხსნება და ცენტრალური
ნაწილიდან ამოდის ცილინდრული მაღალი ფეხი, რომლის წვერზე ლორ-
წოვანი გლება ღიადაა მოთავსებული; პერიდიუმი კი საერთო საბურვე-
ლის ნარჩენის სახით ფეხის ფუძესთანაა შერჩენილი. თითო ბაზიდიუმზე
6—8 ბაზიდიოსპორა კითარდება.



სურ. 80. *Phalloscropus impudicus* — ფალუსის ნაყოფი.

1. — საბურველი დახურული ნაყოფი, 2 — განვი-
თარებული ნაყოფი, 3 — ნაყოფის ნასახი.

აღსანიშნავია ჩვენში გავრცელებული *Phallus impudicus* ახალგაზრდა ნაყოფი თეთრია, კვერცხსნაირია, რამდენიმე ერთადა განვითარებული და ერთმანეთთან თეთრი მიცელიალური თასმებითაა დაკავშირებული; ნაყოფსხეული კვერცხსნებრი სხეულის ცენტრიდან ვითარდება. იგი საერთო საბურცველს არღვევს და ცილინდრული თეთრი ფეხი ამოდის, რომლის თავი კონუსისებრია და დაფარულია ბაღისებრი ლორწოვანი ნაოჭებით, რაც გლებას წარმოადგენს. ბუჩქნარებში, ბარდებში, შორ მანძილზედაც ბრდვილად საპოვნელია თავისი მყრალი, მეტად არასასიამოვნო სუნის გამო.

Fungi Imperfecti ანუ Deuteromyceteae უსრული სოკოების ჯგუფი

უსრული სოკოების ჯგუფი მრავალ წარმომადგენელს შეიცავს, რომლებიც სხვადასხვა კონიდიოსპორების სახით მხოლოდ უსქესო გამრავლების ორგანოებს ივითარებენ. ზოგიერთი მათგანი კი კონიდიოსპორების ნაცვლად სტერილური მიცელიუმით ან კიდევ მიცელიუმის დაკვირტვის ან მისი დაწყვეტის შედეგად წარმოქმნილი ოდიებით მრავლდება. თავისი მრავალუჯრედიანი მიცელიუმით უმაღლეს (ჩანთიან ან ბაზიდიან) სოკოებს უახლოვდება.

უსრული სოკოების კატეგორია ჩანთიან სოკოებთან იშვიათი შემთხვევა არაა. მაგალითად, ჩანთიანი სოკოების წარმომადგენელს — *Venturia inaequalis*-ს ახასიათებს უსრული სტადია კონიდიური ნაყოფიანობის სახით, რომელიც საკუთარი სახელწოდებითაა ცნობილი, კერძოდ *Tuscieladium dendriticum*-ით; მსხლის თეთრი სილაქავის გამომწვევი ჩანთიანი სოკოს — *Mycosphaerella sentina*-ს კონიდიური სტადია *Septoria piricola* წარმოადგენს; *Gnomonia veneta*, რომელიც ჭიდრის ფოთლების დაავადებას იწვევს თავისი განვითარების ციკლის გავლის პერიოდში, ხშირად რამდენიმე სახის კონიდიურ ნაყოფიანობას იძლევა. ასეთ შემთხვევაში მათი კონიდიური და ჩანთიანი სტადიები ერთმანეთთან გენეტიკურად არიან დაკავშირებული. მართალია, თითოეული მათგანი ორი სახელწოდებითაა ცნობილი, მაგრამ ერთი და იგივე სახეობაა, რომელსაც თავისი სქესობრივი (ჩანთიანი) და უსქესო (კონიდიური) გამრავლების ორგანოები აქვს. უსრულ სოკოებად მხოლოდ ისეთები ითვლებიან, რომლებიც მარტო კონიდიურ ნაყოფიანობას იძლევან, სრული სტადიები (ასკოსპორები და ბაზიდიოსპორები) მათვის არა ცნობილი და ბევრია იმის მაგალითებიც, როდესაც გულდაბმით შესწავლის შედეგად უსრულ სოკოებს ჩანთიანი ან ბაზიდიანი ნაყოფიანობაც აღმოაჩნდებათ. ამ შემთხვევაში ისინი უსრულო სოკოებიდან უმაღლესი სოკოების ჯგუფში გადაინაცვლებენ. მიუხედავად ამისა, მარტო კონიდიური სტადიის მქონე სოკოების რიცხვი ძალიან დიდია და ნაირსახოვანიც. ამითაა გამოწვეული მათი კლასიფიკაციის აუცილებლობა. იმის გამო, რომ უსრული სოკოების

ჭგუფში, სქესობრივი სპორების აღმოჩენასთან დაკავშირებით, თანდათან მათი რიცხობრიობა იცვლება, ამავე დროს მათი კონიდიური ნაყოფიანობაც ცვალებითია, ჩანთიანი სოკოების ერთი გვარის წარმომადგენლები სულ სხვადასხვა სახის კონიდიურ ნაყოფიანობას იძლევიან. მათ კოლაციურიას ხელოვნურად თვლიან და თვით ჭგუფიც ხელოვნურად ითვლება.

უსრული სოკოების კლასიფიკაციის საფუძვლად მიღებულია მათი კონიდიური ნაყოფიანობის ტიპი. დიდი ყურადღება ექცევა კონიდიო-სპორების აგებულებას, მათ ფორმას, შეფერვას, კონიდიოსპორების ტიხარების რიცხვს, ნამატებს და სხვა.

კონიდიოსპორები (კონიდიუმები) ყველა ფორმისა გვხვდება: მრგვალი, ელიფსისებრი, მოგრძო, ძაფნირი, ერთ თუ მრავალტიხრიანი, სწორი თუ მოხრილი და სხვ; წარმოშობით აკროპეტალურია ან ბაზიპეტალური, ერთეულია თუ ძეწვებად განვითარებული. იშვიათად ვარსკვლავისებრიცაა, სამსხივიანი და სხვ. ვინაიდან კონიდიოსპორები კვლევის დროს შესაძლებელია განვითარების სხვადასხვა სტადიაში შეგვხვდეს, საჭიროა გულდასმით დაკვირვება და შემოწმება მისი საბოლოო სახის გამოსარჩვევად.

კონიდიათმტარი ანუ კონიდიოფორები განსაკუთრებულ ძაფს ანუ ჭითას წარმომადგენენ, რომლის წვერზე კონიდიოსპორები ვთარდებიან. კონიდიოფორები სხვადასხვა სახისაა: მოკლეა ან გრძელი, დატოტვილი ან მარტივი, შეფერილი თუ უფერული, ზოგჯერ ძნელად შესამჩნევი.

კონიდიათმტარები სუბსტრატის ზედაპირზე სხვადასხვა სახით არიან ამოსული: ხშირად ბაგიდანაა ერთეულად განვითარებული ან მიცელიუ-მიღანაა აღმართული და თავისუფლად მღვმისა (Hypiales). იშვიათად კონიდიოფორები ერთმანეთთან მტკიცედ არიან შეზრდილი და სვეტს ქმნიან, რომლის წვერზე კონიდიოსპორებს ივითარებას. ასეთ კონიდიურ ნაყოფიანობას კორემიუმს უწოდებენ (Coremiales). ზოგჯერ კონიდიო-ფორები განვითარებულია მიცელიუმისაგან წარმოქმნილ მტკიცე ფუძეზე, რასაც სარეცელს უწოდებენ. სარეცელზე კონიდიათმტარები მეს-რისებად არიან განწყობილი (Melanconiales).

ნაყოფიანობის განსაკუთრებული ფორმაა ე. წ. სპოროდოქიუმი. ამ შემთხვევაში სარეცელი ამობურცულია და შედგება პარენქიმული უჯრედებისაგან წარმოქმნილი მიცელიარული ხლართისაგან, რომლის ზედაპირი მოკლე კონიდიოფორებითაა დაფარული. სპოროდოქიუმის მსგავსია ე. წ. პიონოტი. იგი ფაშარად შეკრული სარეცელია და დაფარულია ლაბასებრი ლორწოთი. კონიდიოსპორები ლორწოშია შერეული.

ნაყოფიანობის გავრცელებული ფორმაა აგრეთვე ე. წ. პიქნიდიუმი. იგი დახსურული ნაყოფსხეულია, მრგვალია, კარგად განვითარებული პარენ-ქიმული ან პროზენქიმული ჰიფებისაგანაა შემდგარი, მურა ან შავი კე-დელი აქვს, რომლის წვერზე, უმეტეს შემთხვევაში, პორუსია დატან-

ბული, კედლის შიგნითა მხარეზე თეთრი ქსოვილისაგან შემდგარი შრე გასძევს, რაზედაც კონიდიოფორებია განვითარებული.. პიკნიდიუმები ერთეულია ან უნაყოფო ქსოვილით ანუ სტრომით ჯგუფადაა შეკრული. ზოგიერთ წარმომადგენელთა პიკნიდიუმის ღრუ ცალკე კამერებადაა დანაწილებული. კამერებიდან სპორები ან ერთი საერთო, ან რამდენიმე ძუძუსებრი, მოგრძო ხორთუმი გამოდის. ზოგიერთი სოკოს პიკნიდიუმები გაბრტყელებულია, ჯამისებრია და განიერი ან ჭვრეტისებრი პორუსი აქვს. მათ ფსეუდოპიკნიდიუმებს უწოდებენ (*Leptothyrium*).

უსრული სოკოების კლასიფიკაციის რამდენიმე სისტემა არსებობს (საკარდო, პოტებნია). ამჟამად საკარდოს სისტემა უფრო გავრცელებულია, თუმცა სხვა სისტემისაგან არსებითად ეს სისტემა არ განსხვავდება.

უსრული სოკოების კლასის რიგებად დაყოფისათვის მიღებულია შემდეგი სარკვევი:

1. კონიდიუმები დახურულ ნაყოფსხეულებში — პიკნიდიუმში — კონიდიათმტარებზე ვითარდებიან: ნაყოფსხეულები; პორუსითაა ან მთლად დახურულია. ზოგჯერ ნაყოფსხეულის ზედა კედელი შეფერილი სოკოგანი ქსოვილითაა დაფარული. ქვედა ნაწილი კი სუბსტრატითაა შემოფარგლული.

რიგი *Pycnidiales* ნაყოფიანობა სხვა სახისაა...

2. კონიდიათმტარები სუბსტრატის ქსოვილში ან მის ზედაპირზეა სარეცელზე განვითარებული, რომელიც დასაწყისში ეპიდერმისითაა დაფარული; რიგი *Melanconiales* — ნაყოფიანობა სხვანაირია. ...

3. კონიდიათმტარები ვერტიკალურად მდგომია და სვეტადაა შეზრდილი. რიგი *Coremiales* კონიდიათმტარები სუბსტრატის ქსოვილიდან ან ბაგეებიდან ერთეულადაა განვითარებული ან ზედაპირულია.

რიგი — *Hypales* ჰიფალები. *Hyphales*-ების რიგისათვის დამახასიათებელია სუბსტრატის ზედაპირზე კონიდიოფორების ერთეულად ან პატარა ჯგუფებად თავისუფალი განვითარება.

ჰიფალები უსრული სოკოების საკმაოდ დიდი და მრავალრიცხვანი ჯგუფია, რომელიც როგორც პარაზიტულ, ისე საპროფიტულ წარმომადგენლებს შეიცავს. მათი კლასიფიკაცია დამყარებულია კონიდიოსპორების აგებულებაზე, ფორმაზე, ფერზე და სხვა. ყურადღება ექცევა აგრეთვე კონიდიათმტარების აგებულებას.

Hyphales-ების ქვერიგად გამოიყოფა უფერულ სპორებიანი (*Hyalospora*) წარმომადგენლები, რომელთაგანაც, როგორც მცენარეთა ავალმყოფობის გამომწვევი, შემდეგი გვარებია აღსანიშნავი:

გვ. *Monilia* მიცელიუმი ენდოგენურია, კონიდიური ნაყოფიანობა მეჭვეჭვების სახითაა და შედგება ვერტიკალურად მდგომი მარტივი ან დატოტვილი კონიდიოფორებისაგან, რომელთა წვერზე კონიდიოსპორები ძეწვებად ან ერთეულადაა განვითარებული, ფორმით ლიმონი-

სებრი, ოვალური, მრგვალი; უმთავრესად მცენარეთა პარაზიტებია. ზოგიერთ მათგანს ჩანთოვანი სტალია უფითარდება.

ჩვენში გავრცელებულია შემდეგი სახეობები: *Monilia fructigena* (ჩ. სტ. *Stromatinia fructigena*) იწვევს ხეხილის ნაყოფის ლპობას. დამპალ ნაყოფს ყავისფერი კონკრენტულად განვითარებული მეჭეჭები აქვს; *Monilia cinerea* კურკოვნების ნაყოფების, ტოტების და ყვავილების დაავადებას იწვევს. ახმობს მათ. ვინაიდან მისი კონიდიური ნაყოფიანობის მეჭეჭები ნაცრისფერია, კურკოვანთა ნაცრისფერი სიდამპლე ეწოდება.

Monilia mali — გაშლის ყვავილების და ნაყოფების ლპობას იწვევს. დაავადებული ნაყოფები წვრილი ნაცრისფერი მეჭეჭებით იფარება.

გვ. *Oidium* — მიცელიუმი ზედაპირულია და სუბსტრატზე გართხმული. უფერულია. ივითარებს ჰაუსტორიუმებს, რომლითაც ეპიდერმისის უჯრედებთანა დაკავშირებული. კონიდიათმტარები მარტივია, აღმართულად მდგომი; კონიდიუმები ოვალური, ელიფსისებრი, მოკლე ძეწკვებაღაა შეკრული. ნაცროვან სოკოებს კონიდიური ნაყოფიანობა ახასიათებთ.


ძლიერ გავრცელებულია და როგორც კულტურულ, ისე ველურ მცენარეთა ნაცარს იწვევს. ზოგიერთი წარმომადგენელი ჩანთიან სტალისაც ივითარებს.

Oidium-ის წარმომადგენლებია მაგალითად, *Oidium cichoracearum*, რომელიც გოგროვნებზე, ჭარხალზე და სხვა მცენარეებზე ნაცარს იწვევს. მისი ჩანთიანი სტალია შეიძლება იყოს *Erysiphe* ან *Aphaerotheca*. *Oidium Tuckeri*-ი ვაზის ნაცრის გამომწვევია ჩანთიანი, სტალია *Uncinula spiralis*; *Oidium dubium* — მუხის ნაცარია და დიდ ზარალს აყენებს, ფოთლებსა და ყლორტებს ახმობს (ჩან. სტ. *Microsphaera alphitoides*) *Oidium graminis* — ხორბლეულ მცენარეთა ნაცარს იწვევს.

გვ. *Ovularia* — კონიდიათმტარები მკვეთრადაა ჩამოყალიბებული, ვერტიკალურად მდგომია და წვერი დაკბილული აქვს, რაზედაც ოვალური ან ელიფსისებრი ერთეული კონიდიოსპორები ვითარდებიან.

ყველა პარაზიტია და სხვადასხვა მცენარეთა დაავადებას იწვევს. აღსანიშნავია: ხორბლოვანთა ოჯახის წარმომადგენლებზე. *Ovularia pulchela* იწვევს ფოთლების წვრილ მოთეთრო ლაქიანობას; *O. decipiens* გვხვდება ბაიასნაირთა ოჯახის წარმომადგენლებზე; *O. micropora* მოთეთრო ლაქებს იწვევს; *O. schroeteri* — ვარდისებრთა ოჯახის წარმომადგენლებს აავადებს; ხშირია აგრეთვე ტუჩისნთა ოჯახის მცენარეებზე, მაგალითად, *salvia*-ზე *O. ovata* და სხვ.

გვ. *Cephalosporium*. მიცელიუმი ენდოგენურია. კონიდიათმტარები პატარა ტოტების სახით მიცელიუმზეა განვითარებული. დამახასიათებელია ის გარემოება, რომ წარმოქმნილი კონიდიუმები,



სურ. 81. Hyphales-ების ნაყოფიანობის ტიპები.

1 — თოდიტმი, 2 — რაშულარია, 3 — მონილია, 4 — პენიცილიუმი,
5 — ცერკოსპორია, 6 — ალტერნარია 7 — კლადოსპორიუმი.

კონიდიათმტარის წვერზე თავაკებაზაა ლორქოთი შეკრული. შეიცავს
საპროფიტულ და პარაზიტულ ფორმებსაც.

ალსანიშნავია როგორც *Verticillium*-ის ერთ-ერთი სტადია. ნახულია
ხეხილის ხმობის შემთხვევაში: ერთწლიანი მცენარეების დაავადებასაც
იწვევს. მისი კონიდიუმი გამტარი ჭურჭლების გზითაც ენდოგენურადაც
ვრცელდება.

გვ. *Aspergillus* — ობის სოკოებს ეკუთვნის. მიცელიუმი დატოტვი-
ლია, მრავალტიხრიანი. კონიდიათმტარები ერთუჯრედიანია, გრძელი და
წვერზე ბუშტივით გაბერილი. ეს უკანასკნელი დაფარულია სტერიგმე-
ბით, რაზედაც მრგვალი, ძეწვებად შეკრული კონიდიუმები ვითარდება.
სტერიგმები ზოგიერთ წარმომადგენელს ორსართულიანი აქვს და კონი-
დიუმები მარტო ზედა სართულის სტერიგმებზე ვითარდებიან.

ალსანიშნავია მცენარეული პროდუქტების მლპობი *Aspergillus niger* — შავ სიღამპლეს იწვევს. ხელოვნურ სუბსტრატზე *Aspergillus*-ის ზოგიერთი წარმომადგენელი დიდი რაოდენობით გამოყოფს ლი-
მონის მუავს, რასაც წარმოებაში იყენებენ. A s p. o r y z a e — ბრინ-

ჯის ასპერგილუსი გამოიყენება როგორც საფუარი — საჭმელი პრო-
დუქტების დასაღულებლად (მაგალითად სოიოსი), არყის მისაღებად და
სხვა.

გვ. *Trichoderma* — კონიდიათმტარები დატოტვილია. წევერზე ქმნის
კონიდიოსპორებისაგან შექმნილ თავაკებს, რომელშიაც 10 — 20
სპორაა შეგროვილი. მიცელიუმი ქეჩისებრია. მოთეთორო-მწვანეა ან
ყვითელი. კონიდიუმები მრგვალია. ერთი წარმომადგენელი ჩვენშიცაა
ცნობილი, კერძოდ, *Tr. lignorum*. იგი ნიადაგში მცხოვრები სოკო და
ზოგიერთი სოკოსათვის საკმაოდ ძლიერ ანტაგონისტად ითვლება, მაგა-
ლითად, *Sclerotium Rolfsii*. *Moniliopsis*-ის *Phythium de Barijanum*-
თვის და სხვა.

გვ. *Penicillium* — საკმაოდ დიდი და მრავალრიცხოვანი გვარია.
ობის სოკოების ჯგუფის მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. მიცელი-
უმი დატოტვილია; კარგად შესამჩნევი ტიხერებით. აღმართულად მდგომ
სხვადასხვა ფორმის კონიდიათმტარებით, რომლის ბოლოს ერთ ან ორ-
სართულიანი სტერიგმებია განვითარებული, რაზედაც სპორებისაგან
შედგარი ძეწვებია წარმოქმნილი. უმთავრესად საპროფიტებია. ზო-
გიერთი მათგანი მცენარეულ პროდუქტებს ალპობს, ზოგი კი სასარგებ-
ლოა და სამკურნალოდ ფართოდ გამოიყენება, ამათგან მზადდება ანტი-
ბიოტიკი — პენიცილინი, რომელიც ბევრი ინფექციური იყვადმყოფობის
უებარი წამალია.

პროდუქტების გაფუჭებას გვ. *Penicillium*-ის შემდეგი წარმომად-
გენელები იწვევენ: *P. italicum* — ციტრუსების ნაყოფების ლურჯი
ობის გამომწვევი. მისი მოქმედების შედეგად საწყობებში ციტრუსების
მოსავლის 25% ილუპება, ლპება; *P. digitatum* — ესეც მცენარეულ პრო-
დუქტებს ალპობს; სასარგებლო სახეობებად ითვლებიან — *P. notatum*.
ჩვეულებრივი საპროფიტია, ანტიბიოტიკ პენიცილინს იძლევა; ამის ახ-
ლობელია *Pen. chrysogenitum*, რომელიც აგრეთვე გამოიყენებულია პენი-
ცილინის მისაღებად.

გვ. *Botrytis*. მიცელიუმი ენდოგენურია, ძლიერ. დატიხერული და
დატოტვილი კონიდიათმტარები სუბსტრატიდან ჯგუფებადაა ამოსუ-
ლი. უმეტესად დატოტვილია, იშვიათად კი მარტივი. ტოტების წვერი
დაკბილულია, რაზედაც ოვალური, თავაკად შეკრული უფერული ან
ოდნავ მურა კონიდიოსპორები ვითარდებიან.

საპროფიტები და ნახევრად პარაზიტებია. უმთავრესად მცენარეებზე
და მათ პროდუქტებზე გვხვდება. ალსანიშნავია *Botrytis cinerea* ნაც-
რისფერი ან კეთილთვისებიანი სიღამპლის გამომწვევი, ხშირად დიდი
ზარალის მომცემია მეტადრე უურძნის ლპობას იწვევს წვიმიან შემო-
გომაზე. ალპობს ციტრუსებს, ხეხილის სფელ ნაყოფებს; — *Botrytis*

allii იწვევს ხახვის ლპობას შენახვისას. *Botrytis diospyri* — სუბტრო-პიკული ხურმის ნაყოფების ცვენას იწვევს.

გვ. *Verticillium* — შინაგანი მიცელიუმი აქვს, დატიხრული, დატოტვილი, უფერულია, ზოგიერთი სახეობებისა — შეფერილიც: კონიდიათმტარები ორგოლურადაა მთავარ ჰიფაზე გაშუბობილი, დატოტვილი; ტოტები საღისისებურადაა წაწვეტებული. კონიდიოსპორები მრგვალია, კვერცხისნაირი ელიფსისებური — უფერული ან ღია შეფერილობისა.

Verticillium-ის წარმომადგენლები უმთავრესად ნიადაგში მცხოვრები საპროფიტებია ან ნახევრად პარაზიტები. უკინასკნელი ზოგიერთი მცენარეების ჯერ ჭინობას და შემდეგ ხმობას იწვევს.

მაგალითად: *Verticillium albo-atrum*, ერთწლიანი მცენარეების ბამბის, ბოსტნეულის, კარტოფილის და სხვათა ჭინობას იწვევს. *Ver. dahliae* ტექნიკური და ბოსტნეული მცენარეების ჭინობას იწვევს. უკანასკნელ პერიოდში საქართველოში მრავალწლიან კულტურებზედაცაა აღნიშნული, მაგალითად, *Ver. amigdali* — კურკოვანებზე. *Ver. melongena* — ბაღრიჯანზე და სხვა.

ჰიფომიცეტებში ერთი და მრავალტიხრიანი სპორების მქონე სოკოებიც შედის. აქედან შემდეგი გვაჩერებია აღსანიშნავი:

გვ. *Trichothecium*. საპროფიტული სოკოა. მიცელიუმი დატიხრულია, შინაგანი კონიდიოფორები მაღალია. კონიდიოსპორები ერთტიხრიანია, ორ არათანაბარ უჯრედად გაყოფილი და თავაკებად შეკრული. დასაწყისში უფერულია, შემდეგ კი მოწითალო-პირისფერი ხდება.

აღნიშნული სოკო, მართალია, საპროფიტია, მაგრამ ერთი სახეობა, კერძოდ *Trichothecium roseum*, ნესტიან საწყისებში გაშლის და სხვა ნაყოფების გულის ლპობას იწვევს. მას მოწითალო ფერის სუბსტრატზე გართხმული მიცელიუმი აქვს. ითვლება ანტაგონისტად.

გვ. *Piricularia*-ს ენდოფიტური მიცელიუმი აქვს. პარაზიტია. კონიდიოფორები მარტივია ან, იშვიათად, წვერთან დატოტვილი და სუბსტრატიდან ჯგუფად განვითარებული. კონიდიოსპორები ფუტ-მსხლისებრია (обратно грушевидные), სამუჯრედიანი, ოდნავ. მურა ფერის. წარმომადგენელი *Piricularia oryzae*, რომელიც ბრინჯის დავადებას იწვევს; ფოთლებზე მოყავისფრო, მუქი არშიით შემოვლებულ ლაქებს აქებს.

გვ. *Ramularia*. პარაზიტია და საქმაოდ ბევრი მცენარის დაავადებას იწვევს. ზოგიერთი წარმომადგენელი სხვა სოკოვან ორგანიზმებზე ზეპარაზიტობს. კონიდიოფორები ბავევებიდანაა უმთავრესად ერთეულად ან, იშვიათად, ჯგუფად გამოსული, ერთუჯრედიანია ან ტიხრიანი. მარტივია ან დატოტვილი, წვერზე დაცბილულია, რაზედაც 3-ტიხრიანი, ცილინდრული ბოლობაკვერცხილი კონიდიოსპორები უვითარდებათ.

ზეპარაზიტებად ითვლება *Ramularia uredinis*, რომელიც უანგაროვანი სკოების გვ. *Melampsora*-ს წარმომადგენლებს აზიანებს. აზიანებს სხვადასხვა მცენარეებს, მაგალითად, ჭინჭარს *R. urticae*. ფოთლებზე მოთეთრო ლაქებს აჩენს; *R. Tulaspei* მარტვების სერიოზულ დაავადებას — ფოთლების თეთრ ლაქიანობას იწვევს. *R. pastinaceae* ნიანურის ფოთლების დაავადებას იწვევს და ო. შ.

ერთუგრედიანი შეფერილი სპორების მქონეა.

გვ. *Thielaviopsis* — თიელავიოფსისი. მიცელიუმი და კონიდიოფორები შეფერილია მურად, ყავისფრად, მოშავოდ, ღატოტვილია; ტოტების წვერზე დაკუთხული კონიდიოსპორებისაგან შემდგარი ძეწვების ჯგუფი უვითარდება. ძეწვის დაშლის დროს კონიდიოსპორები კუთხით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. ივითარებს აგრეთვე ბოთლისებრ კონიდიოფორებში ენდოგენურ კონიდიუმებს, რომლებიც კონიდიოფორის წვეროდან გამოიფანტებიან.

ჩვენში გავრცელებულია *Thielaviopsis basicola*. იწვევს უმთავრესად თამბაქოს ჩითილების ფესვების სიდამპლეს სათბურებსა და სანერგებში; სხვა ტექნიკურ და ბოსტნეულ მცენარეებზედაც გვხვდება, თუმცა იშვიათად.

გვ. *Torula*. მიცელიუმი ყავისფერია, მოშავო ან მურა ფერისაა, რომელიც შემდეგ კონიდიოსპორებად იშლება. უკანასკნელები ერთმანეთს სცილდებინ და იკვირტებიან. კონიდიოსპორები ერთტიხრიანია, გარსი სადა ან ხორკლიანი აქვთ, მოშავო ან ყავისფერია. გვ. *Torula*-ს წარმომადგენლები სხვადასხვა მერქნიანი ჯიშების ტოტებზე გვხვდებიან.

გვ. *Cladosporium* — მიცელიუმი შინაგანია ან, იშვიათად, გართხმული, მურად შეფერილი. კონიდიოფორები ჯგუფადაა განვითარებული. დატოტვილია ან ოდნავ დაკბილული; კონიდიოსპორები ერთუ ჯრედიანი, უფრო მეტი, ერთტიხრიანია. იშვიათად ორ და სამტიხრიანიც. წენგოსფერი ან მურა გარსი ეკლებითაა დაფარული. მომრგვალოა ან ელიფსისებრი.

ნახევრად პარაზიტები ან საპროფიტებია; აღსანიშნავია *Cladosporium herbarum* — იგი სხვადასხვა მცენარეზე გვხვდება, საპროფიტია; *Ci. fulvum* პამიდვრის ფოთლების მურა ლაქიანობას იწვევს.

გვ. *Fusicladium* — ფუზიკლადიუმი. მიცელიუმი წენგოს ან მურა ფერისაა, კუტიკულის ქვეშაა განვითარებული და, იშვიათად, სტრომას ქმნის. კონიდიოფორები ყავისფერია, ერთეულად ან ჯგუფად განვითარებული, ოდნავ დაკბილული წვერით; კონიდიოსპორები კვერცხისებრია. წვერი თეთრ შევიწროებულია, მუქი-ყავისფერი, ერთ ან, იშვიათად, ორტიხრიანი.

ობლიგატური პარაზიტებია და აავადებენ მცენარის მწვანე ორგანოებს. ჩვენში გავრცელებულია *Fusicladium dendriticum*, რომელიც

გაშლის ფოთლებისა და ნაყოფების დაავადებას — ე. წ. ჭეცა — იწვევს. მისი მსგავსია *F. pirinum*. მსხლის ფოთლების, ყლორტებისა და ნაყოფების დაავადებას იწვევს. *Fusicladium salicis* ტირიფის ფოთლებისა და ყლორტების დაავადების გამომწვევია.

გვარ *Fusicladium*-თან დაკავშირებულია ჩანთიანი სტადია *Venturia*.

გვ. *Scoletotrichum* — სკოლეტოტირიქუმი. გვარ *Scoletotrichum*-ში პარაზიტული წარმომადგენლები შედიან. მათი მიცელიუმი დაავადებული ორგანოების ქსოვილშია შეჭრილი. კონიდიოფორები ჯგუფებადაა ბაგეებიდან ამოსული, მოკლეა და ოდნავ მურა ფერისაა; კონიდიოსპორები ერთტიხრიანია, ოვალური, კომბლისებრი ან ცილინდრული. ალსანიშნავია: *Scoletotrichum melophthorum* — კიტრის და, იშვიათად, ნესვის დაავადებას იწვევს. ნაყოფებზე იარისებრ-მურა ლაქებს აჩენს. ნაყოფი სასაქონლო ლირებულებას კარგავს.

ჰიფალესების მრავალტიხრიანი, შეფერილსპორებიანი წარმომადგენლებიდან ალსანიშნავია:

გვ. *Clasterosporium*. მიცელიუმი სუსტადაა განვითარებული. შინაგანია. მოკლე კონიდიოფორები აქვს; კონიდიოსპორები მოგრძოა ან ცილინდრული შევიწროებული ბოლოებით. 3—5-ტიხრიანია.

ფართოდა, გავრცელებული *Clasterosporium carpophyllum* იგი გარგარის, ატმის, ბლის, ალუბლის და სხვა ფოთლების დაცხვებას იწვევს. მისთვის დამახასიათებელია დაავადებულ ფოთლებზე ლაქები დაშლა, რის გამოც ფოთოლი იჩვრიტება; თითქოს საფანტით იყოს დაცხრილული, ყლორტებზე კი ჩაღრმავებულ იარებს აჩენს.

გვ. *Helminthosporium* ჰელმინთოსპორების პარაზიტული ფორმებიც გვხვდება. აავადებენ ხორბლოვანთა ოჯახის წარმომადგენლებს. მიცელიუმი ენდოფიტურია, მურა ფერისაა; კონიდიოფორები ყავისფერია, ჯგუფად განვითარებული, წვერზე ოდნავ დაკბილული; კონიდიოსპორები მურა-ყავისფერია, მოგრძო ცილინდრული დაკვერცხილი ბოლოებით, მრავალტიხრიანი.

ალსანიშნავია *Helminthosporium avena-sativae*. იწვევს შვრის ფოთლების დაავადებას; ფოთლებზე მომრგვალო ლაქებს აჩენს; *Helminthosporium gramineum* იწვევს ქერის ფოთლების დაავადებს; ცნობილია აგრეთვე, როგორც, ხორბლეულთა შავი ნასახის გამომწვევი.

ჩვენში სიმინდის ჰიბრიდების ძლიერ დაავადებას იწვევს. ამ გვარის წარმომადგენლების ჩანთიან სტადიად *Giberella* ითვლება.

გვ. *Cercospora* მიცელიუმი ენდოფიტურია. იწვევს სხვადასხვა ფერის წვრილ ლაქებს. კონიდიოფორები უმთავრესად ჯგუფებადაა განვითარებული. მარტივია ან დატოტვილი. მოყვითალო-მოყავისფრო და ზოგჯერ თითქოს დახორკლილი; კონიდიოსპორები გრძელია და

უმთავრესად მრავალტიხრიანი, ყვითლად ან წენგოსფრად შეფერილი. ფორმით მოგრძო, წაწვეტებული წვერით. თითისტარისებრი ან კომბლისებრი.

გვარი ცერკოსპორა საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული ერთწლიან და მრავალწლიან სხვადასხვა მცენარეებზე. მისი წარმომადგენლები პარაზიტულ ფორმებად ითვლებიან და მცენარის მნიშვნელოვან ივალმყოფობას იწვევენ. აზიანებენ ფოთლებს, ღეროებს და ნაყოფებს.

ჩვენში ფართოდაა გავრცელებული *Cercospora beticola*, რომელიც იწვევს ჭარხლის ფოთლების დაცხვებას და ხშირად ხმობასაც. *C. Vitis* იწვევს ვაზის ფოთლების და ნაყოფების დაცხადებას. ნაყოფებზე 1,5—5 მმ დიამეტრის მქნე მუქი არშიით შემოვლებულ ლაქებს აჩენს. ქვედა მხრიდან ფიფქის სახით მუქ-მოყავისფრო კონიდიოფორებს იძლევა. კარტოფილის ფოთლების დაცხადებას — ე. წ. მკრთალ ლაქიანობას *C. concors* — იწვევს. ხშირია მთიან ზონებში; *Cerc. theae* ჩაის ფოთლების მურა ლაქიანობას იწვევს.

გვ. *Macrosporium* მიცელიუმი ენდოფიტურია. დაავადებული ფოთლის ქსოვილშია განვითარებული, უფერული ან ოდნავ მურად შეფერილია.


კონიდიოფორები მურა-ყავისფერია ან მოშავო, ჯგუფად განვითარებული, მარტივია ან ოღნავ დამუხლული, წვერზე წვრილი ეკლებითა და-ფარული; კონიდიოსპორები კომბლისებრია, ერთეულად ან ძეწვებადაა განვითარებული, გასწვრივი ან განივი ტიხრები აქვს, ყავისფერია ან მოშავო.

ჩვენში, ძალუყურძენოვანთა წარმომადგენლებზე ხშირად გვხვდება. აღსანიშნავია პომიდვრის, ბაღრიზნის და წიწაკის დაცხადება, გამოწვეული *Macrosporium solani*-ით (*Alternaria solani*) ფოთლებს ალაქებას, ნაყოფებს ალპობს; ხშირია აგრეთვე ხახვის ფოჩის დაცხადება, განსაკუთრებით სათესლე ხახვის საყვავილე ღეროსი, რომელსაც იწვევს *M. parasiticum*-ი.

რიგი *Coremiales* კორემიასებრთა რიგს ნაყოფიანობის ტიპის მიხედვით გარდამავალი ადგილი უკავია *Hypiales*-ებრთა და *Melanconiales*-ებრთა შორის.

მათი მიცელიუმი შინაგანია ან ზედაპირული. კონიდიაფორები მიცელიუმის ზედაპირიდანაა ჯგუფად წარმოქმნილი და ერთმანეთთან შეზრდილია, თავისუფლადაა დარჩენილი მხოლოდ კონიდიოფორების წვერი, რაზედაც კონიდიოსპორებია განვითარებული. ზოგიერთი კორემიები კონიდიოსპორებით ან მთლიანადაა დაფარული. უმთავრესად საპროფიტებია, თუმცა ზოგიერთი ცნობილია, როგორც მცენარეების პარაზიტი. აღსანიშნავია:

გვ. *Graphium*-ი. გრაფიუმის წარმომადგენლები პარაზიტებად



სურ. 82. კორემის ტიპის ნაყოფიანობა *graphium ulmi*.

ითვლებიან. მათი კორემიუმი მიცელიუმის ზედაპირზე კარგადაა ჩამოყალიბებული, მოყავისფრთხა ან შავი, ცილინდრულია ზოგჯერ დატოტვილი. ტოტების წვერი ფუნქისებრია და ზედ წარმოქმნილია კვერცხისებრი, მოკრძო, წვრილი და უფერული კონიდიოსპორები.

ამ გვარის წარმომადგენელთა შორის უნდა

დავასახელოთ მთელ მსოფლიოში გავრცელებული *Graphium ulmi*, რომელიც იწვევს თელის ჰოლანდიურ ავადმყოფობას. ამ ავადმყოფობამ ამერიკისა და ევროპის კონტინენტებზე ტყეებსა და პარკებში მთლიანად გაანადგურა თელები. იგი ჩვენშიაც მძვინვარებს და ტირალს იძლევა. *Graphium stilboideum* იწვევს ხუნწას (მოცხარი) ტოტების დაავადებას.

O c t o m a — სხვადასხვა ჩანთიანი სოკოს განვითარების ციკლშიც შედის და მისი ერთ-ერთი სტადიაა, მაგალითად:

რიგი — *M e l a n c o n i a l e s* — მ ე ლ ა ნ კ ო ნ ი ა ს ე ბ რ ნ ი. მელანკონიასებრთათვის დამახსაიათებელია მიცელიუმის შეზრდით წარმოქმნილი ნაყოფიანობის სარეცელი, რომელზედაც კონიდიოფორებია განვითარებული. სარეცელი შეიძლება იყოს ჩაზნექილი, ბრტყელი და ამობურცული. ზოგიერთ წარმომადგენელს სარეცელი ჰიფების ფაშარად შეზრდის შედეგად უვითარდება და ზედა მხრიდან კონიდიოფორებითაა დაფარული. კონიდიოსპორები ხან შშრალ მასას ქმნიან და თავისუფლად ვრცელდებიან, ხან კი სოკოების გამოყოფილ ლორწოშია შერეული. ფორმით ერთ ან მრავალუჯრედიანია, უფერული ან მუქად შეფერილი.

ბევრი მათგანი პარაზიტია და კულტურულ მცენარეთა დაავადებას იწვევს.

მელანკონიასებრთა კლასიფიკაციის დროს სარეცელის აგებულებას ექცევა ყურადღება: იგი ზედაპირულია, ამობურცული თუ მკვებავი მცენარის ქსოვილშია ჩაზნექილი.

სუბსტრატში ჩაზნექილი სარეცელი უვითარდება შემდეგ წარმომადგენლებს: გვ. *Gloeosporium* — გლეოსპორიუმი. გლეოსპორიუმის სარეცელი ჩაზნექილია, დასაწყისში ეპიდერმისითაა დაფარული, რომელიც

შალე იშლება და კონიდიოფორები მტკიცე შრედ თავისუფლადაა. განვითარებული; კონიდიოსპორები მომრგვალოა, ელიფსისებრი ერთუჯრედიანია, უფერული და ლორწოშია გახვეული. მასა კი პირის ფერია.

აღსანიშნვია: gl. *platani*. იგი ჭაღრის ტოტებს, ლეროს და ფოთლებს აავადებს და ახმობს. ჩვენში საკმაოდაა გაფრცელებული, gl. *lagenarium* გოგროვან მცენარეთა (კიტრი, გოგრა, საზამთრო, ნესვი) — გაფრცელებული ავადმყოფობაა; *Gleos ampelo phagum* — იწვევს ვაზის ანთრაქნოზს.

გვ. *Colletotrichum* — კოლეტოტრიხუმი. იწვევს სხვადასხვა და ავადებას. მსგავსია გვ. *Gloeosporium*-სა, განსხვავდება მხოლოდ სარეცელის გარშემო ყავისფერი, ჭაღრისისებრი ნამატებით. არეულ სტადიაში, თუ ნამატები ჯერ არაა განვითარებული, ის შეიძლება გლეოსპორიუმში აგვერიოს. აღსანიშნავია *Col. Lindemuthianum*, იწვევს ლობიოს აღმნაცენების, ლეროს და ფოთლების დაავადებას — ე. წ. ანთრაქნოზს, პარკებზე იარას აჩენს; *Col. Gloeosporioides*-ი იწვევს ციტრუსების ფოთლების, ტოტის და ნაყოფების დაავადებას; *Col. atramentarium* ძალლყურძენოვანთა წარმომადგენლების (კარტოფილი, პომიდორი, ბაღრიჯანი). ფესვის ყელისა და ფესვთა სისტემის დაავადებას; *Col. lauri* დაფნის ფოთლის ლაქიანობის გამომწვევია *Col. Gloporedus* — იწვევს ციტრუსების მნიშვნელოვან ავადმყოფობას ე. წ. ანთრაქნოზს ან ნაცრისფერ ლაქიანობას.

სარეცელი ფოთლებზე განვითარებულ ლაქაზე იქმნება. ჯერ ეპიდერმისითაა დაფარული, შემდეგ ამონჯდარია. კონიდიოფორები მოკლე და უფერულია; კონიდიოსპორები ძაფისნარი, გრძელი, ცილინდრული, სწორი ან მოხრილი. რამდენიმე (1 — 4) განვითარისა. აღსანიშნავია, რომ *Cylindrosporium mori* — თუთის ფოთლების ლაქიანობას იწვევს. მის ჩანთიან სტადიად *Mycosphaerella mori* ითვლება.

Cyl. ulmi — თელის ფოთლების ლაქიანობას იწვევს.

გვ. *Marssonia* — მარსონია. ფოთლების და, იშვიათად, ნაყოფების დაავადებას იწვევს. სარეცელი ეპიდერმისის დარღვევის შემდეგ თავისუფლდება. კონიდიოფორები მოკლეა და უფერული; კონიდიოსპორები სწორი ან მოხრილია. დასაწყისში ერთუჯრედიანი, შემდეგ კი ერთი ტიხარი უვითარდება; რომელიც კონიდიოსპორას ორ არათანაბარ ნაწილად ყოფს. მარსონიას შემდეგი წარმომადგენლებია აღსანიშნავი:

ყველაზე გაფრცელებულია კაკლის მარსონია *Marssonia*. იწვევს კაკლის ფოთლების, ტოტებისა და ნაყოფების დაავადებას, რაზედაც ყავისფერი, სხვადასხვა ზომის ლაქები ჩნდება;

ვარდის ფოთლებზე მურა ლაქიანობას იწვევს (წვრილი ტოტები ხმება, ფოთლები სცვივა). *Marssonia* კრებული სახეობაა, რამდენიმე ფორმას იძლევა, განსაკუთრებით ერთია აღსანიშნავი, *Marssonia Juglandis*, რომელიც კაკალზე გვხვდება.

ვგ. *Melanconium* — მელანკონიუმი. სარეცელი ჯერ ქსოვილშია, შემდეგ კი ამომჯდარია. აღსანიშნავია ეპიდერმისის გახსნა; თითქოს ჭვრეტსა ქმნის, საიდანაც კონიდიოსპორების დიდი რაოდენობა გადმოდის და იქვე სარეცელის გარშემო მუქი შავი მტვრის სახით ედება. კონიდიოფორები მოკლეა, კონიდიოსპორები . მოგრძოა, ელიფსისებრი ყავისფერი ან მურა ფერისაა. ჩვენში გავრცელებულია *Melanconium juglandinum*, რომელიც კაკლის ტოტების დაავადებას, და ხმობს იწვევს.

Mel. pterocariae — ლაფნის მელანკონიუმი მსგავსია კაკლის დამავადებლისა. საეჭვოა მისი ცალკე სახეობად არსებობა. როგორც ჩანს, *M. juglandis*-ს ეკუთვნის.


ვგ. *Pestalozzia* — პესტალოცია. პესტალოციას სარეცელი ბრტყელია და ამომჯდარი. კონიდიოსპორები 5 უჯრედისგანაა შემდგარი. აქედან 3 შუა უჯრედი შეფერილია ყავისფრად და გაღივების უნარი აქვს. ხოლო 1-პერიოდერიული წვერის უჯრედი უფერულია და რამდენიმე (1—5) უფერული წამწამი აქვს. მეორე — ქვედა უჯრედი კონიდიოსპორას ფეხთან აყავშირებს. გვხვდება როგორც ფაკულტატური პარაზიტები. ჩვენში აღსანიშნავია — *Pestalozzia thea*, რომელიც ჩაის ფოთლის ყავისფერ ლაქიანობას იწვევს; *Pest. guepini* სხვადასხვა სუბტროპიკულ მცენარეზე გვხვდება.

Pestalozzia-ის ერთშოლტიან ფორმებს ვგ. *Monochetia*-ს აკუთვნებენ. მელანკონიასებრთა რიგის ის წარმომადგენლები, რომელთაც სუბსტრატის ზედაპირზე ამომჯდარი სარეცელი ან სტრომა აქვთ, სხვადასხვა ტიპის ნაყოფიანობას იძლევიან. ბევრის სარეცელი მტკიცედ შეზრდილი ჰითებისაგანაა წარმოქმნილი, ნაწილისა კი ფაშარად შეზრდილი. ჰითებისაგან. იგი ბალიშისებრია და მისი ზედაპირი დაფარულია მარტივი ან დატოტვილი კონიდიოფორებით. სარეცელი შეფერილია ნარინჯისფრად. ზოგჯერ მოწითალოა, იშვიათად, მოლურჩოც და სხვ. მაგ.

ვგ. *Tubercularia* — ტუბერკულარია. ტუბერკულარიას სარეცელი ადვილი შესამჩნევია სუბსტრატის ზედაპირზე თავისი კარგად განვთარებული ბალიშისებრი, ნარინჯისფრები სარეცელით. სარეცელი შემდგარია ფაშარად შეზრდილი, გრძელი, დატოტვილი კონიდიოფორებისაგან, რომლის გვერდებზე განვითარებულ მოკლე ტოტებზე ოდნავ მოხრილი, უფერული კონიდიოსპორები ვითარდებიან.

Tubercularia vulgaris ხშირად გვხვდება მერქნიან ჯიშებზე. იწვევს ტოტების ხმობას. ტოტებზე მოწითალო-ნარინჯისფრები მეჭეჭები ვითარდება. ითვლება ხეხილის კიბოს გამომწვევი ორგანიზმის — *Nectria cinnabarina*-ს კონიდიურ სტადიად.

ვგ. *Tuberculina* — ტუბერკულინა. სოკო ტუბერკულინა უანგა



სურ. 83. მელანკონიასებრთა ტიპები: 1—*G. Ieoosporium*, 2 — *Colletotrichum*, 3 — *Melanconium*. 4 — *Pestalotia*.

სოკოების პარაზიტად ითვლება. აავადებს ეციდიურ სტადიას, რაზედაც სოკო ავითარებს ისფერ სარეცელს. კონიდიოფორები მოკლეა, მარტივია ან სუსტად დატოტვილი. კონიდიოსპორები მრგვალია, უფერული.

აღსანიშნავია ჩვენშიც სხვადასხვა უანგას ეციდიურ სტადიაზე გავრცელებული *Tuberculina persicina*.¹

დაავადებულ ნაწილზე საბოლოოდ ისფერი სკლეროციები იქმნება. გვ. *Sphacelia segetum*. ობლიგატური პარაზიტია და უმთავრესად ვითარდება მარცვლეულთა ნაყოფებზე. ზოგიერთის ფოთლებსა და ყლორტებსაც აზიანებს.

კონიდიოფორები მარტივია, სწორი, დაკლაკნილი ან დანაოჭებული. სარეცელის ზედაპირზე ვითარდებიან და საბოლოოდ დაავადებულ ნასკეს სკლეროციუმად გადააქცევენ. კონიდიური ნაყოფიანობის პერიოდში ზოგიერთი წარმომადგენელი ცვარტებილას გამოყოფს.

1. *Sphacelia Segetum* — ხორბლეულების ნასკებს აავადებს. იწვევს ჭვავის რქს; *Sphaecelia paspali* საძოვარ ბალახს ლაკარტიას აავადებს. თუ ძოვების დროს დაავადებული მცენარიდან სკლეროციები საკვებს შეჰქვება, იწვევს საქონლის მოწამელას „ბანდალას“.

ორივე წარმომადგენელი დაკავშირებულია ჩანთიან სტადიასთან, კერ-

ძოღ Claviceps-თან; Sphacelia Favcettii — იწვევს ციტრუსოვნების ფოთლების და ნაყოფების მეჭვევიანობას; Sp. pelargonii გერანის კალმების და ფოთლების დამეჭვეჭების გამომწვევია, უკანასკნელი ორი წარმომადგენლის ჩანთიანი სტადია — Elsinoe-ა.

გვ. Fusarium — ფუზარიუმი. უსრულ სკოებში გვ. Fusarium-ი, თუმცა ბევრ წარმომადგენელს არ შეიცავს, მაგრამ მისი პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობა მეტად დიდია. 80-მდე სახეობაა ცნობილი, რომლებიც სხვადასხვა მცენარეთა ჭკინობის გამომწვევად ითვლებიან. მათი გარკვევა ანუ იდუნტიფიკაცია მეტად დიდ შრომას მოითხოვს — წმინდა კულტურებში შესწავლას, მათი ცვალებადობის კანონზომიერების დადგენას და სხვ. იყოფა სექციებად.

დღევანდლამდე ცნობილი გვ. Fusarium-ის წარმომადგენლები 17 სექციაშია განაწილებული. ეს სექციები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან კონიდიოსპორებით (მიკრო და მაკრო) ქლამიდოსპორების განვითარების ტიპით, კოლონიის ფერით და სხვ.

წარმოგადგენთ მხოლოდ გვარის ძირითად დახსაითებას.

მიცელიუმი შინაგანია. სარეცელი ბრტყელია ან უფერო. ხშირად სუბსტრატის ზედაპირზე მეჭვების სახით განვითარებული. მეჭვების ზედაპირზე კონიდიური ნაყოფიანობაა მოცემული, ნაყოფიანობა იშვიათად ცალკე ტოტებზეცაა განვითარებული. ფუზარიუმის მეჭვების ორ სახეს არჩევენ:

პირველია — ს პ ო ო დ ო ქ ო უ მ ო. როდესაც მეჭვები მიღებულია ფაშარად შექმნილ ჰიფებისაგან, რომლის პერიფერიუმი კონიდიოფორებითაა დაფარული; სპორები ჰაეროვან ჰიფებზეა. მეორე სახეა პ ო ნ ო ტ ო ბ ო. ამ შემთხვევაში მიცელიუმის ზედაპირზე მოცემული ნაყოფიანობა მთლად ლორწოშია გახვეული. შექმნილი სპორები ლორწოში რჩება.

ფუზარიუმის გვარში კონიდიოსპორები ორგვარია: მ ო კ ო კ ო ნ ო დ ო უ მ ო ბ ო (ერთ ან, იშვიათად, ორუჯრედიანი), ზომით პატარებია და მ ო კ ო კ ო ნ ო დ ო უ მ ო ბ ო — გრძელი სწორი ან ახალ მთვარისებრად მოხრილი, ცელისებრი, მრავალტიხრიანია (3—10). კონიდიოსპორები ცალკე ოდნავ შეფერილია, ხოლო მასაში — მოწითალოა, ნარინჯისფერი თუ სხვა ფერისა. ზოგიერთი წარმომადგენელი ქლამიდოსპორებსაც იძლევა.

გვ. Fusarium-ის წარმომადგენლებისათვის ჩანთიანი სტადიაცაა ცნობილი. ფუზარიუმის სხვადასხვა სექცია სხვადასხვა ჩანთიან სტადიასთან არის დაკავშირებული, მაგალითად, Nectria, Calonectria, Gibberella-სთან და სხვა.

გვარცელებულია როგორც ნიადაგში, ისე მცენარეებზედაც, მაგალის თაღ, Fusarium graminearum — ხორბლის მარცვლის დავადება-

იწვევს. დაავადებული მარცვლები საკეებად გამოყენებისას მომხარებელს ათრობს. *F. vasinfectum* ბამბის ჭინობის მიზეზია, *F. solani* მრავლობის ბოსტნეული და ტექნიკური მცენარის, აგრეთვე კარტოფილის ჭინობის გამომწვევა; *Fus. lateritium*-ი თუთის ტოტებს ახმობს; ეთერზეთოვანი მცენარე რეპანი — ხშირად ნაღურდება სოკო *Fusarium oxy sporangium*-ით.

რიგი *Pycnidiales* პიკნიდიალი დიდია სებრნი უსრულ სოკოთა შორის ყველაზე მრავალრიცხვოვანია. მიუხედავად იმისა, მათი ნაყოფიანობა ძირითადად თითქოს ერთგვარია — დახურული პიკნიდიუმებია, მათ შორის ერთმანეთისაგან განსხვავებული ფორმები საკმაოდ ბევრია. ნაყოფსხეული პიკნიდიუმია. ტიპიურ შემთხვევაში მრგვალი, რომელსაც კარგად განვითარებული პარენქიმული ან პროზენქიმული უჯრედებისაგან შემდგარი კედელი აქვს; წვერზე პორუსია დატანებული. ასეთი პიკნიდიუმი თავისი ფუძით, სუბსტრატში სხვადასხვა სილრმეზეა ჩამჯდარი. ნაწილს პორუსი არ გააჩნია. ქსოვილიდან ნაცევრად ამოწეულია; ნაწილს პორუსი აქვს წვერზე ძუძუსებრი კარი, ხშირად გრძელიც — ხორთუმისებრი.

პიკნიდიუმის კედლის შიგნითა მხარე თეთრი სოკოვანი ქსოვილითა დაფარული, საიდანაც მარტივი ან დატოტვილი კონიდიოფორებია წარმოქმნილი. თუ უკანასკნელი პიკნიდიუმში არაა, მაშინ კონიდიოსპორები უშუალოდ კედლის უფერული შრისგან წარმოიქმნებიან. პიკნიდიუმში დაგროვილი სპორები პორუსიდან გამოიის შიგ განვითარებულ ლორწოსთან ერთად ან პორუსით მოხვედრილ წვიმის წყალთან ერთად.

თუ პიკნიდიუმს პორუსი არა აქვს, მაშინ პიკნიდიუმში დაგროვილი სპორებისა და ლორწოს წნევის გამო კედელი სკდება და წყლის წვეთის დახმარებით ვრცელდება.

პიკნიდიუმი განვითარებულია ან ერთეულად, ან კიდევ მიცელიუმის ხლართებით ან სტრომატიული ქსოვილით გვუფადა შეკრული.

სტრომაზე პიკნიდიუმები ან მთლად ზედაპირულია ან ნაცევრად სტრომაშია, ან მთლიანად ჩამჯდარია. ზოგიერთ სოკოს სტრომაში ჩამჯდარი პიკნიდიუმები რამდენიმე სართულად აქვს განწყობილი. მაშინ მათი სპორები პიკნიდიუმის წვერზე განვითარებული ხორთუმით ამოდის ზედაპირზე.

არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ჭვეფად შეკრულ პიკნიდიუმებს თავისი საკუთარი კედელი და პორუსი მოუპოვება. მაგრამ ასეთი გართულებული ნაყოფიანობა პიკნიდიუმში კამერების შექმნით იცვლება. კამერების სიღიღე და ფორმა სხვადასხვანაირია — მომრგვალო, დაკლაკნილი, მრუდე, ხაზისებრი და სხვ. კამერის კედლები მთლიანად კონიდიოფორებითაა დაფარული და სპორების გავრცელებისათვის საერთო ხორთუმი აქვთ.

პიკნიდიუმის კედელი ზოგიერთ წარმომადგენელს მარტო ზედაპირული აქვს. ფუძის მხარე კი სუბსტრატის ქსოვილითაა შემოფარგლული. ზედა ნაწილი ფარივითაა ფუძის ნაწილზე დაფარებული.

პიკნიდისებრნი ორ ქვერივად იყოფიან: ნამდვილი პიკნიდიუმის მქონებად — *Pycnidiaceae* და სტრომის მქონებად — *Stromaceae*.

რიგი *Pycnidiaceae* — პიკნიდიუმის ერთ-უჯრედიანი უფერული სპორებით.

გვ. *Phyllosticta* — ფილოსტრიქტა. პიკნიდიუმები ფოთლებზე განვითარებულ ლაქებზეა და წვრილი შავი წერტილების სახით მოჩანს. ლაქები ცენტრში მოთეთრობა და მუქი არშიითაა შემოვლებული. კონიდიოფორები შეუმჩნეველია ან მოკლე; კონიდიოსპორები მომრგვალო, ელიფსისებრი ან მოგრძო და პორუსიდან ცვივიან; პარაზიტებია, ყველგან ფოთლის ლაქების გაჩენას იწვევენ.

აღსანიშნავია: *Phyllosticta Briardi* — ვაშლის ფოთლების წვრილ-ლაქიანობას იწვევს; *Ph. prunicola* — კურკოვანი ფოთლების ლაქიანობას იწვევს; *Ph. plurivora* — სუბტროპიკულ მცენარეებზე გვხვდება; *Ph. thea* — იწვევს ჩაის ფოთლების ლაქიანობას და სხვ.

გვ. *Phoma* — ფომა. *Phoma* უმთავრესად ტოტების ხმობას იწვევს. პიკნიდიუმები დაავადებულ ორგანოს ზედაპირზე ვითარდებიან. სპორები მოგრძოა და პიკნიდიუმის შიგნით არსებულ კედელთან. თეთრი ქსოვილისაგან იქმნებიან, ზომით არაუმეტეს 15 მ:


Phoma tracheiphyla — ლიმონების ხმელას გამომწვევია, გავრცელებულია აგრეთვე მანდარინზე, ფორთოხალზე, სამყურა ლიმონზე და სხვ. იწვევს ხეების ხმობას. იგი ლიმონების ხმელას სახელწოდებითაა ცნობილი. *Ph. betae* — ჭარხლის ძირხვენებისა და ფოთლების დაავადებას იწვევს. *Ph. lingam* — ჯვარისანთა ოჯახის წარმომადგენლებს აავადებს. იწვევს ძირხვენების ლპობას.

გვ. *Macrophoma* — მაკროფომა. პიკნიდიუმები მრგვალია ან ოდნავ შეზნექილი კედლებით, კარგად განვითარებული ბორუსით; კონიდიოფორები მოკლე, ცილინდრული; კონიდიოსპორები — თითისტრარისებრი. წაწვეტებული ბოლოებით და მარცვლოვანი შიგთავსით. ზომით 15 მ-ზე მეტი უნდა იყოს.

პარაზიტულ და საპროფიტულ წარმომადგენლებს შეიიცავს. *Macrophoma reniformis* — იწვევს ყურძნის შავ სიღამპლეს, რომელიც ბლექროტის სახელითაა ცნობილი; *M. edulis* ბატატის ტუბერების იავურ შავ სიღამპლეს იწვევს.

გვ. *Ascochyta* — ასკოჩიტა. არაერთი მცენარის ფოთლებისა და ღეროს ლაქიანობას იწვევს. პარაზიტია.

პიკნიდიუმები თხელკედლიანი, კარგად განვითარებული პორუსით; კონიდიოსპორები მკრთალად შეფერილია მოწითალო-ყვითლად, ორუჯ-240



სურ. 84. Sphaeropsidales-ების წარმომადგენლები: 1 — *Phylosticta*, 2 — *Coniothyrium*, 3 — *Diplodia* 4 — *Septoria*, 5 — *Hendersonia*.

რედიანია. აღსანიშნავია *Ascochyta citri* — ლიმონების ნერგების დაავადებას იწვევს სათბურებში. ფოთლებზე ლაქებს ავითარებს; *As. pisi* — ბარდის ასკოხიტოზი — ბარდის ფოთლებს, პარკს და ლეროს აზიანებს; *As. melonis* — კოკინოზითა ასკოხიტოზი აავადებს ნესვს, საზამთროს, გოგრას; *As. pirina* — მსხლის ფოთლების ასკოხიტოზი და სხვ.

გვ. *Darluca* — დარლუკა. უანგოვანი სოკოების პარაზიტია. აავადებს ურედო და ტელეიოტოსტადიებს (*Puccinia*, *Uromyces*, *Melampsora*

და სხვა) მეტებებს. ნაყოფსხეულები მრგვალია, მჭიდრო გვუფებაღაა შეკრული, კონიდიოსპორები თითოსტარისებრია. შევერზე ნამატებითაა, რომლებიც ადვილად ცვივა. ერთი წარმომადგენელია *Darluca filum*.

გვ. *Septoria* — სეპტორია. პიკნიდიუმი შავი წერტილების სახით მოთეთრო ლაქებზე განვითარებული. პარაზიტულ ფორმებს შეიცავს. კონიდიოფორები მოკლეა. კონიდიოსპორები მრავალუჯრედიანი უფერული ცალინდრული ან ძაფნაირი. გავრცელებულია სხვადასხვა; მცენარეებზე, მაგალითად, *Septoria piricola*, იწვევს მსხლის ფოთლების თეთრ ლაქიანობას. ძლიერი დაავადების დროს ფოთოლი ნაადრევად სცვივა. მისი ჩანთიანი სტადია *Mycosphaerella sentina* არის; *Sep. lycopersici* იწვევს პომიდვრის თეთრ ლაქიანობას, რის გამოც ფოთლები და ტოტები ხმება; *Sep. nodorum* — ხორბლის ფოთლებისა და კილების დაავადებას იწვევს; *Sep. medicaginis* — იონგის სეპტორიოზი — ფოთლებს ალაქავებს.

პიკნიდიუმიანი სოკოებიდან, რომელთაც ერთუჯრედიანი შეფერილი სპორები აქვთ, აღსანიშნავია:

გვ. *Coniothyrium* — კონიოთირიუმი. გვ. *Coniothyrium*-ს შინაგანი მიცელიუმი აქვს. დაავადებულ ორგანოს ზედაპირზე პარენქიმულკედლებიან პორუსიან პიკნიდიუმებს ავითარებს. კონიდიოფორები მარტივია, ძაფისნაირი. კონიდიოსპორები ერთუჯრედიანია, არათანაბარგვერდებიანი, მურად ან წენგოსფრად შეფერილი. *Coniothyrium diplodiella* იწვევს ყურძნის თეთრ სიღამპლეს, ანუ ვაიტროტს. აავადებს ფოთლებს, რქას და ყურძენს, მეტადრე მომწიფების ფაზაში. ღიდი ზარალის მომცემია სეტივის შემდეგ. კონიდიოსპორები მურად და ოდნავ გვერდელა; *Con. concentricum* აავადებს აგავის ფოთლებს, რაზედაც მუქი ღიდი ლაქები ჩნდება, რომელიც სოკოს მოქმედებით, შემდეგ იშლება; *Con. piricolum* ვაშლის ცოცხალი ფოთლების ლაქიანობას იწვევს. კონიდიოსპორები მოშავოა, მოკლე კონიდიოფორებზე განვითარებული.

გვ. *Sphaeropsis* — სფეროფსისი. პიკნიდიუმები შავია, სქელკედლიანი, ნახშირისებრი კონსისტენციისა. პორუსი ძეგლუსებრია, რის გამოც კონუსისებრ ფორმას იღებს. კონიდიოფორები მოკლეა; კონიდიოსპორები მომრგვალო, ელიფსისებრი, მოგრძო-ყვითელია, წენგოსფერია და გარსი ეკლებით აქვს დაფარული. აღსანიშნავია:

Sphaeropsis malorum-ი პოლიფაგია და სხვადასხვა მცენარის რაავადებას იწვევს. ვაშლზე ფოთლების სილაქავეს იძლევა, ხოლო ნაყოფებზე — შავ სიღამპლეს, ტოტების დაავადებისას კი იწვევს ვაშლის ღეროსა; და ტოტების კიბოს; *S p. h. r o p u l i* — მერქნიან ჯიშებზე გვხვდება, ფოთლოვანებზე — კუნელზე, ჩიტავაშლზე, თამელ-

ზე და სხვ. უმთავრესად, გამხმარ ტოტებზე. მისი ჩანთიანი სტადიაა *Physalospora cydoniae*.

გვ. *Diplodia* — დიპლოდია. სქელკედლიანი, ნახშირისებრი პიკნი-დიუმებია, რომელთაც პორუსი დატანებული აქვთ. დაავადებული სუბსტრატის ზედაპირზე კარგადაა შესამჩნევი ერთეულად ან ჯგუფად შეკრებილი შავი პიკნიდიუმები. კონიდიოფორები მოკლეა, ცილინ-დრული. კონიდიოსპორები ერთტიხრიანია, სადა ან დახორკლილი გარს-ით, მუქი-ყავისფერია.

Diplodia natalensis-ი ციტრუსების ტოტების დაავადებას იწვევს. ჭერქს ალპობს და მერქნიდან იყრება; სპორები, ელიფსისებრი, ყავის-ფერი, დასერილი გარსითაა; თუთის ტოტებზე გვხვდება.

ფიტვის ყლორტების და ტოტების დაავადებას იწვევს *D. p. pinea*.

პიკნიდიუმები მარტივია ან რთული სტრომითაა შეკრული. სირთულე იმაში გამოიხატება, რომ პიკნიდიუმის ღრუ კამერებადაა დანაშილებული. თვით კამერაც შეიძლება იყოს მარტივი და რთული. კამერის კედლები და-ფარულია მარტივი ან დატოტვილი კონიდიოფორებით. კონიდიოსპორები ერთუჯრედიანია, უფერული, ან შეფერილი.

უფერულსპორებიანთაგან შემდეგი გვარებია აღსანიშნავი:

გვ. *Melasmia* — მელაზმია. პიკნიდიუმები ფოთლებზე ბრტყელ სტრომაში განვითარებული. სტრომა დიდია, შავი, კრიალი. ყვითელი არშიითაა შემოვლებული. კონიდიოსპორები წვრილია, მოკლე, ცილი-ნდრული.

ჩვენში ხშირად გვხვდება ნეკერჩხლის ფოთლებზე *Melasmia acerina*. ფოთლებზე დიდი შავი სტრომა წარმოიქმნება. როდესაც რამდენიმე ლაქაა, ფოთლის ფირფიტაზე სასიმილაციო არე მკვეთრად მცირდება.

გვ. *Phomopsis* — ფომოფსიი. ამ გვარის წარმომაღვენლები, უმთავრესად, ტოტებს აზიანებენ. იშვიათად, ნაყოფებსაც. პარაზიტებად ითვლებიან. სტრომა ოდნავ გაბრტყელებულია ან კონუსისებრი. და ჩამდიდარია ქერქის ქსოვილში. სხვადასხვა ფორმის კამერებს ქნის. კამერების კედლიდან განვითარებულია ორგვარი სპორები: ლინზისებრი ან თითისტარისებრი, უფერული და ერთუჯრედიანი; მეორე ჯგუფის სპორები ძაფისნარია და ბოლომოკაუჭებული. მათ სტილო-სპორებსაც უწოდებენ. ხან პიკნიდიუმში ორივე სახის სპორებია, ხან კი ფრთ-ერთი მათგანი. პორუსი ძუძუსებრია ან მოკლე ხორთუმი აქვს.

ზოგიერთისათვის ცნობილია გვ. *Diaportal*-თან დაკავშირებული ჩანთიანი სტადია. საქართველოში 86-ზე მეტი სახეობაა ცნობილი. აღსანიშნავია *Phomopsis vexans*-ი. იწვევს ბადრიჯნის სათესლე ნაკვეთებზე ნაყოფების ლპობას. იშვიათად, ღეროების დაზიანებასაც; *Phom. diospiri* სუბტროპიკული ხურმის ტოტების დაავადებას იწვევს. *Phom. citri* — ციტრუსების ტოტებზე და ნაყოფებზე გვხვდება.

გვ. *Cytospora* — ციტოსპორა. ციტოსპორა ძლიერ გავრცელებულია. განსაკუთრებით შერქნიან მცენარეებზე. იწვევს ახალგაზრდა ტოტების ხმობას. სტრომა კარგადაა განვითარებული და მუდამ! ერთი პორუსით გამოდის დაავადებული ქსოვილის ზედაპირზე. ერთ ან მრავალუჯრედანია. კონიდიოფორები მარტივია ან წვერზე დატოტვილი, ძაფისნაირია. კონიდიოსპორები მოხრილია, ალანტოიდური — უფერულია. სპოროვანი მასა ლორწოს სახით გამოდის ბაფთისებრად. შემდეგ ხემბა და პინილუმის წვერზეა შერქნილი ძაფისებრი ყვითელი, მოწითალო თუ მოლურჯო წარმონაქმნების სახით. სახეობათა რაოდენობის მხრივ საკმაოდ დიდი გვარია და ნაყოფსხეულის აგებულების მიხედვით რამდენიმე ქვეგვარს შეიცავს.

შემდეგი სახეობა *Cytospora chrysosperma*. გვხვდება უმთავრესად ვერხზე და იწვევს ტოტების ხმობას. ფოთლოვან ჯიშებზე აღნიშნულია აგრეთვე *Cyt. ambiens*. ესეც ტოტების ხმობას იწვევს; *C. capitata* ვაშლის გამხმარ ტოტებზეა.

გვ. *Polystigmina* — პოლისტიგმინა. აავალებს კურკოვანთა ფოთლებს. ფოთლებზე ვითარდება ბრტყელი, საკმაოდ დიდი, მოწითალო, სქელი სტრომა. უკანასკნელი შეიცავს მრავალ კამერას, რომლებშიც კონიდიოსპორებია განვითარებული. კონიდიოსპორები სტრომის ქვედა მხრიდან თავისუფლდებიან, უფერულია, ოდნავ მოხრილი. *Polystigmina rubra* ატმის და ნუშის ფოთლებზე ნარინჯისფერ ლაქებს აჩენს.

გვავილოვანი ანუ თესლოვანი პარაზიტები — SPERMATOPHYTA

სოკოვან და ბაქტერიულ ავაღმყოფობათა შემდეგ ყველაზე საყურადღებო ყვავილოვანი ანუ თესლოვანი ანუ თესლოვანი მცენარე-პარაზიტებია. ეს ჯვაფი, მართალია, მრავალრიცხოვანი არაა, მაგრამ მისი ზოგირთი წარმომადგენელი, მაგალითად, ფიტო, კელაპტარა, აბრეშუმა, ფართოდ არის გავრცელებული ბუნებაში და მნიშვნელოვან ზარალს იწვევს.

ყვავილოვანი პარაზიტები რამდენიმე ბოტანიკურ ოჯახში შედიან. ყველაზე მრავალრიცხოვანია *Lorantaceae* ფიტოსებრთა ოჯახი. შემდეგ მოსდევს *Sorophulariaceae*, *Orobanchaceae* — კელაპტაროვანი, — *Convolvulaceae* — ხვართქლანაირნი და სხვ. *Cuscudaceae* — აბრეშუმა-სებრთა ოჯახი.

ყვავილოვანი პარაზიტები სახლდებიან როგორც მრავალწლიან, ისე ერთწლიან მცენარეებზე. მათი მოქმედება მცენარეზე სხვადასხვაგვარია და დამოკიდებულია პარაზიტის ბიოლოგიურ თავისებურებაზე, კერძოდ, იმაზე, ნამდვილი პარაზიტია, თუ ნახევრად პარაზიტი, ფესვის პა-

რაზიტია, თუ ლეროსი. დიდი მნიშვნელობა აქვს მკვებავი მცენარის თავი-სებურებასაც.

თესლოვან მცენარეებში ნამდვილი პარაზიტები ისე-თებს ეწოდება, რომლებიც ქლოროფილს არ შეიცავენ; მათი ლერო ყვითელი, სოსნა ან მოწითალო ფერისაა და თავისი საწოვრებით დაკავშირებულია ლაფნის ქსოვილებთან, საიდანაც ამ პარაზიტებს ორგანულ ნივთიერებათა მიღება შეუძლიათ. ასეთებია, აბრეშუმა, კელაპტარი. ნახევრად პარაზიტები და ისეთებს თვლიან, რომელთა ლერო მწვანეა. ესენი ქლოროფილს საკმაო რაოდენობით შეიცავენ და საკვებ ნივთიერებათა ასიმილაციის უნარი აქვთ. მათი საწოვრები დაკავშირებულია მცენარის მერქნიან ქსოვილებთან, საიდანაც პარაზიტის მიერ მინერალურ ნარევებთან ერთად წყალს იღებს და ასიმილაციის საშუალება იქმნება. ასე რომ, თვით პარაზიტი ქმნის თავისთვის საჭირო ორგანულ ნივთიერებებს. ასეთებია: ფითრი, სანთელა და სხვ.

ყვავილოვანი პარაზიტები იყოფიან აგრეთვე იმის მიხედვით, თუ მცენარის რომელ ორგანოზე არიან დასახლებული. ამ მხრივ არჩევენ ფესვისა და ლეროს პარაზიტებს და ფესვისა და ლეროს ნახევრად-პარაზიტებს. დაჯგუფების საფუძვლად აქაც ქლოროფილის შემცველობაა მიღებული.

ოჯ. *Lorantaceae* (ფითრისებრთა) წარმომადგენლები, უმთავრესად, ტროპიკულ ზონებში არიან გავრცელებული მერქნიან ჯიშებზე და ბუჩქოვან მცენარეებზე. ამ ოჯახის წარმომადგენელთაგან ჩვენში ფართოდ და მოდებული ტყის ჯიშებზე და ხეხილზე. ჩვეულებრივი ფითრი *Viscum album* f. იგი ნაკრებ სახეობას წარმომადგენს და სამ ბიოლოგიურ ფორმას შეიცავს, ესენია:

ფოთლოვან მცენარეთა ფითრი — *Viscum album* f. *mali*,

სოჭის ფითრი — *Viscum album* f. *abietis*,

ფიჭვის ფითრი — *Viscum album* f. *pini*.

ტროპიკებში გავრცელებულია ამ ოჯახის სხვა გვარებიც, კერძოდ, გვ. *Loranthus*-ი. იგი მრავალ სახეობას შეიცავს. ესენი ფილოგენეტიკურად ერთმანეთისაგან დაშორებული ბოტანიკური ოჯახების წარმომადგენლებს აზიანებენ.

ფითრისებრთა ოჯახს ეკუთვნის აგრეთვე *Arceuthobium oxycedri* (ჯუჯა ფითრი). იგი ჩვენში ღვიას წარმომადგენლებს აზიანებს. მისი ქართული შესატყვისი — ჯუჯა ფითრი მივიღეთ (Карликовая омелла)

ჯუჯა ფითრი, მართალია, ნამდვილი ფითრისაგან მკვეთრად განსხვავდება თავისი გარევნობით, მაგრამ მათი ბიოლოგია ერთნაირია გავრცელების გზებიც მსგავსია.

ლეროზე და ტოტებზე დასახლებულ უქლოროფილო თესლოვან პარაზიტაგან პირველ რიგში აბრ ეშუ მა უნდა დავასახელოთ. მას

ჩვენში აბრეშუმას, საპონელას ან გოჭისწელას ც
უწოდებენ. იგი ოჯ. *Cuscuteaceae* ეკუთვნის და შეიცავს ერთ გვარს,
სახელობრ, *Cuscu-ta-s* რამდენიმე სახეობით.

უქლოროფილო თესლოვანი პარაზიტების ერთი ნაწილი მკვებავი
მცენარის ფესვთა სისტემაზე სახლდება. მათ ფოთლების ნაცვლად ქერც-
ლი აქვთ, ღერო-ტოტები უქლოროფილოა და კვების მხრივ მთლიანად
დაკავშირებულია მკვებავ მცენარეზე. ერთწლოვან მცენარეებს საგრძნობ
ზიანს აყენებენ, მრავალწლიან მცენარეებზე კი შედარებით იმზიათად
ვითარდებიან. ამ ჯგუფის წარმომადგენელია კელაპტარა. კელაპტარა-
სებრთა ოჯახში შედის *Orobanche*—ჩაწყობილა. გვ. *Lathrea* მერქნიანი
მცენარეების ფესვებზე გვხვდებიან.

მწვანე თესლოვან მცენარე-პარაზიტთავან პირველ რიგში აღსანიშ-
ნავია:

ფითრი — *Viscum album*. ფითრი ფართოდა გაფრცელებული
მცენარეებზე. კერძოდ ტყის ჯიშებზე (ფოთლოვანებზე, წიწვოვანებზე)
და ხეხილზე. დაავადების სიხშირით და სიძლიერით გამოირჩევა მსხალი,
ვაშლი, ფიჭვი, ვერხვი.

ფითრი სახლდება ღეროზე, დედა ტოტებზე და უკანასკნელი რიგის
ტოტებზედაც—გარეგნულად აღვილი შესამჩნევია, მეტადრე ფოთლოვან
ჯიშებზე ზამთარში, როდესაც მკვებავი მცენარის ფოთლები ჩამოცვენი-
ლია. ამავე პერიოდში ფითრის ნაყოფებიც კარგად ჩანს განტოტების
ადგილებზე. ნაყოფი მრგვალია, თეთრი და გამჭვირვალე. შეღვება სველი
წებოვანი ნაყოფგარემოსა და თესლისაგან. სველ, წებოვან ნაყოფგარემოს
ვისცინი ეწოდება, ფითრის გაფრცელებაში იგი მნიშვნელოვან როლს
ასრულებს. ფითრს უმთავრესად, ფრინველები ავრცელებენ (ჩხართვი,
შაშვი), როდესაც ფრინველი ფითრის ნაყოფს ჭაშს, თესლი წებოვანი
კანით ფრინველის ფეხს თუ ნისკარტს ეკვრის და ხის მეორე ტოტზე ან
მეორე მცენარეზე გადაქვს.

ფითრი, უმთავრესად, ერთსქესიან ყვავილებს იძლევა, რის გამოც
მათი ორბინიანობა გამორიცხული არაა. ღერო დიქოტომიურად დატოტვი-
ლია, ფოთლები მოგრძო-კვერცხისებრია, კიდე-მთლიანი, მოპირისპირე,
ნერვაცია არ ემჩნევა.

მდედრობითი ყვავილის ყვავილსაფარი ოთხწევრიანია; ნასკვი ქვედაა
და დინგი მჯდომარე აქვს. განაყოფიერება გაზაფხულზე ხდება. მამრო-
ბითი ყვავილიც ოთხწევრიანია, თითოეულ მათგანზე თითო მტვრია-
ნაა — მრავალი შეზრდილი მტვრის პარკით. პარკები შიგა მხრიდან გა-
ზაფხულზე იხსნება და მტვრის მარცვლის გავრცელება ჭარის ან მწერის
საშუალებით ხდება. განაყოფიერების შემდეგ მამრობითი ყვავილი ცვიგა.

განაყოფიერებული ყვავილიდან მიღებული ნაყოფი — წიპწა და
ერთ თესლს შეიცავს, რომელიც ზამთრის პერიოდში მწიფდება.

თესლის გალივება და მცენარის დაავადება შემდეგი სახით ხდება: თესლი დაახლოებით მასისიდან ვრცელდება. თესლში რამდენიმე ნასახია. თესლიდან გამოსული ლივი, რომელიც, ძირითადად, ფესვის ნასახს წარმოადგენს, სქელია და მწვანე. ლივის წვერი შემდეგ თანდათან ქერქი-საკენ იხრება და წვერით ქერქს ეხება. წვერი თანდათან ფარივით ბრტყელ-დება და ქერქს ეკვრის. რამდენიმე დღის შემდეგ ფესვის გაბრტყელებული წვერის ცენტრიდან დაიწყება ფითრის პირველადი ფესვის განვითარება, რომელიც უშუალოდ ქერქის ქსოვილებში იჭრება.

ქერქში შექრილი პირველადი ფესვის ფუძიდან ქერქში ფესვის დამატებითი მორჩები წარმოიქმნებიან, რომლებიც ქერქში ზემოდან ქვემოთ ვერტიკალური მიმართულებით ვრცელდებიან. ამ ვერტიკალური მორჩებიდან შემდეგ მეორეული ფესვები ვითარდებიან, რომლებიც ქერქს არღვევენ და უშუალოდ მერქანში იჭრებიან. ასეთ მეორეულ ფესვებს პარაზიტი ყოველ წელს იძლევა. მეორეული ფესვები სისქეში ზრდის უნარს მოკლებულნი არიან, მაგრამ მერქანის სიღრმეში კი ოწევენ. იმის გამო, რომ მისი მკებავი მცენარე ყოველწლიურად სისქეში მატულობს, ახალ წლიურ რგოლებს აჩენს, მეორეული ფესვი ხანდახან საკმარის ლრჩება მერქანში. ნეგერის ცნობით ხშირად პერიფერიულიდან დაწყებული მე-60, 70-ე წლიურ რგოლამდე აღწევს. ეს დამკიდებულია დაავადების ხანგრძლივობაზე.

შექრილი ფესვებით ფითრი მკებავ მცენარეს ართმევს საჭირო ნივთიერებებს, კერძოდ, წყალსა და მარილებს (მინერალურ ნივთიერებებს), შემდეგ კი ქლოროფილისა და მზის სხივების დახმარებით მის ასიმილაციას ახდენს. მცენარეში შექრილი ფითრი თავის პირვანდელ ფოთლებს რამდენიმე წლის შემდეგ იძლევა (2-დან 10 წლამდე).

ვინაიდან ფითრი მრავალწლიანი მცენარეა, უმთავრესად საშუალო და ხნოვანი ხეების დაავადებას იწვევს, ტოტების ის ადგილი, რაზედაც ფითრია განვითარებული, გასიებულია. ფითრის ზედაპირული ტოტების მოცილებას აზრი არა აქვს, ვინაიდან მისი ღეროს ფუძე და საწოვები ისევ ტოტებში, მერქანში რჩება და შემდეგ წელს იმავე ადგილზე ახალი ღერო ფოთლი უვითარდება. უკეთესია დაავადებული ტოტების მოწრა.

განვითარების ასეთივე პირობები აქვს ჯუჯაფითად და ითრს (Arceutobium oxycedris-ს. მისი სინონიმია — Rasumovskiaia oxycedri. აავადებს ღვაის, შედარებით იშვიათად სხვა მცენარეებსაც. დაავადების ადგილი, ისევე როგორც ჩვეულებრივი ფითრით დაავადების შემთხვევაში სტიმულაციის გამო სქელდება. ჯუჯა ფითრის ღერო წვრილია და ერთმანეთზე მჯდომი ქერცლისებრი ფოთლებითაა დაფარული. გარეგნულად გუნდის ხის ტოტებს მოგვაგონებს. ნაყოფი ლურჯია. თესლი წიპწოვან ნაყოფშია. მისი განვითარება ისევე ხდება, როგორც ჩვეულებრივი ფითრისა.




სურ. 85. 1—ფითრის ტოტი ნაყოფებით; 2—ფითრის აღმონაცენი ტოტზე. 3—ტოტის განვერი, — მერქანში. შეკრილი საწოვდებლით; 4 და 5—ლივის შეჭრა მერქანში.

აღსანიშნავია აგრეთვე გვ-Lorantus-ის წარმომადგენენე-ლი *L. europeus*-ი, რომელიც, უმთავრესად, მუხაზე გვხვდება. ფოთოლცვენიაა; გვავრლი ექვსწევრიანი აქვს.

ფესვთა სისტემაზე დასახლებულ ნახევარპარაზიტაგან აღსანიშნავია სანთელა (*Melampyrum arvensis*, რომელიც ხორბლეულთა და სხვათა მცენარეების ფესვზე ცხოვრობს. მართალია, ყოველთვის გვხვდება, მაგრამ მის მიერ მიყენებული ვნება უმნიშვნელოა.

ლერო ყვითელი და უფოთლო პარაზიტებიდან თვითი მაგნეობით პირველ რიგში აღსანიშნავია აბრე ეჭუმა და კელა პტარა. აბრეშუმა ეკუთვნის ოჯ-



სურ. 86. ჭუჭა ფითრი ფიჭვის ტოტზე — *Arceuthobium oxycedri*

Cuscaceae-ს, რომელიც ერთ გვარს შეიცავს, კერძოდ, *Cuscuta*-ს. მისი სხეული გრძელი, წვრილი ყვითელი ძაფებისგანაა შემდგარი. ყვავილობის ფაზაში ძაფებზე ალაგ-ალაგ უვითარდება მოთეთრო ანუ მოპირისფრო ყვავილების ჭგუფი, თავაკების ან მოკლე მტევნის სახით. ნაყოფი კოლოფია და წვრილ თესლს შეიცავს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ნასახს ლებნები არა აქვს და სპირალურად დახვეული ძაფისაგან შედგება.


აბრეშუმას ლერო მცვებავ მცენარეს ეხვევა, არ აძლევს განვითარების საშუალებას. ხანდახან იმდენად ძლიერ, რომ მთელი მცენარე აბრეშუმას ხლართებშია გახვეული.

თესლი მიწაში ლივდება. გალივებული თესლიდან მოკლე ძაფისებრი აბრეშუმას ნასახი ამოდის. განვითარების პირველ ხანებში ძაფისებრი ნასახი ერთი მხრიდან გალივებული თესლის ტყავთან არის დაკავშირებული, ზედა მხარე კი თავისუფალია და სპირალურად ქანაობს ვიდრე მჯებავი მცენარის ლეროს არ შეეხება. შეხების შემდეგ ლეროს ეხვევა და მაშინ თესლის ნარჩენებთან კავშირი წყდება.


ლეროზე შემოხვეული აბრეშუმას ძაფი, ლეროსთან შეხების მხარეს ივითარებს საწოვრებს, რომლებიც ლეროს ლაფნის ქსოვილებში იჭრება და ორგანულ ნივთიერებას იღებს; ამის შემდეგ იწყება აბრეშუმას სწრაფი ზრდა.

აბრეშუმას თესლი ბუნებრივი პირობების ძალიან კარგი ამტანია. მშრალ ნიადაგებში 12 წლამდე ძლებს. 5 სანტიმეტრზე ლრმად, თუ ნიადაგში მოხვდა, ზედაპირზე ვერ იღწევს.

საქართველოში აბრეშუმას რამდენიმე სახეობა გვხვდება. მათი გავრცელება დამკიდებულია მკვებავი მცენარის გავრცელებაზე. მაგალითად, *Cuscuta opithymum* სამყურაზე გვხვდება; *Cuscuta europea* ყველაზე აგრესიული ფორმაა, გვხვდება იონგაზე, თამბაქოზე; *C. epilinum*— იონგაზე და სხვ. *C. monogyna* ხშირია ბუჩქოვანებზე, ხეხილის სანერგეებში, მზესუმზირას ნათესებში და სხვ.



სურ. 87. აბრეშუმა



სურ. 88 კელაპტარა

უქლოროფილო თესლოვან პარაზიტთა ჯგუფს ეკუთვნის ფესვებზე და-სახლებული კელაპტარა (ორ. კელაპტარასებრნი, გვ. *Orobanche*). იგი მრავალწლიანი ბალანსარი მცენარეა, აქვს მარტივი ან დატოტვილი ღე-რო. ფოთლები ქერცლისებრია, ღეროზეა სპირალურად გაწყობილი და მიკრული; ქლოროფილი არა აქვს, რის გამო ღერო ან ყვითელია, ან მოპირისფრო, ოდნავ სოსანი ფერისაც. ყვავილები ტოტებზეა მჯდომარე და თავთავისებრ ან მთევნისებრ ყვავილედებსა ქმნის; ყვავილი ზიგო-მორფულია, ორტუჩიანი; ნაყოფი კოლოფია, რომელშიც 1500-მდე თეს-ლი ვითარდება. ერთ მცენარეზე 100.000 თესლი იქმნება, რის გამოც მცენარე სწრაფად ვრცელდება.

დაღგენილია, რომ კელაპტარას თესლი ნიაღვში იმ შემთხვევაში ვითარდება, თუ მკვებავი მცენარის ფესვებს მოხვდა და ამავე დროს ნიაღაგის მევიანობა ანუ pH-ი 6,5-ს არ აღემატება.

თესლში ნასახი დიფერენცირებული არაა ცალკე პირველად ორგა-ნობად. გაღივებული თესლი ჯერ მარტივ ღივს იძლევა, შემდეგ საწოვ-რებს, რომლებიც მკვებავი მცენარის ფესვზე მოხვედრისას ფესვის ქსოვილში იჭრებიან. შეჭრის ადგილზე ჯერ გაბერილი სხეული განვი-თარდება, შემდეგ კი — კელაპტარას ღერო და მასზე ყვავილები. თუ კი მკვებავი მცენარე მრავალწლიანია, შესაძლებელია კელაპტარაც მრა-ვალ წელს შერჩეს მას.

კელაპტარას დაზამთრება ხდება ნიაღვში მოხვედრილი თესლით ან მკვებავი მცენარის თესლთან ერთად (თუ თესლი ინახება).

კელაპტარა გავრცელებულია ერთ და მრავალწლიან მცენარეებზე. სულ მისი 30-მდე სახეობაა ცნობილი, რომელთაც ერთი და იგივე პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვთ. ჩვენში გავრცელებულია *Orobanche camosa* და ტოტვილი (თამბაქოს) კელაპტარა, თუმცა იგი კანაფზე, პომილორზე და კარტოფილზედაც იშვიათად გვხვდება. *O. cumanana* მზესუმზირას ნათესებშია გავრცელებული ხშირად იძღვნად ძლიერად, რომ მცენარე კალათს არ იყეოთს; *Orobanche egyptiacă* ბოსტნეულზეა. ცისფერი ყვავილები აქვს. გვხვდება საბჭოთა კავშირის სამხრეთ ზონებში; გავრცელებულია აგრეთვე კომბოსტოს კელაპტარა — *Or. brasicae*. იგი თამბაქოს, აგრეთვე პომილორს აზიანებს.

ფესვის თესლოვანი პარაზიტების ჯგუფს ეკუთვნის ჩაწყობილა *Lathraea squamaria*. იგი სკროფულარიასებრთა (Scrophulariaceae) ოჯახს ეკუთვნის. ყველაზე გავრცელებულ სახეობად ითვლება. გვხვდება ტყის ჯიშებზე, კერძოდ, წიფელზე, რცხილზე, მურყანზე... მისი ლერთ მთლიანად მიწაშია მოთავსებული და მიწის ზედაპირზე მხოლოდ მტევნისებრი ყვავილედია ამოსული. ლეროები თითქოს განვებ ერთ რიგშია განლაგებული, რის გამოც ჩაწყობილას უწოდებენ. ფესვები ნიაღაგში საკმაოდ ლრმად აქვს და საწოვრებითაა დაკავშირებული მკვებავი მცენარის ფესვთან, საიდანაც საკვებს იღებს.

აღსანიშნავია, რომ მისი თესლი არ გალივდება, თუ მას მკვებავი მცენარის ფესვიდან გამონაყოფი არ გააღიზიანებს. თესლის ღივი მკვებავი მცენარის ქსოვილში იჭრება, იყიდებს ფესს და დასაბამს აძლევს ჩაწყობილას ლეროების განვითარებას. ვიდრე ნიაღაგის ზედაპირზე ყვავილები გამოჩნდება, შესაძლებელია განვითარება რამდენიმე წელს გაგრძელდეს.

თანამცხოვრებ ორგანიზაცია ზორის

ურთიერთდამოკიდებულება

თანამცხოვრებ ორგანიზმთა შორის ურთიერთდამოკიდებულების ფორმები ბუნებაში მრავალგვარია. ამ ურთიერთდამოკიდებულებათა შედეგი დამყარებულია ორგანიზმთა ბუნებაზე, მათ ბიოლოგიურ თვისებებზე და გარემო პირობებზე.

მცენარეული საფარი ყოველთვის სხვადასხვა სახის მცენარეებისაგან შედგება. მათი უმრავლესობა ყვავილოვნ მცენარეებს ეკუთვნის, რომელთა სხეული იძღვნად დიდია, რომ უბრალო თვალითაც შესამჩნევია. ესენი მცენარეული საფარის ძირითად მასას ქმნიან, მაგრამ მათთან ერთად გვხვდება სხვადასხვა მიკროორგანიზმებიც, რომელთა გამორჩევა მცენარეულ საფარში შეუიარაღებელი თვალით შეუძლებელია. აი, ამ მცენარეთა შორის ერთის მხრივ, გარემო პირობებთან და, მეორე მხრივ, მცენარეთა ბიოლოგიურ თვისებებთან დაკავშირებით განსაკუთრებული

ლი ურთიერთდამოკიდებულება, ანუ თანაცხოვრების ფორმები იქმნება. იმის გამო, რომ ფიტოპათოლოგიაში პარაზიტულ თანამცხოვრებლებთან გვაქვს საქმე, მათი ცხოვრების ბუნების გაეცისათვის საჭიროა ვიცოდეთ, თუ საერთოდ ორგანიზმთა შორის ურთიერთდამოკიდებულების ჩაფირმები არსებობს.

ორგანიზმთა შორის ურთიერთდამოკიდებულების ორ ტიპს არჩევენ (სტეკ მ ან ი და ჰ ა რ ა რ ი): ეკოლოგიურ და სიმბიოზურ ურთიერთდამოკიდებულებას.


ეკოლოგიური ურთიერთდამოკიდებულების შემდეგი ტიპებია აღსანიშნავი:

ა) ნეიტრალური ურთიერთდამოკიდებულება: ამ შემთხვევაში ისეთი თანაცხოვრება იგულისხმება, როდესაც სხვადასხვა მცენარეულ ორგანიზმებს შეუძლია ერთად ცხოვრება ისე, რომ თავის დამოუკიდებლობას ინარჩუნებენ, ერთმანეთს არ ჩაგრავენ, ისინი დამოუკიდებლად იკვებებიან, ფიზიოლოგიურად ერთმანეთთან დაკავშირებული არ არიან. აღნიშნულ მოვლენას კომენსაციაზე უწოდებენ.

შეიძლება დავასახელოთ რამდენიმე სახის მიკროორგანიზმის ბუნებრივ თუ ხელოვნურ პირობებში ერთად ცხოვრება.

ბ). მეორე ტიპია ანტიგონიზმი, ანუ ანტაგონისტური თანაცხოვრება, ბუნებაში ფართოდაა გავრცელებული, მეტადრე მიეროორგანიზმებში. აქ ისეთი მოვლენა იგულისხმება, როდესაც ერთი ორგანიზმი გარკვეულ მანძილზე აჩერებს, ანუ ხელს უშლის მეორე ორგანიზმის კოლონიის განვითარებას. მათ შორის საზღვარი, ანუ დემარკაციული ხაზი იქმნება, რომელსაც მოწინააღმდეგე კოლონია ვერ გადალახავს, იმის იქით არ სახლდება. საბოლოოდ ერთი მათვანი იჩიგრება. ასეთ ანტაგონისტურ ორგანიზმებად შეგვიძლია დავასახელოთ *Trichoderma lignorum*, რომელიც სამხრეთული ფესვის სიღამპლის გამომწვევი *Sclerotium Rolfsii*-სთან. თუ მოხვდა შერეულ ულტრაში, ამ უკანასკნელის განვითარებას ხელს უშლის, ავიწროებს მის კოლონიას, საბოლოოდ ჩაგრავს; *Trichoderma*-ს კოლონიები მანძილზე მოქმედებს *Sclerotium Rolfsii*-ს კოლონიებზე და ჩაგრავს მათ. *Trichoderma* ნიადაგის სოკოა და, როგორც ანტაგონისტი ზოგჯერ ნიადაგში მცხოვრები ფესვის სიღამპლის გამომწვევი სოკოების საწინააღმდეგოდ იყენებენ (მაგალითად, ჩითილების ჩაწოლის შემთხვევაში), თუმცა სასურველ შედეგს ხშირად ვერ იღებენ, ამის გამო ჯერ ფართო გამოყენება არა აქვს. სოკო-ორგანიზმების ანტაგონისტებად ხშირად სხივური სოკოების ან *Actinomycetes*-ების წარმომადგენლები ითვლებიან.

ანტაგონისტურ თვისებებს ამჟღავნებენ ჯვ. *Penicillium*-ის წარმომადგენლებიც *Penicillium notatum*, *P. crustosum* და სხვები. მათი მეტაბოლიზმის შედეგად მიიღება განსაკუთრებული ნივთიერება, ე. წ.



სურ. 89. ანტაგონისტური თანაცხოვრება. ხელოვნურ არეზე.
ერთდროულადაა პეტრის გამებში დათესილი
ზედა — 1 — *Actinomyces* № 3. 2 — ცენტრში *Alternaria solani* ქვედა — 1 — *Actinomyces* №3. 3 — *Verticillium albo atrum* ანტაგონისტები ერთმანეთს არ უერთდებიან,
მათ შორის ანტაგონისტური თვისებების გამო.

ანტიბიოტიკი, პენიცილინი, რომელიც ამჟამად სხვადასხვა ბაქ-
ტერიულ ავაღმყოფიბათა საწინააღმდეგოდ ფართოდაა გამოყენებული.
ანტაგონისტები ხშირია ნიადაგში მცხოვრებ აქტინომიცეტებს შორის.
ანტიბიოტიკი ეწოდება იმ ნივთიერებებს, რომელიც ანტაგონისტის მიერაა

გამოყოფილი და მეორე მიქროორგანიზმს კლავს ან აჩერებს მის განვითარებას.

გ) მ ე ტ ა ბ ი ო ზ ი ისეთ თანაცხოვრებას ჰქვია, როდესაც ერთი ორგანიზმი ხელს უწყობს ან პირობებს უქმნის მეორე ორგანიზმის განვითარებას. მცენარეების ავადმყოფობათა გამომწვევე ორგანიზმებს ბევრს მეორეულად თვლიან, მათს განვითარებას სხვა უწყობს ხელს. ხშირად ციტრუსების ხმელას *Phoma tracheiphila*-ს თანმყოლია, აგრეთვე ციტრუსების ანთრაქნოზი *Colletotrichum gloeosporioides*; თელას ცილაჭამიერით (*Scolytus*) დაზიანება ხელს უწყობს თელის ჰლანდიური ავადმყოფობის *Graphium ulmi*-ით დაავადებას. წაბლის კიბოს (*Endothia parasitica*) ძლიერი განვითარება მჭიდროდა დაკავშირებული მემერქნის *Anisandrus dispar*-ის მოქმედებასთან და სხვ. სხვა მაგალითების მოყვანაცა შესაძლებელი: ტყის ჯიშებზე გავრცელებული ქერქიჭამიერი თოთქმის ყველა მეორეულ ორგანიზმებად ითვლებიან და თანმყოლი მავნებლები ბევრი ჰყავს (ტიპოგრაფული და სხვ.).



ს ი ნ ე რ გ ი ზ მ ი ეწოდება ორი ორგანიზმის ერთდროულად მოქმედებას მცენარეზე, რის შედეგადაც ავადმყოფობის პროცესი უფრო გაძლიერებულია, ვიდრე იქნებოდა იმ შემთხვევაში, ეს ავადმყოფობები ცალკ-ცალკე რომ მოქმედებდნენ; ერთის მოქმედება აძლიერებს მეორისას და ორივესი ერთად კიდევ აძლიერებს მცენარის ავადმყოფობას. საერთოდ, ამის მაგალითია ციტრუსების ნაყოფების ლპობა, შერეული ინფექციის შემთხვევაში (*Colletotrichum gloeosporioides* და *Alternaria citri*).

ყველა ზემოთ დასახელებული ორგანიზმის ურთიერთდამოკიდებულების შემთხვევაში კომპონენტები დამოუკიდებელ ცხოვრებას ჰქვიან, მაგრამ მცენარეს ავადმყოფური მოვლენები რომ უძლიერდება ეს პარაზიტისა და მცენარის ურთიერთქმედების მაჩვენებელია.

ორგანიზმთა ურთიერთქმედების მეორე ტიპია ს ი მ ბ ი ო ზ ი, რომელიც როგორც მცენარეთა, ისე ცხოველთა შორისაა გავრცელებული. მცენარეთა და ცხოველურ ორგანიზმებში შერეული სიმბიოზიც გვხვდება.

სიმბიოზი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს *sim* — ერთად და *bias* — ცხოვრებას. ძველი გაგებით სიმბიოზური ურთიერთდამოკიდებულება გულისხმობდა თანაცხოვრების ისეთ შემთხვევას, როდესაც თანაცხოვრებ კომპონენტთა დამოკიდებულება ურთიერთსარგებლიანობაზეა დამყარებული (მაგალითად, მღიერები). ამჟამად ტერმინი სიმბიოზი უფრო ზოგადი და ფართო გაგებითაა გავრცელებული. არჩევენ ორგვარ სიმბიოზს — მ უ ტ უ ა ლ ი ს ტ უ რ ს და ა ნ ტ ა გ ო ნ ი ს ტ უ რ ს.

მუტუალისტური სიმბიოზი ისეთ ურთიერთდამოკიდებულებას გულისხმობს, როდესაც ორი ორგანიზმი მტკიცე თანაცხოვრებაშია შესული



სურ. 90. მლიერის თალღისის განაკვეთი: ზედა — ჰომეომერული თალღისი — ფიკობიონტები თალღისის სისქეში თანაბრადაა განაწილებული ძაფების სახით. ქვედა — ჰეტერომერული — ფიკობიონტები ცალკე შრეებადა განლაგებული: 1. ზედა ქერქის შრე; 2. ფიკობიონტების შრე (წყალმცენარეები); 3 — ქვედა შრე 4 — ჩიზოიდები.


ფიზიკურადაც და ფიზიოლოგიურადაც. იმის მიხედვით, თუ როგორია შედეგი მათი მჭიდრო თანაცხოვრებებისა, სიმბიოზური მოვლენები სხვადასხვანაირია.

შცენარეულ ორგანიზმთა მუტუალისტური სიმბიოზის კლასიკური მაგალითია მღიერები (*Lichenes*).

მღიერის სხეული შედგება წყალმცენარისა (გონიდიები) და სოკოსაგან. უკანასკნელის სხეული მღიერის თალუსში ყოველთვის დომინანტობს. წყალმცენარის უჯრედებზე გადაკრულია სოკოს პიფები, რომლებიც თავისი პაუსტორიუმებით წყალმცენარის უჯრედშია შეჭრილი და მისგან ორგანულ ნივთიერებებს იღებს. სამაგიეროდ სოკო წყალმცენარის უჯრედს ამარავებს წყლით და მინერალური ნივთიერებით. მართალია, კომპონენტს წყალმცენარესა და სოკოს ცალკე შეუძლია ცხოვრება, მაგრამ სრულყოფილად არ მრავლდებიან. ერთმანეთთან დაკავშირების, შემდეგ კი სულ სხვანაირ თალუსა ქმნიან. რაზედაც ვეგტაციური (იზიდიუმები), სორედიუმები), სქესობრივ (ასკოსპორები ან ბაზიდიოსპორები) და უსქესონ გამრავლების ორგანოები (კონიდიუმები) უკითარდებათ.

მუტუალისტური სიმბიოზის მაგალითია აგრეთვე სოკოსა და უმაღლეს მცენარეთა ფესვთა სისტემას შორის კავშირი, რაც მიკორის სახელწოდებითაა ცნობილი. ზოგიერთ უმაღლეს მცენარეთა ფესვთა სისტემის წვერი საწილერები ჩატით დაფარულია შალითისებრი მიცელიუმის ხლართებით. მიკორისები ზოგჯერ ფესვის ქსოვილებშია შეჭრილი (ენდოტროფული მიკორიზა), ზოგი კი გარეგანია (ეგზოტროფული მიკორიზა). თუ რაზე დამყარებული ამ კომპონენტებს შორის ურთიერთსარგებლიანობა მათ თანაცხოვრებაში, ამის შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობს. უმთავრესად აღიარებულია თითქოს მიკორისებში სოკო უმაღლეს მცენარეს წყლისა და მინერალური ნივთიერების შეთვისებაში უწყობს ხელს; ნაწილი მკვლევარებისა ნიადაგში არსებული სოკოს ჰითებს მიაწერენ ორგანულ ნივთიერებათა დაშლას და, კერძოდ, აზოტის შეთვისებას.

პარკოსან მცენარეთა (*Leguminosae*) მუტუალისტური სიმბიოზის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სოიოს, ლობიოს ფესვთა სისტემაზე განვითარებული სხვადასხვა ზომის კოურები, რომლებიც წარმოქმნილია გამსაკუთრებული, პაერის აზოტის მაფიქსირებელი ბაქტერიების *Bacterium radicicola*-ს დასახლებით ფესვთა სისტემაზე. მცენარის ფესვებზე განვითარებული კოურები ბაქტერიებისათვის წყნარი ნაგთსაყუდელია. ერთდროულად ნაწილობრივ მცენარითაც იყვებებიან, დამატებით კი პაერის აზოტისაც ითვისებენ. ბაქტერიები როდესაც კვდება, მათი სხეული იხრწება, გახრწნილი სხეულიდან აზოტს მცენარე ითვისებს. ისე, რომ პაერის აზოტი ჯერ ბაქტერიების სხეულში ხვდება, ხოლო შემდეგ მას მცენარე ითვისებს.



სურ. 91. მიკორიძები მუხის ფესვის წევრზე. თეთრი ნაწილი ჰიფებითაა დაფარული.

თუ მუტუალისტური სიმბიოზი ორივე კომპონენტის ურთიერთსარგებლიანობაზეა დამყარებული, მისი საწინააღმდეგო მოვლენა იქნება ან ტერიტორია სიმბიოზი, როდესაც თანაცხოვრება ცალმხრივია, ერთი კომპონენტი ცხოვრობს მეორის ხარჯზე, რის შედეგადაც დაზარალებული მხარე თანდათნა იჩაგრება, ავადდება და ხშირად ხმება, ანუ კვდება. ასეთი ცალმხრივი ანტაგონისტური სიმბიოზი ცნობილია პარაზიტიურიზმის სახით — პარაზიტი ეწოდება. ხოლო იმას, რომელიც იჩაგრება, რომლის ხარჯზედაც პარაზიტი ცხოვრობს, მაგრავი ან პარაზიტი მცენარეების შექვეთისა. ანუ კვდება.

იმისდა მიხედვით, თუ რამდენად ძლიერაა გამომულავნებული სოკოებში პარაზიტიზმი, მათ ორ ჯგუფად ყოფენ:

1. პირველ ჯგუფს ეკუთვნის ობლიგატური პარაზიტები. აქ ისეთი ორგანიზმები იგულისხმება, რომლებიც მარტო ცოცხალი ქსოვილებით იკვებებიან, როდესაც პარაზიტის მოქმედებით მცენარის დაავადებული ქსოვილი კვდება, მაშინ პარაზიტი მკვდარ ქსოვილში ვეღარ ვითარდება და ან შესვენების ფაზაში გადაღის ან მოზამთრე სტადიის იძლევა (მაგალითად, უანგაროვნები, გუდაფშუტოვანები, ნაცროვანი სოკოები და სხვ.) ან კვდება.

2. მეორე ჯგუფს ეკუთვნის ფაკულტატურებისაგან განსხვავებით სახლდებიან როგორც ცოცხალ, ისე მკვდარ სუბსტრატზე. დაავადებული ცოცხალი ქსოვილი რომ იღუპება, კვდება, შემდეგ მკვდარ სუბსტრატზედაც

თავისუფლად შეუძლიათ მათ ცხოვრება. შებრუნებითაც შეიძლება მოხდეს: ჯერ მკვდარზე გითარდებიან როგორც საპროფიტები და შემდეგ კი ცოცხალ მცენარეებზე გადადიან (აბედა სოკოები, უსრული სოკოები და სხვ). რამდენადაც ფაულტატურ პარაზიტებს წმინდა საპროფიტულ, ე. ი. მკვდარ ორგანულ, ნივთიერებებზეც შეუძლიათ ცხოვრება — მათ ფაქტულ ტატურ საპროფიტებსაც უწოდებენ.

ამ ორ გგუფთან არ უნდა შევრიოთ წმინდა საპროფიტები, რომლებიც მარტო მკვდარი ორგანული ნივთიერებებით იკვებებიან.

წყლის მცენარის *Lemna trisulca* სხეულის ქსოვილების, უჯრედშორის მანძილებში, ხშირად სახლდება მწვანე წყალმცენარე *Chlorotrichum lemnae*. იგი ქლოროფილის შემცველი აუტოტროფული ორგანიზმია და დამოუკიდებლად იკვებება. წყლის მცენარის სხეულში მრავლდება, თუმცა მას არავითარ ზიანს არ აყენებს. ასეთ თანაცხოვრებას ენდოფიტიზმია ჰიპია, ბუნებაში მრავალი შემთხვევაა, როდესაც ერთი მცენარე მეორეზეა განვითარებული ისე, რომ ფიზიოლოგიურად არა მასთან დაკავშირებული, მექანიკურადაა მხოლოდ მიმარტებული მასზე. ასეთ მცენარეებს ეპიფიტიზმი) უწოდებენ.

ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ცოცხალი ორგანიზმების ურთიერთობის მოქმედების ფორმებს შორის ხშირად მკვეთრი საზღვრის გატარება შეუძლებელი ხდება, ვინაიდან მათ შორის გარდამავალი ფორმები არსებობს, რომელთა ყოფაქცევის დადგენა ხშირად გაძნელებულია.

ორგანიზმთა შორის ბუნებაში არსებულ ურთიერთქმედებაზე დიდი გავლენა აქვს გარემო პირობების მოქმედებას და თვით თანაცხოვრები ორგანიზმების ბიოლოგიური თვისებების ცვალებადობასაც, რაც ბუნებაში მიმღინარეობს ორგანიზმთა წარმოშობის პროცესებთან დაკავშირებით.

ვირუსოვანი ავადმყოფობანი

მცენარეთა ვირუსოვანი ავადმყოფობები თავისი გარევრული ნიშნებით და ავადმყოფობის საწყისის ბიოლოგიური თავისებურებებით ბევრად განსხვავდებიან მცენარეთა ბაქტერიულ და სოკოვან ავადმყოფობათავან. განვითარების რომელიმე საფეხურზე მცენარის ვირუსული ავადმყოფობები შესაძლებელია მივამსგავსოთ ნიაღავობრივი პირობებით გამოწვეულ ავადმყოფობებს, თუმცა თავისი ინფექციურობით ამ უკანასკნელთაგანაც მკვეთრად განსხვავდებიან. ვირუსულ ავადმყოფობათა თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მიუხედავად ხანგრძლივი კვლევა-ძიებისა, ჯერ კიდევ საბოლოოდ გამორკვეული არა, თუ გამომწვევი საწყისი ანუ ვირუსი ცოცხალ ორგანიზმს თუ მცენარის მომზადებულ ნივთიერებას წარმოადგენს. საწყისის ბუნების საბოლოო გადაწყვეტით ეტა-

ოლოგიის საფუძველზე აგებულ ავაღმყოფობათა კლასიფიკაციაში იგი
სათანადო ადგილს დაიკავებს.

ვირუსული ავაღმყოფობით აღამიანებიც ავაღდებიან და ცხოველებიც.
ზოგიერთი მათგანი შეტად ფართოდაა გაფრცელებული. მაგალითად,
1918—1919 წლებში მთელ მსოფლიოში მძვინვარებდა აღამიანის ვირუ-
სული დავადება ე.წ. „სპანენა“, რომელმაც 20 მილიონზე მეტი აღამიანი
იმსხვერპლა. აღამიანის ვირუსულ ავაღმყოფობათა რიგს ეკუთვნის ე.წ.
„ყვავილი“, რომელიც ვიდრე მის საწინააღმდეგო აცრას გამოიგონებდნენ
(პასტერი), დიდ მსხვერპლს იწვევდა. ვირუსული ავაღმყოფობაა ბავშვე-
ბის პოლიომიელიტი, რომელიც მეტად საშიში ავაღმყოფობაა. ვირუსულ
ავაღმყოფობათა ჯგუფს ეკუთვნის ყბაყურა, წითელა, ხუნაგი, ვირუსული
გრიპი და სხვ.

ცხოველთა ავაღმყოფობები — საქონლის თურქული, ღორის ჭირი,
ცოფი, ძალლის ჭირი და სხვ. — ყველა ვირუსული ავაღმყოფობაა.

ცნობილია აგრეთვე ბაქტერიების ვირუსული ავაღმყოფობები, რომ-
ლებიც ბაქტერიოფაგებითაა გამოწვეული. ბაქტერიოფაგები ბაქტერი-
ებზე სახლდებიან, მათ აავადებენ და საბოლოოდ სპონა. ასეთი მოვლე-
ნა მეტად სასარგებლო აღმოჩნდა აღამიანის ზოგიერთი ბაქტერიული
ავაღმყოფობის სამკურნალოდ.

ბაქტერიებისაგან დაავადებული აღამიანის სამკურნალოდ ბაქტერიო-
ფაგის პრეპარატებს იყენებენ.

ტერმინი „ვირუსული“ წარმომდგარია ლათინური სიტყვა Virus-
ისაგან, რაც შეამს ნიშნავს. ამჟამად კი უფრო ვიწრო გაგებითაა მიღე-
ბული და ვირუსულ ავაღმყოფობათა გამომწვევ საწყისს ეძახიან. მცენა-
რეთა ვირუსულ დავადებას ძველად მოზაიკურ ავაღმყოფობასაც უწო-
დებდნენ. უკანასკნელი ტერმინიც ამჟამად ვიწრო გაგებითაა ცნობილი.
მასში ვირუსულ ავაღმყოფობათა ისეთი ჯგუფის წარმომადგენლებს გუ-
ლისხმობენ, რომელთა დაავადების გარეგნული ნიშანი ფოთლების აჭ-
რელებაა. მაგალითად, „თამბაქოს მოზაიკა“, „კომბოსტოს მოზაიკა“,
„გორგოვანთა მოზაიკა“ და სხვები. მცენარეთა ზოგიერთი ვირუსული
ავაღმყოფობა მცენარის აჭრელებას ანუ მოზაიკას კი არ იწვევს, არამედ
მთლიანად აყვითლებს, (ყვითა). ისე, რომ ტერმინი „ვირუსული“ უფრო
ფართო ცნებაა, ვიდრე ტერმინი „მოზაიკური“.

მცენარის ვირუსულ ავაღმყოფობათა უმცავლის მოკლე ისტორია

პირველი ცნობები შეცნარეთა ვირუსულ ავაღმყოფობათა შესახებ
ჯერ კიდევ აღრეულ პერიოდებში გვხვდება, თუმცა იმდროინდელ შეკლე-
ვარებს მათ გამომწვევ მიზეზებზე სათანადო წარმოდგენა არა ჰქონდათ.

ჯერ კიდევ 1557 წელს აღწერილია ტიტას ჭრელყვავილა ევზემპლა-

რები, რომლებსაც მაშინდელი მებალეები ტიტას განსაკუთრებულ ჯიშად თვილიდნენ.

ჰერილის 1928 წლის გამოკვლევებით კი გამოირკვა, რომ ტიტას ჭრელ-ყვავილიანობა მცენარის ვირუსით დაავადების შედეგია. ტიტას ჭრელყვა-ვილა ეგზემპლარების წითელყვავილიან ეგზემპლარებზე დამყნობით უკანასკნელმა ჭრელი ყვავილების განვითარება დაიწყო. ამ ცდებით დამ-ტკიცდა, რომ წითელყვავილა ტიტა შეიძლება ჭრელყვავილიანი გავ-ხადოთ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, წითელყვავილა ტიტას გადავდოთ ჭრელყვავილიანობა. ასეთი ხერხი ძველ ღრმშიც კარგად სცოდნიათ მე-ყვავილებს და პრაქტიკაშიც ფართოდ ისენებდნენ ფურმე (ბოუდენი).

ძელთაგანვე ცნობილი ყოფილა აგრეთვე ე. წ. „კარტოფილის გადა-გვარება“, რომლის ძლიერმა გავრცელებამ ევროპის ზოგიერთ მხარეში მოსახლეობას ხელი ააღებინა კარტოფილის მოყვანაზე (1775 წ.). რო-გორც შემდგომი გამოკვლევებით დამტკიცდა, კარტოფილის „გადაგვა-რების“ მთავარი მიზეზი ვირუსული ავადმყოფობა აღმოჩნდა. მოგვია-ნებით ცნობილი გახდა, რომ თუ ატმის ხის სიყვითლით (ყვითა) დაავადე-ბულ მცენარეზე საღი ატმის კვირტები დავამყენით, ისევ სიყვითლით და-ავადებული ტოტები ვითარდებიან და სხვ.

მცენარის ვირუსულ ავადმყოფობათა შესწავლას მეცნიერული სა-ფუძვლები მე-19 საუკუნის დასასრულს ჩაეყარა. 1892 წელს ივანოვსკიმ დაამტკიცა, რომ თამბაქოს მოზაიკით „დაავადებული მცენარის წვენით საღი მცენარის დაავადება ხდება, ე. ი. თამბაქოს მოზაიკა ინფექციური ანუ გადამდები ავადმყოფობაა. გამოირკვა აგრეთვე, რომ თამბაქოს მოზა-იკით დაავადებული მცენარის წვენი მტკიცე ბაქტერიულ ფილტრში რომ გატარდეს, ფილტრატი საღი მცენარის დაავადებას იწვევს. ამით ავად-მყოფობის საწყისის ფილტრაბელობა დამტკიცდა. გამოირკვა აგრეთვე შემდეგი გარემოებაც: თამბაქოს მოზაიკის გამომწვევი საწყისი იმდენად მცირეა, რომ დაავადებულ ქსოვილში ჩვეულებრივი მიკროსკოპით არ ჩანს.

ივანოვსკის დიდ დამსახურებად ის ფაქტიც ითვლება, რომ მან ვირუ-სული მცენარის უჯრედებში განსაკუთრებული ამორფული და კრისტა-ლური, ვირუსული ბუნების სხეულაკები. აღმოაჩინა (ივანოვსკის კრისტა-ლები).

ივანოვსკის გამოკვლევებმა საზოგადოდ მცენარეთა ვირუსულ ავად-მყოფობათა შესწავლის სწორი გეზი დასახა, თუმცა ივანოვსკიმ ავადმყო-ფობის გამომწვევ მიზეზად, ანუ საწყისად, ულტრამიკროსკოპული ბაქ-ტერია ჩათვალა (ბაქტერიული თეორია).

ვირუსულ ავადმყოფობათა საწყისის ბუნების შესახებ სხვა აზრიც აჩვებობდა. მცვლევართა ერთი ნაწილი არ იზიარებდა საწყისის ბაქტე-რიულ ბუნებას. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ვირუსული ავადმყოფობის საწ-

ყისი, რამდენადაც იგი მტკიცე ბაქტერიულ ფილტრში გაზის რაიმე სხეულის მქონე კი არ არის, კორპუსკულარული აგებულება კი არა აქვს, არამედ თხიერი ცოცხალი საწყისია, ე.წ. *Contagium vivum fluitans*, რომელსაც გადამდები თვისებები აქვს. ამ აზრს იზიარებდა იმდროინდელი ცნობილი შკვლევარი ბეივერინკი (1898).


შემდგომი მკვლევარების მიერ (ვუუდი) წამოყენებული იყო ვირუსის საწყისის, ე.წ. ენზიმატური თეორია, რომლის მიხედვით ვირუსულ ავადმყოფობათა გამომწვევ მიზეზად მცენარის ქსოვილებში დამჟანგველი ფერმენტების ჭარბად დაგროვება იყო მიჩნეული, რის გამოც ენზიმების მოქმედების აქტივობა იზრდება, რაც ქლოროფილის ქსანტოფილად გარდაქმნას იწვევს და მცენარეს სათანადოდ აჭრელებს, მოზაიქურ შეხედულებას აძლევს.

მე-20 საუკუნის დასაწყისში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ვირუსოვანი ავადმყოფობით დაავადებული მცენარის უჯრედებში სხვადასხვა სახის ამორფული თუ კრისტალური ჩანართების ბუნების გამორკვევს. მკვლევართა ნაწილი ამ ჩანართებს ავადმყოფობის საწყისად თვლიდა და მას უმარტივეს ორგანიზმებს აკუთვნებდნენ. ამის შედეგად წარმოშვა ე.წ. პროტოციული თეორია, •უჯრედებში ჩანართები მოცულობით იმდენად დიდია, რომ ბაქტერიულ ფილტრში ვერ გადის. ჩანართების სხვადასხვა ფორმას მიკროორგანიზმების სხეულის ცვალებადობით ხსნილნენ: თითქოს მათი სხეული ხან თხიერ მდგომარეობაში იყო, ხან კი მყარში; ორდესაც მყარ სტადიაშია — შესამჩნევია ხოლო ორცა თხიერ მდგომარეობაში — არა (ბოუდენი).

მკვლევართა ერთი ჯგუფი დაავადებული მცენარის უჯრედებში არსებულ ჩანართებს ანუ კრისტალებს, ავადმყოფობის საწყისად კი არ თვლიდა, არამედ ავადმყოფი მცენარის პლაზმის მოქმედების შედეგად გამოყოფილად ან მკვებავი მცენარისა და პარაზიტის ურთიერთმოქმედებით გამოწვეულად მიაჩნდათ ეს ჩანართები.

რამდენადაც მკვლევართა უმრავლესობა 1935 წლამდე ვირუსულ ავადმყოფობათა მიზეზად ბაქტერიებსა და, საზოგადოდ, უმარტივეს ორგანიზმებსა თვლიდა, ბუნებრივია, რომ ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული მათი აგებულების შესწავლა. ამ გარემოებას ხელი შეუწყო, ჯერ ერთი, ვირუსების ქიმიური კვლევის პროგრესმა და მეტადორე მიკროსკოპული ტექნიკის წინსვლამ; კერძოდ, ელექტრონული მიკროსკოპების გამოვლენებამ და გამოყენებამ, რომლის გადიდების ძალა 200.000-ზე მეტს აღწევდა.

ვირუსების ქიმიური და ფიზიკური არსის შესწავლამ უკანასკნელ ხანებში სათანადო შედეგიც გამოიღო. შესწავლილა დავადებულ მცენარის უჯრედებში ცილინდრი ნივთიერებათა შედგენილობა, რომლებიც როგორც ოდენობით, ისე ქიმიურად განსხვავდებიან საღი მცენარის უჯრედებში შექმნილი ცილებისაგან.



სურ. 92. ივანოვსკის კრისტალები.

ამერიკელმა მკვლევარმა სტენლიმ პირველად შეძლო (1935—36 წ.წ.), თამბაქოს მოზარევით დააგადებული მცენარის წვერიდან იმ ცილების გამოყოფა, რაც საღ თამბაქოში არ მოიპოვებოდა. მის მიერ გამოყოფილი ცილები აღმოჩნდა მაღალი მოლექულური წონის ნუკლეოპროტეიდები. რომელთაც როგორც მცენარის ინფექციის, ისე მემკვიდრეობითობის ინფორმაციის თვისებები აღმოაჩნდათ. ეს ცილოვანი ნივთიერება მცენარის უჯრედების წვენში თუ პლაზმაში უხილავი, ბაქტერიულ ფილტრში გამავალი ნაწილაკების სახითაა მოცემული. ნაწილი კი, გარემო პირობების გავლენით, სხვადასხვა სახის მიკროსკოპით შესამჩნევ ამორფულ ან კრისტალურ აგრეგატებს ქმნის, რომელთაც ივანოვსკის კრისტალებს ანუ სხეულებს უწოდებენ.

ვირუსის არსის ცილოვან ნივთიერებათა თეორია უკვე ყველას მიერ აღარებულია. ვირუსოვანი ცილა ცოცხალი ორგანიზმების თვისებებითაა აღმტერვილი.

ვირუსოვან ავადმყოფობათა საწყისის ცილოვან ნაწილაკებს ვირო ან ებს ანუ ვიროს პორებს უწოდებენ.


ვირიონები ცილოვანი მოლექულების მსგავსია, თუმცა ქიმიაში მიღებულ ტერმინს „მოლექულას“ არ შეესაბამება (სუხოვი). ტერმინში „მოლექულა“ იგულისხმება ქიმიურ ნივთიერებათა ისეთი ნაწილაკი, რომელშიაც ატომთა რიცხვი ყოველთვის ერთი და იგივეა და ერთი და იგივე მოლექულური წონა აქვთ. ვირუსოვან ცილოვან მოლექულებში კი სხვადასხვა ნაერთები შედის. ერთი და იგივე მცენარის ვირიონები შესაძლებელი არ არის.

ლებელია სხვადასხვა ხვედრი წონის იყოს (სუხოვი). მიუხედავად ვირიონების არ-ცერთგვარობისა, ისინი როგორც ქიმიურად ისე თავისი ბიოლოგიური თვისებებით ერთგვარობას ამჟღავნებენ. ქიმიურად მაღალი მოლეკულური წონის ცილებისაგან შედგებიან, ხოლო ბიოლოგიურად ყველა ინფექციის გამომწვევი არიან და მემკვიდრეობით თვისებებს ამჟღავნებენ.

ვირიონის ცილოვანი ნივთიერება ორ ჯგუფად იყოფა: ა მ ი ნ ო მ ჟ ა ვ ე ბ ა დ და რ ი ბ ო ნ უ კ ლ ე ი ნ ი ს მ ჟ ა ვ - ა დ. ამ ნივთიერებათა განლაგების გასარევებად საჭიროა ვიცოდეთ ვირიონის სტრუქტურა.

ვირიონების სტრუქტურა სამი სახისაა: სპირალური, კუბური და იკოსედრული.


სპირალური, როდესაც სხვადასხვა ამინომეჟავებისაგან შემდგარი ცილოვანი ნაწილაკები თავისი განლაგებით სპირალური ხვისაგან შემდგარ ცილინდრს ქმნიან, რომლის შიგნით მოთავსებულია რიბონუკლეინის მჟავასაგან შე-



სურ. 94. ვირიონების ფორმები

შიგა დიამეტრი 40 ანგსტრემს უდრის. ანგსტრემი ასო A-თი აღინიშნება და ზომით სანტიმეტრის 100.000.000-ედ ნაშილს უდრის.

რიბონუკლეინის მჟავას ძაფი შედგება 7900 ნუკლეოციდისაგან (თუ



სურ. 93. თამბაქოს მოზაიკის ვირიონის სტრუქტურა. ცენტრში რიბონუკლეინის მჟავას სპირალი; პერიფერიაზე — ამინომეჟავების წყობა

შეიძლება მას ეწოდოს, „მძივისაგან“). თითოეულ ნუკლეოციდზე ცილო-ვანი გარსის საში ნაწილაკი მოდის.

ვირიონების ბუნების შესწავლა იმდენად შორს წავიდა, რომ მეცნიერებს უკვე აქვთ სამუალება ვირიონის ცილები და რიბონუკლეინის მჟავა ერთმანეთს დააშორონ და თითოეულ მათგანზე ექსპერიმენტები ჩატარონ. გამორჩეულია, რომ მარტო რიბონუკლეინის მჟავას აქვს მცენარის ინფექციის უნარი. იმ დროს, როდესაც ვირიონების ცილები, მცენარის დაავადებას არ იწვევენ, ისინი რიბონუკლეინის მჟავას დაცვითს ფუნქციებს ასრულებენ. ვირიონის საერთო წონიდან რიბონუკლეინის მჟავა მხოლოდ 5,9%-ს შეადგენს, დანარჩენი 94,1% ცილის ერთეულებზე მოღის.

ვირიონების სტრუქტურის მეორე ფორმაა კუბური, რასაც, უმთავრესად, ბაქტერიების, ცხოველების და ადამიანის ვირუსოვან ავადმყოფობათა გამოწვევა ვირიონებში ვხვდებით.

ი კ ო ს ა ე დ რ უ ლ ი ვირიონები გარეგნულად კუბური სიმეტრიანი არიან. ერთშრიანი, ცილოვანი კრისტალებია, რომლებიც გარსა ჯმნიან, ხოლო შიგნით ნუკლეინის მჟავაა მოთავსებული.

იგი შედგება მორფოლოგიური ელემენტებისაგან, რასაც კაპსომებს არ ე ბ ს უ წ ი დ ე ბ ე ნ. უფრო რთულ ვირუსებში დამატებითი ელემენტებიც არსებობენ, რომელთაც სპეციალიზებული სტრუქტურა აქვთ.

აცვენარის ვირუსულ ავადმყოფობათა გარეგნანი დიატომები

მცენარეთა ვირუსული ავადმყოფობები თავიანთი გარეგნული ნიშნებით განსხვავდებიან სოკოებისაგან და ბაქტერიებისაგან გამოწვეულ ავადმყოფობათაგან. ეს განსხვავება ერთი მხრივ, ვირუსოვან ავადმყოფობათა თავისებური განვითარებითა გამოწვეული, ხოლო, მეორე მხრივ, მისი მკვებავი მცენარის თავისებურებით. მცენარის ვირუსული ავადმყოფობები მთელი ავადმყოფურ პროცესს მცენარის კველა ორგანო ერთდროულად მეტ-ნაკლებად განიცდის, ნელი ტემპით მიმდინარეობს, ხანგრძლივდება და ავადმყოფობა, უმეტეს შემთხვევაში, ქრონიკულ ხასიათს იღებს. ამ უკანასკნელი მიზეზის გამო მცენარე ზრდაში ჩამორჩება, კნინდება და ცოტად თუ ბევრად ფერშეცვლია. ფერის შეცვლა ახალგაზრდა, მოზარდ ფოთლებს და ყლორტებს უფრო აშკარად ემჩნევა. ფოთლების ფერის შეცვლა ორი სახითაა გამოვლენილი: პირველ შემთხვევაში ფოთლების აჭრელება ხდება: ფოთლის ფირფიტაზე ჩნდება მოყვითალო გაფანტული ლაქები, რომლებიც კარგადა შესამჩნევი ფირფიტის სალი ნაწილის ნიზამალერ მწვანე ფონზე. ავადმყოფობის ასეთი გარეგნული ნიშანი ხშირად გვხვდება მცენარეების ვირუსოვან დაავადებათა დროს და ცნობილია როგორც მოზაიკური ავადმყოფობა ანუ აჭრელება. ამის საუკეთესო მაგალითია ვირუსოვან ავად-

მყოფობათა სეეთი კლა-
სიკური ნიმუშები, რო-
გორიცაა: თამბაქის
მოზაიკა, გოგროვანთა
მოზაიკა და სხვ.


ფოთლების ასეთი
აჭრელება გარემო პი-
რობებთან დაკავშირებ-
ით (მეტალურგიული
ტემპერატურის დად-
გომისას) ხშირად ქრე-
ბა, ინიღბება და თით-
ქოს მცენარე მორჩაო.
მაგრამ ეს მოჩვენები-
თია; საკმარისია შენიღ-
ბული ფოთლები სინათ-
ლის შუქზე გაისინჯოს,
რომ ისეთსავე აჭრელე-
ბას შეგამჩნევთ, როგ-
ორც შენიღბვამდე იყო.

გარეგნულ ნიშნებს
ეკუთვნის აგრეთვე მცე-
ნარეზე წვრილი, გაფან-
ტული, ნეკროზული ლა-
ქების განვითარება. ეს უკანასკნელი შედარებით იშვიათად გვხვდება,
მაგრამ იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც ასეთი მოვლენა ვირუსო-
ვან დავადებათა მიმართ გამძლე ჯიშებს ემჩნევა. მაგალითად, წეკო-
ზე (*Nicotiana glutinosa*) თამბაქოს მოზაიკის ვირუსი მისთვის დამახა-
სიათებელ აჭრელებას კი არ იწვევს, არამედ წვრილ ნეკროზულ ყავისფ-
ერ ლაქებს ავითარებს.


ბუნებაში ისეთი შემთხვევებიც გვხვდება, როდესაც ვირუსით დაავა-
დება მცენარეზე შეუმჩნეველია, ლატენტურია, თითქოს მცენარე საღია,
მაგრამ ასეთი მცენარიდან ინფექციის მეორე მცენარეზე გადატანა მაინც
შესაძლებელია.

გარდა ფერის შეცვლისა, ვირუსოვანი დაავადების გარეგნულ ნიშნად
მცენარის ძირითად ორგანოთა დეფორმაცია ითვლება.

ფოთლების დეფორმაცია სხვადასხვა სახით გვხვდება. შესაძლებელია
ფოთლი გვერდულად განვითარდეს, ხშირია ფოთლების დახუჭუჭება,
ფოთლების ნორმალური ფორმის შეცვლა, მაგალითად, პომიდორის



სურ. 95. ლელვის ფოთლის სიჭრეულე



სურ. 96. ჭარხლის ფოთლების დეფორმაცია

ფოთლების ძაფისებრად ქცევა; თამბაქოს შურლალის შემთხვევაში ფოთლები ლანცეტისებრი ხდება;

ყლორტების დაზიანებისას ხშირია, მაგალითად, ყლორტის გაგრძელება, ძაფნაირობა. ამ უკანასკნელის საჭინააღმდეგო მოვლენაა, როდესაც ყლორტებზე მუხლოშორისები მოკლდება, მცენარე თითქოს დაბუჩქული და ხუჭუჭა ხდება. ქაჯის ცოცხების ტიპის დაზიანება ვითარდება; ძაფთუ ისე იშვიათად, გვხვდება ყლორტების გაბრტყელება ანუ ფასციაცია.

დაავადების საინტერესო ტიპს იძლევა ჯვარისანთა ვირუსოვანი დაავადება. კომბოსტოს ფოთლებზე, მეტადრე ძარღვების გასწვრივ, განსაკუთრებული, ამოზრდილი ფარფლისებრი ფირფლიტები ვითარდება, რომლებიც ღიატერატურაში „en ation“ სახელწოდებით არის ცნობილი.

დეფორმაცია ფესვებზედაცაა აღნიშნული. მაგალითად, ჭარხლის კალიფორნიული ავადმყოფობით დაავადების დროს ძირხვენის მთავარი ღერძის ხარჯზე ტუარებელი გვერდითი ფესვები ვითარდება, რაც ჭარხლისათვის არანორმალურ მოვლენად ითვლება. ამცირებს ძირხვენების წინას; ცნობილია აგრეთვე მუაუნის ფესვების დაკორდება, გამოწვეული ვირუსულ ავადმყოფობათა მიერ.

უფრო ღრმა ცვლილებებს ყვავილებზე ვამჩნევთ. ყვავილი იმდენად გადაგვარდება, რომ თავის ძირითად ფუნქციას, მცენარის რეპროდუქ-

ციის ორგანოს კარგავს. პომიდორის ყვავილი ნაცვლად ორმაგი ყვავილსაფარისა, -- გვირგვინისა და ჯამისა, ერთმაგი უვითარდება, ისიც მხოლოდ ჯამის ფოთლები, რის გამოც ყვავილი ყვითელი აღარაა, გამწვანებულია; მტერიანები და ბუტკოც გადაგვარებულია; ხშირად ნაყოფ-ფოთლები შეზრდილი არაა.

გარდა გარეგნული ცვლილებებისა ვირუსოვანი ავადმყოფობები მცენარის ორგანიზმში ღრმა შინაგან ცვლილებებსაც იწვევს. უკანასკნელი ორი ტიპისაა: პირველი, როდესაც ქსოვილების ანატომიური სტრუქტურა იცვლება, უჯრედების შიგთავსში ცვლილებები ხდება და სხვ. მეორე ცვლილება უფრო მნიშვნელოვანია ზოგიერთ ვირუსოვან ავადმყოფობათათვის. უჯრედებში განსაკუთრებული ვირუსული ბუნების ჩანართები გამოიყოფა, რაც პირველად ივანოვსკის მიერ იყო აღნიშნული. საღი მცენარის ქსოვილებში აქამდე ასეთი ჩანართები ნაპოვნი არაა.

ვირუსის გავლენით მცენარის ქსოვილში გამოწვეული ანატომიური ცვლილებებისაგან აღსანიშნავია შემდეგი: მოზაიკური ავადმყოფობით დაავადებული ფოთლის ლაქის ყვითელი ადგილები გაცილებით თხელია, ვიდრე მის გვერდით არსებული მწვანე ნაწილისა. ყვითელი ლაქების ქსოვილში დადგენილია სვეტური პარენქიმის უჯრედების შემოკლება, ფაშარი პარენქიმის უჯრედშორისი მანძილების შემცირება, უჯრედის ფორმის შეცვლა; ქლოროპლასტები წვრილდება, უფრო მარცვლოვანი ხდება და მისთვის უჩვეულო ვაკუოლებით ვითარდება. საბოლოოდ მცენარე სუსტადაა შეფერილი სასიმილაციო ქსოვილის რედუცირების გამო და დეფორმირებულია.

ზოგიერთი ვირუსოვანი ავადმყოფობით დაავადებული მცენარის ქსოვილში მიუხედავად ქლოროფილის მარცვლების დაზიანებისა დიდი რაოდენობით გროვდება სახამებელი და არ გადაინაცვლებს სხვა ადგილებში; ზოო შემთხვევაში იმდენად ბევრია სახამებელი, რომ ქლოროპლასტები სკდება და იშლება. ასეთ სურათს ვამჩნევთ ვირუსოვანი ყვითას ტიპის ავადმყოფობების დროს.

ვირუსით დაავადებულ მცენარეში ფიზიოლოგიური პროცესების შეცვლაც ხდება. მაგალითად, დამტკიცებულია მისი გავლენა სასიმილაციო პროცესებზე, მცენარის სუნთქვაზე. დიდი რაოდენობით გროვდება მშრალი ნივთიერებები, ნაყოფები უგემურდება, თითქოს მერქნიანდება და სხვა. ნაყოფების გაუხეშება გამოწვეულია იმით, რომ დიდი რაოდენობით გამოიყოფა ცელულოზა, უკანასკნელი კი მერქნის ძირითადი შემადგენელი ელემენტია. დაავადებული მცენარის მიწისზედა ორგანოებში გროვდება სახამებელი. ეს იმითაა გამოწვეული, რომ ავადმყოფობის გავლენით ლაფნის ქსოვილები ზიანდება ან კვდება და ფოთლებში დაგროვილი სახამებელი ველარ გადადის ქვედა ორგანოებში. ამასთან დაკავშირებით ავადმყოფ მცენარეში შაქრების მარაგი მცირდება და, რაკი ახალს ველარ აგროვებს — ნაყოფი უგემურდება.

ბუნებრივია, რომ ვირუსოვანი დაავადებები სათანადო გავლენას ახდენენ ფერმენტაციული სისტემის მოქმედებაზეც.


თამბაქოს მოზარდით დაავადებისას სუნთქვა პირველ ხანებში მატულობს და შემდეგ კი თანდათან მცირდება (ჩაღუნელი).

ვირუსოვან ავადმყოფობათა დიაგნოსტიკისათვის საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ავადმყოფი ქსოვილის უჯრედებში ივანოვსკის მიერ შემჩნეული განსაკუთრებული ვირუსული ჩანართების არსებობას. იგი ფოთლებში ორი სახის ჩანართს აღნიშნავდა: ამორფულს, ბრტყელ ან მომრგვალო სხეულებს, ოდნავ მარცვლოვანი კონსისტენციით, ხშირად ვაკუოლიზებულს, რომელთაც X-სხეულაკებს უწოდებენ და მეორე — ბრტყელს, კრისტალური ფორმისას, ზომით 30 მ. ამ უკანასკნელს ივანოვსკის კრისტალები უწოდეს.

X-სხეულებს და კრისტალებს ვხვდებით როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთსა და იმავე უჯრედშიც. შემჩნეულია, რომ X-სხეულები მოზარდით დაავადებული თამბაქოს ფოთლებში დანორვესკის კრისტალებად გადაღის. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ვირუსით დაავადებული მცენარე მარტო კრისტალურ ან ამორფულ ჩანართებს იძლევა (X-სხეულებს). მათი პოვნა შესაძლებელია დაავადებული ორგანოების ეპიდერმისის და ბუსუსების ან გირკვლების უჯრედებში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თუ X-სხეულები და კრისტალები მექანიკურად დავაზიანეთ, ისევ წვრილ ნაწილაკებად იშლებიან და შეუმჩნეველი ხდებიან. ეს ჩანართები ქიმიურად მაღალმოლექულური ნუკლეოპროტეიდებისაგან შედგება.

ივანოვსკის კრისტალები სხვადასხვა კრისტალოგრაფულ სისტემებს ეკუთვნიან. მაგალითად, თამბაქოს მოზაიკას ჰექსაგონალური სისტემის კრისტალები აქვს; რგოლ-ლაქიანობისა როლერძიანი სწორკუთხოვანი კრისტალებია; თამბაქოს გრაფირებისა — რვაწახნაგოვან ბიპირამიდებს ქმნის; ტიტას მოზაიკას თითისტარისებრი პარაკრისტალები აქვს და სხვ. ეს ჩანართები X-სხეულები იქნებიან ისინი, თუ ივანოვსკის კრისტალები, ვირუსოვან ავადმყოფობათა საწყისის მიერ წარმოქმნილი აგრეგატებია, ბაქტერიულ ფილტრში ვერ გაღიან და ჩვეულებრივი მიკროსკოპით აღვილი აღმოსაჩენია. მათი შემადგენელი ნაწილაკები კი, ფილტრში გადის და ჩვეულებრივი ოპტიკური იარაღებით შეუმჩნეველია. როგორც ცხოველური, ისე მცენარეული ვირუსების ობიექტების შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ ავებულებით ვირუსების საწყისი, მართალია, სხვადასხვა სახისაა, მაგრამ მორფოლოგიურ სტრუქტურულ და ბიოლოგიურ ერთგვარობას მაინც ამჟღავნებენ.

დღეისათვის ნაწილაკების სამი ფორმა დადგენილი: ჩხირის ებრი, სფეროსებრი და თავისანი ფორმები (სუხოვი). მაგალითად, სწორი ჩხირისებრი ფორმები აქვს თამბაქოს მოზაიკის ნაწილაკებს, კიტრის მოზაიკის — 2-იანისა, კარტოფილის ვირუსისა კი დაკლაკნილი ჩხირებია.



სურ. 97. ვირუსული კრისტალები.

ვირუსის ნაწილაკების სფერული ფორმა აქვთ რგოლლაქიანობას, თა-მბაქოს ნეკროზის გამომწვევ ვირუსს, მიხაკის მოზაიკას, პომიდორის ბრინჯაოსფერობას და სხვ.

თავიან ანუ კომბლისებრ ნაწილაკებს კი ვხვდებით ბაქტერიების ვირუსებში, რომლებიც ბაქტერიოფაგის სახელწოდებითაა ცნობილი. მიუხედავად ვირუსების ელემენტარული ნაწილაკების სამი ძირითადი ფორმისა, შემჩნეულია ზოგიერთი ფორმის, მაგალითად, ჩირისებრის სფეროსებრად გადასვლა და პირუკუც. ეს მოვლენა გამოწვეულია როგორც გარემო პირობებით, ისე ვირუსის მკვებავი მცენარის გავლენით. ისიცაა შემჩნეული, რომ შეიძლება სხვადასხვა მცენარის ვირუსების ნაწილაკები სფეროსებრი იყოს, მაგრამ მათი აგრეგაციის შემდეგ მიღებული X-სხეული თუ კრისტალები სხვადასხვა სისტემის აღმოჩნდნენ.

გულერია აიროგაზი ვირუსების გავრცელების გზები —

ვირუსოვან ავადმყოფობათა გავრცელების გზები დამკიდებულია ვირუსების ბიოლოგიურ თვისებებზე. ამ უკანასკნელთაგან პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ ვირუსის საშეინი, ულტრამიკროსკოპულია და უჯრედის წვენშია მოთავსებული, რის გამოც ვირუსის საშეინის იმგარად გაფრცელება, როგორც ბაქტერიები, სოკოებითუ პროტოზები ვრცელდებიან (ქარისა, წვიმისა თუ სხვა საშუალებებით) — წარმოუდგენელია, ვირუსებს აქტიურად გადანაცვლების საშუალება არა აქვთ. ინფექცია შესაძლებელია გადავიდეს მხოლოდ უჯრედის წვენის საშუალებით, მისი მოხვედრით საღი მცენარის პლაზმაში. მიუხედავად მისი გავრცელების გზების შეზღუდვისა ამ, სახის ვირუსოვან ავადმყოფობათა ეპიფიტოტია, ჰშირად ძლიერია და სწრაფი.

ვირუსოვან ავაღმყოფობათა გავრცელების გზებიდან პირველ რიგში უნდა დავაყენოთ ვირუსოვანი მცენარის ვეგეტატიური გამრავლება, ხოლო მეორე რიგში — რაც უფრო ხშირია — ვირუსების გავრცელება მწერების მიერ.

ვეგეტატიური გზით გადასვლა, უმთავრესად, კულტურულ მცენარეებში გვხვდება მათი ვეგეტატიური გამრავლების დროს კალმებით მყნობით, კვირტებით, ფესვურებით, ძირხვენებით, ბოლქვებით და ა. შ. ამის საუკეთესო მაგალითია კარტოფილის ვირუსოვანი ავაღმყოფობები, როგორიცაა: კარტოფილის ფოთოლთხვევა, ხუჭუჭა მოზაიკა და სხვ.

ვირუსებით დაავადებული კარტოფილი ისევ დაავადებულ ტუბერებს ივითარებს. მართალია, ასეთი ტუბერები შედარებით სუსტია, ვიდრე საღი, მაგრამ გაღივების უნარი მაინც მოკბოვება და მისგან ისევ ავაღმყოფი მცენარე ვითარდება. ასე მეორდება წლობით, რის გამოც კარტოფილის მცენარე თანდათან სუსტდება და ბოლოს იმ ღონებდე მიღის, რომ ან ხმება, ან კიდევ ტუბერს არ იძლევა. ასეთი მოვლენა მეკარტოფილეობის სამხრეთ რაიონებში „კარტოფილის გადაგვარების“ სახელწოდებითაა ცნობილი.

ვაზის ინფექციური ქლოროზის გავრცელების მთავარ გზად ვაზის ვეგეტატიური გამრავლება ითვლება. დაავადებული ვაზისაგან აღებული რეა უსათუოდ ისევ ინფექციური ქლოროზით დაავადებას ამჟღავნებს მიუხედავად იმისა, თავის ფესვზე იქნება დარღული, თუ დამყნილი საძირებელი იყოს.

ჭარხლის ძირხვენებით ვირუსოვანი დაავადების გადასვლა კარგად ხანია ცნობილია (კალიფორნიული ავაღმყოფობა). ჭარხლის ფოთლების მოზაიკისა და სხვა ავაღმყოფობების ვირუსები ძირხვენებში იზამთრებენ. ასეთი ძირხვენებიდან ვირუსოვანი ავაღმყოფობები პირველად სათესლე ნაკვეთებზე მუღავნდება, საიდანაც შემდგომში სხვა ნაკვეთებზე გადადის მწერების საშუალებით.

ვირუსულ ავაღმყოფობათა ვეგეტაციური გზით გავრცელების მაღლითია ყველა სახის მყნობის ოპერაციები. თუ საძირეა დაავადებული ვარუსით, კეთილშობილი ნაწილიც ავადდება; თუ უკანასკნელია დაავადებული, მაშინ ავაღმყოფობა საძირეზედაც გადადის. ამით აიხსნება დამყნის აგროქესებში შეტანილი მუხლი საღი სადედე ხებისა და საძირის შეუძრევისა, კალმების საღი ხებიდან აღებისა და სხვათა შესახებ. ვაზის ინფექციური ქლოროზისა და ციტრუსების პსოროზისის გავრცელება მყნობის ოპერაციების დროს ხდება. ასევე ხდება თუთის ხუჭუჭა წვრილ-ფოთლიანობის გავრცელებაც.

სათესლე მასალის როლი ვირუსების გავრცელებაში უმნიშვნელოა. თესლით ვირუსის გადასვლა შემჩნეულია უმთავრესად პარკოსანთა (Leguminosae) და გოგროვანთა (Cucurbitaceae) ლაგანის წარმომადგენლებზე. მცენარეთა სხვა ოჯახის ფარგლებშიც გვხვდება, თუმცა იშვიათად,

მაგალითად, ძაღლყურძენოვან (Solanaceae) მცენარეებზე. ვირუსების თესლით გავრცელების ნაკლები მნიშვნელობა იქიდანაც ჩანს, რომ ძლიერ დაავადებული მცენარიდან აღებული თესლიც კი ავადმყოფობას ყოველ-თვის მცირედ იძლევა, მთა უმეტეს, თუ თესლი კარგადაა მომწიფებული.

ვირუსების გავრცელებაში დიდი როლი აქვთ მწერებს. შეიძლება ითქვას, რომ მწერების როლი ვირუსოვან ავადმყოფობათა ეპიფიტოტია-ში ყოველთვის მნიშვნელოვანია და არსებითი. მთა უმეტეს, თუ ამსამთხ-ვევა მწერების განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემო პირობები.

ვირუსების გამავრცელებელი ანუ გადამტანი მწერები, უმთავრესად, — მწუწნავთა ჯგუფს ეკუთვნიან, კერძოდ ბუგრებს, ტკიპებს, ჭიჭინობუ-ლებს; ისეთ მწერებსაც გადააქვთ ვირუსული ავადმყოფობები, რომლებიც მცენარის ქსოვილით იკვებებიან.

მწერებს შორის ვირუსების გავრცელება ორი გზით შეიძლება. ერთ შემთხვევაში მწერი დაავადებული მცენარის შიგთავსის წვენით იკვე-ბება. წვენში გასჭრილი ხორთუმით ავადმყოფობის საწყისი გადააქვს. საღ მცენარეზე. რაც ავადმყოფი მცენარის წვენით კვების დროს მწერის ხორთუმზე ვირუსის მცირე თდენობა შერჩა, საყმარისია საღი მცენარის დაავადებისათვის.

მწერების მნიშვნელობა ვირუსულ ავადმყოფობათა გავრცელებაში ყოველთვის მექანიკური არაა. უკვე კარგა ხანია ცნობილია, რომ ზოგი-ერთი ვირუსული საწყისის მომწიფებისათვის აუცილებელია მისი გადა-სვლა მწერის სხეულში. მწერის სხეულში მოხვედრილი ვირუსი უფრო აქტიური ხდება და მცენარეს უფრო ადვილად ავადებს. ვირუსის მწე-რის სხეულში დაყოვნება ანუ საინკუბაციო პერიოდი კარგა ხანს გრძელ-დება (რამდენიმე საათიდან 14 დღემდე). ასეთ მწერებად, უმთავრესად ჭიჭინობლებსა და თრიოფსებს თვლიან. ვირუსების დაზამთრება მწერების სხეულში ხშირია და გაზაფხულზე ისინი ავადმყოფობის წყაროდ ითვლე-ბიან. ზოგიერთი მწერის მიერ დადებული კვერცხებიდან ვირუსის მატა-რი მატლები იჩეკებიან.

ვირუსების გადამტანი მწერები ზოგი სპეციფიკურია, ე. ი. ერთი რომელიმე განსაკუთრებული ვირუსოვანი ავადმყოფობის გადამტანია, ზოგი კი სხვადასხვა ვირუსებს ავრცელებს. მაგალითად, გამორკვეულია-რომ ატმის ბუგრი 25-ზე მეტი სახის ვირუსოვანი ავადმყოფობის გადამ-ტანია; ვირუსების გადამტანი მწერებისა და ცხოველების სი 90-ზე მეტი სახეობისაგან შედგება.

ვირუსების გავრცელების მნიშვნელოვან მიზანია. უნდა ჩაითვალოს აგრეთვე აღამიანიც, რომელიც ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო მცენა-რის მოვლა-მოყვანისას ხელს უწყობს ვირუსოვან დაავადებათა გავრცე-ლებას. ამის საუკეთესო მაგალითია თამბაქოს ნარგავებში თამბაქოს მო-ზაიკის გავრცელების დინამიკა; თამბაქოს მოზაიკა თუ ნარგავებში და-საწყისში ერთეულების სახითაა გამოვლენილი, ფოთლის შეტეხის დაწყე-

ვირუსოვან ავადმყოფობათა გავრცელების სხედა გზებიც არსებობს, თუმცა მათ გაცილებით ნაკლები მნიშვნელობა აქვთ. ასეთებია, მაგალითად, ვირუსების გავრცელება ქარის. საშუალებით. აქ ვირუსის საწყისის ქარის მიერ მექანიკურ გაღატანას არ ვგულისხმობთ, ქარი ტოტებს და ლერო ფოთლებს რომ არხევს, ახლოს მდგომ მცენარეთა ტოტები, ფოთლები ერთმანეთს ეხახუნება და მექანიკურად ზიანდება, რის გამოც ავადმყოფი და საღი მცენარის უჯრედის წვენი მექანიკურად დაზიანებულ ადგილებში ერთმანეთში ხდება (შეხებით გაღასვლა).

ნიადაგის როლი ვირუსების გავრცელებში ჯერ კიდევ მთლიანად შესწავლილი არა. შემჩენეულია ისეთი ფაქტები, როცა თითქოს ზოგიერთ ნიადაგზე ვირუსი უფრო მეტადაა გავრცელებული, მაგალითად, მძიმე ნესტიან ნიადაგებში; ცნობილია, რომ, თუ ნიადაგში თამბაქოს ნარჩენებია შერეული, მოზაიკური ავაღმყოფობა მატულობს და სხვ. თითქოს დადასტურებულია, რომ სტერილურ ნიადაგში მოზაიკა არ ვითარდება. დაავადებული ნაკვეთის ფორმალდეჭიდით სტერილიზაციის შემდეგ ვირუსი არ გამომჟღვნდა. მიუხედავად ასეთი ცნობებისა, ჯერ კიდევ გამოურკვეველია, თუ რა სახით ინახება ნიადაგში ვირუსის საჭყისი, რასთან არის იგი დაკავშირებული და როგორ ხდება მცენარის პირველადი ინცექცია. დაავადებულ მცენარეთა ნაშთებში კი ვირუსის დაზამთრება ცნობილია.

ვირუსების გავრცელებაში საკმაოდ ღიღი მნიშვნელობა აქვს მრავალ-
წლიანი სარეველა მცენარეების განვითარებას როგორც ნაკვეთებზე,
ისე მოსაზღვრე ყამირებაზე. მრავალწლიან სარეველებს მეტი უურადღე-
ბა იმიტომ ექცევა, რომ დაავადების საშუალის მათ ვევეტაციურ ნაწილებ-
ში იზამთრებს და გაზაფხულზე ვირუსის გავრცელების პირველადი წყა-
როა. ვირუსი თუ პოლიფაგია, მისი დაზამთრება სხვადასხვა მცენარეებ-
ში, ხდება; ასეთებია, მაგალითად, რგოლლაქიანობის ვირუსი, კიტრის
მოზაიკის ვირუსი და სხვა. ამითაა გამოწვეული, რომ სარეველებთან
ბრძოლას ვირუსოვან ავადმყოფობათა საწინააღმდეგო ღონისძიებებში
მნიშვნელოვანი აღვილი უკავია.

უკანასკნელ ხანებში ვირუსების ბუნებრივ პირობებში გავრცელების ერთ-ერთ გზად აბრეშუმა (*Cuscuta*) არის მიჩნეული. თუ აბრეშუმა და-ავადებულ მცენარეზე ცხოვრობს, საღ მცენარეზე გადასული პწყალით დაავადებას იწვევს. გამორკვეულია, რომ აბრეშუმას ქსოვილებში ვირუსი არ მრავლდება. ამის გამოც ფიქრობენ, რომ აბრეშუმას ღერო მხოლოდ ვირუსის საწყისის გადამტანის როლს ასრულებს.

306. სანდის სამართლი თვისება

ჯერ კიდევ იყანოვსკის მიერ იყო დადგენილი, რომ თამბაქოს ვირუსოვანი ავადმყოფობის საწყისი დაავადებული მცენარის უჯრედის წვენშია მოთავსებული და ამ წვენის ბაქტერიულ ფილტრში გატარების შემდეგაც ფილტრატს ინფექციურობა, ანუ სალი მცენარის დაავადების უნარი, შერჩენილი აქვს. რამდენადც საწყისი უჯრედის წვენში იყო აღმოჩენილი, მცენარის ვირუსოვან ავადმყოფობას მთლიანად თვლილნენ: თითქოს ვირუსოვანი მცენარის საწყისი დაავადებული მცენარის ყველა ორგანოში და ქსოვილებში თანაბრად იყო გავრცელებული. უკანასკნელი გამოვლენებით დასტურდება, რომ სხვადასხვა ვირუსების საწყისის ლოკალიზაციის ადგილი მცენარეში სხვადასხვაა. ზოგიერთი მათგანი თავისი განვითარებისათვის განსაკუთრებულ ადგილებს არჩევს. ასე, მაგალითად, მოზაიკის ტიპის ვირუსები უმთავრესად საასიმილაციო სისტემაშია ლოკალიზებული. ამით აიხსნება, რომ ამ ჯგუფის დაავადებები მოზაიკის ანუ ფოთლების აჭრელების სახითაა მცენარეზე გამოვლენილი, იმ ადგილებში, საღაც ვირუსია, ფოთლის ფირფიტა გაყვითლებულია, ქლოროფილი დაშლილია და განუვითარებელი. ხოლო იმავე ფირფიტაზე შერჩენილი მწვანე ლაქების არეში ქლოროფილი ნორმალურია და დაშლის ნიშნებს არ იძლევა.

ქლოროფილის დაშლა გამოწვეულია ვირუსის საწყისის პლატიდებში შეჭრით და მათი შემდგომი დაშლით. ერთდროულად მათი გამრავლებაც ხდება. თამბაქოს მოზაიკური გრავირების ვირუსის საწყისი უმთავრესად ციტოპლაზმში ვითარდება და უჯრედის ბირთვშიც კი კრისტალებს გამოყოფს.

ციტოპლაზმაში ვირუსების რეპროდუქცია დაკავშირებულია ე. წ. მიკროსომებთან. როგორც პლასტიდები, ისე ბირთვები და მიკროსომები უჯრედის ისეთი ორგანოებია, რომელთა საშუალებითაც ცილების სინთეზი ხდება. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ურჯედის შიგთავსის დასახელებული ელემენტები იმ ნივთიერებით არიან მდიდარი, რისგანაც ვირუსის საწყისი შედგება, კერძოდ, რიბონუკლეინის მუავით.

ზოგიერთი ვირუსოვანი ავადმყოფობა მცენარის ფლოემის ანუ ლაფნის არეშია გავრცელებული. უკანასკნელ შემთხვევებში დაავადების გარეგნული ნიშნები განსხვავდება მოზაიკის ანუ აჭრელებისაგან: იგი ან ცალკეულ ნეკროტულ ლაქებს აჩენს, ან ძარღვების დეფორმაციას იწვევს, რასაც ფოთლების ფირფიტის ფორმის შესაფერისი ცვლილებები მოსდევს. ასეთია, მაგალითად, კარტოფილის ფოთოლხვევება.

დამტკიცებულია, რომ ვირუსებით მერქნის ქსოვილის დაზიანებისას მცენარეზე ავადმყოფობის გარეგნული ნიშნები არ ვლინდება, უფრო სწორად, მცენარე არ ავადდება; ფესვებში საინფექციო საწყისი ხშირია, მაგრამ მის ზედა ნაწილებში გადაზარდება ან არ ხდება, ან მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს.

ვირუსოვანი საწყისის მცენარეში შეჭრისა და გავრცელების გზები სხვადასხვანაირია. ვირუსოვან დაავადებათა უდიდესი ნაწილი მცენარეში მხოლოდ მექანიკური დაზიანების ადგილიდან იჭრება. პირველ რიგში მცენარეში შეჭრილი ვირუსი ეპიდერმისის უჯრედებში იწყებს გამრავლებას, შემდგომ კრისტალებსაც გამოყოფს. ამ უჯრედებიდან უკვე პლას-მოდესმებით ანუ პლაზმატური ძაფებით გადაინაცვლებს ეპიდერმისის ქვეშ არსებულ ქსოვილებში; რამდენადც ვირუსი გამტარი ბოჭკოვების საერთო სისტემას უერთდება, მისი საწყისის გავრცელებაში უჯრედის წვენის ოოლი უგულებელყოფილი არ უნდა იყოს.

ინფექციის დაღებითად გადაწყვეტა ბევრადა დამოკიდებული მცენარეში მოხცედრილი კირუსის საწყისის კონცენტრაციაზე. თუ საწყისი მცირეა და მეტად გაზავებული, დაავადების შესაძლებლობა ნაკლებია; თუ საწყისის კონცენტრაცია მაღალია, მცენარის დაავადება უფრო აღვილად ხდება.

დაავადებული მცენარიდან გამოყოფილი წვენი თავის ინფექციურობას ღილად გაზავების: შემთხვევაშიაც არ კარგავს. მაგალითად, თამბაქოს მოზაიკის ფილტრატის ერთი წილის 10000 წილ წყალში გაზავებისას, მან ისეთივე ინფექციურობა შეინარჩუნა, როგორც გაუზავებელ წვენსა ჰქონდა.

მცენარის ინფექციისათვის საკმარისია ვირუსის მეტად მცირე რაოდენობა. ზაავადებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ეს საწყისი მცენარის თითქმის ყველა ორგანიზმი გევედება. ეს ფაქტი იმის მაჩვენებელია, რომ ვირუსი მცენარის ორგანიზმი მრავლდება ანუ ვირუსის რეპროდუქცია ხდება. თუ რა სახით ხდება ვირუსის ელემენტარული ნაწილაკებისაგან ახალი ნაწილაკების წარმოქმნა, ჯერ კიდევ საბოლოოდ გადაჭრილი არაა. დასაშვებია მხოლოდ ვირუსების რეპროდუქციის ერთი გზა: ვირუსოვანი ცილა თავისივე მსგავსი ცილების სინთეზს ახდენს (სუხოვი). გამრავლება უჯრედების ციტოპლაზმაში, მეტალრე ცილის შემცველ ნაწილაკებში, ბირთვში, პლასტიდებში მიმდინარეობს ნივთიერებათა ცვლასთან დაკავშირებით. ელემენტარული ნაწილაკები შემდეგ წარმოქმნიან აგრევატების სახის სხეულებს, ბოლოს კი — კრისტალებს. ვირუსების რეპროდუქცია ყოველთვის ცოცხალ უჯრედებში მიმდინარეობს. ხელოვნურ ნიადაგებზე მცენარეთა ვირუსების გამრავლებას აქამდე ვერ მიაღწიეს.

ვირუსების განვითარებაზე საკმარი დიდი მნიშვნელობა აქვს გარემო ეკოლოგიურ პირობებს. პირველ რიგში აღსანიშნავია ტემპერატურის გავლენა ვირუსებზე. ამ მხრივ სხვადასხვა სურათს გამჩნევთ. ხშირად მაღალი ტემპერატურა ვირუსების ინაჭრივაციას ანუ დაღუპვებს იწვევს. მაგალითად, ვირუსების უმრავლესობა 60—70 -ზე 10 წუთით გახურებისას იღუპება, მათი ინაჭრივაცია ხდება, ე. ი. მცენარის დაავადებას გეღარიწვევს. ზოგი ვირუსი კი უფრო ამტანია, ზოგი კი უფრო დაბალ ტემპერა-

ტურაზეც იღუპება. მოგვყავს სხვადასხვა ვირუსების t-ესადმი გამძლეობა:

პომილორის ბრინჯაოსფერობის ვირუსი —	42°
თამბაქოს რგოლლაქიანობა	" " 60°
თამბაქოს მოზაიკა	" " 60° ,
კარტოფილის ტუბერების თითისტარობა —	$60-65^{\circ}$,
კიტრის მოზაიკა 1	— $60-70^{\circ}$,
კიტრის მოზაიკა 2	— 20° ;

ვირუსების ასეთი დამოკიდებულება ტემპერატურისადმი განსაზღვრულია დაავადებული მცენარიდან გამოყოფილ წვენზე მოქმედებით. ხშირად მცენარეებში ეს სურათი ირლვევა, რამდენადაც მისი ორგმოსტაბილობა დამოკიდებულია მცენარის ორგანიზმზე და მისი წვენის ტემპერატურაზე. ჩვენ აღვნიშნეთ ისეთი კრიტიკული ტემპერატურა, როდესაც ვირუსი იღუპება, მაგრამ ვირუსს თავისი განვითარების მინიმუმიდა აპტამუმიც მოეპოვება და ხშირად მკვებავ მცენარეზედაცაა დამოკიდებული. მაგალითად, ფამბაქოს მოზაიკის განვითარებისათვის აპტიმუმია 20° , იგივე ვირუსისათვის წეკოზე აპტიმუმად $16-20^{\circ}$ ითვლება.

სინათლის როლი ვირუსების განვითარებაზე ტემპერატურის გავლენასთან შედარებით უმნიშვნელოა. მაგრამ სინათლისა და სიბნელის გავლენას ვირუსის რეპროდუქციაზე კი მნიშვნელობა უნდა პქონებუ. მაგალითად, გამორკვეულია, რომ თუ ხელოვნურად დაავადებული მცენარე მოვათავსეთ სინათლეზე და სიბნელეში, პირველ ხანებში, დაავადებიდან 1—2 დღის გავლის შემდეგ, თითქოს ვირუსების დაგროვებაში უმნიშვნელო განსხვავებაა, ხოლო, რაც მეტი ხანი გადის, განსხვავება აქვარავდება. სინათლეზე ვირუსის დაგროვება ფოთლებში მნიშვნელოვნად მეტია, ვიდრე სიბნელეში. ამის დასამტკიცებლად ნეკროზული ლაქების გამომწვევი ვირუსები შეიძლება დაისახელოთ. მაგალითად, თამბაქოს მოზაიკის წეკოს დაზიანებისას სინათლეზე უფრო სწრაფად დიდი ლაქები ჩნდება, ვიდრე სიბნელეში მოთავსებისას (სუხოვი).

ეკოლოგიურ ფაქტორთაგან მცენარის სხეულში ვირუსების რეპროდუქციაზე ან შემცირებაზე კვების პირობებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ეს ასე უნდა იყოს, რამდენადაც ვირუსი შინაგანი იბლივაზი პარაზიტია, უჯრედის წვენში მრავლდება და მისი ცხოვრების პირობებს შექმნა ბევრადაა დამოკიდებული მკვებავი მცენარის მეტაბოლიზმზე, მის ფიზიოლოგიურ მდგომარეობაზე.

ცალკეულ ელემენტთაგან ვირუსის რეპროდუქციაზე სათანაბდო გავლენა აქვს მცენარის აზოტით კვების პირობებს. ეს საჭებით გასავებია, რამდენადაც ვირუსების ქიმიურ შემადგენლობაში აზოტი შეღის (ნუკლეინის მჟავისა და ნუკლეოპროტეიდების სახით). ბუნებრივია რომ, ოუაზოტის წყარო არ ექნება მცენარეს, ისე ვირუსიც არ შეიქმნება. მთელ

რიგ მკვლევართა მიერ დამტკიცებულია, რომ, თუ მცენარე აზოტოვან შიმშილს განიცდის, ვირუსის რეპროდუქცია უსათუოდ შენელებულია; თუ კი აზოტის საკმარის საშუალო დოზას მიიღებს ან კიდევ მეტს, მცენარის სხეულში ვირუსების დაგროვება უფრო სწრაფად და მწვავედ მიმდინარეობს. მეტადრე საშუალო ნორმალური დოზით კვებისას.

აზოტოვან კვებასთან შედარებით ფოსფოროვნი კვება ნაკლებ მნიშვნელოვანია. ვირუსების რეპროდუქციის პირველ დღეებში მას თითქოს მნიშვნელობა ეძლევა, მაგრამ 3—5 დღის შემდეგ, სწრაფად ეცემა.

მინერალური კვების ელემენტთაგან კალციუმსაც ნაკლები მნიშვნელობა აქვს. კალციუმით კვების პირობების შეცვლამ ვირუსების რეპროდუქციაზე გავლენა არ იქნია. თუ კი სხვა სასუქებთან ერთად კალციუმის სათანადო დოზა ნორმალურ ან ძლიერ ზრდას იძლევა, ახალგაზრდა ქსოვილებში ვირუსის დაგროვებას ვამჩნევთ. რაც შეეხება რეინასა და გოგირდს, მათი ნაკლებობა, მაგალითად, ნეკროტული მოზაიკის შემთხვევაში, ვირუსული ლაქების უფრო გაზრდას იწვევს.

მცენარის ინფექცია ანუ დაავადება

მცენარის დაავადება მეტად რთული მოვლენაა. მისი მსვლელობა დამოკიდებულია როგორც ავადმყოფობის გამომწვევი პარაზიტული ორგანიზმის, ¹ ისე მკვებავი მცენარის ბიოლოგიურ, მორფოლოგიურ, ანატომიურ თუ ფიზიოლოგიურ თვისებებზე. დამოკიდებულია აგრეთვე გარემო პირობების ცალკეულ ფაქტორებზე (ტემპერატურაზე, ტენზი, ნიადაგის პირობებზე და სხვ.). ინფექციის მსვლელობის სრული ბუნების გაებისათვის საჭიროა ყველა ფაქტორის განხილვა არა ცალკეულად, არამედ კომპლექსურად, მთლიანობაში.

მცენარის ინფექციის წარმოშობა და მისი საბოლოო განვითარება მიმდინარეობს თანამიმდევრულ ეტაპებად. ეს ეტაპები შემდეგია:

1. ავადმყოფობის გამომწვევი ორგანიზმის საწყისის (ინოკულუმის) მცენარის ზედაპირზე მოხვედრა და მისი გავრცელების გზები ბუნებაში.

2. ინოკულუმის (სპორები, ბაქტერიების, თესლის) განვითარების პირობები და მისი მცენარეში შეჭრის გზები.

3. შეჭრილი საწყისის მცენარის ქსოვილებში განვითარება ავადმყოფობის სიმპტომების გამომულავნებამდე (ინკუბაცია და ინკუბაციის პერიოდი).

4. მცენარის ავადმყოფობის ნიშნების სრული გამომულავნება და მისი პირობები.

მთხელავად იმისა, რომ მცენარის ავადმყოფობათა გამომწვევი პარაზიტული ორგანიზმები სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლებს ეკუთვნიან — სოკებს, ბაქტერიებს, ყვავილოვან მცენარეებს, ვირუსებს და სხვ., დაავადების წარმოშობასა და მისი შემდგომი განვითარების ცალკე-

ულ ეტაპებს შორის ბევრი რამ საერთოა და ერთმანეთისაგან მხოლოდ უმნიშვნელოდ განსხვავდებია.

ინფექციურ ავადმყოფობათა წარმოშობის პირველი ეტაპია ინფულუ-
მის, ანუ ავადმყოფობის საწყისის მცენარის ზედაპირზე მოხვედრა, რაც
ბუნებრივ პირობებში აღვილად ხდება. პარაზიტული ორგანიზმების გამ-
რავლების საშუალებანი დიდი რაოდენობით იქმნება, რის გამოც მათი
მარაგი ბუნებაში ყოველთვისაა. თვით საწყისი მიკროსკოპული ოდენო-
ბისაა, მსუბუქია და აღვილად ვრცელდება სხვადასხვა გზით. მაგალითად,
სოკოები თავისი გამრავლების ორგანოებს — სპორებს — მილიარდო-
ბით წარმოშობენ. მაგალითად, აბედა სოკოების ერთ-ერთი წარმომად-
გენელი ძერანა (*Polyporus squamosus*) ავადებს მერქნიან ფოთლოვან
ჯიშებს, მისი ერთი მოზრდილი ნაყოფსხეული 50 000 000 სპორას ივითა-
რებს.

ბრტყელი განოდერმას (*Ganoderma applanatum*, ნაყოფსხეული — 5 460 000 000 სპორას ივითარებს (ბიულერი). ეს სოკო ჩვენს ტყეებში ჩვეულებრივი მოვლენაა. მყრალი გუდაფშუტით დაფადებული ხორბლის ერთ თავთავში საშუალოდ 480 000 000 სპორაა (ქლამიდოსპორა) განვი-
თარებული (იაჩევსკი).

სიმინდის ბუშტა გუდაფშუტას სმ³-ზე 400 000 000 სპორაა; ხორბლის ლეროს უანგათი ძლიერი დაავადების დროს ჰექტარზე 1 250 000 ურედო-
სპორას ავითარებს (სტეკმენი და პარარი). თუ ავილებთ მცენარის ავად-
მყოფობასა გამომწვევ ბაქტერიებს გამრავლებისათვის ხელსაყრელ
პირობებში მოხვედრისას, მათი რიცხვი გეომეტრიული პროგრესით იზრ-
დება. ერთი დღის განმავლობაში ერთი ბაქტერიისაგან 300 000 000-მდე
ინდივიდუმი იქმნება.

ყვავილოვანი მცენარე პარაზიტები (ფითრი, კელაპტარა და სხვ.) თესლით ვრცელდებიან, რომელიც სპორასთან შედარებით უფრო დიდია
და განვითარების მაღალ საფეხურზე დგას. იგი შედგება თესლის ტყავი-
სა და ნასახისაგან. ხშირად ენდოსპერმაცია დაგროვილი. თესლი სქე-
სობრივი გამრავლების შედეგადა მიღებული. სოკოების სპორები მიკ-
როსკოპული აგებულებისაა, ერთ ან მრავალუჯრედიანია და მარტო გარ-
სისა და პლაზმური შიგოავსისაგანაა შემდგარი. ზოგი სქესობრივი გამ-
რავლების შედეგადა მიღებული (ბაზიდიოსპორები და ასკოსპორები),
ზოგი უსქესო გამრავლებისათვისაა (კონიდიოსპორები, ზოოსპორები
და სხვ.).

ბაქტერიების სხეული სოკოების სპორებთან შედარებით უფრო მცი-
რება: გამრავლების ორგანოები არ გააჩნია. მცენარის ინფექციის დროს
იგი მთელი სხეულით იჭრება მცენარის ქსოვილებში.

ყვავილოვანი პარაზიტები თესლს, მართალია, დიდი რაოდენობით
ავითარებენ, მაგრამ იმდენს არა, რამდენსაც სოკოები. მათი მკვებავი

მცენარეებიც ბუნებაში ყოველთვის საქმაო რაოდენობით მოიპოვება და ინკულუმის მცენარეზე მოხვედრის საშუალება ყოველთვის არსებობს. ერთი დებულებაა დამტკიცებული, რომ მილიარდობით შექმნილი სპორებიდან, მეტად უმნიშვნელო ნაწილი ოღწევს მიზანს, უდიდესი ნაწილი კი იღუბება. ყველა სპორა რომ მიზანს აღწევდეს, ე. ი. მცენარეს რომ აავადებდეს, დედამიწის ზედაპირზე მცენარეულობა არ გვექნებოდა.

ამა თუ იმ ავადმყოფობის ეპიფიტოტიური ანუ მასობრივად გავრცელება ძირითადად დამოკიდებულია, ავადმყოფობის საწყისის გავრცელების გზებზე და საშუალებებზე, იმაზე, თუ ავადმყოფობა ერთი მცენარიდან მეორეზე როგორ გადადის ან როგორ ვრცელდება. პომინის მიხედვით ორი გზით ხდება — პირდაპირითა და არაპირდაპირით.

ავადმყოფობის პირდაპირი გადაცემის შემთხვევაში ისეთი მოვლენა იგულისხმება, როდესაც საწყისის გადატანი უშუალოდ მცენარის როგონებთან ან მის ნაწილაკებთანა დაკავშირებული. მაგალითად, ხორბლის მტვრიანი გუდაფშუტას ავადმყოფობის საწყისი მარცვლის ნასახშია მოთავსებული და თესლთან ერთად ვრცელდება; ბამბის ბაქტერიული ჰომოზი თესლთან ერთად გადადის, ვინაიდან ავადმყოფობის საწყისი თესლშია მოთავსებული.

ვირუსოვან ავადმყოფობის პირდაპირ გადასვლად შეიძლება ჩავთვალოთ ვეგეტაციური გამრავლებაც, რაც ხშირია: ვაზის ვირუსული ავადმყოფობა უმთავრესად კალმებით გადადის; ავადმყოფი კალმი დამყნის დროს საძირესაც აავადებს. ასეთივეა თუთის მიკოპლაზმური ავადმყოფობა.

ავადმყოფობის პირდაპირი გავრცელების მაგალითად ისეთი შემთხვევებიც ითვლება, როდესაც საინფექციო საწყისით გამტვერიანებული ან დანაგვიანებულია სათესლე ან სარგავი მასალა, ამის მაგალითია ხორბლის მყრალი გუდაფშუტა (Tilletia levis), რომელიც თესლის ზედაპირზე მექანიკურად შერჩენილი ქლამიდოსპორებით ვრცელდება.

ბუნებაში ავადმყოფობის საწყისის არაპირდაპირი გავრცელება უფრო ხშირად გვხვდება. ამ შემთხვევაში ისეთი მოვლენაა ნაგულისხმევი, როდესაც საინფექციო საწყისი სხვადასხვა საშუალებებით დამოუკიდებლად ვრცელდება. უკანასკნელი როგორც გარემო პირობების ცალკეულ ფაქტორებზე, ისე პარაზიტის ზოგიერთ ბიოლოგიურ თვისებაზეა დამყრებული.

წანანფექციო საწყისის პირდაპირი გავრცელების მიხედვით ინფექციურ ავადმყოფობათა გამომწვევი ორგანიზმები შემდეგ ჭავლებადა დანაწილებული:

1. ა ნ ე მ ო ქ ო რ უ ლ ი (ბერძნულად — „ანემო“ — ქარი, და „ქორიოს“ — გავრცელება) ისეთ ორგანიზმებს ეწოდება, რომელთა გავრცელება უმთავრესად ჰაერის (ქარის ან სიოს) საშუალებით ხდება. საკმა-

რისია ჰაერის სუსტი მოძრაობა, რომ სოკოების საინფექციო საწყისი — სპორები, მათი მიკროსკოპული ზომისა და მცირე წონის გამო, საკმაოდ დიდ მანძილზე გაიტაცოს. აქ ისაა აღსანიშნავი, თუ ბუნებაში არსებული ავაღმყოფობის საწყისი რამდენად აღვილად დაექვემდებარება ქარის მოქმედების გავლენას. ზოგიერთი სოკო თავის ნაყოფიანობას, კონიდიუმებს თუ სხვას, ზედაპირულად (ექსტრამატრიკალურად) ავითარებს და სპორები მიცელიუმის სხეულიდან მოწყვეტის შემდეგ ჰაერის გავლენის ქვეშ ხვდება და მის აღმაგალ თუ ჰორიზონტალურ დენას სხვადასხვა მანძილზე გადააქვს. მაგალითად, ვაზის ჭრაქის კონიდიუმები (*Plasmodium para viticola*), ჰიფალური ნაყოფიანობაა. კონიდიათმტარები ფოთლის ქვედა მხარეზეა, საკმაოდ გრძლად ამოშვერილი, რის გამოც კონიდიები აღვილად სცვივა კონიდიათმტარებისაგან და ქარი აღვილად იტაცებს. ზოგიერთი სოკოს ნაყოფიანობა შინაგანია, ენდოგენური. დახურულ არეშია განვითარებული (ასკოსპორები, პიკნოსპორები და სხვ.) მათი ბუნებაში გავრცელება, ვიღრე ჩანთა არ გაიხსნება ან პიკნიდიუმებიდან სპორები არ გამოცვივა, შეუძლებელი ხდება. ასეთი სოკოების ნაყოფსხეულებიდან სპორების გამოსვლა კი მათი მომწიფების შემდეგ ხდება. დახურულ ჩანთაში ვითარდება ე. წ. ჰიგროსტატიკური წნევა, რის გამოც სპორები ჩანთის წვერზე განვითარებული სპეციალური პორუსილან გამოიდან გარეთ, ჩანთის წვერს არღვევენ და აქტიურად გაიტყორებიან. ჩანთების გახსნას და პიკნიდიუმიდან სპორების გარეთ გამოსვლას წვიმის წვეთები უწყობენ ხელს.

ანემოქორული ორგანიზმების სუკეთესო მაგალითია ხორბლის მტკრიანა გუდაფშუტა (*Ustilago tritici*), საღაც ავაღმყოფობისაგან დაშლილი თვათავი შავ მშრალ მტკრადა გადაქცეული. მცენარის თვათავის ვაგინიდან გამოსვლისთანავე. მტკერი, რომელიც საინფექციო საწყისია (ქლამიდოსპორები) ჰაერის დინების გამო ერთი აღვილიდან მეორეზე პასიურად გადადის.

მაგალითად, ვაშლის ქეცის გამომწვევი სოკოს (*Venturia inaequalis*) ასკოსპორების აქტიური გამოტყორუნა ხდება.

ანემოქორული ორგანიზმების საინფექციო საწყისის მანძილზე გადატანა დამოკიდებულია ჰაერის სიმძლავრეზე და მის მიმართულებაზე. მაგალითად, ჰონელი (ჰარისონის მიხედვით) მიუთითებს, რომ კარტოფილის ფიტოფტოროზის გამომწვევი სოკოს — *Phytophthora infestans*-ის კონიდიუმები ფლორიდაში 63 კილომეტრზე გადადის. *Cronartium ribicola* ხუნწას უანგას სპორები — 500 კილომეტრზე ვრცელდება. სტეკმანისა და ჰარისის მიხედვით ხორბლის მურა უანგას *Puccinia triticina*-ს ურედოსპორები ჰაერის აღმავალი დენით 4950 მეტრზეა აღნიშნული. თუ ასეთ სიმაღლემდე აიტაცა საინფექციო საწყისი, შემდეგ რამანძილზე მოხდება მისი ჰორიზონტალური მიმართულებით გადატანა, ძნელი წარმოსადგენია.

2. ინფექციურ ავადმყოფობათა გავრცელების მეორე ჯგუფს შეაღენს ე. წ. ჰ თ რ თ რ ი უ ლ ი ორგანიზმები. ამ ჯგუფის გავრცელების საშუალებად მიმდინარე წყალი ითვლება. სარწყავ წყალთან ერთად საინფექციო საწყისის გადატანა ერთი ადგილიდან მეორეზე ხშირია. ამას ისეთ ორგანიზმებში ვხვდებით, რომლებიც ნიადაგში ბუდობენ ან მთზამთრეობენ (სოკოები და ბაქტერიები). სარწყავი არხის მიმართულებით არსებულ ნაკვეთზე ხშირია ავადმყოფობის გავრცელება, მაგალითად, სოკოწყალმცენარეთა წარმომადგენლები Pythium de Baryanum ბამბის ბაქტერიული ჰომოზი Pseudomonas malvacearum, საქონლის ბანდალის გამომწვევი ორგანიზმის Claviceps paspali სკლეროციები, რომლებიც ნიადვარს დიდ მანძილზე გადაქენებენ. ალნიშნულ სოკოებს გავრცელების სხვა გზებიც მოეპოვება, მაგალითად, ნალექებით, ნამით, თუმცა შორ მანძილზე გავრცელება არ ხდება და ადგილობრივი მიკრორაიონული მნიშვნელობისაა. წვიმა ხელს უწყობს სოკოს ნაყოფს ხელულიდან გამოყოფილ ლორწოს გათხიერებას და შემდგომ სპორების განცალკევებას. გამოსული ლორწო წვიმის წვეთებით იჯირვება, საბოლოოდ იხსნება. უკენასკენელი წვიმის შხეფით მცენარიდან ადგილად ირეცხება და სპორებთან ერთად, ერთი და იგივე სის სხვადასხვა ორგანოებს ასენიანებს; ხშირ ნათესებში შეიძლება მეზობელ მცენარეებზე გადავიდეს. ასეთია, მაგალითად, ლიმონის ხმელის გამომწვევი ორგანიზმის Phoma tracheiphila-ს და გვ. Cytospora-ს სპორების გავრცელება. ისეთივე წესით ხდება ბაქტერიულ ავადმყოფობათა გავრცელება.

3. მცენარის ავადმყოფობათა გავრცელების მესამე საშუალებად ითვლება ე. წ. ზ თ რ თ რ ი ა, როდესაც საწყისის გავრცელება ცხოველების მიერ ხდება. მცენარის ავადმყოფობათა ეპიფიტოტიების დროს ცხოველური ორგანიზმები, მეტადრე მწერები, დიდ როლს ასრულებენ, რამდენადაც მრავალი სახის სოკოვანი, ბაქტერიული და ვირუსულ ავადმყოფობათა გავრცელება ცხოველური ორგანიზმების გზით ხდება.

ზოოქორიული გავრცელების ფორმები სხვადასხვანაირია. ბევრ შემთხვევაში ცხოველის თუ მწერის მიერ საინფექციო საწყისის გადატანა მექანიკურად კი არ ხდება, არამედ ცხოველთა და პარაზიტული ორგანიზმების რთული ურთიერთდამოყიდებულების შედეგია. ცხოველთაგან ავადმყოფობათა გამავრცელებლები, უმთავრესად, მწერები არიან, რომლებიც ორ ჯგუფად იყოფიან. ესენია ს პ ე ც ი ფ ი კ უ რ ი და არა-სპეციფიკური მწერები.

სპეციფიკურ მწერთა ჯგუფი ისეთ წარმომადგენლებს შეიცავს, რომლებიც ერთი რომელიმე მცენარის ავადმყოფობის გამავრცელებლები არიან. მაგალითად, ჭიჭინობელის ერთ-ერთ სახეობას მხოლოდ კარტოფილის ყვითელი მოზიგა გადაქენებს (გვე მანი).

არასპეციფიკურ გადამტანებად ითვლება, მაგალითად, ატმის ბუგრი

(*Myzodes persicae*), რომელიც 50-მდე სხვადასხვა ვირუსულ ავადმყოფობს ავრცელებს. იმის მიხედვით, თუ როგორია მწერების მიერ მცენარის ავადმყოფობათა გადაცემის მექანიზმი, გადატანის ორ სახეს არჩევენ: კონტა კტურს, როდესაც მწერის სხეულის ზედაპირზე მოხვედრილი ინკულუმი მექანიკურად გადადის მცენარეზე და მწერი მცენარეს ჭრილობას აყენებს და საწყისი შეაქვს მცენარის ქსოვილში. ზოგიერთი მწერი საინფექციო საწყისით თვითონაც იკვებება და წინაპირობებს ქმნის მცენარის მეორეული დაგვადებისათვის. ზოგიერთი მწერის მონაწილეობა პარაზიტების განვითარების დასრულების საქმეში აუცილებელია, მაგალითად, უანგა სოკონების გამრავლებისათვის მწერები საჭიროა სქესობრივი პროდუქციის მიღებაში. დამტკიცებულია, რომ სპერმოგონიებში განვითარებული სპერმაციები გამანაყოფიერებელი ელემენტები, იგივე სქესობრივი გამეტებია და მათი ერთმანეთთან მოხვედრა ანუ შეჯვარება მხოლოდ მწერების საშუალებით ხდება. მწერს ერთი სპერმოგონიუმიდან მეორეზე გადასვლის დროს თავისი ტანით ან ცალკე ორგანოებით მოპირდაპირე სქესის მეორე სპერმოგონიუმი გადააქვს და მათი განაყოფიერება ხდება.

• ჭვავის რქა (*Clav. purpurea*) და ლაკარტიას კლავიცეპსი (*Claviceps paspali*) თავის განვითარების ერთ-ერთ ფაზაში დიდი რაოდენობით იძლევა ე. წ. ცვარტკბილას — ტკბილ ექსუდატს, რომელშიაც დიდი რაოდენობითაა შერეული კონიდიოსპორები. ამ ტკბილ წვენს ეტანებიან სხვადასხვა მწერები და თავისი ხორთუმით და ფეხებით ინკულუმი სხვა მცენარეებზე გადააქვთ.

უფრო რთულ ურთიერთდამყიდებულებაში არიან თელის ჰოლანდიური ავადმყოფობის *Graphium ulmi* და მისი გამავრცელებელი *Scolytus*-ების წარმომადგენლები. უკანასკნელებს საინფექციო საწყისი, მართალია, მექანიკურად გადააქვთ დაავადებულიდან საღ მცენარეზე, მაგრამ ქერქს თვითონ ჩვრეტენ და ხის ქსოვილში ინფექცია შეაქვთ. ასეთივე სურათს გვაძლევს წაბლის კიბოს *Endothia parasitica*-ს გაგრცელებაც, კერძოდ წაბლის მემერქნიათი *Anisandrus dispar*-ით.

დამტკიცებულია, რომ ფიტოს მხოლოდ და მხოლოდ ფრინველები ავრცელებენ. შაშვი, ჩხართვი ეტანებიან ფიტოს ნაყოფს, რომლის ნაყოფგარემო წებოვანია და ეკვრის ფეხზე ან ნისკარტზე ფრინველს, რომელსაც იგი გადააქვს სხვა ხეზე.

ხეხილის ბაქტერიული წვის *Pseudomonas amylovorus*-ის გავრცელებაც, უმთავრესად, მწერების მიერ ხდება.

მწერების როლი კირუსოვან ავადმყოფობათა გავრცელებაში მეტად დიდია და ამავე დროს რთული. ვრტუსოვან ავადმყოფობათა უმთავრეს გადამტანებად მწერები ბუგრები, ტკიპები, ჭიჭინობლები, ფარიანები, თრიფსები, ნემატოდები ითვლებიან.

მწუწნავი მწერის სხეულში მოხვედრილი ავაღმყოფი მცენარის ჭვენი ვირუსის საწყისს შეიცავს. მწერების სხეულში მოხვედრილი საწყისი რამდენიმე ხანს უნდა დაყოვნდეს და მომწიფდეს. ასეთ მწერს მცენარეზე ზასახლებისას მცენარის ჭვენში ვირუსის საწყისი შეაქვს და ავადებს მას. ზოგიერთი მწერი თავის სხეულში ვირუსის საწყისს ხანმოქლედ თუ ხანგრძლივად ინახავს; ვირუსის საწყისები ზოგიერთი მწერის სხეულშიც იზამთრებენ და გაზაფხულის ნათესებისთვის ვირუსული ინფექციის წყაროს წარმოადგენენ. ასეთ მწერებს ვირუსული ინფექციის წყაროს წარმოადგენენ. ასეთ მწერებს ვირუსული ინფექციის წყაროს წარმოადგენენ.

მცენარის ავაღმყოფობათა გავრცელებაში აღამიანსაც არანაკლები წილი მიუძღვის. ამის დამამტკიცებელი მრავალი ფაქტი არსებობს. მცენარეთა ყველა მნიშვნელოვანი ინფექციური ავაღმყოფობის გავრცელება ერთი კონტინენტიდან მეორეზე, — აღამიანის გზითა მომხდარი. კარტიფიცილის უსაშინელესი სოკოვანი ავაღმყოფობა (*Pythophthora infestans*) წარმოშობით სამხრეთ ამერიკულია, საიდანაც სათესლე კარტოფილთან ერთად გავრცელდა ჯერ ჩრდილო ამერიკაში, ხოლო შემდეგ ევროპაში, კერძოდ, ისლანდიაში. ყურძნის ჭრაქი (*Plasmopara viticola*) ევროპაში ამერიკიდან ფილოქსერაგამძლე ვაზის რქებს შემოყვა 1850 წელს. კარგი პირობები დახვდა ევროპაში, სწრაფად გავრცელდა და ამჟამად ვაზის უსაშინელეს ავაღმყოფობად ითვლება.

ყურძნის ნაცარი შემოტანილია ევროპაში ჩრდილო ამერიკიდან.

საქართველოში ხმელთაშუა ზღვის ციტრუსოვანი რაიონებიდან შემოყვა სარგავ მასალას ციტრუსების ხმელას გამომწვევი სოკო *Phoma tracheiphila*, რომელმაც 10—15 წლის განმავლობაში გაანადგურა ჩვენში ახალქართული ლიმონის ნარგავები.

წაბლის კიბოს გამომწვევი *Endothia parasitica* წარმოშობით აღმოსავლურია.

ყველა ზემოთჩამოთვლილი მაგალითები იმ ღროს მცენარეთა დაცვის საქმისაღმი უყურადლებობის შედევია.

მცენარის ინფექციურ ავაღმყოფობათა გავრცელება შესაძლებელთა აგრეთვე უმაღლეს მცენარეთა საშუალებით. ასეთ მოვლენას ფიტო თე კორიას უწოდებენ. ამის საუკეთესო მაგალითია აბრეშუმა (*Cuscuta*), რომელიც თესლოვანი მცენარე პარაზიტია. მრავალ მცენარეს ავადებს, რომლებზედაც საწივრებითაა მიმაგრებული. თავისი წერილი და ყვითელი გრძელი ძაფისებრი ღეროთი მცენარიდან მცენარეზე გადაის; თუ ერთ-ერთი მცენარე, რაზედაც აბრეშუმა დასახლებული, ვირუსითაა დაავადებული, აბრეშუმას ღეროს საღ მცენარეზე გადასვლისას, გადაქვე ჭირუსის საწყისი და ამ უკანასკნელის დაავადებას იწვევს.

ყველა ზემოთ აღნიშნულიდან კარგად ჩანს, რომ ინფექციის პირველი ფაზა, კერძოდ, ინფექციის საწყისის მცენარეზე მოხვედრა ბუნებაში უზრუნველყოფილია.

ინფექციას, ანუ ინფექციური ავალეოფოგის

საფიცეს განვითარების პირობები

მცენარის ინფექციის, ანუ დაავადების მეორე ძირითად მოთხოვნილებად ითვლება შეცენარეზე მოხვედრილი ინოკულუმის შემდგომი განვითარებისათვის სათანადო პირობების აჩვებობა. თუ სათანადო პირობები არ შეიქმნა, ისე ინფექცია არ მოხდება. ეს დებულება მცენარის ინფექციური ავალმყოფობის გამომწვევი ყველა ორგანიზმისთვისაა საგალდებულო.

ვინაიდან დაავადების ამ ფაზაში საინფექციო საწყისი მცენარის ორგანიზმის ზედაპირზეა მოთავსებული, იგი გარემო ფაქტორების გავლენას უსათუოდ განიცდის.

მაგალითად, თუ ავალმყოფობა სოკოს მიერაა გამოწვეული, მაშინ გარეშე ფაქტორებს (ტემპერატურას, ტენს, სინათლეს) სოკის მიცელიუმის ან სოკოს სპორების გაღივებაზე დიდი გავლენა აქვს. გაუღივებელი სპორით მცენარე კი არ ზიანდება, არამედ ნაგვიანდება. სპორა უსათუოდ უნდა გაღივდეს და მიღებული წინაზრდილი ან ზოოსპორები შემდეგ მცენარეში შეიჭრას. ასევე მაშინაც, როდესაც მცენარე ავალდება თესლოვანი პარაზიტებით (ფიტორი, აბრეშუმა და სხვ.). მათი თესლის გაღივებისათვის სათანადო ტემპერატურა და ტენია საჭირო.

ბაქტერიებით დაავადებისას ბაქტერიუმის სხეული გაუღივებლად იჭრება მცენარეში ბაგების გზით და მექანიკურად დაზიანებული ადგილებიდან. ეს იმითავ გამოწვეული, რომ ბაქტერიები იმდენად წვრილი ორგანიზმებია, რომ მათი შეღწევა მცენარეთა ბაგებში ადგილად ხდება, მექანიკურად დაზიანებული ადგილებიდან — მით უმეტეს შეჭრილი ბაქტერიუმი შემდგომ ჩვეულებრივი დაყოფით მრავლდება. ასევე მცენარეების ვირუსით დაავადება, თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში, დაავადებული მცენარის უგრედის წვენით გადადის. ვირუსის საწყისის რეპროდუქცია, ანუ გამრავლება, მხოლოდ მცენარის ქსოვილში ხდება. პით აისნება ის ფაქტი, რომ ვირუსის გამავრცელებლად ბუნებაში მწუწნავი მწერები გვევლინებიან.

ინფექციაზე, კერძოდ, ავალმყოფობის გამომწვევ საწყისზე, მოქმედი გარემო ფაქტორებიდან, პირველ რიგში აღსანიშნავია ტემპერატურა. ბუნებაში არსებული თითოეული ორგანიზმი სხვადასხვა ტემპერატურულ პირობებთანა შეკუპული. მათი სასიცოცხლო ტემპერატურული რეჟიმი მინიმუმ-ოპტიმუმ და მაქსიმუმის ფარგლებში იცვლება. ტემპერატურის ძლიერი მერყეობის დროს ხშირად იგი გადასცდება მცენარისათვის საჭირო სასიცოცხლო დონეს და იღუპება. ტემპერატურის იმ ზღვარს, რომლის მოქმედებით ავალმყოფობის საწყისი აღარ ვითარდება, ეწოდება ლ ე ტ ა ლ უ რ ი ა ნ კ რ ი ტ ი კ უ ლ ი. სოკების ტემპერატურისადმი დამკიდებულება ხშირად მნიშვნელოვან ფარგლებში

იცვლება. ზოგიერთი სოკოს განვითარების ოპტიმუმი, მეორე სოკორანი განიზმების მინიმუმის ფარგლებში ხდება და პირუქუ.

ქვემოთ მოყვავს მცენარეთა მნიშვნელოვანი ავაღმყოფობების გამომწვევი სოკორგანიზმების სპორების გაღივების ტემპერატურისადმი დამოკიდებულების ცხრილი.

სოკორგანიზმის დასახელება	minimum	opt.	max.
1. <i>Botrytis cinerea</i> ნაცრისფერი სიღა- მალე	2	22—25	30—33
2. <i>Fusicladium dendriticum</i>	6	20—22	33
3. <i>Monilia fructigena</i>	0	24—28	37
4. <i>Phytophthora infestans</i>	6	10—15	20
5. <i>Plasmopara viticola</i>	10	20—22	29—30
6. <i>Phytophthora citrophthora</i>	4	27	32
7. <i>Ustilago tritici</i>			
8. <i>Phomopsis vexans</i>	5	27—30	37
9. <i>Sclerotium Rofsi</i>	13	27—30	40
10. <i>Clasterosporium carpophilum</i>			
11. <i>Phoma tracheiphila</i>	5	21,2	31

ზემოთ მოყვანილი მონაცემები მხოლოდ სოკოს სპორების გაღივების ტემპერატურულ პირობებს ეხება. სოკოს სხეული — მიცელიუმის სახეცვლილებანი კი გაცილებით უფრო ამტანია ტემპერატურისა, ვიღრე სპორები. მაგალითად, რიზომორფები (*Armillaria*-ს), სკლეროციუმები (*Clav. purpurea*) ან ქლამიდოსპორები — ყველა სქელი კუტინიზებული უქრედებისაგან შექმნილი გარსითაა დაფარული, რითაც დაცულია მიცელიუმის ცხოველმყოფელობა.

სოკოს სპორები და მიცელიუმი მაღალ ტემპერატურას გაცილებით ძნელად იტანენ, ვიღრე დაბალს. მაგალითად, ლიმონის ხმელას გამომწვევი ორგანიზმის (*Phoma tracheiphila*) — 15° -ზე მაცივარში მოთავსებული სპორების და მიცელიუმის ერთი თვის შემდეგ ოპტიმურ ტემპერატურაზე გადატანისას სპორების გაღივების ენერგია უფრო მაღალია, ვიღრე საკონტროლომზი.

ტემპერატურისადმი დამოკიდებულების მხრივ ბაქტერიები იმავე თვისებებს ამჟღავნებენ, რასაც სოკოები. ბაქტერიებს რეპროდუქციის ორგნოები არ გააჩნიათ და ინკულუმი მათი ვეგეტაციური სხეულია. სპოროვანი ბაქტერიები კი ტემპერატურისადმი მეტ გამძლეობას ამჟღავნებენ, ვინაიდან მათი სპორები სქელგარსიანია.

ვირუსების ინკულუმი სულ სხვა ხასიათისაა. ვირუსის საწყისი არ ღივდება; ინფექციის გადატანა და საწყისის წარმოქმნა მცენარის წვენთან ერთად ხდება. მცენარის ორგანოებზე მისი ზედაპირული არსებობა ჯერ კიდევ ცნობილი არაა. საწყისი დავადებული მცენარის წვენშია მოთავსებული. თუ ასეთი წვენი ან დაავადებული მცენარის თესლი ან კა-

ლამი გავახურეთ, მაშინ ტემპერატურის მოქმედებით მცენარის სხეულ-ში არსებული ვირუსის საწყისი ჰარგავს თავის ცხოველმყოფელობას. აქაც სხვადასხვა ვირუსოვან ავაღმყოფობას სხვადასხვა კრიტიკული ტემპერატურა შეესაბამება.

როგორიც უნდა იყოს ტემპერატურისაღმი დამოკიდებულება მცენარის ინფექციურ ავაღმყოფობათა საწყისისა, ამასთან ერთად თუ სათანადო ტენის პირობები არ იქნება ხელსაყრელი, მცენარის ინფექცია არ მოხდება.

ტენს ინკულუმისათვის ორგვარი მნიშვნელობა აქვს: ცხოველმყოფელობის შენარჩუნებისათვის და ინკულუმის გაღივებისათვის. ცხოველმყოფობისათვის ჰაერის შეფარდებით ტენიანობას ეძლევა მნიშვნელობა, ხოლო გაღივებისათვის შეფარდებით ტენიანობასთან ერთად აუცილებელია ტენის წვეთის სახით არსებობა. მაგალითად, სოკოწყალმცენართა წარმომადგენლების — *Phycomyctetes*.

კონიდიოსპორები მშრალი, დაბალი შეფარდებითი ტენიანობის (45 — 50%) პირობებში ხანგრძლივად მოხვედრისას გამოშრებიან და კარგავენ განვითარების უნარს. თამბაქოს ფიტოფტორის (*P. tabacina*) მხოლოდ დილით განვითარებული კონიდიუმები იძლევიან წინაზრდილს, შემდეგ სათებებში კი იღუპებიან. გუდაფშუტოვანი სოკოების საწყისი ქლამიდოსპორები მშრალ პირობებში 10 წლამდე მეტსაც ძლებენ.

ეს მაგალითები ნათლად გვიჩვენებენ, რომ ჰაერის შეფარდებითი ტენიანობისაღმი დამოკიდებულება სხვადასხვა სოკოს სხვადასხვაგვარი აქვს.

სოკოების სპორები ინფექციის წინ ჯერ უნდა გაღივლნენ, მივიღოთ წინაზრდილი ან ზოოსპორები და შემდეგ უნდა შეიიტრან მცენარეში. ამისათვის აუცილებელია მათი მოხვედრა წყლის წვეთში. სპორებს გაღივებისათვის ისევე სჭირდებათ წყალი, როგორც თესლს. თუ ნიადაგში მოხვედრილ თესლს წყალი არ ექნა, თესლის ტყავმა იგი არ შეისრუტა და ნასახს არ გადასცა, ისე თესლი არ გაღივდება. ასევეა სოკოებისათვისაც: სპორები წყლის წვეთში უნდა მოხვდეს, გარსმა წყალი უნდა შეისრუტოს, რის შედეგადაც სპორის შიგთავსი მოქმედებას იწყებს, პლაზმა იბერება, ზოლოს ვარსს არღვევს და ძაფნაირ წინაზრდილს ივითარებს. წინაზრდილი სხვადასხვა გზით მცენარის ქსოვილში იჭრება. შეჭრილი წინაზრდილი იწყებს დატოტვას, უვითარდება საწივრები ანუ ჰაესტორიუმები და გრუელდება უჯრედშორის მანძილებში ან უჯრედების შიგნითაც. ამით იწყება მკერებავ მცენარესა და პარაზიტს შორის ნივთიერებათა ცვლა და თანაცხოვრება. მაღალი შეფარდებითი ტენის პირობებში ინოულუმის გაღივება და მცენარის დავაძება მხოლოდ ნაცროვან (*Erysiphaceae*) სოკოებშია შემჩნეული.

ბაქტერიულ ავაღმყოფობათა საინფექციო საწყისი თვით ბაქტერიის

ვეგეტაციური სხეულია. იგი არ ლივდება და მცენარეში მთელი სხეული იჭრება. შეჭრილი ბაქტერია იწყებს დაყოფას და გამრავლებას. ინოკულუმის შეჭრისათვის მაღალი შეფარდებითი ტენი ან წყლის წვეთი აუცილებელია, მით უმეტეს, რომ ზოგიერთი ბაქტერია შოლტიანია და მათ გადანაცვლება ერთი ადგილიდან მეორეზე მხოლოდ წყალში ხდება. როგორც უნდა შეიჭრას ბაქტერიების სხეული მცენარეში, აუცილებელია რომ შეჭრის გზის ზედაპირი განესტიანებული ან წვეთით დაფარულიყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ინფექცია არ მოხდება.

მცენარის ინფექციის საწყისისათვის მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სინათლეს. ვაზის ჭრაქის კონიდიუმებიდან ზონს სპორები დღის განმავლობაში არ ვითარდება. საჭიროა ღამე ან გარიურავი (აისი); ასევე ემართვა ბათ თამბაქოს ჭრაქის კონიდიუმებს. კონიდიუმები შუადლისათვის იღუპებიან, ვითარდებიან მხოლოდ გარიურავზე გამოსულები.

ინოკულუმის მცენარეში შეჭრას ხელს უწყობს მკვებავი მცენარი ზოგიერთი ბიოლოგიური ოვისებაც. პირველ რიგში აღსანიშნავია მცენარის მიერ ბი თა ს ი ს გამოყოფა. ეს უკანასკნელი მცენარის მიერ თავის სი თრგანოების ზეტაპირზე გამოყოფილი ზოგიერთი ნივთიერებაა, ურომლისოდაც ავადმყოფობის საწყისი, მაგალითად, სოკოს სპორები სუსტად ან არ ღივდება და მცენარე არ ავადდება. ეს დებულება მეცნიერების მიერ ექსპერიმენტულადაა დამტკიცებული. თუ სპორას გასალივებენ გარემოს მიემატა მკვებავი მცენარის ცალკე თრგანოების გამონაწური გაღივებული სპორების დიდ % -ს ვიღებთ.

მწვანე ფოთოლი სხვადასხვა გამონაყოფითაა დაფარული, რაც ნაწილობრივ წვემის წვეთში იხსნება. ფოთოლის ზედაპირზე, მოხვედრიილ სპორების გაღივებისათვის ასეთი ხსნარი გაცილებით უკეთესია, ეიდრ სუფთა წყალი. მცენარის მიერ გამოყოფილი ნივთიერება ქემოტროპულად და ფიზიოლოგიურად დადებითად მოქმედებს პარაზიტის სპორებზე, მათ გაღივების ენერგიას მატებს.

ინოკულუმის მცენარეში ზეპრის გზები

მცენარის ინფექციისათვის მესამე პირობად ითვლება წინაზრდილი ან ბაქტერიების შეჭრა მცენარის ქსოვილებში. მარტო სპორის გაღივებული კიდევ არაა ავადმყოფობის დაწყების მაჩვენებელი. ღივისათვის საჭიროა მცენარის ქსოვილში შეჭრის გზა. შეჭრის გზები კი სხვადასხვაა. იგი პრაზიტულ თრგანიზმებსა და მკვებავი მცენარის ბიოლოგიურ თვისებების თანაა დაკავშირებული. მცენარის პარაზიტულ თრგანიზმთაგან ბევრი ის, თია, რომლებიც მხოლოდ ახალგაზრდა, ცოცხალი თრგანოების დაავდებას იწვევენ, მაგალითად, ნაცროვანი სოკოები (ობლიგატური პარაზიტები).

ობლიგატური პარაზიტების წინაზრდილის შეჭრა მცენარეს ცოცხალ ქსოვილებში შემდეგი სახით ხდება.

გალივებული სპორის წინაზრდილი მტკიცედ ემაგრება მცენარის კუტიკულას, მისი წვერი ოდნავ სქელდება და ა პ რ ე ს ო რ ი უ მ ა დ გადადის, რომელიც მხოლოდ მექანიკურ დანიშნულებას ასრულებს (მცენარეზე მიმაგრებას). შემდეგში ამ წინაზრდილს წვერიდან საინფექციო ჰიფა უვითარდება. უკანასკნელი გამოყოფს ფერმენტებს, (ცელულოზას, პეტინაზას, და სხვ.), რომელიც ქიმიურად კუტიკულის და შემდეგ უჯრედების გარსის შრეს შლიან, არღვევენ. ერთდროულად საკმაოდ ძლიერ წნევას ავითარებდნ და საინფექციო ჰიფა მიიწევს მცენარის შიგნითა ფენებში. *Botrytis cinerea* წინაზრდილი ავითარებს 7 ატმოსფერულ წნევას (ჰონელი).

საინფექციო საწყისი მცენარეში შეჭრისთანავე ივითარებს ჰ ა უ ს - ტ ო რ ი უ მ ე ბ ს, რომლებიც საწოვრების ფუნქციას ასრულებენ, შემდეგ იწყებს სხვადასხვა ფერმენტების გამოყოფას, რომლებიც ცოცხალი უჯრედის შიგთავსზე, პლაზმაზე, ბირთვზე მოქმედებენ და მათ დეზორგანიზაციას იწვევენ. ამ სტადიაში უკვე პარაზიტსა და მკვებავ მცენარეს შორის მტკიცე ურთიერთდამოკიდებულება მყარდება. იწყება თანაცხოვრება, ე. ი. მცენარე დაავადდა, ინფექცია მოხდა.

სოკოების უმეტესობას უშუალოდ მცენარის კუტიკულის, ეპიდერმისის გარღვევის უნარი არ გააჩნია, მაშინ მათი წინაზრდილი ქსოვილში იჭრება. მცენარეზე არსებული ლია კარით. მაგალითად, სოკოწყალმცენარეთა წარმომადგენელი ვაზის ჭრაქი (*Plas. viticola*) ვაზის ფოთლების დაავადებას მხოლოდ და მხოლოდ ფოთლის ბაგებიდან იწვევს, ისიც მაშინ, როდენაც ბაგის კარი ლია; ზოოსპორები მარტო ბაგებიდან იჭრებიან მცენარეში. აღნიშნული იმითავა გამოწვეული, რომ ჭრაქით დაავადება ზოოსპორებით ხდება, რომლებიც კუტიკულისა და გარსის დამტლევ ენზიმებს არ გამოყოფენ.

სოკოების, ბაქტერიების და ვირუსების საწყისის მცენარეში შეჭრა ხდება აგრეთვე ხეზე არსებული მექანიკური ჭრილობებიდან, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ჭრილობის ზედაპირი ჯერ კიდევ სველია, მაგალითად, ტყის ჭიშების მერქნის ლპობა ვამოწვეული აბედა სოკოებით (*Polyphoraceae*) მერქნის მექანიკურად დაზიანებული ადგილებიდან შეჭრის შედეგია. ამიტომა, რომ აბედა სოკოებს „ჭრილობის პარაზიტებსაც“ უწოდებენ.

ყურძნის თეთრი სიდამპლის გამომწვევი სოკო — *Coniothyrium diplodiella* ჩვეულებრივ უმნიშვნელო ავაღმყოფობაა, მაგრამ ვენახის დასეტევის შემდეგ, როდესაც მცენარეებს სეტუსისაგან მრავალი ჭრილობა აქვს მიყენებული, ვაზები მასობრივად ავაღდებიან.

შეჭრის, ერთ-ერთ გზად ითვლება აგრეთვე ზოგიერთი მცენარის

ფოთლებზე არსებული წყლის გამომყოფი სპეციალური ჯირკვლები, ე. წ. ჸ ი ტ ა ტ ო დ ე ბ ი. უკანასკნელი ფოთლის ფირფიტის კიდეზე განვითარებული ღრუს, რამაც წვეთების სახით გამოიყოფა სატრანსპორტო წყალი, ამ წვეთში მოხვედრილი წინაზრდილი, ზოსპორები თუ ბაქტერიების სხეული აღვილად იჭრება ფოთლის ღრუში და მცენარის დაავადებას იწვევს.

მცენარის ინფექციისათვის მკვებავი მცენარის საერთო მდგომარეობას ხშირად გადამწყვეტი როლი ეკუთვნის. მცენარის ინფექციისათვის საჭიროა, რომ მცენარე ავადმყოფობისადმი წ ი ნ ა ს წ ა რ გ ა ნ წ ყ თ ბ ი ლ ი იყოს. ე. ი. მცენარე ისეთ მდგომარეობაში უნდა იმყოფებოდეს, რომ აღვილად მოხდეს მისი დაავადება. ავადმყოფობისადმი წინაშეარგანწყობილ მცენარეს გამძლეობის უნარი საგრძნობლად შესუსტებულია ქვეს დაავადებისადმი.

დიდი მნიშვნელობა ეძლევა მცენარის განვითარების ფაზას, მაგალითად, ხორბლის მყრალი გუდაფშუტით (*Tilletia tritici*) დაავადება ხდება ხოლოდ გაღიერების ფაზაში. ხორბლის მტვრიანი გუდაფშუტი (*Ustilago tritici*) კი მცენარეს მხოლოდ ყვავილობის ფაზაში აავადებს; ლიმონის ხმელათი დაავადება ადვილად ხდება მაშინ, როდესაც მცენარე ამპარტაცნულადაა გაზრდილი, ფაზარი ქსოვილები ჭარბადაა, მოზვერს დუუები აქვს. ცუდ პირობებში, დაჩაგრულად გაზრდილ ლიმონებს კომბაქტური ქსოვილი აქვთ და ნაკლებად ავადდებიან. როგორი ხელისშემწყობი გარემო პირობებიც უნდა იყოს, ავადმყოფობის საწყისის განვითარებისათვის, თუ კი ამ ღროს მცენარე არ იმყოფება ავადმყოფობის მიმღებ მდგომარეობაში, ინფექცია არ მოხდება.

წინაზრდილის თუ ბაქტერიუმის სხეულის მცენარეში შეჭრას უსათუოდ თან უნდა მოჰყვეს მათ შორის ურთიერთობის ანუ ურთიერთვავშირის დამყარება. პარაზიტსა და მკვებავ მცენარეს შორის უნდა დაიწყოს პარაზიტული თანაცხოვრება. მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მცენარე დაავადდა ანუ მცენარეში ინფექცია მოხდა.

დაავადებილან ავადმყოფობის გამოჩენამდე განსაზღვრულმა ღრომუნდა გაიაროს, რომ ავადმყოფობა გამომუღავნდეს, ე. ი. რომ მცენარეზე ავადმყოფობის სიმპტომები მივიღოთ. იმ პერიოდს, რომელიც მცენარეში ინფექციის მოხვედრილან ავადმყოფობის გარეგნული წიმნების მოცემამდე გაივლის, ეწოდება ავადმყოფობის განვითარების ფ ა რ უ -ლ ი ა ნ უ ს ა ი ნ კ უ ბ ა ც ი თ პერიოდი. საინკუბაციო პერიოდის ხანგრძლივობა ცვალებადია მეტეოროლოგიურ პირობებთან, მეტადრე ტემპერატურასა და ტენთან დაავშირებით. ამის საუკეთესო მაგალითია ვაზის ჭრაქის საინკუბაციო პერიოდის ცვალებადობა. მაგალითად, თუ საშუალო დღელამური ტემპერატურა 16 -უღრის, საინკუბაციო პერიო-

დის ხანგრძლივობა 8 დღეა; თუ საშუალო ტემპერატურამ 20° — 24° -მდე აიწია, საინკუბაციო პერიოდის ხანგრძლივობა 4—5 დღემდე იყლებს და ა. შ.

მცენარეთა იმუნიტეტი ანუ ავადმყოფობის მიმართ გამალეობა და მიმღებიანობა

კულტურული მცენარეების ავადმყოფობათა გავრცელებისა და მცენარის მიმართ მათი მავნეობის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ყველა მცენარეზე ავადმყოფობა ერთი და იმავე სიძლიერით არ ვითარდება. ზოგიერთი მცენარე ან სრულებით არ ავადდება, ან მეტ-ნაკლები სიძლიერით ავადდება. ავადმყოფობათა გავრცელების მხრივ ასეთი სხვადასხვაობა არა მარტო ისეთ მცენარეთა შორის გვხვდება, რომლებიც ფილოგენეტიკურად ერთმანეთისაგან დაშორებული არიან, არამედ ბოტანიკურად ერთი სახეობის ფარგლებში მოქცეულ სხვადასხვა ჯიშებშიც არის შემჩნეული. ამის მაგალითები ბუნებრივ პირობებში საკმაოდ მრავლად მოიპოვება, მაგალითად, ხორბლეულთა ჯიშების უანგებით, აგრეთვე ვაშლის ქეცით, ჭარხლის ცერკოსპოროზით, ციტრუსების ხმელათი სხვადასხვა ჯიშები სხვადასხვა სიძლიერით ავადდებიან.

ამ მოვლენას ავადმყოფობათაგან მცენარეთა დაცვის ღონისძიებათა სისტემაში მნიშვნელოვანი იდგილი უკავია; წარმოებაში იმ ჯიშების გავრცელებას, რომლებიც ბუნებრივ პირობებში ან სრულებით არ ავადდებიან, ან სუსტად ავადდებიან, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მათი არ ავადდებიან და მაშასადამე, მოსავლიანობაც არ მცირდება. არაა საჭირო, ნათესებისა და ნარგავების მრავალჯერადი ქიმიური დამუშავება, რაც მეურნეობის ეკონომიკის თვალსაზრისით უსათუოდ ზედმეტ ხარჯებს იწვევს.

გამდლე ჯიშების შერჩევასა და გავრცელებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, მეტადრე იმ ავადმყოფობათა საჭინააღმდეგოდ, რომელთა მიმართ ქიმიური ან აგროკულტურული ღონისძიებები არ არსებობენ ან თუ არსებობენ, მათი გამოყენებით სასურველ ეფექტს ვერ ვიღებთ.

მცენარეთა დაუავადებლობის ან მეტ-ნაკლები სიძლიერით დაავადების მიზეზები მრავალია. იგი დამოკიდებულია როგორც მცენარის ავადმყოფობის გამომწვევი ორგანიზმის ბუნების თავისებურებაზე, ისე მქვებავი მცენარის ბიოლოგიაზე, მის ანატომიურ-მორფოლოგიურ ფავისებურებებზე და იმ გარემო პირობებზე, რომელშიაც მკვებავ მცენარეს და მის პარაზიტს უხდება განვითარება.

მცენარის ავადმყოფობისადმი შეუვალობა (გამძლეობა) თუ მიმღებობა, სხვადასხვა ფაქტორების მთელი კომპლექსითაა ჭიგამოწვეული და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საჭიროა მათი სრული და ზუსტი განსაზღვრა, მათი ცოდნა აუცილებელია მეტადრე გენეტიკოსებისათვის,

სელექციონერებისათვის, რომლებიც ჯიშთა გამოყვანაზე მუშაობენ, შერჩევის, ჰიბრიდიზაციისა თუ სხვა მეთოდებით. ამითაა გამოწვეული მათ მიმართ წაყენებული მოთხოვნილება, რომ ჯიშების გამოყვანის დროს ყურადღებას უნდა აჭერებულნენ არამარტო გამოსაყვანი ჯიშის სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით ვარგისიანობას (როგორიცაა: ყინვაგამძლეობა, ადრეულობა, უხვი მოსავლიანობა და სხვა), არამედ ყურადღების, გარეშე არ უნდა დარჩეთ ისეთი მნიშვნელოვანი მხარე, როგორიცაა გამოყვანილი მცენარის ინფექციური ავადმყოფობის მიმართ გამძლეობა. წინააღმდეგ შემთხვევაში სელექციონერის მუშაობა სრულფასიანი არ იქნება, ვინაიდან გამოყვანილი ჯიში, შესაძლებელია აღვილად მიმღები აღმოჩნდეს სხვადასხვა ავადმყოფობისა. რაგინდ დადგებითი თვისებებით არ უნდა იყოს აღჭურვილი გამოყვანილი ჯიში, თუ იგი აღვილად ავადდება ინფექციური ავადმყოფობებით, სრულფასოვნად ვერ ჩაითვლება.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკაში იყო შემთხვევები, როდესაც ეს თუ ის უკვე გამოყვანილი და რეკომენდებული ჯიში იმის გამო, რომ წარმოებაში დანერგვის შემდეგ ძლიერ დაავადდა ინფექციური ავადმყოფობით, დაწუნებულ იქნა და ხმარებიდან ამოღებული. ამის საუკეთესო მაგალითია 1930—38 წლებში ხორბლის ჯიშის „კონპერატორებს“ გავრცელება აღმოსავლეთ საქართველოში. ეს ჯიში ისე ძლიერ დაზიანდა ყვითელი უანგას Puccinia glumarum-ის აღგილობრივი რასით, რომ ზოგჯერ რამდენსაც თესავდნენ, იმასაც ვერ იღებდნენ.

ამავე მიზეზით აიხსნება ვაზის ისეთი ძეირფასი ჯიშის, როგორიცაა „კახური მწვანე“, ფართობების შემცირება საქართველოში: ეს ჯიში ძალიან აღვილად ავადდება ისეთი ძლიერი ავადმყოფობით, როგორიცაა ვაზის ნაცარი.

იმის გამო, რომ ლიმონი „ახალქართული“ ძლიერ ავადდება ხმელათი (Phoma tracheiphila), მისი ფართობებიც მნიშვნელოვნად შემცირდა. მის ნაცვლად ამრავლებენ ე.წ. ჩინურ ლიმონს (მეიერის ლიმონი), რომლის სასაქონლო ლირებულება ლიმონ „ახალქართულთან“ შედარებით მეტად დაბალია.

საქართველოში მეაბრეშუმეობის დარგში ჭის კვების პრობლემა გაღაწყვატილი იყო თუთის ხის ჯიშის „გრუზის“ გავრცელებით, მაგრამ ამ ჯიშს უკანასკნელ პერიოდში დასავლეთ საქართველოს რაიონებში ისე მოედო ვირუსული ავადმყოფობა „ხუჭუჭა წვრილფოთლიანობა“, რომ ხეების მნიშვნელოვანი რაოდენობა გახმა. ამჟამად მეთუთე სელექციონერების ძირითადი ამოცანაა ხუჭუჭა წვრილფოთლიანობისაღმი გამძლე ახალი ჯიშის გამოყვანა.

ვიდრე უშუალოდ შევუდგებოდეთ მცენარეთა ი მ უ ნ ი ტ ე ტ ი ს, ანუ ავადმყოფობათა შეუვალობის თუ მიმღებობის არსის გაცნობას, საჭიროა ამ დარგში გამოყენებული ზოგიერთი ტერმინების განსაზღვრა.

ინფექციურ ავადმყოფობათა მიმართ მცენარეთა შეუვალობის შემთხვევებში ტერმინი „იმუნიტეტი“ მაშინ იხმარება, როდესაც მცენარეზე ავადმყოფობის გამომწვევი მიზეზი ან ავადმყოფობათა მიერ გამოყოფილი შხამები სრულიად არ მოქმედებს, ე. ი. მცენარე არ ავადდება.

სიტყვა „იმუნიტეტი“ ფართოდაა გამოყენებული როგორც მემცენარეობაში, ისე მეცხველობაში. იგი ლათინური სიტყვაა „imunis“ და ნიშნავს „რისგანმე განთავისუფლებას“, ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ მცენარეები თავისუფალია ავადმყოფობის მხრივ, ანუ ავადმყოფობა შეუვალია.


იხმარება აგრეთვე ტერმინი ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი ი მ უ ნ ი ტ ე ტ ი. აბსოლუტური იმუნიტეტის მქონე მცენარეს საერთოდ იმუნიტეტიანს უწოდებენ. მაგალითად, ყურძნის ჭრაქით *Plasmopara viticola*-თი არ ავადდება ვაშლის ხე, ხორბლის ღეროს ჟანგათი — *Puccinia graminis*-ით არ ავადდება ლობიო, ვაზის ნაცრით არ ავადდება მსხალი და ა. შ.

აბსოლუტური იმუნიტეტის მქონე მცენარე უნდა განკარგვით შეღარებითი იმუნიტეტის მქონე მცენარისაგან. ტერმინი შე დარებითი იმუნიტეტი ანუ შეღარებითი გამძლეობა ისეთ შემთხვევაში იხმარება, როდესაც მცენარე ავადდება მეტ-ნაკლები სიძლიერით, სუსტი ან უმნიშვნელო დაავადებიდან მოყოლებული და გათავებული ძლიერი დაავადებით. მცენარის ავადმყოფური მდგომარეობის სიძლიერის, ანუ ხარისხის, ალსანიშნავად ხმარობენ ტერმინებს: ძლიერ გამალე (როდესაც მცენარე სუსტად ან უმნიშვნელოდ ავადდება), შემდეგ მოსდევს დაავადების ხარისხის შესაბამისად საშუალოდ გამალებით და მიმდევად გამალების ხარისხის სიძლიერების მიმართ იყენებენ, რომელიც ადვილად ავადდება და ავადმყოფობის გავლენით ძლიერ ზიანლება ან იღუპება კიდევ.

დაავადების სიძლიერის გრადაციის გამოსახვისათვის სხვადასხვა ხერხს მიმართავენ. უმეტეს შემთხვევაში გამოყენებულია მცენარის დაავადების სიძლიერის სათანადო ბალით გამოხატვა, რასაც რომაული ციფრებით აღნიშნავენ. მაგალითად, 0, 1, II, III, IV, V და სხვ. რიცხვის თანადათანობითი ზრდა შეეფარდება ავადმყოფობის გამოშულების ხარისხის სიძლიერეს, რაც მეტია რიცხვი, მით მეტადაა მცენარეზე ავადმყოფობა მოდებული.

მოგვყავს თითოეული რიცხვის მნიშვნელობები: 0-ით (ნულით) აღინიშნება აბსოლუტური იმუნიტეტის მქონე, ე. ი. სავსებით ავადმყოფობაშეუგალი მცენარე. ეს იმას ნიშნავს, რომ მცენარე ავადმყოფობის გამომწვევ პათოგენურ ორგანიზმებს სავსებით უძლებს და არ ავადდება.

I-ით (ერთით) იმდეგნად სუსტად ან მცირედ დაავადებული მცენარე აღინიშნება, რომელსაც ავადმყოფობის უარყოფითი გავლენა არ ემჩნევა. ასეთ მცენარეებს მაღალი გამძლეობის მქონეს უწოდებენ.



სურ. 98. ხორბლის ფოთლების ყვითელი უანგათი (*Puccinia striiformis*) დაავადების სხვადასხვა ხარისხი %-%-ში. ზავი ხაზები უანგას მეჭეჭების მწერივებია.

II-ით (ორით) სუსტად დაავადებული მცენარე აღინიშნება. ზომიერი გამძლე.

III-ით (სამი) აღინიშნება მცენარე, რომელიც საშუალოდაა დაავადებული და ზარალს იძლევა.

IV-ით (ოთხი) — საშუალოზე ძლიერი დაზიანების მაჩვენებელია. ხოლო V-ით (ხუთი) ძლიერ დაავადებული მცენარე აღინიშნება. ასეთი მცენარე დიდ დანაკრებებს იძლევა.

დაავადების ხარისხის აღსანიშნავად მხოლოდ ხუთბალიანი სისტემა არაა მიღებული. შეიძლება სამბალიანი და ათბალიანი სისტემებიც იქნეს გამოყენებული. ეს დამოკიდებულია მცენარის ავაღმყოფობაზე, მის ხასიათზე და მკვლევარის არჩევნზე.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ტერმინს „ავაღმყოფობის ამ-ტანობას“. ამ შემთხვევაში ისეთი მოვლენაა ნაგულისხმევი, როდესაც მცენარე, მართალია, საშუალოდ ან მნიშვნელოვნადაა დაავადებული, მაგრამ ავაღმყოფობა მცენარის მოსავლიანობაზე თუ პროლუქტიულობაზე შესამჩნევ გავლენას არ ახდენს. მცენარე აღვილად იტანს ავაღმყოფო-

ბას. უკანასკნელი დამყარებულია მკვებავი მცენარის ანატომიურ და ფიზიოლოგიურ თვისებებზე, კვების კარგ პირობებზე და სხვ.

დაავადებისგან თ ა ვ დ ა ღ წ ე ვ ა ანუ ა ც დ ე ნ ა (ускољвание) მცენარეებში ხშირია. ამ შემთხვევაში მისი დაუავადებლობა მცენარის უშუალო გამძლეობასთან კი არ არის დაკავშირებული, არამედ იმ გარემო პირობებზეა დამოკიდებული, რომელშიაც მცენარეს ზრდა-განვითარება უხდება. აქ ისეთი მოვლენაა ნაგულისხმევი, როდესაც მცენარის განვითარება იმდენად სწრაფად მიმდინარეობს, მცენარის დაავადების თვალსზრისით სახითაო ფაზას იმდენად სწრაფად გაივლის, რომ პათოგენური ორგანიზმი ვერ ასწრებს მასზე დასახლებას და მცენარე ვადმყოფობას თავს აღწევს. მაგალითად, შეიძლება დაფასახელოთ გუდაფშუტოვანი სოკოვები, რომელთა უმრავლესობა მცენარეს ლივის ფაზაში ავადებს. ბუნებრივია, რომ, რაც უფრო მოკლეა ლივის ფაზის პერიოდი, მცენარე ადვილად შეიძლება გადაურჩის დაავადებას; თუკი თესლის გალივების პერიოდი გაგრძელდა, დაავადების შესაძლებლობა მეტია.

პურეული მცენარეებისაგან ხორბალი და ქერი ე. წ. მტვრიანა გუდაფშუტებით (*Ustilago tritici*) ხორბალი და *Ustilago puda*-თი ქერი ავადდებიან. ქორივე მცენარის დაავადება ყვავილობის ფაზაში ხდება. მცენარეში ინფექციის შეჭრა ნასკვის კედლებიდან ან ბუტკოდან ხდება მხოლოდ ჰაერიდან მოხვედრილი პათოგენის სპორებით. საკმარისია მცენარემ დაიყვავილოს, რომ პათოგენმა მცენარე ვეღარ დაავადოს. რაც უფრო მოკლეა ყვავილობის პერიოდი, მცენარის დაავადება მტვრიანა გუდაფშუტათი მით უფრო ნაკლებია. სველი მტვრიანა გუდაფშუტით დაავადების აცილება დამოკიდებულია როგორც მკვებავი მცენარისა და პათოგენური ორგანიზმის თავისებურებებზე, ისე ამინდზე, რომელიც დაავადების პერიოდში დგას.

აცვნარის იაზინთების გუდება ანუ არსი

მცენარეთა იმუნიტეტი თავისი წარმოშობით, ანუ გენეზისით, ორგვარია: ბუნებრივი და სეროვანული, ანუ შეძენილი.

ბუნებრივი იმუნიტეტი და გამძლეობა მცენარეს გამომუშავებული აქვს ისტორიულად თავისი ევოლუციური გზის განმავლობაში. აღნიშნული თვისება მას მუდმივად აქვს შეძენილი და მისი გამრავლების დროს შთამომავლობას გადაეცემა. ამის გამო მას შეძენილი და მისი მემკვიდრეობითია, ზოგიერთ შემთხვევაში, გარემო პირობების გავლენით, მცენარის გამძლეობამ შესაძლებელია მეტ-ნაკლები ცვალებადობა განიცადოს.

შეძენილი ანუ ხელოვნური ამუნიტეტი, უმთავრესად, ცხოველებშია გავრცელებული მაგ. აცრა. ასეთი გამძლეობა ღროებითია და თაობიდან თაობაზე არ გადადის მემკვიდრეობით.

მიუხედავად ამისა, შეძენილი იმუნიტეტისა და საზოგადოდ მცენარის გამძლეობის გაზრდის საკითხების შესწავლას ამჟამად დიდი ყურადღება ექცევა და ბევრი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების შესწავლის საგანს წარმოადგენს.

შეძენილი იმუნიტეტის გამომუშავების გზები და მეთოდები სხვადასხვაა.

შეძენილი ანუ ხელოვნური იმუნიტეტი აქამდე თუ მარტო ცხოველებში იყო გავრცელებული აცრის სახით, ამჟამად დიდი ყურადღება ექცევა მცენარეებში მისი გამოყენების შესაძლებლობას. სამწუხაროდ ეს საკითხი ჯერ კიდევ იმდენად არაა. შესწავლისას, რომ წარმოებაში ფართოდ იქნეს გამოყენებული. ამას თავისი გასასამართლებელი მიზეზები აქვს. ცხოველური ორგანიზმი სისხლის მიმღებების სისტემით მკეთრად განსხვავდება მცენარეული ორგანიზმისაგან. ცხოველური ორგანიზმის სისხლში შეყვანილი ავადმყოფობის საწინააღმდეგო შრატი, სისხლთან ერთად მთელ სხეულს უფლის და სათანადო გავლენას ახდენს ორგანიზმის უჯრედებზე. ბრძოლის ასეთ ხერხს ვა კი ინაციას უწოდებენ. ამ უკანასკნელის არსი იმაში მდგომარეობს, რომ, როდესაც ავადმყოფობის საწყისი იჭრება მკედებავი ორგანიზმის სხეულში, თავისი ცხოველმყოფელობის შედეგად დაავადებული ორგანიზმის სხეულში წარმოიშობა ე. წ. ა ნ ტ ი გ ე ნ ი, ანუ ისეთი ნივთიერებები, რომლებიც დაავადებულ ორგანიზმებს სპეციფიკურ მოქმედებას იწვევენ. უკანასკნელი, თავის მხრივ, ანტიგენის საწინააღმდეგო ნივთიერებებს ე. წ. ა ნ ტ ი ს ხ ე უ ლ ე ბ ს გამოყოფენ, რომლებიც ანტიგენთან რეაქციაში შედიან და სპონს ანტიგენის პათოგენურ თვისებებს, რითაც პატრონი ორგანიზმი ავადმყოფობისაგან აჩება.

ანტიგენებისა და ანტისხეულების ურთიერთმოქმედება სამი სახისაა: ა გ ლ უ ტ ი ნ ა ც ი უ რ ი ს ა, პ რ ე ც ი პ ი ტ ა ც ი უ რ ი ს ა და / ლ ი ზ ი ს უ რ ი ს ა.

აგლუტინაციას უწოდებენ ისეთ რეაქციას, როდესაც დაავადებული ორგანიზმიდან მიღებულ გამონაწურის მღვრიე წვეთს მიუმატებენ სპეციალურად დამზადებულ შრატს. დაავადებული ორგანიზმის წვენის წვეთში შრატის მიმატების შედეგად, მასში არსებული მიკრობები და სისხლის ფორმულის ელემენტები (წითელი, თეთრი ბურთულები და სხვ.) ერთმანეთს ეკვრიან, რის ვამო წვენში წარმოიქმნება წვრილი, ნაფლეთების სახის მქონე ნაწილაკები, რომლებიც ძირზე ილექტიან. იმ ნივთიერებას, რომელიც აგლუტინაციას იწვევს, ა გ ლ უ ტ ი ნ ი ნ ი ეწოდება. აღნიშნული მეთოდი, მცენარეთა დაცვაში გამოიყენება ვირუსულ ავადმყოფობათა დიაგნოსტიკაში.

პრეციპიტაცია იმით განსხვავდება აგლუტინაციისაგან, რომ მიკრობების ანტიგენური ხსნარი და შესაფერისი შრატი ორივე დასაწყისში

გამჭვირვალეა, ხოლო, როდესაც მათ ერთმანეთში შეუჩევთ, ნაზავი იმღვრევა.

ლიზისური მოქმედება ისეთი მოვლენაა, როდესაც პათოგენური ორგანიზმის სხეულში შეყვანილი შრატი მიკრობების გახსნას, ანუ დაშლას იწვევს. იმ მოვლენას, როდესაც ბაქტერიებით დაავადებული ორგანიზმების მიერ გამოყოფილი ანტისხეულები, ბაქტერიების სხეულს შლიან ანუ ხსნიან — ბა ქტერიოლიზმის უწოდებენ.

ლიზისური მოვლენები შემჩნეულია ვირუსებისა და რიკეციების შემთხვევაშიც.

ვაქცინაცია გამოიყენება არა მარტო იმ მიზნით, რომ ორგანიზმებს ავადმყოფობის მიმართ გამძლეობა გამოუმუშავდეთ, არამედ ზოგიერთი ავადმყოფობის დიაგნოსტიკისთვისაც. მაგალითად, კარტოფილის სარგავი მასალის ვირუსული ავადმყოფობის დასადგენად (დუნინის წვეთური მეთოდი).

მცენარეთა ვაქცინაცია, გამოყენების ეთოდის მხრივ, მნიშვნელოვნად განსხვავდება ცხოველთა ვაქცინაციისაგან. უკანასკნელ შემთხვევაში უმთავრესად აცრაა გამოყენებული. მცენარეთა ვაქცინაცია კი ტარდება თესლის დამუშავებით, ახალგაზრდა ქსოვილების შესხურებით და სხვ.

სავაჭინაციო შრატი მიიღება პათოგენის დასუსტებული ან გადაბერებული კულტურისგან, რომლებიც დახოცილია მაღალი ან დაბალი ტემპერატურის მოქმედებით. შრატად შეიძლება გამოვიყენოთ აგრეთვე პათოგენის კულტურულური სითხეც.

ცოცხალი ორგანიზმების გამძლეობის მიღება შესაძლებელია ბუნებრივადაც მოხდეს, მეტადრე ცხოველებში, ადამიანებში, მაშინ, როდესაც იგი ავადდება ინფექციური ავადმყოფობებით, მაგალითად, ქუნთრუშით, წითელათი, ყვავილით, ყბაყურით, ციმბირის წყლულით და სხვ. ამ „სახადი ავადმყოფობით“ ერთხელ დაავადებული და შემდეგ განკურნებული. ორგანიზმი ხელმეორედ ან სრულებით არ ავადდება, ან მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ შეიძლება დაავადდეს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ავადმყოფობამოხდილი ორგანიზმის განმეორებით დაავადებისას ავადმყოფობა ყოველთვის ადგილ ფორმებში მიმდინარეობს.

ასეთი „სახადი ავადმყოფობაზი“ უკანასკნელ ხანებში მცენარეთა ორგანიზმებშიცაა შემჩნეული, თუმცა იშვიათად.

შეძენილი იმუნიტეტის ერთ-ერთი ფორმაა ე. წ. ქიმიური იმუნიზაცია აცია. ამ შემთხვევაში იგულისხმება მცენარის სხეულში, ასეთი ქიმიური ნივთიერების შეყვანა, რომელიც მცენარის სხეულში მიმღინარე ნივთიერებათა ცვლაში მონაწილეობს და იწვევს მის გამძლეობას ამა თუ იმ ავადმყოფობათა მიმართ. მაგალითად, სასუქებისა და მიკროელემნტების გამოყენება. სასუქების გავლენა მცენარის საერთო განვითარებაზე ყველასათვის ცხადია. იგი დადებითად მოქმედებს მცე-

ნარის არა მარტო ზრდაზე, არამედ აძლიერებს მის გამძლეობას ინფექციურ ავადმყოფობათა მიმართ. მრავალმა მკვლევარმა ღაამტკიცა K-ს. როლი მცენარის გამძლეობასთან დაკავშირებით. იგი, მაგალითად, ხორბლოვანთა უანგების მიმართ მცუნარის გამძლეობას ადიდებს; მისი დადებითი გავლენა არა მარტო საველე პირობებშია აღნიშნული, არამედ მცენარეული პროცესების საწყობებში შენახვის შემთხვევებშიც ვლინდება, მაგალითად, ჭარხლის ძირხევენების გამძლეობა ნაცრისფერი სიდამპლის მიმართ კალიუმის მარილების გამოყენების შემთხვევაში მატულობს. კალიუმი იწვევს მცენარეში ფერმენტების (კატალაზა, პეროქსიდაზა) მოქმედების გაძლიერებას, უანგვითი პროცესების გაძლიერებას, პროტოპლაზმის სიბლანტის გადიდებას და, რასაც უკანასკნელ ხანებში დიდ მნიშვნელობას აინიჭებენ, ამცირებს ორგანულ ნივთიერებათა დაშლის პროცესს. ასეთივე კალიუმის გავლენა მრავალწლიან კულტურებზედაც.

დიდი ხანია ცნობილია ორგანული თუ მინერალური აზოტის (N) როლი მცენარის ზრდა-განვითარების საქმეში. ამითაა გამოწვეული მისი ფართო გამოყენება სოფლის მეურნეობის მცენარეთათვის ნიადაგის გაპატივების საქმეში. ჭარბი აზოტი ამცირებს მცენარეთა გამძლეობას ავადმყოფობათა მიმართ. მცენარის სავეგეტაციო პერიოდი გრძელდება და დაავადებისა და ყინვებისაგან დაზიანების მეტი შესაძლებლობა იქმნება. მაგრამ თუ კი აზოტს ფოსფორორგანულ სასუქებთან ერთად შედარებით ადრე გამოვიყენებთ, მაშინ პირიქით ხდება — მცენარის გამძლეობა მატულობს.

გამორკვეულია, რომ ციტრუსოვანი მცენარეების, კერძოდ, ლიმონის „ახალქართულის“ კვებისათვის, როდესაც რკინის შაბიამნის ძალას ($\text{FeSO}_4 \cdot 7\text{H}_2\text{O}$) იყენებენ, იგი არა მარტო გამძლეობას მატებს მცენარეს ლიმონების ხმელას მიმართ, არამედ მკვებავ მცენარეში ისეთ ანატომიურ მორფოლოგიურ და ფიზიოლოგიურ ცვლილებებს იწვევს, რომლებიც საერთოდ ახასიათებს ხმელას გამძლე ჯიშებს (კიკაჩეიშვილი).

მცენარეთა გამძლეობის გადიდების საქმეში უკანასკნელ ხანებში დიდი ყურადღება ექცევა ბორის, მანგანუმის, კობალტის, სპილენდის თუთიას და სხვა მიკროელემენტების გამოყენებას. ამ მოვლენის კლასიკური მაგალითია უკრაინელი ფოტოპათოლოგის სტრახვის გამოკვლევები ხორბლის გუდაფშუტებზე მიკროელემენტების გავლენის შესახებ. გამოირკვა, რომ მიკროელემენტები, გარდა იმისა, რომ მცენარის საერთო განვითარებაზე მოქმედებენ დადებითად, მათ სხეულში მყოფი პარაზიტული ორგანიზმების მიცელიუმის დეგრადაციას იწვევენ, რის შედეგადაც მცენარე ავადმყოფობისაგან იკურნება.

გორლენკოს მიხედვით მიკროელემენტების დადებითი მოქმედება მცენარეებზე და უარყოფითი — მათ პარაზიტებზე ასე განისაზღვრება:

1. მცენარის სხეულში კვების პირობები პარაზიტიზმის საწინააღმდეგოდ იცვლება.

2. დამუანგველი ფერმენტების აქტივობა დიდდება და საბოლოოდ პარაზიტსა და მკვებავ მცენარეს შორის არსებული წივთიერებათა ცვლა ირღვევა პარაზიტის საწინააღმდეგოდ.

შეძენილი იმუნიტეტის გაძლიერების საქმეში, გარდა სასუქებისა და მიკროელემენტებისა სხვა აგრძოტექნიკური ხასიათის ღონისძიებებსაც აქვს მნიშვნელობა, მაგალითად, გასხვლის წესებს. ლიმონის ხმელა (მალსეკო), უმთავრესად, ძლიერ მოზარდ ხეებზე გვხვდება, რომელთაც მაღალი ვარჯი აქვთ. ისეთი მცენარეები, რომლებსაც ნახევარსფეროსებრი და თანაბრად განვითარებული ვარჯი აქვთ — ნაკლებად ავადდებიან. ამის გამო ხის ვარჯის ფორმირებას თავიდანვე უნდა მიექცეს ყურადღება. ნახევარსფეროსებრი ვარჯის მიღება ხმელას მიმართ მცენარის გამძლეობის გაღიღებას იწვევს.

ქიმიური იმუნიზაციის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ მცენარეთა ტოქსიკოგიანობის გამოიყენება მწუწნავი მავნებლების საწინააღმდეგოდ. ამჟამად ფართოდაა გამოიყენებული ე. წ. სისტემური ფუნქციები. ამ შხამებით ტარდება თესლის წინასწარი დამუშავება, მცენარის გარეგანი შესხეურება ან მცენარის ფესვიდან კვება. ამ გზით შხამი მცენარის სხეულში იჭრება, მის წვენშია მოთავსებული. იგი მცენარეზე არ მოქმედებს. როდესაც მავნებელი იკვებება ასეთი მცენარის წვენით, იღუპება. სისტემური შხამები მცენარის ავადმყოფობათა საწინააღმდეგოდ ჯერ კიდევ არაა გამონახული. იგი ეხლა იკიდებს ფეხს მაგ. ბენომიცი სისტემური ფუნგული.

მცენარეებში „სახად ავადმყოფობათა“ ტიპის მოვლენები, ჯერ კიდევ აღრე შეამჩნიეს მკვლევარებმა (კარბონე, არანუტი, ვავილოვი და სხვ.). მაგალითად, გერანი ბაქტერიული კიბოთი (*Bacterium tumefaciens*-ით) პირველად დაავადებისას უფრო ძლიერ დაზიანდა, კიდრე მეორედ დაავადების დროს (კარბონე). ასეთივე მოვლენა იყო შემჩნეული ბერნარის მიერ ორქიდებზე, როდესაც პირველად ნაკლებ პათოგენური რასით დაავადებისას მცენარე მიმღები აღმოჩნდა. *Botritis cinerea*-ის მიმართ, ხოლო ამავე სოკოს ძლიერი რასით მეორედ დაავადებისას მან მეტი გამძლეობა გამოამუღანა.

მიუხედავად ასეთი შედეგებისა საკითხი ჯერ კიდევ შესწავლას მოითხოვს. ეს ფაქტორი მცენარეთა დაცვის პრაქტიკაში ჯერ კიდევ არ არის გამოიყენებული.

ავადმყოფობის მიმართ მცენარის გამძლეობის გაძლიერება, ძირითადად, კვების რეზიმის შეცვლასთანაა დაკავშირებული. სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა ავადმყოფობები ბევრ შემთხვევაში მეორეული

ხასიათისაა, ე. ი. მცენარე მაშინ ავადდება, როდესაც იგი სხვადასხვა მიზეზის გამო ავადმყოფობის მიმართ წინასწარგანწყობილია, განკითა- რებისათვის ნორმალური პირობები არა აქვს.

პუნქტუაციი იმუნიტეტი და გამძლეობა მცენარეები

მცენარეებში ბუნებრივი იმუნიტეტი და გამძლეობა სხვადასხვა სო- კვან, ბაქტერიულ-თესლოვანი პარაზიტებისა და ვირუსოვან ავადმყო- ფობათა მიმართ ფართოდაა გავრცელებული. იგი მცენარის ორგანიზმის ბუნებასთან მტკიცელაა დაკავშირებული და გამომუშავებულია მისი ევო- ლუციის განვითარების პერიოდში. რამდენადაც იმუნიტეტის მოვლენა ორი ორგანიზმის — მკვებავი მცენარისა და პარაზიტის — ურთიერთ- დამკიდებულებაზეა დამყარებული, ბუნებრივია, რომ ამ მოვლენის გასაგებად მათი ბიოლოგიური, ფიზიოლოგიური, მორფოლოგიური და ანატომიური თვისებების ცოდნას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმ გარემო პირობების გავლენას, რომელშიაც მცენარესა. და მის პარაზიტს უხდებათ განვითარება. ასე, რომ ბუნებრივი იმუნიტეტის შესწავლისას მხედველობის ცენტრში უნდა იყოს მკვებავი მცენარე + პარაზიტი + გარემო.

ბუნებრივი იმუნიტეტის არსი და მისი გამომწყვევი მიზეზები მრავალ- ნაირია. აკადემიკოსი ვაკილოვ ბუნებრივი იმუნიტეტის მოვლენებს შემდეგ ჯგუფად ანაზილებს:

1. პირველ ჯგუფში შედის ბუნებრივი იმუნიტეტისა და გამძლეობის ისეთი მოვლენები, რომლებიც უნდა აიხსნას პარაზიტული სოკოე - ის სპეციალიზაციით. მკვებავ მცენარეთა ცალკე ოჯახე- ბის, გვარების, სახეობათა მიხედვით. თუ პარაზიტი ორგანიზმი პოლი- ფაგია და მრავალი ისეთი მცენარის დაავადებას იწვევს, რომლებიც ერთი ბოტანიკური ოჯახის ფარგლებში შედიან, ხოლო სხვა ოჯახის წარმომად- გენლებს არ აავადებს, ამას თან ახლ იგი მუნიტეტის უწყ- დებენ. თუ მარტო ერთ ბოტანიკურ გვარში შემავალ მცენარეებს აავა- დებს — ამას გვართ რიგი იმუნიტეტი ჰქვია. ასევე შეიძლება სახეობაზე იმუნიტეტი არსებობდეს.

პუნქტუაციი იმუნიტეტის ფარმარაგის სამიზანობია.

სამიზანობია ფორმები, ფიზიოლოგიური რაოდენობის

XX საუკუნის პირველ ნახევარში, სოკოორგანიზმების ბიოლოგიური თვისებების შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ბევრი მათგანი, მეტადრე ობლიგატურ პარაზიტებში, მკვებავი მცენარეების მიმართ ვიწრო სპე- ციალიზაციას ამჟღავნებს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ისინი მკვებავ მცენარეთა ვიწრო წრეს აავადებენ, ე. ი. ბოტანიკურად ერთ ან ორ სხვა-

დასხვა ჯიშებს. პირველ შემთხვევაში, როდესაც ავადმყოფობა გვარის ფარგლებში აუვადებს მცენარეთა სახეობებს, ვიღებთ ე. წ. ს პ ე ც ი ა-ლ ი ზ ე ბ უ ლ ფორმებს, ხოლო, თუ დაავადება მცენარის სახეობაში შემავალი ჯიშებით განისაზღვრება — ფ ი ზ ი ო ლ თ გ ძ უ რ რასებს.

ობლიგატურ პარაზიტ სოკოებში სპეციალიზაციის არსებობის საუკეთესო მაგალითია ბუნებაში საკმაოდ გაფრცელებული ხორბლოვანი მცენარეების იყადმყოფობის — ღეროს მურა უანგას გამომწვევი — *Puccinia graminis*-ი. აღნიშნული სოკოთი გამოწვეული ავადმყოფობა ფართოდაა მოდებული ხორბლოვან მცენარეთა როგორც კულტურულ, ისე ველურ წარმომადგენელთა შორის. ეს ავადმყოფობა — სოკოს ერთი სახეობითაა გამოწვეული. სხვადასხვა მცენარეებზე გავრცელებული ღეროს უანგა გარეგნული და მორფოლოგიური ნიშნებით ერთმანეთია — საგან უმნიშვნელოდ განსხვავდებიან, ზოგ შემთხვევაში სავსებით მსგავსი არიან. მიუხედავად ასეთი მსგავსებისა, მათ შორის ფიზიოლოგიური განსხვავება აღმოჩნდა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ავადებს მხოლოდ ერთ გვარში ან სახეობაში შემავალ მცენარეს, ხოლო მეორე გვარის ან სახეობის წარმომადგენელს არ ავადებს. დაწვრილებით შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ ზოგიერთი მათგანი ბიოლოგიური თვისებებით ცოტაოდენ განსხვავებას იძლევიან, მაგალითად, პათოგენობის სიძლიერის მხრივ, სპორების აგებულების მხრივ და სხვ.

ასეთი ტაქსონომიური ერთეულები სოკოპარაზიტებში ს პ ე ც ი ა-ლ ი ზ ე ბ უ ლ ფ ი რ მ ე ბ ა დ ითვლებიან. *

ხორბლეულ-თავთავიან მცენარეებში ობლიგატური პარაზიტების სპეციალიზებული ფორმების გამოვლენა როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ, კარგა ხანია მკვლევართა ყურადღებას იქცევს. ამჟამად დადგენილია, რომ *P. graminis*-ს სახეობის ფარგლებში 6 სპეციალიზებული ფორმა არსებობს (ე. სტეკმენი და ქ. პარაზი — 1959 წ.).

1. *Puccinia graminis* f. *tritici* აავადებს უმთავრესად ხორბალს, ქერს და ველურ ფორმებს.
2. *P. graminis* f. *secalis* ჭვავს, ქერს, ველურ ფორმებს.
3. *P. graminis* f. *avenae* — შვრის და ზოგიერთ ველურ მცენარეს.
4. *P. graminis* f. *Phlei*—*pratensae* ტიმოთელს.
5. *P. graminis* f. *agrostidis*-ის ანუ ნამკრეფია სხვადასხვა სახეობებს.
6. *P. graminis* f. *poaee*-თვაქარსას

ერთი სახეობის (*P. graminis*-ის) ფარგლებში შემავალი ექვსი სპეციალიზებული ფორმის არსებობა, რომლებიც მრავალ ხორბლეულ მცენარეებს აავადებენ, იმის მაჩვენებელია, რომ *P. graminis*-ის სახით ჩვენ ვგქონია კრებული ან კომპლექსური სახეობა, რომელშიც უფრო წვრილი ტაქსონომიური ერთეულები (სპეციალიზებული ფორმები) შედის:

შემდგომი გამოკვლევებით დადასტურდა, რომ *P. graminis*-ის სპეციალიზებული ფორმები უფრო წვრილი ერთეულებისგანაა შემდგარი, კერძოდ, ფიზიოლოგიური რასების აგან, რომელთა მკვებავ მცენარეთა სპეციალიზაცია უფრო ვიწრო ფარგლებით ისაზღვრება. ესენი გვარში შემავალ ცალკე სახეობებს კი არ აავადებენ, არამედ მხოლოდ ერთ სახეობაში შემავალ ცალკე ჯიშებს. დაავადება ერთი ჯიშიდან მეორეზე არ გადადის. სპეციალიზებულ ფორმებში შემავალი ფიზიოლოგიური რასები ერთმანეთისაგან მორფოლოგიურად არ განსხვავდებიან; უფრო ზუსტად — განსხვავება არ შეიმჩნევა. მათი განსაზღვრისათვის და ცალკე რასების დადგენისათვის მიღებულია მკვებავი მცენარისადმი მათი პათოგენობის ხარისხის მაჩვენებლები. ამის დადგენა კი ხდება მხოლოდ ექსპერიმენტული გზით, კერძოდ, ხორბლოვანთა ზოგიერთი ჯიშის ე. წ. დიფერენციალური დაავადებით. მაგალითად; ხორბლოვანთა ლეროს მურა უანგას ფიზიოლოგიური რასების დადგენისათვის დიფერენციატორებად გამოყენებულია ხორბლის შემდეგი ჯიშები:

1. ლიტლ-კლაბი, ქონდარა ხორბალი — *Triticum compactum*
2. მარკიზ — C—1—3641
3. რელაინჯ C.1—7370³ რბილი ხორბლები *Triticum vulgare*
4. კოტა C—1—58783
5. ენკორნ C—1—2433 ზანდური *Triticum monococcum*
6. არნაუტეა C—1—1493
7. მინდურ C—1—5296
8. სპელმარ C—1—6236 თავოუხი *Triticum durum*
9. კუბანეა C—1—2094
10. აქმე C—1—5284
11. გერნალ C—1—36.86 ასლი *Triticum dicoccum*
12. კაპლი C—1—4013

იმისდა მოხედვით, თუ *Puccinia graminis* ეციდიოს პორებით ან ურეოს პორებით დიფერენციატორი ხელოვნური დაავადების დროს ავადყოფობა საცდელ მცენარეზე რამდენად ძლიერ გამოვლინდება ან მცენარე როგორ გამძლეობას გამოამჟღავნებს, გამძლეობის ცალკეულ ტიპებს გამოყოფენ. ასეთი ტიპები აღინიშნება არაბული ციფრებით და შემდეგია:

0 — ი მ უ ნ უ რ ი — დაავადებულ მცენარეზე სოკოს ნაყოფიანობის მეჭეჭები არ ვითარდება. ლაქები მეტად წვრილია.

1 — მ ე ტ ა დ გ ა მ ძ ლ ე — სოკოს ნაყოფიანობა (მეჭეჭები) მეტად წვრილია და მკვდარი უჯრედების არშიითაა შემოვლებული.

2 — ზომიერად გამძლე — მეჭეჭები სხვადასხვა ზომისაა (წვრილიან მსხვილამდე) და განვითარებულია მომწვანო წვრილ ლაქებზე, რომლებიც ქლოროტიული ან მკვდარი უჯრედებითაა შემოვლებული.

3 — ზომერად ბიძლებიანი — მეჭეჭები გაფახტულია, საშუალო ზომისა. იშვიათად ქლოროტიული არშია აქვს შემოვლებული.

4 — ძლიერ მიმღებიანი — მეჭეჭები მსხვილია, ერთმანეთზე შეერთებული შევდარი უჯრედები არა აქვს, თუმცა ცუდ პირობებში სუბსტრატი ყვიტოდება.

5 — ჰეტეროგენული — (შუალედი) — მეჭეჭები და ტიპის დამახასიათებელი ნიშნები ცვალებადია ან ერთმანეთიან შერეული.

ყველა ამ 6 ტიპის მაჩვენებელი — საცდელი მცენარის ლიფერენციატორის უანგას მიმართ გამძლეობის თუ მიმღებიანობის, ანუ რეაქციის, მაჩვენებელია. ამ მხრივ კი ყველა 6 ტიპს სამ ჯგუფად ანაწილებენ:

გამძლენი (R), რომლებშიაც შეღიან 0,1 და 2 ტიპის დაზიანებანი.

მიმღებიანი (S) 3,4

ჰეტეროგენული (M) 5

(სტექმენი და ჰარარი, 1959).

ფრჩხილებში მოთავსებული ლათინური ასოები მათი ლათინური სახელშოდების პირველ ბეგერებს გაღმოსცემენ.

ღეროს უანგას შემღვრმი გამოკვლევებით აღმოჩნდა, რომ მისი ფიზიოლოგიური რასები კიდევ უფრო წვრილ ერთეულებად, ე. წ. ბიოტი კებად ად იყოფა. რომლებიც ერთ სახეობაში შემავალ ცალკე ჯიშებზეა გავრცელებული. ბიოტიპებს შორის მორთოლოგიური განსხვავება არ შეიმჩნევა, ფიზიოლოგიური კი შესამჩნევია, ვინაიდან სხვადასხვა ჯიშს აავადებენ. ავადმყოფობა ერთი ჯიშიდან მეორეზე არ გადადის. განსხვავება მხოლოდ პათოგენობის სიძლიერებში გამოიხატება. ბიოტიპების წარმოქმნა დაკავშირებულია უსქესო სპორებიდან მიღებულ პოპულაციასთან.

ბუნებაში სოკოების და საერთოდ ობლიგატურ პარაზიტებში სპეციალიზებული ფორმების, ბიოლოგიური რასების და ბიოტიპების წარმოქმნა ყოველთვის ხდება. მათი წარმოქმნის პროცესი დამოკიდებულია პარაზიტებისა და მკვებავი მცენარეების ნაირსახეობაზე, ნივთიერებათა ცვლაზე და იმ გარემო ეკოლოგიურ პირობებზე, საღაც უხდებათ მათ განვითარება. მათ წარმოქმნას ბუნებაში ყოველთვის ყურადღება უნდა ექცევოდეს, ვინაიდან მტკიცედ არიან დაკავშირებული ხორბლეულთა ჯიშების გამძლებასთან ან არსებული ფორმების მიერ გამძლეობის დაკარგვასთან, ახალი ფორმების წარმოქმნასთან.

მართალია, სპეციალიზებული ფორმები, ფიზიოლოგიური რასები და ბიოტიპები ერთ კრებულ სახეობაში შედიან, მაგრამ მათი აღრიცხვა სათანალო ნიშნებით ხდება. მაგალითად, ავილოთ *Puccinimia graminis*-ი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მას რამდენიმე სპეციალიზებული ფორმა აქვს და ერთი მათგანი ხორბლის ფორმაა (*f. tritici*). ეს ფორმა მთლიანად აღინიშნება და მურა უანგას გამოწვევი თრგანიზმის სახელშოდებას

უნდა მიეწეროს. *Puccinia graminis* f. *tritici* თუ კი შემდგომი გამოვლენებით ამ სპეციალიზებულ ფორმაში ფიზიოლოგიური რასა აღმოჩნდა, მაშინ სპეციალიზებული ფორმის სახელწოდებას უნდა მიეწეროს. ე. ი. საცდელი ვარიანტის რიგითი ნომერი არაბული ციფრით (*P. graminis* f. *tritici*, 15) თუკი ბიოლოგიურ რასაში უფრო წვრილი ერთეულები — ბიოტიკები აღმოჩნდა, მაშინ სახელწოდებას არაბული ციფრის შემდეგ მოემატება ლათინური ასო, ან სხვ. მაგალითად, *P. graminis* f. *tritici* 15A.

რაც უფრო წვრილი სისტემატიკური ერთეულებისაკენ გადავდიგართ — სპეციალიზებული ფორმებიდან რასებისაკენ და ბიოტიკებისაკენ — მათ შორის მორფოლოგიური განსხვევება თანდათან ქრება და საბოლოოდ მარტო მათი პათოგენობის ხარისხს ეჭვევა ყურადღება, ე. ი. იმას, თუ რამდენად გამძლეა მკვებავი მცენარე პათოგენის მიმართ.

ფიზიოლოგიური რასების გამოვლენას უკანასკნელ ხანებში დიდი ყურადღება ეჭვევა. ასეთი კომპლექსური ანუ კრებული სახეობები მარტო სოკოებში კი არა, სხვა ჯგუფის ორგანიზმებშიც აღმოჩნდა, მაგალითად, ბაქტერიებში, ვირუსებში, თესლოვან პარაზიტებში. უკანასკნელის მაგალითად კელაპტარა (*Orobanche cumana*) შეიძლება დავასახელოთ. მზესუმზირაზე სარატოვის ოლქში სამი რასაა აღნიშნული. ერთი მათგანინ იმდენად ავტესიული აღმოჩნდა, რომ მზესუმზირას ნათესებს დიდი ზარალი მიაყენა. მკვლევარების წინაშე დაისვა საკითხი ამ აქტიური რასის საწინააღმდეგოდ მზესუმზირას გამდლე ჯიში გამოყვანათ და მიაღწიეს მიზანს („სარატოვული 169“). მზესუმზირას ძველი ჯიშის ახლით შეცვლით — გადაწყდა კელაპტარას საწინააღმდეგო ბრძოლის პრობლემა. ორი ათეული წლის გავლის შემდეგ ამ ახალმა ჯიშმა თანდათან დაკარგდა ლავისი გამდლეობა და დაიწყო კელაპტარათი მისი ძლიერი დაზიანება. შემდეგი გამოკვლევებით გამოიჩინა, რომ მზესუმზირას ეს ახალი დაავადება ძველმა ფიზიოლოგიურმა რასამ კი არ გამოიწვია, არამედ კელაპტარას მეორე სრულიად ახალმა უფრო იგრესიულმა რასამ. ასეთივე სპეციალიზებული ფორმებია აღნიშნული ფითრისა (*Viscum album*), საპროფიტული კვების სოკოებისა, მაგალითად საფუარები (*Sacharomycetales*-ებისა) და სხვ.

პარაზიტული სოკოების დაკავშირება ცალკეულ ჯიშებთან ანუ მათთვის შეგუება მკვებავ მცენარეებთან, კვების პირობებით უნდა აიხსნას. ცალკეულ სპეციალიზებულ სოკოს რასას ისეთი ფერმენტული სისტემა აქვს, რომელიც მისი მკვებავი მცენარის სხეულში შემავალ სპეციფიკურ ნივთიერებებს შლის და იყენებს. ასეთი ნივთიერებანი სხვა ჯიშის მცენარის სხეულში არ მოიპოვება და სოკოპარაზიტის ფერმენტული სისტემა უმომედო რჩება, იგი ვერ იკვებება, რის გამოც მცენარე არ ავადდება.

კრებულ სახეობებში შემავალი ბიოლოგიური რასების რიცხვი, მათთვის 302

პათოგენობა, გეოგრაფიული გავრცელება, ყოველთვის სხვადასხვაა: მაგალითად, ხორბლეულთა ღეროს უანგას გამომწვევი ორგანიზმის (*Puccinia graminis*) 150-ზე მეტი ცალკეული რასაა ცნობილი, *Puccinia triticina* — ხორბლის ფოთლის მურა უანგას 100-ზე მეტი რასაა დაღენილი, ლობიოს ანთრაქნოზის გამომწვევი ორგანიზმის — *Cleotrichum Lindemutianum*—35-ზე მეტი რასაა ცნობილი და სხვა.

ბუნებრივი იმუნიტეტის შესწავლისას, პარაზიტების სპეციალიზებული ფორმების ან ფიზიოლოგიური რასების შედგენილობის ცოდნა აუცილებელია, ვინაიდან ამა თუ იმ რაიონში მათი არსებობის თუ არ არსებობის მიხედვით მცენარის გამძლეობის საკითხი უნდა გადაწყდეს. თუ ადგილობრივ არ არსებობს ამა თუ იმ ჯიშის დამავადებელი შესაფერისი რასა, მცენარე გამძლედ ითვლება; მაგრამ თუ იგივე მცენარე მეორე ადგილზე გადავიტანეთ, სადაც მისი დამავადებელი რასა აღმოჩნდა, იგი ადგილად აფადდება. ამის მაგალითები პრაქტიკულ ცხოვრებაში ხშირია: მაგალითად, 1930—35 წწ საქართველოში გასავრცელებლად შემოტანილი ხორბალი „კონპერატორკა“ თავის სამშობლოში თუ ყვითელი უანგას მიმართ (*Puccinia glumarum*) გამძლედ ითვლებოდა, ჩვენში აღმოჩნდა მისი დამავადებელი, ყვითელი უანგას აგრესიული რასა და ჯიში იმდენად ძლიერ დაზიანდა, რომ თესლიც ვერ აიღეს.

პარაზიტების ბიოლოგიური სპეციალიზაციით წარმოქმნილი რასების შედგენილობა და ბუნება მეტად ცვალებადია, მუდმივად ერთი და იმავე თვისებების მქონე არაა; იგი, ერთი მხრივ, დამოკიდებულია გარემო პირობებზე და, მეორე მხრივ, მკვებავი მცენარის ბუნებაზე. ბუნებრივ პირობებში ორივე ორგანიზმის ცვალებადობას აქვს ადგილი, თაც სახეობათა წარმოქმნის პროცესებით უნდა აიხსნას. ბუნებაში ახალი სახეობები, ფორმები და რასები იქმნებიან, რასაც რასათა შედგენილობის ცვალებადობის საქმეში, პიბრიდიზაციის თუ სხვა გზით განსაზღვრულ გეოგრაფიულ პირობებში სათანადო ცვლალებების შეტანა შეუძლია.

ბუნებრივი იმუნიტეტის მეტად საინტერესო ფორმაა წ. ტ. ა ქ ტ ი-უ რ ი ი მ უ ნ ი ტ ე ტ ი, რ მ ე ლ ი ც დ კ ა ვ შ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ც ე ნ ა რ ე შ ი შ ე ჭ რ ი ლ ი პარაზიტის წინააღმდეგ — მკვებავი მცენარის აქტიური რეაქციების გამომუღავნებასთან. უკანასკნელი გარემოების გამო მცენარეში შეჭრილი პარაზიტი ვეღარ ვრცელდება მკვებავი მცენარის ქსოვილებში, რამდენადაც პარაზიტის მიერ გამოყოფილ ტოქსინებს, რომლითაც პარაზიტი გზას იყათავს მცენარის სხეულში, მცენარე უბასუხებს ანტიტოქსინების ანუ ანტისხეულების გამოყოფით, რითაც ტოქსინების მცენარეზე მოქმედებას აბათილებს, ან მათ გახსნას, ანუ ლიზისს იწვევს. ან კიდევ პარაზიტსა და მკვებავ მცენარეს შორის არსებულ ნივთიერებათა ცვლას არღვევს პარაზიტის საწინააღმდეგოდ. საბოლოოდ მცენარე ან ავალდება, ან იურნება.

აქტიური იმუნიტეტის მაგალითს ვხვდებით ობლიგატური პარაზიტებით მცენარეთა ინფექციის შემთხვევაში, როდესაც პარაზიტის წინაზრდილი შეიცრება ეპალერმისში და შემდეგ სვეტური ან ფაშარი პარენკიმის არეს მიაღწევს, ჰიფას შემხები მცენარის უჯრედები კვდება, რის შედეგადაც იგი მკვდარი უჯრედების გარემოცვაში აღმოჩნდება. ობლიგატი პარაზიტისათვის კი ცოცხალი უჯრედებია საჭირო, მკვდარში ვერ ვითარდება, ამიტომ წინაზრდილი იღუპება და მცენარე არ იყადდება; ან დაავადებული ორგანოების ზედაპირზე წვრილი ნეკროზული ლაქები ჩნდება. ასეთი შემთხვევები ხშირია ჟანგა-სოკოებით დაავადების დროს.

დაავადებული მცენარის ორგანოებზე, მეტადრე, ფოთლებზე, ნეკროზული ლაქების შექმნა მცენარის მიერ თავდაცვითი რეაქციების მაჩვენებელია. ამის საუკეთესო მაგალითაა კურკოვანთა ფოთლების დაცხავება, რაც გამოწვეულია *Clasterosporium carpophilum*-ს მიერ. აღნიშნული სოკოს საინფექციო საწყისი იჭრება მცენარის ფოთლის ქსოვილებში ბავების გზით. შეჭრილი წინაზრდილი იტოტება და ვრცელდება ფოთლის ქსოვილებში. სოკოს მიერ გამოყოფილი ტოქსინების მოქმედების შედეგად დაავადებული კერის ქსოვილები კვდება და ჩნდება ლაქები, რომლის გარშემოც ლაქის მოსაზღვრე ფოთლის სალი ქსოვილი მტკიცედ შეკრული უჯრედებისაგან დემარკაციულ ზოლსა ქმნის, რის გამოც მიცელიუმი ლაქის გარეთ ველარ ვრცელდება და ლოკალიზებული რჩება. შემდგომ ასეთი ლაქები კავშირს წყვეტს ფოთლის ძირითად სალ ქსოვილთან და გამოვარდება ან იშლება. საბოლოოდ ფოთოლი დაცხავებული რჩება. ყლორტების დაავადების დროსაც წვრილი ლაქები ვითარდება, რომლებიც მუქი არშით არიან გარშემოვლებული. ეს უკანასკნელი დემარკაციულ ზონად უნდა ჩაითვალოს, რაც მკვებავი მცენარის თავდაცვითი რეაქციის მაჩვენებელია.

ასეთსავე მოქმედებას ამჟღავნებს ციტრუსების სკების ანუ მეჭეჭიანობის გამომწვევი ორგანიზმით (*Sphaceloma Fawsettii*) ფოთლების დაავადება; ჭარხლის ცერკოსპოროზით (*Cercospora beticola*) ჭარხლის ფოთლების დაავადების შემთხვევებში.

მცენარის აქტიური თავდაცვითი რეაქციის მაჩვენებელია აგრეთვე მცენარეში შეჭრილიპარაზიტის მცენარის სხეულში გავრცელების საწინააღმდეგოდ განსაკუთრებული ბარიერების შექმნა ანუ თავდაცვითი რეაქციის გამომჟღავნება. ასეთი შემთხვევები მრავალია.

მცენარის აქტიური თავდაცვითი რეაქციაა ფ ა გ თ ც ი ტ თ ზ ი ს მოვლენაა მცენარეებში. ეს უკანასკნელი პირველად ი. მეჩნიკოვმა აღ-
304

მოაჩინა ცხოველურ ორგანიზმებში. სიტყვა ფაგოციტოზი ბერძნული წარმოშობისაა და ნიშანეს შემმუსვრელს, ე. ი. მომსპობს. მეჩინიკოვმა შეამჩნია, რომ ცხოველურ უჯრედებში მოხვედრილ მაგარ ნაწილაკებს ან ორგანული წარმოშობის საჭიისს ცხოველური ორგანიზმის უჯრე-დები იტაცებენ, და ინელებენ, რის შედეგადაც სხეული გარედან შეჭრი-ლი უცხო სხეულისაგან თავისუფლდება. ამ მოვლენას დიდი პრაქტი-კული მნიშვნელობა ჰქონდა იმუნიტეტის ბუნების შესწავლის საქ-მეში. შემდგომი გამოკვლევებით გამოირკვა, რომ აღნიშნული მოვლენა მცენარეულ ორგანიზმებშიც გვხვდება, თუმცა ისე ფართოდ არა, რო-გორც ცხოველებში. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ე. წ. მიკორი-ზების განვითარება ზოგიერთი მცენარის ფესვის წვერზე. მიკორიზების წარმოშობი სოკოები მკვებავი მცენარის ფესვის წვერის მოზარდ ნა-წილში იჭრებიან, ეკრ საწოვრებში, შემდეგ ეპიდერმისში და ბოლოს ქერქის პირვანდელი ქსოვილის უჯრედებში, რომლებიც გამოივსება პიფების ხლართებით. შემდეგში მათი განვითარება თანდათან ნელდება, ბოლოს ჩერდება, პიფები დეფორმირდება და მკვებავი მცენარის უჯრედის წვენის მოქმედებით მთლიანად იხსნება, ისპობა, მოინელება. აღსანიშ-ნავია ის გარემოება, რომ მკვებავი მცენარის ყველა უჯრედში არ ხდება ფაგოციტოზი. ასეთ აქტიურ ფაგოციტურ რეაქციას, უმთავრესად, გამდ-ლე ჯიშებს შორის ვხვდებით. ზოგიერთ შემთხვევებში პარაზიტული ორ-განიზმისა და მკვებავი მცენარის ურთიერთმოქმედება ხანგრძლივდება, იმის გამო, რომ მკვებავ მცენარესა და პარაზიტი შორის ბრძოლა უშე-დეგო. ვერც პარაზიტი აღწევს რაიმე შედეგებს და ვერც მკვებავი მცე-ნარის აქტიური მოქმედება სძლევს საბოლოოდ პარაზიტს.^{*} ასეთი გახანგრ-ძლივებული წონასწორობა სიმბიოზური თანაცხოვრების ფორმაა, თუმ-ცა საბოლოოდ ასეთი თანაცხოვრება მაინც ირღვევა, ცალმხრივი ხდება.

იმუნიტეტის ერთ-ერთი ფორმათაგანია ფ ი ზ ი ო ლ ო გ ი უ რ ი ი მ უ ნ ი ტ ე ტ ი . ფიზიოლოგიური იმუნიტეტი გამოწვეულია მკვება-ვი მცენარის სხეულში. შეჭრილი პარაზიტის განვითარებისათვის არახელ-საყრელი პირობების არსებობით, რის შედეგადაც პარაზიტი ვერ ვი-თარდება ან კიდევ იხსნება და საბოლოოდ იღუპება, ხოლო მცენარე გადარ-ჩება. აღნიშნული მოვლენა საკმაოდ დამაჯირებლად აქვს შესწავლილი ტ. ს ტ რ ა ხ ო ვ ს, რომელმაც თავისი გამოკვლევების საფუძველზე შექმნა თეორია მცენარეში ფიზიოლოგიური იმუნიტეტის მოქმედების მექანიზ-მის შესახებ. მანამ საკვლევ ობიექტიდ შეარჩია ხორბლეულ მცენარეთა ისე-თი ავადმყოფობები, როგორიცაა: გუდაფშუტები, ხორბლის მურა ჟანგა, ქერის ნაცარი. ზუსტად ჩატარებული ექსპერიმენტებით მან დაამტკიცა, რომ გამძლე მკვებავ მცენარეში შეჭრილი პარაზიტის სხეულის უჯრე-დების შიგთავსი დეგენერაციას განიცდის. მიცელიუმი იშლება, პარაზი-ტის უჯრედების გარსიც თანდათან იხსნება და ბოლოს მათი სრული ლიზი-

სი ხდება, რის შედეგადაც მკვებავი მცენარე ინფექციისაგან თავისუფლდება.

სტრახოვის აზრით, აღნიშნული მოვლენა შემჩნეულია მარტო ბუნებრივი გამძლეობის მქონე მცენარეებში. ეს თვისება შესაძლებელია ხელოვნურადაც შევძინოთ მცენარეებს ისეთი ღონისძიების ჩატარებით, როგორიცაა სასუქების შეტანა, მიკროლემენტების გამოყენება და სხვ.

პარაზიტისა და მკვებავ მცენარეთა ურთიერთმოქმედების ასეთი სურათი გამოწვეულია მათ მიერ გამოყოფილი ფერმენტული სისტემების ურთიერთმოქმედებითაც. ნივთიერებათა ცვლა და მის შედეგად წარმოქმნილი ნაერთები, მკვებავი მცენარის სასარგებლოდ წარიმართება.

მცენარის თავდაცვითი რეაქციის მაგალითია წებოს დენა, რომელიც პირველ რიგში დაავადებული ქსოვილის მოსაზღვრედ წარმოქმნება და ინფექციის შემდგომ განვითარებას აჩერებს. ამის საუკეთესო მაგალითია მეტყველებაში² ცნობილი ლეროზე გვერდითი ტოტების დასუსტება და შემდეგ ხმობა, რის გამოც ასეთი გამხმარი ტოტებისაგან ხე ბუნებრივად იწმინდება. ეს მოვლენა იმითაა გამოწვეული, რომ დამპალი ტოტების მიმაგრების ადგილთან ლეროს ხხრიდან წებოვამოყოფა, რომელიც მიცელიუმს მთავარ ლეროში არ უშვებს და საბოლოოდ დაზიანების საზღვარზე ჭრილობა ხორციელდა (გომანი). დაავადებულ მცენარეთა მიერ წებოს გამოყოფა ყოველთვის ინფექციის შეჩერების მიზნით არ ხდება, ზოგიერთ შემთხვევაში დაავადებულ მცენარეზე წებოს გამოყოფა პარაზიტის მცენარეზე მოქმედების შედეგია. ასეთებია, მაგალითად კურკვენთა წებოს დენა (*Leucostoma cincta*), ციტრუსების გომოზი (*Phytophthora citrophthora*), კორპის მუხის შავი ტირილი (*Phytophthora cinnamomi*) და სხვ.

ბუნებრივი იმუნიტეტის ერთ-ერთი სახეა მცენარეულ ორგანიზმებში აღმოჩენილი მქროლადი ნივთიერებები, რომლებიც ანტიმიკრობულ თვისებებს ამჟღავნებენ. ეს ნივთიერებები პირველად აღმოაჩინა საბჭოთა მკვლევარმა ბ. პ. ტოკინმა, რომელმაც მათ ფირნცი და გვა-ბი შეარქეა. ამ პრობლემის შესწავლას სხვა მკვლევარებმაც მიაქციეს ყურადღება. თუ პირველად მხოლოდ ხახვი და ნიორი შეისწავლებოდა, შემდგომ ამ თვალსაზრისით შესწავლილ მცენარეთა რიცხვი საკმაოდ გაიზარდა და იმდენი მასალა დაგროვდა, რომ ფიტონციდების გამოყოფის უნარი რომელიმე მცენარის სპეციფიკურ თვისებად კი არ ითვლება, არამედ ზოგადი ბიოლოგიური მოვლენაა და მცენარეულობის ყველა წარმომადგენლისთვის დამახასიათებელია. გარდა მქროლადი ფიტონციდებისა უჯრედის წვენში აღმოჩნდა არამქროლადი ფიტონციდური ნივთიერებები. ფიტონციდების გამოყოფა დამახასიათებელია არა მარტო უმაღლესი მცენარეებისათვის, არამედ უმდაბლესებისათვისაც — ამის სოკოების, საფუარი სოკოების, ბაქტერიებისა და სხვათათვის.

ფიტოცინდების ანტიმიკრობული მოქმედების მექანიზმი იმაში მდგომარეობს, რომ მცენარეული ორგანიზმის ზედაპირზე მოხველრილი ან კიდევ ქსოვილში შეჭრილი საპროფიტული ან პათოგენური ბაქტერიული და სოკოვანი ორგანიზმები, ფიტოცინდების მოქმედებით იხსნება, იშლება, რასაც მცენარის გაჯანსაღება მოსდევს, ე. ი. ფიტოცინდები მცენარის ავტოსტერილიზაციას იწვევს. მიუხედავად ამისა ფიტოცინდები მცენარეულ ორგანიზმებში მარტო თავდაცვითს ფუნქციებს კი არ ასრულებენ, არამედ სხვა ბიოლოგიურ თუ ბიოქიმიურ გარდაქმნებშიაც იღებენ მონაწილეობას, თუმცა საკითხი ჯერ კიდევ საბოლოოდ გადაწყვეტილი არაა. ფიტოცინდებს შეუძლიათ არა მარტო ბაქტერიციდული, არა-მედ ბაქტერიოსტატიკური თვისებების გამომუდავნება.

მცენარეში ფიტოცინდური თვისებები ცვალებადია მცენარის განვითარების სტადიებთან და გარემო პირობებთან დაკავშირებით.

ბუნებრივი იმუნიტეტის ერთ-ერთი ფორმათაგანია ე. წ. სტრულული იმუნიტეტი, რომელიც გამოწვეულია მცენარის სტრუქტურული აგებულებით, ე. ი. მცენარის მრავოლოგიური და ანატომიური თავისებურებებით. ამ შემთხვევაში გამძლეობის მექანიზმი იმაში მდგომარეობს, რომ სოკოს წინაზრდილის შეჭრას მექანიკური წინააღმდეგობა ეღობება. მცენარები ანატომიურად ისეთ ქსოვილებს შეიცავენ, რომლებიც მტკიცეა, სქელგარსიანია, რის გამოც სოკოს წინაზრდილი ვერ არღვევს ქსოვილს.

სტრუქტურული იმუნიტეტის ერთ-ერთი მაჩვენებელია მცენარის ორგანოების ზედაპირზე სქელი მცენარეული ცვილის (სანთლის) განვითარება. ამის საუკეთესო მაგალითებია ნაყოფების (შავქლიავა), ზოგიერთი პარმების, ყურძნის მარცვლის ცვილით დაფარება. ეს მოვლენა ორგვარ დანიშნულებას ასრულებს. ჯერ ერთი, დაფარულ ორგანოებზე საინფექციო საწყისი ვერ ჩერდება, მეორეც, ცვილი იცავს მცენარეს გამოშრობისაგან.

დიდი მნიშვნელობა აქვს კუტიკულას შრეს, სქელგარსიანს, რომელსაც პარაზიტის წინაზრდილი ვერ არღვევს. მცენარის ზედაპირის ძლიერ მტკიცე ბუსუსით დაფარება პარაზიტის წინაზრდილის მცენარეში შეჭრას აძნელებს; აღნიშნულია აგრეთვე ზოგიერთი ჯიშის შედარებითი გამძლეობა ბაგეების მეტ-ნაკლებობასთან დაკავშირებით, მეტადრე იმ პარაზიტების მიმართ, რომლებიც მცენარის ინფექციის მხოლოდ ბაგეების საშუალებით ახდენენ (მაგალითად, გაზის ჭრაჟი *Plasmopara viticola* და ბევრი სხვა). არა მარტო ბაგეების რიცხვს აქვს მნიშვნელობა, არამედ ბაგეების საკეტი აპარატის შემხები უჯრედების აგებულებასაც. მაგალითად, ციტრუსოვანთა კიბოს მიმართ (*Pseudomonas citri*) მანდარინის ჯიშები უფრო გამძლეა, ვიდრე ლიმონი და ფორთხოსალი; მიზეზი ბაგეების შემხები უჯრედების აგებულებაა. შეხების აღგილზე იმდენად

წვრილი ჰერეტი რჩება, რომ წყლის წვეთი ბაქტერიებთან ერთად ვე შედის ბაგეში და ამის გამო მცენარე არ ავალდება.

რამდენადაც სტრუქტურული იმუნიტეტი მცენარეზე არსებულ
ქსოვილების მექანიკური წინააღმდეგობითაა გამოწვეული, მას პირობი
მე ქანიკურ სა და პასიურ სა ც უწოდებენ. იგი აქტიურ
იმუნიტეტისაგან იმით განსხვავდება, რომ მექანიკური ანუ სტრუქტურუ
ლი იმუნიტეტის შემთხვევაში მცენარის აქტიურ რეაქციას აღვილი არ
აქვს. მცენარის ქსოვილის უკრებები არავითარ წინააღმდეგობას ა
უწევენ შეჭრილ შიცელიუმს; ამიტომა იგი პასიური ანუ პირობი
თ ი.

პასიურია იმდენად, რამდენადაც მცენარის სტრუქტურული მთლიანობის დარღვევის შემდეგ მცენარე ინფექციისათვის გზახსნილია, შექმნილ წინაზრდის წინააღმდეგობას ვერ უწევს და ავადლება. ამისთვის კენია პირობითიც.

სტრუქტურული იმუნიტეტი შეიძლება აიხსნას აგრეთვე მცენარეების შინაგანი აგებულებით, როდესაც მცენარის შილა ქსოვილებში მექანიზმების გური ელემენტები სჭარბობენ. დაავადებული მცენარის ქსოვილებს პარანიტი თავისუფლად ვერ აღწევს, ქსოვილის მექანიკური ელემენტების უშლიან ხელს.

მოვალეობა იმურიტების ცვალებადობა

მცენარეთა იმუნიტეტის ცვალებადობის შესახებ ორგვარი აზრი აძლევს. მკვლევართა ერთი ნაწილი მცენარეში მოცემულ გამძლეობის სტაბილურ თვისებად თვლიან და ფიქრობენ, რომ რა გარემო პირი ბებშიც უნდა მოექცეს მცენარე, გამძლეობას ყოველთვის შეინარჩუნებს გამძლეობა, მათი მოსაზრებით, გენეტიკურ თვისებებზეა დამყარებულ და მემკვიდრეობითა. საბჭოთა მკვლევართავან ამ აზრისა იყო ვავილოვის რომელმაც მცენარეთა იმუნიტეტის საკითხის შესწავლას საქმაოდ დირდორო დაუთმო და იმუნიტეტის არსის შესახებ ბევრი საინტერესო მოსაზრება წამოაყენა.

ზიტის განვითარებაზე. იმუნიტეტი უცვლელი რომ იქნეს, მაშინ შეძენილი იმუნიტეტი ყველა შემთხვევაში უარყოფილი უნდა იყოს. უკანასკნელ პერიოდში ჩატარებული კვლევაძიება და მიღებული შედეგები ამის უფლებს არ იძლევიან.

ფიტოპათოლოგიაში არა ერთი და ორი ობიექტი შეგვიძლია დავასახელოთ, რომელთა ეპითოტოტია ან მათი დეპრესია ტემპერატურისა და ტენის მონაცემებზე დაკავშირებული. მაგალითად, ვაზის ჭრაქი (*Plasmopara viticola*), კარტოფილის სოკო (*Phytophthora infestans*), ვაშლის ქეცი (*Venturia inaequalis*) და სხვ. ამ ობიექტების განვითარება ტემპერატურასა და ტენთან დაკავშირებით იმდენად შესწავლილია, რომ ბრძოლის ოპერატორულ საქმიანობაშიც აქვთ გამოყენებული.

დაბალი ტემპერატურის შედეგად გამძლეობის დაცემის მაგალითები ხშირია ჩვენს სუბტროპიკულ მცენარეებში. მაგალითად, ჩინს ბუჩქის ყავისფერი ლაქიანობა (*Colletotrichum gloeosporioides*, *Mycosphaerella theae*) გაზაფხულზე ან შემოდგომაზე ფოთლების მოყინვის გამო მასობრივად ჩნდება იმ დროს, როდესაც თბილ ზამთარში დაავადების გაფრცელება უმნიშვნელოა და მცენარე მეტ გამძლეობას ამჟღავნებს. მრავალწლიანი დაკვირვებებით დადასტურებულია, რომ ლიმონის ხმელას (*Phoma tracheiphila*) მასობრივად გამომუღავნება პირდაპირ კორელაციაში იმყოფება ყინვის მიერ დაზიანებასთან. რაც მეტადაა ყინვისაგან დაზიანებული მცენარე, მთი უფრო აღვილად ედება მას ავადმყოფობა. ჭარბი ტენის პირობებში განვითარებული მცენარეები ყოველთვის ფაშარ ქსოვილ ივითარებენ, ნაზია და ისინი უფრო აღვილად ავადდებიან. მაშასადამე, სტრუქტურული იმუნიტეტიც ირღვევა.

სინათლის გავლენით კარტოფილის ტუბერებში ე. წ. ს თ ლ ა ნ ი ნ ი ვითარდება, რის შედეგადაც ტუბერების გამძლეობა სოკო არგანიზმებით გამოწვეული ლპობის მიმართ გადიდებულია.

კვების პირობები ხშირად გავლენას ახდენს მცენარის გამძლეობაზე ამა თუ იმ ავადმყოფობის მიმართ. კვების პირობების დარღვევით ირღვევა მცენარის გამძლეობაც. ყველასათვის ცნობილია კალიუმის როლი ხორბლოვან და სხვა მცენარეებისათვის ავადმყოფობისადმი გამძლეობის საქმეში; აზოტის ჭარბი გამოყენებით მცენარეები ავადმყოფობის უფრო მიმღები ხდებიან, ვეგეტაცია ხანგრძლივდება და მცენარის დაავადების მეტი შესაძლებლობა იქმნება. უკანასკნელ ხანებში მიკროელემენტების გამოყენება უშუალოდ ნიადაგში შეტანით, თესლის დამუშავებით თუ მცენარის ზედა ნაწილის შესხურებით მოსავლიანობის გატიდების საქმეში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებად ითვლება. მიკროელემენტები მარტო მცენარის გამოყვებისთვის კი არაა საჭირო, არამედ მცენარის ზრდის სტიმულაციას იწვევს, რის შედეგადაც მისი გამძლეობა ვირუსულ თუ ბაქტერიულ დაავადებათა მიმართ უფრო ძლიერდება.

მცენარის იმუნიტეტის ცვალებადობის მაჩვენებელია აგრეთვე ზოგიერთი აგროტექნიკური ღონისძიების გავლენა ამა თუ იმ ავადმყოფობის მიმართ მცენარის გამძლეობაზე, მაგალითად, იმ გულაფშუტოვან ავადმყოფობათა საწინააღმდეგოდ, რომლებიც მცენარეს აავადებენ მარტო ღივის ფაზაში, დიდი მნიშვნელობა ეძლევა თესვის ვადების დადგენას, თესვის წესების დაცვას და სხვა (მყრალი გულაფშუტები). მაგალითად, გვიან შემოდგომაზე და აღრე გაზაფხულის ნათესებში დაბალი ტემპერატურის გამო თესლის გაღივების პერიოდი ხანგრძლივდება, რის გამოც, საინფექციო საწყისის ღივზე მოხვედრა უფრო შესაძლებელია და მცენარის დაავადებაც უფრო მოსალოდნელი. ასევე ორმად ნათეს ნაკვეთებზე ღივი უფრო ხანგრძლივადა მოთავსებული ნიაღაში (ღივის ფაზა გახანგრძლივებულია) და აქაც მცენარის დაავადების მეტი შესაძლებლობაა.

მცენარის იმუნიტეტის ცვალებადობის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ აგრეთვე ჭარხლის ფომოზის მიმართ (*Phoma betae*) ჭარხლის გამძლეობის ცვალებადობა, რაც დაკავშირებულია ნიაღავის მჟავიანობასთან. მაგ. თუ ნიაღავის მჟავიანობა pH — 6,9-ზე მეტი არაა, ჭარხალს გამძლეობა შერჩენილი აქვს; თუ pH — 7,2 — მაშინ ადვილად ითვისებს ავადმყოფობას.

სამხრეთის ფესვის სიღამპლე (*Sclerotium Rolfsii*) უმთავრესად, მჟავე ნიაღაგებზე გვხვდება და საკმაოდ ძლიერად აავადებს სხვადასხვა მცენარეებს. იგივე სოკო თავის მკვებავ მცენარეს ტუტე ნიაღაგებზე იშვიათად ან სრულებით არ აავადებს.

მცენარეთა დაავადებისას მნიშვნელობა აქვს მცენარის ქსოვილების ხნოვანებასაც, სტადიურობას. ამ საკითხის შესწავლის შედეგად დუნინგი წამოაყენა ე. წ. იმუნოგენეზისის თეორია, რომლის მიხედვითაც მცენარის ავადმყოფობი ქსოვილების ხნოვანებასთან დაკავშირებით სამჯგუფად დაიყო.

პირველ ჯგუფში შედის ისეთი ავადმყოფობები, რომლებიც სტადიურად ახალგაზრდა ქსოვილებს აავადებენ, მაგალითად, ხორბლეულთა გულაფშუტოვნ ავადმყოფობათა დიდი ნაწილი, რომლებიც მცენარეს მხოლოდ ღივის ფაზაში აავადებენ. სხვა ფაზებში მცენარეები გამძლეობას იჩენენ. ციტრუსების დამეჭვეჭვა (*Sphaceloma Fawsettii*) აავადებს მხოლოდ ახალგაზრდა ფოთლებს და ნაყოფებს, ხნიერი ფოთლები არ ავადდებიან.

მეორე ჯგუფში ისეთი ავადმყოფობები შედის, რომლებიც ხნოვან, მოპერებულ ქსოვილებს აავადებენ, მაგალითად ჭარხლის ცერკოსპოროზი (*Cercospora beticola*).

მესამე ჯგუფში კი ისეთი ავადმყოფობები შედის, რომლებიც განურჩევლად, როგორც ახალგაზრდა, ისე ხნოვან ქსოვილებს აავადებენ.

იმუნიტეტის ცვალებადობა აშკარად ჩანს ფაკულტატური და ობლი-
გატური პარაზიტების ქცევაშიც. თუ მცენარე სუსტია, ფაკულტატური
პარაზიტებით აღვილად ავადდება. საკმარისია ასეთ მცენარეს კვების
კარგი პირობები. შეცვლებათ და — მცენარე გაძლიერდება და ფაკულტა-
ტური პარაზიტისაგან აღარ ავადდება; სამაგიეროდ, ეს მცენარე შეიძლება
დაავადდეს ობლიგატური პარაზიტებით. ამ შემთხვევაში ფაკულტატური
პარაზიტების მიმართ მიმღებობა ობლიგატური პარაზიტების მიმღებო-
ბით შეიცვალა.

მცენარის იმუნიტეტის ცვალებადობა დამოკიდებულია აგრეთვე გეო-
გრაფიულ ფაქტორებზე. ეს იმითაც დასტურდება, რომ როცა სხვადასხვა
რაიონებიდან მიღებულ ერთი და იგივე ჯიშის სათესლე მასალას ერთ ზო-
ნაში ამრავლებენ, ავადმყოფობის მიმართ გამდლეობას ივი სხვადასხვა
სიძლიერით იჩენს. ეს დებულება შემოწმებულია ხორბლის ჯიშ „ლუტეს-
ცენ 0,62“-ზე (გორლენკო, 1962). მიმღებობა მით უფრო მეტია, თუ
ჯიშის მომწიფებისას დაბალი ტემპერატურა და მაღალი ტენია.

მშრალ სამხრეთულ ზონებში მოყვანილ ჯიშებს უფრო მეტი გამდ-
ლეობა ახასიათებთ. ამ ფაქტს იმით ხსნიან, რომ მშრალ ზონებში მოყვა-
ნილი მცენარე უფრო ნაკლები წყლის შემცველია. შექანიკურ ელემენ-
ტებს მეტს შეიცავს, რაც ხელს უშლის პარაზიტის შეჭრას მცენარეში.
გარდა ამისა, ამ მცენარის სხეულში ცილები და შაქრები ნაკლებია, რაც
პარაზიტის ნორმალურ განვითარებას ხელს არ უწყობს.

ბრძოლის ეთოლების ზოგადი დახასიათება

მცენარეთა დაცვის ძირითადი მიზანი მცენარის ავადმყოფობათა და
მავნებლების სწორი განსაზღვრა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტუ-
რი ღონისძიებების დადგენაა.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ მცენარის ავადმყოფო-
ბათა გამოწვევი მიზეზები სხვადასხვა ხასიათისაა და მავნებლებიც მრა-
ვალგვარი, რომ ისინი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ ჯგუფებს
და მოვლენებს ეკუთვნიან — ბუნებრივია, რომ მათ წინააღმდეგ ბრძო-
ლის საშუალებებიც მრავალნაირია. უცილებელია არსებული ბრძოლის
მეთოდების სისტემაში მოყვანა.

ვიდრე უშუალოდ ცალკეულ ღონისძიებათა ჯგუფს განვიხილავთ, სა-
ჭიროა რამდენიმე ცნებას გავეცნოთ.

იმის მიხედვით, თუ როდის ტარდება ავადმყოფობის საწინააღმდეგო
ბრძოლა; არჩევენ რა ხასიათის ღონისძიებას — წინასწარ ვა-
მაფრთხოების განაკვეთისას, ანუ ბროფილაქტიკურს, და სამკურ-
ნალოს, ანუ თერაპიულს.

წინასწარგამაფრთხილებელი ანუ პროფილაქტიკური ღონისძიება

ტარდება მანამ, სანამ მცენარეში ინფექცია შეიჭრებოდეს. მაგალითად, ხეხილის შესხურება ვაშლის ჭეცის საწინაღომდევოდ მაშინ იწყება, როდესაც მცენარე ჯერ დაავადებული არა (კოკების გაბერებისას, დავავალების შემდევ და სხვ.). როდესაც საინფექციო საწყისი ანუ ინკულუმი მოხვდება შესხურებულ ხეზე. მოხვედრილ და შერჩენილ შხამზე, იგი იღუპება და მცენარეში ვერ იჭრება. ასევე, მაგალითად, ვაზის ჭრაქის შემთხვევაშიაც; შესხურებას ატარებენ მანამ, სანამ ფოთლები დაავადებოდეს. შესხურებას მაშინაც ატარმოებენ, როდესაც მცენარეზე ფოთლები უკვე დაავადებულია, მაგრამ ამ ღონისძიებას მცენარის ნაყოფების თუ ფოთლების ჯერ კიდევ დაუავადებელი, საღი ნაწილების დასაცავად მიმართავენ. დაავადებული ნაწილი არ ჯანსაღდება, თუმცა კი მის ზედაპირზე შერჩენილი ჭრაქის სპორები იღუპებიან.

სამკურნალო ანუ თერაპიული ღონისძიება გამოიყენება უკვე დაავადებული მცენარეების სამკურნალოდ. მაგალითად, ნაცროვანი სოკოების საწინაღომდევოდ სუფთა გოგირდის ან გოგირდოვანი ნაერთების შეფრჩვევას ან შესხურებას ვიყენებთ. ნაცროვანი სოკოები ექსოპარაზიტებია და გამოიყენებული პესტიციდი ანუ შხამი უშუალოდ ხვდება სოკოს სხეულის ზედაპირს და სპორს მას.

მცენარეთა დაცვაში, მეტადრე ავადმყოფობათა წინააღმდევგ ბრძოლისას, უმთავრესად, პროფილაქტიკური ღონისძიებებია მიღებული. შეღარებით ნაკლებადაა გამოიყენებული თერაპიული ხასიათის ღონისძიებები. ხშირია ისეთი შემთხვევებიც (მეტადრე კიმიური მეთოდების გამოიყენებისას), როდესაც პროფილაქტიკურსა და თერაპიულ ღონისძიებებს შორის მქვეთრი ზღვარის გატარება შეუძლებელია, რამდენადაც ესა თუ ის ღონისძიება შესაძლებელია პროფილაქტიკური იყოს მცენარის საღი ნაწილის მიმართ, დაავადებულის მიმართ კი (რომელზედაც სოკოს ნაყოფიანობაა განვითარებული) თერაპიულად ჩაითვალოს.

პროფილაქტიკურ ღონისძიებათა უპირატესობა და უფრო მეტად გავრცელება იმითავ გამოწვეული, რომ მცენარის პარაზიტული მიკროორგანიზმები, უმთავრესად, შინაგანი — ანუ ე ნ დ ო ჰ ဈ ი ტ ე ბ ဈ ი ა, და ენდოფთიტურად ცხოვრობენ ე. ი. მცენარის შიგა ქსოვილებში ვითარდებიან, გარელან კი დაფარულია არიან მცენარის საფარი ქსოვილითა რაკი ინფექცია შიგნით შეიჭრება, გარეგანი შხამები ველარ მოქმედებენ პარაზიტზე, იგი ასრულებს თავის განვითარებას და გარეთ კი მცენარის დაავადებული ნაწილის ზედაპირზე სხვადასხვა სახის ნაყოფიანობას იძლევა. ასეთ შემთხვევებაში პარაზიტი მანამ უნდა მოისპოს, ვიდრე შეიჭრდეს მცენარის შიგა ქსოვილებში.

თერაპიული ანუ სამკურნალო ღონისძიება მიმართულია გარეგანი ანუ ეგზოპარაზიტების წინააღმდევგ. ეგზოპარაზიტების სხეული ყოველ-

თვის მცენარის ორგანოების ზედაპირზეა და მცურნალობის დროს შხამი პარაზიტის სხეულს უშუალოდ ხდება და სპობს მას.

სამცურნალო ლონისძიებებს ეკუთვნის აგრეთვე ე. წ. შინაგანი თერაპიის დროს მცენარის სხეულში ისეთი შხამი შეჰყავთ, რომელიც მცენარის შიგნითა ქსოვილებში შეკრილ მიკროორგანიზმს მოქადას, მცენარის უჯრედებზე კი გავლენას არ მოახდენს. სამწუხაროდ ასეთი შხამები ჯერ კიდევ კოტაა. მცენარის და პარაზიტის ცოცხალი უჯრედები შხამებისადმი გამძლეობის თვალსაზრისით ბევრით არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და ბევრ შემთხვევაში ორივენი იღუპებიან.

უკანასკნელ ხანებში მავნებლების და ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიყენება ე. წ. სისტემური შხამები, რომელებიც მცენარეზე გადატანისას შიგნითა ქსოვილებს აღწევენ და მცენარის წვენის საშუალებით გადაადგილდებიან ყველა ორგანოში. როდესაც მწუწნავი მავნებლები სისტემური შხამით დამუშავებული მცენარის წვენით იკვებებიან, წვენში გახსნილი შხამის გავლენით იხოცებიან. ავადმყოფობათა საწინააღმდეგო ბრძოლაში სისტემური პრეპარატები ეხლა იყიდებენ ფეხს.

მცენარეთა დაცვაში გამოიყენებული ბრძოლის მეთოდები თავის შინაარსის მიხედვით რამდენიმე ჯგუფად ნაწილდება. ესენია: აგროკულტურული, ქიმიური, ბიოლოგიური, ფიზიკური, სანიტარულ-ჰიგიენური და კარანტინული მეთოდები:

აგროკულტურული ღონისძიება

სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მოსავლიანობის გადიდებისა და ავადმყოფობათაგან და მავნებელთაგან მათი დაცვის საქმეში აგროკულტურულ თუ სატყეო-სამეურნეო ლონისძიებებს დიდი მნიშვნელობა აქვს. აგროტექნიკური ბრძოლის მეთოდები, ძირითადად, იგივეა, რაც ამა თუ იმ კულტურული მცენარის მოსაყვანად უნდა ჩატარდეს. ეს ღონისძიება, ძირითადად, განკუთვნილია არა მცენარის ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლისათვის, არამედ კულტურული მცენარის აგროწესებია. მათი მაღალ დონეზე ჩატარება მცენარის ზრდა-განვითარებას უწყობს ხელს, ლონიერ მცენარეს ვიღებთ, რის გამოც იგი სხვადასხვა ავადმყოფობის გამძლე, ამტანი ხდება. უნდა აღინიშნოს, რომ აგროტექნიკური ლონისძიებების ჩატარებით მრავალ შემთხვევაში ნაკვეთზე საინფექციო საწყისი მცირდება, ავადმყოფობათა გამომწვევი მიზეზებისათვის ხელისშემშლელი პირობები იქმნება, რაც ავადმყოფობის მასობრივ გამრავლებას ხელს უშლის.

აგროტექნიკური ლონისძიებები, მართალია, ავადმყოფობათა ან მავნებელთა საწინააღმდეგოდ არაა გამიზნული, შაგრამ მათი ჩატარება მცენარეთა დაცვასაც ემსახურება. ისე, რომ მცენარეთა დაცვის საქმიანობას სპეციალური დაფინანსება. არა სჭირდება და მეურნეობის ხარჯებს არა ზრდის.

ბრძოლის აგროტექნიკური მეთოდებიდან აღსანიშნავია:

1. თ ე ს ვ ი ს დ ო თ დ ო ნ ო რ მ ო ბ ი, რომელთაც ზოგიერთი ავადმყოფობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს. მავალითად, ხორბლოვანთა მყრალი გუდაფშუტათი (*Tilletia tritici*, *T. levis*) უფრო მეტად ავადდებიან საშემოდგომო ხორბლის გვიანი და საგაზაფხულო ხორბლის აღრეული ნათესები. მიზეზად მცენარის ლივის ფაზის გახანგრძლივება ითვლება. მყრალი გუდაფშუტა მცენარეს მარტო ლივის ფაზაში ავადებს, რაც უფრო გახანგრძლივებულია მცენარის ლივის ფაზა, მით უფრო მეტი შესაძლებლობა იქმნება დაავადებისა. ლივის ფაზის გახანგრძლივება კი გამოწვეულია იმით, რომ აღრე გაზაფხულზე და გვიან შემოღვიმზე მცენარის ლივი შედარებით დაბალი ტემპერატურის გამო ნელა ვითარდება.

თამბაქოს პერიონისპოროზით აღრეული ნათესები უფრო ნაკლებ ავადდებიან, ვიღრე გვიანი ნათესები. ხორბლოვანთა ფესვის სიღამპლით (*Ophiobolus graminis*) დაავადება მით უფრო მატულობს, რაც უფრო ღრმადა ხორბალი დათესილი, 10 სანტიმეტრზე უფრო ღრმად (ენდელადე).

საჭიროა, დაცული იყოს თ ე ს ვ ი ს ნ ო რ მ ო ბ ი ც. მაგალითად, სათბურებში თამბაქოს საღი ჩითილების მისაღებად თესვის ოპტიმალური ნორმები უნდა დავიცათ; თესვის ნორმის გადიდების შედეგად ისეთი ავადმყოფობები, როგორიცაა: თამბაქოს პერიონისპოროზი, თამბაქოს ბაქტერიული აწვა, ყოველთვის მეტი რაოდენობით გვხდება, ვიღრე თესვის ოპტიმალური ნორმის დაცვისას.

სათბურებში ბისტრეულთა ჩითილების გამოყვანისას — ხშირ ნათესებში (სათბურში) აღმონაცენების ამოსვლება უფრო მეტია, ვიღრე ნორმის მიხედვით დათესვისას.

თესვის ნორმების დარღვევით გამოწვეული აღმონაცენების დალუპვა აიხსნება მცენარეთა ხშირი დგომით (ავადმყოფობა ერთი მცენარიდან მცენრეზე ადვილად გადადის); აერაციის შემცირების გამო ტენის ხანგრძლივი შენარჩუნებით, რის გამოც ავადმყოფობის გავრცელებისათვის ხელისშემწყობი პირობები იქმნება; კვების პირობების გაუარესებით, ეთიოლირებული მცენარების მიღებით და სხვა. ასეთი შემთხვევები მრავალწლიან კულტურებში ხშირია. მაგალითად, თუ ღია კელებში ციტრუსების ნერგები ხშირადაა გამორგული, მათ კვების არე მცირე აქვთ. მცენარეთა რიგში და რიგთა შორის მცირე მანძილია დაცული, ამის გამო

ფიტოფტოროზით (*Phyt. citrophitsora*) დაავადების პროცენტიც მაღალია. ერთწლიანი ნერგების ერთმანეთთან ახლო დგომის გამო ფოთლები გაბარდნილია ერთი მეორეში, ტენი გროვდება და ეს კი ზოოსპორების განვითარებას უწყობს ხელს. იმ კედლებზე, სადაც რიგთა შორის მანძილი 80 სანტიმეტრამდეა დაცული, აერაცია ნორმალურია, ჰაერი არ იხუთება და ფიტოპტოროზიც არ იგრძნობა.

აგროტენიკური ხასიათის ღონისძიებად ითვლება აგრეთვე ს ა თ ე ს-ლ ე და ს ა რ გ ა ვ ი მ ა ს ა ლ ი ს შ ე რ ჩ ე ვ ა. ამ ღონისძიებას დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგიერთი ავადმყოფობის გაერცელების საქმეში. მაგალითად, ხორბლის დაავადება მყრალი ანუ სეელი გუდაფშუტით უფრო მეტია უხარისხო თესლის დათესვის დროს, ვიდრე საუკეთესო ღირსების თესლის თესვის შემთხვევაში. გაწმენდილი და დახარისხებული კარგი თესლი ადგილად და სწრაფად ღივდება, ღივის ფაზა შემცირებულია და გუდაფშუტით მცენარეთა მასობრივი დაავადება არ ხდება.

თესლის დახარისხებას საღი ნათესების მიღებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. დახარისხების დროს თესლი იწმინდება ყველა არასასურველი მინარევისაგან, როგორიცაა: სარეველა მცენარეების თესლი, გუდაფშუტიანი მარცვლები, აფშრუკული თესლი. თესლის გაწმენდის და დახარისხების შედეგად საბოლოოდ კონდიციურ თესლს ვიღებთ. ნიადაგში მოზამორე ავადმყოფობათა საწინააღმდეგოდ არანაკლები მნიშვნელობა აქვს აგრეთვე თ ე ს ვ ი ს ს ი ღ რ მ ე ს. მაგალითად, ხორბლის ღრმად თესვა იწვევს გუდაფშუტით დაავადების გაძლიერებას. ეს კი გამოწვეულია იმით, რომ ღრმად მოხვედრილი თესლი გვიან ღივდება და ღივობის ფაზა ხანგრძლივდება.

აბრეშუმას (*Cuscuta*) საწინააღმდეგო ბრძოლის ღონისძიებათა სისტემაში ღრმად თესვა ერთ-ერთი საყურადღებო საშუალებათაგანია. აბრეშუმას თესლი ოდესაც 5 სანტიმეტრზე ღრმად ხვდება ნიადაგში, ზედაპირზე ვეღარ აღწევს და იღუპება.

დარგვისაც სიღრმადი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, ნამყენის დარგვისას, თუ დამყნის ადგილი ნიადაგში ღრმად ხვდება, მცენარე იჩაგრება, ყვითლდება და ხშირად ხმება კიდევაც. თუ მძიმე თიხნარინადაგიან, ნაკვეთებზე დარგულ ფესვთა სისტემას აერაცია აკლდება, ფესვი სუსტდება და ბოლოს იშთობა, იხრჩობა. დასუსტებულ ფესვთა სისტემაზე მეორეული ფაკულტატური ორგანიზმები სახლდებიან და აძლიერებენ დაავადებას.

ასეთსავე მოვლენასთან გვაქვს საქმე გერანის კალმების ღრმად დარგვის შემთხვევაშიაც. მცენარე თანდათან სუსტდება, საღ კალმებს ზრდაში აშკარად ჩამორჩება, საბოლოოდ ჭინება და ხმება. ასეთი მცენარეების ფესვები, ნაცვლად სიღრმეში გაერცელებისა შებრუნებულია ნიადაგის ზედაპირისაკენ. გერანის ჭინობას თან სდევს მეორეული სოკორგანიზ-

მები უმთავრესად *Fusarium*, *Botrytis*, რომლებიც დასუსტებულ მცენარეს საბოლოოდ აჭინობენ და ახმობენ.

სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მოსავლიანობის გადიდების საქმეში საგარეული ნაკვეთების მაღალ დონეზე დამუშავებას ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა. ნიაღავის დამუშავება მანქანა-იარაღებით ტარდება, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო კულტურების თუ ნაკვეთის თავისებურებასთან დაკავშირებით შესაძლებელია სხვადასხვა ტიპისა თუ სისტემისა იყოს.

ნიაღაგების დამუშავების მთავარი მიზანია, ნაკვეთებზე ისეთი პირობები შეიქმნას, რომლებიც მაქსიმალურად უზრუნველყოფენ მცენარის ნორმალურ განვითარებას.

ასეთად უნდა ჩაითვალოს ნიაღავის ფიზიკური და სტრუქტურული პირობების გაუმჯობესება, ნაკვეთის თესვისათვის სათანადო მომზადება, სარეველა მცენარეთა განვითარებისათვის ხელის შეშლა, მცენარეთა სხვადასხვა ავადმყოფობებისა და მავნებლებისათვის ხელისშემშლელი პირობების შექმნა.

ნიაღავის დამუშავების პირობებთაგან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ღ რ მ ა დ ხ ვ ნ ა. ამ ონისძიებას დიდი გავლენა აქვს მცენარის სხვადასხვა ავადმყოფობის, მავნებლების და სარეველა მცენარეთა შემცირების საქმეში. ბევრ შემთხვევაში მცენარის ავადმყოფობათა საწყისები ნიაღავის ზედაპირზე ან მის ზედა ფენებში იზამთრებენ. ნიაღავის ღრმა მოხვნით, ბელტის გადაბრუნებით, ეს საწყისები (პარაზიტის მოზამთრე სტადიაში სარეველების თესლი თუ სხვა) ბელტის ქვეშ, ნიაღავის ღრმა ფენებში ხვდება და ზედაპირს ვეღარ აღწევს. ამიტომ იღუპებიან. მაგალითად, ღრმა ხვნა საგრძნობლად ამცირებს კარტოფილის ფიტოფტოროზის მარაგს ბუნებაში. კარტოფილის შევი ქეცის (*Rhizoctonia solani*) საწინააღმდეგოდ ტუბერები ღრმად არ უნდა დაირგას და სხვა.

სამხრეთული ფესვის სიღამპლე (*Sclerotium rolfsii*) იზამთრებს სკლეროციუმებით ნიაღავის ზედა ფენებში. ამ შემთხვევაშიც ღრმად ხვნას უსათუოდ დიდი სარგებლობა მოაქვს.

ხორბლოვანთა ღეროს უანგა (*Puccinia graminis*), მურა უანგა (*P. triticina*), ყვითელი უანგა *P. glumarum* უმთავრესად ნიაღავის ზედაპირზე, მოსავლის ანარჩენებზე იზამთრებს. ღრმად ხვნა, როგორც ღრნისძიებათა სისტემის ერთ-ერთი ელემენტი, უსათუოდ სასარგებლოა.

კულტივაციის ფესვის ავადმყოფობათა გამომწვევი ორგანიზმების წინააღმდეგ მეტად დიდია. მაგალითად, ბამბის ნათესებში ხანგრძლივი თუ ძლიერი წვიმის შემდეგ ნიაღავის ზედაპირზე მკვრივი ქერქი იქმნება, რის გამოც ახალგაზრდა მცენარის ფესვთა სისტემას აერაცია აკლდება, სუსტდება და ლპება. ამ შემთხვევაში წვიმის შემდეგ

შექმნილი ქერქის დასაშლელად კულტივაციის ჩატარება ყოველთვის კარგ ეფექტს იძლევა. კულტივაციის ჩატარების შემდეგ ნაკვეთზე ტენი უფრო ხანგრძლივად ინახება, რაც მცენარის განვითარებაზე კარგად მოქმედებს. მეორე მხრივ, ნიაღავის აერაციის პირობები უმჯობესდება, რის გამოც ფესვის სიღამპლის გამომწვევი სოკოები ვეღარ ვითარდებიან. ამდენად კულტივაცია სარეველათა საწინააღმდეგო ღონისძიებადაც ითვლება.

ტენიან ნაკვეთებზე გრუნტის წყლების მაღლა დგომის გამო მცენარის ფესვის სიღამპლის განვითარების პირობები ყოველთვის არსებობს. ხშირია შემთხვევები, როდესაც ასეთ ნაკვეთებზე დარგული მცენარე დასაწყისში ნორმალურად ვითარდება, შემდეგ კი თანდათან ჩატარებაზე, სუსტდება და საბოლოოდ ხმება. გახმობის მიზეზი ისაა, რომ მცენარის ფესვთა სისტემამ გრუნტის წყლის ღონეს მიაღწია და ამის შედეგად ფესვების შთობა დაიწყო. ასე ემართება ციტრუსებს, ტუნგოს, ხეხილს და სხვ. ამის საწინააღმდეგო საუკეთესო საშუალებაა გრუნტის წყლის ღონის დასაწევად დრენაჟის ჩატარება. იყენებენ აგრეთვე ნახევრად სფერული ქვლების მოწყობას, რითაც დარგულ მცენარის ფესვთა სისტემას გრუნტის წყლის ღონეს აცილებენ. ასეთი შემთხვევები ხშირია, მეტალრე, დასავლეთ საქართველოში, კერძოდ კოლხეთის დაბლობის პირობებში.

სარეველების წინააღმდეგ ბრძოლა თუ აქამდე თოხით და კულტივაციის საშუალებით ტარდებოდა, ამეამაღ ქიმიურ საშუალებებს იყენებენ, ე. წ. ჰერბიციდებს, რომლებიც სელექციური მოქმედების თვისებებს აშელავნებენ, ე. ი. განსაკუთრებულ მცენარეებზე მოქმედებენ. მაგალითად, ერთ-ლებნიანებზე ან ირლებნიანებზე.

აგროტექნიკურ ღონისძიებათა წრეში შედის სასუკების შეტანა. ნიაღავში არსებულ საკვებ ელემენტებს ღროთა განმავლობაში მცენარე იყენებს. ბუნებრივია, რომ ეს ელემენტები თანდათან მცირდება, მცენარე იმშევა, საზრდო აკლდება, რის გამოც სუსტდება და დაბალ ღობედ იქცევა ყოველგვარი არახელსაყრელი ფაქტორისათვის. ასეთ არახელსაყრელ ფაქტორებად ითვლებიან სხვადასხვა სოკოვანი თუ ბაქტერიული ორგანიზმები, მაგნებლები, რომლებიც შიმშილით დასუსტებულ მცენარეებზე სახლდებიან და მათ დაავადება იწვევენ. დასუსტებული მცენარის ავადმყოფობათა მიმართ გამძლეობის გასაძლიერებლად პირველ რიგში ხმარობენ სხვადასხვა მინერალურ თუ ორგანულ სასუქებს, რომელთა ნიაღავში შეტანით მკვეთრად უმჯობესდება კვების პირობები, მცენარის საერთო მდგომარეობა და მას უძლიერდება გამძლეობა.

ამის საუკეთესო მავალითია ციტრუსების ანთრაქნიზი, (*Colletotrichum gloeosporioides*) — ჩაის ფოთლების ნაცრისფერი ლაქიანობა

(*Colletotrichum thede*), რომლებიც მწირ ნიადაგებზე გვხვდება. ხშირია შემთხვევები, როდესაც დაავადებული მცენარე — კარგ პირობებში ჩაიყენების შემდეგ, შედარებით ადვილად აღწევს თავს დაავადებს, გამოკეთდება, მაგალითად, ხორბლეულთა სველი გულაფშუტით დაავადებისას *T. tritici*. სასუქების შეტანის შემდეგ მცენარე სწრაფად ვითარდება, მის სხეულში არსებული პარაზიტის მიცელძუმი ჩამორჩება ზრდაში და თავთავი არ ავადდება. სასუქების შეტანას, იქნება ეს მაკრო-თუ მიქრო-ელემენტები, ყოველთვის დიდი სიფრთხილე სკორლება. მხედველობიდან არ უნდა გამოვგრჩეს პარაზიტის მკვებავი მცენარის ბიოლოგია, ნიადაგის პირობები. ზოგიერთი ავადმყოფობა ძლიერ განვითარებულ მცენარეს უფრო უჩნდება, ვიდრე დასუსტებულს. ასეთებია, მაგალითად, ლიმონების ხმელა (*Phoma tracheiphila*), უანგაროვანი სოკოები ხორბლეულებზე და სხვ.

თესლთა ბრუნვას საერთოდ მიწათმოქმედების კულტურული დონისამაღლებაში და მოსავლიანობის გადიდების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს. არანაკლები მნიშვნელობა აქვს მას სასოფლო-სამეურნეო მცენარეების ავადმყოფობათა და მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლაშიც. თესლთა ბრუნვის დაწესებით ნიადაგის რესურსების სრული გამოყენება ხდება. გამოყენება ხდება როგორც ნიადაგში შემავალი საკვები მასალის, ისე წყლის რეჟიმისა, უმჯობესდება ნიადაგის ფიზიკური და სტრუქტურული შემადგენლობა, უმჯობესდება ნიადაგის ნაყოფიერება. ამავე დროს მცირდება მცენარეების ავადმყოფობათა და მავნებლებისაგან მიყენებული ზარალი.

თესლთა ბრუნვის საწინააღმდეგოა ე. წ. მ ო ნ ო კ უ ლ ტ უ რ ა, როდესაც ერთსა და იმავე ნაკვეთზე მუდმივად ერთი და იგივე სასოფლო-სამეურნეო მცენარე მოჰყავთ. ამჟამად დადასტურებულია, რომ მონოკულტურის დროს მცენარის მავნებლებისა და ავადმყოფობათა მიერ მიყენებული ზარალი მატულობს. ეს კი იმითაა გამოწვეული. რომ ერთი და იგივე მცენარის მოყვანით, ნაკვეთებზე მათი ავადმყოფობის საინფექციო საწყისი წლიდან-წლიდამდე მატულობს, ავადმყოფობა ვრცელდება იმდენად, რომ დიდ ზარალს, იწვევს, დანახარჯების გადინების გამო მცენარის მოყვანას მნიშვნელობა ეკარგება.

თესლთა ბრუნვა მცენარეთა დაცვის თვალსაზრისით, უმთავრესას, გამოიყენება ნიადაგში მცხოვრები პათოგენური ორგანიზმების საწინააღმდეგოლ. მცენარეთა მიწისზედა ორგანოების დაავადების შემთხვევებშიაც იყენებენ (მაგალითად, კარტოფილის სოკო). თესლთაბრუნვის სისტემის დამუშავებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ფიტოპათოლოგიური მხარეც. უნდა ვიცოდეთ, როგორია პათოგენური ორგანიზმების ბუნება. მ ო ნ ო ფ ა გ ი ა სპეციალიზებული ერთი რომელიმე ბოტანიკური სახეობის ან გვარის მცენარეზე, თუ პ ო ლ ი ფ ა ვ ი ა ე. ი.

ბოტანიკურად განსხვავებული მრავალი მცენარის დაავადებას იწვევს. უკანასკნელის მაგალითია, სამხრეული ფესვის სიღამპლის გამომწვევა სოკო *Sclerotium rolfsii*, რომლითაც მარტო საქართველოში 100-ზე მეტი სხვადასხვა მცენარე ავადდება. თესლთა ბრუნვის სისტემის შექმნისას მონოფაგ და პოლიფაგ პათოგენურ ორგანიზმებს ერთი და იმავე საზომით ვერ მივუდგებით. თესლბრუნვის სისტემის დამუშავება ცალკე ზონების, ამ ზონაში გავრცელებული კულტურებისა და მათი ავადმყოფობების მიხედვით ხდება სათანადო როტაციის პერიოდის დადგენით (3—10 წ.).

თესლბრუნვის სისტემის შერჩევისას საჭიროა იმ ურთიერთფაზშირის ცოდნა, რაც არსებობს როტაციაში შემავალ კულტურებისა და მათ ავადმყოფობათა გამომწვევ ორგანიზმებს შორის.

თესლბრუნვის დადგენისათვის საჭიროა შემდეგი მონაცემები.

1. თესლბრუნვის ზონაში გავრცელებული წამყვანი კულტურების ავადმყოფობათა და მავნებლების შედგენილობა და მათ მიმართ ამა თუ იმ მცენარის გამძლეობა.

2. პათოგენური ორგანიზმების დამოკიდებულება როგორც ცალკე კულტურებთან, ისე მთელ სისტემასთან. შესაძლებელია თუ არა ამ კულტურების თესლბრუნვის სისტემაში შეყვანა.

3. უნდა გვქონდეს ბრძოლის ისეთი საშუალებები, რომელთა ჩატარება ამ სისტემაში შესაძლებელი იქნება (სტეკმანი და ჰარარი). თესლბრუნვის როტაციის პერიოდი განისაზღვრება პათოგენური ორგანიზმის მრჩამთრე თუ შესვენების სტადიის გამძლეობის ხანგრძლივობით, კერძოდ იმაზე, თუ პარაზიტს რამდენ ხანს შეუძლია მკვებავი მცენარის გარეშე სიცოცხლის შენარჩუნება (3—7 წლამდე). თესლთაბრუნვაში ზოგჯერ სიღერატებიც შეპყავთ, განსაკუთრებით პარკოსანი მცენარეები, რომლებსაც მწვანე ორგანულ სასუქებად იყენებენ ნიადაგში ჩახვის გზით. ეს მცენარის განვითარების პირობებს აუმჯობესებს და ადიდებს ძირითადი კულტურის ავადმყოფობის მიმართ გამძლეობის უნარს. ერთ-ერთი პარკოსანი მცენარე თეთრი ძიძო (*Melilotus alba*) ბამბაში შეთესილი ბამბის ფესვის სიღამპლის მავნეობას ამცირებს (სტეკმანი და ჰარარი).

აგროტექნიკურ ღონისძიებათაგან დიდი ყურადღება ექცევა მცენარის უმთავრეს ავადმყოფობათა მიმართ გ ა მ ძ ლ ე ჭ ი შ ე ბ ი ს შერჩევასა და გავრცელებას. ამ შემთხვევაში მხედველობაში უნდა გვქონდეს გამძლეობა ისეთ ავადმყოფობათა მიმართ, რომელთა საწინააღმდეგოდ ჭერ კიდევ ეფექტური ღონისძიებები არაა დამუშავებული ან ბრძოლა გაძნელებულია. მაგალითად, ციტრუსების ხმელისადმი (მალსეპო) ბრძოლის სიძნელის გამო ჰირველ რიგში გამძლე ჭიშების გამოყვანისთვისა მთელი მუშაობა წარმართული; ხორბლეული კულტურების უანგა ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლისას მთავარი გეზი გამძლე ჭიშების გამო-

ყვანაზე ან შერჩევაზე აღებული. ასევეა თუთის ხუჭუჭა წვრილფოთ-ლიანბაზე.

კარტოფილის სელექციონერებს ძირითად ამოცანად მიაჩნიათ კარტო-ფილის კიბოსა და კარტოფილის ფიტოფტოროზის მიმართ გამძლე ჯიშე-ბის გამოყვანა.

გამძლე ჯიშების გამოყვანის შემდეგ მცენარეთა დაცვისათვის მნიშვ-ნელოვანი დანახარჯები საჭირო აღარ არის და წარმოება იაფდება.

ამა თუ იმ ჯიშის „გამძლელ“ გამოცხადების დროს დიდი სიფრთხილეა საჭირო, რამდენადაც ხშირად გამძლედ ცნობილი ჯიშები სხვადასხვა ზონაში ვერ ამართლებენ თავიანთ დანიშნულებას: ერთ რაიონში გამო-ყვანილი გამძლე ჯიში მეორეში, ახალ კოლოგიურ გარემოში, აედმყო-ფობის მიმღები აღმოჩნდება ხოლმე. ამის საუკეთესო მაგალითია სა-ქართველოში შემოტანილი თითქოს უანგებისადმი გამძლე ხორბლის ჯიში „კოპერატორები“, რომელიც დასაწყისში გამძლე აღმოჩნდა სა-ქართველოშიც, მაგრამ შემდეგ ყვითელი უანგას მიმართ მიმღები გახდა.

ზოგიერთ მცენარეებში პათოგენური ორგანიზმი თუ პირველ ხა-ნებში ვერ ვითაოდება, ე. ი. მცენარე არ ავადლება, შემდგომში ეს ორ-განიზმი მკეთრავ მცენარეს ეგუება, ეჩვევა, ანუ ხდება ე. წ. ა დ ა პ ტ ა-ც ი ა, რის შედეგადაც მცენარე ავადმყოფობის ისევ მიმღები აღმოჩნ-დება. მაგალითად, კარტოფილის ზოგიერთი ჯიშები, რომლებიც წინათ გამძლენი იყვნენ ფიტოფტოროზის მიმართ, შემდეგ ისევ დაავადდნენ. ამიტომაა, რომ სელექციონერის მიერ გამოყვანილი თუ შერჩეული ჯიში, შემდგომშიაც მუდმივი დაკვირვების ობიექტად უნდა იყოს ქცეული, მით უმეტეს, თუ სხვადასხვა ეკოლოგიურ ზონებში ითესება. ხორბლე-ული კულტურებისაგან საქართველოში გამძლე ჯიშებად ითვლებან „მოწინავე“ და „უფხო I“.

სანიტარულ-ჰიგიენური გრძოლის მეთოდები

სანიტარულ-ჰიგიენური მეთოდების ჩატარება ყველა შემთხვევისა-თვისაა საჭირო. მთავარი ისაა, რომ ბალებში, ნათესებში თუ ტყის კორო-მებში საჭიროა ყოველთვის სისუფთავე იყოს დაცული, ვინაიდან მოუვ-ლელ ბალებში თუ ჩახერგილ ტყეებში მავნებელ-ავადმყოფობათა და-ზამთრება ხდება და გაზაფხულზე დადგება თუ არა მათი გამოჩენის ვადა, უფრო სწორედ რომ ითქვას, გამოლგიძება, მაშინვე იწყება მათი უარყო-ფითი მოქმედება. ყველა ეს რომ თავიდან ავიცილოთ, საჭიროა:

1. ნაკვეთები გაიწმინდოს მოსავლის ყოველგვარი ანარჩენებისაგან, ყურადღება უნდა მიექცეს ხეებზე შერჩენილ, წარსულ წელს დაავადე-ბული ნაყოფების შეგროვებას, მავნებელთა ბუდეების შეჭრას და დაწ-ვას.

აუცილებელია დავადებული და გამხმარი ტოტების გასხლვა, ხოლო

გამხმარი ხეების — ამოძირება, ხეხილის ბალებში ძირნაყარის უსათუოდ შეგროვება, მეტადრე ნაყოფქამიების და ნაყოფების სიღამპლის საწინააღმდეგოდ; ბალებში ხის შტამბზე გამხმარი და ძველი ქერქის ჩამოფეხა, ფრთხილად შეგროვება და დაწვა; ნაკვეთის მოსაზღვრე ადგილებზე საჭიროა სარეველების მოთიბვა, ვინაიდან ასეთ ადგილებში ხშირად მავნებლები იბუღებენ და მათი რეზერვაციის ადგილებად ითვლება.

გიორგი გიური ეთოლით არალა

ქიმიურ მეთოლთან შედარებით ბიოლოგიური მეთოდით ბრძოლამ მართალია, პრაქტიკაში ჯერ კიდევ ფართო გავრცელება ვერ მოიპოვა, მაგრამ უკანასკნელ ხანებში როგორც სამეცნიერო კვლევას, ისე მისი შედეგების წარმოებაში გამოყენებას, საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება. იგი დაკავშირებულია ბუნების განავითნების საწინააღმდეგო ბრძოლის პროცესთან. ბიოლოგიური მეთოდის გამოყენებით შესაძლებელი ხდება ქიმიურ შესხურებათა ჯერადობის რამდენადმე შემცირება, ამით პესტიციდების გამოყენება ნაწილობრივ იზღუდება და ბუნების განავითნების შესაძლებლობა მცირდება.

ბიოლოგიური მეთოდით ბრძოლის დროს სასოფლო-სამეურნეო კულტურების და ტყის ჯიშების მავნებელ-ავაღმყოფობათა წინააღმდეგ გამოყენებულია ბუნებრივ ცენოზებში გავრცელებული მათივე მტრები, რომლებიც ჩვენთვის სასარგებლო ორგანიზმებად ითვლებიან.

სასარგებლო ორგანიზმების სამი ჯგუფია:

მ ტ ა ც ე ბ ე ლ ი მ წ ე რ ე ბ ი, რომლებიც უშუალოდ მავნებლის კვერცხებს, მატლებს და ჭუპრებსაც უშუალოდ ანაღვურებენ, ჰამენ; მეორენი პ ა რ ა ზ ი ტ ე ბ ი ა, რომლებიც მავნებლის სხეულში ან კვერცხში კვერცხსა დებენ, შიგ ვითარდებიან და საბოლოოდ მავნებელი იღუპება, მესამეა როდესაც მწერები ს ი მ ბ ი ი ზ უ რ დამკიდებულებაში იმყოფებიან ე. ი. როდესაც მწერები ერთიმეორეს ეხმარებიან. მაგ. ბუგრი და ჭიანჭველები. უკანასკნელი ბუგრის კერებს მათი ტკბილი გამონაყოფისაგან ათავისუფლებენ, მით იკვებებიან და ერთდროულად იცავენ მტრებისაგან.

სასარგებლო ორგანიზმები სხვადასხვა ჯგუფს ეკუთვნიან. მაგალითად, მწერებს, ტკიპებს, ბაქტერიებს, სოკოებს (ენტომოფაგები), ვირუსებს და სხვას.

ბიოლოგიური მეთოდით ბრძოლა, უმთავრესად, გამოყენებულია მავნებლების, კერძოდ, მწერების ჯგუფის საწინააღმდეგოდ. სოკოვან ავაღმყოფობათა საწინააღმდეგოდ კი ჯერ არა პრაქტიკაში გამოყენებული, თუმცა ამ მიმართულებით კვლევა-ძიება მიმდინარეობს. ხელ-შემშლელია ის გარემოებაც, რომ ავაღმყოფობათა გამომწვევი ორგანიზმებისათვის (მაგ. სოკოების, ბაქტერიების, ვირუსების) პარაზიტები

ჭერ ჭიდევ ცნობილი არ არიან, ბუნებაში იშვიათად გვხვდებიან. მიკრობების გამოყენება მცენარეთა მავნებლების საწინააღმდეგოდ კი მნიშვნელოვანია. ამიტომაა, რომ ბიოლოგიური მეთოდით ბრძოლაში ცალქებამოყოფილი ე. წ. მ ი კ რ ო ბ ი ო ლ ო გ ი უ რ ი ბრძოლის მეთოდები, რომელშიც სოკოები, ბაქტერიები, ვირუსები შედიან.

მავნებლებთან ბიოლოგიური მეთოდით ბრძოლა, უმთავრესად, მწერებით ხდება. იგი ფიტოპათოლოგიის შესწავლის საგნაც არ ითვლება, სასოფლო-სამეურნეო ენტომოლოგიაში შედის. ჩვენ მათ დაწვრილებით არ განვიხილავთ, მაგრამ ბრძოლის ორგანიზაციის მხრივ ბუგრი რამ საერთო აქვთ. შევჩერდებით მხოლოდ უმთავრეს წარმომადგენლებზე, რომლებიც ჩვენ გვხვდებიან.

ბიოლოგიური მეთოდი გამოიყენება სუბტროპიკულ ზონაში, ციტრუსების აკსტრალიური ღარიანას ცრუფარიანას ანუ იცერის საწინააღმდეგოდ. იყენებენ მტაცებელ მწერს Rodolia-ს ჯუფიდან, რომელიც იცერის კვერცხებით, მატლებით იკვებება. Cryptolemus ჭიამაიათა ჯუფს ეკუთვნის, იკვებება ციტრუსების ფქვილისებრი ფარიანას კვერცხებით, მატლებით; მტაცებლებს ეკუთვნის აგრეთვე ჩვენში შემოყვანილი ნაძვის დიდი ლაფნიჭამიის მტაცებელი მწერი რიზოფაგუსი (Rizophagus), რომელიც იკვებება ლაფნიჭამიის მატლებით; ვაშლის ბურტყლა ბუგრის საწინააღმდეგოდ მისი პარაზიტი აფილინუსია გამოყენებული, რომელიც ბუგრის სხეულში კვერცხსა დებს და ვითარდება. საბოლოოდ ბუგრი იღუპება.

ხერხემლიანთა ჯუფიდან აღსანიშნავია მინდვრის თაგვების საწინააღმდეგოდ ბაქტერიული პრეპარატის გამოყენება. სათესლე მასალას ბაქტერიებით ანაგვიანებენ და შემდეგ შეაქვთ თაგვის სოროში. თაგვები ავადდებიან და აგადმყოფობა სხვა თაგვებზედაც გადააქვთ.

მიკრობიოლოგიური მეთოდებიდან აღსანიშნავია ბაქტერიების გამოყენება სხვადასხვა მავნებლების საწინააღმდეგოდ. უკანასკნელ პერიოდში, ბაქტერიებიდან ქარხნული წესით მზადდება პრეპარატი ე ნ ტ ო ბ ა ქ ტ ე რ ი ნ ი ს სახელწოდებით. დამზადებული პრეპარატის ერთ გრამ ფსევნილში 30 მილიარდი ბაქტერია შედის. გამოიყენება როგორც მშრალი, ისე სუსპენზიის სახით. მოქმედების სპექტრი საკმაოდ დიდია. 50-მდე მავნებლის წინააღმდეგ იხმარება.

ბაქტერიული პრეპარატია აგრეთვე დ ე ნ დ ო ბ ა ც ი ლ ი ნ ი. გამოიყენება აბრეშუმქსოვების საწინააღმდეგოდ.


სოკო ორგანიზმებიდან მწერების წინააღმდეგ ბრძოლისათვის შეფრქვევით გამოიყენება Boveria bassiana ე. წ. მუსკარდინი. აზიანებს სხვადასხვა მწერებს. უკანასკნელ ხანებში შემოტანილი და გაფრცელებულია სოკო Aschersonia. გამოიყენებულია ციტრუსების ფრთათეთრას საწინააღმდეგოდ. სახლდება ფრთათეთრას ახალგაზრდა მატლებზე.

ბიოლოგიური მეთოდით ბრძოლა მოიხოვს ბრძოლისათვის სასაჩვებლო მწერების სათანადო რაოდენობის ყოლას, რათა დროზე და საკმაო რაოდენობით იყოს გაშვებული. კერებში, საღაც მავნებელი გამოჩნდება: ნაწილი ამ სასარგებლო მწერების ბუნებაში იზამთრებს, ნაწილი ზამთარს ვერ იტანს. უკანასკნელის მომრავლება საჭიროა სპეციალურ ლაბორატორიებში, ორანჟერეებში და სხვ. სასარგებლო მწერების მოსამრავლებლად ლაბორატორიები გახსნილია სუბტროპიკების ზონაში და კახეთში.

სოკოვან ავადმყოფობათა წინააღმდეგ მიკროორგანიზმების გამოყენება ჯერ კიდევ ჩანასახის მდგრამარეობაშია და პრაქტიკაში არაა, თუ არ მიყიდებთ მხედველობაში ზოგიერთი ანტიბიოტიკის გამოყენებას ჯერ კიდევ ლაბორატორიულ პირობებში.

მცენარის ავადმყოფობათა გამომწვევი სოკოების მიმართ საწინააღმდეგო სოკო პარაზიტის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ნაცროვანი სოკოების მიცელიუმზე მცხოვრები ზეპარაზიტი. სოკო Cicinobius-is-i იგი პიქნიდიუმშებში განვითარებული ერთუჯრედიანი სპორებით მრავლდება. სპორადან ძაფნაირი წინაზრდილი ვითარდება, რომელიც ნაცროვანი სოკოს მიცელიუმში იჭრება და შემდგომ ჰითებში ვრცელდება. ციცინობოლუსი ნაცროვანი სოკოს სხეულში ნაყოფსხეულებს სპორებით ავითარებს. საბოლოოდ ნაცროვანი სოკოს მიცელიუმი კვდება. ეს მოვლენა ბუნებაში ხშირად აღინიშნება. ციცინობოლუსის ძლიერი გავრცელების შემთხვევაში ნაცროვანების დეპრესიასაც იწვევს. პრაქტიკაში გამოყენებული არაა, ვინაიდან ციცინობოლუსი მხოლოდ ნაცროვან სოკოებზე ვითარდება. უკანასკნელი კი ობლიგატური პარაზიტია და ხელოვნურად მისი მომრავლება, გამრავლება და ბუნებაში გამოყენება შეუძლებელია.

ასეთი მდგრამარეობის ხელშემწყობია ის გარემოებაც, რომ ნაცროვან ავადმყოფობათა საწინააღმდეგოდ მეტად კარგი და მაღალეფექტიანი ქიმიური ღონისძიებანი არსებობს, კერძოდ გოგირდისა და გოგირდნართიანი პრეპარატები.



სურ. 99. ციცინობოლუსი შეჭრილი ნაცრის მიცელიუმში

პიმისა მეთოდით გრძლება

მიუხედავად იმისა, რომ მავნებელთა და ავადმყოფობათაგან მცენარეების დაცვის სხვადასხვა ხასიათის მეთოდები არსებობს (აგრძელებული, რული, ფიზიკური, ბიოლოგიური, სანიტარულ-ჰიგიენური და სხვ.), ქიმიური მეთოდებით ბრძოლა მათნც ძირითადია. ამის გამო სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებები მავნე, პათოგენური ორგანიზმების საწინააღმდეგოდ ბრძოლაში ფართოდაა გამოყენებული.

ქიმიური ნივთიერებათა ფართოდ გამოყენებას მრავალი საფუძველი აქვს, რომელთაგანაც შეგვიძლია დაგასახელოთ შემდეგი: ქიმიური ნივთიერებები მაღალ ეფექტს გვაძლევენ მავნებლებისა და ავადმყოფობის წინააღმდეგ ბრძოლისას. უნივერსალური ხასიათისა არიან, რამდენადაც გამოიყენებიან მრავალ სოკოვან და ბაქტერიულ ავადმყოფობათა საწინააღმდეგო; ქიმიური ნივთიერებათაგან შესაძლებელია კომბინირებული ნაზავების მიღება, რაც შესაძლებელსა ხდის ერთდროულად ვებრძოლოთ ავადმყოფობის გამომწვევ რამდენიმე ორგანიზმს; ქიმიური მეთოდების უპირატესობა იმაშიც მდგომარეობს, რომ მცირე დროის მონაკვეთში შესაძლებელია დიდი ფართობების დამუშავება, რაც მცენარეთა დაცვის მიზნით გაწეულ ხარჯებს ამცირებს. ამის უზრუნველსაყოფად კი საჭიროა მცენარეთა დაცვის საქმეში მექანიზაციის მაღალი დონის მიღწევა.

მცენარეთა დაცვის საქმეში გამოყენებული ქიმიური ნივთიერებები თავისი ბუნებით ყველა სახისაა: მუავები, ტუტები, და მათი ურთიერთ-მოქმედებით მიღებული ფუძიანი, ნეიტრალური თუ მუავე მარილები. ეს ნაერთები, ძირითადად, სასოფლო-სამეურნეო შხამები ანუ პ ე ს ტ ი ც ი დ ე ბ ი ა.

მიუხედავად გამოიყენების ფართო შესაძლებლობისა, ყველა ნაერთი პრაქტიკაში არ გამოიყენება, ვინაიდან მცენარეთა დაცვისათვის ხმარებული ნაერთები შემდეგ მოთხოვნილებებს უნდა აქმაყოფილებდნენ:

1. პესტიციდი უნდა იყოს ტოქსიკური პათოგენური ორგანიზმებისადმი და უვნებელი მკვებავი მცენარეებისადმი. უკანასკნელ ხანებში ასეთ მოთხოვნილებასაც კი აუკენებენ: შხამი მკვებავი მცენარის განვითარებაზე დადებით გაფლენას უნდა ახდენდეს, ე. ი. მცენარის ზრდისა და განვითარების სტიმულაციასაც უნდა იწვევდეს.

პესტიციდი არ უნდა წამლავდეს ადამიანსა და ცხოველებს, არ უნდა ანაგვიანებდეს ბუნებას, მაგრამ ეს, პირობა ხშირად არ სრულდება. ზოგიერთი პესტიციდი თბილსისხლიანებისთვისაც სახითაოა. ამ შემთხვევაში მისი კონცენტრაცია სამუშაო ხსნარში იძლენად მცირე უნდა ცყოს, რომ პათოგენურ ორგანიზმებს ხოცავდეს, ხოლო ადამიანზე და ცხოველებზე არ მოქმედებდეს. მაგალითად, დარიშხანოვანი პრეპარატები თბილსისხლიანებისათვის ძლიერი შხამია, მაგრამ დარიშხანის სუსტიკონცენტრაციის პრეპარატებს სისხლნაკლები ადამიანების სამკურნალოდაც იყენებენ.

2. პესტიციდი უნივერსალური თვისებების უნდა იყოს, ე. ი. ერთდროულად რამდენიმე პათოგენური ორგანიზმების წინააღმდეგ უნდა შეიძლებოდეს მისი გამოყენება. ამით ნაკვეთების დამუშავების ჯერადობა მცირდება, რაც მცენარეთა დაცვისათვის საჭირო თანხების დიდ ეკონომიას იძლევა.

3. მცენარეზე გადატანის შემდეგ პესტიციდს უნდა ჰქონდეს ხანგრძლივად შერჩენისა (მიწებების) და მოქმედების უნარი. თუ პესტიციდი შედარებით ადვილად ირეცება მცენარიდან, ეს მისი დიდი ნაკლია. თუ ხანგრძლივად შერჩა, პროფილაქტიკურ დანიშნულებასაც ასრულებს. ასეთია, მაგალითად, ბორჯოული სითხე, რომელმაც მცენარეთა მრავალი ავაღმყოფობის საწინააღმდეგო ბრძოლაში დიდი გამოყენება მოიპოვა:

4. პესტიციდი უნდა იყოს ადგილად დასამზადებელი და მარტივად მოსახმარი. უნდა უპასუხებდეს სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის მიერ დადგენილ ნორმებს და ტრანსპორტაბელური იყოს.

5. ქიმიური მეთოდებით ბრძოლის ჩატარება რენტაბელური უნდა იყოს, ე. ი. ფულადი გადაანგარიშებით, გაცილებით ნაკლები უნდა ჭდოდეს იმ ავაღმყოფობის ან მავნებლის მიერ მიყენებულ ზარალთან შედარებით, რომლის საწინააღმდეგოდაც ამ ბრძოლას ვატარებდით.

იშვიათ შემთხვევაში შეიძლება დავუშვათ რადიკალური მეთოდის გამოყენებაც, როდესაც ლონისძიება უფრო მეტი ჭდება ავაღმყოფობის ან მავნებლების მიერ გამოწვეულ ზარალთან შედარებით. ასეთი ლონისძიებები ეფექტს მომდევნო წლებში გვაძლევს. ამის საილუსტრაციოდ ასეთი მაგალითი შეიძლება მოვიყენოთ მევნენახეობიდან: თავის ფესვზე გაშენებულ ვენახებში ვაზი ფილოქსერისაგან ადვილად იღუპება. ფილოქსერით ძლიერ დავადებული ნაკვეთების გამობრუნება ძნელი ხდება. რადიკალურ პროფილაქტიკურ საშუალებად ითვლება ასეთ ნაკვეთზე ვაზის მთლიანად ამოძირება და ფილოქსერის გამძლე საძირებზე დამყნილი ვაზის გაშენება. მართალია, ამ ოპერაციის შემდეგ ვენაზი მოსავალს პირველ 3—4 წელს იმდენს არ იძლევა, მაგრამ 4—5 წლის შემდეგ ვენაზი ნორმალურად მოისხამს და აღარც ფილოქსერა აწუხებს; წინა წლებში გაწეული ხარჯების ანაზღაურება შემდეგ წლებში ხდება.

მცენარეთა დაცვისას გამოყენებულ ქიმიურ საშუალებებს ზოგადად პესტიციდები ეწოდება. მათ სხვადასხვა პრინციპებით აჯგუფებენ. ზოგჯერ საფუძვლად იღებენ იმ მავნებლებს, რომელთა წინააღმდეგ წარმოებს ბრძოლა; ზოგჯერ შხამების მოქმედების მექანიზმს იყენებენ, ზოგჯერ კი დაჯგუფების საფუძვლად ქიმიური პრინციპი, ე. ი. პესტიციდის ქიმიური ბუნებაა აღებული. უფრო ხშირად საბრძოლველი ობიექტების პრინციპია გამოყენებული. ამ საფუძველზე პესტიციდები შემდეგ ჯგუფებად ნაწილდებიან.

1. ფუნგიციდები (Fungi — სოკო, cide მოკვლა, მოსპობა)

გამოიყენებიან იმ ავადმყოფობათა საწინააღმდეგოდ, რომლებიც სოკო-
ვანი ორგანიზმებითაა გამოწვეული. ფიტოპათოლოგიური ობიექტების
უმრავლესობა სოკოვანი ორგანიზმებია.

2. ბ ა ქ ტ ე რ ი ც ი დ ე ბ ი (Bacteria — ბაქტერია და მოკვლა,
მოსპობა) გამოიყენებულია ბაქტერიული ორგანიზმებით გამოწვეულ ავად-
მყოფობათა საწინააღმდეგოდ.

3. ჰ ე რ ბ ი ც ი დ ე ბ ი (Herba — მწვანე ბალახი) გამოიყენება სა-
რეველა მცენარეების საწინააღმდეგოდ.

4. ი ნ ს ე ქ ტ ი ც ი დ ე ბ ი (Insecta — მწერი) მწერების საწინა-
აღმდეგოდ გამოიყენება. საკმაოდ დიდი ჯუფია.

5. ზ ო ო ც ი დ ე ბ ი — მლრღნელების საწინააღმდეგო შხამი.
ალსანიშნავია ის გარემოება, რომ პესტიციდების ობიექტების მი-
ხედვით დანაწილება ყოველთვის თანმიმდევრულად გატარებული არაა,
ვინაიდან შესაძლებელია ზოგიერთი ფუნგიციდი ერთდღროულად ბაქტე-
რიციდიც იყოს. მაგალითად, ბორდოული სითხე ბაქტერიციდიცაა და
ფუნგიციდიც, პოლუსულფიდები ფუნგიციდებიცაა და ინსექტიციდებიც.
გოგირდი ან ცინები — ფუნგიციდიც და აკარიციდიცაა (ტკიპების საწი-
ნააღმდეგო) და სხვ.

პესტიციდების დაყოფა იმის მიხედვითაც ხდება, თუ როგორია მავნე
ორგანიზმები მისი მოქმედება: თუ მწერები შეწამლული მცენარის ორ-
განოებით იკვებებიან, საკვებთან ერთად შხამიც ხდება საჭმლის მომ-
ნელებელ ტრაქტში, და მწერები იღუპებიან. ამგვარად შხამებს შინა-
განი ჰესტიციდები ეწოდება.

ზოგიერთ პესტიციდს ისეთი თვისებები აქვს, რომ სოკო პარაზიტის
ან მწერის სხეულის ზედაპირზე მისი მოხველრაც კი საკმარისია იმისთვის,
რომ დაიღუპონ. ასეთ პესტიციდებს კონტაქტურს უწოდებენ.

მეცნიერების იმ დარგს, რომელიც ცოცხალ ორგანიზმებზე შხამის
მოქმედებას შეისწავლის, ტოქსიკოლოგის, ტოქსიკოლოგია ეწოდება. ხოლო ამ
მეცნიერების ის დარგი, რომელიც შეისწავლის მცენარეთა დაცვისათვის
გამოსაყენებელ შხამებს ანუ პესტიციდებს — აგრძოლება — აგრძოლება —
ტოქსიკოლოგია (ბერიმი).

რამდენადაც ქვემოთ პესტიციდებს განვიხილავთ და განვიხილავთ
მათ გამოიყენებას, დოზირებას, კონცენტრაციასა და ხარჯვის ნორმებს —
საჭიროა ვიცოდეთ ამ ცნებათა ზუსტი განსაზღვრა.

დოზა ტოქსიკურობის ზომაა და გულისხმობს პესტიციდის ან მისი
საწყისის იმ რაოდენობას, რაც საჭიროა პათოგენური ორგანიზმის სიკვ-
დლისათვის. იგი განვიხილავება მილიგრამებით ან გრამებით და ცვალე-
ბადია, ვინაიდან დაკავშირებულია საბრძოლო ორგანიზმების თავისებუ-
რებაზე, გამძლეობაზე ან ხმის ამტანობაზე და ა. შ.

კონცენტრაცია ეწოდება პესტიციდის ოდენობას სამუშაო

ხსნარში. ჩვეულებრივ იგი სამუშაო ხსნარის ერთეულში, მაგალითად, ლიტერში პროცენტებით განისაზღვრება, ხოლო თუ მშრალი პრეპარატია, მაშინ წონის ერთეულებით განისაზღვრება.

ხ ა რ ჯ ვ ი ს ნ ო რ მ ა გულისხმობს სამუშაო ხსნარის თუ მშრალი პრეპარატის იმ ოდენობას, რომელიც უნდა დაიხარჯოს დასამუშავებელი ფართობის ერთეულზე, მაგალითად, მეტრზე (თუ მცირე ცდებია); წარმოების პირობებში ჰექტარზე გადაინგარიშება. მრავალწლიან კულტურებზე ექსპერიმენტული მუშაობის დროს ხარჯვის ნორმას ერთ ხეზე ანგარიშობენ. ხარჯვის ნორმაც ცვალებადია. შესაწამლავი მცენარის ტიპსა და მის ხნოვანებაზეა დამოკიდებული.

ქიმიური ღონისძიებების ჩატარების შემდეგ უნდა განისაზღვროს თუ რამდენად იმოქმედა შხამმა იმ ობიექტებზე, რომლის საწინააღმდევოდაც გამოვიყენეთ იგი. ეფექტურია თუ არა? ამისათვის საჭიროა, წამლობის შემდეგ ჩატარდეს ავადმყოფობათა აღრიცხვა — შემცირდა იგი, თუ იმავე ღონებზე დარჩა, რაზედაც წამლობამდე იყო? აღრიცხვის წესების მიხედვით სამი სახის ეფექტურობას არჩევენ.

ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი ე ფ ე ქ ტ უ რ ო ბ ა ს განსასაზღვრავად არკვევენ, თუ დალუპული მავნებლების ან ავადმყოფობათა მეჭეჭების რა პროცენტია გადარჩენილი; ამით იგებენ, თუ წამლობის ჩატარებით რამდენად განვისალდა მცენარე.

ს ა მ ე უ რ ნ ე თ ე ფ ე ქ ტ უ რ ო ბ ა ისაზღვრება იმის მიხედვით, თუ წამლობის შედეგად რამდენად იმატა მოსავლიანობამ, გაუმჯობესდა თუ არა სსასაქონლო ღირებულება. უკანასკნელის გასაგებად უნდა განისაზღვროს შენაწამლი და შეუწამლავი ნაკვეთების შედარებითი მოსავლიანობა.

ე კ ო ნ ი მ ი უ რ ი ე ფ ე ქ ტ ი ი ა ნ ი ბ ა ირკვევა ჩატარებულ ღონისძიებებზე გაწეული ხარჯების გადარჩენილი მოსავლის ნამატის ღირებულებასთან შედარებით.

პესტიციდების გამოყენების მეთოდები

მცენარეთა ქიმიური დაცვის ძირითადი ამოცანაა პესტიციდების მოხვედრა საბრძოლველი ობიექტების ზედაპირზე ან ქსოვილებში, შიგნით, რათა შხამმა იმოქმედოს პათოგენური ორგანიზმის ცოცხალუქრებებზე და მოკლას ან იმდენად იმოქმედოს მასზე, რომ მისი შეშდგომი განვითარება შეჩერდეს. როდესაც პათოგენის სხეული კვდება, გამოყენებული შხამის მოქმედებას ფუნგიციდურს უწოდებენ, ხოლო, როდესაც შხამი კი არა კლავს, არამედ აჩერებს პათოგენის განვითარებას და მცენარე თავს აღწევს დაავადებას, შხამის მოქმედებას ფუნგიციურ რა ტიპურს უწოდებენ.

პესტიციდის ფიზიკურ თუ ქიმიურ თვისებებთან დაკავშირებით მათი მცენარეზე გადატანის მეთოდები სხვადასხვანაირია. ესენია: შესხუ-

რება, შეფრევევა, ფუმიგაცია ანუ ხრისტოვა, შინა-
განითერაპია, თესლის შეწამლვა, მისატყუე-
ბელი მასალების გამოყენება და სხვ.

ქიმიური ბრძოლის მეთოდებიდან ყველაზე მეტადაა გავრცელებული
შეს ხურიელი იგიუნივერსალური მეთოდია, რამდენადაც ერთდროუ-
ლად შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ავადმყოფობათა მთელი კომპ-
ლექსის საწინააღმდეგოდ.

შესხურების არსი იმაში მდგომარეობს, რომ პესტიციდი თხიერი სა-
ხისაა და მცენარის ვარჯზე (ტოტებზე, ფოთლებზე და ნაყოფებზე) სპე-
ციალური აპარატებით, ე.წ. სასხურებლებით, წვრილი წინწკლების სა-
ხით გადავაჭვს. პესტიციდი თავისი ფიზიკურ-ქიმიური ბუნებით სხვადა-
სხვა სახის დისპერსული სისტემაა. უკანასკნელი დისპერსული სისტემა
არანაკლებ ორი ფაზისაგან შედგება: პირველია დისპერსული
ფაზა, რომელიც მეტად წვრილი ნაწილაკების სახითაა განაწილებული
ე.წ. ძირითად დისპერსულ ფაზაზე, რომელიც მეორე ფაზაა
და მცენარეთა ქიმიურ დაცვაში მას შემცველი და უწოდებენ.

დისპერსული ფაზა — პესტიციდის ქიმიურ ბუნებასთან დაკავშირე-
ბით ის ნივთიერებაა, რომელიც წვრილი ნაწილაკების წვეთების, ან ბუნე-
ტუკების სახითაა განაწილებული სამუშაო ხსნარის ძირითად მასაში ანუ
დისპერსულ არეში (შემცვებელში). თუ დისპერსული ფაზა, ე. ი. მოქ-
მედი საწყისი, მაღალ დონეზე გახსნილი შემცვებელში იმდენად, რომ
სრულიად თანაბარი ხსნარია მიღებული, სითხე ერთგვაროვანია, ჰომო-
გენური. ასეთ დისპერსულ სისტემას უწოდებენ ჭერი მარიტ ანუ
მოლურ ტერმინების ხსნარის. ასეთია, მაგალითად, წყალი და სპილენძის
შაბიამნის ხსნარი.

თუ სამუშაო ხსნარში დისპერსული ფაზა შესამჩნევია, ე. ი. იგი ცალ-
კე ნაწილაკების სახითაა დისპერსულ გარემოში, მაშინ მას ჲეტერო-
გენულ დისპერსულ ხსნარს უწოდებენ. დისპერსული ფაზა შეიძლება
იყოს შემდგარი კოლოიდური ნაწილაკების, სუსპენზიების, ემულსიები-
სა და აეროზოლების სახით.

ჭერშარიტი ხსნარების შემთხვევაში იგულისხმება ისეთი დისპერ-
სული სისტემა, როდესაც შემცვებელში, მაგალითად, წყალში
მთლიანად გახსნილია და გამჭვირვალე ხსნარია.

კოლოიდური სისტემა ნიშნავს დისპერსულ წებოვან სისტემას, იგი
ნამდვილ ხსნარებსა და სუსპენზიებს შუა მდებარეობს. მისი დამახასია-
თებელი თვისება ისაა, რომ ნაწილაკების აგრეგაცია ანუ შეჯგუფება —
შეკვრა არა ხდება, სტაბილურია.

სუს ჲეტეროზიას ისეთ სისტემას უწოდებენ, როდესაც მოქმედი
საწყისი სამუშაო ხსნარში მაგარი, წვრილი, მოტივტივე ნაწილაკების სა-
ხითაა განაწილებული. შემცვებელში ასეთი სუსპენზიების მიღება ქი-

შიური რეაქციების შედეგია, რაც უფრო წვრილია მაგარი მოტივტივე ნაწილაკები, მით უკეთესია სუსპენზია. ნაწილაკების ზომა 0,1—0,5 მიკ-რონს არ უნდა აღემატებოდეს. რაც უფრო დიდია ნაწილაკი, მით უფრო ადვილად ილექტება და მცენარეზე ნაკლებად შეჩება. დამზადებული სუსპენზია, ისევე როგორც სხვა თხიერი პესტიციდები, უსათუოდ სტაბი-ლური, ე. ი. მყარი უნდა იყოს და ადვილად არ იშლებოდეს.

სუსპენზიების სტაბილურობისათვის სამუშაო ხსნარში უმატებენ დამატებით ნივთიერებებს ანუ სტაბილიზატორებს, მაგა-ლითად, სულფიტცელულოზას ექსტრაქტს და სხვ.

ე მ უ ლ ს ი ა ისეთი დისპერსული სისტემაა, რომელიც შემდგარია ორი ერთმანეთთან შეურეველი სითხის გან, რომელთა-განაც ერთი განაწილებულია სამუშაო სითხეში წვრილი, ერთმანეთისაგან დაშორებული წვეთების სახით. წვეთის ზომა არ უნდა აღემატებოდეს 0,1 მიკრონს. ძირითად ხსნარში შერეული წვეთები იქნება ე მ უ ლ გ ა-ტორი, რომლის ხსნარში შერევა ისეთ აპარატში ხდება, რომელთაც სპეციალური შემრევები მოეპოვებათ. მცენარეთა დაცვის საქმიანობაში სახმარ ემულგატორებად საპონი, ზეთები და სხვა ითვლება. მცენარეული წარმოშობის ბუნებრივ ემულსიად ითვლება, მაგალითად, კაუჩუკის ხის წვენი, ლელვის რძე, რძიანა ბალახის გამონაყოფი; ცხოველურისა — რძე და სხვ.

შესხურებას აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. დადებით მხარედ ითვლება, თუ წესიერად შეასხურეს — მცენარის ზე-დაპირზე წვეთების თანაბარი განაწილება, აგრეთვე მცენარის ზედაპირზე მიწებების უნარი, რის გამოც შხამი ხანგრძლივად რჩება მცენარის ზედაპირზე, და, რაც მთავარია, პესტიციდების დახარჯვის დანაკარგების სიმცირე და ეკონომიურობა.

შესხურების ნაკლად უნდა ჩაითვალოს ჯერ ერთი, ის, რომ მეურნეობას დიდი რაოდენობით სჭირდება წყლით მომარაგება; მეორე ის, რომ დიდი ფართობების დამუშავება ხშირად გაძნელებულია წყლის ტრანს-პორტირების სიძნელის გამო. უხერხულობას იწვევს ის გარემოებაც, რომ სამუშაო ხსნარი აღილზე მზადდება; ამასთან ერთად დიდი რაოდენობა სითხის გამოყენების გამო შრომის ნეულფიერება დაბალია და სხვ.

შესხურებისას სამუშაო ხსნარის დახარჯვის ნორმები სხვადასხვანაირია. იგი დამოკიდებულია როგორც გამოსაყენებელი პესტიციდის ტოქ-სიურობაზე, ისე მცენარის ფიტოციდურ ან დაწვისადმი მგრძნობიარობაზე, აგრეთვე თვით მცენარის ხნოვანებასა და რაობაზე, მისი კულტურის თავისებურებაზე.

პესტიციდების ხარჯვის ნორმები განისაზღვრება ჰექტარების მიხედ-ვით. მაგალითად, მინდვრის, ბოსტნეულ და ტექნიკურ კულტურებზე საშუალოდ მიღებულია ნორმა ერთ ჰექტარზე 300—500 ლიტრამდე.

ხოლო მრავალწლოვან მცენარეებზე — 800—2000 ლიტრამდე. შეამე-
ბის ხარჯების ნორმების ასეთი დიდი სხვაობა ხეებისა და ბუჩქოვან მცე-
ნარეთა ხნოვანებაზეა. დამოკიდებული.

შეფრთხევა ვ ა იმით განსხვავდება შესხურებისაგან, რომ პეტი-
ციდის ვიყენებთ მშრალი, მტერისებრი ფხვნილის სახით, რომელიც მცე-
ნარების ან, იშვიათად, ნიადაგის ზედაპირზე გადაგვაჭვს სხვადასხვა
სპეციალური საფრქვევი. აპარატებით.

შეფრთხევებაც უნივერსალურ საშუალებად შეიძლება ჩაითვალოს,
რამდენადც ბევრ შემთხვევაში კომპლექსური მოქმედებისა; ზოგჯერ
ერთდროულად გამოიყენება ავაღმყოფობებისა და მავნებლების საწინა-
ოლმდევობდ, მაგალითად, ნაცროვან ავაღმყოფობათა და ტკიპებისაგან
დაზიანების შემთხვევაში გოგირდის შეფრთხევებას იყენებენ.

შეფრთხევას, შესხურებასთან შედარებით, დიდი უპირატესობა აქვს:
მისი გამოყენება ძალიან აღვილია და ამავე დროს მარტივიც. თუ შესას-
ხურებელი პეტიციდის გამოყენების შემთხვევაში წყლით მომარაგებაა
საჭირო და სამუშაო ხსნარის აღილზე დამზადება, შესაფრქვევი პრეპა-
რატები ქარხნული წესით დამზადებული მოაქვთ აღილზე და მათი გამო-
ყენება საფრთხევი აპარატებით მაშინვეა შესაძლებელი.

შეფრთხევის დადებით მხარედ ისიც ითვლება, რომ მისი ჩატარება
შეიძლება მექანიზებული წესით, მაგალითად, ავიაციის საშუალებით
(ავიაშეფრთხევები), რის გამოც მოკლე ხნის განმაჟლობაში შესაძლებელი
ხდება დიდი ფართობის დამუშავება. ამ ფაქტორს კი ღონისძიების მაღალი
ეფექტურობის თვალსაზრისით ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა
აქვს. ერთი თვითმფრინავით ან ვერტმფრენით ერთ სამუშაო დღეში შე-
საძლებელია დამუშავდეს 30—50 ჰექტარი ფართობი, მაშინ, როცა ერთი
ჰექტარი ვენახის ხელით დამუშავებას 2—3 მუშა სჭირდება.

შეფრთხევას მნიშვნელოვანი ნაკლიც მოეპოვება. კერ ერთი, რომ
ჩატარებისას დიდი სიფრთხილეა საჭირო, რამდენადც ადამიანისა და
ცხოველების მოწამელაა მოსალოდნელი. გარდა ამისა, შეფრთხევის
ეფექტურობა ხშირად ქარზე, ნიავზე, ატმოსფეროს აღმავალ დღნაზეა
დამოკიდებული, რომელთა მოქმედებით შეამმა შესაძლებელია დანიშ-
ნულ აღილს კერ მიაღწიოს და შეფრთხევა უფერესო აღმოჩნდეს. ჰერ-
ბიციდების უხეიროდ და გაუფრთხილებლად შეფრთხევისა. შეიძლება
სარგებლობის ნაცვლად დიდი ზარალი მივიღოთ. აღვილი შესაძლებელია,
რომ ჰერბიციდის მტერი სუსტმა ქარმა შორს მანძილზე გადაიტანოს
და დააზიანოს კულტურული ნათესები. მაგალითად, ხორბლეულთა ნათე-
სების ჰერბიციდებით დამუშავებისას ხშირად მეზობლად მდებარე მზე-
სუმზირას ნათესები და ქარსაცავები ზიანდება (მაგალითად, შირაქში);
ხშირია ჰერბიციდების უხეიროდ გამოიყენების მიზეზით ვენახების და-
ზიანების შემთხვევები და სხვა.

შეფრქვევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაკლად ისიც ითვლება, რომ პესტიციდები დიღი რაოდენობით იხარჯება, ამასთან მცენარის ზედაპირზე ხშირად არც ისე თანაბრად ნაწილდება, როგორც შესხურების დროს.

შესაფრქვევი პესტიციდები უნდა შეიცავდეს წვრილ ნაწილაკებს. ამ ნაწილაკების ზომა ხელით ან ტრაქტორებით შეფრქვევის დროს არ უნდა აღმატებოდეს 15—25 მიკრომს, ავიაციით შეფრქვევისას კი — 25—40 მიკრომს.

მნიშვნელობა აქვს ნაწილაკების ფორმისაც. თუ ნაწილაკები სფერული ფორმისაა, მათ მოეპოვებათ მცენარის ზედაპირთან შეხების მხოლოდ ერთი წერტილი, რის გამოც კარგად ვერ ეკვრიან და ადვილად ცვივიან. თუ ნაწილაკები ბრტყელია ან დაკუთხული, მაშინ მტკიცედ შერჩენის უნარიც უფრო მეტი აქვთ. რაც უფრო მსხვილია ნაწილაკები, მით უფრო ადვილად ეცემა მცენარის ზედაპირზე; თუ ძლიერ დისპერსულია — ნაწილაკები ოპტიმალურ ოდენობაზე მცირეა, მაშინ შეფრქვეული მტკიცერი ნისლის სახით ხანგრძლივად რჩება ჰაერში და მოსალოდნელია აქაც ქარისა თუ ნიავის მოქმედებით მისი დიდ მანძილზე გადატანა. საჭიროა შესაფრქვევი პესტიციდის ნაწილაკები ყოველთვის ოპტიმალური ზომისა იყოს. ნაწილაკების მცენარეზე მიწებებისა და შერჩენის უნარი ხშირად დამოკიდებულია მცენარის ზედაპირზე. პესტიციდის ნაწილაკების ელექტრომუხტზე უკანასკნელი ვითარდება პესტიციდის ნაწილაკის აპარატში გაფრქვევების ან ჰაერის ფენებში გავლის დროს გამოწვეული ხახუნით. დამუხტული ნაწილაკის მცენარის ზედაპირზე მოხვედრის დროს, თანახმად ინდუქციის კანონისა, წარმოიქმნება საწინააღმდეგო მუხტი, რის გამოც ისინი ერთმანეთს მიიზიდავენ, და მიწებებაც უკეთესია.

მოქმედი საწყისის ექონომისა ან პრეპარატის გაიაფების მიზნით შშრალ პრეპარატებში ხშირად ურევენ შემვსებლები და სხვ გამოიყენება. ამ მიზნით იყენებენ ნეიტრალურ ფხვნილებს, მაგალითად, გზის მტკიცერს, ტალკს, ნაცარის, ცარცუს თიხსა, და სხვ. თუ მოქმედი საწყისი 5—10%-ია, დაბარჩენი შემვსებელია. ასეთ ნარევში გაუმჯობესებულია პრეპარატის ფიზიკურ-ქიმიური თვისებები და, ამავე დროს, სუფთა პრეპარატებთან შედარებით ნაკლებ ეფექტიანიც არაა. ასეთ ნაზავებს დუსტ უწოდებენ; რაც ინგლისურად „მტკიცერს“ ნიშნავს.

შშრალი პრეპარატების ზოგიერთი თვისების გასაუმჯობესებლად, მაგალითად, მიწებების უნარის გასაძლიერებლად, პრეპარატს უმატებენ 3—5%-მდე სოლარის ან თითისტარის ზეთს. ზეთების პრეპარატებში შეტანის შედეგად წვრილი ნაწილაკების გაერთიანება ხდება, ოპტიმალურ ზომამდე აღწევს და მცენარეზე შერჩენის უნარი ძლიერდება. ამ პროცესს ბონი ფიკაციას უწოდებენ, გამოყენებულ ზეთებს კი — ბონი ფიკატორებს.

ფუმიგაცია, ანუ სროლვა პესტიციდის გამოყენების სეთი მეთოდია, როდესაც იგი აირისებრ მდგომარეობაში მოქმედებს მავნებელზე ან ავაღმყოფობაზე. ამგვარი შხამი ჰაერს ერევა და მავნებელი იწამლება ასეთი ჰაერის სუნთქვით. ამ მეთოდს ფიტოპათოლოგიური ობიექტებისათვის იმდენად დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ზოგ შემთხვევაში ბაქტერიებისა და სოკების საწინააღმდეგოდ შეგვიძლია გამოვიყენოთ იგი, თუ კი ფუმიგანტად მოვიხმართ ფორმალინს (პარაფორმი).

ფუმიგაცია ფართოდაა გამოყენებული ორანჟერებისა და კვალსათბურების ნიადაგის დეზინფექციისათვის. ფუმიგაცია ტარდება აგრეთვე ლია ნაკვეთებზედაც, მაგალითად, ხეების ფუმიგაცია — ბრეზენტის კარვების გამოყენება ციტრუსებზე, წეხილზე ფარიანების საწინააღმდეგოდ; რომლებიც სხვა პესტიციდებისადმი შედარებით გამძლედ ითვლებიან.

ფუმიგაციის მთავარი დანიშნულებაა შხამი იმ ადგილებში მოხვდეს, და იმოქმედოს, სადაც სხვა მეთოდების გამოყენებით ვერ ვაღწევთ (წვრილ ბზარებში), როდესაც მცენარეული პროდუქტები სქელ შრედ ან გროვებადაა შენახული (მაგალითად, ბურტებში),

ყველა ფუმიგანტი, რომელთაც აირისებურ მდგომარეობაში ვიყენებთ, უნდა აქმაყოფილებდეს განსაკუთრებულ მოთხოვნილებებს; ადვილად უნდა გადადიოდეს აირისებრ მდგომარეობაში, ადვილად უნდა ერეოდეს ჰაერს, ადვილად არ უნდა ფეთქდებოდეს, არ უნდა მოქმედებდეს მეტალის ნაწილებზე და, რაც მთავარია, უნდა ხოცავდეს იმ მავნებლებს, რომელთა საწინააღმდეგოდაც მას ვიყენებთ.

ფუმიგაციის ჩატარება ტექნიკურად ადვილი საქმე არაა. თუ დახურული შენობის ფუმიგაციის ვატარებთ, შენობის ჰერმეტულად დახურვაა საჭირო; შემდეგ შენობილან ჰაერის ნაწილი უნდა გამოისუტოს, რომ შიგნით ჰაერი გაიშვიათდეს და შეიქმნეს ვაკუუმი და ამის შემდეგ აირმაგვარი შხამი ჰაერთან ერთად შენობაში უნდა შევუშვათ. ასეთ პარობებში შხამი ჰაერთან ერთად შენობის ყველა ადგილს ხვდება და ხოცავს მავნებლებს თუ ბაქტერიებს და სოკებს; გარდა ამ წესისა, ფუმიგაცია შესაძლებელია ჩატარდეს ფუმიგანტის შენობაში მობნევით; თხიერი ფუმიგანტით იატაკის ან კედლების შესხურებით ან მოსხმით; ლია ჭურჭლით, მაგალითად, თეფშებში დადგმით; ფუმიგანტით ტილოების დასველებისა და ოთახში დაფენის საშუალებით და სხვ.

ყველა შემთხვევაში შენობის ჰერმეტულობა აუცილებელი პირობაა.

ფუმიგაციისას ხმარებული შხამები აღამიანსა და ცხოველებისათვის სახითათოა და საჭიროა ყოველთვის აირწინაღებით მუშაობა.

სათესლე და სარგავი მასალის შეწა მ ვ ლ ა პესტიციდების გამოყენების თავისებურ მეთოდს წარმოადგენს. შესაძლებელია იგი ზოგ შემთხვევაში შესხურებას უახლოვდებოდეს. ხშირად

ხმარობენ ტერმინ დ ე ზ ი ნ ფ ე კ ც ი ა ს; როდესაც შეწამვლა გამოყენებულია მცენარის ავადმყოფობათა გამომწვევი ორგანიზმების (სოჭოების, ბაქტერიების) საწინააღმდეგოდ, ხოლო დ ე ზ ი ნ ს ე კ ც ი ა — მწერების საწინააღმდეგოდ ჩატარებულ ონისძიებათა აღსანიშნავად.

ამ მეთოდით დამუშავებისას სხვადასხვა შხამებს იყენებენ: თხიერს ჩ ა ს ვ ე ლ ე ბ ი ს ა ნ დ ა ნ ა მ ვ ი ს მეთოდით, ხოლო მშრალს — თესლის გამტვრიანებით.

ჩასველების მეთოდი გულისხმობს დამზადებულ სამუშაო ხსნარში თესლისა თუ სარგავი მასალის სხვადასხვა ექსპოზიციით ჩაყურსებას. უკანასკნელი დამოკიდებულია პარაზიტული ორგანიზმის ბიოლოგიურ თვისებებზე და მკვებავი მცენარის შხამისაღმი გამძლეობაზე.

თესლის სარგავი მასალის თუ კალმების დეზინფექცია მიმართულია, უმთავრესად, მათ ზედაპირზე ბუნებრივად თუ ხელოვნურად მოხვედრილი საინფექციო საწყისის საწინააღმდეგოდ. შხამში მოხვედრისას იგი იღუპება.

თუ საინფექციო საწყისი თესლის შიგნითაა, ხოლო გარედან დაფარულია თესლის კანით, ეს ონისძიება არ იძლევა ეფექტს და მაშინ მიმართავენ ფ ი ზ ი კ უ რ დ ე ზ ი ნ ფ ე კ ც ი ა ს, კერძოდ, ტემპერატურის ზემოქმედებას, რასაც თესლის გახურებას უწოდებენ. ისეთი ტემპერატურა უნდა იყოს გამოყენებული, რომ თესლში პარაზიტის საწყისი მოკლას, ხოლო თესლმა გალივების უნარი არ დაკარგოს. ასეთ მეთოდს იყენებენ, მაგალითად, ხორბლისა და ქერის მტკრიანა გუდაფშუტების (*Ustilago-tritici*, *Us. puda*) წინააღმდეგ.

თესლის დ ა ნ ა მ ვ ი ს დროს იგულისხმება ხსნარის მოსხმა სათესლე მასალაზე მისი განესტიანების მიზნით.

თესლისა და სარგავი მასალის დეზინფექცია აუცილებელია, მიუხედავად იმისა, ადგილობრივი იქნება ეს მხსალა, თუ სხვა რაიონებიდან შემოტანილი. შეწამვლის აუცილებლობა იმითაა გამოწვეული, რომ შესაძლებელია სხვადასხვა მავნე პარაზიტების მოყოლა და აუცილებელია მათი მოსპობა, ვინაიდან ახალ ადგილსამყოფელში პარაზიტები განვითარების კარგ პირობებს პოულობენ და მავნე მოქმედებას იწყებენ. ამის მაგალითებად შევვიძლია შემდეგი შემთხვევა დავასახელოთ:

ასეთი მავნე და საშინელი პარაზიტი, როგორიცაა ვაზის ჭრაქის გამოშვევი (*Plasmopara viticola*), შემოჰყვა ფილოქსერის საწინააღმდეგოდ ბრძოლის მიზნით ამერიკიდან შემოტანილ ამერიკული ვაზის ჯიშებს, რომლებიც საძირებად გამოიყენებოდა. იგივე ითქმის კარტოფილის ფიტოფთოროზის (*Phytophthora infestans*) შესახებ. იგი ამერიკიდან გავრცელდა ევროპის კონტინენტზე და შემოჰყვა ამერიკიდან მიღებულ კარტოფილის სათესლე მასალას.

უკანასკნელ ხანებში საქართველოში გავრცელებული ციტრუსების ხმელას (მალსეფი) გამომწვევი ორგანიზმი (*Phoma tracheiphila*) შემოჰყვა იტალიიდან მიღებულ სარგავ მასალას. ამ პარაზიტმა დიდი ზიანი მიაყენა როგორც ხმელთაშუა ზღვის, ისე საქართველოს ციტრუსების მეურნეობებს.

ხორბლის გუდაფშუტოვანი ავადმყოფობები ყოფელთვის თესლის საშუალებით გადადის.

იმისათვის, რომ ავადმყოფობები და მავნებლები ერთი რაიონიდან შეირეში ან უცხო სახელმწიფოდან ჩვენში სათესლე და სარგავი მასალის საშუალებით არ გავრცელდეს, შექმნილია სპეციალური ორგანიზაცია ე.წ. მცენარეთა კარანტინის გაუწიოს მცენარეებისა და მათი პროდუქტების ერთი რაიონიდან მეორეში გაგზავნასა თუ მიღებას.

იმის მიხედვით, თუ თესლის დეზინფექციისათვის პესტიციდი რა სახითაა გამოყენებული, შეწამვლა შეიძლება იყოს ს ვ ე ლ ი, ნ ა ხ ე ვ რ ა დ ს ვ ე ლ ი და მ შ რ ა ლ ი.

სველი შეწამვლის დროს თესლია და სარგავ მასალას ამუშავებენ სამუშაო ხსნარით. თესლი ტენს ითვისებს და იმდენად იზირჯვება, რომ ხშირად დათესვამდე მისი ონავ შეშრობაცაა საჭირო. სველი შეწამვლა, უმთავრესად, გამოიყენება ბოსტნეული კულტურების თესლის დეზინფექციისათვის, ისეთ ხორბლოვან მცენარეთა თესლის დასამუშავებლად, რომელთა მარცვალი კილითაა დაფარული (შვრია, ქერი, ბრინჯი). თესლის სველი მეთოდით შეწამვლა უკანასკნელ ხანებში აღგილს უთმობს მშრალად შეწამვლის მეთოდს.

ნ ა ხ ე ვ რ ა დ მ შ რ ა ლ ი შეწამვლის დროს თესლის შესაწამლა-ვად გამოიყენება უფრო ნაკლები რაოდენობის სითხე, მაგრამ უფრო მაღალი კონცენტრაციისაა, ვიდრე სველი მეთოდის შემთხვევაში. ასეთ პირობებში სამუშაო ხსნარი იმდენად მცირეა (30 ლიტრი 1 ტონა ხორბალზე), რომ თესლის ტენიანობა უმნიშვნელოდ მატულობს (0,5%) და საჭირო აღარაა მისი გაშრობა, რაც შრომატევად სამუშაოდ ითვლება. თესლის ნახევრად მშრალი მეთოდით შეწამვლა თესვამდე აღრეა შესაძლებელი.

მ შ რ ა ლ ი მ ე თ თ დ ი — უკანასკნელ ხანებში ფართოდაა პრაქტიკაში გამოყენებული, მეტადრე ხორბლოვანთა გუდაფშუტების საწინააღმდეგოდ. პრეპარატი მშრალია, ფხვიერი ქარხნული წესით დამზადებული და აღგილზე არაფრის დამატება არ სჭირდება. მშრალი მეთოდით სპეციალური შესაწამლავი მანქანებით წამლავენ.

მიუხედავად დადებითი მხარეებისა, მშრალ მეთოდს ზოგიერთი მნიშვნელოვანი ნაკლიც აქვს: მუშაობის დროს აუცილებელია იზრწინაღის გამოყენება, რადგანაც შხამი აღვილად ერევა მტვრის სახით ჰაერს და შესაძლებელია.

ლებელია ადამიანის მოწამვლა. ასეთი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით სათესლე მასალას წინასწარ ლდნავ ანოტიოებენ.

თესლის შეწამვლას ამჟამად ერთდროულად ატარებენ როგორც ავად-მყოფობათა, ისე მავნებლების საწინააღმდეგოდ. ამ მიზნით ჭარხნული წესით ამზადებენ კომბინირებულ შხამებს. ამგვარი შხამების გამოყენების შედეგად მუშაობა აღვილდება: ორჯერადი შეწამვლის ნაცვლად შეწამვლა ერთხელ ხდება.

შცენარეთა შინაგანი თერაპია

მიუხედავად იმისა, რომ მცენარეთა შინაგან თერაპიას, ანუ დაავადებულ ან მავნებლით მოდებულ მცენარეთა მკურნალობას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს (შევირიოვი, 1905), სოკოვან და ბაქტერიულ ავად-მყოფობათა საწინააღმდეგო მკურნალობა ჯერ კიდევ პრაქტიკაში ფართოდ გამოყენებული არაა და მისი გაერცელება მომავლის საკითხია. ამის მიზეზი ისაა, რომ სათანადო პესტიციდი, რომელიც მცენარის სხეულში შეუვანისას მასში არსებულ სოკოვან პარაზიტებს მოკლავს, მაგრამ მკვებავი მცენარის უჯრედებზე არ მოქმედებს — ჯერ კიდევ არაა მოძებნილი. უკანასკნელ ხანებში გამოვლინებულია ზოგი ისეთი ინსექტიციდი, რომელთაც ზოგიერთი მავნებლის და სოკოვან ავადმყოფობათა საწინააღმდეგოდ იყენებენ და შედეგიც დამაკმაყოფილებელია (მაგალითად, ინტრათიონი, როგორი, ბენომილი და სხვ.). მათ მცენარის სხეულში შეჭრის უნარი აქვთ და სისტემურ პესტიციდებს უწოდებენ. ისინი შეჭრის შემდეგ მცენარის წვენთან ერთად გაღინაშილდებიან მცენარის მთელ სხეულში ისე, რომ მცენარის უჯრედის წვენში შედიან. ასეთი შხამი სრულიად უვნებელი უნდა იყოს მცენარისათვის, ხოლო, როდესაც მავნებელი იკვებება მცენარის წვენით, რომელიც ამ შხამს შეიცავს, ეს მავნებელი კვდება. თუ ეს შხამი მავნებლებს არ კლავს, მცენარის წვენში ისეთ ქიმიურ თუ ფიზიოლოგიურ ცვლილებებს მაინც უნდა იწვევდეს, რომ პარაზიტი მცენარის წვენს საკვებად ვეღარ იყენებდეს, ან კიდევ მცენარეში შეტანილმა ნივთიერებამ — მცენარის სხეულში პარაზიტისა და მკვებავი მცენარის შორის მიმდინარე მეტაბოლიზმის შედეგად, გამოყოფილ ტოქსინებზე უნდა იმოქმედოს, დაშალოს ან გაანეიტრალის. ასეთ პირობებში მცენარის გამძლეობა მავნებელთა და ავადმყოფობათა მიმართ მატულობს, მისი შეფარდებითი იმუნიზაცია ხდება. შეტანილი შხამი მცენარეში მალე არ უნდა იშლებოდეს.

სისტემური შხამები მიღებულია უკანასკნელ ხანებში, მას შემდეგ რაც ქიმიაში ორგანულ სინთეზურ ნივთიერებათა წარმოება დაიწყეს, ამან ფართო გამოყენება პოვა მცენარეთა დაცვის საქმეშიც. მავნებლების საწინააღმდეგო ამჟამად ხმარებული პესტიციდების უმრავლესობა მათ ეკუთვნის. გამოჩნდა აგრეთვე სისტემური ფუნგიციდები და სხვა.

სისტემური შხამების მცენარეში შეტანის მეთოდები სხვადასხვაა. იგი დამოკიდებულია შხამის თვისებებზე და მცენარის ანატომიურ-მორფოლოგიურ თუ სხვა თავისებურებებზე.

სისტემური შხამის მცენარეში შეყვანის ყველაზე მარტივი მეთოდია სისტემური შხამით სათესლე მასალის შეფრევება, დასეველება და თესლით დალბობა. იგი შესაძლებელია აგრეთვე მცენარეში შევიყვანოთ მცენარის ფესვთა სისტემის გზით (მაშინ სისტემური შხამი ნიადაგში შეგვაჭვს), მცენარის ზედა ნაწილების ჩვეულებრივი შესხურებით, სპეციალური სისტემური შხამებით გაუღენთილი მცენარის ღეროზე სარტყლების შემოვრით და სხვა.

ა ე რ ო ზ ო ლ ე ბ ი

პესტიციდებს იყენებენ აგრეთვე აეროზოლების სახით. აეროზოლი ისეთ დისპერსულ სისტემას ჰქვია, როდესაც დისპერსული ფაზა მოქმედი საწყისი, ამ შემთხვევაში, შხამის კოლოიდური ნაწილაკები, ატმოსფეროს პარაში ან აირმაგვარ რაიმე ნივთიერებაშია განაწილებული. არჩევენ ორი სახის აეროზოლებს: თუ დისპერსული ფაზა ანუ შხამის ნაწილაკები მაგარი სხეულია, მაშინ ასეთი აეროზოლი ცნობილია როგორც ბოლი; თუ დისპერსული ფაზა თხიერია — ასეთ აეროზოლს ეწოდება ნისლი. სახელწოდება ერთისაც და მეორისაც ნამდვილად შეესაბამება მათ ფიზიკურ მდგომარეობას, რამდენადაც აეროზოლებით მუშაობისას სპეციალურ აეროზოლის გენერატორებში ნამდვილად ბოლის ან ნისლის ღრუბლები იქმნება. იგი დიდ მანძილზე ვრცელდება და ნელა იფარება მცენარის ზედაპირი. თუ დახურული შენობის დამუშავებას ვაწარმოებთ, შხამის ყველგან მოხვედრის მეტი საშუალება იქმნება.

ბოლის გამოყენება მცენარეთა დაცვაში ძველთაგანვეა ცნობილი. ბოლს, უმთავრესაც, მცენარეთა ყინვისგან დაცვის მიზნით იყენებენ. ამჟამად აეროზოლურ ბოლს მავნებლის საწინააღმდევოდ დაზურულ შენობებში, ორანერებებში იყენებენ. საველე პირობებში აეროზოლები გამოიყენება, უმთავრესად, მშერების მფრინავი ფაზების საწინააღმდევოდ და მაინც და მაინც მაღალ შედეგს არ გვაძლევს.

ბოლის მისაღებად იყენებენ ე. წ. აეროზოლური პესტიციდებით გაუღენთილ ფილტრის ქალალდს, რომელსაც ჯერ წინასწარ უღენთენ გვარჯილაში და შემდეგ აშრობენ და ორგანულ ნივთიერებაში გახსნილ კონცენტრირებულ პესტიციდიან ხსნარში ამუშავებენ. შემდეგ წვავენ და შხამიან ბოლს იღებენ. არსებობს სხვა კუსტარული მეთოდიც, მაგალითად თუჭის ან ფაიფურის ტაფებზე დაწვით. ცეცხლის წყაროდ გამოყენებულია ნავთქურები და ელექტროქურები.

უკანასკნელ ხანებში აეროზოლები ქარხნული წესით მზადდება თუნუქის სხვადასხვა ზომის ცილინდრულ ჭურჭლებში, ე. წ. საბოლე კოჭა-

კებში რაშიაც მოთავსებულია შხამიანი ბოლის შემქმნელი პესტიციდისა და მფერფლავი ცეცხლის წარმომქმნელი მასის ნარევი.

აეროზოლური ნისლის (ლრუბლის) შექმნისათვის გამოყენებულია გამხსნელ ორგანულ ნივთიერებებში, კერძოდ, ნავთობის მინერალურ ზეთებში (სოლარის, ტრანსფორმატორის, მწვანე ზეთების, დიზელის საწვავში) გახსნილი პესტიციიდები (ზეთებს დუღილის მაღალი ტემპერატურა უნდა ჰქონდეთ). ნისლის შექმნისათვის სხვადასხვა მეთოდი არსებობს, რომელთაგან უფრო მიღებულია ე. წ. თერმომექანიკური წესი. ამ შემთხვევაში სპეციალური აეროზოლის გენერატორია გამოყენებული, კერძოდ, დახურული შენობებისათვის და საველე პირობებისათვის.

ორივე შემთხვევაში შექმნილი მაღალდისპერსული ნაწილაკები ერთდროულად შხამის ნაწილაკების მატარებელიცაა და გენერატორებში განვითარებული მაღალი წნევით (7—8 ატმოსფერო) ნისლის სახით დიდ მანძილზე გადადის.

ქიმიური მეთოდი გამოიყენება აგრეთვე მისატყუებელი მასალებით მავნებლებთან ბრძოლის საქმეში. ამ შემთხვევაში ორ კომპონენტან გვაქვს საქმე: პირველია პესტიციიდი და მეორე — საკვები მასალა, რასაც მწერი დიდი ხალისით ეტანება (ხორბალი, ხორცი, ფეილი, ქატო, და სხვ.). საკვებ მასალას ურევენ შხამს, მაგნებელი იწამლება და კვდება; იმისდა მიხედვით, თუ რა ობიექტს ვებრძვით, მოწამლული მისატყუებელი მასალის შეტანა შესაძლებელია სხვადასხვა წესით ჩატარდეს: ნაკელში შეტანით, მწკრივთა შორის ნიაღავში შეტანით, ხელით თუ თვითმფრინავით მობნევით და სხვა.

რაკი მისატყუებელ მასალას საბრძოლველი ობიექტების მიზიდვის თვისებები ძლიერი აქვს, პრაქტიკული მუშაობისთვისაც უფრო მისაღება. მოშხამული მისატყუებელი მასალა გამოიყენებულია, უმთავრესად, მღრღნელებისა და მწერების საწინააღმდეგოდ. მისატყუებელი მასალის გამოყენების მეთოდის დადგნისას მხედველობაში უნდა იყოს მიღებული სასარგებლო ცხოველებისა თუ ფრინველების დაცვა.

მცენარეთა ავადმყოფობათა საწინააღმდეგო ბრძოლისათვის გამოსაყენებელი უმთავრესი ფუნგიციდები დაჯგუფებულია მათი ქიმიური ბუნების მახედვით.

სპილენზენაერთიანი ფუნგიციდები

1. გოგირდმჟავა სპილენი ანუ სპილენის შაბიამანი $\text{CuSO}_4 \cdot 5\text{H}_2\text{O}$.

სპილენის შაბიამანს მცენარეთა დაცაში ძეველთაგანვე იყენებდნენ და ერთ-ერთ უძლიერეს ფუნგიციდად ითვლებოდა. იგი გამოიყენებოდა ხორბლის სათესლე მასალის შესაწამლავად მშრალი და სველი მეთოდით გუდაფშუტოვანი სოკოების საწინააღმდეგოდ. 'იყენებდნენ მცენარეთა შესასხურებლად შესვენების ფაზაში, მაგალითად, ატმის ფოთლები ს

სიხუცუჭის წინააღმდეგ, იყენებდნენ აგრეთვე შენობებში მერქნის დამშლელი სოკოების საწინააღმდეგოდ; ხის ლეროზე და ტოტებზე განვითარებულ მღიერებისა და ხავსების მოსასპობად. და ა. შ. ყველა შემთხვევაში სამუშაო ხსნარი მზადდებოდა 0,5—1 % -მდე კონცენტრაციისა. მხოლოდ მერქნის დამშლელი სოკოების საწინააღმდეგოდაა მიღებული 10%-იანი ხსნარი.

სპილენძის შაბიამნის ძვირფასი თვისება იმაშიც მდგომარეობს, რომ სხვადასხვა ნივთიერებათა მიმატებით მისგან მზადდება მცენარეთა დაცვის საქმეში ფართოდ გავრცელებული სეთი მნიშვნელოვანი ფუნგიცილი, როგორიცაა ბორდოული სითხე, სპილენძის ქლორუანგი, აბ-ს პრეპარატი და სხვ.

სპილენძის შაბიამანი მსხვილი ლურჯი კრისტალებია, იშვიათად წვრილი ფხვნილის სახითაც მიიღება.

ქიმიურად იგი შედგება სპილენძის გრგირდმჟავა მარილისაგან და 5 მოლეკულა კრისტალიზაციური წყლისაგან.

ტექნიკურ სპილენძის შაბიამანში ხშირად სხვადასხვა მინარევიც შედის. სტანდარტულად დამზადებულ სპილენძის შაბიამანში უნდა შედიოდეს არანაკლებ 94—98% Cu So₄, არაუმეტეს 0,06% რკინისა, 0,25% თავისუფალი გოგირდის მჟავა, 0,015% დარიშხანი; 0,1% წყალში უხსნადი ნალექი.

თუ სპილენძის შაბიამანი მსხვილი კრისტალების სახითაა, მაშინ მისი სიჭმინდე ეჭვს არ იწვევს. თუ წვრილკრისტალურია და ფხვიერი, საჭიროა ვიცოდეთ მისი ანალიზი, ვინაიდან გარეგნულად მინარევებს ვერ შევამჩნევთ.

შაბიამანი ადვილად იხსნება წყალში.

მშრალად გახურებით იგი წყალს კარგავს და მონაცრისფრო მტკრად იქცევა. ასეთი მტკერი, ე. ი. წყალწართმეული შაბიამანი, მშრალ და ჰერმეტულ ჭურჭელში უნდა შევინახოთ, ვინაიდან ძლიერ ჰიგროსკოპიულია, ჰაერიდან წყალს ადვილად ითვისებს და ისევ პირვანდელ ფორმას უახლოვდება. წყალწართმეულ შაბიამანს მშრალი მეთოდით გულაფშურების საწინააღმდეგოდ იყენებდნენ.

ბორდოული სითხე

ბორდოული სითხე მზადდება სპილენძის შაბიამნისაგან/ კირის მიმატებით. იგი ერთ-ერთ უმთავრეს უნივერსალურ ფუნგიციდად ითვლება. ბევრ შემთხვევაში მას ბაქტერიციული თვისებებიც აქვს. იშვიათად თუ შევხვდებით სოფლის მეურნეობის მუშავს — მევენახეს, მებალეს თუ მებოსტნეს, რომ ბორდოულ სითხეს არ იცნობდეს, თვითონ არ დაემზადებინოს და არ გამოიყენებინოს.

ბორდოული სითხე ჩვენში სხვადასხვა-სახელწოდებითაა ცნობილი.

მას „შაბიამანს“ ან „ვენახის წამალსაც“ უწოდებენ. პირველ სახელშოდებას იმის გამო ხმარობენ, რომ ბორდოული სითხის მთავარი კომპონენტია შაბიამანი. ამ შემთხვევაში მეორე კომპონენტი — კირი — უგულებელყოფილია. რამდენადაც სპილენძის შაბიამანი წმინდა სახითაც იხმარება, იგი ბორდოულ სითხეში არ უნდა შეფრიოთ. „ვაზის წამალი“ იმის გამოა შერქმეული, რომ ძველთაგანვე ბორდოული სითხით მარტო ვენახი იწამლებოდა. დიდი ხანი არაა მას შემდეგ, რაც ბორდოული სითხით სხვა მრავალწლიანი და ბოსტნეული მინდვრის კულტურების შეწამვლაც დაიწყეს. „ბორდოული სითხე“ შეერქვა საფრანგეთის პროვინციის — ბორდოს მიხედვით, საღაც პირველი გამოყენება პოვა. მისი ფუნგიციდური თვისებები შემთხვევით აღმოჩინეს. პირველად იგი ვაზის ჭრაქის *Plasmopara viticola*-ს საწინააღმდეგოდ გამოიყენეს.

საფრანგეთში ამერიკული ვაზის შემოჰყვა ჭრაქი. სრულიად მოკლე ხანში იგი სწრაფად გავრცელდა და მევენახეობას დიდ ზარალს აყენებდა. ჭრაქის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების შესწავლა საფრანგეთის მკვლევართათვის საჭირბოროტო საკითხად გადაიქცა. ბოლოს ერთ-ერთმა ფრანგმა მკვლევარმა მილარდემ მიაქცია ყურადღება ერთ გარემოებას. ვენახების ნაკვეთების დათვალიერებისს მან ჟუმინია, რომ ნაკვეთების გზისპირა რიგებში, რომლებიც ცნობისმოყვარე მგზავრებისაგან მოსავლის დასაცავად შეწამლული იყო შაბიამნისა და კირის ნაზავით, უფრო გადარჩენილი იყო ჭრაქისაგან, ვიდრე გზისპირილან მოშორებული ვაზები, რომლებიც შეუწამლავად იყო დარჩენილი. მკვლევარმა ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია, შეისწავლა და საბოლოოდ დადგინა ბორდოული სითხის მიზანშეწონილობა ჭრაქის საწინააღმდეგოდ გამოსაყენებლად (1885 წ.).

კონცენტრაციის მიხედვით ბორდოული სითხე ორი სახისა მზადდება. პირველი: სარეზერვო ანუ ცის ფერი შესხურების ათვის 3—5%-იანი ხსნარი. ასეთი კონცენტრაციის ხსნარი ვამოყენება აღრე ვაზაფხულზე; შეუფოთლავ მცენარეზე კვირტების დაბერვისას და მწვანე კონუსის გამოჩენისას — 3%-იანი. ასეთი მაღალი კონცენტრაციის ბორდოული სითხის გამოყენება იმ მოსაზრებითაა მიღებული, რომ სპილენძის მარილები მცენარეზე დიდი რაოდენობით ხვდება, ზედ ხანგრძლივად რჩება და პარაზიტზე მოქმედების პერიოდი გაზანგრძლივებულია. ცისფერი წამლობა იმის გამო შეერქვა, რომ დამუშავებული ხეები ბორდოული სითხისაგან აშკარად გალურჯებულია. გნაიდან ცისფერი წამლობა დიდად ეფექტურია, მას გამანადგურებელ წამლობასაც უწოდებენ.

ცისფერი წამლობის გამოყენების შედეგად ხეხილში შემდგომი 1—2 წამლობა შესაძლებელია აღარ ჩატარდეს. ცისფერი წამლობა გამოიყენება ვაშლის და მსხლის ქეცის, ძურკოვანების ფოთლების დაცხავების,

ატმის ფოთლების სიხუჭუჭის, კურკოვანთა ნაცრისფერი სიღამპლის და სხვა აგადმყარფობათა საწინააღმდეგოლ.

უკვე შეფოთლილ მცენარეებზე შესხურებისათვის იყენებენ 1%-იან ბორდოულ სითხეს. კონცენტრაციის ასეთი შემცირება გამოწვეულია იმით, რომ ახალგაზრდა ფოთლების ქსოვილი ნაზია და შესაძლებელია ბორდოული სითხის ზეგავლენით დაიწვას. შეფოთლილი მცენარეების შესასხურებლად იყენებდნენ აგრეთვე ნორმალურ ბორდოულ სითხეს — 1,3—1,6%-იან ხსარს. ვინაიდან ორივე ნაზავის ეფექტურობა ერთგვარია — დეფიციტური სპილენძის ეკონომიის მიზნით, საბოლოოდ მიღებულია 1%-იანი ნაზავი.

ბორდოული სითხე, სარევიზიო იქნება იგი, თუ 1%-იანი, ყველა შემთხვევაში ერთი და იგივე წესით მზადდება, განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მხოლოდ კონცენტრაციით.

კარგი ღირსების ბორდოული სითხე მზადდება კარგი სუფთა სპილენძის შაბიამნის და კარგი, ჩაუმჯრალი, ანუ დაუნელებელი, კირის (ქვაკირი) გამოყენებით.

დამზადების წესი ასეთია:

1%-იანი ბორდოული სითხის დასამზადებლად უნდა ავილოთ 1 კილოგრამი სპილენძის შაბიამანი და 0,75—1 კილოგრამი ჩაუმჯრალი კირი 100 ლიტრ წყალზე. ამ წყლის ერთ ნაწილში (50 ლ წყალში) ცალკე უნდა გაიხსნას სპილენძის შაბიამანი. ამ მიზნით მას ყრიან პატარა ტომისიაში და ჩაუშვებენ წყალში. წყლის მეორე ნაწილით ჩააქრობენ კირს და კარგად გაქნიან ჯოხის დარევით კირწყლის მისაღებად. ამის შემდეგ შაბიამნის ხსნარს ნელ-ნელა უმატებენ კირწყალს და თანდათან ურევენ ჯოხით. მათი შერევით წარმოიქმნება თანაბარი ცისფერი სუსპენზია, რომელშიც შაბიამნის ხსნარისა და კირის რეაქციის შედეგად მიღებული სპილენძის ფუძიანი მარილები (დისპერსული ფაზა) მოტივივე მდგომარეობაშია. ამ წესით დამზადებული ბორდოული სითხე ნეიტრალური ან ოდნავ ტუტე რეაქციისა უნდა იყოს.

რეაქციის განსაზღვრისათვის უნდა გამოვიყენოთ ლაქმუსის ქაღალდი ან რკინის ნაჭერი. ლაქმუსის ქაღალდმა ბორდოულ სითხეში დასცელებით ფერი ან უნდა შეიცვალოს, ხოლო რკინის ნაჭერი-ლურსმანი, დანა და სხვ, არ უნდა დაიფაროს სპილენძის ნალექით. თუ ლაქმუსის ქაღალდი გაწითლდა, რეაქცია მყავედა და სითხეს კირი უნდა დაემატოს, ხოლო თუ სითხე ტუტე რეაქციისა აღმოჩნდა, მაშინ უნდა დაემატოს შაბიამანი იმ ვარაუდით, რომ დაწესებული კონცენტრაცია არ შეიცვალოს. რა თქმა უნდა, დაემატება სათანადო რაოდენობის წყალი.

ბორდოული სითხე უსათუოდ თიხის, ხის ან ცემენტის ჭურჭელში უნდა დამზადდეს, რადგანაც სპილენძის შაბიამნის ხსნარი მყავედა და მეტალის ჭურჭელში რეაქციას ქმნის, რის შედეგადაც სითხე ფუჭდება.

ბორდოული სითხის დამზადების წესის შესახებ სხვადასხვა აზრი არ-
სებობს. მკვლეფართა ერთი ნაწილი მართებულად თვლის სპილენძის
შაბიამნის ხსნარში კირწყლის მიმატებას, მეორე ნაწილი კი პირიქით,
შაბიამნის ხსნარის კირწყალში შერევას აძლევს უპირატესობას. უკა-
ნასკნელ შემთხვევაში რეაქცია ტუტე გარემონში მიმღინარეობს, რის
გამოც უფრო წვრილი ნაწილაკები წარმოიქმნება. სუსპენზია უფრო სტა-
ბილურია და, რაც მთავარია, მცენარის ზედაპირზე უკეთესი მიწებების
და ხანგრძლივი მოქმედების უნარი აქვს.

შაბიამნის ხსნარში კირწყლის შერევისას რეაქცია მუავე გარემოში
მიმღინარეობს. სუსპენზიაში მსხვილი ნაწილაკები წარმოიქმნება, რის
გამოც სტაბილობა სუსტია და მიწებების უნარიც ნაკლები. მაინც პრაქ-
ტიკაში უკანასკნელ წესს უფრო მისდევენ იმ მოსაზრებით, რომ კირი
ხშირად სუფთა არაა და ამის გამო ნარჩენები რჩება და თუ საცერტი არ
გაატარეს, ბუნიყის დაცობა ხდება; სპილენძის შაბიამნისა და კარის შერე-
ვის შემდეგ მიღებული ბორდოული სითხის ქიმიური რეაქცია საბოლოოდ
შემდეგ სახეს იღებს:



ბორდოული სითხე უნივერსალური თვისებების მქონეა. იგი გამოიყე-
ნება თითქმის ყველა სოკოვან და ბაქტერიულ ავადმყოფობათა საწინა-
აღმდევოდ, გარდა ნაცროვანი სოკოებისა. სხვადასხვა კულტურებზე
მისი ხარჯის ნორმები სხვადასხვაა.

ჩვეულებრივი შესხურებისას მინდვრის კულტურებზე (მაგალითად,
კარტოფილის შესხურება, ჭიახლის შესხურება და სხვ.) და ბოსტნეულ-
ზე 1%-იანი ბორდოული სითხის სამუშაო ხსნარი 1 ჰექტარზე იხარჯება
400—800 ლიტრის რაოდენობით, მრავალწლოვან ხეხილზე და ციტრუ-
სებზე კი 600—1500 ლიტრია საჭირო 1 ჰექტარზე. დახარჯული სამუშაო
სითხის ლიტრაჟი დამოკიდებულია მცენარეზე, მის ხნოვანებაზე და ავად-
მყოფობის გამომწვევე ორგანიზმებზე.

ბორდოული სითხის მოქმედების მექანიზმი სოკოების სპორებზე
იმაში მდგომარეობს, რომ ემულსიაში შესული სპილენძისფუძიანი მარი-
ლები წვიმის წყალში ნაწილობრივ იხსნება, რის გამოც, სპილენძი ხსნარ-
ში გადადის. ასეთ ნაზავში სპორა ან მისი წანაზარდი იღუპება, კვდება.
სპილენძისფუძიანი მარილების გახსნას ხელს უწყობს ჰაერის ნახშირ-
ორუნგი, მცენარეთა ფოთლებიდან ან თვით პარაზიტული ორგანიზმის
სხეულიდან გამოყოფილი ნივთიერებანი.

სპილენძის მარილები, სოკოებისადმი დიდი ტოქსიკურობით გამოირ-
ჩებიან. მაგალითად, Plas. viticola-ის სპორები იღუპებან 0,000002-
იან კონცენტრაციის მქონე სპილენძის მარილებში, ხოლო კარტოფილის
სოკოს Phytophthora infestans-ის სპორები — 0,0015%—0,026% სპი-
ლენძის, მარილების ხსნარში.

ბორდოული სითხე მარტო პარაზიტებისადმი ტოქსიკურობით კი არ გამოირჩევა, არამედ კარგად მოქმედებს მცენარეზე. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ეძლევა სპილენძს, რომელიც, როგორც მიკროელემენტი, მცენარეზე დადებითად მოქმედებს. ბორდოული სითხით დამუშავებულ ვენახებში ფოთლები თავის სიმწვანეს გაცილებით დიდხანს ინარჩუნებენ, ვიდრე შეუწამვლელში, საღაც ფოთლები აღრე ყვითლება და ცვივა.

უხეიროდ დამზადებული ბორდოული სითხე (მუვე რეაქციის გამო) მცენარეთა ნაზი ნაწილების — ახალგაზრდა ფოთლებისა და ყლორტების დაწვას იწვევს; მცენარის ორგანოებზე ვითარდება ქლოროზული წვრილი ლაქები, ხანდახან იმდენად ბევრი, რომ ფოთლი იკრუნჩება; ხშირია შავად გამხმარი დამწვარი ლაქების განვითარება, ახალგაზრდა ფოთლის ფირფაიტის გახმობა. ხეხილის ბალების მსხმიარობის პერიოდში შესხურებისას ხშირია ნაყოფების კანზე ბალისებრი, შავი კორპოვანი ქსოვილის განვითარება. ეს გამოწვეულია არასწორად დამზადებული ბორდოული სითხის შესხურებით და შემდეგ ნაყოფის ზედაპირიდან წვიმის წყლით შხამის ჩამორჩეცხით. ასეთი ნაყოფები არასტანდარტულად ითვლება; იწვება აგრეთვე ახლად გამონასკული ნაყოფი. ნაყოფზე შავი ლაქები ჩნდება და გვერდელა ნაყოფი ვითარდება.

კარგად დამზადებული ბორდოული სითხის კარგი მიწებების უნარი აქვს და რაიმე ნივთიერების მიმატებას არ მოითხოვს. თუ კი ბორდოული ნაზავი ცუდადა დამზადებული, მასში ცუდი ღირსების კომპონენტებია შერეული, რეაქცია მომჟავოს. იგი მცენარილან აღვილად იჩეცება. მიწებების უნარის გაძლიერების მიზნით სხვადასხვა ორგანულ ინგრედიენტებს — ნახშირწყლებსა ან ცილოვან ნივთიერებებს (შაქარი, ბადაგი, კაზინი, რძე, წებო, საპინი და სხვ.) უმატებენ.

კარგად დამზადებულ ბორდოულ სითხეს კარგი მოხმარებაც ესაჭიროება. თუ ბორდოული სითხით შეწამვლისას მისი მოხმარების ელემენტარული წესები დაგარღვიერ, სარგებლობის ნაცვლად ზიანს მოვუტანთ მცენარეს. ბორდოული სითხის, და საერთოდ, თხიერი ფუნგიციდის შესხურების გარკვეული წესები არსებობს, რაც შემწამვლელმა ან ხელმძღვანელმა უსათუოდ უნდა დაიცვას. ამ წესებიდან შემდეგია ალსანიშნავი:

1. საჭიროა უსათუოდ დავიცვათ შესხურების კალენდარული ვადები, რაც დაკავშირებულია მცენარის განვითარების ფენოფაზებთან, პარაზიტის ბიოლოგიასთან და განვითარების სტადიებთან, ავადმყოფობის გამოჩენის ვადებთან, განვითარების დინამიკასთან და ა. შ. თუ არ დავიცვით ვადები, ღონისძიება დაგვიანებული იქნება და უშედეგოდ ჩაივლის. ამასთან ღონისძიების ჩატარება რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა დამთავრდეს. გაჭირობულებულად ჩატარებული ღონისძიება ყოველთვის ნაკლებეფექტურია.

2. მცენარე კარგად უნდა შევასხუროთ, რათა ფუნგიციდის წვეთები

თანაბრად განაწილდეს ფოთლის ზედა და ქვედა მხარეზე. ფოთლის ქვედა მხარეზე შესხურება; მართალია, ძნელია, მაგრამ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ ფოთლების ქვედა მხარის შესასურებლად, ვინაიდან სოკოვან და ბაქტერიულ ავადმყოფობათ საწყისები, უმრავლეს შემთხვევში, ფოთლების ქვედა მხრიდან, კერძოდ, ბაგეებიდან იწვევენ ინფექციას.

3. შესასხურებელი აპარატის ბრანდსპორტი ერთ აღგილზე დიდხანს არ უნდა გავაჩეროთ, ვინაიდან შესხურებული წვეთები ერთდება და დიდი წინწკლები წარმოიქმნება, რომლებიც მცენარის ზედაპირზე ჯერ შეჩება, და შემდეგ ადვილად იწრიტება, ასე, რომ შესხურება კი არ გამოდის, არამედ მცენარის გარეცხვა. ამრიგად, შხამი დიდი რაოდენობით იხარჯება და შესხურებაც ვერ იძლევა ეფექტს.

4. ნაყოფის მომცემ სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა შესხურება ყვავილობის ფაზაში დაუშვებელა, რადგან ზოგიერთი მცენარის ყვავილის გამანაყოფიერებელი მტვერი ბორდოულ სითხეში გაღივების უნარს გარებას, ეს კი უნაყოფობას იწვევს. მაგალითად, ვაზზე მეჩხერი, წვრილ-მარცვლიანი მტევნები გითარღება. ყვავილობის ფაზაში შესხურება იმ მცენარეებისაა დასაშვები, რომელთა ყვავილისაგან თესლისა და ნაყოფის მიღება არ გვაინტერესებს, (მაგალითად, კარტოფილისა ფოტოფტოროზის. წინააღმდეგ).

5. ვინაიდან ბორდოული სითხე სუსპენზიაა და მისი დისპერსიული ფაზა (სპილენდისფუძინი მარილები და სხვა) ადვილად ილექტება ჭურჭელში, სასხურებელ აპარატში ჩასმის წინ ბორდოულ სითხეს ჯერ კარგად უნდა დავურჩიოთ, რათა ნალექი სამუშაო ხსნარში კარგად აირიოს. და თანაბარი სუსპენზია მივიღოთ.

6. წამლობის პერიოდში მეურნეობაში ბორდოული სითხე ყოველ-დღიურად იმდენი უნდა დამზადდეს, რამდენის გამოყენებაც იმავე დღესაა შესაძლებელი. ახლად დამზადებული ბორდოული სითხე კარგ ეფექტს იძლევა. თუ დავაყოვნეთ თუნდაც ერთი დღით, ბორდოული სითხე „იჭრება“—ნაწილაკები მსხვილდება და მცენარეზე შერჩენის უნარს კარგავს.

სპილენდის ქლორუანგი ($3\text{Cu(OH)}_2 \cdot \text{CuCl}_2 \cdot \text{H}_2\text{O}$) ანუ კუპროტოქსი

სპილენდის ქლორუანგი უკანასკნელი 10—15 წლის განმავლობაში წარმოებაში ფართოდ ინერგება. გამოიყენება, უმთავრესად, ვაშლის ქეცისა და ვაზის ჭრაქის საწინააღმდეგოდ. იგი მებალეობა-მევენახეობაში ბორდოული სითხის შემცვლელად ითვლება.

ქიმიურად ქლორიანი სპილენდისფუძინი მარილია. ასეთი ნაწარმი მარილები სხვადასხვანაირია, მაგრამ მათ შორის თავისი ეფექტურობით სპილენდის ქლორუანგი პირველ ადგილზე დგას.

სუფთა სპილენდის ქლორუანგი ღია-მწვანე ფერის უსუნო ფხვნილია.


მისი ერთგვარი ნაკლი ისაა, რომ არ იხსნება წყალში და ორგანულ გამხ-სნელებში. კარგად იხსნება ამონიაკში და მინერალურ მჟავებში. ასეთ გამხსნელებში ხსნარი კომპლექსურ ფენილსა ქმნის და ლურჯდება, მდგრადია და სტაბილური, უძლებს მზის სხივებს, ტენს, ჰაერის უანგ-ბაღს და ნახშირორეანგს, იძლევა კარგ სუსპენზიას. მისი ლილი დადგებითი თვისება ისაა, რომ კირის დამატებას არ მოითხოვს, რაც მის მოხმარებას მეტად აადგილებს და ამავე დროს ამარტივებს და აიაფებს.

სპილენძის ქლორუანგის ფიზიკურ თვისებათაგან აღსანიშნავია, რომ იგი ნაკლებ ფიტოტოქსიკურია, კარგად ეკვრის მცენარეს და შესამჩნევ ლაქებს ტოვებს შესხურებული მცენარის ფოთლის ფირფიტაზე.

შესხურებისათვის გამოსაყენებელი სპილენძის ქლორუანგი შეიცავს საკუთრივ სპილენძის ქლორუანგს 50%-ის ოდენობით, სულფიტ-სპირტის ბარდას 5%-ის ოდენობით, 1% დექსტრინს, შემავსებლად კი თიხა-კაოლინი ითვლება. სულფიტ-სპირტის ბარდა და დექსტრინი ხელს უწყობს კარგი სუსპენზის დაზიანებას. საჭრ აჭრო აპარატურისათვის ამზადებენ 0,5—1%-იან სითხეს, ხოლო ავიაშესხურების დროს 3—5%-იან სამუშაო სითხეს იყენებენ. სამუშაო სუსპენზის დამზადებისას ჯერ ერთ წილ სპილენძის ქლორუანგს კარგად აურევენ საჭირო წყლის ნაწილში (3—5); პრეპარატი ჯერ კარგად უნდა გაიქნას მცირე რაოდენობით წყალში და შემდეგ დანარჩენი წყალი დაემატოს. სპილენძის ქლორუანგის კომბინირება დასაშვებია ისეთ პესტიციდებთან, როგორიცაა: კალციუმის არსენატი, ანაბაზინი და სხვ., რომლებიც ტუტისადმი მცირდნობიარენი არიან. მისი კომბინაცია შეუძლებელია სუსტმევე რეაქციის მქონე ინსექტიციდებთან.

სპილენძის ნაფტენატი (ცნობილია აგრეთვე კუპრონაფტის სახელწოდებით)

სპილენძის ნაფტენატი სპილენძის შაბიამნისა და ნაფტსაპონის ურ-თიერთქმედების პროცესშითა, რომელიც შემდეგი სახით გამოხატება:



ამ პრეპარატს, უმთავრესად, ვაშლისა და მსხლის ქეცის, ვაზის ჭრა-ქის და, საერთოდ, სოკოვან დაავადებათა საწინააღმდეგოდ ხმარობენ. იგი პირველად გამოყენებული იქნა ყირიმში, სადაც მას დღესაც მაღალ-ეფექტურ პესტიციდად (ფუნგიციდად) თვლიან.

სპილენძის ნაფტენატის დასამზადებლად იღებენ სპილენძის შაბიამნის 10%-იან მდუღარე ხსნარს და უმატებენ 25%-ი მდუღარე ნაფტსაპონს. მათი შერევის შედეგად მიიღება პასტისებრი, წებოვანი, მუქი-მწევნე მასა. იგი წყალში არ იხსნება. მის გამხსნელად გამთბარ ზეთს ხმარობენ; კარგად ინახება.

სამუშაო ხსნარის დასამზადებლად ერთ წილ სპილენძის ნაფტენატს, ე. ი. პასტისებრ ნივთერებას, გახსნიან 10 წილ მინერალურ (სოლარი, დიზელის, ტრანსფორმატორის) ზეთში.

ამ წესით მიღებულ ნარევს შემცატებენ ჯერ ცალკე დამზადებულ შემცვებელს — თიხის სქელ ნაზავს და კარგად დაურევენ ისე, რომ ერთგვაროვანი ნაზავი მიიღონ. ზაფხულის შესხურებისათვის შემცვებელსა და ნაფტენატის თანაბარ შეფარდებას იღებენ: ზამთრის შესხურებისათვის შემცვებელს 2-ჯერ ნაკლებს იყენებენ.

შემდეგ ასეთ ნაზავს წყალს იმ ვარაუდით უმატებენ, რომ ადრე გაზაფხულის შესხურებისათვის გამოიყენონ 0,6%-იანი, ხოლო ზაფხულისათვის 1—3%-იანი ნაზავი.

სპილენძის ნაფტენატი, მართალია, ეფექტური ფუნგიციდია, მაგრამ წამლობა ფხიზლად უნდა იქნეს ჩატარებული, ვინაიდან შეუძლია ფოთლების დაწვა გამოიწვიოს.

გოგირდნაერთიანი ფუნგიციდები

გოგირდი ერთი უძველეს ფუნგიციდთაგანია. მისი ფუნგიციდური თვისებები ჯერ კიდევ არ იყო აღმოჩენილი, რომ მას იყენებდნენ როგორც დეზინფექტორს ჭირნახულის დასაცავად, ქვევრების დასაბოლებლად და სხვ. მცენარეთა დაცვის საქმეში პირველად გამოყენებული იყო 1821 წელს (მარტინი). მალე გამოიკვა, რომ მას კარგი ფუნგიციდური თვისებები აქვს, დიდი ყურადღებაც დაიმსახურა და მოკლე ხანში სათანადო მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვა მცენარეთა დაცვის საქმეში. მის ფართო გავრცელებას ხელი შეუწყო ყურძნის ნაცრის (*Uncinula spiralis*) აღმოჩენამ, რომლის საწინააღმდეგოდაც გოგირდი გამოიყენეს, ხოლო ნაცროვანი სოკოების წინააღმდეგ გოგირდის მაღალი ეფექტურობა საბაზი გახდა მისი წარმოებაში სწრაფი დანერგვისა და საერთო აღიარებისა. გოგირდი მაღალეფექტურია აგრეთვე ტკიპების საწინააღმდეგოდ.

ვაზის ნაცრის საწინააღმდეგოდ გამოყენების შემდეგ გოგირდი თანდათან სხვა სასოფლო-სამეურნეო მცენარეების ნაცროვან ავადმყოფობათა საწინააღმდეგო საუკეთესო საშუალებად ითვლება.

შემდგომი გამოკვლევებით დადასტურდა, რომ გოგირდი, გარდა ნაცროვანი სოკოებისა, ქალიან კარგად მოქმედებს აგრეთვე ტკიპების საწინააღმდეგოდ, ისე, რომ მან აყარიციდული თვისებებიც გამოაშულავნა. გოგირდოვანი ნაერთები გამოიყენება აგრეთვე, როგორც ინსექტიციდი (მაგალითად, გოგირდის და კიხის ნახარში — პოლისულფიდები და სხვ.).

მცენარეთა დაცვის საქმეში გოგირდი ორი სახით გამოიყენება:

ელემენტალური ანუ წმინდა გოგირდი ფხვნილის სახით შეფრქვევისა-
თვის და გოგირდის ნაერთებისაგან დამზადებული ხსნარის სახით მცე-
ნარეთა შესასხურებლად.

ელემენტარული ანუ სუფთა გოგირდი გამოიყენება შეფრქვევის მეთოდით და ყოველთვის მშრალი პრეპარატის სახითა
დამზადებული.

პრაქტიკაში მშრალი გოგირდი სამი სახისაა:

ერთია დაფქული გოგირდი, რომელიც მიიღება ქვა გოგირდისაგან ანუ ლულა გოგირდისაგან. ორივეს განსაკუთრებულ წისქვილებში ფქვა-
ვებ და ხშირად იმდენად წმინდად, რომ გამოხდილ გოგირდს არ ჩამოუ-
ვარდება. იგი შედგება 96,5—99,5% სუფთა გოგირდისაგან, 0,002—0,5%
მინარევი დარიშხანისაგან და არაუმეტეს 0,6—1% ბითუმისაგან.

მეორეა გოგირდი ის მტკერი ანუ გამოხდილი გოგირდი გოგირდი და ის მტკერი ანუ გოგირდი ის მტკერი გოგირდი და ის მტკერი გოგირდი გოგირდი გამოხდილით. დაფქული გოგირდისაგან განსხვავებით ნაკლები დისპერსულობით ხა-
სიათლება, მაგრამ მეტი გოგირდის შემცველია: სუფთა გოგირდი მასში შედის 99—99,5%-ის რაოდენობით. დანარჩენი წილი დარიშხანზე, ნა-
ცარზე და სხვაზე მოდის!

მესამეა გოგირდოვანი კონცენტრატები მიიღება გოგირდოვანი მაღნების გამდიდრე-
ბით. I ხარისხის კონცენტრატი შეიცავს 40—80%-მდე სუფთა გოგირდს, II ხარისხის კონცენტრატი კი 20—40%-ს. დანარჩენი შემცვებლებდა.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ელემენტალული გოგირდის ფერი, ძი-
რითადად, ყვითელია, მაგრამ კონცენტრატები კი ოდნავ ფერშეცვლილია
შემცვებლების მიმატების გამო.

კარგ გოგირდს მცენარეზე შერჩენის კარგი უნარი აქვს. რაც უფრო
წმინდა და ამორფულია ფხვნილი, მცენარის ზედაპირს მით უფრო ეკვ-
რის. გოგირდის დიდხანს შენახვისას კოშტები წარმოიქმნება, იტყვიან:
გოგირდი ჯაჭდაო. ამის მიზეზი ისაა, რომ გოგირდის ნაწილაკები ელექ-
ტრონით იმუხტებიან, ერთმანეთს ეწებებიან და ამის შედეგად კოშტები
წარმოიქმნება. ასეთი გოგირდი ჰიგროსკოპული არაა, წყალში არ იხსნე-
ბა.

გახურებით გოგირდი იწვის და წარმოიქმნება აირი — გოგირდოვანი
ანილირიდი (SO_2), რომელსაც მრავალ შემთხვევაში შენობების დეზინ-
ფექციისათვის იყენებენ.

გოგირდის ეკონომის მოსაზრებით მას ხშირად უმატებენ ინდიფე-
რენტულ შემცველების სუფთა კირის ფხვნილს (1 წილ გოგირდზე 1—3)
წილ კირს უმატებენ.

გოგირდის მოქმედება დამოკიდებულია გარემოს ტემპერატურაზე,
მაგალითად, თუ ტემპერატურა 15%-ზე ნაკლებია, აორთქლება კარგად

ვერ ხდება და გოგირდის ეფექტურობაც მცირეა. გოგირდის მოქმედების ოპტიმალურ ტემპერატურად ითვლება 25—35%.

პარაზიტზე გოგირდის მოქმედების მენაზების შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობდა. ამჯამად ყველასან აღიარებულია ე. წ. გოგირდწყალბადის თეორია, რომლის მიხედვითაც მცენარეზე გადატანილი გოგირდის ელემენტალურ გოგირდად აღდგენის ღრის წარმოქმნება გოგირდწყალბადი, რომელიც პარაზიტის სხეულზე ტოქსიკურად მოქმედებს. გოგირდწყალბადის წარმოქმნა შესაძლებელია ატმოსფერული უანგბადის, მკვებავი მცენარის ან პარაზიტის სხეულის მიერ გამოყოფილ ნივთიერებათა გოგირდზე მოქმედებით. ვაზების შეფრაქვევის შემდეგ ვენახში გავრცელებული გოგირდის სუნი გოგირდნახშირბადის წარმოქმნას უნდა მიეწეროს.

გოგირდის შეფრაქვევა მცენარეზე დადებით გავლენას ახდენს. გოგირდი, გარდა იმისა, რომ ავადყოფობის გამომწვევი როგონიზმებს სპონს, მცენარის ზრდა-განვითარებაზე დადებითად მოქმედებს, მცენარეს განვითარების ენერგიას მატებს. საფრანგეთის იმ რაიონებში, სადაც გოგირდს სისტემატურად იყენებენ, ყურანის მომწიფება ღრი კვირით ადრე იწყება, ვიდრე იმ ადგილებში, სადაც გოგირდს არ იყენებენ (მარტინი).

გოგირდის ზოგიერთი უარყოფითი თვისებაც აქვს. ზოგიერთ მცენარეზე იგი უარყოფითად მოქმედებს, მაგალითად, ხურტკმელის ფოთლის ცვენას, ხოლო გოგროვანების ფოთლების დაწვას იწვევს. საერთოდ გოგირდი მცენარის დაწვას არ იწვევს, თუ კი შეფრაქვევისას ნორმალურ დონეზე იქნება გამოყენებული, მაგრამ როდესაც გოგირდი დიდი რაოდენობით აფრაქვევენ ისე, რომ ფოთლებზე გოგირდი დაყრილს მოგვაგონებს და არა შეფრაქვეულს, მაშინ მოსალოდნელია მაღალი სიცხეების ღროს ფოთლის ფირფიტის დაწვა.

გოგირდის ყველა ფორმა სუსტად ტოქსიკურია აღამიანისა და თბილ-სისხლიანებისათვეის.

შესასხურებელი გოგარდოვანი ფუნგიციდება

ელემენტარული გოგირდისაგან მზადდება აგრეთვე შესხურების მეთოდით გამოსყენებელი პესტიციიდები. ამ პრეპარატების საკმაოდ დიდი ჯელი არსებობს და თუ პრეპარატი მზადდება ტუტე და ტუტემინისებრ მეტალებთან, მაშინ მიიღება მრავალგოგირდოვანი ნაერთები, რომლებიც პოლისულფიდების სახელწოდებითაა ცნობილი. ამ პრეპარატებისაგან აღსანიშნავია გოგირდის და კირის ნარევი, კალციუმის პოლი-სულფიდი, გოგირდის და ჭირის ნახარში, კოლოიდური გოგირდი და სხვა. მათგან პრაქტიკაში დღესდღეობით ჭერ კიდევ გამოიყენება გოგირდისა და ჭირის ნახარში. ასეთი პრეპარატი როგორც ფუნგიციდური, ისე აკარიციდული თვისებისაა. იგი საუკეთესო საშუალებად ითვლება ციტრუსოვან ნარგავებში ვერცხლისფერი ტკიპას საწინააღმდეგოდ.

გოგირდისა და კირის ნახარში პირველად ვაზის ნაცრის საწინააღმდეგოდ გრიზონმა გამოიყენა 1852 წელს. ბუნებრივია, რომ პირველ ხანებში იგი ვერ გავრცელდა პრაქტიკაში ისე სწრაფად, როგორც ელემენტარული გოგირდი, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის დროს, როდესაც გოგირდი სამხედრო მრეწველობისათვის გახდა საჭირო, დაისვა საყითხი მცენარეთა დაცვაში მისი მთლიანად შეცვლის ან მოხმარების შემცირების შესახებ. ამან გამოიწვია ის ფაქტი, რომ ყურადღება მიექცა გოგირდისა და რკინის ნახარშს, რამდენადაც მისი გამოყენება მშრალ გოგირდთან შედარებით დიდ ეკონომის იძლევა. გარდა ციტრუსებზე გავრცელებული ვერცხლისფერი ტკიბის წინააღმდეგ გამოყენებისა, იყენებლნენ აგრეთვე კურკოვნების სოკოგან ივადმყოფობათა საწინააღმდეგოდაც — კვირტების დაბერებამდე შესხეულების გზით.

გოგირდებინახარში მზადდება როგორც ქარხნული წესით, ისე კუსტარულადაც, მეურნეობებში. დამზადების წესი ერთი და იგივეა: იღებენ ელემენტარულ გოგირდს, სულერთია დაფქული იქნება, კონცენტრატი თუ გამოხდილი და ჩაუმჯრალ კირს — შემდეგი პროპორციით: 1,6 კგ ქვაკირი, 3,2 კგ გოგირდი და 10 ლ წყალი. ნაწილ წყალში ცალკე ჭურჭელში, გოგირდისაგან ამზადებენ კარგი დარეგის საშუალებით ცომს; მეორე ჭურჭელში 1-3 წყალში ჩააქრობენ კირს, სწრაფად დაუმატებენ გოგირდის ცომს და დაასხამენ დანარჩენ წყალს. ქვაბის კედელზე აღნიშნავენ ნარევის დონეს და შემდეგ აღუღებენ 70 წუთის განმავლობაში. დუღილის დროს ყურადღება უნდა მიექცეს ქვაბის კედელზე აღნიშნული წყლის დონეს. აორთქლების შემდეგ ქვაბში წყლის დონე რამდენადაც დაიწევს, იმდენი უნდა დაემატოს წყალი, რომ ქვაბის კედელზე აღნიშნული დონე უცვლელი დარჩეს. წყლის დამატება უნდა შეწყდეს იმაზე 15 წუთით ადრე, რაც დუღილისთვისაა გათვალისწინებული. დუღილის დამთავრების შემდეგ ქვაბს გადმოდგამენ ცეცხლიდან და აციებენ, დაყოვნება შეიძლება 1—2 დღეც. ნახარში იღებება ჭუჭყი და სხვადასხვა მინარევი. შემდეგ უნდა ფრთხილად გადავასხათ ჰერმეტულად დახურულ ჭურჭლებში და შევინახოთ გრილ ადგილას.

მიღებული გოგირდებინახარში გამჭვირვალეა, მოწითალო -ალუბლის ფერია და შეიცავს კალციუმის პოლისულფიდს (CaS) და კალციუმის თიოსულფატს (CaS_2O_3).

მიუხედავად იმისა, რომ დამზადებისათვის კარგ სუფთა კომპონენტებს იღებენ, დუღილის პირობებთან და კომპონენტების ღირსებასთან დაკავშირებით შესაძლებელია დამზადებულ გოგირდებინახარშის ხვედრითი წონა ცვალებადი იყოს. საუკეთესოდ ითვლება ისეთი ნახარში, როდესაც ჩვეულებრივი ან ბომეს არეომეტრის გამოყენებით ხვედრითი წონა უდრის 1,285-ს. ბომეს არეომეტრით აღნიშნება სიმკვრივე, რაც 32°-ს უდრის.

დამზადებული გოგირდეირნახარში მწვანე ნაზავია. სუფთა სახით მისი გამოყენება არ შეიძლება, ვინაიდნ ძლიერ ფიტონციდურია და წვავს მცენარეს. დამზადებული ნახარშისაგან ჩვეულებრივ წყალში მზადდება სხვადასხვა ხარისხით განზავებული სამუშაო ხსნარი.

განზავების ხარისხი მცენარის სახეობასთანაა დაკავშირებული. ქულტურული მცენარეები სხვადასხვა მგრძნობიარობას ამჟღავნებენ გოგირდეირნახარშის მიმართ. მხედველობაში უნდა გვქონდეს აგრეთვე შესხურების ვადები — ზ ამთრის, გაზაფხულისა და ზაფხულის პერიოდი. ცხრილში მოგვყავს Bome-ს არომეტრით განსაზღვრული გოგირდეირნახარშის სიმკვრივე და მისი შესაფერისი ხვედრითი წონა. ამავე ცხრილში მოცემულია წყლის რაოდენობა, რომელიც უნდა დაემატოს სათანადო ხვედრითი წონის გოგირდეირნახარშს, 100 სამუშაო ხსნარის მისაღებად.

სიმკვრივე Bome-თი	ხვედრითი წონა	შესვენების გოგირდეირნა- ხარშის რაო- დენობა	პერიოდი დასამატებე- ლი წყლის რაოდენ.	ზაფხული გოგირდეირნა- ხარშის რაო- დენობა	ვაშლი წყლი
36	1,330	110	89	2,5	97,6
36	1,318	11,5	88,5	2,5	97,5
34	1,306	12,0	88,0	3,0	97,0
33	1296	12,5	87,5	3,0	97,0
32	1,283	13,0	87,0	3,0	97,0
31	1,272	13,5	86,5	3,0	97,0
30	1,261	14,0	87,0	3,6	96,5
29	1,250	14,5	85,5	3,5	96,5
28	1,239	15,0	85,0	3,5	96,5
27	1,229	16,0	84,0	4,0	96,0
26	1,218	17,0	83,0	4,0	96,0
25	1,208	17,5	82,5	4,0	96,0
24	1,198	18,5	81,5	4,5	95,5
23	1,188	19,5	80,5	4,5	95,6
22	1,179	20,5	79,5	4,5	95,6
21	1,169	22,0	78,0	5,0	95,0
20	1,160	22,5	77,5	5,0	95,0
19	1,151	25,5	74,5	5,6	94,4
18	1,142	27,0	72,5	6,0	94,0
17	1,133	29	71,0	6,3	93,7
16	1,124	30,9	69,1	6,7	93,8

აღნიშნული ცხრილის გამოყენებისათვის საჭიროა ვიცოდეთ, თუ რას უდრის გოგირდეირნახარშის სიმკვრივე ბომეს არეომეტრით. მეორე გრაფაში მოყვანილია სიმკვრივის ხვედრითი წონაზე გადაყვანა, შემდეგ გრაფაში კი მოცემულია, თუ გოგირდეირნახარშის რა რაოდენობაა საჭირო შესვენების სტაღიაში მყოფ მცენარეთა შესასხურებლად 100 ლ სამუშაო ხსნარის დასამზადებლად. ზაფხულის შესხურება იმავე მაჩვენებლებით მოცემულია შემდეგ გრაფებში. მაგალითად, თუ გოგირდე

კირნახარშის სიმკერივე 30°-ს უდრის, ბომეს არეომეტრით მისი ხვედრი-თი წონა იქნება 1,261; შესვენების სტადიაში მყოფ მცენარეთა შესასხუ-რებლად კირნახარში უნდა ავიღოთ 14 კგ რაოდენობით და გავაზავოთ 86 ლ წყალში; თუ ზაფხულის შესხურებაა ვაშლისათვის, მაშინ უნდა ავი-ღოთ 3,5 კგ გოგირდებირნახარში და გავაზავოთ 96,5 ლ წყალში.

გოგირდებირნახარშის გამოყენებისას სიფრთხილეა საჭირო, ვინაიდან ფიტოტოქსიკური თვისებები უფრო მეტი აქვთ სუფთა გოგირდთან შედა-რებით და იწვევს მცენარის ნაზი ორგანოების დაზიანებას, დაწვას, ფათ-ლების გაყვითლებას და ცვენას, მცირდება ფოტოსინთეზი და სხვ. ამ მხრივ ვაშლი და მსხალი უფრო გამძლე არიან, ატამი მნიშვნელოვნად მგრძნობიარეა.

გოგირდებირნახარში იმავე ატადმყოფობათა და მავნებლების საწი-ნააღმდეგოდ იხმარება, რომელთა წინააღმდეგ ელემენტარულ გოგირდს ვიყენებთ.

მისი მოქმედება ნაცროვან სოკოებზე და ტკიპებზე ისეთივეა, რო-გორც სუფთა გოგირდისა. კალციუმის ჰიდროსულფატი მცენარის ზედა-პირზე ჰიდროლიზს განიცდის, რის შედეგად გოგირდნახშირბადი წარმო-იქმნება.

გოგირდებირნახარშის შესხურებისას ფრთხილად უნდა ვიმუშაოთ, ხელზე სამუშაო ხელთათმანები უნდა ჩავიცვათ, წინააღმდეგ შემთხვე-ვაში მოსალოდნელია კანის გალიზიანება და ხელზე იარების გაჩენა.

კოლოიდური გოგირდი

უკანასკნელ ხანებში შესხურებისათვის ურჩევენ ელემენტარული გო-გირდისაგან დამზადებულ ე.წ. კ ო ლ ო ი დ უ რ გ ო გ ი რ დ ს.

კოლოიდური გოგირდი მზადდება ქიმიური გზით გოგირდშემცველი კირისაგან (გაზის გოგირდი), პასტიანი გოგირდის სულფიდცელულოზის ექსტრაქტი შერეული თბილი წყლით გარეცხვით. იგი ნარევია, რომელიც შედგება წვრილი დისპერსული ნაწილაკებისაგან; მონაცრისფრო-ყვითე-ლი ფხვნილია, შეიცავს არანაკლებ 97% ელემენტარულ გოგირდს, არა-უმეტეს 30% ტენს და 3,3% ნაცარს.

კოლოიდური გოგირდი სველებადი ფხვნილია, რის გამოც ადგილად გამოიყენება შესხურებისათვის 1—1,5% სუსპენზიის სახით; სტაბილუ-რია და კარგად ასველებს მცენარის ზედაპირს.

თუ კოლოიდური გოგირდი დიღხანსაა შენახული არაპერმეტულ ჭურჭ-ლებში, იგი შრება და მტკიცე კოშტებად იკვრება, წყალში ძნელად იშ-ლება, რის გამოც ასეთი პრეპარატი უვარებისა გამოსაყენებლად. უკა-ნასკნელ ხანს ამზადებენ სველებადი ფხვნილის სახით, რომელშიც, გარდა აღნიშნული კომპონენტებისა, კაოლინიც შედის. თბილსისხლიანების მი-

მართ ნაკლებტოქსიკურია, შესხურებიდან—მეორე—მესამე დღეს მოსავალი შეიძლება მოკრიფოს.

დამზადებული სუსტენზია 10%-მდე უვნებელია მცენარისათვის. გამოიყენება ვაზის, ხეხილის, ჭარბლის, ბოსტნეულის და სხვა კულტურების ნაცროვან ავადმყოფობათა საწინააღმდეგოდ. მას აკარიციდული თვისებებიც გააჩნია. ბამბაზე აბლაბუდიან ტკიპას საწინააღმდეგოდ იყენებენ.

გოგირდორგანული ფუნგიციდები

უკანასკნელ ხანებში მცენარეთა ქიმიური დაცვის პრაქტიკაში თანდათან შემოიჭრა დიტიოკარბომინის მეთავას სხვადასხვა სახის ნაწარმი, რომლებიც გოგირდორგანული ფუნგიციდები ას საერთო სახელითაა ცნობილი.

პრაქტიკაში მათი ფართოდ შემოჭრა გამოწვეულია იმით, რომ მაღალი ტოქსიკურობა ახსიათებთ სხვადასხვა ავადმყოფობათა მიმართ. ისინი ამავე დროს ბორდოული სითხის შემცვლელად ითვლებიან. აღვილი და მარტივი დასამზადებელი და მოსახმარი არიან, რის გამოც პრაქტიკაში ხშირად უპირატესობა ეძლევათ. კირის მომატებას არ საჭიროებენ და სხვა პესტიციდებთან კომბინირება აღვილი შესაძლებელია. მცენარეთა დაცვაში გამოიყენება დიმეთილ-დითიოკარბამინის თუთის ღა რკინის მარილები, აგრეთვე ეთილენ-დითიოკარბამინის ნატრიუმის, თუთის და მანგანუმის მარილები და ტეტრამეთილ-თიურამ-დისულფიდი. ამ უკანასკნელს შემოკლებით ტმტდ-საც უწოდებენ და თესლის მშრალი მეთოდის შესაწამლადაც ხმარობენ. ალსანიშნავია ის გარემოება, რომ დითიოკარბამატები არ ითვლებან თბილისხლიანების მაინცდამაინც ძლიერ შხამად. მცენარეების დაწვეს არ იწვევენ.

ტეტრამეთილდიურამდისულფიდი ანუ ტმტდ

ტმტდ — წყრილკრისტალური მოყვითალო-ნაცრისფერი ფენილია. წყალში ძნელად იხსნება; ორგანულ გამხსნელებში, მაგალითად, ეთილის სპირტში, ქლოროფორორმში, აღვილად იხსნება. მდგრადია და სტაბილური. მისი ფორმულა შემდეგია: $C_6H_{12}N_2S$.

ტმტდ-ს იყენებენ სათესლე მასალის მშრალი და ნახევრად სველი მეთოდით შეწამვლისათვის, მცენარის მიწისზედა ნაწილებში (ლეროფოთლების) დამუშავება ამოლებულია.

მცენარის ავადმყოფობათა საწინააღმდეგოდ ბრძოლაში კამოყენებული ტმტდ უნდა შეიცავდეს: 50% მოქმედ საწყისს, 37% შემვსებელს — კალინს, 10% სულფიტს დურდოს, 2% კაზეინს და 1% ჭარს. იყენებენ აგრეთვე ტმტდ-ს 80%-იან სველებად ფხვილს. შემაგსებელი 20% ჭაოლინი.

რაღვან შესაძლებელია ტმტდ-ს სხვადასხვა ინსექტიციდებთან კომ-ბინაციაში გამოყენება, ქარხნებმა დაიწყეს კომპლექსური მოქმედების პრეპარატების დამზადება, კერძოდ ჰექსაქლორციკლოექსანთან (ჰექ-საქლორანი) ერთად. ასეთი ნარევით ერთდროულადაა შესაძლებელი ბრძოლა ხორბლოვანთა გუდაფშუტებთან და მართულაჭიებთან, რომლე-ბიც თესლს აზიანებენ და მცენარეების აღმოცენებას უშლიან ხელს.

თესლის შეწამვლის დროს სათესლე მასალის ტენი არ უნდა აღემატე-ბოდეს 13—14%-ს, რაღვან ჭარბი ტენიანობის შემთხვევაში სათესლე მასალას ნაწილობრივ აღმოცენების უნარი ეკირება. გამშრალი თესლი შესაძლებელია წინასწარ დაგამუშავოთ რამდენიმე (3—6 თვით) ადრე. ასეთი თესლის აღმონაცენების უნარი მატულობს და თესლი არ აბდება. შეწამლული თესლი მშრალ ადგილას უნდა შევინახოთ.

თესლის შეწამვლის ნორმები სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მცე-ნარისათვის სხვადასხვანაირია. მაგალითად, ხორბლეულთა თესლის შე-წამვლისათვის საჭიროა 1 ტონა თესლზე 2 კილოგრამი ტმტდ, 1 ტონა ჭარხლის შეწამლისათვის 6 კილოგრამია საჭირო და სხვ.

ტმტდ-ს იყენებენ აგრეთვე სარგავად გამიზნული ძირხვენების, ბოლ-შვებისა და კალმების საწყობებში შენახვის დროს. სასურსათო მიზნები-სათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შენახვისას მისი გამოყენე-ბა არ შეიძლება. მშრალი მეთოდით შეწამვლა უსათუოდ სათანადო მან-ქანებით უნდა ჩატარდეს.

ნახევრად მშრალი მეთოდის გამოყენებისას წინასწარ ანსტრიანებენ სათესლე მასალას, რათა ტმტდ-ს შერევისას მტევრი არ წარმოიშვას და მუშაობა არ გაძნელდეს. ამისათვის 1 ტონა სათესლე მასალას ჭერ მიუ-მატებენ 5—8 ლ წყალს, რომ თესლი დაინამოს, ნესტრიანი გახდეს. ასეთი სათესლე მასალის ტმტდ-თი დამუშავება ადვილია. შხამის ნორმა იგი-ვეა, რაც მშრალი მეთოდის გამოყენების დროს: 2 კგ 1 ტ თესლზე.

ც ი ნ ე ბ ი

ცინებმა მცენარეთა დაცვის საქმეში უკანასკნელ ხანებში მოიკიდა ფეხი. იგი ბორდოული სითხის შემცველია და თავისი უფლად გამოიყენება როგორც ხეხილზე, ციტრუსებზე, ისე ბოსტნეულ და ტექნიკურ მცენა-რეებზე. მცენარეზე მოქმედებს როგორც სტიმულატორი, ვინაიდან აძ-ლიერებს მცენარის ზრდა-განვითარებას.

თამბაქოს პერიონისპოროზის წინააღმდეგ ბრძოლაში ცინების გამო-ყენებისას გაცილებით უკეთესი შედეგებია მიღებული, ვიღრე ბორდო-ული სითხის ან სპილენძის ქლორჟანგის ხმარების დროს. ცინები გამოიყე-ნება აგრეთვე ვერცხლისფერი ტკიპას საწინააღმდეგოდ ციტრუსებში.

ცინები თეთრი ან მოყვითალოა, ზოგ შემთხვევაში მონაცრისფერო ფხვნილია, ოდნავ შესამჩნევი სუნი აქვს. პრაქტიკულად წყალში არ იხს-

ნება, ორგანულ გამხსნელებში კი მოქმედი საწყისი ეთილენ-ბის კარბა-მიდის მევას თუთიის მარილია, რაც მშრალ ტექნიკურ პრეპარატში 98% -ს აღწევს. მისი ფორმულაა $C_4H_6N_2S_4Zn$.

მცენარეთა დაცვაში გამოსაყენებელი ფხვნილი შედგება 50% ეთილენების—კარბამიდის მევას თუთიის სველებადი მასალისაგან. მოქმედი საწყისი შედგება 43% კაოლინისაგან, 3% სულფატ-სპირტოვანი დურდოსაგან 2% — 7 (გამხსნელი), 2% კარბოქსილმეტიცელულოზასაგან. ასეთი პრეპარატი წყალში ადვილად არ იშსნება და სტაბილურ სუსპენზიას ქმნის. ორგანულ გამხსნელებში იხსნება.

ცინები გამოიყენება 0,5—0,7% -იანი სუსპენზიების სახით.

პრეპარატის ხარჯის ნორმებია: ხეხილის ბალებში 6—9 კგ ჰექტარზე, ბოსტნეულზე 1,8—4,5 კგ კარტოფილზე — 3—4,5 კგ ცინების დადებითი თვისება ისაა, რომ შესაძლებელია მისი კომბინირება სხვა პრეპარატებთან, კირი არა საჭირო და ადვილი მოსახმარია. ცინების დიდი ღირსებაა მისი კეთილისმყოფელი მოქმედება მცენარის ზრდა-განვითარებაზე. საქართველოს მცენარეთა დაცვის ინსტიტუტში შესწავლილია აღნიშნული პრეპარატის მოქმედება ხეხილზე, ვაზზე, ციტრუსებზე, ბოსტნეულზე (პომიდორი) და ყველა შემთხვევაში მცენარის ზრდის მასტი-მულირებელი თვისება გამოამდებარება (ჭანტურია, ნიშნიანიძე; ქუთარა-შვილი). მცენარე იძლეოდა კარგად განვითარებულ სტანდარტულ ნაყოფებს, შეინიშნებოდა მოსავლის მატება და სხვ. ცინების დიდ ნაკლად ის გარემოება ითვლება, რომ ადვილად იჩეცება მცენარისაგან და ამის გამო ხშირი წვიმიანი ამინდის დროს საჭირო ხდება განმეორებით შეწამვლა. ცინების გამოიყენებისას შემჩნეულია აგრეთვე ნაცროვან ავადმყოფობათა სტიმულაცია, რის გამოც მას კოლოიდურ გოგირდთან ერთად იყენებენ.

ცინების კომბინაცია კოლოიდურ გოგირდთან საუკეთესო შედეგს იძლევა ვენახებში ვაზის ჭრაქისა და ნაცრის წინააღმდეგ ერთდროულად.

ცინების 15%-იანი და სპილენძის ქლორუჯანგის 37,5%-იანი კომბინირებული პრეპარატი კუპროზ ან ის სახელითაა ცნობილი. მისი 0,4—0,6%-იანი სუსპენზია გამოიყენება მცენარეთა სხვადასხვა ავადმყოფობის წინააღმდეგ.

ცირამი

ცირამი მოთეთრო ან მოყვითალო ფერის სველებადი ფხვნილია. ჭიმიურად დიმეთილ-დითიოკარბამინის მევას თუთიის მარილია. შეიცავს 86% მოქმედ ნიგთიერებას, შეიძლება ითქვას, რომ იგი ცინების ანალოგი არის და ბორდოული სითხის შემცვლელად ითვლება. წყალში პრაქტიკულად არ იხსნება და გამოიყენება 0,75—1%-იანი სუსპენზის სახით. მებალე-მევენახეობაში უმთავრეს სოკოვან ავადმყოფობათა აგრეთვე

კარტოფილის ფიტოფტოროზის, პომიდორის ავადმყოფობათა და სხვათა წინააღმდეგ.

ვაზის ჭრაქის წინააღმდეგ ცინებისა და ცირამის გამოყენების საკითხი შესწავლილია საქართველოში და მოსავლიანობის ფულადანგარიშში გადა-ყვანით ცინებმა პირველი აღგილი დაიკავა — 4088 მან. ჰექტარზე. მო-სავალი მთლიანად დაიღუპა (ქუთარაშვილი, 1963).

ცირამი ნაცარზე არ მოქმედებს, თითქოს ხელსაც კი უშეობს მის გან-ვთარებას, მაგრამ თუ მას გამოვიყენებთ კოლოიდურ გოგირდთან კომ-ბინაციაში, მაშინ ნაცარსაც სპობს.

ცირამის კომბინაცია ტუტე ნაერთებთან (ბორდოული სითხე, გოგირ-დი-კირნახარში) არ შეიძლება. ნაკლებად შხამიანი თბილსისხლიანები-სათვის, ფიტოტოქსიკურია.

კარგად გამოყენებული ცირამი მცენარის ზრდა-განვითარებაზე და-ლებითად მოქმედებს; ნაყოფები კარგად მწიფდება და მცენარე სიმწვა-ნეს დიდხანს ინარჩუნებს.

ცინების მსგავსად აღვილად ირეცხება მცენარიდან.

კარტოფილის ავადმყოფობათა საწინააღმდეგოდ გამოიყენება 0,6—0,8%-იანი სუსპენზია, ხარჯის ნორმა 3—6 კლ 1 ჰექტარზე. ცირამით შეწამლული მცენარის ნარჩენები საქონლის გამოსაკვებად აკრძალულია. ბერიმის ცნობით ფუტკრებისათვის უვნებელია.

პოლიკარბაცინი

უკანასკნელ ხანებში პოლიკარბაცინი საკმაოდ კარგადაა შესწავლილი საქართველოს ხეხილის ბალებში, ვენახებში და საკმაოდ მაღალ ეფექტ-საც იძლევა.

პოლიკარბაცინი დამზადებულია იგივე ცინებიდან, მხოლოდ დამატე-ბულია ე. წ. ეთილენ-ბის-თიურამპოლისულფიდი. გამოიყენება როგორც შესასტურებელი ფუნგიციდი 0,15—0,3%-იანი სუსპენზის სახით; ხარჯ-ვის ნორმა 1—14 კგ-მდე 1 ჰექტარზე. პრეპარატი თეთრი მაგარი ნივთი-ერებაა, ოდნავ მოყვითალო, 120°-ზე იშლება, წყალში არ იხსნება.

წარმოებაში უზვებენ 75% სველებადი ფხვნილის სახით. ფუნგიცი-დური აქტივობით ცინებზე მაღლა აყენებენ. თბილსისხლიანებისათვის ნაკლებ მოქმედია, თუმცა გამოყენების შემდეგ მოსავალი 10 დღეზე ადრე არ უნდა დაიკრიფოს. დასაშვები ნორმაა ნაყოფებში 1 მგ 1 კგ ხილ-ზე.

კაპტანი

მეტად რთული ნაერთია, ქიმიურად სუფთა კაპტანი თეთრი. კრისტა-ლური ნივთიერებაა, აქვს ოდნავ მყრალი სუნი, წყალში არ იხსნება; ღნობის ტემპერატურა 172°-ს აღწევს. იხსნება ქლოროფორმში, ღიქ-

ლორეთანში ტუტე შლის. ტექნიკური ფხვნილი შეიცავს 50% -მდე პრეპარატის მოჭედ საწყისს, 45% შემცვებელს — კალინს, 2% ოპ—7 და 3% სულფიტურ-სპირტის დურდოს.

კაპტანი გამოიყენება შესხურების საშუალებით იმავე ავადმყოფობათა საწინააღმდეგოდ, რომელთა წინააღმდეგაც ბორდოულ სითხეს იყენებენ. ისე, რომ ერთვარ შემცვლელადაც შეიძლება ჩაითვალის. სუსტად მოქმედებს ნაცროვან სოკოვებზე. კომბინაციაში მისი გამოყენება არ შეიძლება ბორდოულ სითხესთან, მინერალურ ზეთებთან და გოგირდვირნახარშთან. გამოიყენება 0,5—0,7%-იანი სუსპენზია ხეხილის და ვენახის შესაჭამლად.

რკინის ძალასთან კომბინაციაში მისი გამოყენება არ შეიძლება.

კაპტანი დადებითად მოქმედებს მცენარის ზრდა-განვითარებაზე. კაპტანით შეწამლული მცენარის ნაყოფი კარგად ინახება, არ ლპება.

აღმიანისა და, საერთოდ, თბილსისხლიანებისათვის ნაკლებ შხამიანია. ბალების შესხურება უნდა შეწყდეს 30 დღით აღრე მოსავლის აღებამდე. დანარჩენებისა კი 20 დღით აღრე.

ფტალანი

იმავე ჯგუფისაა, რომელშიც კაპტანი შედის.

ქარხნული წესით დამზადებული ფტალანი 50%-იანი სველებადი ფხვნილია და გამოიყენება იმგვარადვე, როგორც კაპტანი, ხეხილისა და ვაზის ავადმყოფობათა (მათ შორის ნაცროვანი] სოკოვების) საწინააღმდეგოდ.

გამოიყენება 0,5—0,7%-იანი წყლის სუსპენზიის სახით (50—10 გ ფტალანი 10 ლ წყალზე). ხარჯვის ნორმა 1,5—6 კგ ჰექტარზე. მცენარეულ პროდუქტებში დასაშეგებია 2 მგ—1 კილოგრამში. იწვევს ზოგიერთ ხეხილის ჯიშების ფოთლების დაწვას. შესხურება წყდება მოსავლის აღებამდე 20 დღით აღრე. ფტალანის ბორდოულ სითხესთან და ზეთებთან ამჟღავნებს ფიტოტოქსიკურ თვისებებს. თბილსისხლიანების მიმართ ნაკლებტოქსიკურია. გარემო პირობების მიმართ სტაბილურია.

ფერბამი (ფუკლაზინი)

ქიმიურად ფერბამის საწყისი რკინის დიმეთილდითოკარბამატია. იგი შეგი ფხვნილია. შესხურებისათვის გამოიყენება, უმთავრესად, დიმეთილდითოკარბამიდის რკინის მარილის 20%-იანი სველებადი ფხვნილი. მოქმედი საწყისი 20%-ია, შემავსებელი თიხა-კალინი 66%; 10% სულფიტ-სპირტის დურდო სტაბილიზატორია, რომელიც ამავე დროს სველებადია მიწებების გასაძლიერებლად, 2% კაზეინია და 2% კირი.

გამოყენება ხეხილის ავადმყოფობათა წინააღმდეგ, თუმცა ნაკლებ ეფექტიანია, ვიდრე ბორდოული სითხე და ცინები. თბილსისხლიანების მოწამვლას არ იშვევს.

მანები

ფარბამატების ჯუფში შედის, მოქმედ საჭყისად ითვლება მანგანუმის ეთილენ-ბის-დითიოკარბამატი.

ყვითელი კრისტალური ფხვნილია. წყალში არ იხსნება. გამოყენებულია იმავე ავადმყოფობათა წინააღმდეგ, რისთვისაც იყენებენ ცირამს, ცინებს და სხვა კარბამატებს, თუმცა ნაკლებ ეფექტიანია. მანგანუმი ამ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს მიკროელემენტადაც, რომელიც ვაშლის ხის განვითარებისთვის აუცილებელია.

თიოციანატები

თიოციანატები, რომელთაც როდანიდებსაც უწოდებენ, განსაკუთრებული ორგანული ნაერთებია; მათ შემადგენლობაში შედის (გოგირდი და ცირამი). ამ ჯუფში სხვადასხვა პესტიციდები შედიან, რომელთაგანც, ზოგიერთს კომპლექსური მოქმედების თვისებები აღმოაჩნდა, ე. ი. შესაძლებელია მათი გამოყენება ერთდროულად როგორც სოკოების, ისე მავნებლების წინააღმდეგ (პრეპ. №47). ზოგი მათგანი სელექციური თვისებების მქონეც აღმოაჩნდა, გარკვეული ავადმყოფობის წინააღმდეგ გამოყენებიან და სხვა.

თიოციანატებიდან განვიხილავთ მხოლოდ დინტროლ და ნიკროლ ბენზოლს. იგი ღია ყვითელი, წვრილქრისტალოვანი ფხვნილია. წყალში თითქმის არ იხსნება; ადვილად იხსნება ორგანულ გამხსნელებში — ქლოროფორმში, ბენზოლში, აცეტონში და სხვ.

დინიტროროდანბენზოლის სუფთად გამოყენება ნაკლებ ეფექტური აღმოაჩნდა, სხვადასხვა პრეპარატებთან კომბინაციაში კი მაღალ ეფექტს გვაძლევს. ასეთი კომბინირებული პრეპარატები ორი სახისაა:

პირველი მათგანია დინტროლ და ნიკროლ და ნიკროლის და ს პირველის ქლოროფანგის ს გ ე ლ ე ბ ა დ ი ფ ხ ვ ნ ი ლ ი ს.

აღნიშნული პრეპარატი შედგება 15% დინიტროროდანბენზოლისა-გან, 8,7 სპილენბის ქლორფანგისგან, 63% შემცვებელის — კალინინისაგან, 10% სულფიტ-სპირტის დურდოსაგან, რომელიც სტაბილიზატორია, 1% კაზეინისა და 2% კირისაგან. ორი უკანასკნელი მიწებების უნარის გასაძლიერებლადა აღებული.

პრეპარატი მოყვითალო ფხვნილია, წყალში ვერ იხსნება, სამაგიეროდ კარგ ემულსიას ქმნის.

მართალია, აღნიშნული პრეპარატი არ ჩამოუგარდება ბორდოულ სითხეს, მაგრამ ფიტოტოქსიკურია და დიდი სიფრთხილეა საჭირო წამლობის ჩატარებისას.

შეორე კომბინირებული ნაზავი არის დინიტროროდნენზოლი კოლოიდურ გოგირდთან ერთად. იგი სველებადი ფხვნილია, ღია ყვითელი ფერის. სუნი არა აქვს. წყალში კარგ სუსპენზიას ქმნის.

შეიცავს დინიტროროდნენზოლს 20%-ს, კოლოიდურ გოგირდს 70%-ს და 10% სულფიტ-სპირტულ დურდოს.

ეს პრეპარატები გამოიყენება იმავე ავადმყოფობათა წინააღმდეგ, რომლებსაც ბორდოული სითხით ან ცინებით ვებრძეით. შეიძლება იქვებას, რომ ნაკლებ ეფექტს არ იძლევიან, მაგრამ ფიტონციდურ თვისებებს ამჟღავნებენ, მეტადრე მაშინ, როდესაც მწერების საწინააღმდეგოდ ბრძოლისას დღტ-თან კომბინაციაში იყენებენ მათ.

დინიტრობენზოლის ორივე პრეპარატის დამზადება და გამოშვება გათვალისწინებულია გეგმით და მალე ალბათ ფართოდ იქნება გამოიყენებული. ადამიანისა, და საერთოდ, თბილსისხლიანი ცხოველებისათვის ნაკლებ შხამიანია.

სინდიუმცველი ფუნგიციდები

სინდიუმიან ფუნგიციდებს ქიმიური ბუნებით ორგვარს არჩევენ — არაორგანულს და ორგანულს.

არაორგანულთაგან აღსანიშნავია ორჯლორიანი ვერცხლისწყალი ანუ სულემა $HgCl_2$. იგი თეთრი კრისტალებია, ადგილად იხსნება წყალში. სამუშაო ხსნარად მზადდება ანგარიშით 1 გ სულემა 1 ლ წყალზე. გამოიყენება ძვირფასი თესლის შესაწამლად ლაბორატორიებში საცდელი მუშაობის დროს. სამუშაო ხსნარში 5 წუთს ასველებენ თესლს, ხოლო შემდეგ რეცხავენ გამდინარე წყალში.

ვინაიდან ძლიერი შხამია, წარმოებაში არ იყენებენ სათანადო ნებართვის გარეშე.

სინდიუმის ორგანული ნაერთების ფუნგიციდებიდან აღსანიშნავია ნ-ოუ ფ 2 ანუ გ რ ა ნ თ ა ნ ი. მისი ფორმულაა — C_2H_6HgCl მოქმედი საწყისი ეთილმერკურქლორიდია. იგი თეთრი ფერის კრისტალური ნივთიერებაა, იშვიათად მონაცრისფროა ან მოყვითალო. შეიცავს 2,5% ეთილმერკურქლორიდს, 96—97% შემცსებელ ტალკს, 0,6—1,2% მინერალურ ზეთს. წყალში არ იხსნება; გოგირდოვან ეთერში სუსტად იხსნება. კარგად იხსნება ცხელ ეთილის სპირტში.

ძლიერი შხამია ადამიანისა და, საერთოდ, თბილსისხლიანთათვის. პრეპარატი გამოიყენება როგორც სათესლე მასალის დეზინფექტორი იმ ავადმყოფობათა წინააღმდეგ, რომლებიც თესლის ზედაპირზე ან

თესლში, კილების ქვეშ, მოქცეული, ან ნიადაგში ბუდობს. ასეთებია ხორბლოვანთა გუდაფშუტები, ჰელმინთოს პორიოზი, ფუზარიოზი და სხვ. გამოიყენება აგრეთვე ტყის ჯიშების, საბოსტნე მცენარეების, ტექ-ნიკურ მცენარეთა თესლის შესაწამლად.

შესამის ხარჯვის ნორმა სხვადასხვაა. მაგალითად, ხორბლოვანთა გუდაფშუტების წინააღმდეგ იყენებენ 1 კგ-ს 1 ტ ხორბალზე. თუ თესლი ფუზარიუმითა დაავადებული, ნორმას აღიდებენ 2 კგ-მდე 1 ტონაზე; ბოსტნეული კულტურებისათვის იყენებენ 2—4 — მდე შესამს თესლზე.

ნიუფ-2-ის დაღებით თვისებად უნდა ჩაითვალოს მცენარის ზრდა-განვითარებაზე, კერძოდ, თესლის აღმოცენებაზე, კეთილისმყოფელი გავლენა. თესლის შეწამვლა დასაშვებია 4—5 თვით აღრე. თუ თესლი დაღი რაოდენობით შეიცავს ტენს 14%-ს ზევით, მაშინ შეწამვლას 2—3 დღით ადრე უჩიჩევენ.

თუ გრანოზანით შეწამლული თესლი დახურულ ოთახში ინახება, სინდიუმის ართქლი გამოიყოფა, რის გამოც ჰაერი იწამლება, ამის თავი-დან ასაცილებლად საჭიროა ოთახი, საღაც შეწამლული თესლი ინახება, ჰერიონდულად ნიავდება.

თესლის შეწამვლა საჭიროა აგრეთვე ინსექტიციდითაც, მაგალითად, ჰექსაქლორანით ნიადაგში მცხოვრები მავნებლების საჭინააღმდეგოდ. უნდა შეიწამლოს თესვის წინ. ჰექსაქლორანით და გრანოზანით ერთდრო-ულად თესლის შეწამვლა არაა რეკომენდებული, რადგანაც ჰექსაქლო-რანი დიდი რაოდენობით იღება (10-ჯერ მეტი). გარდა ამისა ასეთ ნარევში ჰექსაძლებელია გრანოზანი თესლის ზედაპირზე იმდენად მცირე აღმოჩნდეს, რომ ვეღარ იმოქმედოს გუდაფშუტებზე. ამის გამო, თესლი ჯერ გრანოზანით უნდა შეიწამლოს, ხოლო შემდეგ ჰექსაქლორანით. ორმაგი შეწამვლა უსათუოდ ართულებს მუშაობას.

ამჟამად უკვე ქარხნული წესით მზადდება კომბინირებული ნაზავი მ ე რ კ უ რ ა ნ ი, რომელიც ფუნგიციდისა და ინსექტიციდის თვისებებისაა.

მერკურანი თეთრი, ნაცრისფერი ან მოყვითალო ფხვნილია და შედგება 1,8—2,2% ეთილმერკურქლორიციდისაგან. გამა იზომერით გამდიდრებული ჰექსაქლორციკლოჰექსანი (ჰეც) ჩაუმატეს 12%; შემცვებელი ტალკია და მინერალური ზეთი.

მერკურანი გამოიყენება ხორბლეულის გუდაფშუტების, ფუზარიოზის და სხვა მავნებლების წინააღმდეგ მცენარეთა სათესლე მასალის შესაწამლად. ამავე დროს მოქმედებს იმ მავნებლების წინააღმდეგაც, რომლებიც აღმონაცენებს აზიანებენ (მავთულა ჭიები, ბზუალა და სხვა). ხარჯვის ნორმებია: ხორბლეულთა თესლის შესაწამლად 1,5 კგ 1 ტ თესლზე; ჭარხლის თესლისათვის 4 კგ 1 ტ-ზე, ისევე როგორც გრანოზანი, თესლის აღმოცენებაზე და მცენარის განვითარებაზე დაღებითად მოქმედებს.

ძლიერი შხამია აღამიანისა და თბილისის სლიანებისთვის. წამლობა უნდა ჩატარდეს მექანიზებული წესით უსაფრთხოების ყველა პირობის დაცვით.

როდანი ანუ პ-რაროდან ანილინი

როდანი თესლის შესაწამლავი პრეპარატია. იგი სქელი მოყვისფრო სითხეა, რომელიც მოქმედ ნივთიერებას — პარაროდანალინის — 25%-ს შეიცავს და გამხსნელია ოპ—7.

როდანი ახალი პრეპარატია და გამოყენებულია მხოლოდ ხორბლისა და ქერის მტკრიანი გუდაფშუტების საწინააღმდეგოდ ბრძოლაში. აღნიშ-ნული პრეპარატი მოქმედებს არა მარტო თესლის ზედაპირზე მოხვედ-რილი პარაზიტის საწყისზე, არამედ მაშინაც, როდესაც პარაზიტი თეს-ლის შიგნითაა მოხვედრილი. ამ პრეპარატის გამოყენებით იხსნება საჭი-როება ხორბლის მტკრიანა გუდაფშუტის საწინააღმდეგოდ თესლის ფი-ზიური დეზინფექციისა (თესლის გახურება), რაც მეტად შრომატევა-დია, და ამასთან დიდ სიფაქიზესა და სიფრთხილეს მოითხოვს ჩატარები-სას.

შხამი მცენარეზე ორგვარად მოქმედებს. იგი, ერთი მხრივ, ტოქსი-კანტია, ე. ი. სპობს პარაზიტის საწყისს, რომელიც თესლის გარეთ ან შიგნითაა მოთავსებული და, თესლზე კი გავლენას არ ახდენს. მეორე მხრივ, იგი მეტაბოლიტია, ე. ი. მცენარეში ნივთიერებათა ცვლას იმ სახით წარმართავს, რომ მცენარის სხეულში წარმოქმნის პარაზიტისა-თვის გამოუსადევარ ქიმიურ ნივთიერებებს, რის გამოც პარაზიტის გან-ვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები არ იქმნება.

თესლის როდანით შეწამვლა 3 ეტაპად ტარდება ხის იატაზე ან დუ-ლაბდასხმულ ნიადაგზე.

სამუშაო ხსნარი ერთხელ მზადდება. როდანს იღებენ ასეთი შეფარ-დებით: 1 ლ წყალზე 5 გ-ს, და კარგად გახსნიან. თესლს შეწამლავენ ხის ფასრებში ჩასხს მულ სამუშაო სითხეში. კალათებში ან ტომარაში ჩაყრილ სათესლე მასალას ჩაუშვებენ სამუშაო ხსნარში, დააყოვნებენ შიგ 10 წუთით, შემდეგ ამოიღებენ, დაწრეტენ, ზემოდან დააფარებენ იმავე ხსნარში დასცელებულ ტილოს და ასე დატოვებენ არანაკლებ 6 საათის განმავლობაში. ამას მოსდევს შეწამვლა. ეს არის შეწამვლის პირველი ეტაპი. შეწამლულ სათესლე მასალას იმავე შხამით ნამავენ სარწყავის საშუალებით იმ გარაუდით, რომ სამუშაო ხსნარი დაესხას თესლის წო-ნის 10%, შემდეგ ისევ დააფარებენ ბრეზენტს და ტოვებენ ასე 6—12 საათის განმავლობაში. შეწამვლის მესამე ეტაპზე უმატებენ შეწამლული თესლის იმავე რაოდენობის სამუშაო ხსნარს (10%) და ტოვებენ 24 საათის განმავლობაში. შემდევ სათესლე მასალას აშრობენ ჩრდილში და იგი უკვე მზადაა დასათესად.

თუ შეწამლული თესლი კონდიციურ ტენიანობამდე დავიყვანეთ, ე. ი. გავაშრეთ 13—14%-მდე, ასეთი თესლი შეიძლება რამდენიმე თკეს შევინახოთ. ხორბლის და ქერის მტკრიანა გუდაფუტებისათვის თერმულ მეთოდთან შედარებით როდანით დამუშავება 2-ჯერ იაფი გდება.

შემჩნეულია, რომ თესლის როდანით დეზინფექცია უფრო კარგ ეფექტს იძლევა მაშინ, როდესაც თესლი მთლიანად მომწიფებული არა და ტენს შეიცავს. თუ კი თესლი გამომშრალია, კარგადაა მომწიფებული, მაშინ ეფექტი შედარებით ნაკლებია.

ფენოლების ნიტრონაერთები

ამ ჯუფის პესტიციდები თავიანთი მოქმედების დიაპაზონის მიხედვით უნივერსალურ პრეპარატებად ითვლებიან, რამდენადც ყველა ავადმყოფობისა და მავნებლის წინააღმდეგ შეიძლება მათი გამოყენება. ისინი სპონს მავნებლებს განვითარების ყველა ფაზაში. სპონს სკოოპის ყველა მოზამთრე სტადიას. მათი ნაკლია ფიტონციდურობა. ამის გამოც მათი გამოყენება შეიძლება მხოლოდ ზამთარში ან აღრე გაზაფხულზე, მცენარის ვეგეტაციის დაწყებამდე. მცენარეთათთვის და ცხოველებისათვის ძალიან ტოქსიკური არიან.

მათგან აღსანიშნავია:

დინოკი ანუ დინიტროორთოკრეზოლი.

წარმოებისათვის გამოშვებული ფხვნილი მოყვითალოა და შეიცავს 40% დინიტროორთოკრეზოლს, ნატრიუმის უწყლო სულფიტს და დამხმარე ნივთიერებებს.

გამოყენებულია მავნებლის მოზამთრე სტადიების წინააღმდევ საბრძოლველად. გამოიყენება 1% კონცენტრაცია უფოთლო ხეების შემოდგომით ან აღრე გაზაფხულზე შესასხურებლად. მაღალი ეფექტის მისაღებად ნიადაგსაც ასხურებენ ხის ქვეშ. ეფექტურია მავნებელ ავადმყოფობათა კომპლექსის საწინააღმდეგოდ. ძლიერი შხამია და აირწინალით უნდა იმუშაონ.

ნიტრაფენი (პრეპარატი 125).

გამოყენებულია როგორც ავადმყოფობათა გამომწვევი (სოკოების, ბაქტერიების) მოზამთრე ფაზების, ისე მავნებლების საწინააღმდეგოდ მცენარეთა შესვენების ფაზაში; შეწამვლა ხდება ხის ქვეშ ნიადაგის ზე-დაპირის შესხურების გზით (მომსპობი ღონისძიება).

ტექნიკური პრეპარატი პასტისებრია ან მავარი, მუქი-ყავისფერი, კარბოლის მჟავას სუნი აქვს. წყალში კარგად იხსნება.

სპეციალურად კარტოფილის კიბოს მოზამთრე სტადიების მოსასპობად ხმარობენ, შეაქვთ ნიადაგში.

ხეების შესასხურებლად ზამთარში გამოიყენება 2%-იანი ხსნარი. ხანძრის მხრივ საშიშია.

ფიგონი (დიქლონი)

ფიგონი ქინონების ჯგუფს ეკუთვნის. მოქმედი საწყისია 2,3 დიქლორ-1-4 ნაფტოქინონი, რომელსაც 50%-ის რაოდენობით შეიცავს.

ყვითელი კრისტალური ფხვნილია, სუსტი სუნი აქვს, წყალში არ იხსნება; კარგად იხსნება ეთილის სპირტში, ოთხქლოროვან ნახშირბადში, კარგად ინახება. ტუტეებში იშლება.

აღამიანისათვის და, საერთოდ, თბილსისხლიანებისათვის სუსტი შხამია.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ფუტკრებს არ ვნებს, რის გამოც შესხურება შესაძლებელია ყვავილობის ფაზაში ჩატარდეს.

ფიგონის დიდი ღირსება ისიცაა, რომ იგი მოქმედებს როგორც მცენარის ზედაპირზე არსებულ ავადმყოფობათა საწყისზე, ისე მცენარის შიგნით არსებულზე, ასევე მცენარის ქსოვილში შეჭრილ საინფექციო წინაზრდილზე, რის გამო მას როგორც პროფილაქტური, ისე გამანადგურებელი ანუ სამჯურნალო მნიშვნელობა აქვს.

ფიგონი პერსპექტიულია კურკოვანთა ავადმყოფობათა საწინააღმდეგოდ (ატმის ფოთლის სიხშუჭე, კლასტეროსპოროზი და სხვ.).

ძალიან კარგი შედეგებია მიღებული ფიგონის გამოიყენებით მებოსტნეობაში, კერძოდ, კარგი შედეგები გამოიღო კიტრის ნაცრის საწინააღმდეგოდ გამოიყენებისას (ნიშნიანიძე).

ნაცროვანი სოკონების (მაგალითად, ვაშლის ნაცრის) წინააღმდეგ კარგ შედეგს იძლევა (ჭანტურია, ნიშნიანიძე).

სამუშაო ხსნარი მზადდება 02—04%-იანი წყლიანი ემულსიის სახით (20—40 გ ფიგონი 10 ლ წყალზე).

კარატანი

კარატანი პერსპექტიული პრეპარატია ნაცროვანი სოკონების საწინააღმდეგოდ, რომელთა მიზართ ამჟღავნებს როგორც პროფილაქტიკურს, ისე გამანადგურებელ თვისებებს. იგი ოდნავ მოყვითალო სველებადი ფხვნილია.

სამუშაოდ მზადდება 01—02%-იანი სუსპენზია წყალზე (10—20 გ 10 ლ წყალზე). ხარჯვის ნორმა 1 პექტარზე 1—3 კგ-ია.

სუსპენზია მდგრადია.

კარგი შედეგებია მიღებული კარატანის გამოშენებისას ბოსტნეულ კულტურათა მავნებლების წინააღმდეგ. კერძოდ კიტრის ნაცრის წინააღმდეგ (ნიშნიანიძე). აგრეთვე ვაზზე (ჭუფარაშვილი). ამ შემთხვევაში

კარატანით წამლობაშ უკეთესი შედეგი მოგვცა, ვიდრე კოლოიდური გოგირდით წამლობამ. კომბინაცია სტაბილურია გარემო პირობების მიმართ, ამჟღავნებს ფიტოტოქსიკურ თვისებებს. ადამიანისა და საერთოდ თბილისხმლიანი ცხოველებისათვის სუსტ შხამად ითვლება.

კარბათონი (ვაპაში)

კარბათონი დითიოკარბამიღის მეავათა ნაწარმია და ქიმიურად მისი მარილები და ეთერებია, რომელთაც საუკეთესო ნემატოციდური და ფუნგიციდური თვისებები გამოავლინეს. გარდა ნემატოდებისა მაგ. კარტოფილის „შავფეხას“ საწინააღმდეგოდ ნიადაგის დეზინფექციის სახით გამოიყენება. იყენება აგრეთვე ჰერბიციდად. მას უნივერსალურ პესტიციდად სთვლიან.

ტექნიკური პრეპარატი მოწითალო-ყვითელია, წყალში კარგად იხსნება. სპეციფიკური სუნი აქვს. ხანგრძლივად არ ინახება, ვინაიდან წყალში იშლება.

ფართოდ გამოიყენება მებოსტნეობაში ნემატოდების საწინააღმდეგოდ როგორც სათბურებში, ისე ლია ნაკვეთებზე.

სათბურებისათვის დამზადებული ნიადაგის დეზინფექციისათვის 1 მჟჟე სჭირდება 1 კგ. შეტანის დროა 30 დღით ადრე სათბურებში მცენარეთა გამორგვამდე ან სათბურებში მოსავლის აღების შემდეგ; ლია ნაკვეთებზე კი შემოღომიდან მოყოლებული არა უგვიანეს 30 დღისა დათვეს-ვამდე. ბალებში გამოიყენება ფოთლების გაშლამდე. კარგ ეფექტს იძლევა თუ ნიადაგის ტემპერატურა 10°-ს უდრის, ხოლო ჰაერის ტემპერატურა — 18—20°-სს.

კარბათონით მუშაობა აირწინაღებით უნდა ჩატარდეს. გაუფრთხილებლობით ხმარებისას სასუნთქი და მხედველობის ორგანოების გაღიზიანებას იწვევს, თუმც 1—2 საათის შემდეგ ქრება, გაუვლის.

დანარჩენი ფუნგიციდები

ამ ნაწილში ისეთი შხამებია განხილული, რომლებიც ერთმანეთისა-გან ქიმიურად განსხვავდებიან და ამის გამო ერთ ჯგუფში მათი გაერთიანება ვერ ხერხდება. მათი ნაწილი ორგანული ნაერთებია, ნაწილი—მინერალური.

პირველ რიგში უნდა განვიხილოთ:

ფორმალინი

ფორმალინის გამოიყენებას მცენარეთა დაცვის პრაქტიკაში ხანგრძლივი ისტორია აქვს. პირველად მიაქციეს ყურადღება 1888 წელს, ამის შემდეგ, იმის გამო, რომ წამლობამ კარგი შედეგი გამოიღო, ფორმალინმა სწრაფად მოიკიდა ფეხი მცენარეთა დაცვის საქმეში, მეტადრე შენობე-

ბისა და სათესლე მასალის დეზინფექციისათვის. უკანასკნელ ხანებში მისი გამოყენება რამდენადმე შეჯღულულია; მის მაგივრად ხმარობენ ახალ, უფრო ადგილად მოსახმარ მშრალ ფუნგიციდს, თუმცა ზოგ შემთხვევაში მისი გამოყენება ახლაც აუცილებელია.

კიმიურად ფორმალდეჰიდის წყალში გახსნილი ხსნარია CH_2O ფორმალდეჰიდის ანუ ჭიანჭველას ალდეჰიდის ფორმულა HCHO .

იგი უფერული ნივთიერებაა, მეტად მწვავე სუნი აქვს. იწვევს ლორწოვანი გარსების (თვალის, სასუნთქი გზების) გაღიზიანებას, ხანგრძლივი მოქმედების შედეგად კი სიკვდილსაც.

ფორმალდეჰიდი ადგილად იხსნება წყალში და ამ გზით მიიღება ფორმალინი. სხვა მინარევებსაც შეიცავს, მაგალითად, მეტელის სპირტს 10%—მდე, აცეტონს, ჭიანჭველას მუავას მცირე რაოდენობით. ქარხნული წესით დამზადებული ფორმალინი სხვადასხვა კონცენტრაციისაა. ჩვეულებრივია 38—40%-იანი ხსნარი.

ფორმალინი თუ ცივად ინახება, ხსნარიდან ილექება მოთეთრო ნალექი და იმდევრევა. ეს ნიშანია იმისა, რომ ფორმალდეჰიდი ხსნარიდან გამოიყო, მოხდა ფორმალინის პლიმერიზაცია და ნაწილობრივ შეიცვალა კიდეც. ასეთი ნალექიანი ხსნარის გამოსაყეთებლად საჭიროა ფორმალინი, შევათბოთ: ნალექი ისევ გაიხსნება და ფორმალინითავის პირვანდელ სახეს აღიდებენ.

ფორმალინიდან ნალექი რომ არ გამოიყოს, ამ მიზნით ხშირად მეთოლის სპირტს უმატებენ. იმის გამო, რომ ის ჭიანჭველის მუავას შეიცავს, ფორმალინის რეაქცია ყოველთვის მუავება.

მცენარეთა დაცვაში ფორმალინი სხვადასხვა მიზნით გამოიყენება.

1. სათესლე მასალის შეწამვლისათვის სველი და ნახევრად მშრალი მეთოლით ყველა იმ ავადმყოფობის საწინააღმდეგოდ, რომელთა გამომწვევი თესლის ზედაპირზე იზამთრებს ან მექანიკურადაა შერჩენილი მარცვლეულზე, მაგალითად, გუდაფშუტოვანი ავადმყოფობანი, კარტოფილის ტუბერების დეზინფექცია — ქეცის, რიზოქტონიზის, ჭარხლის თესლის ავადმყოფობათა და სხვ.

2. ნიადაგის სადეზინფექციო როგორც სათბურებისათვის შერჩეულ ნიადაგისა სათბურებში შეტანამდე, ისე სათბურებში შეტანილი, დასათესად მომზადებული ნიადაგის. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს აღმონაცენების, ჩითილის ავადმყოფობანი, რომელთა გამომწვევები ნიადაგში იზამთრებენ (*Pythium de Baryanum, Moniliopsis, Fusarium* და სხვ.).

3. საწყობებისა და შენობების დეზინფექციისათვის. ამ შემთხვევაში ბრძოლა ტარდება მცენარეული პროდუქტების დამავადებელ ობის სოკოების წინააღმდეგ, რომლებიც საწყობებში და შენობებშია გავრცელებული. რადგანაც ფორმალინი ორთქლდება, მისი ორთქლი ჰერმეტულად

დახურულ საწყობში ან შენობაში ყველგან აღწევს. იქაც კი, საღაც სხვა სველი ფუნგიციდების გამოყენება ვერ ხერხდება.

სველი მეთოდი გამოიყენება, უმთავრესად, კილებიანი თესლის მქონე გულაფშუტოვან ავადმყოფობათა წინააღმდეგ. ასეთებია, მაგალითად ქერის მყრალი გულაფშუტა, ქერის ქვაგულაფშუტა ((*Ustilago hordei*, *Tilletia panicici*), ფეტვის გულაფშუტა (*Ust. paniciniliacei*)).

სათესლე მასალის სველი მეთოდით დეზინფექციისათვის სამუშაო ხსნარი უნდა დამზადდეს 40%-იანი ფორმალინის წყალში გაზავებით. უნდა ავიღოთ 1 წილი 40%-იანი ფორმალინი და 300 წილი წყალი. დამზადებულ სამუშაო ხსნარის კონცენტრაცია იქნება 0,12—0,15%-იანი. ამ ხსნარით სათესლე მასალას დავასველებთ სარწყავით ან სხვა რაიმე საშუალებით, უკეთესია — დაინამოს, შემდეგ თესლს ხვავად შეაგროვებენ და დააფარებენ ბრეზენტს ან მტკიცე ქსოვილს და ასე დატოვებენ 2 საათის განმავლობაში. ამ ხნის განმავლობაში ფორმალინის ორთქლისაგან თესლის ზედაპირზე მოხვედრილი სპორები იღუპებან. 2 საათის შემდეგ ბრეზენტს გადახდიან. სათესლე მასალას ჩრდილში გააშრობენ და უკვე შეიძლება დაითესოს. ფორმალინით შეწამლული და გამშრალი თესლი ნიადაგში მცხოვრები მართულა ჭიების საწინააღმდეგოდ შეიძლება ჰექსალორანთაც შეიწამლოს.

ხშირი შემთხვევაა, როდესაც ფორმალინი სტანდარტული არაა, ე. ი. 40%-ზე უფრო ღაბალი კონცენტრაციისაა. ცხადია, თუ ნაკლები კონცენტრაციისაა ფორმალინი, გაზავებისათვის უფრო ნაკლები წყალი უნდა გამოვიყენოთ. იმის გამოსააშკარავებლად, თუ რამდენი წყალი უნდა დაემატოს მიღებულ ფორმალინს, გამოიყენება მარტივი ფორმულა $X = \frac{300-a}{40}$, ამ ფორმულაში ჩასასმელია მხოლოდ $a-s$ მნიშვნელობა, რაც მიღებული ფორმალინის კონცენტრაციაა. საბოლოო გამოანგარიშებით მივიღებთ x -ის მნიშვნელობას, ე. ი. წყლის რაოდენობას, რაც უნდა დაემატოს ამა თუ იმ კონცენტრაციის ფორმალინს, რომ მივიღოთ 0,12—0,15%-იანი სამუშაო ხსნარი.

ფორმალინი გამოიყენება აგრეთვე ნახევრად მშრალი მეთოდით. ამ შემთხვევაში სამუშაო ხსნარი შემცირებულია, მაგრამ კონცენტრაცია უფრო მეტია — 0,5%, ე. ი. 1 წილ 40%-იან ფორმალინს აზავებენ 80 წილ წყალში. შეწამლისათვის, მაგალითად, 1 ტ ქერის სათესლე მასალის დეზინფექციისათვის იყენებენ 15 ლ სამუშაო ხსნარს ზემოთ უკვე აღწერილი წესით.

ნახევრად მშრალი მეთოდი ეკონომიურად და პრაქტიკულად უფრო ხელსაყრელია, უძრავ სველი მეთოდი. გაშრობა არ უნდა, აღრე შეიძლება ჩატარდეს და სითხე ნაკლები სჭირდება.

ფორმალინით შეწამლული თესლი გამოშრობის შემდეგ შეიძლება

ჟელმეორედ განავითანდეს. ამ მოვლენის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ტარას (ტომრებს, კასრებს) და იარაღს დეზინფექცია გაუკეთდეს. ფორმალინის ხსნარში დასველებით (1 წილი ფორმალინი 100 წილ წყალზე) და 12—22 საათის განმავლობაში დაყოვნების გზით.

უცილებელია თესლის საწმენდისა და სათესი მანქანების დეზინფექციაც. ამ მიზნით მათ 2%-იან ფორმალინში დასველებულ ბრეზენტს გადაახურავენ და დაყოვნებენ 24 საათის განმავლობაში. იშვიათად სამუშაო ხსნარით იარაღების გარეცხვასაც მიმართავენ, მაგრამ ეს წესი საკმაოდ რთულია. დეზინფიცირებული ბრეზენტით გადახურვა უფრო მარტივია.

ფორმალინი ფართოდ გამოიყენება აგრეთვე სათბურების ნიაღავის დეზინფექციისათვის. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს სათბურების ნიაღავში დაბუღებული ჩითილების ჩაწოლის ან ჩითილების ამოსვლეპის გამომწვევი სოკოების (*Pythium, Monilipsis*-ს) წინააღმდეგ ბრძოლა. ფორმალინი ნიაღავში მორწყვის მეთოდით შეაქვთ. იყენებენ ფორმალინის 2%-იან ხსნარს 6—10 ლ-ის რაოდენობით თითოეულ მ²-ზე მორწყული ადგილი იხურება მულჩით ან რიფარება ბრეზენტით და ასე ტოვებენ 10—12 დღის განმავლობაში. შემდეგ ბრეზენტს მოხსნიან. ფორმალინის სუნი რომ ამოქრეს ნიაღავიდან, საჭიროა ნიაღავი ორჯერ გაფრეირდეს 2 დღის ინტერვალით, შემდეგ მორწყვას და ისე დაითესოს.

ფორმალინი გამოიყენება აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესანახვად დანიშნული საწყობებისა და შენობების დეზინფექციისათვის სხვადასხვავარი ობების და ლპობის გამომწვევი მიკროორგანიზმების საწინააღმდეგოდ. ასეთი ორგანიზმები საწყობში ყოველთვისაა და ოდნავ ხელისშემწყობი პირობების დადგომის შემდეგ (მაღალი ტემპერატურა, მაღალი ტენი, შენობების ვენტილაციის უქონლობა) ისეთი დიდი რაოდენობით მრავლდებიან, რომ პროდუქტებს ალპობენ (*Penicillium, Ripzopus, Aspergillus*. და სხვა). ერთხელ თუ დაიბუდეს საწყობებში, მათი მოსპობა შენობების თუ საწყობების დეზინფექციის გარეშე შეუძლებელია.

სათბურებსა და შენობებში ფორმალინი სხვადასხვა წესით ორთქლდება. კყელაზე მარტივი წესია — ტაფებით ღია ჭურჭლით ფორმალინის ხსნარის შენობაში შეტანა და დადგმა. ფორმალინი ნელა, თავისით ორთქლდება. შეიძლება აგრეთვე დამზადებული ხსნარით გაირეცხოს თაროები, ქედლები და იატაკი (200—300 გ ფორმალინი 6 ლ წყალზე). ფორმალინის შეტანის შემდეგ საწყობები ჰერმეტულად უნდა დაიკეტოს 2—3 დღის განმავლობაში.

დიდი შენობების დეზინფექციისათვის იყენებენ ფორმალინისა და კალიუმის ჰერმანგანატის თანბარ ნარევს შემდეგი პროპორციით: 2 კგ ფორმალინი, 2 კგ კალიუმის ჰერმანგანატი და 2 ლ წყალი. ამ შემთხვევაში სპეციალურად გახურება საჭირო არაა.

გადაწონილ მასალას ჯერ ერთმანეთს შეურევევნ. სადეზინფექციოდ გამზადებულ შენობაში შეიტანენ და სწრაფად გარეთ გამოდიან. ორთქლება გამოწვეულია ფორმალინის და კალიუმის პერმანგანატის ჩაეჭიროთ, რომელიც ეგზოთერმულია. ფორმალდებილის ნაწილი უანგდება ჭიანჭველის მუვად, ხოლო ნაწილი ორთქლდება.

რკინის შაბიამანი ანუ ძალა — $\text{FeSO}_4 \cdot 7\text{H}_2\text{O}$

რკინის შაბიამანს ძეველად უფრო ფართოდ იყენებდნენ, ვიდრე უკანასკნელ ხანებში. ამის მიზეზი ისაა, რომ უკეთესი და ეფექტური პრეპარატები აღმოჩინეს. მიუხედავად ამისა, რკინის შაბიამანს ზოგ შემთხვევაში მაინც იყენებენ, მაგალითად, ძეველ ხეებზე ხავსებისა და მღიერების მოსაცილებლად. 3—5% -იან ძალას ასხურებენ გვიან შემოღომაზე, ზამთარში ან აღრე გაზაფხულზე, ვიდრე ვეგეტაცია დაიწყებოდეს.

რკინის ძალა საკმარის დიდი მომწვანო კრისტალების სახითაა. ჰიგროსკოპულია და ჰაერზე ღია ჭურჭელში თუ დარჩა, წყალს ითვისებს, კრისტალები ნაწილობრივ იშლება. და მონაცრისფრო-მწვანე ხდება. ასეთი ძალა გამოსადევარია. ტექნიკური რკინის შაბიამანი — რკინის სულფიტი — შეიცავს 47—53% რკინის შაბიამანს, 0,25—1% გოგირდის მუავას. წყალში ადვილად იხსნება.

აღამიანისა და თბილსისხლიანებისათვის სუსტი შხამია.

იყენებენ აგრეთვე ხეხილისა და ვაზის ქლოროზის წინააღმდეგ. შეჰქონდათ ნიაღვაში 1% -იანი სხნარის ან ფენილის სახით, ძალას ზემოქმედებით ქლოროზიანი მცენარე ღროვებით მწვანდება, მაგრამ შემდგომ სევ ყეითლდება, ასე რომ მაინცადამაინც ეფექტურ შედევს არ იძლევა.

სისტემური მოქმედების ფუნგიციდები

სისტემური მოქმედების ფუნგიციდების შემოღებას მცენარეთა ავადმყოფობათა წინააღმდეგ ხანგრძლივი ისტორია არა აქვს.

მისი მოქმედება მცენარეთა ავადმყოფობათა წინააღმდეგ იმაში მდგომარეობს, რომ ავადმყოფ მცენარეთა შეფრქვევა-შესხურებით ან ფენიდან კვებით თესლის შეწამვლით ფუნგიციდი მცენარის სხეულში იჭრება და შიგნით გრულდება ქსილების ქსოვილებით, ძირიდან — მცენარის ზედა ნაწილებში. იწვევს მცენარის სხეულში შეჭრილი პარაზიტის მიცელიუმის სიკვდილს, ან ავადმყოფ მცენარეში მიმდინარე მეტაბოლიტური პროცესების დროს ისეთი ნივთიერებანი წარმოქმნებიან, რომლებიც შეჭრილი პარაზიტისათვის ხელსაყრელი აჩა და აჩერებს მათ განვითარებას. ასეთი პრეპარატებიდან აღსანიშნავია:

ბ ე ნ ო ლ ი (ბენლატი, ფუნდაზოლი), როგორც ლიტერატურული მონაცემებიდან ჩანს, უნივერსალურ საშუალებად ითვლება. კარგ

ეფექტს იძლევა როგორც ჩანთიან, ისე უსრული სოკოების მიერ გამოწვეულ სხევადისხევა ავაღმყოფობათა წინააღმდეგ. არ მოქმედებს მხოლოდ სოკოწყალმცენარეებზე. წყალში და მცენარის ქსოვილებში ჰიდროლიზს განიცდის და მიღებული ნაერთებიც ფუნგიციიდური თვისებებისაა. სუფთა სახით არ იხსნება წყალსა და ზეთში. ჭროროფილში იხსნება (9,4 გ 100 გ-ზე). გამოიყენება როგორც ხეხილში, ციტრუსებში, ისე ბოტნეულში და მინდვრისა და ტექნიკურ კულტურებზე.

ჭარხნის მიერ გამოშვებულია 50% სველებადი ფხვნილის სახით, როგორც ვეგეტაციური ნაწილების შეფრქვევით, ისე თესლის შეწამვლით და მორწყვით. დიდი პერსპექტივა უნდა ჰქონდეს ტრაქეომიკოზულ ავაღმყოფობათა წინააღმდეგ.

ნაკლებად ტოქსიკურია მცენარეებისათვის, ნაკლებად საშიშია თბილსისხლიანებისათვის და გამოყენების შემდეგ მცენარის პროდუქტებში ნარჩენებს არ იძლევა.

ვაშლის ქეცის და ნაცრის საშინააღმდეგოდ გამოიყენება 0,1% კონცენტრაცია, ხარჯის ნორმა 1—2 კგ 1 ჰექტ.

ჭარხლის ავაღმყოფობათა წინააღმდეგ 0,1% კონც. 0,6—0,8 კგ/1 ჰექტ.

კიტრის ნაცრის წინააღმდეგ როგორც დაცვითი, ისე სამკურნალო მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ნიაღავში შეტანით—1,2 გ-1 მ/ზე. ხეხილზე და ჭარხხალზე წამლობა უნდა შეწყდეს 20 დღით ადრე, ხოლო კიტრზე კი 7 დღით ადრე მოსავლის მოკრეფამდე.

ტ თ ფ ს ი ნ ი — სისტემური ფუნგიციიდია. მოქმედების ფართო სპექტრით იხმარება 70% სველებადი ფხვნილი. უმთავრესად ჭარხლის ცერკოსპოროზისა და ნაცრის წინააღმდეგ 0,1—0,2 კონცენტრაციისა — ხარჯის ნორმა 0,5—1 კგ 1 ჰექტარ ნათესებში.

ა ნ ი ლ ა ტ ი — კონტაქტურ-სისტემური პრეპარატია და მაღალ-ეფექტურიან საშუალებად ითვლება ხორბლეულთა უანგა ავაღმყოფობათა წინააღმდეგ თესლის დამუშავებით ქერის ქვაგუდაფშუტას სპობს, აგრეთვე ფესვის სიდამპლეს.

ანილიტი 93% მოქმედ ნივთიერებას შეიიცავს; ხორბლეულთა შესურებისათვის გამოიყენება 1% კონცენტრაცია, ხარჯის ნორმა 5—10 კგ-1 ჰექტარზე. თბილსისხლიანებისათვის ნაკლებ ტოქსიკურია; ბრძოლა უნდა შეწყდეს მოსავლის აღებამდე 20 დღით ადრე.

ვ ი ტ ა ვ ა ქ ს (კარბოქსინი) სისტემური ფუნგიციიდია. საუკეთესო შედეგს იძლევა გუდაფშუტოვან და უანგა ავაღმყოფობათა მიმართ. ვიტავაქს უშვებენ 75%-იან სველებად ფხვნილს; გამოიყენება თესლის შეწამვლისათვის; 2,5—3,5 კგ 1 ტონა თესლზე უნდა დაითესოს თესლის შეწამვლიდან 3—4 დღის შემდეგ. შეწამლული თესლის ორი თვით შენახვა არ მოქმედებს ტოქსიკურობის დაცემაზე. თბილსისხლიანებისათვის ნაკლებ სახითათოა.

პერმანგანატი ანუ მანგანუმმჟავა კალიუმის მარილი

მისი ფორმულაა $KMnO_4$ მოწითალო-იისფერი კრისტალებია, ზოგჯერ მუქი, მოშავო ფერისაც. კრისტალები კრიალაა და წყალში აღვილად იხსნება; რაც მეტი კონცენტრაციისაა ხსნარი, მით უფრო მუქდება. კალიუმის პერმანგანატი ითვლება ძლიერ დამჟანგველად და სწორებ ამით ხსნიან იმ ფაქტს; რომ კარგად მოქმედებს. სოკოებისა და ბაქტერიების წინა-აღ მდეგ.

მცენარეთა დაცვის საქმეში გამოიყენება მისი 0,01%-იანი ხსნარი თესლის დეზინფექციისათვის, უმთავრესად, ლაბორატორიულ პირობებში, გამოიყენება აგრეთვე ნერგების ფესვთა სისტემის სადეზინფექციოდ. ნერგის ფესვები უნდა ამოვავლოთ 0,5—1%-იან ხსნარში.

ზოგ შემთხვევაში პერმანგანატის ვაზის ნაცრის წინააღმდეგაც იყენებენ შესხურების მეთოდით. იყენებენ, უმთავრესად, მტევნების შესასხურებლად, მაგრამ ნაკლებ ეფექტს იძლევა გოგირდოვან პრეპარატებთან შედარებით.

სადეზინფექციო პერმანგანატის მაღალი კონცენტრაციის ხსნარის გამოიყენებით შეიძლება თესლს აღმოცენების უნარი დაეკარგოს.

აღამიანებისა და საერთოდ, თბილსისხლიანებისათვის უვნებელია.

პერბიციდები

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანისათვის და მოსავლიანობის გადიდებისათვის სოფლის მეურნეობის მუშაკებს უხდებათ საკმაოდ მძიმე და შრომატევადი მუშაობის ჩატარება ნაკვეთებზე თვითნებურად ამოსული სარეველა ბალახების წინააღმდეგ. მემცენარეობის ცალკეულ დარგებში ნიადაგის დამუშავებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა: ხვნის სიღრმეს, აოშვას; რამდენიმე კულტივაციის თუ თოხნის ძირითადი მიზანი სარეველების წინააღმდეგ ბრძოლაა. თუ სარეველების მოსპობა აქამდე მექანიკური საშუალებით ხდებოდა, უმთავრესად, ხელით მარგვლით და თოხნით, ნიადაგის კულტივაციით და სხვა, ახლა თანდათან იკიდებს ფეხს სარეველების წინააღმდეგ ქიმიური ნივთიერებების გამოიყენების მეთოდით ბრძოლა. როგორც ხშირად ამბობენ, „ქიმიური მარგვლა“. იმ ნივთიერებებს, რომელთაც სარეველების წინააღმდეგ საბრძოლველად იყენებენ, ჰერბიციდები (herba — ბალაზი, cidi — მოსპობა) ეწოდება.

საქართველოში პერბიციდები, უმთავრესად, მინდვრის კულტურებშია გამოიყენებული. ყოველწლიურად მუშავდება 30—35 ათასამდე პექტარი ხორბლეულის ნათესებისა. უკანასკნელ პერიოდში მრავალწლიან და ბოსტნეულ კულტურებშიც დაიწყეს გამოიყენება.

სარეველები მრავალია, ყველგან გვხვდება და სხვადასხვა ბიოლოგი-

ური თვისებებიც აქვთ. მინდვრად სხვადასხვა პერიოდში ჩნდებიან. გარდა ამისა, გვხდება სხვადასხვა მცენარის ნათესებში, რომელთა მოყვანის წესები როგორც კულტურული მცენარის თავისებურებანი და სპეციფიკა — სხვადასხვანაირია. ყველა კერძო შემთხვევა პერბიციდების გამოყენებისადმი თავისებურ მიდგომას და შესაფერი ჰერბიციდის შერჩევას მოითხოვს.

ჰერბიციდებით სარეველების წინააღმდეგ ბრძოლა ორი სახისა: როდესაც ღონისძიებები იმ მხრივა მიმართული, რომ სარეველები არ გაჩნდენ ნათესებში, ე. ი. პროფილაქტიკური, ხოლო მეორეა—გამანაღვურებელი, როდესაც ბრძოლას სარეველების გამოჩენის შემდეგ ვატარებთ.

პრაქტიკუში ხშირად წინასწარ გამაფრთხილებელ და გამანაღვურებელ ღონისძიებებს შორის მკვეთრი განსხვავების დამყარება შეუძლებელი ხდება, რის გამოც ერთი სახის ღონისძიება მეორეში გადადის. უფრო სწორი იქნება ითქვას, რომ ეს სახეები ერთიმეორესთან მჭიდრო კავშირში იმყოფებიან. ცალ-ცალკე თითოეული მათგანის გამოყენებას სარეველების უმნიშვნელო რაოდენობამდე დაყვანა არ შეუძლია და საჭირო ხდება მათი ურთიერთმოქმედება, რათა ბრძოლის შედეგი უფრო ეფექტიანი იყოს.

მცენარეებზე ქიმიური მოქმედების თვალსაზრისით ჰერბიციდები ორ ჯგუფად იყოფა: პირველ ჯგუფს „შეადგენს ს ა ე რ თ ო გ ა მ ა ნ ა ღ გ უ რ ე ბ ე ლ ი ჰერბიციდები. ასე ეძახიან იმ ჰერბიციდებს; რომლებიც ბევრ მცენარეზე, მათ შორის კულტურულზეც მოქმედებენ. ამ უკანასკნელი მიზეზის გამო მათ ნათესებში ველარ იყენებენ და ქიმიურ მარვლას ველარ ატარებენ.

მეორე ჯგუფს ე. წ. შერჩევითი ჰერბიციდები შეადგენენ. ეს ისეთი ჰერბიციდებია, რომლებიც სარეველა მცენარეებზე მოქმედებენ, ხოლო კულტურულზე — არა. ასეთი ჰერბიციდები ქიმიური მარვლისათვის არაან გამოყენებული.

ჰერბიციდები განსხვავდებიან აგრეთვე მცენარეზე მათი მოქმედების ხსიათის მხრივ. ჰერბიციდი, რომელიც მხოლოდ მცენარის იმ ორგანოზე ან ნაწილზე მოქმედებს, რაზედაც ხვდება, ე. ი. მცენარის მიწასზედა ნაწილებზე ადგილობრივი ანუ კონტაქტური მოქმედებისაა.

იმ შემთხვევაში კი, როდესაც მცენარის ზედაპირზე მოხვედრილი ჰერბიციდი მცენარის ქსოვილში იჭრება და შემდეგ ჰურქელ-ბოჭკვანი კონების გზით გაღაინაცვლებს მცენარის მთელ სხეულში და იწვევს მის დაჩავრებას, დეფორმაციას და საბოლოოდ ახმობს. სისტემური ანუ სარეველი მოქმედებისაა.

ჰერბიციდი უმჯობესია როდესაც შერჩევითი თვისებების მქონეა. ერთი რომელიმე ჯგუფს მცენარეს, მაგალთად, ორლენდინებს

ანადგურებს (მაგალითად, 2—4 ლ.). ერთლებნიანებზე კი არ მოქმედებს. ასეთი ჰერბიციდი თავისუფლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ხორბლეულის ნათესებისათვის, სადაც ბევრ შემთხვევაში ორლებნიანი სარეველა მცენარეები გვხვდება. ჰერჩევითი უნარი შეიძლება უფრო ვიწრო ფარგლებით შემოისაზღვროს. ცნობილია ისეთი ჰერბიციდები, რომლებიც მარტო ერთ მცენარეს აზიანებენ. მაგალითად, ავადექსი ან კარბანი მარტო შვრიულაზე მოქმედებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჰერბიციდების შერჩევა ხშირად დამოკიდებულია სხვადასხვა პირობებზე, მაგალითად, კონცენტრაციაზე, მცენარის განვითარების ფაზაზე, მათ მორფოლოგიურანატომიურ აგებულებაზე და სხვ. ისე, რომ, ონისძიების ჩატარებისას, თუ იქნა წესიერად დაცული სათანადო ინსტრუქცია, შესაძლებელია შერჩევითი ჰერბიციდი საერთოდ ჰერბიციდად გადაიქცეს. ცულად ჩატარებული სარეველების საწინააღმდევონ ბრძოლა ანუ „ქიმიური მარგვლა“, ჰერბიციდის ხშირად მნიშვნელობას უკარგავს. ამის მაგალითები ბევრია.

სარეველა მცენარეთა ბიოლოგიისა, კულტურულ მცენარეთა თავისებურებებისა და ჰერბიციდის თვისებების გათვალისწინებით მათი ნათესებში შეტანის ვადები სხვადასხვაა.

თესვისწინა ჰერიოლში ჰერბიციდის გამოყენება მისი ნიადაგში შეტანისას გულისხმობს — ჯერ ჰერბიციდი ნიადაგის ზედაპირზე უნდა მოიყაროს და შემდეგ ნიადაგი მოიჩინას, მოიხნას და კულტივაცია ჩატარდეს.

აღმოცენების წინა ჰერიოლში ჰერბიციდი მაშინ შეაქვთ, როდესაც ნაკვეთი დათესილია, მაგრამ კულტურული მცენარის აღმონაცენები ჯერადაც ჩანს.

ჰერბიციდები შეაქვთ აგრეთვე კულტურის მცენარის აღმოცენებისა და მოცენებისა და კონკრეტული დროს.

ჰერბიციდები ქიმიური ბუნების მიხედვით ორ მთავარ ჯგუფად იყოფიან: მინერალური ანუ ორგანულ და ორგანულ ჰერბიციდებად. პირველიდან აღსანიშნავია ამონიუმის სულფატი (NH_4SO_4).

იგი გამანადგურებელი ჰერბიციდია, იყენებენ ყამირების მიზნებზე და არხების ნაპირებზე სარეველათა წინააღმდევ საბრძოლველად, აგრეთვე ბუჩქნარი მცენარეების მოსასპობად. ამ უკანასკნელი დანიშნულების მიხედვით არბორიციდსაც უწოდებენ.

ტექნიკური პრეპარატი შედგება 70—90% ამონიუმის სულფამატი-საგან, დანარჩენი მინარევია. წყალში კარგად იხსნება. უფრო მეტად არბორიციდად ითვლება და მრავალწლიანი სარეველების წინააღმდევგაც იყენებენ.

ხარჯების ნორმები შემდეგია: შესხურებით სჭირდება 100—200 კგ ჰა-ზე ხსნარი — 1000—1500 ლ. თუ მაღალი ნორმებია საჭირო მერქნიანი ჭიშების ბუჩქნარებისათვის, მაშინ ილებენ ჰერტარზე 400—600 კგ-ს.

ნატრიუმის ქლორატი

საერთო გამანადგურებელი ჰერბიციდია.

ისეთსავე ადგილებში გამოიყენება, საღაც ამონიუმის სულფამატი ყამირებზე, მიწნებზე, ბუჩქნარების მოსასპობად (არბორიციდი), აერო-დრომებზე.

კრისტალური თეთრი ნივთიერებაა. ადვილად იხსნება წყალში. შშრალ პირობებში დიდხანს ინახება. ლია ჭურჭელში ფუჭდება — ჰიგროსკო-პულია. მცენარეში ადგილად იქრება და გადაინაცვლებს. მცენარეში არ-სებულ ფერმენტებთან ურთიერთქმედების შედეგად ტოქსიკური ნა-ერთები წარმოქმნება და მცენარე იწამლება.

სარჯვის ნორმა ჰექტარზე 300—500 კგ., გახსნილი 1500—2000 ლ წყალში.

საჭიროა დიდი სიფრთხილე, ვინაიდან ცეცხლსაშიშია და ადვილად ფეთქდება.

ნაღაგში ადვილად ირეცხება და შესაძლებელია მეზობელ ნაკვეთებ-ზე. ჩაწრეტილი წყლით კულტურული მცენარეები დაზიანდეს.

ორგანული ჰერბიციდები მრავალია და ბევრი წარმოებაშიცაა ფარ-თოდ დანერგილი. ამ უკანასკნელთაგან აღსანიშნავია ქლორფენოქსიდმრის მჟავას ნაერთები.

პრეპარატი 2-4-დ.

სუფთა პრეპარატი თეთრი კრისტალური ნივთიერების სახითაა წარ-მოლექნილი. ტექნიკური კი ნაცრისფერია და ქლორფენოლების სუნი აქვს. წყალში ცუდად იხსნება. კარგად იხსნება სპირტში. ბენზოლში, აც-ტონში და ოთხქლორიან ნახშირბაღში.

ამ ნაერთებისაგან ყველაზე გავრცელებულია ნატრიუმის, ამონიუმის მარილები; ბუთილის ეთერი, ქროტილის და ორქცელის ეთერი. ყველა ეს პრეპარატი მოქმედებს ორლებნიან სარეველა მცენარეებზე, შერჩევი-თი მოქმედებისაა. ამ სახის ნაერთებიდან წარმოებაში ორგვარი ჰერბიცი-დია ხმარებული.

I. 2-4 დ-ის ნატრიუმის მარილი თეთრი კრისტალური ნივთიერებაა, სუნი არა აქვს; წყალში კარგად იხსნება. მართალია, სტაბილური პრეპა-რატია, მაგრამ ტუტე მიწისებრ ნაერთებში ან (კალციუმი, ბარიუმი, მან-განუმი) რეაქციაში შედის და ამის გამო მათთან კომბინაციაში არ გამოიყე-ნება.

ტექნიკური ნატრიუმის მარილი 24-დ-ი პირისფერი ფხვნილია, არა-სასამოვნო სუნი აქვს. წყალში კარგად იხსნება. შეიცავს 75% 24-დ დიქლორფენოქსის მუავს, 8% ტენს, დანარჩენი შემცხებლებია.

II. 24-დ ამინის მარილი. თეთრი კრისტალური ნივთიერებაა, წყალ-ში ადვილად იხსნება.

ტექნიკური პრეპარატი მუქი-მურაფერისაა, მყრალი სუნი აქვს, მოქმედ საწყისს შეიცავს 40%-ს.

24-დ ბუთილის ეთერი

მუქი-ყავისფერი სითხეა სპეციფიკური სუნის მქონე. იხსნება ორგანულ გამხსნელებში. ძლიერი აქროლადობა ახასიათებს. მზადება და გამოიყენება, როგორც 32%-კონცენტრატის ემულსიები 2—4 დიზელის საწყისის 20% და ოპ-7-20%-იანი.

შეხედულებით სქელი ყვითელი ან ყავისფერი სითხეა და წყალში სტაბილურ ემულსის იძლევა.

ავიაშესხურებისათვის გამოიყენება სხვა ეთერი, 2-4-დ-ს, საღაც 65% მოქმედი საწყისია, დამსველებელი არა აქვს.

ქლოროფენოქსიდმარმევას ნაწარმი პრეპარატები ფართოდაა გამოიყენებული, უმთავრესად, ორლებნინი ფართოფოთლოვნი სარეველების წინააღმდეგ. ჰერბიციდი შეჭრისთანავე მცენარის წვენს ურთდება და გადაღის ჭურჭელბოჭკეობით მცენარის მთელ სხეულში, მეტადრე მოზარდ ნაწილებში. პრეპარატი — მცენარის სხეულში ყველა ფიზიოლოგიური პროცესი — სუნთქვის, ფოტოსინთეზის და სხვათა დეზორგანიზაციას იწვევს. ნივთიერებათა ცვლა მთლიანად ირლევა, რასაც მცენარის დეფორმაცია მოსდევს. საბოლოოდ მცენარე ფესვიანად კვდება, ჰერბიციდის მცენარეზე მოქმედების გამომიღავნება 1—2 დღის შემდეგ იწყება.

თუ პრეპარატის სუსტი ხსნარები გამოვიყენეთ, მაშინ, პირიქით, მცენარეზე დადგებითად მოქმედებს, როგორც სტიმულატორი.

ნორბლოვანთა ნათესებში (ხორბალი, ქერი, შერია, სიმინდი) 2-4-დ ბუთილის ეთერით შესხურების ჩატარებას ურჩევენ $0,4-0,5$ კგ-ს ჰექტარზე. ნატრიუმისა და ამონიუმის მარილები ნაკლებ ეფექტიანია, წყლის ნორმა სამუშაო ხსნარის დასამზადებლად მცენარის განვითარებასთან დაკავშირებით $200-400$ ლ-ს უდრის. ავიაშესხურებისათვის წყალს იღებენ ხორბლეულზე $25-50$ ლ-ს, სიმინდასა და კარტოფილზე $50-100$ ლ-ს. 2-4-დ-ს, ამინის მარილები და ბუთილის ეთერები გამოიყენება არბორიციდებადაც, ბუჩქნარების მოსასპობად (მურყანის, ტირიფის, კვრინჩისა და სხვ.) წყლის ხარჯის ნორმად მიღებულია ავიაშესხურებისას 100 , ჰექტარზე, მიწაზე შესხურებისას, კი $1000-2000$ ლიტრი შხამი — $0,4-0,5$ კგ.-ჰა-ზე.

მე გვუფის პრეპარატები ნიაღავში, ადგილად იშლებიან. აღამიანებებსა და თბილისის სლიანებისათვის საშუალო სიჭრიერის შხამად ითვლება.

სიმაზინი

სიმაზინი ორგანული ჰერბიციდების გვუფს უკუთვნის. სისტემური, შერჩევითი მოქმედების ჰერბიციდია. სუფთა სიმაზინი თეთრი კრისტა-

ლური ნივთიერებაა. არ ფეთქდება, მეტალების კოროზიას არ იწვევს, აპარატის რეზინისაგან, ტყავისაგან გაკეთებულ ნაწილებზე არ მოქმედებს. ქარხნული წესით დამზადებული და წარმოებისათვის გამოშვებული სიმაზინი თეთრი ან ლია-ნაცრისფერი სტელებადი ფხვნილია. მართალია, წყალში არ იხსნება, მაგრამ სამაგიეროდ მიიღება სტაბილური სუსპენზია, რასაც წარმოებაში იყენებენ.

სიმაზინი შედგება 50% მოქმედი სუსტისაგან, 44—44,5% შემცვებელი კაოლინისაგან, 3% სულფიტური სპირტის დურდოსაგან, 2,5—3% ოპ—7 ან ოპ-10-საგან.

აზიანებს მრავალ ურთლებნიან და ორლებნიან მცენარეს. კულტურულ მცენარეთა დაზიანებასაც იწვევს. სიმაზინის მიმართ მნიშვნელოვან გამძლეობას იჩენს სიმინდი, რის გამოც სიმაზინის გამოყენებას სიმინდის ნათესებში დიდი ყურადღება ექცევა. გამძლედ ითვლება აგრეთვე კარტოფილიც.

სიმინდის გამძლეობას სიმაზინის მიმართ ხსნიან სიმინდის მცენარეში ისეთი ფერმენტების არსებობით, რომლებიც ფესვიდან თუ გარეგანი შესხურების გზით მცენარეში შეჭრილ სიმაზინს შლის და უვნებელს ხდის მცენარისათვის. შესაძლებელია, კარტოფილის გამძლეობაც ამით აიხსნებოდეს.

სიმაზინი, ძირითადად, მცენარეში ფესვებიდან მოხვედრილი მოქმედებს და აღმონაცენები იღუპებიან. ამის გამო, რომ სიმაზინით ნიადაგის შესხურებას ურჩევენ, დათესვამდე ან აღმონაცენების ამოსვლაშედე.

სიმაზინი გამოიყენება ბალებში, მათ რიგებში და რიგთშორისებში. მოზრდილ ბალებში სიმაზინის შეტანა საშიში არაა, ვინაიდან შხამი ზედაპირულად შეაქვთ და ხეხილის ფესვებამდე იგი ვერ აღწევს.

ხარჯვის ნორმები ცვალებალია საჩევლათა შემაღენლობასთან და ნიადაგის პირობებთან დაკავშირებით. უმთავრესად სიმინდის ნათესებში 1—2 კგ იხარჯება ჰექტარზე, ჩვეულებრივი დამუშავების დროს 400—600 ლ წყალი სჭირდება.

ნილის ბალებსა და ვენახებში სიმაზინით ნიადაგის შესხურებას ატარებენ ვიღრე საჩევლების აღმონაცენები გამოჩნდებოდეს. ხარჯვის ნორმა 2—3 კგ 1 ჰექტარზე, წყალი — 400—600 ლ.

დამუშავებულ ნაკვეთებზე, ნიადაგის თუ სხვა გარეშე პირობებთან დაკავშირებით, სიმაზინი ნიადაგში ხანგრძლივად რჩება (2 წლამდე). ნოტიო ნაკვეთებზე, შემდეგ წლებში, სხვა კულტურებიც ნორმალურად მიდის; მშრალ ხირხატადგილებზე კი შემდგომაც მოქმედებს მცენარეზე. უკვეთესია ისევ სიმინდი, დაითესოს, როგორც უფრო გამძლე მცენარე.

ატრაზინი

ატრაზინი იმავე ჯგუფის პერბიციდებს. ექუთვნის, რასაც სიმაზინა სუფთა ატრაზინი თეთრი კრისტალური ნივთიერებაა. ტექნიკური კი, რომელსაც წარმოებაში იყენებენ, ლია-ნაცრისფერია. წყალში ძნელად იხსნება, ორგანულ ნაერთებში კი — უკეთესად; ატრაზინის მოქმედების სპექტრი თითქმის ისეთივეა, როგორიც სიმაზინისა: აზიანებს ერთლებინან და ორლებნიანებს ერთშორის და მრავალშორის მცენარეებს. შერჩევითი პერბიციდია.

სიმაზინისაგან იმით განსხვავდება, რომ მცენარის მწვანე ნაწილების შემთხვევაში უკეთესად იჭრება მცენარეში. სიმინდის ნათესებში მისი შესხურება ვევეტაციის ღრმასაცაა შესაძლებელი, 5—6 ფოთლის ფაზაში ფესვთა სისტემიდან შეჭრა სუსტია.

ატრაზინი გამოშვებულია სველებადი ფხვნილის სახით. წყალში ძნელად იხსნება, სიმაზინივით სტაბილურ ემულსის იძლევა. შეიცავს 50% მოქმედ საწყისს.

ხარჯის ნორმა 1,5—2 კგ-ზა-ზე მწირ ნიადაგზე; სიმინდის ნაკვეთის ნიადაგი თუ მდიდარია, მაშინ იყენებენ 3—4 კგ-ს პექტარზე. წყლის ხარჯვის ნორმა იგივეა, რაც ავიაშესხურებისას: 50—100 ლ, ჩვეულებრივ — 400—600 ადამიანისა და თბილსისხლიანებისათვის სუსტი შხამია.

პერბიციდებისაგან მხოლოდ უმთავრესებია განხილული. განსაკუთრებით ისეთები, რომლებმაც ჩვენს მინდვრებზე უკვე პოვეს გამოყენება. უკანასკნელ ხანებში ბევრი ახალი პერბიციდია შექმნილი, ზოგმა სათანადო შეფასებაც მიიღო, თუმცა ფართო მოხმარებისათვის ჯერ არ მზადდება, ბევრი უცხოურიცა და სხვ. დაწვრილებით მათი გაცნობა შეიძლება სპეციალურ სახელმძღვანელოებში.

ამავე ჯგუფის პერბიციდია აგრეთვე პრომეტრინი. თეთრი, კრისტალური ნივთიერებაა, ღნობის ტემპერატურად 120° ითვლება. წყალში ცუდად იხსნება, სამაგიეროდ ორგანულ გამხსნელებში კარგ სპეციფიკურ სისტემურ პერბიციდად ითვლება. მცენარეთა ქსოვილებში ფესვიდან იგრება, რის გამოც მისი გამოყენება შესაძლებელია მცენარის აღმოცენებამდე ნიადაგში შეტანით. სპობს ერთლებნიან და ორლებნიან სარეველებს. ამჟამად ჩვენში ინერგება სიმინდის და ბოსტნეული კულტურების სარეველების საწინააღმდეგოდ (სტაფილო, ხახვა, კომბოსტო, ბარლა და სხვ.).

გამოსაყენებლად წარმოება ამზადებს 50% სველებად ფხვნილს. ხარჯის ნორმაა 3—5 კგ 1 ჰექტარზე.

ნიადაგში ხანგრძლივად არ ინახება თუმცა მაგ., სტაფილო საჭმელად უნდა გამოვიყენოთ წამლობის ჩატარებიდან. არა უადრეს 4 თვისა. კარტოფილი — 3 თვის. თბილსისხლიანებისათვის ნაკლებადაა შხამიანი.

Ց Շ Ա Ն Ա Ր Ա Ը

Վուգովատուղազուս Շյեֆթացուն և սագանո լա Թիշանո	3
այս ձմքոցու մըցենարու և ամակասաւատցեցլու տցընչեցի,	3
ցործածուղազուս կաթուրու և սեցա սամեցնուցրու լուսցութոնց թան	4
ցանսանցը ըստ համարու այս ձմքոցու մըցենարու և մուսու լակասաւատցի	7
այս ձմքոցութագան մուցենցեցլու Շահալու	11
Վուգովատուղազուս ցանցուտարեցիս մոյլու և տրուրու	15
մըցենարետա և պացուս սամեցնուցրու և ուերագույնու շելու և սայարտցուղուն	27
մըցենարու այս ձմքոցութագան կլասսուցուցուա և մտացարու քցութցիս դասասուտցի	29
արաձարանիուլու այս ձմքոցունան	36
Երմեյրանցը նուր ու ամուր այս ձմքոցունան	40
Շյլուս ծալանսու օգուցուցու ամուր այս ձմքոցունան	44
սոնատլուս սոմբուրու ան սովուրու ամուր այս ձմքոցունան	46
նուացի նապրու ըլումենցը նուկարու ան սոմբուրու ամուր այս ձմքոցունան	50
սարամուն նարինցը նու ամուր այս ձմքոցունան	53
ձարանիուլու այս ձմքոցունան	54
այս ձմքոցու մըցենարու սոմբուրու	54
Protophyta — პրոցուցութեան և մատու լասասուտցի	69
ձայրանու Բակտերիա	70
ձայրանու սելուս ացիցը լու	73
ձայրանու սելուս կցի և սպոնցիա	78
ցործածուղացնուրու ձայրանու սուլցմարյա	80
ցործածուղացնուրու ձայրանու սուլցմարյա	83
միջանձնիմերու ռացանունիմերու լասասուտցի — Mycoplasmataees	84
Սոյուցիս աց ցունու մըցենարետա սացրու սուսկրման . Eu Mycota	92
սոյուցիս ցանցը սուսկրման սուսկրման	94
սոյուցիս սուսկրման սուսկրման	98
սոյուցիս ցունուղազ	103
մուլուսունու սակեցլուցը նու և մատու լանունց լու	106
սոյուցիս ցանցը սուսկրման	111
սոյուցիս սուսկրման ցանցը սուսկրման	116
սոյուցիս նացուց սուսկրման	122
մուլունու — լոյկենցի — Jychenes	126
Սոյուցիս կլասսուցուցուա և մուսու սացուցուղու	128
մտացարու քցութցի լասասուտցի	128
I կլա. Ֆլունիսցի սոյուցիս անց լորինցանու — Myxomycetes	130
2 կլասու — արխիմուցերու — Archymycetes	133
III կլասու ցոյումուցերու — անց սոյուցուալմուցենարենո — Phycomycetes	137
կացանու Զիգոմիցերու — կոցուցուալմուցերու — Zygomycetes	144
հոցու Մուրալու մուսու սոյուցիս	145
IV կլասու — այս մուցերու — հոցու Տոմոփորուանու — Entomophthorales	146
հունումուցուանու — հոցու Տոմոփորուանու — Entomophthorales	146
նացրուանու սոյուցիս 1 ռու. Erysiphace	156
նացրուանու ռու ցանցը սարցաց	159
նացրուանու սոյուցիս սուսկրման ցանցը սուսկրման	159

პირენომიცეტები —	ქ/კლ.	Pyrenomycetes	163
დისკომიცეტები ანუ ჭამნაირი სოკოები ქ/კლ —		Dyscomyceses	179
V კლ. — Basidiiales — ბაზიდიანი სოკოები ანუ ბაზიდიომიცეტები			185
უვალლოვანი ანუ თესლოვანი პარაზიტები — Spermatophyta			244
თანამცხოვრებ ლრგანიშმთა შორის ურთიერთდამოკიდებულება			251
კირუსოვანი ავადმყოფობანი			258
მცენარის კირუსულ ავადმყოფობათა შესწავლის მოკლე ისტორია			259
მცენარის კირუსულ ავადმყოფთა გარევანი სიმპტომები			264
ბუნებრივ პირობებში კირუსების გავრცელების გზები			269
კირუსის საწყისის ზოგიერთი თვისება			273
შცენარის ინფექცია ანუ დაავადება			276
ინკულუმის, ანუ ინფექციური ავადმყოფობის საწყისის			
განვითარების პირობები			283
ინკულუმის მცენარეში შექრის გზები			286
შცენარეთა იმუნიტეტი ანუ ავადმყოფობის მიზართ გამძლეობა და მიზღვიანობა			289
მცენარის იმუნიტეტის ბუნება ანუ არსი			293
ბუნებრივი იმუნიტეტი და გამძლეობა მცენარეებში			298
ბუნებრივი იმუნიტეტის ფაქტორების სპეციალიზაცია,			
სპეციალიზებული ფორმები, ფიზიოლოგიური რასები			298
მცენარეთა იმუნიტეტის ცვალებადობა			308
ბრძოლის მეთოდების ზოგადი დახასიათება			311
აგრძელებული ღონისძიება			313
სანიტარიულ-ჰიგიენური ბრძოლის მეთოდები			320
ბიოლოგური მეთოდით ბრძოლა			321
ქიმიური მეთოდით ბრძოლა			324
პესტიციიდების გამოყენების მეთოდები			327
შცენარეთ შინაგანი თერაპია			335
სპილენშენენაერთათანი ფუნგიციდები			337
ბორდოული სითხე			338
სპილენის ქლორუანგი ანუ კუპროტოქსი			343
გოგორდნაერთათანი ფუნგიციდები			345
შესასურებელი გოგორდოვანი ფუნგიციდები			347
კოლიფური გოგორდი			350
გოგორდორგანული ფუნგიციდები			351
ტეტრამეთილდიორსამდისულფიდი ანუ ტმტდ			351
ცინები			352
ცირამი			353
პოლიგარბაცინი			354
ქაპტანი			354
ფტალანი			355
ფერბამი (ფულდაზინი)			355
მანები			356
თიოცანატები			356
სინდიფშემცველი ფუნგიციდები			357
როდანი ანუ პარაზიტული			359
ფენოლების ნიტრონაერთები			360
დინოკი ანუ დინიტრონაერთებული			360

ნიტრაფენი (პრეპარატი)	360
ფიგონი (ფექლონი)	361
კარატანი	361
კირბათხონი (ვაპამი)	362
დანარჩენი ფუნგიციდები	362
ფორმალინი	362
რეინის შაბამანი ანუ ძაღლ $\text{FeSO}_4 \cdot 7\text{H}_2\text{O}$	366
სისტემური მოქმედების ფუნგიციდები	366
პერმანგანატი ანუ მანგანუმეტვა კალიუმის მარილი	368
პერბიციდები	368
ნატრიუმის ქლორატი	371
პრეპარატი	371
24-დ ბუთ ილის ეთერი	372
სიმბზინი	372
ატრაზინი	374
ტერმინებისა და სახელწოდებათა სამეცნიერო	1
	378

ტერმინთა და სახელწოდებათა საქმიანობი

- პარუშუმა 248, 249.
- აბედა სოკოები 206
- აგლუტინაცია 294
- აგლუტინინი 294.
- ადამტაცია 320.
- აეროზოლი 336.
- კლინიზმი 55, 56.
- აკროპეტალური 114.
- აკროსპოროვანი 188.
- ანტაგონიზმი 252.
- ანემიკოლური 278.
- ანტაგონისტური 254.
- ანტიგენი 294
- ანტისეულები 294.
- ააოგამა 121, 186.
- აპელსორიუმი 287.
- არასპეციფიკური მწერები 280.
- არაპარაზიტული აფაღეოფობანი 31.
- არეიკარბი 120.
- ასკოფონი 120.
- ატრაზინი 374.
- ატროფია 53.
- აუკუნა 56.
- აქტიური იმუნიტეტი 309.
- აფიოლოფორასებრი 205.
- აფშრუცვა 48.

- ბენობილი 366.
- ბაზიდიანი სოკოები 187.
- ბაზიდოუმი 187.
- ბაზიპეტალური 114.
- ბაქტერიოლიზი 237.
- ბაქტერიციდი 326.
- ბიოს 286.
- ბიოტიპი 301.
- ბოყი 63.
- ბორდოული სითხე 338.

- ბამანადგურებელი პერპილი
- გიბერულა 168.
- გოგირდი სუფთა 346.
- ” ” გამოსხილი 346.
- ” ” კონცენტრაცია 346.

- გოგირდი პერიოდი 345.
- გოგირდორგანული ფუნგიციდები 345
- გოგირდოვანი შესასურებელი ფუნგიცი-
ღი 351.

- დეზინფექცია 333.
- დინდრობაცილინი 322.
- დიფერენციალორი 300.
- დისცერსული სისტემა 328.
- დინოტროროდანბენზოლი 356.
- დნოვი 359.
- დოთიდეასებრი 162.

- მკონობიერი ეფექტიანობა 327
- ეთოლოგია 47.
- ემულსია 329.
- ემულგატორი 329.
- ენტომობაქტერინი 322.
- ანტომოპარაზიტი 312.
- ენდოფიტი 258.
- ეპიფიტი 258.
- ეციდიუმი 145.
- ეტალოუმი 131.
- ექსობაზიდიუმი 204.
- ექსოპარაზიტი 312.

- ვარყა სოკო 218.
- ვალზასებრი 176.
- ვაქცინაცია 295.
- ვირიონი 262.
- ვიროსპორა 262.

- ზიგომიცეტები 144.
- ზიგოტა 75.
- ზოოსპორანგიუმი 113.
- ზოოსპორა 113.
- ზოოქორისა 280.
- ზოოციდი 326.
- ზღარბა სოკოება 126.

- თეთრი შხამა 219.
- თაფდალწეფა 293.
- თესვის ნორმა 314.

- მზიდიუმი 126.
 იმუნიტეტი 290.
 „ „ აბსოლუტური 291
 „ „ შეფარდებითი 291.
 „ „ მეტკვიდრული 293.
 „ „ სტრუქტურული 307.
 „ „ მექანიკური 308.
 „ „ პასიური 308.
 „ „ აქტიური 308.
 „ „ ბუნებრივი 293.
 „ „ ხელოვნური 293.
 „ „ გეოგრაფიული 311.
 „ „ პასიური 308.
 „ „ პირობითი 308.
 „ „ სახეობრივი 298.
 „ „ ცვალობლივი 298
 იმუნიტეტის ცვალებადობა 308.
 იმუნიზაცია 295.
 იკსაედრული 264.
 ინვოლუცია 73.
 ინსექტციდი 326.
 ინკრუსტაცია 98.
 ინოცულაცია 277.
 ინოულუმი 277.
 ინტრასიცია 30, 61.
 ინფექცია მცენარის 276.
 „ „ კონტაქტური 281.
 კალიუმის პერმანენტი 368.
 კაპილიკოუმი 131.
 კარატანი 361.
 კარტოფილის გადავარება 276.
 „ „ ფიტოფთოროზი 140.
 „ „ კიბო 134.
 კარბატიონი 362.
 კასპოვერი 264.
 კაპტანი 354.
 კაცისურასებრი 218.
 კაცისურა 218.
 კელაპტარა 248.
 კიბო ღია 42.
 კიბო შავი 244.
 კლეისტოკაბიუმი 123.
 კომპლექსური სახეობა 299.
 კორეციუმი 115.
 კოლეტოტრიქუმი 295.
 კოლოიდური გოგირდი 350.
 კოებული სახეობანი 129, 302.
 კრისტალები ვირუსული 269.
 კუპროტოქსი 343.
 კუპროზანი 353.
 ლაქიანობა 56.
 ლაქიანობა 56.
 ლატალური (კრიტიკული) ტემპ. 283.
 ლიქენები 126.
 ლოფოდერმიუმი 182.
 ლაქტარიუსი 218.
 მიკროლემენტები 50.
 მანჭვალა 219.
 მანგანუმეტავა კალიუმი 368.
 მანები 356.
 მელანკონიასებრი 234.
 მელამისიასებრი 199.
 მეტაბიოზი 254.
 მერკურიანი 358.
 მიკოპლაზმა 83, 69.
 მიკროლემენტები 50.
 მიკრობიოლოგიური ბრძოლის, მეთოლუ-
 ბი 322.
 მიკოჩიზა გვ. 305.
 მიკროსტრომა 204.
 მისატყუებელი მისალები 337.
 მიქლიოსებრი 217.
 მიქსოგასტერები 131.
 მკეებავი მცენარე 257.
 მონოულტურა 3.
 მტაცებელი მწერი 321.
 მუმიიაცია 59.
 მუტუალისტური 264.
 მლიერები 258.
 მჴადა სოკო 218.
 ნამდვილი პარაზიტები 245.
 ნიოჭა სოკო 184.
 ნატრიუმის ქრორატი 371.
 ნახევრადპარაზიტები 245.
 ნიტრაციენი 359.
 ნიკო 219.

- ကလေလိုက်ပြစ် 138.
 ကပဲရှာဖြူရှိ အာရာစီတွေ့ပါ 257.
 ကုန်ပြုချော် 138.
 ကုန်ပြုချော် 139.
 ကုန်ပြုချော် 140.

 အာရာစီတွေ့ပါ အာရာစီတွေ့ပါနှင့် 31.
 အာရာစီတွေ့ပါ 257.
 အာရာရှုန် မဖြောက် 257.
 အာရာရှုန် မဖြောက် 124.
 အာရာရှုန် မဖြောက်များ 217.
 အေဂါန်ပြုချော်များ 163.
 အေဂါန်ပြုချော်များ 196.
 အေဂါန်ပြုချော် 145.
 အေဂါန်ပြုချော် 324.
 " " ဒေါက်ပါ 326.
 " " ဂားလွှာ 326.
 အိုးပိုးပိုး 240.
 အိုးပိုးပိုးမှု 116.
 အိုးပိုးပိုးမှု 163.
 အဲလာဆိုရေးနှင့် အဲလာဆိုရေး 132.
 အဲလာဆိုရေးမှု 136.
 အဲလာဆိုရေးမှု 188.
 အဲလာဆိုရေး အဲလာဆိုရေး 124.
 အဲလာဆိုရေး အဲလာဆိုရေး 153.
 အဲလာဆိုရေး အဲလာဆိုရေး 78.
 အဲလာဆိုရေး အဲလာဆိုရေး 354.
 အဲလာဆိုရေး 213.
 အဲလာဆိုရေး အဲလာဆိုရေး 211.
 အဲလာဆိုရေး အဲလာဆိုရေး 294.
 အဲလာဆိုရေး 2. 4 ဇ — 371.
 အဲလာဆိုရေး 374.
 အဲလာဆိုရေး အဲလာဆိုရေး 261.
 အဲလာဆိုရေး အဲလာဆိုရေး 62.
 အဲလာဆိုရေး အဲလာဆိုရေး 125.
 အဲလာဆိုရေး အဲလာဆိုရေး 153.
 အဲလာဆိုရေး အဲလာဆိုရေး 199.

 ရေးဝါယာ အဲလာဆိုရေး 136.
 ရေးဝါယာ ဒေါက်ပါ 366.
 ရေးဝါယာ 360.
 ရေးဝါယာ 196.
 ရေးဝါယာ အဲလာဆိုရေး 170.
 ရေးဝါယာ အဲလာဆိုရေး 218.
 ရေးဝါယာ အဲလာဆိုရေး မာတွေ့ပါ 197.

 စာအိုးပိုး အေဂါန်ပြုချော် 288.
 စာမိန္ဒာရိုက် အေဂါန်ပြုချော် 327.

 စာမိန္ဒာရိုက် လေနေးစိုက်ပါ 311.
 စာရွှေ့ချော် ဖျော်ဆွေ့ရွှေ့ရွှေ့ 339.
 စာရွှေ့ချော် 225.
 စာရွှေ့ချော် ၂၁၃.
 စာရွှေ့ချော် 205.
 စာရွှေ့ချော် 254.
 " အာရာချော် အဲလာဆိုရေး 257.
 စာရွှေ့ချော် ၂၁၇.
 စာရွှေ့ချော် 254.
 စာရွှေ့ချော် 232.
 စာရွှေ့ချော် အဲလာဆိုရေး 134.
 စာရွှေ့ချော် အဲလာဆိုရေး 357.
 စာရွှေ့ချော် အဲလာဆိုရေး မဲ့လွှာ 54.
 စာရွှေ့ချော် အဲလာဆိုရေး 313, 366.
 အဲလာဆိုရေး အဲလာဆိုရေး 188.
 အဲလာဆိုရေး အဲလာဆိုရေး 232.
 အဲလာဆိုရေး အဲလာဆိုရေး မဲ့လွှာ 280.
 အဲလာဆိုရေး အဲလာဆိုရေး မဲ့လွှာ 299.
 အဲလာဆိုရေး အဲလာဆိုရေး မဲ့လွှာ 298.
 အဲလာဆိုရေး အဲလာဆိုရေး မဲ့လွှာ 344.
 " အဲလာဆိုရေး မဲ့လွှာ 349.
 အဲလာဆိုရေး 309.
 အဲလာဆိုရေး မဲ့လွှာ 126.
 အဲလာဆိုရေး 116.
 အဲလာဆိုရေး 328.
 အဲလာဆိုရေး မဲ့လွှာ 169.

 အဲလာဆိုရေး အဲလာဆိုရေး 207.
 အဲလာဆိုရေး အဲလာဆိုရေး 155.
 အဲလာဆိုရေး အဲလာဆိုရေး အဲလာဆိုရေး 351.
 အဲလာဆိုရေး အဲလာဆိုရေး အဲလာဆိုရေး 327.
 အဲလာဆိုရေး အဲလာဆိုရေး အဲလာဆိုရေး 367.
 အဲလာဆိုရေး အဲလာဆိုရေး အဲလာဆိုရေး 326.
 အဲလာဆိုရေး အဲလာဆိုရေး 297.
 အဲလာဆိုရေး အဲလာဆိုရေး 61.
 အဲလာဆိုရေး အဲလာဆိုရေး အဲလာဆိုရေး 61.
 အဲလာဆိုရေး အဲလာဆိုရေး အဲလာဆိုရေး 120.

 အဲလာဆိုရေး အဲလာဆိုရေး အဲလာဆိုရေး 194.
 အဲလာဆိုရေး အဲလာဆိုရေး အဲလာဆိုရေး 200.
 အဲလာဆိုရေး အဲလာဆိုရေး အဲလာဆိုရေး 42.

 အဲလာဆိုရေး အဲလာဆိုရေး အဲလာဆိုရေး အဲလာဆိုရေး 305.
 အဲလာဆိုရေး အဲလာဆိုရေး အဲလာဆိုရေး အဲလာဆိုရေး 257.
 အဲလာဆိုရေး အဲလာဆိုရေး အဲလာဆိုရေး အဲလာဆိုရေး 258.
 အဲလာဆိုရေး အဲလာဆိုရေး အဲလာဆိုရေး အဲလာဆိုရေး 223.
 အဲလာဆိုရေး အဲလာဆိုရေး အဲလာဆိုရေး အဲလာဆိုရေး 51, 66.

- ფაციდიასებრნი 180.
 ფაფონი 361.
 ფიზიოლოგიური რასები 299, 300.
 ფიზიოლოგიური მუნიტური 305.
 ფითრი 246.
 ფიტონციდები 306.
 ფიტოქორია 282.
 ფოთლების დაჭავება, 57.
 ფორმალინი 362.
 ფოტოსინთეზური 79.
 ფრაგმობაზიდუმი 189.
 ფრალანი 355.
 ფუზარიუმი 239.
 ფუმიგაცია 332.
 ფუნგიურიდები 325.
 ფუნგისტატიკური 327.
 ფუნგიურიდური 327.
 ფუნდაზოლი 366.

 ჩამა სოკო 220.
 ქაჯის ცოხი 64.
 ქვეყნის გულა, 64.
 ქვირით 66, 45.
 ქვებისინთეზური 79.
 ქრონიული ავალმკოფობანი 30.
 ქულიანი სოკოები 215.

 შინაგანი თერაპია 313.
 შიშველჩანთიანი, 152.
 შერჩევით ჰერბიციდა 369.
 შეუვალობა (ავალმკოფობის) 289.
 შემციებელი 331.
 შინაგანი ფერაპია 335.
- ხარჯების ნორმა 327.
 ხეთამხალი 220.
 ხრაშუნა სოკოები 218.

 ცოება 196.
 ცისფერი შესხურება 339.
 ცინება 352.
 ცირამი 353.
 ცვარტებილა 281.

 ჩითოლების ჩაწოლა 59.

 ძაღა 366.

 ზებოს დენა 68.
 წემის სოკო 222.
 წითელი შხამა 219.
 წითელა (ვაზზე). 38.
 წმინდა საპროფიტო 258.
 წინასწარგამაფრთხილებელი ლ. ბა. 311.

 ლეიძლა სოკო 212.
- ჰეჩირატი ხსნარი ვე. 328.
 ჰვაფის რქა 63.
 ჰელიოლა 63.

 ჯუჯა ფითრი 327.